

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აკად გ წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაისის“ აკადემიური გამოცემისა
და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი

რუსთველოლოგიური ლიტერატურა

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

III

1966 წელი

RUSTVELOLOGICAL LITERATURE

Annotated Bibliography

III

1966

თბილისი Tbilisi

2013

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის – UNESCO-ს გადაწყვეტილებით 1966 წელს მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა უდიდესი ქართველი პოეტის **შოთა რუსთაველის** დაბადებიდან 800 წლისთავი.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია საიუბილეო ღონისძიებათა ამსახველი პუბლიკაციებისა და რუსთაველისა და მისი შემოქმედების შესახებ 1966 წელს დაბეჭდილი წიგნების, მეცნიერული გამოკვლევებისა და წერილების ანოტაციები.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

ანოტაციების დიდი ნაწილი დაწერეს: გ. არაბულმა, ბ. დარჩიამ, ლ. კარიჭაშვილმა, ი. წაქაძემ, თ. ხვედელიანმა, **ზორის დარჩიას** მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის მიხედვითა და მისივე ხელმძღვანელობით.

წიგნი საარქივო მასალებით შეავსო, გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო
გიორგი არაბულმა

რედაქტორი – **მიხეილ ქავთარია**

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი – **ნინო ციხისთავი**

დაკაბადონება – **ზურაბ ბარათაშვილი**

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

ISBN 978-9941-0-1465-9 (ყველა კრებულის)

ISBN 978-9941-0-5940-7 (მესამე კრებულის)

წინასიტყვაობა

1966 წელს ფართოდ აღინიშნა დიდი ქართველი პოეტის **შოთა რუსთაველის** დაბადების 800 წლისთავი. იგი ჩვენში ჭეშმარიტ ეროვნულ დღესასწაულად იქცა; ჩატარდა უამრავი საზეიმო ღონისძიება. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, არ დარჩენილა შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ რომელიმე დიდი თუ მცირე საკითხი, გამოხმაურება რომ არ ეპოვოს. დაიბეჭდა როგორც სამეცნიერო გამოკვლევები, ისე პოპულარული ნაშრომები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემები, რომლებიც წინამორბედებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ამ იუბილეს გამოეხმაურა მთელი საბჭოთა კავშირი და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა; მათაც არა ერთი და ორი საყურადღებო ნაშრომი დაბეჭდეს.

წინამდებარე კრებულში ვეცადეთ, რაც შეიძლებოდა, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვედგინა ეს ლიტერატურა.

კრებულის მომზადებისას გამოყენებულია:

1. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის **ბორის დარჩიას** მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია (ანოტირების გარეშე), რომელიც მოიცავს 1450-ზე მეტ ერთეულს.

2. პროფ. **გაიოზ იმედაშვილის** მიერ გაკეთებული ანოტაციები, 272 ერთეული (განსვენებული მეცნიერის პირადი არქივიდან დროებით გამოყენებისთვის გადმოგვცა მისმა მემკვიდრემ კობა იმედაშვილმა).

3. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში არსებული ანოტაციები 1966 წლის მეცნიერული ნაშრომებისა და პერიოდიკაში გამოქვეყნებული წერილებისა, 490 სტატია (დაწერეს: **გ. არაბულმა**, **ც. ელისაბედაშვილმა**, **ი. კობიძემ**, **ნ. მაქაძემ**, **თ. ნახუცრიშვილმა**).

4. **А. М. Бабаян**, Шота Руставели, библиографический справочник, 1712-1970 гг., Москва, 1975.

5. კრებულები: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, II, III, IV. მთ. რედაქტორი **ლევან მენაბდე**, თბ., 1976-1988 წწ.

6. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, ბიბლიოგრაფიული სამიხედელი, რედაქტორი **ლ. მენაბდე**, თბ., 1992.

2004-2005 წლებში ამ კრებულისათვის დამატებითი მასალის მოპოვებისა და ანოტირების მიზნით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში შექმნილმა ჯგუფმა – **ბ. დარჩია** (ხელმძღვანელი), **გ. არაბული**, **ლ. კარიჭაშვილი**, **ი. წაქაძე**, **თ. ხვედელიანი** – ერთმანეთთან შეაჯერა ზემოხსენებული მასალები, შეადგინა დასამუშავებელი პუბლიკაციების სია და გააკეთა ათასზე მეტი ახალი ანოტაცია.

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს (დირექტორი **გურამ ბენაშვილი**) განზრახული ჰქონდა 1966 წლის იუბილეს ამსახველი მასალისა და მეცნიერული ნაშრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ცალკე წიგნად გამოქვეყნება, მაგრამ, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში 2006 წელს ჩატარებული რეორგანიზაციის გამო, მისი დასაბეჭდად მომზადება და გამოცემა შეფერხდა. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არსებული „რუსთაველის კომიტეტი“ აქვეყნებს ამ ბიბლიოგრაფიას.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ინფორმაციები წიგნში მოცემულია მხოლოდ ქართულ გამოცემებზე. უცხო ენებზე დაბეჭდილი თარგმანები იხ. საცნობარო კრებულებში: **ვ. ჩაჩანიძე**, „ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე“, თბ., 1980; „ვეფხისტყაოსნის გამოცემები“, რედ. **ლ. მენაბდე**, თბ., 1992; **მ. ჩხეიძე**, **ლ. თაქთაქიშვილი**, „ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია“, თბ., 2009.

მიგვაჩნია, რომ კრებული სასარგებლო გზამკვლევი იქნება ლიტერატურის ისტორიის ქართველ და უცხოელ მკვლევართათვის, ხოლო მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის რუსთაველის თხზულების ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართული პოეტური აზროვნების, საზოგადოებრივი ცნობიერების, ესთეტიკური და ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბებაში; ერში ამაღლებული, ჰუმანური იდეების გავრცელებასა და დამკვიდრებაში.

„დანართში“ წარმოდგენილია პუბლიკაციათა ანოტაციები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გამოჩენილია „რუსთაველოლოგიური ლიტერატურის“ IV და V კრებულებში.

წიგნს ერთვის პირთა და ეთნონიმთა საძიებელი (რომელშიც შედიან ანოტირებული პუბლიკაციების ავტორებიც) და საგნობრივ-თემატური საძიებელი.

გ. არაბული

ბ. დარჩია

ანოტაციების ავტორთა ინიციალები

გ. ა. – გიორგი არაბული

ბ. დ. – ბორის დარჩია

ც. ე. – ციცილო ელისაბედაშვილი

გ. ი. – გაიოზ იმედაშვილი

ლ. კ. – ლია კარიჭაშვილი

ი. კ. – ირაკლი კობიძე

ნ. მ. – ნინო მაქაძე

თ. ნ. – თინათინ ნახუცრიშვილი

ი. წ. – იზოლდა წაქაძე

თ. ხ. – თამარ ხვედელიანი

წიგნში გამოყენებული შემოკლებანი

ალმ. – ალმანახი

ანოტ. – ანოტაცია

გაზ. – გაზეთი

დან. – დანართი

ელს – ენისა და ლიტერატურის სერია

„ვტ.“ – „ვეფხისტყაოსანი“

„ვტ-ის“ – „ვეფხისტყაოსნის“

იხ. – იხილე

კორ. – კორესპონდენტი

კრებ. – კრებული

ლიტ. – ლიტერატურის, ლიტერატურული

მაცნე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე

ჟურ. – ჟურნალი

რედ. – რედაქტორი

საბა – სულხან-საბა ორბელიანი

საკდესი – საკავშირო დეპეშათა სააგენტო

საქდესი – საქართველოს დეპეშათა სააგენტო

სახ. – სახელი, სახელობის

ქეგლ – ქართული ენის

განმარტებითი ლექსიკონი

1. ვასილ აბაევი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“

ფოლკლორული საფუძვლების შესახებ

Известия АН СССР (СЛЯ), XXV, 4, 1966, გვ. 295-312;

ქართული თარგმანი (ო. გოლიაძის) – კრებ.

„რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, III, თბ., 1988, გვ. 505-516.

ავტორი განიხილავს ქართულ ფილოლოგიაში არსებულ ჰიპოთეზებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა და სიუჟეტის წარმომავლობის შესახებ (ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, ი. აბულაძე, მ. ჩიქოვანი, ი. მეგრელიძე და სხვ.).

ავტორი შესაძლებლად თვლის რუსთველის მიერ ცალკეული ფოლკლორული მოტივების გამოყენებას, თუმცა იგი გამორიცხავს „ტარიელიანის“ ვერსიებს. მისი თქმით, „არც ერთი ამ ვერსიათაგანი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წიგნური პოემისაგან დამოუკიდებელი“.

ვ. აბაევის აზრით, მნიშვნელოვანია პოემის მთავარი გმირის ვეფხის ტყავით შემოსვის მოტივი. იგი აღნიშნავს, რომ ცხოველის ტყავით შემოსილი გმირის სახე არის არქაული ხატი, რომელიც გადმონაშთის სახით შემორჩა ნართების ეპოსის რამდენიმე ვარიანტში. ოსურ, ყაზარდოულ და აფხაზურ თქმულებებში დასტურდება ხარის, ძროხისა და გარეული ღორის ტყავით შემოსვის მაგალითები გადამწყვეტი ბრძოლის წინ.

მკვლევარი ვერ ხედავს აუცილებლობას, რომ რუსთველის მიერ ამ მოტივის გამოყენებაში „შაჰ-ნამეს“ გავლენა დავინახოთ. მისი ვარაუდით, ფირდოუსმა და რუსთველმა, თითოეულმა დამოუკიდებლად და თავისებურად, გამოიყენეს მხეცის ტყავით შემოსილი გმირის ძველი მოტივი.

ასევე უძველესია „ველად გაჭრისა“ და მარტოობის მოტივი, რომელიც ადრე მოიაზრებოდა სულიერი ძალისა და რწმენის მოპოვების აუცილებელ პირობად.

მკვლევრის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლად უდევს კავკასიაში გავრცელებული ხალხური სიუჟეტი, რომლის პროტოტიპში გაერთიანებული იყო შემდეგი ელემენტები:

„1. გმირის მიჯნურის მოტაცება;

2. მისი ძებნისა და დაბრუნების ამაო ცდები;

3. გმირის ასკეტური განდევილობა და მისი მხეცად გარდასახვა, როგორც გზადიდი ძალის შეძენისა და მიზნის მიღწევისა;

4. გმირისა და მისი მეგობრების წარმატებული ბრძოლა ქაჯებთან და ქალის განთავისუფლება.

აი, ეს უძველესი სიუჟეტი, წარმოშობილი ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ადამიანებს სწამდათ ტოტემური მხეცები და მაგიის ყოვლისშემძლეობა, ჩანს, შეიქმნა იმ ამოსავალ ფოლკლორულ მასალად, რომლის საფუძველზე პოეტის გენიამ შექმნა ქალის კულტისადმი, სიყვარულისადმი, მეგობრობისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ფეოდალურ-სარაინდო პოემა“.

გ. ა.

2. გრიგოლ აბაშიძე

მოგზაურობა რუსთაველის ეპოქაში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., №39, გვ. 3-4.

ავტორი მიმოიხილავს XII ს–ის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე; აღნიშნავს, რომ საქართველოს სამეფომ ამ დრო-ისათვის ხელთ აიღო პოლიტიკური ჰეგემონობა მთელს წინააზიაში და იგი უკვე დაღლილი ბიზანტიის ადგილას გვევლინება ქრისტიანობის ქომაგად და განათლების მედროშედ.

ავტორის თქმით, „ეს იყო დრო ხალხთა შემოქმედებითი ენერჯის არნახული გამოღვიძებისა, ეპოქა რელიგიური დოგმებისაგან პიროვნების განთავისუფლებისა. იწყებოდა პროცესი ჰუმანიზმისაკენ შემობრუნებისა... რენესანსის ეპოქაში ეკლესიის მესაჭეეებიც კი ახალი ტიპის მღვდელ-მთავრები იყვნენ და არა რელიგიური დოგმების ბრძაღ მიმდევრები...“ როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ შეიქმნა თამარის ეპოქაში, რომ მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ჰუმანისტურად აზროვნებდა.

გ. ა.

3. გ. აბაშიძე

მზიური ჰიმნი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., № 218, გვ. 1.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგად დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს, რომ იგი „არის სიკე-თის ულამაზესი საგალობელი, ბოროტზე კეთილის გამარჯვების მზიური ჰიმნი“. პოემის ბრწყინვალე სიუჟეტი ამ მთავარი იდეის გახსნას ემსახურება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის იდეა, კეთილის სამსახური ამოქმედებს. აღმოსავლეთის რომანტიკული პოემებისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსანს“ წითელი ზოლივით გასდევს ოპტიმისტური რწმენა ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა. რუსთაველის პოემის სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებით დაგვირგვინება არა ჰგავს „აღმოსავლური რომანტიკული პოემების მისტიკური სიბნელით მოცულ უპერსპექტივო ფინალებს. რუსთაველი ნათელი ოპტიმიზმით ყველა თაობისათვის უჭკნობია. ის დღესაც დიდი სიცოცხლით ცოცხლობს და დღესაც ჩვენთან არის“.

გ. ი.

4. Григол Абашидзе

Вечный спутник

ქურ. «Литературная Грузия», 1966, № 9-10, გვ. 14-16.

წერილში მოკლედაა მიმოხილული „ოქროს ხანა“, თამარის მეფობის წლები, საუბარია განათლების კერებზე, ქართველი ხალხის მოკრძალებაზე დიდ შემოქმედთა მიმართ, საუბარია რუსთაველისადმი ქართველი ერის სიყვარულზე, რისი დასტურია ის, რომ გათხოვილ ქალს მზითევაში სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ ატანდნენ.

თ. ხ.

5. Gr. აბაშიძე

Гимн жизни, любви и творчеству

ჟურ. «Октябрь», 1966, № 9, გვ. 11-12.

ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებს სიცოცხლის, სიყვარულისა და შემოქმედების ჰიმნს. მოკლედ მიმოიხილავს XII ს-ის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას. რენესანსის მზე, – შენიშნავს იგი, – საქართველოში ამოვიდა. აღარაა სადავო, რომ ჰუმანიზმის და აღორძინების ხანის იდეები დანტესა და პეტრარკაზე ადრე რუსთაველმა გაახმაურა. ავტორი ცდილობს ეს აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ფაქტობრივი მონაცემებით დაასაბუთოს, მსჯელობს რუსთაველის იდეებსა და მსოფლმხედველობაზე. ლეგენდების მიხედვით გვაწვდის მის ბიოგრაფიულ შტრიხებს.

გ. აბაშიძის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ იქცა ქართველი ხალხის მორალურ კოდექსად. პოემა ორიგინალური მეტაფორების ოკეანეა, რიტმისა და ალიტერაციის დიდებული მუსიკაა. **ლ. კ.**

6. ირაკლი აბაშიძე

რუსთაველის წელიწადი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 1 იანვარი, № 1, გვ. 1.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წინა წლის მიღწევებს და იმედს გამოთქვამს, რომ 1966 წელი არანაკლებ საინტერესო და ერთ-ერთი გამორჩეული უნდა იყოს ქართული კულტურის ისტორიაში, თუნდაც იმიტომ, რომ ახალ 1966 წელს აღინიშნება რუსთაველის იუბილე.

ირ. აბაშიძე ყველას ულოცავს ახალ წელს და უსურვებს, ღირსეულად დახვდნენ პოეზიის მეფის საიუბილეო თარიღს. **თ. ხ.**

7. ი. აბაშიძე

[შოთა რუსთაველის იუბილეს გამო]

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
1966, 1 იანვარი, № 1, გვ. 1.

წერილი წარმოადგენს საინფორმაციო სიტყვის ანგარიშს, რომელიც წარმოთქმული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გარშემო გამართული კამათის დროს.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილეს მზადება ფართოდ გაიშალა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. დამტკიცებულია მთავრობის საკავშირო საიუბილეო კომიტეტი, რომელმაც დასახა დიდი ღონისძიებანი მთელ ჩვენს ქვეყანაში რუსთაველის იუბილეს მოსაწყობად. ჩვენი რესპუბლიკა მოელის სტუმრების დიდ ნაკადს არა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც, საიდანაც ჩამოვა ასზე მეტი უცხოელი.

სხვა ღონისძიებათა შორის ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს იუბილესათვის განზრახულ გამოცემებს, რუსთაველის ეპოქის ძეგლების შეკეთების სამუშაოებს, არქეოლო-გიურ გათხრებს.

ავტორის განცხადებით, რუსთაველის იუბილე ეწყობა არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო მასშტაბით. ამ ღონისძიებათა ასეთი ფართო მასშტაბით განხორციელებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს სათანადო დადგენილება, რომელიც მიიღო და თავისი კონგრესის მუშაობის გეგმაში შეიტანა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ. **გ. ი.**

8. ი. აბაშიძე

ვინ იქნებიან ჩვენი სტუმრები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 21 ივლისი, № 165, გვ. 1; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 15 სექტ., № 217, გვ. 3.

თავის ინტერვიუში ი. აბაშიძე იუწყება, რომ რუსთაველის საიუბილეოდ თბილისში გაიმართება სსრ კავშირისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების გამგეობათა გაფართოებული პლენუმი და ჩამოთვლის იმ მწერლებს, მეცნიერებსა და „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს, რომლებიც საქართველოში საბჭოთა კავშირიდან და მსოფლიოს ქვეყნებიდან ჩამოვლენ. **ბ. დ.**

9. ი. აბაშიძე

დიდი ეროვნული ზეიმი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 23 სექტემბერი, № 39, გვ. 1.

მცირე წერილი წარმოადგენს მილოცვას რუსთაველის საიუბილეო ზეიმის დაწყების გამო. ავტორი წერს: „ეს ის დღეებია, როცა ჩვენ მთელი ცივილიზებული სამყაროს მაღალი აზრის წინაშე პირისპირ ვდგებით და ამ სამყაროს თვალწინ ვაჯამებთ დრამატიზმით აღსავსე მთელი ქართული კულტურის რვაასწლოვან ისტორიას“. ქართული მწერლობა და ხელოვნება ამ დღეებში მსოფლიოს შორეული კუთხეებიდან მოსული ბევრი სტუმრისათვის ახალი აღმოჩენა იქნება. **გ. ა.**

10. ი. აბაშიძე

Вечная юность

გაზ. „Лит. газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 1;
ავრ. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 30 სექტ., გვ. 1.

ავტორი წერს: რუსთაველის შემოქმედება ძვირფასია ყველასთვის, ვინც იბრძვის ჰუმანიზმის დიადი იდეისათვის, პროგრესის, მშობის, ჭეშმარიტი სიყვარულისა და ადამიანის გონების გამარჯვებისათვის. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პათოსი სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვებაა. მასში დახატულია ორი შეყვარებული წყვილის ამქვეყნიური ბედნიერება და არა მისტიკური შერწყმა ღმერთთან ან საიქიოში არსებობის აზრის ძიება.

სწავლულნი რუსთაველის თხზულებაში ხედავენ ყოფიერების უმაღლეს პრინციპებს, რიგითი მკითხველი კი მისგან სწავლობს ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ადამიანის დანიშნულებასა და პასუხისმგებლობას ამქვეყნად. **გ. ა.**

11. ი. აბაშიძე

პოეტის უკვდავება

მოხსენება საქ. კ.პ.ც. კომიტეტის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 30 სექტ. საზეიმო სხდომაზე; გაზეთები: „კომუნისტი“, 1966, 4 ოქტ., № 226, გვ. 3.; თბილისი“, 1966, 4 ოქტ., № 233, გვ. 3; „Заря востока“, 1966, 4 ოქტ., № 228, გვ. 3; „ლიტ. საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 3; „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 7 ოქტ., № 195, გვ. 3; ჟურ. „მნათობი“, 1966, № 10, გვ. 7-15; ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 10, გვ. 6-14.

მოხსენება შეიცავს რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგად დახასიათებასა და „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობისა და ადგილის გარკვევას ქართული აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში. ავტორის აზრით, რუსთაველმა დაძლია შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შემეცნებაში არსებული უფსკრული ღმერთსა და გამოვლენილ სამყაროს, შემოქმედსა და შექმნილს შორის. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არ შეიძლება იყოს მიმდევარი რაიმე დუალისტური კონცეფციისა. მისთვის არ არსებობს გათიშული სამყარო. რუსთაველს სწამს, რომ ღმერთის მიერ უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყანა შექმნილია კაცთათვის, რადგან ადამიანი ღმერთის წილია, უიმი-სოდ სამყაროს მთლიანობა ვერ იარსებებს და ადამიანი ახორციელებს სწორედ გამოვლენილი სამყაროს კვლავ ღმერთთან დაბრუნების, მასთან შერთვის აღმავალ ხაზს. ადამიანი ღმერთს უახლოვდება და ეზიარება სიყვარულისა და სიბრძნის საშუალებით.

რუსთაველმა დაასრულა, საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გამოკვეთა ადამიანობის ის უმაღლესი იდეალი, რომელზეც კი საერთოდ შეეძლო ეოცნება შუა საუკუნეების მსოფლიოს. ამ მხრივ მან დიდი ხნით წინ უსწრო ევროპის რენესანსს. რუსთაველი გვეუბნება, რომ ადამიანი უნდა იყოს ჰარმონიულად მშვენიერი, – მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედებაც, რომ ადამიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისაკენ მიმართოს აზრიც და საქმეც. ადამიანი უნდა იყოს აქტიური და მებრძოლი, რომ შეძლოს ბოროტების დათრგუნვა და სამართლიანი, ჰუმანური ყოფის დამკვიდრება.

გ. ა.

12. ი. აბაშიძე

Век двенадцатый – век двадцатый

გაზ. «Заря Востока», 1966, 25 სექტემბერი, № 221, გვ. 1-2.

ირ. აბაშიძე კმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ საიუბილეო დღეებში საქართველო მრავალ სტუმარს უმასპინძლებს, რომელთა შორის ბევრი იქნება ისეთი, ვინც პირველად გაიცნობს ამ ქვეყანას და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდება სამშობლოში. მისი აზრით, იმისათვის, რომ გაიცნო და გაუგო რუსთაველს, კარგად უნდა იცნობდე საქართველოს, საქართველოს გაცნობა კი რუს-

თაველის სიღრმისეული წვდომითაა შესაძლებელი, რომელიც დიდი წინაპარი და იმავდროულად ჩვენი თანამედროვეა, „ვეფხისტყაოსანი“ კი მისი პიროვნული გენიალურობისა და ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ოსტატური შერწყმის საუკეთესო ნიმუშია. **თ. ხ.**

13. ი. აბაშიძე

Портрет Руставели

გაზ. «Известия», 1966, 30 სექტემბერი, № 231, გვ. 4.

საიუბილეო დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 6 წლის წინ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩენილმა ფრესკამ, – წერს ავტორი, – რომელიც საინტერესო ინფორმაციის შემცველია.

ირ. აბაშიძე საუბრობს ახლად აღმოჩენილი მასალის მნიშვნელობის შესახებ რუსთაველის ბიოგრაფიული საკითხების შესწავლის საქმეში. **თ. ხ.**

14. ი. აბაშიძე

საბოლოო სიტყვა

ბორჯომის პოეტა მსოფლიო ფორუმზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 18 ნოემბერი, № 47, გვ. 1.

ირაკლი აბაშიძე ფორუმის მონაწილეებს მადლობას უხდის ამ შეხვედრა-დიალოგისთვის, რომელიც რუსთაველის საიუბილეო დღეებში შედგა და რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლებმა.

მომხსენებელმა გაიხსენა ამ დიალოგების ისტორია, პირველი შეხვედრა ათი წლის წინ, იტალიაში. ეს იყო ორი იდეოლოგიის – აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტა დისკუსია, რამაც ბევრი გაუგებრობა წარმოშვა და ყოველივე ეს მცირედ ინფორმირებულობით იყო გამოწვეული. დროთა განმავლობაში ბევრ გაუგებრობას მოეღო ბოლო. მომხსენებელი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში ეს აზრთა სხვადასხვაობა, კამათი გაღრმავდება, მაგრამ ეს ხელს შეუწყობს არა ურთიერთობის დაძაბვას, არამედ უფრო მეტად დაახლოვებას, რაც საერთო მიზანი უნდა იყოს. **თ. ხ.**

15. ი. აბაშიძე

Летописец нашего времени

გაზ.: «Заря Востока», 1966, 3 დეკემბერი, № 278, გვ. 3;
„თბილისი“, 1966, 3 დეკ., გვ. 3; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 3 დეკ., გვ. 3.

ავტორი საიუბილეო თარიღს და რუსთაველის პრემიით დაჯილდოებას ულოცავს ქართველი ხალხის დიდ მგოსანს პოეტ ნ. ტიხონოვს, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა. მიმოიხილავს მის შემოქმედებას, რომელსაც „ჩვენი საუკუნის მატიაწეს“ უწოდებს და იუბილარს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს. **თ. ხ.**

16. ი. აბაშიძე

Размышления о Руставели

ჟურ. «Курьер ЮНЕСКО», 1966, № 10, გვ. 28-31.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის შესახებ არსებულ მწირ ბიოგრაფიულ ცნობებს. საუბრობს, ზოგადად, ქართველი ერის ისტორიის შესახებ, ეხება ქართველური ტომების ურთიერთობას ხეთებთან, პელაზგებთან, ურარტუელებთან, იხსენებს არგონავტებისა და ამირანის მითებს, ახასიათებს წინარე ქრისტიანული ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას, აღწერს ქართველი ხალხის გაქრისტიანების პროცესს, ანდრია პირველწოდებულის, სვიმეონ კანანელისა და მოციქულთა სწორის – ნინოს ღვაწლს, მიმოიხილავს ქართული კულტურის ისტორიას, ჰაგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ ძეგლებს. მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში, ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, სავსებით კანონზომიერ მოვლენად უნდა აღქმულიყო რუსთაველის გენიის გამობრწყინება.

მიმოხილულია პოემა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევფონიურ მხარეს, რუსთაველის პოეტურ სამყაროს, გარდა ამისა, საუბარია სიუჟეტის შესახებ, პერსონაჟთა ხატვის პრინციპებზე. **თ. ბ.**

17. ი. აბაშიძე

Верны идеалам нашего великого предка

ჟურ. «Литературная Грузия», № 9-10, გვ. 9.

ი. აბაშიძე საუბრობს რუსთაველის იუბილეს დიდ მნიშვნელობაზე. მიიჩნევს, რომ იუბილეს დღეებში ქართველი ხალხი წარდგება ცივილიზებული მსოფლიოს მაღალი კულტურის პირისპირ და ანგარიშს ჩააბარებს, როგორ უცხოვრია რუსთაველიდან დღემდე. ქართველმა ხალხმა იარსება თავისი დიდი წინაპრის აზრებითა და იდეალებით. ამიტომაც იგი ამ გამოცდას სიხარულით მიიღებს. ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ მთელმა მსოფლიომ შეიტყოს – საქართველო იყო და საუკუნეთა განმავლობაში დარჩა ერთგული იმ იდეალებისა, რომელიც რუსთაველმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ჯერ კიდევ შუასაუკუნეთა ეპოქაში განუმეორებელი მხატვრულ-ესთეტიკური ფორმით. ჩვენ დავრჩით ერთგულნი ჰუმანიზმისა, ამაღლებული სიყვარულისა და რაინდული მეგობრობისა. **ლ. კ.**

18. ვახტანგ აბაშმაძე

ანტიკური იდეები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 იანვ., გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში რენესანსის მთავარი წყარო ანტიკური კულტურა იყო. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ მისი ავტორი იცნობს ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ იდეოლოგიას. საინტერესოა რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებათა მსგავსება

ძველი ინდოეთის ფილოსოფოსის კაუტილიოს ტრაქტატთან „არტხაშასტრა“, კერძოდ, მეფის პიროვნების, მისი ურთიერთობის შესახებ ვაჭართა კლასთან.

მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის იდეა თავდაპირველად ანტიკურ სამყაროში შემუშავდა (პლატონის „სახელმწიფო“, „კანონები“). შუა საუკუნეებში მთლიანად უარყვეს და დაივიწყეს იგი. რუსთაველმა აღადგინა ეს იდეა და უფრო განავითარა. ევროპის ქვეყნებში კი მას საგანგებო ყურადღება მიაქციეს უფრო გვიან (ჰობსი, გროციუსი, ვოლტერი, რუსო, მონტესკიე და სხვ.). **გ. ა.**

19. ვ. აბაშმაძე

შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 1, გვ. 156-163.

ავტორი განიხილავს ტარიელის მიერ ხვარაზმშას მის მოკვლის ეპიზოდს და ტარიელის მოქმედებას, იურიდიული და მორალური თვალსაზრისით, მართებულად თვლის.

მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ რუსთაველი ამართლებს ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას. პოემის ავტორის აზრით, ფეოდალურ საზოგადოებაში საქორწინო ურთიერთობის საფუძველი სიყვარული უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, ხვარაზმშას შვილის მოქმედება ანტიზნეობრივია, იგი ამცირებს ნესტანის ღირსებასა და თავმოყვარეობას, რადგანაც პირადად არ იცნობს მას და არც უცდია გაეგო მისი აზრი ამ ქორწინების თაობაზე. ფეოდალური სამართლის ნორმებით დადგენილი გარემოებების მიხედვით, ხვარაზმშას შვილის მოქმედებაში არ არის ბრალი, მაგრამ მისი მოქმედება შეიცავს ბრალს ზნეობრივი თვალსაზრისით.

ამიტომ ტარიელის მოქმედება მის მიმართ არის „ქმნა მართლისა სამართლისა“, რაც უზრუნველყოფს დაზარალებულის (ტარიელის) კანონიერ უფლებებში აღდგენას. **გ. ა.**

20. ვ. აბაშმაძე

„მართალი სამართლის“ ცნება „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 8, გვ. 144-146; გაზ. „ლიტ. საქ.“, 1966, 9 სექტ., № 37, გვ. 3

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა მარტო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ ისტორიული წყაროცაა, რომელშიც დაცულია სამართლებრივი ცნებები, პოლიტიკური დებულებები და იურიდიული განსაზღვრებები. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ საყურადღებოა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. „მართალი სამართლის“ დოქტრინა.

ავტორის აზრით, ამ ე. წ. „მართალ სამართალზე“ მიუთითებს იოანე შავთელის „აბდულმესიანიდან“ 21-ე სტროფი. ეს სტროფი შეიცავს მსჯელობას არა სამართალზე საერთოდ, არამედ „მართალ სამართალზე“.

ავტორი ამ კუთხით მიმოიხილავს ქართულ ოთხთავს, იძლევა სათანადო ადგილების ციტირებას და შენიშნავს, რომ, ქართული ოთხთავის მიხედვით, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში „მართალი სამართ-

ლის“ ცნება გულისხმობს არა ცალკეულ პირთა ნება-სურვილის გამომხატველი ქცევის სავალდებულო წესებს, არამედ მხოლოდ ღმრთის ნების გამომხატველ ნორმებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამართლის ნორმის შემფარდებელმა საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას. ამდენად, „მართალი სამართლის“ მოძღვრება ემყარება თეოლოგიური ხასიათის არგუმენტებს.

ავტორის აზრით, საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა კავშირშია „მართალი სამართლის“ ცნება ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან.

ბ. ბ.

21. ვ. აბაშმაძე

შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები

*კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“,
თბ., 1966, გვ 69-91.*

მკვლევრის აზრით, ქართველ მეფეთა სასახლეში შექმნილმა აზრმა კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ სამეფოთა გაერთიანებისა და ძლიერი საერთო კავკასიური სახელმწიფოს შექმნის შესახებ გამოხატულება პოვა „ვეფხისტყაოსანში“.

ვ. აბაშმაძეს რუსთველის დაწერილად და მისი პოემის ტექსტის კუთვნილად მიაჩნია ზეპირსიტყვიერი გზით გავრცელებული სტროფი – „ფილოსოფოსნი შემოკრბეს...“ და მისი შინაარსის მიხედვით დაასკვნის, რომ შოთა რუსთველი იზიარებს ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში შემუშავებულ საზოგადოებრივი სოლიდარობის თეორიას. საზოგადოების წოდებრივი ბარიერებით გამიჯვნა მას მუდმივ და აუცილებელ მოვლენად არ მიაჩნია. რუსთველს პლატონის „სახელმწიფოში“ აღწერილი იდეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ზნეობრივი ნორმები აქვს მხედველობაში და მათზე დამყარებით ამართლებს თავისი გმირების მოქმედებას. რუსთველისათვის სავსებით დასაშვებია ყმასა და პატრონს შორის მოყვრული ურთიერთობის დამყარება და ქორწინებაც.

გ. ა.

22. ვ. აბაშმაძე

დიდი პოეტის პოლიტიკური მოძღვრება

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 8, გვ. 58-68.

ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს, როგორც საქართველოს ისტორიული წარსულის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვანი ურთიერთობის ამსახველ ლიტერატურულ ძეგლს, რომელშიც ჩანს თავისი დროისათვის ღრმად დასაბუთებული ჰუმანისტური შეხედულებები ადამიანთა საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ.

ავტორის მსჯელობით, შოთა რუსთაველის სახელმწიფოებრივი შეხედულებები გვიანი ფეოდალიზმის ეპოქის საერთო კანონზომიერებით განსაზღვრულ რენესანსულ მსოფლმხედველობას ემყარება და ამის გამო მისი პოლიტიკური მოძღვრება ახლებურად წარმოაჩენს და წყვეტს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ ისეთ საკითხს, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის ფარგლებს სცილდება და მთლიანად შეესაბამება ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილ წინაბურჟუაზიული ეპოქის იდეოლოგიას.

ავტორის აზრით, რუსთაველი მხოლოდ სახელმწიფოს ერთ ფორმას – მონარქიას ცნობს და „ვეფხისტყაოსანში“ გვამღვს მემკვიდრეობითი მონარქიის უფლების განხორციელების ორ განსხვავებულ წესს.

სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის მქონე ერთი და იმავე ფორმის სახელმწიფოებს შორის რუსთაველი უპირატესობას არაბეთისა და ინდოეთის ძლიერ ცენტრალიზებულ ფეოდალურ მონარქიებს ანიჭებს. რაც შეეხება გულანშაროს სახელმწიფოს (ზღვათა სამეფოს), რომელშიც თავისუფალი, წრესგადასული ყოფა-ცხოვრების წესებია გაბატონებული, ის რუსთაველის მოწონებას ვერ იმსახურებს. **ბ. ბ.**

23. Хамза Абдулин

Напив из родника бессмертия

გაზ. «Заря Востока», 1966, 30 სექტ., № 225, გვ. 3.

მთარგმნელის თქმით, მისთვის „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფასია და მიაჩნია, რომ „იგი უმღერის მთლიანად აღმოსავლეთს“. ყაზახ ხალხს მხურვალედ უყვარს ქართველი ერის გენია – რუსთაველი. 1937 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ნაწილობრივ ითარგმნა ყაზახურ ენაზე. მუხტარ აუეზოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყაზახმა ხალხმა გაიცნო და მიიღო რუსთაველის ეს გენიალური პოემა. ხამზა აბდულინმა მიზნად დაისახა პოემის სრულად თარგმნა და ამ მიმე გზაზე მას ეხმარებოდა ავთანდილის თავდადება. მან პირველმა ყაზახ პოეტმა შორის, გამოაქვეყნა პოემის სრული თარგმანი. „დღეს, როდესაც მსოფლიოს ხალხი ადიდებს პოეტსა და მის ხალხს, მეც მინდა ჩემი ხმა შევუერთო მათ“, – აცხადებს ავტორი. **ი. წ.**

24. რ. აბესაძე

რუსთაველის საიუბილეო გამოფენა ქუთაისის მუზეუმში

ბ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალაქო საზოგადოების სამეცნიერო სესია. თეზისები, ქუთაისი, 1966, გვ. 16-17; იგივე რუსულად, გვ. 30-31.

ავტორი მოგვითხრობს, რომ გამოფენა მოეწყო იმ მასალების საფუძველზე, რომელიც ძირითადად დაცულია ქუთაისის მუზეუმში: რუსთაველის ეპოქის ჭედური და სახვითი ხელოვნების ძეგლები, დამწერლობისა და ნუმისმატიკის ნიმუშები. გარდა ამისა, გამოფენისათვის გამოყენებულია სპეციალურად გამოვლენილი და მოპოვებული დოკუმენტალური და ფოტო მასალა. გამოფენის პირველ ნაწილში ნაჩვენებია რუსთაველის ეპოქის წინამორბედი ქართული მწერლობის და საერთოდ, ქართული კულტურის მდგომარეობა, აქვე დახასიათებულია საზღვარგარეთ არსებული ქართული სავანეები და კულტურის კერები. შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი მასალები გვაცნობენ, თუ რა როლი შეასრულა რუსთაველმა მომდევნო საუკუნეების საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. გამოფენის ძირითად ნაწილში ნაჩვენებია რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურა, დამწერლობის ძეგლები, ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა, ფერწერის ძეგლები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, რუსთაველის პორტრეტები, მინიატურები ხელნაწერებიდან, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვ.

ექსპოზიციისაში გაშუქებულია თემა „რუსთაველი და მე-19 ს-ის ქართველი მოღვაწეები“. უკანასკნელ განყოფილებაში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები მსოფლიოს ხალხთა ენებზე. დასკვნით ნაწილში გაშუქებულია თემა: „რუსთაველი და თანამედროვეობა“.

ლ. კ.

25. გიორგი აბზიანიძე

ვაჟა-ფშაველა და „ვეფხისტყაოსანი“

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 233-244;

გაზ. «Заря Востока», 1966, 13 სექტ., № 210, გვ. 3.

ავტორი განიხილავს ვაჟა-ფშაველას წერილებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ („ორიოდე სიტყვა პასუხად ალ. ხახანაშვილს“, „ნიჭიერი მწერალი“...). მისი თქმით, ვაჟა-ფშაველამ კრიტიკულად შეაფასა ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველმა შექმნა გაბნეული სახალხო ლექსების საფუძველზე. ე. ი. წარმოშობით ის ხალხური, ფოლკლორული ნაწარმოებია. ვაჟამ მიუღებლად მიიჩნია ა. ხახანაშვილისეული კვლევის მეთოდი. მისი ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსანი“ ინდივიდუალური შემოქმედების შედეგია. ასევე კრიტიკულად განიხილა ვაჟა-ფშაველამ ნ. მარის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, პოემა ღრმად ეროვნული ნაწარმოებია, მაგრამ ალერგიული. იგი სიფრთხილისკენ მოუწოდებს მკვლევართ, რომლებიც ამა თუ იმ სტროფს დაუსაბუთებლად აცხადებენ ჩანართად.

მკვლევარს გამოაქვს დასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვაჟასეულ ანალიზში მკაფიოდ გამოჩნდა მისი მძაფრი კრიტიკული ალლო და მაღალი ესთეტიკური გემოვნება, ლიტერატურის საკითხებისადმი მეცნიერული მეთოდოლოგიით მიდგომის უნარი, გონების ანალიტიკური ძალა და მტკიცე ლოგიკა. ვაჟა, როგორც კრიტიკოსი, ილიას და აკაკის რეალისტური ტრადიციების გამგრძელებელია.

ლ. კ.

26. Г. Абзианидзе

Юные сердца рыцарю грузинской поэзии

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 29 სექტ. № 229, გვ. 3.

19 სექტემბერს თბილისის 38-ე საშუალო სკოლაში გაიხსნა ლიტერატურული სალონი, რომელიც ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის ავტორს“. გამოფენილია რუსთაველისდროინდელი არქიტექტურული ძეგლების ფოტოები: ვარძია, სვეტიცხოველი... ფოტოები გადაღებულია მოსწავლეების მიერ ექსკურსიებზე ყოფნის დროს. გამოფენილია აგრეთვე რუსთაველის პორტრეტის ფოტოკოპიო, თამარ მეფის ფრესკა და პორტრეტი, XII–XIII სს-ის საქართველოს მინიატურები და რუკა, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები, აბაკელიას, ქობულაძის, თოიძის და სხვათა ილუსტრაციები. გამოფენის მოწყობას დიდი დრო და ენერჯია შეაღიეს პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა.

ი. წ.

27. ანდრო აბრამიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ ლენინგრადში

გაზ. „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1966, 27 სექტემბერი, № 116.

ავტორი აღნიშნავს, რომ სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის საბჭოთა ხალხების ენებზე არსებული ლიტ. განყოფილებაში არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა გამოცემა. 1712 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნისგან“ საქართველოში შემორჩენილი იყო მხოლოდ 18 ცალი. მე-19 ცალი ინახება ამ ბიბლიოთეკის ქართული წიგნების კოლექციაში. ეს ეგზემპლარი მრავალმხრივ არის საინტერესო (ტექსტის სისრულით, მის მფლობელთა ისტორიით, მასზე გაკეთებული შენიშვნებითა და წიგნის ბოლოში დამატებულ ოც სუფთა ფურცელზე ორივე მხარეს (40 გვ.) ჩამოწერილი XVIII საუკუნის ქართველი პოეტების ლექსებით).

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ერთი ცალი თავდაპირველად საქართველოს სამეფო კარის ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა, შემდეგ იგი იოანე ბატონიშვილის საკუთრება ყოფილა. მას 1818 წ. თავისი ძის – გრიგოლისათვის უჩუქებია და გრიგოლსავე ეკუთვნის მთელი რიგი საინტერესო შენიშვნები. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახის მდიდარი ბიბლიოთეკა უფროს ვაჟს – „პატარა ივანეს“ – დარჩა (ივანე გრუზინსკის), რომელმაც სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე, 1880 წელს ქართული წიგნები და ხელნაწერები საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას შეასყიდა. მარი ბროსე და მისი შვილი – ლავრენტი რომ არ ჩარეულიყვნენ, აღნიშნულ კოლექციას უცხოელი კომერსანტები დაეპატრონებოდნენ.

სხვა გამოცემათ შორის ყურადღებას იპყრობს გ. ქართველიშვილის მიერ 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ სამი ეგზემპლარი. ერთი მათგანი საგანგებოდ გაფორმებულ ლალისფერ ხავერდგადაკრულ ყდაშია ჩასმული, ოთხსავე კუთხეში კი ოქროსვარაყიანი ორნამენტები აქვს. წიგნის მაგიდაზე დასადებად და მასზე გადაკრული ხავერდის დასაცავად ქვედა ყდას გარედან გაკეთებული აქვს ოქროს ოთხი პატარა დასაყრდენი. „ვეფხისტყაოსნის“ ეს ცალი და მისი მოკლე რუსული თარგმანი 1888 წელს გ. ქართველიშვილმა და ი. მეუნარგიამ სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორსა და მის მეუღლეს – დედოფალს მიართვეს, ხოლო მათ საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკას გადასცეს. **თ. ნ.**

28. ვ. აბრამიშვილი

ხალხის თაოსნობით

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 14 სექტემბერი, № 216, გვ. 3.

წერილში საუბარია რუსთაველის ძეგლის აგების პირველ ინიციატორებზე. პირველი იყო გაზეთი „დროება“, რომელსაც შემდეგ მხარი დაუჭირეს სხვა პერიოდულმა გამოცემებმა. 1880-94 წლებში შეიკრიბა 4000 მანეთი, ფულის ნაწილი არამიზნობრივად დაიხარჯა, ნაწილი კი დაიკარგა. ძეგლის აგების პირველი ინიციატორი დუშელი ა. სავანელი იყო. მან შესანიშნავი წერილი მიუძღვნა რუსთაველს, სადაც იგი ამბობს, რომ „რუსთაველი არის ჩვენი დანტე, გომერი, ვირგილი, გიოტე, შილერი, მილტონი, ბაირონი... ჩვენ კი გვმართებს ძეგლი ავუგოთ, ქუდმოხდილი ვიდგეთ მის წინაშე“. იგი სინანულით აღნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაშია აღმართული წარ-

ჩინებულ მწერალთა ძეგლები და როგორც წმინდანს, ისე შეჰყურებს ხალხი. ჩვენ კი ვერ მოვახერხეთ რუსთაველისათვის სიყვარულის დამტკიცება. რუსთაველის ძეგლის აგებას ცოტა მოგვიანებით გამოეხმაურნენ დ. მიქელაძე და ი. მელიქიშვილი. ამ ფაქტს პერიფერიებიდანაც ფართოდ გამოეხმაურნენ. ბაკურციხეში მცხოვრებმა ნინო ანდრონიკაშვილმა სიღნაღში და ბაკურციხეში შემოწირული 39 მანეთი გადაუგზავნა ივერიის რედაქციას. ნ. ანდრონიკაშვილის ქველმოქმედებას მაღალი შეფასება მისცა აკ. წერეთელმა. რევოლუციამდე შოთა რუსთაველის მხოლოდ რამდენიმე ბიუსტი და ორიოდე პორტრეტი თუ არსებობდა. მხოლოდ ბოლო ხანებში მოხერხდა ჩვენი ერის საამაყო შვილის პორტრეტის აღმოჩენა უცხოეთში და მისი ქმნილების ნამდვილად სრული ღირსებით დაფასება, – ამბობს სტატიის ავტორი. **ი. წ.**

29. გ. აბულაძე

ტმესი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლენინური გზა“ (თეორიწყარო რ-ნი), 1966, 26 ივნისი, № 74, გვ. 3.

ავტორი იძლევა პოემის რთული სტრიქონებისა და სიტყვა-ფორმების განმარტებას, გამოყოფს ზმნის ფუძეში ჩართულ ნაწილაკებს: „ცა“, „რე“, „ვე“, „ლა“, „მცა“ და ნაცვალსახელებს: „ვინ“, „რამე“. აქვე შენიშნავს, რომ სიტყვის განკვეთა ხდება პრევერბის (ზმნისწინის) შემდეგ. ზმნა, რომლის ძირსა და პრევერბს შორის შეჭრილია ნაწილაკი ან ნაცვალსახელი, ერთ სიტყვად გვევლინება, მაგრამ მასში რამდენიმე სიტყვის შინაარსია გამოხატული.

ავტორის დასკვნით, ტმესი რუსთაველისათვის საშუალებაა სიტყვის უაღრესი ეკონომიით აზრის ლაკონიურად გამოხატვის მიღწევისა. **გ. ა.**

30. გ. აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ რიტმი

გაზ. „ლენინური გზა“ (თეორიწყაროს რ-ნი), 1966, 10 ივლისი, № 80.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის პოემა ემყარება 16–მარცვლიანი მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობას, ამიტომ მას შეუფერებლად მიაჩნია 20–მარცვლიანი ჩახრუხაული სტროფის (771) არსებობა პოემაში. გ. აბულაძის აზრით, „პოემის რიტმული ქსოვილი ირღვევა ამ ზომის შეჭრით... მას დისჰარმონია შეაქვს „ვეფხისტყაოსნის“ რიტმულ სამყაროში“, რაც საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ ეს სტროფი გვიანდელი დანამატია. **გ. ა.**

31. გ. აბულაძე

კვეცილ სიტყვათა შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლენინური გზა“ (თეორიწყაროს რ-ნი), 1966, 7 აგვისტო, № 92.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება ცალკე სიტყვებად **მო, წა, მი, შე, ა.** მათ აქვთ გარკვეული ფუნქცია და ლექსიკური მნიშვნელობაც. **ა** „არის“ სიტყვის მნიშვნელობის გამოხატველია, ხოლო ზმნისწინები: **წა, მო,**

მი, შე, კონტექსტის შესაბამისად, მათი უახლოესი წინმდგომი ზმნების შეკვეცილი ფორმებია. პოეტი მათ იყენებს არა მარტო მარცვალთრაოდენობის დასაცავად, არამედ ამა თუ იმ მოქმედების უფრო მკვეთრად და რელიეფურად წარმოსადგენად.

ბ. ა.

32. ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან „შეპოვნება“

„შოთა რუსთაველი“, ხელნაწერთა ინსტ. კრებული, თბ., 1966, გვ. 78-81.

ავტორი განიხილავს რუსთაველის პოემაში ამ სიტყვის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევას. მაგალითად, ტარიელი სწერს ნესტან-დარეჯანს:

„დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, მოვე;

სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა **შევეპოვე**“ (505, 3-4).

მკვლევრის აზრით, ამ კონტექსტში „შეპოვნება“ არის მინდობა: შენ გარდა ვის მივენდო (ან: ვის მივევედრო, ვის შევაფარო თავი ან შევეხვეწო).

630-ე სტროფშიც: „ვითა შვილი დამადუმა, მემუდარა, **შემეპოვა**“, – „შეპოვნება“ (შემეპოვა) შეხვეწნაა, მაგრამ თხოვნა-ვედრების შინაარსით.

შდრ. აგრეთვე: „ამას ოდენ მოვახსენებ მუდარით და **შეპოვნებით...**“ (1490,1).

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში „შეპოვნებას“ აქვს „რიდების“, „ხათრის შენახვის“, „მიკერძების“ („თუალღება“, „პირსა ჰამება“) მნიშვნელობაც. დამოწმებულია იოანე მოსხის „სამოთხე“, გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“, „ქართლის ცხოვრება“, „მამათა სწავლანი“ და სხვ.

ბ. ა.

33. მირიან აბულაძე

რუსთაველის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 13-14.

მოხსენება სრულად დაიბეჭდა კრებულში: „შოთა რუსთაველი“, საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, 1966, გვ. 245-260.

ავტორი განიხილავს რუსთაველისა და მისი პოემისადმი მიძღვნილ ლექსებს სანდრო შანშიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის, სიმონ ჩიქოვანის და ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში და ასკვნის, რომ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ რუსთაველის სახე ფართოდ და მრავალფეროვნად გააშუქა, ახალი მხატვრულ-იდეური გადაწყვეტა მისცა ამ თემას.

ლ. კ.

34. აბრამია და სხვ.

მოლოცვა ოკეანიდან

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 3; „საბჭ. აჭარა“, 1966, 28 სექტ.

აკად. ა. ბარამიძემ მიიღო დეკლამაცია:

„ტრადუციულ „შოთა რუსთაველის“ ეკიპაჟი გილოცავთ თქვენ და მთელ თქვენს კოლექტივს გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო

დღესასწაულს, პოეტისა, რომლის სახელსაც თქვენი ინსტიტუტი ატარებს. ეკიპაჟში იზიარებს ქართველი ხალხის დიდ სიხარულს. რუსთაველის იუბილეს ვხვდებით დიდი შრომითი მიღწევებით“.

გემის კაპიტან-დირექტორი – აბრამია

კაპიტნის I თანაშემწე – ანთიმე

ტრაულერის ადგილკომის თავმჯდომარე – სიმონოვი

გ. ა

35. А. Адалис, Л. Мигдалова

Рыцарь грузинской поэзии

გაზ. «Комсомольская правда», 1966, 25 сентября, № 224, გვ. 4.

ავტორები თავიდანვე აცხადებენ, რომ „ქართული პოეზიის გენიის“ – შოთა რუსთაველის სრული ბიოგრაფია სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი არაა.

წერილში საუბარია იმ წყაროებსა და ბიოგრაფიულ ცნობებზე, რამაც ჩვენამდე მოაღწია შოთას დაბადების, განათლების მიღების, მოღვაწეობის შესახებ.

წერილში მოცემულია პოემის პერსონაჟთა დახასიათება, რის შემდეგაც გამოტანილია დასკვნა, რომ გმირი-რაინდები ქედუხრელნი, მამაცნი, ბრძენნი და მომთმენნი, იმავდროულად მეტად ადამიანურნი და მგრძნობიარენი არიან.

საუბარია რუსთაველის მსოფლმხედველობაზე, დასმულია კითხვა: მაინც რა არის ძირითადი პრობლემა – სიყვარული, რაინდობა თუ ძმადნაფიცობა? და გაცემულია პასუხი, რომ ამ სამი გრძნობის ერთობლიობა ქმნის პოემის საფუძველს და განაპირობებს მის მიმართ სიყვარულსა და მოკრძალებას. დასასრულ, საუბარია პოემის თარგმანებზე.

თ. ხ.

36. შ. ადგიშვილი

არის თუ არა საჭირო «და» რუსთაველის სტროფში?

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 მარტი, № 10, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემიდან კარგა ხანს სტროფის ბოლო სტრიქონის წინ ხელნაწერებში არსებული «და» აღარ იბეჭდებოდა, მაგრამ მას შემდეგ იგი ყველა გამოცემაში მოიპოვება. მისი აზრით, ის რუსთაველისეული არ არის, შემოღებულ იქნა ე. წ. „დაცემის ხანაში, როცა ქართული კულტურის დაცემასთან ერთად დაეცა მეტყველების კულტურა. ამ ხანაში „ვეფხისტყაოსანსაც“ მეტად მოდუნებულად, მონოტონურად კითხულობდნენ, სწორედ ისევე, როგორც მღვდელ-დიაკვნები კითხულობდნენ საღვთო წერილს“. მეორე მიზეზად წერილის ავტორი ასახელებს იმას, რომ: „მწერალს ქალადი მთლიანად უნდა გაევესო ტექსტით. ამ დროს რუსთაველის ტექსტში სტროფიდან სტროფში გადასვლის მაჩვენებლად საჭირო იყო არა ცარიელი ინტერვალები, არამედ სხვა ნიშანი. ამისთვის მოიგონეს, როგორც ჩანს, «და» ნაწილაკი სტროფის ბოლო სტრიქონში“.

მკვლევარი მოითხოვს, პოემის ჩვეულებრივ გამოცემებში ეს «და» ამოღებულ იქნეს, ოღონდ, – განაგრძობს იგი, – „ფილოლოგებს შეუძლიათ დაიცვან დაცემის ხა-

ნის ტრადიცია ტექსტის სპეციალურ ფილოლოგიურ გამოცემაში და იქ დაბეჭდონ «და» ნაწილაკი, როგორც მხოლოდ დაცემის ან აღორძინების ხანის ნიშნად.

ავტორი არ ეთანხმება კ. ჭიჭინაძის მოსაზრებას და ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს „დიქციური მრავალსახიანობა“, „რიტმის დატეხვა და კადანსები ლექსის შუაში“ და მხარს უჭერს კ. ინგოროყვას, რომელმაც „ნახეს“ შემდეგ მახილის ნიშანი დაწერა.

ბ. დ.

37. შ. ადგიშვილი

დიდი პოეტის პოლიტიკური შეხედულებანი

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 20 სექტ., № 183, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მეფეების უსამართლო მოქმედება ხელქვეითების მიმართ, რუსთაველის აზრით, საზოგადოებაში ამკვიდრებს მავნე ჩვევებს – მეფისადმი მლიქვნელობას, დაჩაგრულთადმი უსულგულო დამოკიდებულებას. ეს თვისებები პოეტმა გამოხატა ორგვარ პოლიტიკურ სისტემაში. ერთია ვაჭრების, თითქოს, თავისუფალი ქვეყანა (გულანშარო) და მეორე – აშკარად დესპოტური აბსოლუტური მონარქია – ქაჯეთი.

ქაჯეთში ხელისუფალთა თვითნებობა შეუზღუდველად ბატონობს, აქ ადამიანი მიისწრაფვის მხოლოდ „დიდი მონის“ თანამდებობის დასაკავებლად. ასეთივე უსამართლობა ფარსადანის სამეფოშიც, მეფის წინდაუხედავი გადაწყვეტილება ნესტანის გათხოვებისა იწვევს კონფლიქტებსა და ბოროტებას.

გ. ა.

38. აკაკი ავალიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სენსორული და მოტორული მასალის

ფსიქოლოგიური ანალიზი

თბ., „მეცნიერება“, 1966, 108 გვ.

გამოკვლევის საგანია დაადგინოს: 1. წარმოადგენს თუ არა სენსორული და მოტორული მასალა ნაწარმოებისათვის საფუძველს, რომელზედაც ის იგება? 2. ასრულებს თუ არა ეს მასალა ერთნაირ როლს ყველა პოეტისათვის? 3. სენსორული მასალიდან გრძნობათა რომელ სფეროს ეკუთვნის წამყვანი როლი?

მდიდარი საილუსტრაციო მასალის განხილვის საფუძველზე მკვლევარი აკეთებს შემდეგ დასკვნებს: **1.** შეგრძნებათა სფეროდან რუსთაველისათვის განსაკუთრებით ღირებულია სმენითი და მხედველობითი მასალა, შემდეგ ადგილებზე დგას კანისა და გემოს შეგრძნებები. **2.** ნაწარმოებში სპექტრულ ფერთა გამოყენებას უფრო მცირე ადგილი ეთმობა, ვიდრე ნეიტრალური ფერებისას. პოეტი ფერებს უმთავრესად მოქმედ პირთა გარეგნობის და-სახატავად იყენებს. **3.** გემოს დასახელების ყველა შემთხვევა გადატანითი მნიშვნელობისა და გამოყენებულია პერსონაჟების დასახასიათებლად და მათი ურთიერთდამოკიდებულების გადმოსაცემად. **4.** მოტორული მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისა და მისი ნაწილების (თვალები, ბაგეები, ენა) მოძრაობა. **5.** სტატისტიკური მასალა ცოტაა, მაგრამ მისი „აქტიური“ ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ რუსთაველი აქტივობისა და მოძრაობის მხატვარია.

გ. ა.

39. **Н. Аккерман**

Шота Руставели

(800 лет со дня рождения) Рекомендательный указатель литературы

составитель . **Н. Аккерман**, ред. А. Кавкасидзе, Тб. 1966, 24 ст.

მაჩვენებელი ასახავს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საიუბილეო და მის წინარე წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ლიტერატურას. ბროშურაში მასალა დაყოფილია თავებად, თემატიკის მიხედვით: რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებული დადგენილებები და ინფორმაციები; „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანები; შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ; „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე; თარგმანები უცხო ქვეყნების ხალხთა ენებზე; შოთა რუსთაველი ხელოვნებასა და პოეზიაში. **გ. ა.**

40. **მიხეილ ალავიძე**

რუსთაველური სტროფი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს...“

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 7 სექტემბერი, № 175, გვ. 3.

ავტორი იხილავს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული სტროფის „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“ რუსთაველისათვის მიკუთვნების შესახებ არსებულ ლიტერატურას. აღნიშნავს, რომ რუსთაველს ჰქონდა სხვა თხზულებებიც, კერძოდ, „ქებანი“ და თამარის მატთან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ავტორი იმოწმებს აკაკი წერეთლის მიერ 1908 წელს წაკითხულ ლექციაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“ – რუსთაველს ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ქართული ანდაზების კრებულებში რუსთაველის აფორიზმები გახალხურებულია, მაგ., ნამრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობიაო...

„ფილოსოფოსნი შემოკრბეს...“ „ვეფხისტყაოსანში“ არ მოიპოვება, მაგრამ პოემის ზოგიერთ გამოცემას (მაგ. ვ. ჭიჭინაძისას) დამატებად ერთვის რუსთაველის სახელით ცნობილ სხვა ლექსთან ერთად. ავტორი განიხილავს შ. ონიანის, ალ. ბარამიძის, დ. ბრეგაძის, ლ. მეტრეველის, ს. მაკალათიას, ი. მეგრელიძის მოსაზრებებს ამ სტროფის შესახებ და გაკვრით არჩევს ლეგენდა-გადმოცემებს, რომელთა მიხედვით ის რუსთაველს მიეწერება. მისი დასკვნით, ეს სტროფი რუსთაველს ეკუთვნის.

გ. ი.

41. **მ. ალავიძე**

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობა

გაზ. „ქუთაისი“ 1966, 28 იანვარი

წერილის მიზანია სათანადოდ შეაფასოს ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემასთან დაკავშირებული კვლევა-ძიების შედეგები. ცნობილია, რომ პოემის ფოლკლორისტული თეორია თავდაპირველად (1890 წ.) წამოაყენა ალ. ხახანაშვილმა და უკანასკნელად მას იცავდნენ (1935-1937 წწ.) ვ. კოტეტიშვილი და მ. ჩიქოვანი.

ავტორს მოჰყავს ალ. ბარამიძის შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ მიუღებელია პოემის სიუჟეტის ხალხური „ტარიელიანიდან“ წარმოშობის თეორია,

რაც, მეორე მხრივ, არ ნიშნავს იმას, თითქოს პოეტი არ იყენებდა ხალხური შემოქმედების მასალას. ი. მეგრელიძის მსჯელობითაც, პოემაში არსებული ხალხური ვარიანტები ძირითადად მეორადია. ამავე საკითხს ეხება თავის გამოკვლევაში ვ. ბერიძე, ასაბუთებს რა „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობას. მკვლევარი ფაქტობრივ მასალაზე დამყარებით გვესაუბრება არა სიუჟეტის ხალხურ წარმოშობაზე, არამედ ცალკეული მოტივების, მხატვრული ხერხებისა და ცალკეული გამოთქმების ხალხურობაზე.

მ. ჩიქოვანის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ-პოეტური წყაროები“ ნაჩვენებია, რომ პოემაში გადამუშავებული სახით გამოყენებულია ხალხურ სიტყვიერებაში გავრცელებული ცალკეული მოტივები, აგრეთვე შესულია მრავალი ხალხური ანდაზა, აფორიზმი. ხალხურიდან მომდინარეობს ტერმინი „ამბავი“ (გამოყენებულია სათაურებში და ტექსტშიც), რომელიც თანამედროვე „თქმულებას“ შეესაბამება.

ი. კ.

42. მ. ალავეძე

ვილაშქროთ რუსთაველის ნაკვალევზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, № 128, 3 ივნისი, გვ. 3.

ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყოს ექსპედიციები მესხეთ-ჯავახეთში (რუსთავი, ვარძია, ახალციხე...) რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობებისა და გადმოცემების შესაკრებად. უნდა მოეწყოს ექსპედიციები რაჭაშიც, სადაც, გადმოცემით, რაჭის ერისთავის სასახლეში იზრდებოდა თამარ მეფე; ლეჩხუმში, მურში, სადაც დასაფლავებულია მაქსიმე აღმსარებელი, და სხვა ისტორიულ ადგილებში (იყალთო, გრემი, გეგუთი, ნიკორწმინდა...).

გ. ა.

43. მ. ალავეძე

შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი), 1966, 25 სექტ., გვ. 4.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ ფაქტზე: რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მხატვრობაში და მაქსიმეს საფლავი და საკულტო რიტუალი ლეჩხუმში. მისი თქმით, „იერუსალიმში შემონახული მხატვრობა ცხადად მეტყველებს, რომ შოთა რუსთაველისათვის ცნობილი იყო ადგილი, სადაც უკანასკნელად იმყოფებოდა, ეწამა და სული განუტევა მაქსიმე აღმსარებელმა. მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი მგოსნის პორტრეტი ქართულ მიწაზე მაქსიმე აღმსარებლის მავედრებელი ხალხის სიმბოლოცაა“.

გ. ა.

44. მ. ალავეძე

რუსთაველოლოგიური ეტიუდები

(შოთა რუსთაველის ენისათვის)

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტ. შრომები, XXIX, 1966, გვ. 111-128.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე საკითხი:

1) რითმით გამოწვეული მეტათეზისის ნიმუში „მადრიელობა“ (144).

ავტორი აღნიშნავს, რომ სწორი ფორმაა **მადლ** ფუძიდან მიღებული „**მადლიერობა**“. მადრიელობა ნახმარია რითმის შეწყობის მიზნით. თუმცა ეს ფორმა სხვა მწერლებთანაც გვხვდება (მოსე ხონელი, არჩილი, ვახტანგ VI, ფეშანგი, თეიმურაზ II).

თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის „მადრიელობა“ არქაიზმია და ამავე დროს დიალექტიზმიც, რადგან ეს ფორმა გავრცელებულია ხალხურ მეტყველებაში.

2) **-ეულ** სუფიქსის თავისებურებათა შესახებ: განხილულია **-ეულ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“ და ქართული ენის კილოებში. **-ეულ** სუფიქსის ვარიანტია დიალექტური **-ოულ** და გამარტივებული ფორმაა **-ულ**. **-ეულ** სუფიქსი დაერთვის არსებითი სახელის ფუძესაც და მისი ნათსაობითი ბრუნვის ფორმასაც. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით კი, **-ეულ** სუფიქსი დაერთვის კუთვნილებით ნაცვალსახელებსაც (ჩემეული...).

3) **-ოვან** სუფიქსის თავისებურებათა შესახებ.

-ოვანი ქონებას აღნიშნავს (გულოვანი, კლდოვანი, მცოვანი...). ზოგიერთ სიტყვაში რედუქცია ხდება, მაგ.: გულვანება, – „გულნი ჩვენნი აგულვანნეს“ (1547). „ციხოვანს“ დ. ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: ციხელი, ციხეში მყოფი. აქ **-ოვან** სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელად გვევლინება.

4) შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი (გვ. 120–128): აქ განხილულია ორი საკითხი: რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მხატვრობაში და მაქსიმე აღმსარებლის საფლავი და საკულტო რიტუალი ლეჩხუმში.

გ. ა.

45. მ. ალავეძე

შოთა რუსთაველის ენისათვის

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 25 მარტი.

დღესდღეობით არსებობს საყოველთაოდ მიღებული ფორმები „რუსთაველი“ და „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ადგილი აქვს ნაირობას – ნორმათა დარღვევას. წერილი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ერთიანი წესის დამკვიდრებას და საამისოდ მოგვაწოდოს ახალი ცნობები.

სახელთა წარმოქმნისას წარმომავლობის **-ელ** სუფიქსი კუმშავს წინა ხმოვანს. ამდენად, ცხადია, რომ სახელწოდება „რუსთველი“ წარმოდგა თხზული და კუმშვადი „რუსთავ“ ფუძისაგან და რომ დაუშვებელია ვარაუდი, არსებობდეს საწყისი ფორმა „რუსთვი“ (ი. მეგრელიძე). ავტორი შენიშნავს, რომ დღეს მხოლოდ ა. შანიძე და პ. ინგოროყვა იცავენ ტრადიციულ ფორმას „რუსთველი“.

პოემის სახელწოდება წინათ იწერებოდა ცალ-ცალკე, დეფისითაც და უდეფისოდაც. უკანასკნელ პერიოდში განმტკიცდა ფორმა „ვეფხისტყაოსანი“. ეს კომპოზიტი ერთ ცნებას გამოხატავს, ამიტომ ერთად იწერება.

კომპოზიტის პირველი კომპონენტი „ვეფხი“ პოემაშიც ყველგან ამავე ფორმით მოიპოვება. ასევე ადრინდელ ძეგლებშიც. ახალ ქართულში მოხდა „ვ“ ბგერის ჩართვა და ნორმაა „ვეფხვი“.

კომპოზიტის მეორე კომპონენტი „ტყავ“ ფუძისაგან წარმოქმნილი **-ოსან** სუფიქსიანი სახელია და მისი თავდაპირველი ფორმაა „ტყავოსანი“.

ი. კ.

46. მ. ალავიძე

მაქსიმე აღმსარებლის თაყვანისცემა

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 11 მაისი, № 90, გვ. 3; 8 ივლ., № 131, გვ. 3.

ავტორი იხსენებს შოთა რუსთაველის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცულ ფრესკას, რომელზეც შოთა გამოსახულია იოანე დამასკელსა და მაქსიმე აღმსარებელს შორის და ყურადღებას ამახვილებს ორ მნიშვნელოვან ფაქტზე: შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი იერუსალიმის ქართული მონასტრის მხატვრობაში და მაქსიმე აღმსარებლის კულტი ლეჩხუმში.

ავტორს მოაქვს ქართველ მეცნიერთა შეხედულება იმის შესახებ, რომ ამ ფაქტს (შოთას გამოსახვას მათ შორის) უბრალო შემთხვევითობით ვერ ავხსნით. ამ ვარაუდის დასტურად იგი მიმოიხილავს ორივე მოღვაწის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. გარდა ამისა, ავტორს მოაქვს ლეგენდა, რომელიც წმინდა მაქსიმეს სახელს უკავშირდება და გავრცელებული იყო ლეჩხუმში. **თ. ხ.**

47. მ. ალავიძე

თამარ მეფის ეკვდერი გელათში

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 17 მაისი, № 94, გვ. 3.

წერილის ავტორი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილე დაგეგმილია 25 სექტემბრისათვის და ამასთან დაკავშირებით მიღებულია დადგენილება, რომ 25 სექტემბერი რუსთაველის დღედ გამოცხადდეს და ყოველწლიურად აღინიშნოს. საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ უამრავ სტუმარს შეძლებისდაგვარად სრულად უნდა ვუჩვენოთ საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები, ანუ მივყვეთ რუსთაველის ნაკვალევს. მოსანახულებელია: ვარძია, რუსთავი, მცხეთა, იყალთო, გრემი, ალავერდი... უნდა მოეწყოს სამეცნიერო სესიები, კონფერენციები და, რაც მთავარია, უნდა დადგინდეს თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ამასთან დაკავშირებით, ავტორი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად თვლის თამარ მეფის სახელით ცნობილ ეკვდერს გელათში. მისი მოსაზრება ემყარება პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის შეხედულებებს, რომლებმაც, თავის მხრივ, სარწმუნოდ მიიჩნიეს თამარის დროის ორი ისტორიკოსის – ბასილი ეზოსმოდვრისა და „ისტორია-აზმათა“ ავტორისა და ლაშა-გიორგისდროინდელი მემკვიდრის ცნობა თამარის საფლავის გელათში არსებობის შესახებ. ამ მოსაზრებას იზიარებენ ისტ. მეცნ. დოქტორი ლ. სანიკიძე, აკად. ა. შანიძე, რომელმაც ეკვდერის თაღზე დაცული ასომთავრული წარწერა „მეფეთ-მეფე“ თამარის დროინდელ წარწერად მიიჩნია, აკად. გ. ლეონიძე. ამ მოსაზრებას ემხრობა ვახტანგ ორბელიანიც, რომელიც ხოტბას ასხამს გელათს, რადგან მის „წიაღში განისვენებს დიდი თამარი“. თუმც ავტორი არ უარყოფს იმასაც, რომ არსებობს მოსაზრება თამარ მეფის იერუსალიმში დაკრძალვის შესახებ. ამისთვის იმოწმებს პროფ. ს. კაკაბაძის, აკად. შ. ამირანაშვილის შეხედულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობიან ჯვაროსანი რაინდის წერილში დაცულ ცნობას (ეს წერილი 1929 წელს გამოაქვეყნა ზ. ავალიშვილმა).

დასასრულ, ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ გელათის სამეცნიერო სესია ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. **თ. ხ.**

48. ნოდარ ალანია

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „დროშა“ (წყალტუბო), 1966, 15 მარტი, № 32, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამიჯნურებული გმირები მორალურად, გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანები არიან. მათთვის სიყვარული მაღალზნეობრივი, საამქვეყნო გრძნობაა. ამ მხრივ პოეტი არ განასხვავებს კაცსა და ქალს. ნესტანი პირველი უმჟღავნებს ტარიელს თავის გრძნობას; ხშირად ქალები შთააგონებენ თავიანთ მიჯნურებს ქვეყნისა და ხალხის სამსახურს. შოთა რუსთაველი ისეთ სიყვარულს ქადაგებს, რომლის კანონიერი შედეგი მეუღლეობაა. მიჯნურები გაუტეხელი ფიცით უკავშირდებიან ერთმანეთს და მათთვის ღალატი წარმოუდგენელია. **გ. ა.**

49. А. Алексидзе

Переключка друзей

გაზ. «Заря Востока», 1966, № 225.

წერილში ლაპარაკია რუსთაველის თეატრში გამართულ საღამოზე, რომელიც რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა – დევიზით – მეგობართა გადაძახილი. საღამო გახსნა ირ. აბაშიძემ, ნ. ტიხონოვმა წაიკითხა გ. ლეონიძის ლექსების თარგმანი, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნისადმი“. სიტყვით გამოვიდნენ: ს. შანშიაშვილი, პოლონელი იულიან პშიბასი, ბულგარელი პოეტი ელიზავეტა ბაგრიანა, უკრაინელი მიკოლა ბაჟანი, უნგრელი იშტვან ბიმაინი, აზერბაიჯანელი სულიეიმან რუსტამი, ვიეტნამელი ტე ლა ვიენი, ავსტრალიელი ჯეფრი დატონი; აგრეთვე: ევგ. ევტუშენკო, ალიო მირცხულავა, სერგეი ორლოვი.

პოეტური გადაძახილი გრძელდება – ფრანგ ეჟენი გილევიკს ენაცვლება კანადელი უოლლესი, ამრიტა პრიტამი, იტალიელი მარიო ლუცი და ელიო პალერატი. გამოვიდნენ სილვა კაპუტიკიანი, ესპანელი პოეტები რაფაელ ალბერტი და ხოსე ლოპესი პაჩენკო, რუსი პოეტი მიხაილ ლუკონინი, ყაისინ ყულიევი, ჩეხი ივან სკალუ, დანიიდან იორგენ ვიბე, იუგოსლავიიდან ოსკარ დავიჩო, პოლონელი ვასლავა შიმბორსკა, რუსი ვლადიმერ სოდოუხინი.

პროლოგიდან გერმანულ ენაზე სტროფებს კითხულობს ჰუგო ჰუპერტი, პოლონურ ენაზე – იგორ სიკირიციკი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სტუმარი ჩეხოსლოვაკიიდან ირჟი ტაუფერი, მუსტაი ქარიმი. იუგოსლავი დრაგუტინ ტადიანოვიჩი, პოლონელი ლეოპოლდ ლევინი, უნგრელი ლასლო ბენიამინი, რობერტ როჟდესტვენსკი, ჩეხი ვოიცეხ მიგალიკი. **ი. წ.**

50. რ. ალექსიძე

ფოტოხელოვნის გამოფენა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 1 სექტემბერი, № 103, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს ფოტოხელოვნის რუბენ აკოფოვის ფოტო გამოფენის შესახებ, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა და გაიმართა თბილისის კირო-

ვის სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში. მოხსენება ფოტოხელოვნის ღვაწლის შესახებ წაიკითხა ვ. ბერიძემ. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: როდიონ ქორქია და სურენ ავჩიანი.

ლ. კ.

51. რ. ალექსიძე

დიდ მგოსანს მიეძღვნა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 115, გვ. 3.

რუსთაველს მიეძღვნა პოეზიის საღამო, რომელიც თბილისის მათე-კამვოლის კომბინატის ლიტ. წრემ და 38-ე ბიბლიოთეკამ მოაწვევს. მოხსენება „საქართველო რუსთაველის ეპოქაში“ წაიკითხა ბიბლიოთეკარმა იზოლდა გურგენიძემ. რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები: დილარ ივარდავა, ანზორ აბულაშვილი, იორამ ქემერტელიძე და სხვანი. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ლ. კ.

52. III. Амираншвили

Сквозь глубь веков

გაზ. „Заря востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 3;

ავტ. კრებ. – „თბ. უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, თბ. 1966, გვ. 155-173.

ავტორი წერს, რომ შემორჩენილია შოთა რუსთაველის 3 პორტრეტული გამოსახულება, რომლებიც თავისთავად საინტერესო მასალაა ქართული პორტრეტული ხელოვნების შესასწავლად, ხოლო მათი ისტორიულ-მხატვრული ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგიერთი ფაქტი.

იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში არსებულ ფრესკაზე პოეტი გამოსახულია ღრმად მოხუცი, მდიდრულ საერისკაცო ტანსაცმელში. II პორტრეტზე – H 599 ხელნაწერში (1646 წ.) პოეტი ახალგაზრდაა, უწვერული, მოკლე უღვაშებით, იგი გადამწერს კარნახობს პოემის ტექსტს. III პორტრეტი ე. წ. ზაზასეული ხელნაწერიდანაა, ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. იგი შესრულებულია XII ს-ის დასასრულის ქართული ფრესკული მხატვრობის სტილით. სურათს აქვს ორნამენტული ბორდიური სპარსული მხატვრობის მანერისა. ის თარიღდება XV საუკუნით.

ამ პორტრეტების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შოთამ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა ახალგაზრდობის წლებში, როდესაც ერთ-ერთი დიდი მოხელე იყო სამეფო კარზე.

გ. ა.

53. III. Амираншвили

Эпоха великого поэта

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 8 სექტემბერი, № 211, გვ. 3.

ავტორი საუბრობს რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელ მინიატურულ სტილზე, გვთავაზობს მინიატურების მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს, რომლითაც ილუსტრირებულია პოემის უძველესი ხელნაწერები, მიმოიხილავს მინიატურების ისტორიული განვითარების გზას.

თ. ხ.

54. შ. ამირანაშვილი

დიდი საგანძური

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 3.

წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ რუსთაველის პოემა ყამირ ნიადაგზე არ შექმნილა. მას წინ უძღოდა ქართველი მატერიალური კულტურა, რომლის მაღალი დონე განპირობებული იყო საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძლიერებით. სამშობლოსათვის თავდადება, ბრძოლა უცხოთმელთა წინააღმდეგ, სიუზერენის პატივისცემა, ძმური სიმტკიცე, ქალის პატივისცემა და სიყვარული, რაინდული ეტიკეტი დამახასიათებელია ამ პერიოდის იდეოლოგიისთვის. წერილის ავტორი საუბრობს ქართული ეროვნული ხელოვნების ნიმუშებზე, მოიხსენიებს ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ხელნაწერთა ილუსტრაციებს, ქართული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის ხელოვნებაზე, ბექა და ბემქენ ოპიზართა ღვაწლზე. მიაჩნია, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული მატერიალური და სასულიერო კულტურის განვითარების შედეგია.

თ. ხ.

55. მ. ანასაშვილი

უნივერსიტეტში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 115, გვ. 3.

ავტორის ცნობით, რუსთაველის საიუბილეო გამოფენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული მელოდიებისა და საგალობლების ფონზე გაიხსნა. გამოფენა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: „საქართველოს სახელმწიფო XIII ს-ის დამდეგისთვის“, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ბეჭდური გამოცემები“, „რუსთაველი თანამედროვე ხელოვნებაში“ და სხვა. „ამიერიდან ამ ტაძარში იქნება შოთა რუსთაველის მემორიალური კაბინეტი“ – დასძენს ავტორი.

ლ. კ.

56. ა. ანასაშვილი, გ. კაკალაშვილი

მისი სახელი მიეკუთვნა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 5 ოქტომბერი, № 40, გვ. 3.

ა. ანასაშვილის ცნობით, იუბილესთან დაკავშირებით, შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა თბილისის 112-ე საშუალო სკოლას და საჩხერის III საშუალო სკოლას.

გ. კაკალაშვილის ინფორმაციით, წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლას ეწოდა შოთა რუსთაველის სახელი.

ლ. კ.

57. Ираклий Андроникашвили

Века славы

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 29 სექტ., № 229, გვ. 3.

იშვიათია დაასახელო წიგნი, – აღნიშნავს სტატიის ავტორი, – რომ 800 წლის განმავლობაში კითხულობდეს ახალგაზრდებიც და მოზრდილებიც. „ვეფხისტყაო-

სანს“ იცნობს ყველა. ავტორი განიხილავს ხალხურ „ავთანდილ გადინადირა“-ს და აღნიშნავს, რომ რუსთაველმა კი არ ისარგებლა ხალხურიდან, არამედ ხალხური სიმღერა დაიბადა თვით რუსთაველიდან. შემდეგ ავტორი ეხება „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“-ს და აღნიშნავს, რომ ეს ლექსი „ვეფხისტყაოსნით“ არის შთაგონებული. რომ ძნელია მოიძებნოს მსოფლიო ლიტერატურაში სხვა ასეთი ნაწარმოები, რომელიც ასე შეიჭრა ხალხის ცხოვრებაში, როგორც შოთას პოემა. მას უკითხავდნენ ბავშვებს, ატანდნენ მზითვად, მიუჩენდნენ საპატიო ადგილს და მისი არცოდნა სირცხვილად ითვლებოდა. შემდეგ მიმოიხილავს პოემის დაწერის ეპოქას, თამარის მეფობის პერიოდს. აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ანტონ I-მა დააწვევინა და მტკვარში ჩააყრევინა. საუბრობს, თუ როგორ აისახა პოემა დ. გურამიშვილთან, გრ. ორბელიანთან, ნ. ბარათაშვილთან. განიხილავს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას პოემის მიმართ. საუბრობს პალესტინაში ქართული ექსპედიციის მიერ შოთა რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის შესახებ და ირ. აბაშიძის ლექსების კრებულზე „პალესტინა, პალესტინა“. წერილში საუბარია ცნობილი საბჭოთა თუ უცხოელი მოღვაწეების დამოკიდებულებაზე „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორთან.

ი. წ.

58. И. Андроников

К трем портретам

ჟურ. «Наука и жизнь», 1966, № 12, გვ. 97-98.

ნაშრომი მოიცავს საკითხებს: თქმულებები რუსთაველის შესახებ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა, რუსთაველის ადგილი ქართულ ლიტერატურაში, XII საუკუნის საქართველო, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: ძეგლის გახსნა მოსკოვში, საზეიმო სხდომა დიდი თეატრის დარბაზში და სხვა.

ნაშრომს დართული აქვს რუსთაველის სამი პორტრეტი: ერთი – ფრესკული, ორი – მინიატურა. **ლ. კ.**

59. ირაკლი ანდრონიკოვი

გარდასახვა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 19 აგვისტო, № 34, გვ. 1.

ავტორი ეხმაურება ი. აბაშიძის ახალ ნაწარმოებს „რუსთაველის ნაკვალევზე“, საუბრობს ი. აბაშიძის შემოქმედებით თავისებურებებზე, გარდასახვის ხელოვნებაზე, რაც ლირიკული გმირის სახეში ხორციელდება. ი. აბაშიძემ შექმნა რუსთაველის სახე ქართულ პოეზიაში. იგი ლაპარაკობს რუსთაველის ენით, მაგრამ ამისთვის არ ბამავს მის ლექსს. რუსთაველის ხმა მას შინაგანად ესმის.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ლექსების ციკლის („რუსთაველის ნაკვალევზე“) რუსულენოვან თარგმანს, შესრულებულს ალექსანდრე მეჟიროვის მიერ. მისი აზრით, თარგმანში ორმაგი გარდასახვა განხორციელდა: ირაკლი აბაშიძისა რუსთაველის ხასიათსა და სულში და ი. აბაშიძის პოეზიის მეოხებით ალ. მეჟიროვის გარდასახვა რუსთაველის ახალ სახეში. **ლ. კ.**

60. ლია ანდლულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ნიკოლოზ მზარეულოვი
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და
ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს
I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 24-25.

ავტორი აღწერს ნიკოლოზ მზარეულოვის არქივს და იმ მასალებს, რომლებიც მას „რეულოს“ ფსევდონიმით აქვს გამოქვეყნებული. რუსთაველთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „1935 წლიდან მოკიდებული მზარეულოვს შვიდჯერ გადაუმუშავებია და 1948 წლისათვის დაუსრულებია პოემის თარგმანის საბოლოო ვარიანტი. თარგმანი ყურადღებას იმსახურებს ორიგინალთან შინაარსობრივი და მხატვრული სიახლოვის თვალსაზრისით. მზარეულოვის არქივში დაცულია «ვეფხისტყაოსნის» თემაზე დაწერილი დრამა და სცენარი“.

ბ. დ.

61. ლ. ანდლულაძე

პოეტის სადიდებლად
ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 9, გვ. 126-135.

მკვლევარი წერს, თუ როგორ აღნიშნეს საქართველომ და მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. ს. წულაძის მიერ ფრანგულ ენაზე ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ საფრანგეთის აკადემიამ მიიჩნია 1965 წლის საუკეთესო თარგმანად და ლანგლუას პრემია მიანიჭა. ხოლო პოემის გერმანულ ენაზე თარგმნისათვის ჰუგო ჰუპერტს მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ, ჩეხურ, სპარსულ, იტალიურ, იაპონურ, ესპანურ ენებზე. იქმნება ლათინური, ბულგარული და ბერძნული თარგმანები.

ლ. ანდლულაძე იხსენიებს მთარგმნელ ქალებსაც.

იერუსალიმის ჯვარის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის პორტრეტის შესახებ პირველი ცნობა ეკუთვნის XVIII ს. მოღვაწეს – ტიმოთე გაბაშვილს. 1960 წელს ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ (ა. შანიძე, გ. წერეთელი, ი. აბაშიძე) აღმოაჩინა რუსთაველის ეს პორტრეტი. 1963 წ. სოფ. იყალთოში დაწესდა დღესასწაული „შოთაობა“. 1880 წ. გ. ორბელიანის წინადადებით პოემის სათაურში „ვეფხვი“ შეცვალეს „ვეფხად“. წერილში გადმოცემულია ინფორმაცია პოემის სხვადასხვა გამოცემისა და ტექსტის დამდგენი კომისიის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის რუსულ ენაზე პირველი მთარგმნელია კ. ბალმონტი, რომელმაც წიგნი თავისი სახსრებით გამოსცა 1933 წელს.

1935 წ. გ. ლეონიძის თაოსნობით ლენინგრადში მოიძებნა პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი. დღეისათვის 100-ზე მეტი ხელნაწერი გვაქვს. რუსთაველის აფორიზმებსა და სტროფებზე შექმნილია მუსიკალური ნაწარმოებები: ოპერა, ბალეტი, ვოკალური ნაწარმოებები, სიმფონია, ორატორია, საგუნდო ნაწარმოებები, მუსიკალური სურათები.

პოემის ხელნაწერებში უძველესია XVI საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტი. პოემის გადამწერნი არიან: მამუკა თავაქარაშვილი (1646 წ.), იოსებ ტფილელი (1663 წ.),

დავით რექტორი (1782 წ.), პეტრე ლარაძე (1827 წ.), პეტრე ტაბლიაშვილი (XVIII ს.), როსაპა კეპულაძე (1833 წ.) და სხვანი. გადამწერთა შორის არის ნიკოლოზ ბარათაშვილი. **თ. ნ.**

62. ლ. ანდლულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ უცნობი მთარგმნელები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ., XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1966, გვ. 11 (თეზისები მოგვსაქვს მთლიანად).

მოსკოვისა და თბილისის ცენტრალურ ლიტერატურულ არქივებსა და მუზეუმებში აღმოჩნდა შოთა რუსთაველის პოემის დღემდე უცნობი თარგმანები ნიკოლოზ მზარეულოვის, დიმიტრი თურქიას, შალვა ლორთქიფანიძის, ბორის სერებრიაკოვის, ეკატერინე მიქელაძისა და სხვების.

ამ ავტორთა თარგმანები სხვადასხვა სისრულისაა. ისინი არ ყოფილა გამოქვეყნებული და, მით უფრო, შესწავლილი. ყველა აღნიშნული თარგმანი ყურადღებას იმსახურებს როგორც ფორმის, ისე ორიგინალის შინაარსთან სიახლოვის თვალსაზრისით. **გ. ი.**

63. ლ. ანდლულაძე

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე

გაზ. „დროშა“ (წყალტუბო), 1966, 7 ივლისი, № 80.

„ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნის იდეა ჩაისახა პეტერბურგში მყოფ ქართველოლოგთა წრეში (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონი). 1845 წელს ჟურნალ „ილუსტრაციაში“ გამოქვეყნდა იპ. ბარტდინსკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ 142 სტროფი. 1846 წ. პოემის ერთი თავის თარგმანი გამოაქვეყნა ივ. ევლახოვმა. რუსული თარგმანი (პროლოგის ნაწილი) ცალკე წიგნად პირველად გამოსცა 1885 წ. ევგ. სტალინსკიმ. უფრო ადრინდელი თარგმანები არ შემოინახა, მაგ. გრ. წინამძღვრიშვილის (1849 წ.), დ. ჩუბინაშვილის (1854 წ.) თარგმანები. პოემის მთარგმნელებად ითვლებიან ივ. თხორჟევსკი (1884 წ.), მაქსიმ ლიპკინი (1916 წ.), ჩანცევი და დიმ. მიხალოვსკი.

რევოლუციამდე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნეს ივ. პოლტორაცკიმ (1889 წ.) და შიო დავითაშვილმა (1910 წ.). პირველი სრული თარგმანი შეასრულა კ. ბალმონტმა. იგი გამოიცა პარიზში 1933 წ. ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა პ. ანტოკოლსკის, ალ. ჩაჩიკოვის, ვლ. დერჟავინის, ს. კლიჩკოვის, ალ. ყანჩელის, ოსიპ რუმერის, გ. ოვანოვის, ბ. ბრიკისა და ელ. ტარლოვსკაიას თარგმანები. ე. ტარლოვსკაიამ თარგმნა ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც კ. ბალმონტმა გამოტოვა. პოემის სრული თარგმანის ავტორები არიან: შ. ნუცუბიძე, გ. ცაგარელი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, პანტელეიმონ პეტრენკო, კონსტანტინე ბალმონტი და სერგეი შარტი. სრულია ნ. მზარეულოვის თარგმანიც, რომლის საბოლოო ვარიანტი 1948 წელს დაუმთავრებია. ლიპსკეროვიც მუშაობდა რუსთაველის პოემის თარგმანზე. ახალგაზრდებისათვის პოემის ტექსტი თარგმნეს და გადაამუშავეს ნ. ზაბოლოცკიმ და გ. არჯევანიძემ. **თ. ნ.**

64. **Л. Андгуладზე**

„Витязь“ принадлежит планете

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 3 სექტ., გვ. 3; გაზ. „ახალი კოლხიდა“
(ფოთი), 1966, 16 სექტ., № 111, გვ. 3, სათაურით:
„რუსთაველი პლანეტას ესაუბრება“.

ავტორი გვაუწყებს, რომ 1966 წლისათვის „ვეფხისტყაოსანი“ 36 ენაზე იყო თარგმნილი. პირველი უცხო ენა, რომელზედაც ამეცყველდა რუსთაველის ლექსი, რუსული იყო. თავდაპირველად ინტერესი მის მიმართ გამოვლინდა ევგ. ბოლხოვიტინოვის მიერ დაწერილ წიგნში საქართველოს შესახებ, პოემის ერთი ნაწილი კი ნახევარი საუკუნის შემდეგ ითარგმნა ბარდტინსკის მიერ.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ფრანგმა ორიენტალისტმა მარი ბროსემ გამოაქვეყნა პოემის პროზაული თარგმანი ფრანგულ ენაზე. შემდეგ შეიქმნა კ. ლაპჩინსკის (პოლონური), ა. ლაისტის (გერმანული), მ. უორდროპის (ინგლისური) და ბ. ვიკარის (უნგრული) თარგმანები.

XX ს-ის 30-40-იან წლებში გამოქვეყნდა კ. ბალმონტის, გ. ცაგარლის, შ. ნუცუბიძის, პ. პეტრენკოსა და ნ. ზაბოლოცკის რუსული თარგმანები.

„ვეფხისტყაოსნის“ ქალ მთარგმნელთაგან აღსანიშნავია შემდეგი სახელები: ე. ორბელიანი (ფრანგულად), ე. ტარლოვსკაია (რუსულად), მ. პრიტვიცი (გერმანულად), ვ. ურუმაძე (ინგლისურად), ა. მარსელ-პაონი (ფრანგულად). **გ. ა.**

65. **Л. Андгуладზე**

На языке Пушкина

გაზ. «Заря Востока», 1966, 22 სექტემბერი, № 218, გვ. 3.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებზე, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა ე. ბოლხოვიტინოვმა. მიმოხილულია ი. ევლახოვის, ვ. სოლოგუბის, ე. სტალინაკის მოღვაწეობა ამ მიმართულებით, გამორჩეულია კ. ბალმონტის დამსახურება, რომელმაც შეასრულა პირველი სრული პოეტური თარგმანი და არაერთი საინტერესო ნაშრომით გაამდიდრა რუსთაველოლოგია. „საქართველო იმსახურებს ამას“ – აღნიშნავდა პოეტი.

წერილის ავტორი მოიხსენიებს სხვა მთარგმნელებსაც: პ. ანტოკოლსკის, ვ. დერჟავინს, ო. რუმერს, ბ. ბრიკს, ე. ტარლოვსკაიას და სხვებს, მიიჩნევს, რომ თითოეული მათგანის ღვაწლი უნდა იყოს შემჩნეული და დაფასებული.

გამოცემული თარგმანებიდან ავტორი ასახელებს: გ. ცაგარლის, პ. პეტრენკო-კ. ჭიჭინაძის, შ. ნუცუბიძის ნაშრომებს. **თ. ხ.**

66. **Л. Андгуладზე**

Константин Бальмонт о Руставели

ჟურ. «Дружба народов», 1966, № 9, გვ. 203.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებს. მთარგმნელთა შორის გამორჩეულია კ. ბალმონტი. ავტორი გვაწვდის ცნობებს მის შესახებ: როგორ

გაიცნო ბალმონტმა „ვეფხისტყაოსანი“, სად და ვისი საშუალებით, რამ გამოიწვია მისი დაინტერესება და რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში.

წინამდებარე წერილი ერთგვარი წინასიტყვაობაა კ. ბალმონტის ერთ გამოუქვეყნებელ ხელნაწერზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში ინახება. **თ. ხ.**

67. Л. Андгуладзе

«Витязь» в сердцах русских поэтов

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 17 მაისი, № 113, გვ. 3.

ავტორი მოკლედ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიას რუსულ ენაზე. დაწყებული პოემის ტაეპების პირველი გამოჩენიდან ე. ბოლხოვიტინოვის წიგნში „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“ – უკანასკნელ თარგმანამდე.

ავტორის მონაცემებით, „ვეფხისტყაოსნის“ 50-მდე თარგმანი არსებობს რუსულ ენაზე, აქედან 8 სრულია. მთარგმნელთა შორის ორი ქალია: ელენა ტარლოვსკაია და ეკატერინე მიქელაძე. **ლ. კ.**

68. ლ. ანდლულაძე

„ვეფხისტყაოსნის“

რუსულ ენაზე მთარგმნელები

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 283-289.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებზე რუსულ ენაზე. ყურადღებას ამახვილებს ორ მათგანზე: ივანე ევლახოვსა და ივანე თხორჟევსკიზე. შეძლებისდაგვარად გვაცნობს მათ ვინაობას და მოღვაწეობას. მკვლევარი ივანე ევლახოვის თარგმანს უარყოფითად აფასებს. მას უთარგმნია მხოლოდ ერთი თავი – უცხო მოყმის ამბავი, თეთრი ლექსით. ივანე თხორჟევსკის თარგმანი ჩვენამდე არ შემონახულა, თუმცა არსებობს ცნობა, რომ მან ეს თარგმანი შეასრულა. თხორჟევსკის იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ პოეტს და მთარგმნელს, ამიტომ ლ. ანდლულაძე ფიქრობს, რომ მისი საპატიო სახელი მხოლოდ დაამშვენებდა მთარგმნელთა რიგებს. **ლ. კ.**

69. ბ. ანდლულაძე [ბორის დარჩია]

მონოგრაფია გენიალურ პოეტზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 7 ივნისი, № 131, გვ. 3.

წერილი ეძღვნება ალ. ბარამიძის მონოგრაფიას – „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ და მოკლედ გვაცნობს მასში განხილულ საკითხებს. **ბ. დ.**

70. თ. ანთაძე

**მეტყველი ექსპონატები
(დიდი საიუბილეო გამოფენა)**

გაზ. „თბილისი“, 1966, 20 აგვისტო, № 195, გვ. 3.

კორესპონდენტთან საუბარში პ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ რუსთაველის საიუბილეოდ საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში მოწყობა დიდი გამოფენა, სადაც ნაჩვენებია იქნება „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ისტორია მთლიანობაში – ეკონომიკის სიძლიერე, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებანი და, საერთოდ, კულტურის ძირითადი დარგები. ასეთი პრინციპით გამოფენა პირველად ეწყობა ჩვენში და მას წინამორბედი არც სხვაგან ჰქონია“. შემდეგ ჩამოთვლილია, რომელ სართულსა და დარბაზებში რის წარმოდგენას აპირებენ. **ბ. დ.**

71. თ. ანთაძე

ემზადებიან

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 3.

ცნობა, როგორ ემზადებიან რუსთაველის საიუბილეოდ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია და საქართველოს სახელმწიფო კაპელა. სხვათა შორის აღნიშნულია: ა. მაგრაქელიძემ მოამზადა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია. მსახიობებმა თავიანთ პროგრამებში უხვად შეიტანეს რუსთაველისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებები, დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. აჟღერდება ა. ჩიმაკაძის მუსიკალურ-დრამატული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“ (პროლოგი და თინათინის კორონაცია), ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალებზე“, ო. გორდელის ახალშექმნილი ნაწარმოები „ავთანდილის ლოცვა“ და სხვა. **ბ. დ.**

72. ა. ანთაძე

„შოთა რუსთაველი“ საიუბილეო ვახტზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 7 სექტემბერი, № 203, გვ. 4.

საუბარია თევზსარეწი თევზსაყინავი ტრაულერის „შოთა რუსთაველის“ ეკიპაჟის წარმატებაზე, რომლებმაც ერთ ჯერზე 25-30 ტონა თევზი დაიჭირეს და ეს წარმატებული რეისი რუსთაველის იუბილეს მიუძღვნეს. **თ. ხ.**

73. პავლე ანტოკოლსკი

რუსული კულტურის მოღვაწენი რუსთაველზე

გაზ.: „სოფლ. ცხოვრება“, 1966, 11 სექტ., №214, გვ. 3; „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., №219, გვ. 3.

„საბჭოთა თაობის ისტორიული მიღწევა ის არის, რომ ახლებურად აღიქვამს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა კულტურათა ისტორიას. ჩვენ დაძაბული ვუყურადებთ შორეულ ეპოქათა ხმებს და ვპოულობთ მშობლიურს, სისხლხორცეულს. რუსთაველი ჩვენი, ჩვენი „იგორის ლაშქრობის ამბავი“, ჩვენი მთელი ფოლკ-

ლორი, ყველა ზღაპარი და თქმულება. მაგრამ ეს ზღაპრები ასაყლარუნებლები, მუზეუმში გამოფენილი უსარგებლო ჟანგიანი ნატეხები კი არ არის, არამედ საჭირო იარაღია“, – ამბობს მწერალი.

ო. წ.

74. П. Антокольский

რუსთაველი

გაზ. «Литературная Россия», 1966, 23 სექტემბერი, № 39, გვ. 11.

ავტორი საუბრობს რუსთაველის შესახებ, მის მიმართ ქართველი ხალხის სიყვარულზე, რუსთაველის შემოქმედების ადგილზე ქართულ მწერლობაში. ავტორს მოაქვს ა. წერეთლის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის პოეტური სტრიქონები, რომლებიც მიემართება რუსთაველს, საუბრობს რაინდული რომანების საწყისსა და სასრულზე, მოიხსენიებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და „დონ-კიხოტს“. ამ უკანასკნელს იგი რაინდული რომანის მზის ჩასვენებას უწოდებს.

თ. ხ.

75. ანა ანტონოვსკაია, ბორის ჩორნი

მესხი მიჯნური

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 3.

ავტორები მხატვრული ფანტაზიით წარმოგვიდგენენ მესხეთ-ჯავახეთში მოხეტიალე მიჯნურ რუსთაველს. ერთგან მწერალზე ნათქვამია: „ქართული ენა მან იხსნა დათაფლული, საეკლესიო-სქოლასტიკური მწერლობის ბორკილებისაგან და მისი ბროლის კამარა დაამშვენა შედარებათა და აფორიზმთა ვარსკვლავისებრი ბრწყინვალეობით. პოემა უხვად დააჯილდოვა ყველა გრძნობით, თვითონ კი ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმა არჩია“.

ბ. დ.

76. Анна Антоновская, Борис Черный

[უბერებელი წიგნი]

გაზ. «Заря Востока», 1966, 30 სექტ., № 225, გვ. 2.

ცოტაა ისეთი წიგნები, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ცხოვრების ანბანი, ჩაკითხო და გადაიკითხო ისინი. ადამიანი ყოველთვის სწავლობს სიყვარულს და სიძულვილს, არსებითად სწავლობს ყველაზე ძირითად გრძნობებს: სიყვარულს მშვენიერებისადმი, სიძულვილს სიმახინჯისადმი. ეს წიგნები არასდროს ბერდება და საუკუნიდან საუკუნემდე უფრო უხვად ხსნიან მკითხველების წინ თავისი სიღრმეების საიდუმლოს. საქართველომ შეუქმნა მსოფლიოს ასეთი წიგნი – „ვეფხისტყაოსანი“.

ო. წ.

77. Г. З. Апресян

Красота человека и её поэтизация в поэме Шота Руставели

წიგნში: красота и добро, из истории эстетической мысли народов Закавказья, 1966, გვ. 90-103.

რუსთაველის იდეოლოგიურ საკითხებს ავტორი აშუქებს შალვა ნუცუბიძის დებულებებზე დაყრდნობით. ავტორის აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოი-

ხატა აღორძინების ეპოქის ცხოვრებისეული მისწრაფებანი, რომლებშიაც პოეტმა ჩააქსოვა ყოველგვარი მისტიკისა და ფატალიზმისაგან თავისუფალი შეხედულებანი ქვეყანასა და ადამიანურ ურთიერთობებზე.

პოემის ფილოსოფიურ ხასიათს ავტორი ხედავს ძველ მოაზროვნეთა – პლატონის, დიონისესა და, საერთოდ, „ათონის ბრძენთა“ სწავლის გამოხატულებაში. პოემის არაერთ სტროფში გამოსაცნობია პითაგორელთა, ჰერაკლიტეს, ემპედოკლეს თუ ანტიკური ეპოქის სხვა წარმომადგენელთა ნააზრევი. რუსთაველი უფრო ნაკლებად იყო მოცული საღვთისმეტყველო იდეოლოგიით, ვიდრე ნიჟამი განჯელი. რუსთაველი არ უარყოფდა ღმერთის იდეას, მაგრამ, როგორც წესი, მას აიგივებდა ბუნებასთან და პანთეისტურად ადიდებდა მზეს. „ვეფხისტყაოსანში“ არ არის ღვთისადმი ვედრება თუ მისი დიდება, რითაც ჩვეულებრივ იწყება ნიჟამის პოემები. რუსთაველი იზიარებდა იოანე პეტრიწის ანტისქოლასტიკურ პროგრესულ იდეებს (გვ. 91).

რუსთაველის გმირებისათვის უცხოა ასკეტიზმი. ისინი მოქმედებენ, იბრძვიან და თვითონვე ქმნიან თავიანთ ბედნიერებას. „ვეფხისტყაოსანში“ განსახიერებულია ფატალიზმისაგან თავისუფალი პიროვნების იდეალი (გვ. 93). რუსთაველის ფილოსოფიასა და ეთიკაში სიკეთის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს სიყვარული, რომლის გაგებაში იხატება რუსთაველის ჰუმანიზმიც (გვ. 96).

რუსთაველი განათლებული მონარქიზმის იდეოლოგი იყო და იბრძოდა შუასაუკუნეობრიობისა და ღვთისმეტყველური კონცეფციის წინააღმდეგ (გვ. 97).

ავტორს რატომღაც მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველს წარმოადგენს უძველესი არაბული თქმულება (გვ. 91).

დასასრულ, ავტორი იხილავს რუსთაველის პოეზიის თეორიას და მოჰყავს პოემიდან უხვი მასალა.

გ. ი.

78. გიორგი არაბული

პოემის ზოგიერთი ადგილის შესახებ

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 1 აპრილი, № 14, გვ. 2.

ავტორი გვთავაზობს სადავო წაკითხვების გასწორებებს: 1. „ნავი სავსე საქონლითა მიმილია, ვითა ძღვენი“ (1051, 4). „მიმილია“-ს ნაცვლად უნდა დაიბეჭდოს „მომილია“ (= მომიტანია, მომირთმევია), როგორც დაცულია ხელნაწერებში (ასევე იბეჭდებოდა გამოცემებშიც 1937 წლამდე).

2. „სადაცა მივა, მივიდეს, რაზომმც მოვლოდეს ზღუდენი“ (217,3). ავტორი აღნიშნავს, რომ ხელნაწერებში გამოთქმა „რაზომმც მოვლოდეს“ არ დასტურდება; უმრავლესობაში იკითხება: „რამცა მოვლიდეს ზღუდენი“. აზრობრივად უფრო ლოგიკური იქნებოდა „მივიდეს“ ნაცვლად: „მივიდე“ (I პირის ფორმა), ან ზოგიერთ ხელნაწერში დაცული „მივჰყვები“ – სადაც მივა, მეც მივალ (მივჰყვები), რა ზღუდე მოვევლება (= რა დამაბრკოლებს, რომ ვერ მივიდე)? სტრიქონი ასე უნდა გაიმართოს: „სადაცა მივა, მივიდე, რამცა მოვლიდეს ზღუდენი“.

3. წერილში გვიანდელ ჩანართად არის მიჩნეული პოემის 218-ე სტროფი: „წინა-უკანა იარნეს...“ მკვლევრის თვალსაზრისის ვრცელი დასაბუთება მოცემულია წიგნში: გ. არაბული, ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, თბ., 1983, გვ. 40-48.

თ. ნ.

79. გ. არაბული

„წმინდა რამ აუმღვრევია“
ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 7, გვ. 103-108.

ავტორი საჭიროდ თვლის „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობის ყოველმხრივ შესწავლას და პოემის ტექსტიდან იმ სტროფების ამოღებას, რომლებიც გვიანდელი, გავრცობილი ხელნაწერებიდან შევიდა პოემის ნაბეჭდ გამოცემებში. წერილში ამის მაგალითად მოყვანილია 320-ე („ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა...“) და 908-ე („ქედსა გარდავდეგ...“) სტროფები, რომლებიც მათი წინმდგომი ან მომდევნო სტროფების პერიფრაზირებას წარმოადგენენ, აგრეთვე ამ ეპიზოდებისათვის შეუფერებელ ფაქტობრივ მონაცემებს შეიცავენ და ამით ეპიზოდის შინაარსს ძნელად გასაგებს ან ორაზროვანს ხდიან.

მკვლევრის აზრით, ეს სტროფები არ უნდა დაიბეჭდოს პოემის შემდგომი გამოცემების რუსთველისეულ ტექსტში. **თ. ნ.**

80. გ. არაბული

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გამო
ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 71-76.

ავტორი ეხება 722-724 სტროფებს (1957 წ. გამოცემით) და აღნიშნავს, რომ ამ ეპიზოდში დარღვეულია ამბის ლოგიკური განვითარება, 723-ე სტროფის („ყმა ახლოს უჯდა მეფესა...“) შინაარსი არ შეეფერება მოცემულ სიტუაციას. ამ სტროფის მიხედვით, ავთანდილი მხიარული განწყობილებითა და ხალისით ჰყვება თავის თავგადასავალს, მომდევნო სტროფებში კი საპირისპირო აზრია მოცემული. ეს სტროფი შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობას, ამავე დროს, მეტაფორის შედგენისა და გამოყენების მხრივაც ეჭვს იწვევს. ხელნაწერებში ეს სტროფი ორჯერ გვხვდება სხვადასხვა ეპიზოდში. ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელია, რომ ის გვიანდელი დანამატი უნდა იყოს.

მკვლევარს სასურველად მიაჩნია ამ სტროფის ამოღება პოემის ძირითადი ტექსტიდან და მის ადგილზე ხელნაწერებში დაცული № 888 სტროფის შეტანა („ყმამან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმცა გაუპირდა“). ეს სტროფი საჭიროა ამბის ლოგიკური თანამიმდევრობის აღდგენისა და მომდევნო (724) სტროფის აზრის სწორად გაგებისათვის. **ი. კ.**

81. გ. არაბული

ხელის-ხელ საგოგმანები
გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, № 114, 27 სექტ., გვ. 3.

ავტორი მიუთითებს იმაზე, თუ რა საპატიო ხელობად ითვლებოდა საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა და გადმოგვცემს მე-17 საუკუნეში იოსებ ტფილელის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მოკლე ისტორიას.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ დღეისათვის დაბეჭდილია მრავალი დამხმარე და საცნობარო ლიტერატურა (ხელნაწერთა ვარიანტები, სტროფული საძიებლები და

სხვა), რომლებშიც იკვეთება ხელნაწერთა განსხვავება ერთმანეთისაგან არა მარტო ცალკეულ სიტყვათა ფორმებით, არამედ სტროფული შემადგენლობითა და საერთო მოცულობით. ამდენად, ყველა ხელნაწერი განსხვავდება პოემის იმ ტექსტისგან, რომელსაც ნაბეჭდი გამოცემებით ვიცნობთ. **ნ. მ.**

82. შ. არაბული

ზარზმის ღიმილი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 11 ივნისი, № 68, გვ. 3.

ავტორი აღწერს საიუბილეო სამზადისს მესხეთში, კურორტ აბასთუმნის მუშა-მოსამსახურეთა და დამსვენებელთა ექსკურსიას სოფ. ზარზმაში, წარუშლელ შთაბეჭდილებებს, IV-V ს-ის ისტორიულმა ძეგლებმა რომ მოახდინა დამთვალეობაზე. **თ. ხ.**

83. ლუი არაგონი

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 2;
„ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 25 ოქტ., № 127, გვ. 1.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისაგან და, აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას... საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე მაშინ, როცა ჩვენ კრეტიენ დე ტრუამდე ძლივს მივალწიეთ“. **გ. ა.**

84. ლუი არაგონი

[ყველასათვის მახლობელი]

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 2;
„Заря Востока“, 1966, 30 სექტ., № 225, გვ. 3.

ავტორის მოკლე გამონათქვამია: „რუსთაველზე უკეთ სიყვარულისათვის არავის უმდერია. არავის აუყვანია სიყვარული ისეთ სიმალლეზე, როგორც რუსთაველმა თავის პოემაში. „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისაგან და, აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას... საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე მაშინ, როცა ჩვენ კრეტიენ დე ტრუამდე ძლივს მივალწიეთ“. **ბ. დ.**

85. ლ. არდიშვილი

Верный себе

გაზ. «Молодеж Грузии», 1966, 26 მარტი, № 37, გვ. 8.

საუბარია ლ. გუდიაშვილის შემოქმედებაზე, განსაკუთრებითაა ხაზგასმული მისი დამოკიდებულება რუსთაველის მიმართ. ნათქვამია, რომ იუბილესთვის იგი

შესანიშნავ საჩუქარს უმზადებს თავის თავყვანისმცემლებს. ესაა სურათი „ძვირფასი ძღვენი“. სურათზე რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს თამარ მეფეს. იქვე დაბეჭდილია რეპროდუქცია. **თ. ხ.**

86. Б. Арвадзе

„Витязь“ нашего братства

გაზ. „Заря востока“, 1966, 14 სექტ., № 211, გვ. 3.

წერილში საუბარია სომეხი ხალხის სიყვარულზე რუსთაველის მიმართ. ისინი არა მარტო კითხულობდნენ და ზეპირად სწავლობდნენ, არამედ გადაწერდნენ კიდევ პოემის ტექსტს. გამორჩეულია 1671 წ. გასპარ ბაღდასარაშვილის, 1680 და 1702 წლებში ბეგთაბეგის, 1857 წ. ი. სომხიევის მიერ გადაწერილი ნუსხები.

ავტორი მიმოიხილავს პოემის სომხურ თარგმანებს და გამოარჩევს ვ. ტერიანის თარგმანს, რომელსაც სანიმუშოს უწოდებს.

დასასრულ, ავტორი იუწყება, რომ სომეხი ხალხი არანაკლები მონდომებით ემზადება საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. **თ. ხ.**

87. სიმონ არველაძე

უცხოელ მწერალთა თვალთახედვით

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი), 1966, 25 სექტ., გვ. 4.

როგორც ავტორი წერს, ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა შორის დავას არ იწვევს ის აზრი, რომ რუსთაველი უპირველესი წარმომადგენელია აღმოსავლური რენესანსისა, რომელიც წინ უსწრებს იტალიურ რენესანსს, ამიტომ მათ ნაწერებში რელიეფურად გამოიკვეთა დებულება – „რუსთაველი აღმოსავლეთის დანტეა“.

ავტორს მოჰყავს ფრანგი პოეტის – ლუი არაგონის, ავსტრიელი ჰუგო ჰუპერტის, რუმინელი ვიქტორ კერნზახის, პოლონელი უილიამ ტუვიმის და სევერიან პოლაკის მოსაზრებები აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად. **გ. ა.**

88. ა. ართილაყვა

ტარიელისა და ავთანდილის გრძნობათა გამოვლინების

ზოგიერთი თავისებურება

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, 1966, № 2, გვ. 65-70.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გრძნობათა გამოვლინების თავისებურებებს, საუბრობს ტარიელის ემოციურ განწყობაზე, მის მგრძნობიარე ბუნებაზე, ავთანდილის ძლიერ სულიერ სამყაროზე, რაც, ავტორის აზრით, „განპირობებული უნდა იყოს პერსონაჟთა ტემპერამენტით, ხოლო ამასთან ერთად, ნებისყოფისა და ხასიათისეული ნიშან-თვისებებით, მაღალი მორალური გრძნობითა და გონიერება-მოსაზრებულობით“. **თ. ხ.**

89. **Е. Арсенишвили**

Сердце, отданное поэзии

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 26 ოქტომბერი, № 252, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს ელისაბედ ორბელიანის მთარგმნელობით მოღვაწეობაზე. ე. ორბელიანი იყო პირველი ქართველი ლექტორი ქალი, რომელიც 1918 წლიდან მუშაობდა თსუ-ს პროფესორად, ასწავლიდა ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს. ამ დროიდან შეუდგა იგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ევროპულ ენებზე. მისი ნაშრომის შესახებ ინფორმაცია გაჩნდა ჟურ. „ლომისში“ 1922 წელს. 10 წლის შემდეგ მან თარგმანი დაასრულა. პრესის ერთსულოვანი აზრით, ეს იყო საუკეთესო თარგმანი პოემის სხვა თარგმანთა შორის ევროპულ ენებზე. ორბელიანმა რუსთაველის შაირი თეთრი ლექსით გადაიტანა, მოახერხა ზუსტად გადაელო რუსთაველის სახეები და აფორიზმები. მას დიდი დახმარება გაუწიეს ს. იორდანიშვილმა და შ. ნუცუბიძემ. სამწუხაროდ, რუსთაველის დაბადების 750-ე წლისთავისათვის თარგმანის გამოცემა ვერ მოესწრო. სამაგიეროდ, 1938 წ. გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანი, ე. ორბელიანის რედაქციით. მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა და გამორჩენილი სტროფების თარგმანი.

პოემის სრული თარგმანი ე. ორბელიანმა დაასრულა 40-იანი წლების დასაწყისში (გარდაიცვალა 1942 წელს). მას შემდეგ ათწლეულები გავიდა. მისმა ნაშრომებმა კი („ვეფხისტყაოსნის“ თარგმანმა ფრანგულ ენაზე და ქართული პოეზიის ანთოლოგიამ) ვერ მიაღწია პოლიგრაფიულ მანქანამდე.

ავტორი იმედოვნებს, რომ ამ ხარვეზის გამოსწორება რთული არ იქნება. **ლ. კ.**

90. **Е. Арсенишвили**

Расскажет экран

გაზ. «Вечерняя Москва», 1966, 24 ოქტ., № 250, გვ. 3.

ავტორის ცნობით, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარულმა და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ დაასრულა სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება რუსთაველის შესახებ. ფილმის კონსულტანტი იყო ი. აბაშიძე. შემოქმედებითი ჯგუფი: გ. ასათიანი, თ. ნოზაძე, შ. შიოშვილი, გ. ჭუბაბრია, ა. სემენოვი. მუსიკა ეკუთვნის ბ. კვერნაძეს. ავტორი მოგვითხრობს ჯგუფის მიერ წარმოებული სამუშაოს შესახებ. დასასრულ შენიშნავს, რომ ფილმი ნაჩვენები იქნება მოსკოვში, საქართველოს კულტურის დღეებზე. **ლ. კ.**

91. **Е. Арсенишвили**

Тираж – один экземпляр

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 20 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

სტატიაში საუბარია საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლის – თამარ მურადოვას მიერ შექმნილ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანზე“. **თ. ბ.**

92. **Ч. Арсенишвили**

Знакомство продолжается

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, № 231, გვ. 3.

წერილში საუბარია სერგი წულაძის მიერ შესრულებულ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანზე. სერგი წულაძე დიდი ხნის განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრობდა. ის პროფესიით ექიმია და მუშაობს თბილისის ფსიქიატრიის სამეცნიერო ინსტიტუტში.

მთარგმნელს დიდი დახმარება გაუწია აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ. ს. წულაძემ მიიღო წინადადება პოემის სრულად თარგმნის შესახებ. გავიდა წლები და პარიზში გამოვიდა პოემის ფრანგული თარგმანი. მის ავტორს – ს. წულაძეს მიენიჭა ლანგლუას სახელობის პრემია. კრიტიკა აღნიშნავს თარგმანის მაღალ დონეს. მთარგმნელი შესანიშნავი ენით აცნობს ფრანგ ხალხს „ვეფხისტყაოსანს“. თბილისში ამ თარგმანის მეორე გამოცემა დაბეჭდა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

ფრანგულ ენაზე საიუბილეო დღეებში გამოვიდა აგრეთვე სერგი წულაძის მონოგრაფია „ნაცნობობა რუსთაველთან“, რომელიც დაბეჭდა გამომცემლობა „განათლება“.

ი. წ.

93. **რაჟდენ არსენიძე**

შოთა რუსთაველი და მისი წიგნი

ჟურ. „კავკასიონი“;

წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 135-140.

ნარკვევს წინ უძღვის ვ. ნოზაძის შენიშვნა: „როგორც წერილიდან ჩანს, იგი დაწერილია რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით და დღესაც არ არის იგი მნიშვნელობას მოკლებული“.

ავტორი განიხილავს რუსთაველის ბიოგრაფიის ორ ვერსიას: ერთია ხალხური, ზეპირსიტყვიერი, რომელიც პოეტს მესხად, სოფ. რუსთავში დაბადებულად თვლის; მეორე – მეცნიერების (პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე) მიერ შექმნილი. ავტორს მოჰყავს პ. ინგოროყვას დებულებები და დასკვნები და ასე აფასებს მათ: „როგორც ვხედავთ, ბიოგრაფია შოთასი არის სრული და ჩინებული, მაგრამ, სამწუხაროდ, აგებულია ისეთ ჰიპოთეზებზე და გაუმართლებელ საკუთარ მოსაზრებებზე, რომლებშიც ფანტაზია უფრო მეტ როლს თამაშობს, ვიდრე არსებული დოკუმენტებისა და წერილების რეალური შინაარსი“ (გვ. 136).

ზეპირსიტყვიერი გადმოცემების შესახებ ავტორი წერს: „ამ ტრადიციას აქვს თავისი „საბუთები“ და „მოსაზრებები“; ეს არის მეტად მკვიდრი და დაჟინებული მტკიცება ხალხური თქმულებისა, ისტორიულად დარჩენილი გადმოცემისა, რომელიც ერთსულოვანია და ურყევად იგი შოთას მესხეთის შვილად აცხადებს. ამ გადმოცემებით სავსეა განსაკუთრებით მესხეთის მხარე, მაშინ, როცა გადმოცემა ჰერეთის სასარგებლოდ ჩვენ არ შეგვხვედრია“ (გვ. 137).

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობას ქართველი მოსახლეობის ყველა ფენაში. მისი თქმით, ამას მოწმობს პოემის ხელნაწერების სიმრავლეც, რამაც „იხსნა შოთა რუსთაველი და მისი პოემა წყვედიადში შთანთქმისაგან“ (გვ. 139). **გ. ა.**

94. შ. არსენიძე

შოთას სურათის ისტორია და მისი აღწერილობა

გაზ. „თრიალეთი“ (დმანისი), 1966, 27 სექტ., № 116, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, შოთა რუსთაველის სურათი პირველად დაბეჭდა გრ. გაგარინმა თავის ალბომში (პარიზი, 1847 წ.). იგი გადახატულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის მინიატურიდან. ეს ხელნაწერი თავდაპირველად რევაზ ერისთავს ეკუთვნოდა, შემდეგ კი თეკლა ბატონიშვილს და მის შვილს – ალექსანდრე ორბელიანს ჰქონდათ.

გაგარინის ალბომში დაბეჭდილი სურათის სიგრძე 35 სანტიმეტრია, სიგანე – 25 სმ. ნახატი ორი ნაწილისაგან შედგება: ფურცლის შუაში, ოთხკუთხ სივრცეზე მოთავსებულია შოთას პორტრეტი თავისი უშუალო ფონით – სასახლით. იგი ჩასმულია მხატვრულ ბორდიურში. ნახატის ნაწილები – შოთას პორტრეტი და მისი ჩარჩო (ბორდიური) დიდად განირჩევიან ერთმანეთისაგან სტილითა და ხელოვნებით. მკვლევართა აზრით, ისინი შესრულებულია სხვადასხვა მხატვრის მიერ. სურათს, სავარაუდოდ, XV საუკუნეს აკუთვნებენ. **გ. ა.**

95. ტ. არშბა

Девяносто посвящений великому поэту

გაზ. «Советская Абхазия», 1966, 27 სექტემბერი, № 187, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს აფხაზ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის შესახებ, რომელიც რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა. ყურადღება გამახვილებულია გენო წივიწივაძის, ვარვარა ბუბნოვას, ომარ მესხის, ვ. ევროპინის, ბ. ლოლობერიძის, გ. რუხაძის და ოლლა ბრენდელის ნაწარმოებებზე. **ლ. კ.**

96. ტ. არშბა

День любви народной

გაზ. «Советская Абхазия», 1966, 21 სექტემბერი, № 183, გვ. 1.

სტატია ეხება 19 სექტემბერს სოხუმის დრამატულ თეატრში გამართულ რუსთაველის საიუბილეო საღამოს. საღამო გახსნა პოეტმა ბ. შინკუბამ. ისტორიკოსი შ. ინალ-იფა წარდგა მოხსენებით „რუსთაველი და თანამედროვეობა“. იგი შეეხო საიუბილეო კომისიის ფართო პროგრამას და აღნიშნა, რომ გამომცემლობა „ალაშარამ“ აფხაზურ ენაზე გამოსცა პოეტის აფორიზმები, ხოლო ჟურნალებმა „ალაშარამ“ და „აბჯა ბჰმა“ სპეციალური ნომრები მიუძღვნეს რუსთაველს.

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. **ლ. კ.**

97. ივანე არჯევანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ უნიკალური გამოცემა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 2 მარტი, № 9, გვ. 2.

წერილში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ისტორია იდეიდან ხორცშესხმამდე. იდეის ავტორები იყვნენ: ი. მეუნარგია, რ. ერისთავი და ი. გოგებაშვილი. მათ მხარში ამოუდგა XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწე – მეცენატი გ. ქართველიშვილი. პოემის ტექსტის დადგენა 1884 წელს მოხდა. საგამომცემლო კომისიაში შედიოდნენ: ი. ჭავჭავაძე, რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჩაბელი. წიგნის ილუსტრირებისათვის გამოიყენეს მ. ზიჩის სურათები. ავტორი აღწერს გამოცემის გარეგნულ დეტალებს, ყდების ნაირგვარობას, მხატვრულ გაფორმებას. წიგნი საჩუქრად გაეგზავნა რუსეთისა და საზღვარგარეთის ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, მათ შორის სტოკჰოლმის ორიენტალისტთა კონგრესს, რომელსაც თავმჯდომარეობდა შვეცია-ნორვეგიის მეფე ოსკარ II. ამავე წიგნის ეგზემპლარი მიართვეს 1888 წ. თბილისში ჩამოსულ რუსეთის დედოფალს, მარიამ თედორეს ასულს, ალექსანდრე III-ის მეუღლეს.

ეს გამოცემა გაგზავნეს 1900 წელს ქ. მაინცში, სადაც გუტენბერგის საიუბილეო გამოფენა და მუზეუმი გაიხსნა. **ლ. კ.**

98. გ. ასათაშვილი

შოთას ხალიჩა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 8 ივლისი, № 28, გვ. 2;

ჟურ. „საქ. ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 7.

როგორც ავტორი წერს, კახეთში, სოფ. ზემო ხოდაშენში, მცხოვრებ გლეხის ქალს თებრო გელდიაშვილს ახალგაზრდობაში მოუქსოვია ხალიჩა, რომელზეც შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის სახეებია ამოქარგული. 5მ × 2,15მ ზომის ხალიჩას იგი 30 წელიწადს ქსოვდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს თებროს ოჯახს ძალიან უჭირდა და ხალიჩა ნათესავს – ოლდა ციხისთავს მიჰყიდეს, რომელიც ბათუმში ცხოვრობდა. რამდენიმე წლის წინ ეს ხალიჩა შეისყიდა მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხაკო ორაგველიძემ და საკოლმეურნეო მუზეუმს გადასცა. **გ. ა.**

99. გურამ ასათიანი

ვეფხისტყაოსანი

და ქართული კლასიკური პოეტიკა

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 11, გვ. 159–175.

ნაშრომის ძირითადი საკითხია: შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკური ნაირსახეობით, რა კონკრეტული მხატვრული იერით გამოვლინდა „ვეფხისტყაოსანში“ მისი წარმომშობი ერისა და დროის სული.

ჰეგელის ესთეტიკაში ხელოვნების განვითარების მრავალსახოვანი ფორმები კონცენტრირებულია სამ ეპოქალურ სახეობაში, შესაბამისად, დადგენილია სამი ძი-

რითადი საფეხური: სიმბოლური (ძველი აღმოსავლური ხელოვნება), კლასიკური (ანტიკური) და რომანტიკული (ქრისტიანული). ხელოვნების მთელ რიგ ეპოქალურ ნაწარმოებებში („გილგამეში“, „ილიადა“, „შაჰნამე“...) გამოვლინდა თითოეული ამ ეტაპის თავისებურება. შესაბამის მასალაზე დაყრდნობით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამ მხრივ არც „ვეფხისტყაოსანი“ გამონაკლისი და მასში თავს იჩენს ხელოვნების ამ ფორმებისათვის ნიშანდობლივი თითქმის ყველა ელემენტი, რომლებიც პოემაში ერთ განუყოფელ მთლიანობას ქმნის.

ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკას განიხილავს, როგორც რთულ პოეტურ სისტემას. აღნიშნავს, რომ რომანტიკული და კლასიკური მსოფლგაგების სინთეზი, როგორც ჰარმონია სულიერსა და ხორციელს შორის, რუსთაველის პოეტურ ხელოვნებაში მრავალსახოვანი მხატვრული ფორმებით არის რეალიზებული.

გ. ასათიანი საუბრობს პოემის პერსონაჟებზე, როგორც ლიტერატურულ ხასიათებზე. მხატვრული განხორციელების პროცესში ისინი კონკრეტულ სახეებად, ხასიათებად, ცოცხალ ინდივიდებად იქცევიან.

დასკვნის სახით ნათქვამია, რომ რუსთაველის მხატვრულ სისტემაში გენიალური უბრალოებით არის გადაჯვარედინებული პოლუსური უკიდურესობები: წარმართული და ქრისტიანული, აღმოსავლური და ევროპული, ანტიკური და შუასაუკუნეობრივი, კლასიკური და რომანტიკული ფორმები. ეს უჩვეულო ჰარმონია გამოხატავს რუსთაველის გენიის თავისებურებას.

ლ. კ.

100. კ. ასანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური ღირსება

გაზ. „ჭიათურის მადაროელი“, 1966, 29 მაისი, № 103.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველთან საგნები, ეპითეტებში, მეტაფორებსა და შედარებებში გამოყენების გარდა, წარმოდგენილია ზმნურ ფორმებში. პოემაში ჰარმონიული შეგრძნების ძალას ქმნის რითმების სიმდიდრე, ამასთან პოემაში უხვად გვხვდება გამეორებული ფუძეები, რომლებიც ქმნიან აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, აძლიერებენ თხზულების მუსიკალურ ტონს და ანიჭებენ მას მაღალ ჰარმონიულ ჟღერადობას.

გ. ა.

101. იულიუს ასფალგი

[ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

თავის ინტერვიუში იგი ქებით მოიხსენიებს „ვეფხისტყაოსნის“ არტურ ლაისტისა და ჰუგო ჰუპერტის თარგმანებს და იქვე დასძენს: „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გერმანიაში მალე გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი“. ბოლოს აღნიშნავს, რომ თარგმნის კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიას“, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ვეფხისტყაოსანს“. „ამ წიგნის თარგმნით, – აღნიშნავს მეცნიერი, – გარკვეულ ვალს მოვიხდი დიდი შოთა რუსთაველის წინაშე“.

ბ. დ.

102. **Э. Афанасьева**

Витязь добра и правды

გაზ. «Советская культура», 1966, 24 სექტემბერი, № 114, გვ. 4.

წიგნში საუბარია ქართველი ხალხის დამოკიდებულებაზე რუსთველის პოემის მიმართ, რომელიც ამ სიყვარულმა სამაგიდო წიგნად აქცია, საუბრობს პოემის რუსულ თარგმანებზე, რომელთაგანაც გამოარჩევს კ. ბალმონტის ნაშრომს, საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე.

ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საიუბილეოდ მკითხველი საზოგადოება მიიღებს პოემის ახალ რუსულ თარგმანს. მთარგმნელი ნ. ზაბოლვევი, ილუსტრატორი – ლ. ცუცქირიძე.

გაზეთში დაბეჭდილია მხატვრის ერთი ილუსტრაცია.

თ. ხ.

103. **ლ. ავაქიძე**

შოთას მოტივებზე

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 24 აგვისტო, № 34, გვ. 2.

საუბარია სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს სამრეწველო-პოლიგრაფიული განყოფილების პროდუქციის შესახებ. განყოფილების თანამშრომლებმა საგანგებოდ საიუბილეო დღეებისთვის დაამზადეს ბოთლის ეტიკეტები შოთასეული ძველ-ქართული ჩუქურთმებით დამშვენებული, „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზეა მოხატული სიგარეტის კოლოფები, შოკოლადის კოლოფზე წარწერა „საიუბილეო“ და ლამაზად ამოტივტივებული „800“ თავისთავად ქმნის ამაღლებულ განწყობას.

თ. ხ.

104. **ნ. აფხაზავა**

„ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობა

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 28 მაისი, № 62.

ავტორი წერს, რომ რუსთაველი ქადაგებს ქართველი ხალხისა და პროგრესული კაცობრიობის საუკეთესო, მარადიულ ჰუმანურ იდეებს; უმღერის ადამიანს, მისი სახელის უკვდავებას, სილამაზეს, პატრიოტიზმს, ხალხთა შორის მეგობრობას.

ავტორის აზრით, რუსთაველმა გაცილებით ადრე და რადიკალურად გამოხატა ის ჰუმანური იდეები, რომლებიც საფუძვლად დაედო კაცობრიობის ახალ რენესანსულ კულტურას.

გ. ა.

105. **შ. აფხაიძე**

ირაკლი აბაშიძე

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 4, გვ. 111-119.

ავტორი მიმოიხილავს ირ. აბაშიძის პოეზიას. განსაკუთრებით გამოყოფს ლექსების ციკლს „პალესტინა, პალესტინა“. მისთვის რუსთაველი განსაკუთრებული მოვლენაა, უწოდებს მას დიდ ჰუმანისტს, მამულისთვის თავგანწირულს, დიდ პოეტსა და მოაზროვნეს.

თ. ხ.

106. გ. ახვლედიანი

სწავლის მოძღვარი

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი), 1966, 25 სექტ., გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველი, პოემაში შექმნილი სიტუაციებისა და პერსონაჟთა ურთიერთობის შესაბამისად, გამოთქვამს ბრძნულ აზრებს, იძლევა ისეთ დარიგებებს, რომლებიც ყველა ადამიანისათვის დასამახსოვრებელი და სახელმძღვანელო უნდა იყოს.

რუსთაველი მოითხოვს სიტყვისა და საქმის, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობას. ცოდნა მაშინ არის ღირებული, როცა მას პრაქტიკულად ვიყენებთ.

გ. ა.

107. გ. ახვლედიანი

ბარათაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 14 იანვარი, № 9, გვ. 3.

ავტორი მიიჩნევს, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია უსათუოდ საზრდოობდა ძველი ქართული მწერლობით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“, ამიტომ „მერანის“ შორეულ სათავეს სწორედ რუსთაველის პოემაში ეძიებს. მას მოაქვს პარალელური ადგილები, რომლებიც ცხადყოფენ ამ ორი პოეტის შემოქმედებით კავშირებს. მაგალითად: ავთანდილის ანდერძიდან: „თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხოზელმან, ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს შშობელმან...“ და „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის“, ან კიდევ: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი... სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ და „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამ-ზღვარი...“ და სხვა, და ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. სწორედ რუსთაველითაა შთაგონებული ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსებიც, რაც ამ ორი პოეტის სულიერი ნათესაობის დასტურია.

თ. ხ.

108. ხ. ახვლედიანი

„ვეფხისტყაოსნის“

პროპაგანდა აჭარის სახელმწიფო მუზეუმში

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 18 სექტემბერი, № 181, გვ. 3.

წერილის ავტორი გვიამბობს მოძრავი გამოფენის შესახებ, რომელიც შედგება ოთხი თემისაგან: 1) შოთა რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება; 2) „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები სხვადასხვა ენაზე; 3) რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები. 4) რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები, დაცული აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

თ. ხ.

109. **М. Ахметели**

Вторая жизнь Оперы

(„თქმულება ტარიელზე“ თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე)

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 8 დეკემბერი, № 286, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას საოპერო წარმოდგენაზე „თქმულება ტარიელზე“. ოპერა, რომლის ავტორია კომპოზიტორი შალვა მშველიძე, რუსთაველის პოემის მიხედვით შექმნილი პირველი მუსიკალური სასცენო ნაწარმოებია, ამოზრდილი აბესალომ და ეთერის კლასიკურ ტრადიციებზე. წარმოდგენა პირველად 1946 წ. დაიდგა (რეჟ. ალ. წუწუნავა, მხატვარი – ს. ქობულაძე), 20 წლის შემდეგ კი მეორედ ნახა მაყურებელმა თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე (დამდგმელი რეჟ. გურამ მელივა, მუს. რეჟ. ჯ. კახიძე). როგორც რეცენზენტი აღნიშნავს, რეჟისორი რთული შემოქმედებითი ამოცანის წინაშე იდგა – სურდა წარმოდგენის ძირითად ფაქტორად მუსიკა დაეტოვებინა და მას ეს გამოუვიდა, შეძლო მოემეხა წარმატებული სცენური პოზიცია შემსრულებელთათვის – გუნდისა და სოლისტებისათვის.

ავტორი მსჯელობს იმ შემოქმედებით მეთოდებზე, რომელიც რეჟისორმა გამოიყენა, მთლიანობაში მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს, მაგრამ გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნასაც. კერძოდ, მისი აზრით, გუნდის (მსახიობთა) საცეკვაო მოძრაობები არ შეესაბამება შ. მშველიძის მუსიკის ეპიკურ ხასიათს და ამოვარდნილია სცენის საერთო სურათიდან. ფერმკრთალი და ნაკლებ გამომხატველია ავთანდილისა და თინათინის სახეები 1 სურათის განმავლობაში. არადამაჯერებელია ქაჯეთის აღების სცენა. სადავოა ფინალის გადაწყვეტაც. უფრო წარმატებული იქნებოდა მისი გადაწყვეტა სანახაობრივ პლანში.

ავტორი საუბრობს მსახიობთა ოსტატობაზე, გუნდზე, სპექტაკლის მხატვრობაზე (მხატვარი კ. კუკულაძე). დასასრულ, გამოთქვამს წუხილს, რომ სპექტაკლის ჩვენება ვერ მოხერხდა რუსთაველის საიუბილეო დღეებში. **ლ. კ.**

110. **Р. Ахпателов**

Выставка – сказительница

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 4.

მხატვარ რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრების გამოფენა სამხატვრო სალონში რუსთაველს მიემდგვნა. წარმოდგენილი იყო 50-მდე სურათი, რომელთა შორის წამყვანია თემა: საქართველოს ოქროს საუკუნეში შექმნილი არქიტექტურული ძეგლები: გელათი, ვარძია, ხერთვისი, აწყური და სხვა. **ლ. კ.**

111. **Д. Бабунашвили**

Великий мыслитель

გაზ. «Кутаисская правда», 1966, 14 ივლისი, № 84, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსანს“ ავტორი ე. წ. ფილოსოფიურ პოემათა რიგს მიაკუთვნებს, რომლის მიზანია გვიჩვენოს, რომ კეთილის ძალმოსილება უსაზღვროა და იგი ყოველთვის ძლევს ბო-

როტს. ავტორი მიმოიხილავს პოემაში გამოთქმულ შეხედულებებს იმქვეყნიური სამყაროს, ბედისა და უბედობის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთისა და ბოროტების, ნათელისა და ბნელის შესახებ.

ავტორის აზრით, შოთამ, როგორც აღმოსავლური რენესანსის მეზარაღემ, წაშალა ყველა საზღვარი, გადალახა ყველა ბარიერი და თვალშეუდგამ სიმაღლეზე დამკვიდრდა.

თ. ხ.

112. Ю. Б.

Подарок к торжествам

გაზ. «Советская культура», 1966, 1 ოქტ., № 117, გვ. 3.

წერილის შესავალ ნაწილში ავტორი ეხება ქართული პოეტური სიტყვისა და ილუსტრირების (წიგნის, ხელნაწერის მხატვრულ გაფორმების) ისტორიას. ამის შემდეგ მკითხველს წარუდგენს შ. ამირანაშვილის მონოგრაფიას „ქართული მინიატურა“, რომელიც 1966 წელს გამოიცა. წიგნში შესულია ვრცელი კვლევითი მასალა და რეპროდუქციები ძველი მინიატურებისა, რომლითაც ილუსტრირებულია „ვეფხისტყაოსანი“.

ლ. კ.

113. მიქაელ ზაზურიანი

„ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ენაზე

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 9, გვ. 111-116.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკასთან დაკავშირებული პირველი ცნობები სომხურ სინამდვილეში XVII საუკუნეს განეკუთვნება. მანამდე სომხური ლიტერატურა და ისტორიოგრაფია რუსთაველსა და მის პოემაზე ცნობას სულ არ გვაწვდის.

1860-62 წლებში ჟურნალ „კრუნკის“ ნომერებში სტეფანე ბასტამიანი **სარგისის** ფსევდონიმით აქვეყნებს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ორი თავის თარგმანს (მას კლასიკურ გრაზარზე უთარგმნია აგრეთვე „თამარიანის“ 22 სტროფი).

1896 წ. თბილისში გამოიცა პოემის შემოკლებული პროზაული თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნის შემდგომი ეტაპი პოეტ ვ. ტერიანის სახელთან არის დაკავშირებული. მას მოუსწრია მხოლოდ 12 სტროფის თარგმნა. ნ. მარი მაღალ შეფასებას აძლევდა ტერიანისეულ თარგმანს.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ნაწყვეტები სხვადასხვა დროს უთარგმნიათ ლ. მელიქსეთ-ბეგს, ო. კარაპეტინს, ვ. სიმონიანს, გ. მურადიანს და ანტ. აუშტიანს.

1937 წ. სომხურმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა ქართველოლოგ გ. ასატურის მიერ შესრულებული სრული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. **გ. ა.**

114. ქ. ზაგრატიშვილი

მხატვარ ალექსანდრე ბერიძის ჩანახატი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 18 თებერვალი, № 8, გვ. 2.

ავტორი გვაცნობს რომანოზ გველესიანის სამუშაო ალბომში მოთავსებულ ალექსანდრე ბერიძის მიერ შესრულებულ რუსთაველის ოვალური ფორმის მინიატურულ

პორტრეტს და იქვე მოთავსებულ ა. წერეთლის ლექსს „შოთა რუსთაველის სურათ-ზედ“. მათ ახლავს თარიღი: 28 დეკემბერი, 81 წ. აქედან ირკვევა, აკაკის ლექსი დაწერილია არა 1882 წელს, როგორც მიღებულია, არამედ ერთი წლით ადრე. ა. ბერიძე ესწრებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემის მომამზადებელი კომისიის სხდომებს. **ბ. დ.**

115. ბ. ბაკურაძე

დიდი სიყვარულით

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მიერ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე. აღნიშნულია, რომ 1200-ზე მეტმა ლექტორმა, რომელთა შორის არიან ცნობილი მეცნიერები, ჩაატარა 4000-ზე მეტი ლექცია საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სკოლებში.

მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, საჩხერის, წალენჯიხისა და სხვა რაიონული ორგანიზაციები. **გ. ა.**

116. Б. Бакурадзе

Его услышит весь мир

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 20 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

წერილში საუბარია საზოგადოება „ცოდნის“ ინიციატივაზე – საზოგადოების ძალისხმევით მთელ საქართველოში დაიწყო ლექცია-სემინარები რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, ჩატარდა 4000-მდე ლექცია, რომლებიც წაიკითხა 1200-ზე მეტმა გამომჩენილმა მეცნიერმა. საწარმოებს, სასწავლო დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეწვივნენ: აკად. ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, გ. ტორაძე და სხვები. 23-24 აპრილს ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ: აკად. ალ. ბარამიძე, პროფ. ს. ჩიქოვანი, დოც. გ. გვერდწითელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: ს. ცაიშვილი, გ. გაფრინდაშვილი. **თ. ხ.**

117. იაკობ ბალახაშვილი

„ვარდთა აკოცა ზაგითა, მითვე ვარდისა დართთა“

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 13.

როგორც ავტორი წერს, პოეტური შედარების ან მეტაფორის შესაქმნელად ვარდს ხშირად იყენებენ ჩახრუხაძე, შავთელი და „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი. ამავ მიზნით იხმარება ის ისტორიკოსების – არსენ ბერისა და ბასილი ეზოს-მომღერის მიერ.

„ვეფხისტყაოსანში“ ვარდი დასახელებულია 140-ჯერ. მისი დახმარებით დახატულია ხან გაზაფხულის სურათი, ხან ქალის სახე (მთლიანად), ან ზაგეები, ლაწვები და ა. შ. ვარდი ზოგჯერ სატროს ან ქალწულებრივი სილამაზის სიმბოლოა. **გ. ა.**

118. **К. Бальмонт**

Месх-волшебник

გაზ. „Лит. газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 3.

პუბლიკაცია მომზადებულია ლ. ანდლულაძის მიერ და ახლავს განმარტება, რომ მასალა აღებულია კ. ბალმონტის არქივიდან და მისი სრული ტექსტი დაიბეჭდება ჟურნალში „Дружба народов“, № 9.

კ. ბალმონტის აზრით, შეიძლება წარმოვიდგინოთ შოთა რუსთველის ორი სახე, ორი პიროვნება: პირველი – ესაა სახე თამარ მეფეზე უიმედოდ შეყვარებული პოეტისა, რომელიც შემოუნახავს ხალხურ ლეგენდებს. იგი თამარს უმღეროდა ტკბილ-ხმოვან ოდებში და უმღერა „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში თამარი განსახიერებულია თინათინის პიროვნებაში. სიყვარულით გულდამწვარი რუსთაველი წავიდა იერუსალიმში, ბერად აღიკვეცა ჯვარის მონასტერში და იქვე გარდაიცვალა.

მეორე სახეა დიდებული პოემის შემქმნელი პოეტის სახე. რთულად აგებული მისი თხზულება ინდურ პაგოდას მოგვაგონებს, მდიდრულს და სხივმფენს, რომელიც გვხობლავს ფერადი ხალიჩებითა და ორნამენტებით. კ. ბალმონტი მიუთითებს ზოგიერთ მსგავს მხატვრულ მოტივზე „ტრისტან და იზოლდაში“.

გ. ა.

119. **კ. ბალმონტი**

რუბრიკა: რუსული კულტურის მოღვაწენი რუსთაველზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტემბერი, № 214, გვ. 3.

რუსთაველის პოემის პირველი რუსული თარგმანის ავტორი კ. ბალმონტი 1917 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში წერდა, რომ მან სიჭაბუკეშივე იმოგზაურა საქართველოში და მოჯადოებულმა გადაწყვიტა რუსულ ლექსში აემეტყველებინა რუსთაველის პოემა, „ყოველი ქართველისათვის ეს წმიდათაწმიდა პოეტური ქმნილება“. „ერი, თუ იგი დიადია, შექმნის სიმღერას და თავის წიაღში გამოზრდის მსოფლიო პოეტს, საუკუნეთა მანძილზე ასეთი გვირგვინოსანი იყო შოთა რუსთაველი...“ „ვეფხისტყაოსანი“ ეს სიყვარულის საუკეთესო პოემაა, რომელიც ოდესმე შექმნილა ევროპაში, სიყვარულის ცისარტყელაა, ცეცხლოვანი ხიდია – ცისა და მიწის დამაკავშირებელი“.

ი. წ.

120. **Н. Бальмонт-Бруни**

Бальмонт и Грузия

ჟურ. «Литературная Грузия», 1966, № 9–10, გვ. 113–120.

ავტორი თავიდანვე აცხადებს, რომ მამის – კონსტანტინე ბალმონტის, 100 წლის-თავთან დაკავშირებით, განზრახული აქვს მოიძიოს მასალა და შეადგინოს ბიბლიო-გრაფია, სადაც განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ნაკვეთს „ბალმონტი და საქართველო“. ამ მიზნით ნ. ბალმონტ-ბრუნი ეწვია საქართველოს და, მისდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრე, არამედ თითოეული ქართველი იცნობს და აფასებს კ. ბალმონტს.

ავტორი იხსენებს საქართველოში სტუმრობას, ყველას, ვინც მას სიყვარული და სითბო აგრძნობინა, იხსენებს იმ პერიოდს, როცა მშობლებთან ერთად, გარკვეული დროით ცხოვრობდა საქართველოში.

წერილში საუბარია კ. ბალმონტის დამოკიდებულებაზე საქართველოს მიმართ, რუსთაველისადმი მის დიდ სიყვარულსა და მოკრძალებაზე.

ავტორი აქვეყნებს კ. ბალმონტის მიმოწერას მეუღლესთან, ასახულია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის პროცესი, მისი ამაღლებული განწყობა, ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება პოემის ახალი თარგმანისა და მთარგმნელის მიმართ, რამაც ეს სიტყვები ათქმევინა კ. ბალმონტს: „Мой труд был не напрасен“.

წერილი სრულდება შოთასადმი მიძღვნილი ორი სონეტით, რომელიც ავტორმა – კ. ბალმონტმა 1915 წელს ერთ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა. ესენია «Два цвета» და «Блеск боли». **თ. ბ.**

121. Н. Бальмонт-Бруни

Бальмонт и „Вепхисткаосани“

ჟურ. «Огонек», 1966, № 38, გვ. 13.

ავტორი იხსენებს თავის ბავშვობას, იმ დროს, როდესაც მამისგან პირველად შეიტყო „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. 1912 წელს, კანარის კუნძულებისაკენ მოგზაურობისას კ. ბალმონტი გეშე შეხვდა ო. უორდროპს, რომელმაც პოეტს გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი ინგლისურ ენაზე. აქედან იწყება კ. ბალმონტის დაინტერესება რუსთაველის შემოქმედებით. ბალმონტის ოჯახს სტუმრობდნენ პ. იაშვილი და ტ. ტაბიძე, რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევდა კ. ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის პროცესში.

1915 წ. კ. ბალმონტს დიდი შემოქმედებითი საღამო მოუწევს თბილისში. მან წაიკითხა ლექსი რუსთაველისადმი (მოტანილია ფრაგმენტები ლექსისა). 1917 წელს გამოიცა პირველი რუსული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ კ. ბალმონტის წინასიტყვაობით.

ლ. კ.

122. В. Балухавили

Содружество

გაზ. «Заря Востока», 1966, 23 სექტემბერი, № 219, გვ. 4.

საუბარია კ. ბალმონტის ინტერესზე საქართველოს, ქართული კულტურის, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, მან შექმნა პოემის პირველი სრული პოეტური თარგმანი. პოეტი 1914 წლის აპრილში სტუმრად იყო საქართველოში. 12 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მას შეხვედრა მოუწყო, რომელზეც სიტყვით გამოვიდა აკ. წერეთელი, მსახიობი კ. მესხი, პოეტი და ჟურნალისტი ა. ყანჩელი, რომელსაც განსაკუთრებით დაუახლოვდა რუსი პოეტი, სისტემატურად სწერდა წერილებს და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებდა.

წერილის ავტორი საუბრობს კ. ბალმონტის და პ. იაშვილის მეგობრობაზე, რასაც საფუძველი 1913 წ. პარიზში ჩაეყარა.

მიმოხილულია ზოგადად კ. ბალმონტის რუსთველოლოგიური მოღვაწეობა.

თ. ბ.

123. შ. ბანძელაძე

საიუბილეო მზადება

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლისი, № 173, გვ. 3.

მოკლე ცნობა, რომ რუსთაველის საიუბილეოდ წყალტუბოს რაიონის სოფ. დღნორისში გაიმართა ლიტერატურული საღამო.

ბ. დ.

124. **Микола Бажан**

Слово, возвышающее дух

გაზ. „Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავი სასიხარულო დღესასწაული იქნება ქართველი ერისათვის, ყველა მისი მეგობრისა და პროგრესული კაცობრიობისათვის. რუსთაველის დღეები – ესაა დღეები მთელი ქართული ლიტერატურისა, რაც იმას ადასტურებს, რომ საუკეთესო ტრადიციების სათუთად დაცვა არ ნიშნავს თემის, სტილის, პოეტური გამოხატვის ფორმებისა და საშუალებების გაბედულ, ნოვატორულ ძიებებზე უარის თქმას.

რუსთაველის სიტყვა აღელვებს და ამდიდრებს თანამედროვე ადამიანების ცოცხალ აზრს, განამტკიცებს და ამაღლებს მათ სულს.

გ. ა.

125. **მ. ბაჟანი**

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ნოემბ., № 257, გვ. 3.

„შვიდ საუკუნეზე მეტია, ქართველი ხალხი გულით ატარებს თავისი სულის, თავისი კულტურის, თავისი პოეზიის ყველაზე დიდ სათაყვანო საუნჯეს, იცავდა მას მძარცველებისა და მოსპობისაგან, დამცირებისა და დაღუპვისაგან. და აი ახლა თავისუფალ სოციალისტურ საქართველოს მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში – ქართული სიტყვის მარად-ჩაუქრობელი ლამპარი, მშვენიერი და ვაჟკაცური პოემა ადამიანთა მეგობრობასა და სიყვარულზე, გმირებზე, რომელთაც სწამთ ნათელი მომავალი, იბრძვიან მისთვის და ამარცხებენ ჩაგვრის, თარეშის, ძალმომრეობის შავბნელ ძალებს“.

გ. ა.

126. **მ. ბაჟანი**

ფიქრები შოთა რუსთაველზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 ნოემბერი, № 268, გვ. 3.

გამოხატავს თავის სიყვარულს რუსთაველის პოემის მიმართ, რომელიც, მისი აზრით, იმედის, ბრძოლაში ძალის, თავისი ხალხისათვის ეროვნული სიამაყის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც საუკუნეების შემდეგ უფრო ფასეული და მნიშვნელოვანი გახდება. იგი პოემას „ქართველი და ყველა მოძმე ხალხის სიამაყეს“ უწოდებს.

თ. ხ.

127. Кетеван Бараташвили

Неизвестный портрет Руставели

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 19 ივლისი, № 167, გვ. 3;

ჟურ. «Литературная Грузия», 1966, № 5.

ავტორი ზოგადად ლაპარაკობს ნიკო ფიროსმანის „ვეფხისტყაოსნის“ თემით გატაცებაზე და ბეჭდავს მის მიერ ნახატ შოთა რუსთველის პორტრეტს, რომელიც დიდუბეში მდებარე „შავი ვანოს“ დუქნის კედელზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. **ბ. დ.**

128. ალექსანდრე ბარამიძე

1966 – რუსთველის საიუბილეო

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 1 იანვარი, № 1, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველის საიუბილეოდ გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებიანი გამოცემა, თავისი მონოგრაფია „შოთა რუსთველი“, რუსთველისადმი მიძღვნილი ორი კრებული, მოეწყობა სამეცნიერო სესიები და სხვა. **ბ. დ.**

129. ალ. ბარამიძე

გაზეთ „ტყიბულის“ რედაქციას

გაზ. „ტყიბული“ (ტყიბულის რ-ნი), 1966, 18 იანვარი, № 8, გვ. 1.

რედაქციის პასუხად ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობას ქართველთა და უცხოელთათვის და იწონებს გაზ. „ტყიბულის“ რედაქციის თაოსნობას, თავის ფურცლებზე გამოაქვეყნოს „ვეფხისტყაოსანი“. იქვე აღნიშნავს, რომ ფორმა „რუსთველი“ და „რუსთაველი“ ორივე „სწორია და კანონზომიერი“, მაგრამ თვითონ უპირატესობას ანიჭებს შეკუმშულ ფორმას, რადგან პოემაში ასეა. **ბ. დ.**

130. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთველი და მისი პოემა

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1966, 528 გვ.

სარჩევი: ავტორისაგან. შესავალი. „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი. მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები:

1. „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი. 2. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. 3. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს საკითხი.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური კომპოზიცია. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემისა და მთავარი პერსონაჟების შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრისათვის. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები:

1. სიყვარული და ქალის თაყვანისცემა; 2. ძმობა-მეგობრობა და ძმადნაფიცობა; ხალხთა მეგობრობა; 3. პატრიოტიზმი.

რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი; რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობის შესახებ. რუსთაველის მახლობელი წინამორბედი და თანამედროვენი ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში. რუსთაველის ენის შესახებ. რუსთაველის მხატვრული ენის თავისებურებანი. რუსთაველის ლექსი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები. ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი:

1. ინდო-ხატაელთა ამბავი. 2. ხვარაზმელთა ამბავი. 3. ომინიანი.

რუსთაველის ეგრეთ წოდებული არმოღწეული თხზულებების შესახებ. ბრძოლა რუსთაველის გარშემო. პირთა სამიელები.

განმაზოგადებელ-შემაჯამებელი ხასიათის ნაშრომში მოკლედ, სისტემატურად და თანმიმდევრულად, ლოგიკური მსჯელობითა და გასაგები ენით გაშუქებულია „რუსთველოლოგიის ყველა ძირითადი საკითხი. ნაშრომი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის“.

ნაშრომი შეიცავს სპეციალური ლიტერატურის ფართო მიმოხილვას. (ამ წიგნის 1958 წლის გამოცემის შესახებ იხ. ანოტაცია № 2557). გ. ი.

131. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ჟანრის განსაზღვრისათვის
კრებ. „თბილისი უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 124-132.

„ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ჟანრის შესწავლის საკითხს ავტორი გაკვეთით ეხება პოემის რუმინულ ენაზე მთარგმნელის – ვ. კერნზახის, ზ. ავალიშვილის, ნ. მარის მოსაზრებათა ზოგადი განხილვით და აღნიშნავს, რომ «რუსთველი პოემაში ძლიერ ამყდავენებს თავის პირადულ, სუბიექტურ განწყობილებას», «სუბიექტური, ლირიკულ-ემოციური სულისკვეთებით მსჭვალავს ნაწარმოებს» (გვ. 125). მისი დაკვირვებით, «„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ კარს ლირიკული პრელუდიის სახით უძღვის სოფლის სამდურავი» (გვ. 126). რუსთველი არ მალავს თავის სუბიექტურ განწყობილებებს, გულლიად გამოხატავს თავის ლირიკულ განცდებს; „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ბოლომდის მსჭვალავს ძლიერი ლირიზმი (იქვე). მიუხედავად ამისა, «რომანტიკულობა ვერ ამოწურავს პოემის მთელ ჟანრობრივ თავისებურებას» (გვ. 127).

პოემის ჟანრის განსაზღვრაში ავტორი ითვალისწინებს ვ. შიშმარიოვის, ვ. ჟირმუნსკის, ი. ორბელის, მ. ბოურას, ი. კენჭოშვილის, ნ. ურუმადის გამონათქვამებს და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივი კვალიფიკაციისათვის სრული და ამომწურავი არ არის ფორმულა „რომანტიკული ეპოსი“ („რომანტიკული პოემა“) ან „ნაციონალური რომანტიკული ეპოსი“» (გვ. 131). „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილად ნაციონალური ეპოსის უმშვენიერესი ძეგლია, რომელიც სრულყოფილად გამოხატავს ხალხის გულისთქმას, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ხსნის პოემის სპეციფიკურ ჟანრობრივ რაობას». ავტორის აზრით, «საკუთრივ ნაციონალური ის ეპიური ძეგლი იქნება, რომელიც ამა თუ იმ ხალხის ისტორიულ წარსულს, ისტორიულ გადმოცემებს ან ისტორიულ ამბებს აგვიწერს ძირითადად მაინც». ნ. ურუმადის მოსაზრების კრიტიკული განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ «ვერც ფართო სოცია-

ლური დიაპაზონით, ვერც შინაარსისა და კომპოზიციის მთლიანობით და ვერც ლირიკული სუბიექტივიზმით ვერ აიხსნება „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივი სპეციფიკის საკითხი» (იქვე).

ავტორის დასკვნით, უფრო სრულყოფილია ალ. ცაგარლის მიერ 1873 წელს შემთხვევით ნახმარი ფორმულა „რომანტიკული გმირული პოემა“. „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შინაარსობრივ თავისებურებას ეს ფორმულა უფრო სწორად გამოხატავს. „ვეფხისტყაოსანში“ არაჩვეულებრივი ჰარმონიულობით ერწყმის და ექსოვება ერთიმეორეს სიყვარული და ძმობა-მეგობრობა, რომანტიკა და ჰეროიკა» (გვ. 132).

გ. ი.

132. ალ. ბარამიძე

**შუასაუკუნეთა მსოფლიო ეპიკური პოეზია და
„ვეფხისტყაოსანი“**

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 27 მაისი, № 22, გვ. 2, 4.

მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკურ-იდეურ და მსოფლმხედველობრივ საკითხებს განიხილავს მისი დროის აღმოსავლეთის (სპარსულ) და დასავლეთ ევროპის ცნობილი ეპიკური თხზულებების ფონზე, მოკლედ ახასიათებს ყოველ მათგანს და წარმოაჩენს რუსთაველის მსოფლმხედვისა და შემოქმედებითი ოსტატობის უპირატესობას. როგორც მკვლევარი წერს, „ვისრამიანის“ სიუჟეტი აგებულია მეუღლეთა შორის ღალატსა და ტყუილზე. მისი პერსონაჟები მდაბიო ხორციელი ჟინით შეპყრობილნი არიან. ნიჟამი განჯელის „ლეილმაჯნუნისა“ და „ხოსროვშირინისაში“ სუფისტური რწმენა ბატონობს. მათ პერსონაჟებს ამქვეყნად ბედნიერება არ ეღირსებათ; ისინი იმ განწყობით ცხოვრობენ და იხოცებიან, რომ საიქიოში შეერთდებიან მარადიული სიყვარულით.

ვ. ფონ ეშენბახელის „პარცივალი“ იდეალად მიიჩნევს ასკეტურ განდეგილობასა და ქრისტიანული რელიქვიების სამსახურს. კრეტიენ დე ტრუას „ლანსელოტში“ ასახული სიყვარული კურტუაზულია, მანერული და სხვადასხვა პირობითობით შეზღუდული.

„ტრისტან და იზოლდას ამბავში“ სიყვარულის მიზეზი ხდება ჯადოსნური სასმელი, მათ თავდავიწყებულ ერთუთრის ნდომას კი საჩოთირო მოქმედებები ახლავს, მაგ., ტრისტანი ღალატობს და არცხვენს თავის ბიძას, სახელოვან მეფე მარკს.

ავტორის სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის ერთგულების დიდებული ჰიმნია; რუსთაველი უმდერის ქალწულის უმანკო გრძნობებს და ოჯახურ სიწმინდეს. იგი ქადაგებს ქალის გრძნობების ემანსიპაციას და უარყოფს მის ძალდატანებით გათხოვებას. რუსთაველი ბუნებრივი, თავისუფალი სიყვარულის მეხოტბეა. **გ. ა.**

133. ალ. ბარამიძე

ხელიხელ საგოგმანები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 15 ივნისი, № 137, გვ. 3-4.

ავტორი მოკლედ და მონოგრაფიულად განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“. შესავალში დახასიათებულია რუსთაველის ეპოქა, როგორც „ძველი საქართველოს სოცია-

ლურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უმაღლესი საფეხური“.

წერილში აღნიშნულია, რომ პოემა შედგება სამი ნაწილისაგან და გვაცნობს პროლოგსა და ეპილოგთან დაკავშირებულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს.

შედარებით ვრცლად განხილულია პოემის სიყვარულის მოტივი. ავტორის სიტყვებით, „რუსთაველის შემოქმედების საგანია არა მისტიკური საზეო, საღვთო საქმე, არამედ საამქვეყნიო, მიწიერი, ხორციელი, ანუ სხვანაირად – რეალური, ბუნებრივი, ადამიანური გრძობა“, რომ პოემაში ასახულ „სიყვარულს საერთო არაფერი აქვს არც აღმოსავლურ მისტიკასა და ეროტიკასთან, არც დასავლურ უსაგნო რაინდულ ტრფიალებასთან ან ეგრეთ წოდებულ პლატონურ სულიერ გატაცებასთან“. პოემის ღირსებად აღნიშნულია, რომ „რუსთაველური სიყვარული საფუძვლად ედება მეუღლეობას“, რომ მისი „პერსონაჟი ქალები... იმორჩილებენ წადილს, გრძობებს არ თიშავენ გონებისაგან. საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ“ და ა. შ.

ამის შემდეგ საუბარია მეგობრობასა და ძმადნაფიცობაზე, რომელიც „ბუნებრივად გადაიზარდა ხალხთა მეგობრობაში“.

სოციალურ საკითხზე მსჯელობისას ნაჩვენებია, რომ „პოეტი გადაჭრით გმობს ფეოდალურ გათიშულობასა და განკერძოებას. იგი ავითარებს გაერთიანებული, შემჭიდროებული, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობისა და ერთმეფობის პრინციპს“. ამისათვის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროდ პატრიოტიზმია დასახელებული.

„ვეფხისტყაოსნის“ რელიგიურ აღმსარებლობაზე ნათქვამია: „რუსთაველი გვიმჯავნებს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ მიდრეკილებას. მაგრამ გენიალური ქართული პოემა ანტიდოგმატიკური, ანტიკლერიკალური ნაწარმოებია. რუსთაველი გვერდს უხვევს რელიგიის საწესო მხარეების ჩვენებას. პირდაპირ ერთხელაც კი არ ახსენებს ქრისტეს, წმინდანებს ან სამპიროვან ღვთაებას“, რომ „თავისი იდეებით, თავისი განწყობილებით „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილი გამოწვევა იყო ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოებისა“.

ნაშრომის ბოლოს დახასიათებულია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მხარე – პერსონაჟთა სახეები, მხატვრული ენა. ნათქვამია, რომ „რეალისტურია რუსთაველის მხატვრული ასახვის მეთოდი“. „ვეფხისტყაოსანი“ ჟანრობრივად შედარებულია აღმოსავლურ და დასავლურ შესაბამისი ეპოქის თხზულებებთან.

დასკვნაში წერია: „რუსთაველის პოემის საკაცობრიო მნიშვნელობა ის არის, რომ ქართველმა ავტორმა რელიგიურ-მისტიკური აზროვნების შუასაუკუნეობრივი შეუზღუდავი ბატონობის პირობებში ბუმბერაზული პოეტური ხმით უმღერა გრძობების თავისუფლებას, რელიგიურ შემწყნარებლობას, ადამიანის მატერიალურ ცხოვრებას, საამქვეყნიო ზნეფაქიზ სიყვარულს... საყოველთაო ფეოდალური გათიშულობისა და ურთიერთშუღლის ეპოქაში რუსთაველმა წარმოგვიდგინა ხალხთა ძმობისა და თანამეგობრობის, ხალხთა და სახელმწიფოთა კეთილშობილური თანამშრომლობის მომხიბლავი იდეალები. ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნით“ მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა საკუთარი, შთამბეჭდავი პოეტური სიტყვა. მსოფლიო პოეზიის საგანძურში რუსთაველმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა“.

ბ. დ.

134. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობა

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 23 ივნისი, № 73.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველი ასაბუთებს თავისუფალ, ძალდაუტანებელ, სიყვარულზე დამყარებულ მეუღლეობას. პოემის გმირების მოქმედებას წარმართავს მათი თავისუფალი ნება. პოეტი ბრძნული სიმშვიდით აფასებს სიკვდილს, როგორც ბუნების მკაცრ და გარდუვალ კანონზომიერ მოვლენას. რუსთაველი შეგნებულად გაურბის თავისი დროის მწერლობისათვის დამახასიათებელ მოჭარბებულ ფანტასტიკურობასა და ზღაპრულობას. რეალისტურია რუსთაველის მხატვრული ასახვის მეთოდი. მკვლევარი ადარებს „ვეფხისტყაოსანს“ „ტრისტან და იზოლდას“ და თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების პიროვნული თავისუფლება მათს სიყვარულს რენესანსულ ხასიათს აძლევს, ხოლო „ტრისტან და იზოლდას“ პერსონაჟების მოქმედებას წარმართავს ბედისწერის ბრმა კანონი და არა მათი პირადული ნება-სურვილი. წერილის ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ ადარებს აგრეთვე აღმოსავლეთის პოეტების ნაწარმოებებს (კერძოდ, ნიჰამის „ხოსროვშირინიანს“) და ამბობს, რომ შირინს აკლია კდემამოსილება, თავმოყვარეობა და ქალური ღირსების შეგრძნება. რუსთაველის პოემის საკაცობრიო მნიშვნელობა ის არის, რომ მან უმღერა გრძნობების თავისუფლებას, რელიგიურ შემწყნარებლობას, ადამიანის ამქვეყნიურ ზნე-ვაქიზ სიყვარულს. **თ. ნ.**

135. ალ. ბარამიძე

რუსთაველის მსოფლმხედველობის თაობაზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 ივლისი, გვ. 3.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ საქართველოში მართლმადიდებლური ქრისტიანული აღმსარებლობის სუფევის დროს ისეთი რეალისტური ნაწარმოების შექმნა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების გამოწვევა იყო.

სტატიაში ნათქვამია, რომ რუსთაველი გვიხატავს XII ს. მოწინავე ქართული საზოგადოების გუნება-განწყობილებას და იდეურ-პოლიტიკურ ზრახვებს. ეს გუნება-განწყობილებანი და იდეურ-პოლიტიკური ზრახვები ბევრი რამით გვაგონებენ იმას, რაც ე. წ. ევროპული აღორძინების („რენესანსის“) ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს. შოთა რუსთაველმა ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე უმშვენიერესი პოეტური ენით აგვისახა ევროპული რენესანსისათვის დამახასიათებელი სულიერი განწყობილებანი და იდეური მიდრეკილებანი.

„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ხალხის სასიქადულო ეროვნული განძია, მაგრამ მისი მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ფარგლებს. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო პოეზიის შედეგია. ქართველმა ხალხმა თავისი დიდებული პოემით მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა საკუთარი, შთამბეჭდავი პოეტური სიტყვა. მსოფლიო პოეზიის საგანძურში რუსთაველმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი, მან შეავსო და გაამდიდრა ეს საგანძური. **ც. ე.**

136. **ალ. ბარამიძე**

Вдохновенный гимн любви

გაზ. „Заря Востока“, 1966, 11 სექტემბერი, №209, გვ. 3.

ავტორი მიმოიხილავს ავსტრიელი მწერლის ა. ზუტნერის შეხედულებებს. მან ერთმანეთს შეადარა „ვეფხისტყაოსანი“, ანტიკური პოეტური სამყარო და შუასაუკუნეების დასავლეთევროპული ეპიკური თხზულებები. ავტორი ასევე მიმოიხილავს ა. ვესელოვსკის, ნ. მარის, ვ. შიშმარიოვის, ზ. ავალიშვილისა და იმ მეცნიერთა თვალსაზრისებს, რომლებმაც გამოავლინეს არა ერთი და ორი საერთო დამახასიათებელი ნიშანი XII-XIII საუკუნეების დასავლეთევროპულსა და ქართულ სარაინდო თხზულებებს შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნ. მარის შეხედულებას, რომ „პატრონყმობა“ ქართველთათვის დამახასიათებელი მოვლენაა, ხოლო „ქალის კულტი“ – თამარის ეპოქის ქართული საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება.

ავტორი მიმოიხილავს დასავლეთევროპულ რაინდულ რომანებს: ფონ ეშენბახის „პარციფალს“, კრეტიენ დე ტრუას „ლანსელოტს“ და გამოკვეთს ქართულ და ევროპულ სარაინდო რომანთა შორის მსგავსება-განსხვავებას. წერილში განხილულია აგრეთვე აღმოსავლური პოეზიის ნიმუშები. ავტორი წერილს კ. ბალმონტის სიტყვებით ასრულებს: „ბევრი დიდი პოეტი და მოაზროვნე სიკვდილით ამტკიცებს სიყვარულის უკვდავებას, რუსთაველი მათზე მაღლა დგას... თავისი პოემის გმირებს გადააღახვინებს რა უამრავ დაბრკოლებას, დაამლევიანებს რა უამრავ სირთულეს, სიცოცხლეს ისეთი ძალით გამოაბრწყინებს, რომ სიკვდილი მისგან ძლეული ხდება, მათ სიკვდილი აღარ ძალუძთ და სწორედ ამაშია ქართველი პოეტის უპირატესობა“.

თ. ბ.

137. **ალ. ბარამიძე**

პოეტის ბიოგრაფიიდან

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 25 სექტ. გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ერთ-ერთი წყარო თვით „ვეფხისტყაოსანია“. მისი ავტორი რომ რუსთაველია, ეს პოემის პროლოგშია აღნიშნული. სწორი ფორმაა „რუსთველი“, რაკი პოეტი ასე უწოდებს თავის თავს. მისი სახელი „შოთა“ დამოწმებულია XVII ს-ის I ნახევრის ქართულ პოეტურ ძეგლებში. ამასვე ადასტურებს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალები. ამ მონასტრის ერთ ხელნაწერ წიგნში შემონახულია XIII ს-ის I ნახევრის ხელით შესრულებული მოსახსენებელი „შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა“. იქვე, მონასტრის სვეტზე გამოსახულია რუსთაველის პორტრეტი. იმავე სვეტზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ შოთა რუსთველს მოუხატვინებია ჯვარის მონასტერი. სურათი და წარწერა ძველია, თუმცა ეტყობა შემდეგდროინდელი განახლების კვალი.

შოთას ღვაწლს ჯვარის მონასტრის განახლებაში ადასტურებს XVIII ს-ის სასულიერო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი.

საისტორიო წყაროები დუმს შოთა რუსთაველის ცხოვრების აღსასრულის თაობაზე. თ. ბაგრატიონი იზიარებს ზეპირ გადმოცემას, რომ რუსთველი ბერად აღკვეცილა, დამკვიდრებულა ჯვარის მონასტერში და იქვე გარდაცვლილა. მაგრამ, ალ. ბარამიძე

მიძის აზრით, ამ ვერსიის წყარო ჯვარის მონასტერში არსებული შოთას პორტრეტი და ალაპთა წიგნში არსებული მისი მოსახსენებელი უნდა იყოს. მონასტრის შესაკეთებლად ან მოსახატავად აუცილებელი არ იქნებოდა თვით შოთას წასვლა იერუსალიმში. მას შეეძლო საქართველოდან გაეგზავნა საჭირო სახსრები აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად.

მკვლევრის დასკვნით, დანამდვილებით არ ვიცით, სად და როდის აღესრულა შოთა რუსთველი ან სად არის დაკრძალული მისი ნეშტი. გ. ა.

138. ალ. ბარამიძე

პატრიოტიზმი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ახალი კოლხიდა“ (ფოთი), 1966, 25 სექტ., №115, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში აღწერილ ხვარაზმ-შაჰის ძის ამბავს ახასიათებს ხაზგასმული ანტიისპარსული პოლიტიკური ტენდენცია. ნესტანი და ტარიელი ილაშქრებენ ინდოეთში სპარსელების თარეშისა და ბატონობის წინააღმდეგ. ქართველებისათვის ადვილად მისახვედრი და გასაგები უნდა ყოფილიყო რუსთველის პოემის აღნიშნული ტენდენციის ხასიათი; დამპყრობლებისადმი ანტიპათიის გამჟღავნებით რუსთველი გამოხატავდა ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობებს.

პატრიოტიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული ნესტანის წერილი ტარიელისადმი ქაჯეთის ციხიდან. მკვლევარი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა ხმლით შემუსრეს მტრები და შექმნეს შუა საუკუნეებისათვის უცნობი, ჰუმანურ საფუძვლებზე აგებული სუვერენული ქვეყნების ერთგვარი თავისუფალი კავშირი.

გ. ა.

139. ალ. ბარამიძე

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“

ჟურ. „საქართველოს ქალი“, 1966, №9, გვ. 18-20.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის მთავარი თემა მიჯნურობა, ანუ სიყვარულია. „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სიყვარული ალაამაზებს, აზრიანს ხდის და ახალისებს ადამიანის სიცოცხლეს, ამასთან, მამაცობისა და გმირობის სტიმულს აძლევს მას. რუსთველური სიყვარული საფუძვლად ედება მეუღლეობას. რუსთაველი თანმიმდევრულად ავითარებს და იცავს ურთიერთსიყვარულზე დამყარებული, თავისუფალი, ძალდაუტანებელი მეუღლეობრივი კავშირის იდეას. პოემაში აღწერილი ადამიანური ტრაგედიაც ხომ ძალდატანებითი მეუღლეობის განხორციელების წადილმა გამოიწვია. მეფე ფარსადანი ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. მან მეფური სიტყვა გატეხა, უსამართლოდ მოექცა ტარიელს.

როგორც მკვლევარი ამბობს, რუსთაველი გადაჭრით იცავს ქალის გამეფების კანონზომიერებასა და გონივრულობას, მოითხოვს მის საზოგადოებრივად და მორალურად რეაბილიტაციას. პოემის პერსონაჟი ქალები – ნესტანი და თინათინი ყოველმხრივ სრულყოფილნი არიან, ისინი იმორჩილებენ წადილს, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ. რუსთაველმა შექმნა აგრეთვე მდაბიოთა წრიდან გამოსული ასმათის მიმზიდველი და სიმპათიური სახე. გ. ა.

140. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 14 ოქტ., №42, გვ.3

წერილში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადი თემატურ-იდეური ანალიზი. როგორც ავტორი წერს: „ადამიანის ღირსების ამამაღლებელი და მისი ცხოვრების დამამშვენებელი სიყვარულია რუსთაველის ეთიკური მოძღვრების საფუძველი... ნესტანისა და თინათინის სახე-ხასიათებით რუსთაველმა უკვდავყო პოეზიაში ქალის ღირსება... მან პირდაპირი პასუხი გასცა XII ს-ის საქართველოს ერთ-ერთ მღელვარე კითხვას – ქალის გახელმწიფების შესაძლებლობის საკითხს“.

ავტორის დასკვნით, მსოფლიო პოეზიაში რუსთაველმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი, მან შეავსო და გაამდიდრა მსოფლიო პოეზიის საერთო საგანძური.

გ. ა.

141. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთაველი

და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 7-31.

მკვლევარი განიხილავს ტიმოთე გაბაშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ნიკო ჩუბინაშვილის, ალ. ცაგარლის, ნ. მარის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, კ. კეკელიძის, ე. მეტრეველის, შ. ნუცუბიძის, შ. ამირანაშვილის და სხვათა ცნობებსა და შეხედულებებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში აღმოჩენილი შოთა რუსთაველის ფრესკისა და მისი წარწერის შესახებ. დასკვნები ჩამოყალიბებულია შემდეგ პუნქტებად:

1. შოთა რუსთაველის სახე საფუძვლიანად უკავშირდება იერუსალიმის ჯვარის მონასტერს.

2. ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახულია პოეტის პორტრეტი სავსებით ავთენტური წარწერითურთ.

3. ამ წარწერის ტექსტი სწორად გაშიფრა და თითქმის დაკარგული პორტრეტი ხელახლა აღმოაჩინა ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით.

4. რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი თავისი პირვანდელი სახით უნდა განეკუთვნოს მე-13 ს-ის I ნახევარს.

5. მე-13 საუკუნის I ნახევარს ვერ გადმოსცილდება შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენებელი სვინაქსარის წიგნიდან.

6. ამიერიდან მყარი საფუძველი ეყრება შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთაველის იგივეობას.

7. შოთა მეჭურჭლეთუხუცესს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე განუახლება და მოუხატვინებია ჯვარის მონასტრის დაზიანებული ადგილები, რის გამოც მონასტერში დაუწესებიათ მისი ხსოვნის დღე და სვეტზე პორტრეტიც გამოუსახავთ.

8. გადმოცემები შოთა რუსთაველის ბერად აღკვეცის, იერუსალიმში დამკვიდრებისა და იქვე აღსრულების შესახებ უნდა აღმოცენებულიყო იმ ცოცხალი სინამ-

დვილის ნიადაგზე, რომლითაც შოთა რუსთველის სახელი უკავშირდება ჯვარის მონასტერს.

9. მეცნიერულად დაუსაბუთებელია შოთა რუსთველის ბერად აღკვეცის, იერუსალიმში დამკვიდრების, იქვე გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზე არსებული ვარაუდები.

10. ამასთან ერთად, ხელაღებით არც ამ ვარაუდების კატეგორიული უარყოფა იქნებოდა მართებული.

ლ. კ.

142. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთველის შემოქმედება

მოხსენება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 966 წ. 28 სექტემბერს; ჟურ. „მაცნე“, 1966, №5, გვ. 181-188.

მოხსენება შეიცავს რუსთველის შემოქმედების ზოგად დახასიათებას. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთველი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც გაუსწრო თავის ეპოქას, კაცობრიობას პოეზიის ნათელი ენით უქადაგა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, ჰუმანიზმი. ქრისტიანული აღმსარებლობის საპირისპიროდ, რუსთველის თვალსაზრისით, სიცოცხლეა უმაღლესი სიკეთე და ნეტარება. ადამიანის იდეალები ამქვეყნიურ, მატერიალურ სინამდვილეში უნდა განხორციელდეს. რუსთველი უარყოფს ასკეტიზმსა და განდევილობას. ავტორი საგანგებოდ მიუთითებს „ვეფხისტყაოსნის“ კავშირზე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან: „შოთა რუსთველმა თავისი პოემით პირდაპირი პასუხი გასცა XII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ, ყველაზე უფრო მღელვარე კითხვას: ქალის გახელმწიფების შესაძლებლობის კითხვას“. ნესტანის დახატვით მან შექმნა თამარის პოეტიზირებული სახე.

გ. ა.

143. ალ. ბარამიძე

დიდი შედეგრი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 1.

ავტორის სიტყვით, „შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი ქართული სულიერი კულტურის დაუძლეველი მწვერვალია და მსოფლიო პოეზიის დიდი შედეგრი... რუსთველის იდეათა სამყარო ზოგადად ადამიანურია, ზოგადსაკაცობრიო... მოწინავე იდეალები ქართველმა გენიოსმა პოეტმა უზადლო მხატვრული ფორმით პირველმა წარმოგვისახა შუასაუკუნეობრივი რელიგიური აზროვნების განუკითხავი ბატონობის დროს...“

გ. ა.

144. ალ. ბარამიძე

Шота Руставели и его поэма

Вестник АН СССР, 1966, № 9, გვ. 135-139; ჟურ. «Русский язык в грузинской школе», 1966, № 2, გვ. 16-25; აგრ. «Лит. Грузия», 1966, № 9-10, გვ. 33-52.

მიმოხილულია წინარე რუსთველური ეპოქა, საქართველოს ისტორიული წარსული, რუსთველის ბიოგრაფია, საუბარია იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში აღმო-

ჩენილი ფრესკის შესახებ, მოთხრობილია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, გაანალიზებულია პერსონაჟთა ხატვის პრინციპები.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს პროლოგზე, რომელიც პოემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად მიაჩნია, აანალიზებს მას. ეხება მიჯნურობისა და შაირობის თეორიას, პოემას ადარებს აღმოსავლურ-დასავლური მწერლობის ნიმუშებთან და გამოკვეთილია მათ შორის არსებული მსგავსებაგანსხვავებანი, საუბარია პოემის მხატვრული სამყაროს შესახებ. წერილს ასრულებს აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“.

თ. ბ.

145. Ал. Барамидзе

Шота Руставели

ჟურ. «В мире книг», 1966, № 6, გვ. 23-27;

გაზ. «Кутаисская правда», 1966, 27 სექტ., № 116, გვ. 2.

ავტორს მიმოხილული აქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალები, ეხება პოეტის ბიოგრაფიას, მოკლედ გადმოსცემს პოემის სიუჟეტს, საუბრობს კომპოზიცი-აზე, წარმოაჩენს პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ პორტრეტს, მიმოხილავს პროლოგს.

საუბარია ძმობა-მეგობრობის, ქალისადმი დამოკიდებულების, მიჯნურობის ამამაღლებელი ძალის შესახებ.

ავტორი პოემას დასავლეთევროპულ საგმირო რომანთან კავშირში განიხილავს. საუბრობს პოეტის ჰუმანისტურ მსოფლმხედველობაზე, თარგმანებზე.

წერილს თან ერთვის პოემის რუსული თარგმანების ბიბლიოგრაფია. თ. ბ.

146. Ал. Барамидзе

Шота Руставели

ჟურ. «Литературная Армения», 1966, № 9, გვ. 72-78.

ნაშრომი მოიცავს საკითხთა რიგს: რუსთაველის ეპოქა – XII ს-ის საქართველო, პოეტის ვინაობა, იერუსალიმის ფრესკის აღმოჩენა სამეცნიერო ექსპედიციის მიერ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, ძირითადი მოტივები, რუსთაველის პოლიტიკური იდეალები, რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები, ადრერენესანსული იდე-ები, პოეტური ოსტატობა, ენა...

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემა სსრკ-ს ხალხთა თითქმის ყველა ენაზეა თარგმ-ნილი, რუსულად ხუთი სრული და 10-ზე მეტი ნაწილობრივი თარგმანი არსებობს. გვაქვს ბევრი უცხოენოვანი თარგმანიც.

წერილს ახლავს მ. ზიჩის, ლ. გუდიაშვილის და ი. თოიძის ილუსტრაციები.

ლ. კ.

147. Ал. Барамидзе

Шота Руставели,

М., 1966.

ბროშურა მიძღვნილია რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი. მიმოხილუ-ლია პოეტის ბიოგრაფია, განსაკუთრებით – იერუსალიმში მოძიებული ცნობები, გაანალიზებულია პროლოგი. ავტორი მოკლედ გადმოსცემს პოემის სიუჟეტს. სა-

უბარია პოემაში წამოჭრილ ზოგადსაკაცობრიო იდეალების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებითაა შესწავლილი ძმობისა და ხალხთა მეგობრობის იდეა. ავტორი ადარებს პოემას თანამედროვე მწერლობის ნიმუშებს, საუბარია აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურის ძეგლებზე და მათ მიმართებაზე „ვეფხისტყაოსანთან“.

თ. ხ.

148. ალ. ბარამიძე

ჩვენი ხალხის სულიერი საუნჯე

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 2.

წერილის ავტორის აზრით, რუსთველის პოემა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურად, ბურჯად, წმინდა ეროვნულ რელიკვიად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ საუკუნეთა მანძილზე სწორედ ის იყო ქართველთათვის სასოება და ნუგეში, რომელიც ზედმიწევნით სრულად და სიღრმისეულად ასახავდა ჩვენი ერის სულიერ სამყაროს, გულისთქმას, ოცნებებს, გვიქადაგებს უმაღლეს ზნეობრივ იდეალებს, გვასწავლის, რომ გაურჯელად, უმხვერპლოდ შეუძლებელია გამარჯვების მოპოვება, რომ მხოლოდ სიძნელეთა ძლევის გზით ვაღწევთ მიზანს. მისი უკვდავი სტრიქონები ამხნევენ და უთვალავ მტერთან გამარჯვებაზე აოცნებებდა ქართველებს, „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“ – ამ უკვდავ სტრიქონებს საუკუნეთა მანძილზე იმეორებდა ქართველი ხალხი.

პოემაში რუსთაველი უკვდავყოფს ქალის ღირსებას, ხოტბას ასხამს მის მშვენიერებას, გონებას და ზრდილობას. ასე ნათლად არავის წარმოუჩენია ჩვენი ერის მებრძოლი, შემოქმედი სული. ამას უმაღლის ქართველობა თავის სათაყვანებელ შვილს და ამაცობს კაცობრიობის წინაშე.

თ. ხ.

149. ალ. ბარამიძე

[წინასიტყვაობა ედმონ ჟალუს წერილისა]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 20 აგვისტო, № 189, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ფრანგი მეცნიერის წერილი „ქართველი პოეტი“, რომელიც მ. გიგინეიშვილის თარგმანით შემოკლებულად იბეჭდება, „ზოგიერთი ბუნდოვანების მიუხედავად, ავტორის ფრიად საგულისხმო მოსაზრებების“ შემცველია.

ბ. დ.

150. გივი ბარამიძე

რუსთაველის ნაკვალევზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი, № 43, გვ. 4.

ავტორის ცნობით, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია მსახიობ ვ. დოლიძის მიერ ი. აბაშიძის ნაწარმოების – „რუსთაველის ნაკვალევზე“ – მიხედვით განხორციელებულმა სცენურ-ლიტერატურულმა კომპოზიციამ. ვ. დოლიძეს პარტნიორობა გაუწიეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ალექსანდრა თოიძემ (თამარ მეფე) და მსახიობმა ა. შალიკაშვილმა. კომპოზიციაზე მუშაობდნენ რეჟისორები მ. მესხი

და გ. ქართველიშვილი. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს იყო არა უბრალოდ მხატვრული კითხვა, არამედ სცენური და ლიტერატურული აზროვნების მონტაჟი, რომელიც ერთ მთლიან სანახაობით ფორმაში იძლევა ჩვენი თანამედროვეობისა და რუსთაველის მჭიდრო კავშირს. **ლ. კ.**

151. ი. ბარამიძე

რუსთაველი და თეიმურაზი

გაზ. „დროშა“ (ხულო), 1966, 5 მაისი, № 52, გვ. 4.

ავტორი წერს: როცა „ვარდ-ბულბულიანს“ ვკითხულობთ, ინტუიციით შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ აქ თამარ მეფისადმი რუსთაველის მიჯნურობის ამბავია მინიშნებული... „ვარდ-ბულბულიანის ყოველი სტრიქონი ალეგორიულად მიგვანიშნებს ამ მიჯნურობაზე. ავტორის აზრით, „ყვავილთა ხელმწიფე“ ვარდში თამარ მეფე იგულისხმება, ხოლო მოკრძალებულ ბულბულში – რუსთაველი. **თ. ნ.**

152. რ. ბარამიძე

ხალხთა მეგობრობის იდეა ადრეულ ქართულ მწერლობაში და „ვეფხისტყაოსანი“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, №9, გვ. 45-50.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში თავიდანვე გამოვლინდა ერთა მეგობრობის იდეა. ადრეული საუკუნეების მწერლები საგანგებო ყურადღებითა და გულისხმიერებით გამოხატავდნენ სხვა ერისადმი გულთბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას. მკვლევარს ეს იმის გამოხატულებად მიაჩნია, რომ «საქართველოში თავისუფლად ცხოვრებისა და აზროვნების უფლება ჰქონდათ ყველა ეროვნებისა და რწმენის ადამიანებს. უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლის „მუშანიკის წამებისათვის“ უცხოა ეროვნული ჩაკეტილობა, მთელ ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს მეზობელი ერის, სომხებისადმი, პატივისცემისა და სიყვარულის გრძობა» (გვ. 45).

ავტორი მრავალი ილუსტრაციის ჩვენებით ავითარებს იმ აზრს, რომ სხვა ერისადმი პატივისცემა დამახასიათებელია საერთოდ ქართული მწერლობის ძეგლებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ისე, როგორც ეს აისახა ქართულ მატიაწეებსა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. ამ იდეამ განსაკუთრებული გამოხატულება პოვა ლეონტი მროველის კონცეფციაში კავკასიის ხალხთა ნათესაური წარმოშობის შესახებ.

ადრეულ ქართულ ლიტერატურაში აღძრულმა ხალხთა მეგობრობის იდეამ სრული განვითარება რუსთაველთან პოვა (გვ. 48). რუსთაველმა თავისი გმირები საგანგებოდ წარმოგვიდგინა სხვადასხვა ერის შვილებად, რომელნიც ახორციელებენ თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ეროვნულ თვისებებს და ერთა სოლიდარობის იდეას. სამი რაინდის მმადნაფიცობის სახით რუსთაველს დახატული აქვს თავისუფალ და გამარჯვებულ ერთა თითქმის იდეალური ბედნიერება (გვ. 50). **გ. ი.**

153. რ. ბარამიძე

ადრეული ქართული მწერლობის ტრადიციების ზოგიერთი გამოძახილი „ვეფხისტყაოსანში“

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 114-122.

მკვლევარი წარმოაჩენს რამდენიმე პარალელს, რომელიც შეინიშნება რუსთველის წინა პერიოდის ქართულ მწერლობასა და „ვეფხისტყაოსანში“. იგი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

1. ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. პარალელი გავლებულია რუსთველისეულ დებულებასა „ლეკვი ლომისა სწორია ძე იყოს თუნდა ხვადია“ და „შუშანიკის წამების“ ამავე ასპექტს შორის – „სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისა...“

2. სიუხვისა და სიკეთის იდეა. ცურტაველი: „ვინ სთესა – მოიმკო, ვინ განაზნია, გლახკათათვის შეიკრიბა“ (პერიფრაზი პავლეს ეპისტოლედან). რუსთაველი: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.

3. პოეტური სახეები. რუსთაველი: „ვითა ვერხვი ქარისაგან ირხვეის და იკეცე-ბის“; იოანე საბანისძე: „...და ირყევიაჲ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. რუსთაველი: „გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“, „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“; „ილარიონის ცხოვრება“: „ილარიონმა ვითარცა ირემმან სურვიელმან წყაროდ მიმართა წყალთასა...“

4. ბგერწერული ხელოვნება. ცურტაველი: „ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენი-სათა და ზაკუვით ეტყოდა მას... ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვით იგი ზრახვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ“. იმოწმებს ალიტერაციის ნიმუშებს „შუშანიკის წამებიდან“, „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“, აგრეთვე პარონომაზიის შემთხვევებს: „აბო თბილელის წამებიდან“: „უცხო უცხოთა შჯულითა მოვიდა“ და სხვ. მკვლევრის თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ პარონომაზიის გამოყენებამ განსაკუთრებულ სრულყოფას მიაღწია. მაგალითად, „დარი არ დარობს დარულად“, „აჰა, მზეო, გააჯები, შენ უძლესთა მძლეთა მძლესა“.

5. იოანე ბოლნელის მიძღვნა სიყვარულისადმი: „სიყვარულსა არა შურან, არა მალლოინ, არა განლალის“, მკვლევრის აზრით, არის რუსთველური ჰიმნის ერთგვარი პრელუდია.

ლ. კ.

154. რ. ბარამიძე

რუსთაველის

წინა ეპოქის პოეტური კულტურა

ჟურ.: „ცისკარი“, 1966, № 7, გვ. 96-102;

«Литературная Грузия», 1966, № 9-10, გვ. 155-162.

ავტორი მიიჩნევს, რომ ქართველი კაცის შემოქმედებითი უნარი, მისი მხატვრული აზროვნების სიღრმე და სიტყვის დიდოსტატობა მთელი სისრულით „ვეფხისტყაოსანში“ გამოვლინდა, მაგრამ შეიძლება იგივე ითქვას რუსთაველის წინარე ეპოქის თხზულებებზე, რომლებიც ისევე მომხიზვლელია თავისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით.

მკვლევარი მიმოიხილავს იაკობ ცურტაველის, „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ავტორის მხატვრულ სამყაროს, აღნიშნავს სიტყვის ფლობის მათთვის დამახასიათებელ არაჩვეულებრივ უნარს, მაგალითები მოაქვს შემდეგი თხზულებებიდან: „შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რათა საცნაური გახადოს პოეტური მეტყველების უდიდესი ზემოქმედების ძალა.

წერილის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად შეიმჩნევა მჭიდრო კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან. ნათელია, რომ რუსთველი ზედმიწევნით იცნობდა ეროვნულ მწერლობას და ეს ლიტერატურული ტრადიცია თავისი ოსტატობის წყალობით დიდებულად განავითარა. ავტორს პარალელები მოაქვს „ვეფხისტყაოსანთან“ – „აბოს წამებიდან“, „ილარიონის ცხოვრებიდან“ და სხვ. ბოლს ასკვნის, რომ ადრეულ მწერლობაში შექმნილი პოეტური სახეები თავისებურად სრულყო და დახვეწა რუსთაველის პოეტურმა გენიამ, მაგრამ, ამავე დროს, ისიც საცნაურყო, თუ როდენ მაღალ დონეზე იდგა პოეტური კულტურა რუსთაველის წინარე ეპოქაში. **თ. ხ.**

155. თინათინ ბარბაქაძე

ხმა „ტკბილი და ტკბილქართული“

გაზ. „ლენინელი“ (ზესტაფონი), 1966, 23 აგვ., № 99, გვ. 3

როგორც ავტორი ამბობს, სიტყვის სიტკბო შოთას არა ამართო პოეტური ენის ღირსებად მიაჩნია, არამედ ის ჩვეულებრივი საუბრის სამკაულადაც დასახა. როსტევეან მეფე ხასიათდება, როგორც „მოუბარი წყლიანი“, ტარიელი შესანიშნავია „ტურფა სიტყვითა“, თინათინი საუბრობს „კველუც სიტყვად, არ დუხჭირად“; ნესტანს მიმართავენ: „სიტყვამჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზენაო“. თუმცა სიტყვის სიტკბოს კლასიკურ ნიმუშს ავთანდილის მჭევრმეტყველება აღწევს. სწორედ მისი „ტკბილქართულით“ ცხადჰყო რუსთაველმა ენის სიტკბო-სიამეთა ჯადოსნური ძალა. **თ. ნ.**

156. ევგენი ბართაია

„ფიცხლად დასხლიტეს ცხენები...“

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 14-15.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების საბრძოლო ხელოვნება მოგვაგონებს თამარის დროის გამოჩენილი სარდლების – მხარგრძელებისა და დავით სოსლანის საომარ მოქმედებებს. ისინი კარგად იყენებენ უეცარ თავდასხმას, მტრის დანაწილებას, ზურგიდან შემოვლას და სხვა ხერხებს. პოემის გმირები თავიანთი ფსიქოლოგიით თამარ მეფისდროინდელი ქართველები არიან. ამას აღნიშნავენ: დ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი, ვ. კვეციანი, პ. ინგოროყვა, ალ. ბარამიძე და სხვები.

ავტორი საუბრობს პოემის მთავარი გმირების მაღალ ზნეობაზე, ჰუმანურობაზე, პატრიოტიზმზე, ურთიერთმეგობრობაზე და მოჰყავს სათანადო მაგალითები თხზულებიდან. **გ. ა.**

157. ნ. ბასილაძე

აჭარიდან ვარძიაში

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 3 ნოემბერი, № 44, გვ. 3.

ქედის რაიონის უჩხითის საშუალო სკოლამ მოაწყო ორდღიანი ექსკურსია მარ-შრუტით: უჩხითი – ხულო – გოდერძის უღელტეხილი – ახალციხე – ვარძია – ბორჯომი – ქუთაისი – ბათუმი – უჩხითი. მოსწავლეებმა დაათვალიერეს კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი ვარძია. **თ. ბ.**

158. ანა ბაქრაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი

კ. კვეციანი *სახ. ხელნაწ. ინსტ. VIII სემინ. სესია, მოხს. თეზისები, 1966, გვ. 8;*

კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ. 1966, გვ. 83-91.

ნაშრომის თეზისები წარმოდგენილია 3 პუნქტად: **1.** „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე მოღწეული ნუსხებიდან ცნობილია პოემის 14 გა-დამწერი, ამათგან რვა XIX საუკუნისაა. **2.** XVII-XVIII საუკუნეების გადამწერებიდან ოთხი სამეფო კარის მოხელეა (მდივანი მამუკა თავაქარაშვილი, მდივანი ბეგთაბეგ შანშეიან-მარტიროზიშვილი, მდივანი გივი თუმანიშვილი, მუშრიბი აღმურაანთ ბაღდასარაშვილი გასპარა), ერთი სასულიერო პირია (ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი). **3.** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი გადამწერის ვინაობის შესახებ (იოანე ავალიშვილი, იოსებ ტფილელი) საბუთიანობა აკლია და მათ ვერ გავიზიარებთ.

ლ. კ.

159. ჯამბაკურ ბაქრაძე

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 5 ოქტომბერი, გვ. 3.

ავტორის აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპში: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“ (542,4) მოცემულია მართლმსაჯულების ზოგადი ფილოსოფიური გაგება, რაც თანამედროვე გამოთქმით შეიძლება ასე წარმოგვიდგეს: სამართლიანი მართლმსაჯულება ადამიანს საზოგადოებრივ სიცოცხლეს უბრუნებს“.

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“ – ამ აფორიზმით რუსთაველმა „მოითხოვა არასმქონეთა „დამდიდრება“ და შემდეგ განთავისუფლება“... „შოთა ოცნებობს ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ადამიანთა დაყოფა მქონებლებად და არასმქონებლებად არ იქნება...“

„რუსთაველი ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობად თავისუფლებას თვლის, სწორედ ამიტომ მოითხოვს იგი მონათა განთავისუფლებას“.

პოეტმა აფორიზმში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ – დედაკაცი მამაკაცს გაუთანასწორა მორალურად და ინტელექტუალურად“... „რუსთა-

ველმა დაარღვია აღმოსავლეთის პოეზიაში გაბატონებული თვალსაზრისი დედაკაცის უსრულობასა და ზნეობრივ-გონებრივ შეზღუდულობაზე“.

ნაშრომის დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უზვად არის მიმოხილული იმდროინდელი ქართული სამართლებრივი ტერმინები, მაგალითად: სამართალი, სარჩელი (სარჩიელი), დამსჯელი (დამსაჯარი), მოსამართლე, გაბრჭობა (გასამართლება), მოწმე, აზატება, სასჯელი, ბადრაგი, დარაჯი, აჯა (თხოვნა, საჩივარი), დაბრალება და სხვ. **გ. ი.**

160. სპარტაკ ბალაშვილი

უკვდავება

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., №114, გვ. 1.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა მხოლოდ სიამოვნება კი არა, ბედნიერებაა. ერთიორად ბედნიერია მსახიობი, თუ წილად ხვდომია პატივი ხალხის წინაშე წაეკითხა მისი „მარგალიტი წყობილი“. მე, მსახიობს, მალეღვებს კითხვა: ვინ ითამაშებს ოდესმე რუსთაველს? ის იქნება სვებედნიერი მსახიობთა შორის“. **გ. ა.**

161. Захарий Башинджагян

რუსთაველი

и армянский художник

ჟურ. «Литературная Армения», 1966, № 9, გვ. 79-81.

ავტორი მოგვითხრობს სომეხი მხატვრის გევორქ ბაშინჯაგიანის დამოკიდებულებაზე რუსთაველისა და მისი პოემის მიმართ, რომელსაც არა მხოლოდ კითხულობდა ორიგინალში, არამედ ნაწყვეტები, მთელი ეპიზოდებიც კი იცოდა ზეპირად და პოემისადმი თავისი დიდი სიყვარულის დასტურად შექმნა რამდენიმე სურათი „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე.

ავტორი ეყრდნობა ი. გრიშაშვილისა და ს. ფალიაშვილის მიერ მოწოდებულ ცნობებს. როგორც ჩანს, სურათებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. **თ. ბ.**

162. Г. Бацашвили

შოთაბა в Кахетии

გაზ. «Заря Востока», 1966, 4 ოქტომბერი, № 228, გვ. 4.

საუბარია სოფ. იყალთოს მნიშვნელობაზე რუსთაველის ეპოქაში და იმის შესახებ, რომ საიუბილეო დღეებში გაიხსნა იყალთოს მუზეუმი, სადაც დაცულია ფრიად საინტერესო და საჭირო მასალა, რომელიც მნახველის თვალწინ აცოცხლებს „ოქროს ხანას“.

განახლებულ იყალთოს ეწვია სტუმართა ჯგუფი, გაიმართა სადღესასწაულო მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ სახალხო უნივერსიტეტის რექტორი გ. შათირიშვილი, მწერალი მ. მრევლიშვილი, იყალთოს მკვიდრნი. საზეიმო ვითარებაში გაიხსნა იყალთოს მუზეუმი. სადამო დასრულდა კონცერტით. **თ. ბ.**

163. **А. Бахтадзе**

Труд всей жизни

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 6 სექტემბერი, № 209, გვ. 2.

წერილში საუბარია ს. შარტის შესახებ, რომელმაც ბავშვობიდან შეიყვარა რუს-თაველი და 16 წლის ასაკში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა (XIX ს.) გადაწყვიტა, მაგრამ ოცნება მოგვიანებით განახორციელა, როცა მიიღო განათლება და შეიძინა სათანადო გამოცდილება. მისი თარგმანი არაერთგზის გამოურჩევიათ ცნობილ მოღვაწეებს.

თ. ბ.

164. **И. Бахтадзе**

Выставка во дворце

გაზ. «Молодежь Грузии», 1966, 29 სექტემბერი, № 114, გვ. 3.

აღწერილია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში რუსთველის სააიუბილეოდ მოწყობილი რესპუბლიკური გამოფენა: კერამიკა, ხეზე ნამუშევრები, პორტრეტები, სკულპტურა, მოზაიკა, ჭედურობა.

ბ. დ.

165. **ბ. ბახტურიძე**

მასპინძლობს მცხეთა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 222, გვ. 4.

ავტორი გვაუწყებს, რომ მცხეთაში ახალგაზსნილმა მარან-რესტორანმა, ძველბურთული ქართული დარბაზითა და ინვენტარით, უმასპინძლა რუსთაველის სტუმრებს: ნ. ტიხონოვს, გ. მარკოვს, ო. გონჩარს, ვ. კოჩეტოვს და ქართველ მწერლებს. სტუმრები მოხიბლულნი დარჩნენ როგორც უძველესი ქართული არქიტექტურის ნიმუშებით, ისე ქართული სუფრის ლაზათით.

ლ. კ.

166. **[Г. Бебутов]**

Деятели русской культуры о Шота Руставели

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966, 320 გვ.

კრებული შედგენილია გ. ბებუთოვის მიერ და შეიცავს ადრე გამოქვეყნებულ შემდეგ წერილებს და რამდენიმე ლექსს:

1. Н. Тихонов, Поэт и мир (1937, 1959 წწ.).
2. И. Луппол, Образы и идеи Шота Руставели (1940, 1960).
3. Заболоцкий, Певец великой дружбы и любви (1937, 1958, 1964).
4. П. Павленко, „Вепхистკаосани“. В гостях у Руставели (1937).
5. А. Фадеев, Бессмертная поэма (1937, 1957).
6. А. Толстой, Приветствие. „Среди многих славных имён...“ О новом переводе поэмы Руставели (1937, 1961, 1965).
7. В. Гольцев, Героизм, любовь и дружба в понимании Руставели (1957).
8. И. Сельвинский, Шота Руставели. Руставели нам особенно близок (1937).

9. М. Азадовский, Руставели в стихах Пушкина (1938, 1958).
10. П. Антокольский, Праздник вдохновения, которое пережило века (1937, 1963).
11. Инбер, Женские образы Руставели нельзя не запомнить, не полюбить (1937); О Руставели (1964).
12. Джек Алтаузен, Руставели – наш современник (1937).
13. Семён Кирсанов, Три гребня (1958, 1960).
14. В. Ставский, Певец мужества, дружбы, верности (1937).
15. В. Ф. Шишмарёв, Шота Руставели (1938).
16. В. Струве, Великий гуманист (1937).
17. И. Мещанинов, Руставели бессмертен в веках (1937).
18. Комаров, Шота Руставели (1938).
19. Н. Асеев, Через вершины веков, через вершины гор. Шота Руставели (1937).
20. С. Михалков, Шота Руставели (1937, 1965).
21. В. Орлов, „Пронзённый палящими лучами...“ (1958).
22. П. Григорьев, Живые даты (1937).

მეორე განყოფილებაში მოთავსებულია რუსთველის შესახებ გამონათქვამები შემდეგი ავტორებისა: ა. ბელი (1928), ა. ანტონოვსკაია და ბ. ჩორნი (1961), ვ. ვიშინსკი (1937, 1961), ფ. გლადკოვი (1937), დემიან ბედნი (1937), ვ. ზაკრუტკინი (1937), კ. ზდანევიჩი (1964), კ. ზელინსკი (1957), ს. კონენკოვი (1958, 1960), მ. ლოზინსკი (1936, 1964), ვ. ნიკოლაევა-ტერემკოვა (1966), ა. ნოვიკოვ-პრიბოი (1937), ა. ორლოვი (1937), ნ. პოგოდინი (1938), გ. რომალი (1958, 1960), ა. სერაფიმოვიჩი (1937, 1958), ს. სმირონოვი (1958, 1960), ან. ტარასენკოვი (1938), ი. ტინიანოვი (1937), კ. ფედინი (1937, 1966), ო. შმიდტი (1937), მ. შოლოხოვი (1966), ი. ერენბურგი (1937, 1962).

მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია XIX საუკუნის მოღვაწეთა გამონათქვამები: ე. ბოლოხოვიტინოვი (1802), ა. შიშკოვი (1832), ე. სტალინსკი (1885), ა. ვესელოვსკი (1898). აქვეა კ. ბალმონტიც (1935, 1957).

მეოთხე ნაწილი ეთმობა ა. ბერკოვის ვრცელ ნაშრომს: „Шота Руставели в русской литературе“ (1938).

კრებულში შესულია რუსთველისადმი მიძღვნილი ლექსები.

წიგნში დაბეჭდილია ცალკეული ფოტოსურათები, ერთვის შენიშვნები. **ბ. დ.**

167. თ. ბეგიაშვილი

რამდენიმე ახალი ცნობა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან

ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი, XXXI სამეცნიერო სესია, 19, IV–21, IV, 1966. თეზისები, თბილისი, 1966, გვ. 19–20.

ავტორის შენიშვნით, მოწინააღმდეგენი პ. ინგოროყვას თეორიისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა იყო ჰერეთის ერისთავი, რუსთავის მფლობელი და საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი, იმას ეყრდნობიან, რომ ეს არ მართლდება წყაროების ანალიზით.

პოეტის ცხოვრების პირველ ნახევარს ნათელს ჰფენს თვით „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ცნობისა და ჯვარის მონასტერში დაცული რუსთაველის სურათის ანალიზი. მონასტრის ანალები, ალაპები და საისტორიო ცნობები კი რუსთაველის ცხოვრების მეორე ნახევარს აშუქებენ. ამ მასალას დამაჯერებლობას მატებს იერუსალიმის საპატრიარქო ორგანო „ახალ სიონში“ 1905 წლის მეორე ტომში მოთავსებული „ჯვარის მონასტრის ისტორია“ და იერუსალიმელი მეცნიერის პროფ. ვარდის წერილი რუსთაველის შესახებ. „ამ წყაროების მიხედვით, რუსთაველი მეფე თამარის სასახლის კართან დაახლოებული პირია, თანამდებობით ვეზირი. იგი იგზავნება იერუსალიმში ქართული ჯვარის მონასტრის რესტავრაციის ჩასატარებლად, იგი საბოლოოდ იქ დარჩა და ერისკაცად, ვეზირის წოდების შენარჩუნებით, იქვე გარდაიცვალა“.

გ. ი.

168. ფ. ბეგიაშვილი

Монография о Марджори Уордроп

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 27 ივლისი, № 174, გვ. 2.

გაზეთის რედაქციას გადაუწყვეტია მკითხველს გააცნოს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი და მკვლევარი მარჯორი უორდროპი.

სრული ცნობები მ. უორდროპის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოცემულია ლეილა თავთაქიშვილი-ურუშაძის მონოგრაფიაში. მ. უორდროპმა ქართული ენის შესწავლა ინგლისში დაიწყო. 1894 წ. მან თარგმნა და ლონდონში გამოსცა „ქართული ზღაპრების კრებული“. ამის შემდეგ თარგმნა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ და „განდეგილი“, აგიოგრაფიული ძეგლი „წმ. ნინოს ცხოვრება“. 1896 წ. მ. უორდროპი საქართველოში ჩამოვიდა. აქ მან გაიღრმავა ქართულის ცოდნა, შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ბიბლიოგრაფია.

„ვეფხისტყაოსანზე“ იგი მუშაობდა 20 წელზე მეტხანს. სამწუხაროდ, მ. უორდროპის სიცოცხლეში ვერ მოესწრო „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის გამოცემა, ის დაიბეჭდა მთარგმნელის გარდაცვალების შემდეგ, 1912 წელს, ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობით.

ლეილა თავთაქიშვილი-ურუშაძე მაღალ შეფასებას აძლევს მ. უორდროპის თარგმანს, მიიჩნევს, რომ იმხანად არსებულ თარგმანთა შორის ევროპულ ენებზე ეს პოემის ყველაზე ზუსტი თარგმანია.

ლ. კ.

169. ლ. ბეგიაშვილი

დიდი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გაზ. „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1966, 24 სექტ., № 115, გვ. 3.

სტატიაში განხილულია ავლიპი ზურაბაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“ (თბილისი, 1966). რეცენზენტი აღნიშნავს, რომ წიგნის ავტორი პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეხება პოემაში დასმულ ზოგიერთ პრობლემას. ნორმალურ პირობებში პიროვნება გამლიზიანებლებზე უნდა უპასუხებდეს მთლიანად. ა. ზურაბაშვილი ამ დებულებას უყენებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქცევას და ასკვნის, რომ ავთანდილი, ტარიელი, თინათინი და ნესტან-და-

რეჯანი არავითარ პირობებში არ გამოდიან პიროვნების ნორმალურ ფსიქოლოგიურ რეაქციათა ჩარჩოებიდან.

მეცნიერი ფართოდ განიხილავს გონებისა და გრძნობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას „ვეფხისტყაოსანში“ და აღნიშნავს: „რუსთაველის გენია ადასტურებს, რომ ემოციები და მიზიდულობანი კონტროლს ექვემდებარებიან. გრძნობა ემორჩილება ადამიანის გონებას, მის მაღალ მოვალეობას“.

რეცენზენტს საინტერესოდ მიაჩნია ის ადგილები, რომლებშიც განხილულია რთულ სულიერ მდგომარეობათა პრობლემები, მიჯნურისა და ძმადნაფიცის პიროვნული ფსიქოლოგია, დედაკაცისა და მამაკაცის პიროვნული ფსიქოლოგიის ერთიანობის საკითხი და სხვ. **გ. ა.**

170. ლალი ბეგიაშვილი, ლეილა წიკლაური

რუსთაველს მიემღვნა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 27, გვ. 4.

ცნობა, რომ თბილისის პლენანოვის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა ატარებს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს – ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის და ლიტერატურული საღამოები. აღწერილია იმ დღეებში ჩატარებული ლიტერატურული დილა. **ბ. დ.**

171. [Белта]

Издано на белорусском языке

გაზ. «Советская Белорусия», 1966, 25 სექტ., № 222, გვ. 2.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული თარგმანი დასტამბა გამომცემლობა „ბელარუსმა“. ეს სასაჩუქრო ტიპის გამოცემა შემკულია ი. თოიძის ნახატებით. თარგმანი შეასრულეს ალესა ზვონაკმა და მიკოლა ხვედაროვიჩმა. ბელარუსმა მკითხველმა პოემის თარგმანი პირველად 30 წლის წინ გაიცნო. მან შეძლო ჩაწვდომოდა რუსთაველის ჩანაფიქრს. **ლ. კ.**

172. დიმიტრი ბენაშვილი

რუსთაველის ესთეტიკური მსოფლმხედველობა

ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, XXXI სამეცნიერო სესია, 19, IV-21, IV, 1966. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 15-16.

1. გენიალური ხელოვანის მიერ ესთეტიკურ ფენომენად ქცეულ ყოველ ჭეშმარიტ იდეას ნაწარმოებში ამაღლებულისა და მშვენიერის ფორმა ენიჭება.

2. „ვეფხისტყაოსანში“ ამაღლებული და მშვენიერია ქალ-ვაჟთა უფლებრივი თანასწორობის, მიჯნურობის, მეგობრობისა და თავისუფლების ჭეშმარიტი იდეები.

3. „ვეფხისტყაოსანში“ ტრაგიზმი იწყება იქ, სადაც ამაღლებული და მშვენიერი იდეა აწყდება დაუძლეველ წინააღმდეგობას. ამგვარი ტრაგიზმი განიცადა ინდური ტიპის ალეგორიულ სახელმწიფოში ქალ-ვაჟთა თანასწორობის და მიჯნურობის ჭეშმარიტმა იდეამ.

4 მაგრამ ესთეტიკურ ფენომენად ქცეული ჭეშმარიტი იდეა „ვეფხისტყაოსანში“ მღვდელს წინააღმდეგობას და აუცილებლობიდან თავისუფლებაში გადადის.

5. მძაფრი კონფლიქტები და კოლიზიები „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ხელში არამცთუ არ სპობენ ამაღლებულსა და მშვენიერს, არამედ ხელს უწყობენ მათ გამოვლინებას ობიექტურ სინამდვილეში.

6. ესთეტიკურ ფენომენად ქცეული ჭეშმარიტი იდეა ამაღლებულისა და მშვენიერის სახით „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახულია ადეკვატური მხატვრული ფორმით, რომელიც აღწევს ნორმისა და მიუწვდომლობის ნიმუშის სიმაღლეს.

7. რუსთაველის მხატვრული მსოფლმხედველობა წარმოადგენს ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობას. ასეთ ვითარებაში ეთიკური ჩნდება არა როგორც დამოძღვრება, არამედ როგორც თავისთავადი ზნეობრივი კატეგორია.

8. „ვეფხისტყაოსნის“ სახეებსა და ხასიათებში ცოცხლობს მარადიული მიმზიდველობის ძალა ესთეტიკური ფენომენის სახით, რომელიც პერმანენტულად ესაღებუნება ყოველი თაობის სულიერ ცხოვრებას. **გ. ი.**

173. გ. ბეჟანიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი მხატვარი

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 მარტი, № 72, გვ. 3.

საუბრობს მ. ზიჩის საქართველოში მოღვაწეობაზე და ბოლოს სვამს საკითხს: „შესაძლოა, რომ მიხაი ზიჩისა და გრაფ ევგენი ზიჩის შორის არსებობდა რაიმე ნათესაური კავშირი და ჰქონდათ საქართველოზე რაიმე მიწერ-მოწერა“. **ბ. დ.**

174. როსტომ ბეჟანიშვილი

ლირიკულისა და ტრაგიკულის შერწყმა ნესტან-დარეჯანის ხასიათში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 2 აგვისტო, № 90, გვ. 3.

ავტორი საკითხს განიხილავს ნესტანის მიერ ტარიელისადმი გაგზავნილი სამივე წერილის მიხედვით. ერთგან, იგი ეხება ნესტანის სიტყვებს – „დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ და მიიჩნევს, „რომ ნესტანი „მზეში“ ნამდვილად ტარიელს გულისხმობს და კოსმიურ სივრცეშიც მზედ ქმნილ, ე. ი. მარად ცოცხალ ტარიელთან შეხვედრაზე ოცნებობს“. **ბ. დ.**

175. რ. ბეჟანიშვილი

რუსთაველის ესთეტიკის ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 9-16.

წერილი ეხება შოთა რუსთაველის თეორიულ-ესთეტიკური ნააზრევის საერთო პრობლემატიკას, პოემაში გამჟღავნებულ მხატვრული აზროვნების ესთეტიკასა და შემოქმედისა და ასაწერი ობიექტის ურთიერთდამოკიდებულების ფილოსოფიურ ასპექტებს.

ამაზვილებს რა ყურადღებას პოემის მხატვრულ-სიუჟეტურ ქსოვილზე, ავტორი შენიშნავს, რომ ამ თვალსაზრისით პოემის საერთო არქიტექტონიკა, მოქმედება

თუ დინამიზმი სრულყოფილად მოიცავს ყველა იმ ნიშანს, რომლებიც შემდეგდროინდელი რენესანსული ესთეტიკის ძირითადი მაპირობებელია; კერძოდ, ის, რომ მოძრაობა და მოქმედება მხატვრული ხასიათის გახსნისთვის უძირითადესი პირობაა, რაც ობიექტურად დიალექტიკის კანონებით არის გაპირობებული. თავის მხრივ, ეს კანონები პოემაში ჰარმონიული წონასწორობის ნიშნითაა დაცული. **ი. კ.**

176. თ. ბერიშვილი

იზიემეს იუბილე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 6 ოქტომბერი, № 228, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ ონში სახალხო თეატრის მსახიობებმა რეჟისორ გიგა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ღია ცის ქვეშ წარმოადგინეს „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდების ინსცენირება. შემდეგ ქალაქის ცენტრში გაიმართა საზეიმო შეკრება, სადაც სიტყვები წარმოთქვეს პროფ. დ. ბენაშვილმა, მწერალმა რ. ჯაფარიძემ, პედაგოგმა ს. სხირტლაძემ. სადამოს სახალხო თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა დ. კასრადის პიესა „ლეგენდა რუსთაველზე“.

გ. ა.

177. Вахтанг Беридзе

Грузинское искусство эпохи Руставели

ჟურ. «Наука и жизнь», 1966, № 12, გვ. 99-102.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქას, რომელმაც, მისი აზრით, განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა. აღნიშნავს, რომ ქვეყანა იმ ხანებში კულტურულ აღმავლობას განიცდიდა, ფართოდ იყო გაშლილი სამონასტრო მშენებლობა, არაბთაგან დაქცეული ქვეყანა თანდათან ფეხზე დგებოდა. ოშკი და ხახული, სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, ალავერდი, სამთავისი დასტური იყო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობისა, ამავე დროს ვითარდებოდა ფერწერა, დეკორატიული და ჭედური ხელოვნება.

ავტორი საუბრობს ჭედური ხელოვნების ნიმუშების შესახებ და მიიჩნევს, რომ სწორედ კულტურამ შეუნარჩუნა ქართველ ხალხს ეროვნული თვითმყოფადობა და მომავლის რწმენა. **თ. ხ.**

178. თ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ უმდიდრესი კოლექცია

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 9, გვ. 32.

წერილის ავტორის აზრით, საქართველოს მდიდარი სულიერი საგანძური აქვს, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ უმდიდრესი კოლექცია.

წერილში საუბარია ცნობილი კავკასიოლოგისა და ქართველოლოგის აკად. მ. ბროსეს ღვაწლისა და დამსახურების შესახებ, რომელიც საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსის თეიმურაზ ბატონიშვილის ინიციატივით 1832 წ. პეტერბურგში სამუშაოდ ჩამოვიდა. მან 1840 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე რუსთაველის პოემის საკუთარი სახსრებით გამოცემის უფლება ითხოვა.

ამ საქმეში მის გვერდით დადგნენ რუსეთში მოღვაწე ქართველები: ზ. ფალავანდიშვილი და დ. ჩუბინაშვილი, რომლებმაც ასევე გაიღეს გარკვეული თანხა.

წერილის ავტორი იხსენებს მათ, ვისაც ამ კოლექციის შეგროვებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მაგალითად: ძმები იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილები. მათ უმდიდრესი წიგნთსაცავი აქვთ, სადაც ინახება „ვეფხისტყაოსნის“ მარი ბროსეს კუთვნილი ბალმონტისეული თარგმანი, ქართულ ენაზე 46-ჯერ გამოცემული პოემის 43 გამოცემის ეგზემპლარი, 1943 წ. ბერლინში ქართულ ენაზე გამოცემული მინიატურული (10 x 6 სმ) „ვეფხისტყაოსანი“.

ძმები ასლანიშვილების უნიკალურ წიგნთსაცავში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური, უნგრული, რუმინული, ინგლისური, ჩინური, გერმანული გამოცემები.

თ. ხ.

179. სერგო ბერიძე

მესხეთის სიყვარულით

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 3.

გიორგი სალუქვაძე, სპეციალობით ინჟინერი, ხელოვნებასაც ემსახურება. იგი ავტორია მრავალი სიმღერისა და საჩონგურო მუსიკისა. დაამუშავა „სიმღერა რუსთაველზე“ (ტექსტი ავ. წერეთლისა). გიორგი სალუქვაძემ ეფხით შემოიარა მესხეთ-ჯავახეთის სოფლები, ჩაიწერა და აღადგინა მრავალი მესხურ-ჯავახური სიმღერა და ცეკვა.

ი. წ.

180. ს. ბერიძე

შოთა რუსთაველის ბიოგრაფია

მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორში

გაზ. „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1966, 23 აპრილი, № 49.

წერილში გამოყენებულია სახალხო მთქმელების: ლაზარე ხუციშვილის (დაბა ბაკურიანი), ქრისტეფორე ლაზარაშვილის (ქ. ახალციხე), არჩილ ჯვარიძის (სოფ. ჭობარეთი), მიხეილ ბერიძის (სოფ. კოთელია), პავლე ნეზაძის (სოფ. ხეოთი), შიო გიორგაძის (სოფ. სარო), არჩილ სამსონიძის (სოფ. ტატანისი) მიერ ნაამბობი ლეგენდები და თქმულებები შოთას ვინაობისა და ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ამ თქმულებების მიხედვით, შოთას მამა, ჭიაბერი, და ბიძა, იასე, გვარად თორელები იყვნენ. ზაფხულობით მათ ჩახრუხის მთაზე ედგათ საქონელი. მამა შოთას დაბადებისთანავე გარდაცვლილა და დაობლებული ბავშვი ბიძას გაუზრდია. 14 წლის შოთა იყალთოს საეკლესიო სკოლაში გაუგზავნიათ, შემდეგ კი საბერძნეთში წასულა, საიდანაც 5 წლის შემდეგ დაბრუნებულა და თამარ მეფის სასახლეში დაუწყია სამსახური.

წერილში საუბარია ვარძიის ციხე-ქალაქზე ელვერ-ფაშას თავდასხმეზე, რომელთა დროსაც შოთა ბრძნულ რჩევა-დარიგებას აძლევდა თამარ მეფეს.

ერთ ხანს შოთა გადახვეწილი ყოფილა შუა აზიაში. რომ დაბრუნებულა, თამარი ცოცხალი აღარ დახვედრია, შემდეგ კი ცოლის ღალატის გამო სამუდამოდ წასულა სამშობლოდან, იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში დამკვიდრებულა და იქვე გარდაცვლილა.

გ. ა.

181. ს. ბერიძე

ტოპონიმების გამოძახილი მესხეთ-ჯავახეთში

გაზ. „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1966, 27 სექტ., № 114.

ავტორი აღნიშნავს, რომ მესხეთში, სოფელ რუსთავის მიდამოებში ამჟამადაც შემორჩენილია შემდეგი სახელწოდებანი: შოთას ყორღანი, ბესაანთ ყანები (ბესა ყოფილა შოთას მამის ძმა), შოთას კოშკი, შოთაანთ ფაგები (ფაგები ნიშნავს ნასახლარ ადგილს), ჩახრახის მთები, შოთას წყარო (სოფელ ოთიდან 4-5 კილომეტრზე).

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ბევრი სიტყვა, რომლებიც ახლაც იხმარება მესხურ-ჯავახურ მეტყველებაში, მაგ.: კაპანი, ნავანები, სეფე, ქაცვები, ერდო, დახარგავება, დაბეჭვა, ყანდი, საბელი, აყიყი, წინწალაკი, ამყოლი, აზატი, ფოლხვი, ხალვათი, გაბასრული, სირა, მსწორმელი, საჭოჭმანები, რული, ტაროსი, სალტე, სართი, ხეწვა, ხვაშიადი და სხვ. ავტორის აზრით, ეს მონაცემები მეტყველებს რუსთაველის მესხური წარმოშობის შესახებ.

გ. ა.

182. ფარნაოზ ბერიძე

რუსთავის ჩახრუხაძეები

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 აგვ., გვ. 3.

ავტორი იგონებს სოფელ ზველის მცხოვრებ 106 წლის მოხუცის პავლე ზედგენიძის მიერ გადმოცემულ ამბავს, რომ სოფელ რუსთავში მათ ჰყოლიათ ნათესავები, გვარად ჩახრუხაძეები, რომლებიც განათლებით გამოირჩეოდნენ. ამ მხარეში ქალისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მზითვში გატანების ტრადიცია ყოფილა. პ. ზედგენიძის მითითებით ფარნაოზ ბერიძეს დაუთვალა იერებია ჭობარეთის მთაზე არსებული ეკლესიის ნანგრევი. ერთ ქვაზე ამოკვეთილი ყოფილა ტარიელის სურათი წარწერით.

გ. ა.

183. Шота Беридзе

Спутник жизни

ჟურ. «Литературная Грузия», 1966, № 9-10, გვ. 199-203.

ავტორი საუბრობს იმ სიყვარულზე, რომელსაც ქართველი ხალხი გამოხატავდა რუსთაველისა და მისი პოემის მიმართ. ეს წიგნი ბევრი მათგანის განუყრელი მეგობარი იყო მათი ცხოვრების მძიმე წუთებში, მათი სიხარულის გამზიარებელი, მათი მამაცობისა და გამირობის შთამაგონებელი და უღალატო, ერთგული თანამგზავრი.

თ. ხ.

184. П. Берков

О композиции „Витязя в тигровой шкуре“

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, №-10, გვ. 70-78.

ავტორი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციური წყობის შესახებ. მიმოიხილავს თ. ბეგიაშვილისა და ალ. ბარამიძის შეხედულებებს ამ საკითხზე და გვთავაზობს

ზობს საკუთარ პოზიციას. იგი ყურადღებას ამახვილებს როსტევეანისა და ფარსადა-ნის მხატვრულ სახეთა სიუჟეტურ-კომპოზიციურ დატვირთვაზე. ავტორს ეს ორი მე-ფე პოემის სიუჟეტის ძირითად მამოძრავებელ ძალად მიაჩნია.

ავტორი განიხილავს პოემის სიუჟეტს, განსაკუთრებით ხვარაზმელი უფლისწულის მკვლელობის ფაქტზე ჩერდება და ამტკიცებს, რომ ტარიელმა დანაშაული ჩაიდინა ხვარაზმელი უფლისწულის სიცოცხლის ხელყოფით.

ავტორის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი სიუჟეტური დატვირთვა აქვს დავარის სახესაც. თუმცა სიუჟეტის მთავარ მამოძრავებლად მაინც ინდოეთ-არაბეთის მეფეთა სახეებს მიიჩნევს, რომლებიც განაპირობებენ სიუჟეტის განვითარებას. **თ. ბ.**

185. П. Берков

«Бог», «мир» и «люди» в поэме Руставели

ჟურ. «Литературная Грузия», 1966, № 8.

წინამდებარე წერილში ავტორი მსჯელობს ფილოსოფიური ცნებების („ღმერთი“, „სამყარო“, „ხალხი“) შესახებ. საუბრობს შალვა ნუცუბიძის ნაშრომის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსის“ შესახებ, ავითარებს საკუთარ პოზიციას – პოემის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. მისი აზრით, ეს ჩანაფიქრი მდგომარეობს შემდეგში: „სიკეთე“ და „ბოროტება“, „სამყარო“, „ღმერთი“, „მწუხარება“ და „სიხარული“ და ა. შ. ეს ყოველივე ადამიანური ბუნების გამოვლენის განსხვავებული ფორმებია, რუსთაველის პოემის ძალა სწორედ იმაშია, რომ მან წარმოაჩინა არა ადამიანი ცალკე, ინდივიდუალურად, არამედ რაინდები – ადამიანები, სიკეთის დამკვიდრებისთვის მებრძოლი გმირები. **თ. ბ.**

186. П. Берков

К 800-летию со дня рождения Шота Руставели

ჟურ. «Русская литература», 1966, 4, გვ. 115-119.

ავტორი აღიარებს, რომ რუსთაველის სახელი საქართველოს ფარგლებს გასცდა პოეტის 750 წლის იუბილეს დღეებში. სხვადასხვა ენებზე განხორციელებულმა არაერთმა თარგმანმა იგი უფრო დაუახლოვა და შეაყვარა ხალხს. აქვე აცხადებს, რომ ლომის წილი „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში მთარგმნელებს მიუძღვით.

ავტორის აზრით, მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თარგმნის ნაწარმოებს, რადგან მხოლოდ პწკარედზე დაყრდნობა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ამის საილუსტრაციოდ ერთმანეთთან შედარებულია პოემის სამი თარგმანი (მთარგმნელები: შ. ნუცუბიძე, პ. პეტრენკო და ნ. ზაბოლოცკი) და გამოტანილია დასკვნა, რომ ისინი უფრო მეტად მხატვრულ თარგმანებს წარმოადგენენ, რომლებიც ხშირად შორდება ორიგინალს.

მკვლევარს საყურადღებოდ მიაჩნია ქართველ მეცნიერთა რუსთველოლოგიური ძიებანი, გამოარჩევს ს. ცაიშვილის, ვ. ბაკაშვილის და სხვათა დამსახურებას და იმედს გამოთქვამს, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მასალები ბევრად დაეხმარება ქართულ მეცნიერებას. **თ. ბ.**

187. ერნსტ ბერნი

მეოცე საუკუნის თვალთ

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, გვ. 3.

ავტორის თქმით, შოთა რუსთაველმა ორნახევარი საუკუნით გაუსწრო აღორძინების ეპოქის გენიალურ ხელოვანთ. იგი აღსავსეა იმ „ხალისიანი თავისუფალი აზროვნებით“, რომლის შესახებ წერდა ენგელსი. რვა საუკუნე გვაშორებს საზოგადოებას, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა, მაგრამ თავისი სულისკვეთებით იგი გაცილებით უფრო ახლოა ჩვენთან, ვიდრე ბევრი ჩვენი თანამედროვე, რომლებშიც არა-იშვიათად ვხედავთ ფეოდალურ პოლიტიკოსთა და მილიტარისტთა ნიშნებს. რუსთაველი ჩვენი თანამედროვეა.

გ. ა.

188. ილო ბეროშვილი

ილია და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 16 სექტ., № 38, გვ. 1.

ავტორი წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსანზე“, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევს, – უწოდებს მას ეროვნულ განძსა და ბურჯს, ქართველების გულის საუნჯეს. ამ აზრს ილია ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟების პირით გამოთქვამს (მაგალითად, „გლახის ნაამბობში“), სხვა დროს – პოლემიკურ წერილებში, როდესაც ეკამათება ი. ჯაბადარს, ნ. მარს, ა. წერეთელს და სხვებს.

ი. კ.

189. გ. ბერულავა

შოთა რუსთაველი

დაბადების 800 წლისთავი (მეთოდური წერილი), თბ., 1966, 25 აგვისტო (რედ. გ. კიპარაძე).

მეთოდურ წერილში საუბარია შემდეგ საკითხებზე: დიადი თარიღის მნიშვნელობა და აღნიშვნის მასშტაბები; ბიბლიოთეკებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების

ამოცანები და მონაწილეობა საზეიმო ღონისძიებაში.

გარდა ამისა, მოტანილია განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ. 2. საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. 3. რუსთაველის იუბილე – მსოფლიო მასშტაბით – მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება. 4. რუსთაველის დღე – მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში.

ბიბლიოთეკების პრაქტიკული დახმარების მიზნით მოტანილია აბაშის რაიონული ბიბლიოთეკის მუშაობის გეგმა.

წიგნში დაბეჭდილია აფორიზმები (ქართულად და რუსულად), გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამები შოთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ; რუბრიკა – „საინტერესოა ვიცოდეთ“.

თ. ხ.

190. [გ. ბერულავა]

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი
(მეთოდური წერილი)

თბილისი, 1966 [კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა],
შემდგენელი გ. ქ. ბერულავა, რედაქტორი გ. კიპაროძე. 31 გვ.

დაბეჭდილია დადგენილებები შ. რუსთაველის სახელობის პრემიის დაარსებისა და რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნის შესახებ. მოცემულია მითითებანი ბიბლიოთეკების მუშაობის თაობაზე რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით. აქვე დაბეჭდილია რუსთაველის აფორიზმები და გამოჩენილ ადამიანთა აზრები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ.

გ. ა.

191. **Г. Бердзенишвили**

Цикл портретов Руставели

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 12 თებერვალი, № 36, გვ. 3.

წერილის თემაა მხატვარ რენო თურქიას მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტები. სტატიის ავტორი აღწერს ამ ნამუშევრებს, გადმოსცემს მათ შინაარსს, განწყობილებებს, ფერწერას, ეხება რენო თურქიას ადრინდელ კომპოზიციას „ბექა ოპიზარის სახელოსნოში“, რომელზეც ასახულია ბექა, შავთელი, ჩახრუხამე და რუსთაველი, დასასრულ, აღნიშნავს, რომ მხატვარი აპირებს შექმნას ახალი კომპოზიცია რუსთაველის და ჩახრუხამის შესახებ.

ლ. კ.

192. [მ. ბერძენიშვილი]

Бессмертному Шота

გაზ. «Литературная газета», 1966, 18 აგვისტო, № 97, გვ. 1.

ინტერვიუ ეხება რუსთაველის ქანდაკებას. მ. ბერძენიშვილი საუბრობს პოეტის სახის მისეულ გადაწყვეტაზე, ზოგადად დამოკიდებულებაზე რუსთაველის შემოქმედებასთან. ჯერ კიდევ 1954 წელს, მისი სადიპლომო ნაშრომის თემა რუსთაველი იყო. იმ დროიდან დაიწყო მან პოეტის ახალი სკულპტურული სახის ძიება. ქანდაკება კი მთავარ გამოცდას ჩააბარებს მოსკოვში, მილიონიანი მოსახლეობის წინაშე.

ლ. კ.

193. **ნიკო ბერძენიშვილი**

საქართველოს ისტორიის საკითხებიდან

ავტორის წიგნში – საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 306-327.

ნარკვევში ავტორი, სხვათა შორის, წერს: თამარ მეფე და „მისი ხანა“ – XII საუკუნე – ფეოდალური საქართველოს ყოველმხრივი პროგრესის მწვერვალია. ეს ეპოქა უაღრესად დიდი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკური დუდილის ხანა იყო. ამ „ოქროს ხანის“ კულტურის მწვერვალად ქართულ ისტორიოგრაფიას სამართლიანად მოაქვს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, XII საუკუნის ეს გენიალური ჰიმნი.

როგორ განიხილავს მას ქართული ისტორიოგრაფია? მკვლევართა ერთი ნაწილი „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს ხალხთა შიგნით ძმობისა და სოციალური ზავის, ხოლო ხალხთა შორის – მეგობრული ურთიერთობის იდეების ქადაგებას. მათ ეს „თითქმის სოციალისტური“ იდეები იმ დროის საქართველოს მაღალი საზგადოებრივი განვითარების ნაყოფად ეჩვენებათ. მეორე ნაწილს პოემის ეს იდეები ქართული პირველყოფილი თემური ცხოვრებიდან მომდინარე ცოცხალ ატავიზმად წარმოუდგენია. ორივე შეხედულება მეცნიერული უმწეობის ტოლფასოვანი მოწმობაა (გვ.325).

გ. ა.

194. გიორგი ბესთაუთი

როგორ ვთარგმნი რუსთაველს

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 19 ივლისი, № 138.

ავტორის აზრით, შოთა რუსთაველმა თამართან ერთად „შეფარვით აქო“ ოსი და ქართველი ხალხის საერთო შვილი დავით სოსლანი. „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტების ოსურად თარგმნის ცდები ადრეც ყოფილა, მუხტარ შავლოხოვს კი 1943 წელს დაუსრულებია მისი თარგმნა. გ. ბესთაუთის თარგმანი მეორე სრული თარგმანია ოსურ ენაზე.

მთარგმნელი წერს, რომ: „რუსთაველის გენია ბევრ სიკეთეს მისცემს ოსის გულსა და გონებას. მაგრამ არანაკლებ დიდ როლს შეასრულებდა ამ პოემის კარგი თარგმანი საქართველოსადმი, ქართული კულტურისადმი ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სიყვარულის განმტკიცების საქმეში“.

გ. ა.

195. ფ. ბიბილეიშვილი

ზეპირად – უკვდავი ქმნილება

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 18 სექტემბერი, № 179, გვ. 2.

საუბარია დიდი ჯიხაიშის მკვიდრის ვ. ხარაბაძის შესახებ, რომელიც 10 წლის ასაკიდან მოჯამაგირედ ჰყოლია თავად დათა წერეთელს. მის ოჯახში უსწავლია წერა-კითხვა, ზეპირად შეუსწავლია „ვეფხისტყაოსანი“, რასაც მოჰყოლია აკაკის „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „კიკოლას ნამბობი“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილიას „დიმიტრი თავდადებული“.

თ. ხ.

196. ივანე ბიწაძე

უჭკნობი დიდება

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლისი, გვ. 3.

ქ. სოფიიდან გამოგზავნილ წერილში ავტორი საუბრობს ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ სამწერლო კავშირებზე და აღნიშნავს, რომ ბულგარელები „ვეფხისტყაოსანს“ რუსული თარგმანებით იცნობენ. პოეტმა **ლილიევმა** გადაწყვიტა ორიგინალიდან ეთარგმნა ეს პოემა ბულგარულ ენაზე. „მე წილად მხვდა პატივი დავხმარებოდი შესანიშნავ პოეტს ბწკარედი თარგმანითა და კონსულტაციით... სამწუხაროდ, პოეტის სიკვდილმა შეწყვიტა დაწყებული მუშაობა. ნ. ლილიევმა მოასწრო ეთარგმნა შესავალი და პირველი ამბის ნაწილი... ამ სამუშაოს ახლა სხვები განაგრძობენ“.

გორც ავტორი წერს, ბულგარეთშიც ზეიმით აღნიშნავენ რუსთაველის იუბილეს.

გ. ა.

197. ი. ბობოხიძე, ვ. მჭედლიშვილი

მიეძღვნა რუსთაველს

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 19 აგვისტო, № 34, გვ. 2.

რუბრიკის ქვეშ წარმოდგენილია ორი ავტორი: ი. ბობოხიძე და ვანო მჭედლიშვილი.

ი. ბობოხიძე მოგვითხრობს ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სარაიონო კულტურის სახლში გახსნილი გამოფენის შესახებ, რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენა 9 განყოფილებას მოიცავდა: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები (მ. ზიჩის, ირ. თოიძის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას და სხვათა ნამუშევრები); 2. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა; 3. „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ტიტულარები; 4. ქართველი მოღვაწეები რუსთაველს და სხვა.

ვანო მჭედლიშვილი მოგვითხრობს სოფელ ხაჩენში (ბოლნისის რაიონი) გამართული ლიტერატურული საღამოს შესახებ. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარემ მწერალმა ბ. სეირანიანმა.

მოხსენება რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა ს. ავჩიანმა. სიტყვით გამოვიდა მწერალი გ. გოგიჩაიშვილი, პოეტმა ო. კარაიანმა წაიკითხა მის მიერ თარგმნილი პოემის ნაწყვეტები.

ლ. კ.

198. Игорь Богомолов

Я. П. Полонский в Грузии

Тб., 1966.

მონოგრაფია ათი ნაწილისაგან შედგება. საუბარია ი. პოლონსკის სტუმრობაზე თბილისში, მის ახალ ნაცნობებსა და მეგობრებზე. მიმოხილულია პრესაში მის შესახებ გამოქვეყნებული მასალა, მისი დამოკიდებულება ქართულ ფოლკლორთან, ლიტერატურასთან, საქართველოს ისტორიულ მასალებთან, საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ აისახა საქართველო ი. პოლონსკის მხატვრობაში, გაანალიზებულია პოეტის შემოქმედების ე. წ. „ქართული ციკლი“.

თ. ხ.

199. И. Богомолов

Поэма, завоевавшая миллионы сердец

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 3 აგვისტო, № 180, გვ. 2-3.

წერილის ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებზე, რომელთა საშუალებით რუსულენოვანი მკითხველი ეცნობა და უახლოვდება პოემას. მოიხსენიებს ადამიანებს, რომლებიც ქართველი და რუსი ხალხის სიახლოვის სათავეებთან დგანან. ე. ბოლხოვიტინოვმა შექმნა საინტერესო ნაშრომი, რომელშიც საუბარია პოემის ვერსიფიკაციის შესახებ და მოცემულია პირველი სტროფის რუსული თარგმანი.

1805 წ. ი. ლანგენის წიგნში მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანი“.

წერილის ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ს. დოდაშვილის მოღვაწეობას და ანიჭებს მას უდიდეს მნიშვნელობას, რადგანაც სწორედ მან გააჩინა ინტერესი რუსთაველის პიროვნების მიმართ, რაც თანდათანობით უფრო სიღრმისეული პრობლემების კვლევის სურვილში გადაიზარდა. ავტორი მიმოიხილავს ამ ადამიანების დამსახურებას, რომლებმაც თუნდაც უმცირესი წვლილი შეიტანეს რუსი მკითხველისა და ქართველი პოეტის დაახლოების საქმეში. ეს ეხება ა. მურავიოვს, პ. საველევს, დ. ჩუბინაშვილს. წერილში მიმოიხილულია დ. ჩუბინაშვილის შეხედულებები პოემის ფაბულის, ვახტანგისეული გამოცემის შესახებ. გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ ცნობილი ჟურნალისტისა და ლიტერატორის ი. სლივიცკის წიგნი „შოთა რუსთაველი – ქართველი პოეტი“ არ გამოცემულა. **თ. ბ.**

200. Игорь Богомолов

Шота Руставели в русской литературе

(первая половина XIX в.)

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 77-95.

ავტორი განიხილავს რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსულ პრესაში და ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევებში მოცემულ ცნობებს, რომელთა ავტორები არიან: ე. ბოლხოვიტინოვი, ს. დოდაშვილი, ა. მურავიოვი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და სხვები. აღნიშნულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელების ი. ბარტდინსკისა და ი. ევლახოვის, ა. აბაშიძის, ვ. სოლოგუბის ნაშრომების ღირსება-ნაკლოვანებანი. კრიტიკულად არის შეფასებული 1846 წ. გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილი მ. მაისუროვის მოთხრობა „ვარდციხის კოშკი“.

რუსთაველის შემოქმედების გაგებისა და დაფასების საქმეში ავტორი მნიშვნელოვან მოვლენად თვლის რუსი პოეტის ი. პოლონსკის ლექსებს „თამარი და მისი მომღერალი შოთა რუსთაველი“ და „იმერეთში“. ავტორის თქმით, რუსულ პრესაში და მწერლობაში რუსთაველის სახელის ხშირად ხსენება საფუძველი გახდა მისი გაცნობისა სხვა ხალხების მიერ. **გ. ა.**

201. И. Богомолов

Первое знакомство

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 148-154.

ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსი მთარგმნელების დამსახურებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შემდეგ თაობას ასე გაულრმავდა სიყვარული და ინტერესი გენიალური ქართველი ავტორის მიმართ. შემდეგ მიმოიხილულია „ვეფხისტყაოსანის“ და რუსთაველთან დაკავშირებული მასალის თარგმანის ისტორია, ევგენი ბოლხოვიტინოვის (1802 წ.) ნაშრომიდან მოკიდებული.

ავტორი ყურადღებით განიხილავს ამ ნაშრომს, მიაჩნია, რომ მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებისათვის, თუმცა მხოლოდ ღირსებებზე არ ამახვილებს ყურადღებას, ნათლად ავლენს მის ხარვეზებსაც. მაგრამ

თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ნარკვევით დაედო საფუძველი რუსეთში „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიას, თავისთავად მიუთითებს მის მნიშვნელობაზე.

წერილის ავტორი ყურადღებით მიმოიხილავს 1827 წ. „Азиатский Вестник“-ში გამოქვეყნებულ წერილს, ს. დოდაშვილის სტატიებს, დ. ჩუბინაშვილის ნაშრომს „О грузинской поэме „Вепхисткаосани“ или Барсова „кожа“, პერიოდულ პრესაში მოგვიანებით დაბეჭდილ მასალას, რომელთაგან ბევრი მართლაც ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს. **თ. ხ.**

202. ალ. ბოლქვაძე

ციური სხეულების ადგილი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „დროშა“ (ხულოს რ-ნი), 1966, 15 მარტი, № 31, გვ. 4.

ავტორი წერს: შოთა რუსთაველისათვის პლანეტები ამბის მხატვრული გადმოცემის ეპითეტებადაა გამოყენებული, მაგრამ ლექსის შინაარსში ჩანს მათი გარეგნული (ფიზიკური) ნიშანთვისება ან ის ღვთაებრივი ძალა, რომელსაც ადამიანები მას მიაწერდნენ. ავტორი იმოწმებს სათანადო ადგილებს პოემიდან და ბოლოს დაასკვნის, რომ რუსთაველისათვის მზე, მთვარე და მაშინ ცნობილი ხუთი პლანეტა თითქოს ადამიანთა ბედის გამგებელნი არიან. „ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმ დროისათვის ასტრონომიული მეცნიერება რელიგიის ტყვეობაში იმყოფებოდა“. **გ. ა.**

203. [Матей Бор]

Смысл и слово шедевра

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 26 სექტემბერი, № 226, გვ. 2.

იუგოსლავიის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი მატეი ბორი საუბრობს რუსთაველის შესახებ. იგი წუხს, რომ ჯერჯერობით არ არსებობს პოემის თარგმანი იუგოსლავიურ ენაზე და სარგებლობენ რუსული და ინგლისური თარგმანებით. იმედოვნებს, რომ მალე „ვეფხისტყაოსანს“ მშობლიურ ენაზე წაიკითხავენ იუგოსლავიაში. **ლ. კ.**

204. О. Борт

Под лучами дружбы

გაზ. «Заря Востока», 1966, 5 აგვისტო, № 178, გვ. 4.

გვესაუბრება უკრაინაში, უფრო ღვთისა და დასავლეთ უკრაინაში, რუსთაველის პოპულარობაზე. იმოწმებს პოეტ ა. მალიშკოს ლექსს რუსთაველზე. **ბ. დ.**

205. მორის ბოურა

„ვეფხისტყაოსანი“

(თარგმანი ინგლისურიდან ირ. კენჭოშვილისა), თბ., 1966, 40 გვ. სერია – საზ. „ცოდნა“.

მკვლევარი „ვეფხისტყაოსანს“ ადარებს შუა საუკუნეების ევროპულ და სპარსულ ეპიკურ თხზულებებთან და გვიჩვენებს „ვეფხისტყაოსნის“ უპირატესობას, როგორც იდეურ-მსოფლმხედველობრივი, ისე მხატვრული თვალსაზრისით. მ. ბოურა მას

უწოდებს სარაინდო რომანს, რომელშიც სიყვარულს მთავარი ადგილი უჭირავს. „სიყვარული ამ პოემაში განსაზღვრავს როგორც მის სტრუქტურას, ისე გარეგან სახესაც“. ამ პოემის II ორიგინალურ თვისებად ავტორი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისუფალია ზებუნებრივი ელემენტებისაგან, რაც იმ დროის ევროპულ თხზულებებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. რუსთაველი ამ მხრივ თითქმის რეალისტიკა.

მესამე განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რეალობის თავისებური გრძნობა აქვს. რუსთაველის ძლიერი, საღი ადამიანური გრძნობა უპირისპირდება ფრანგების ტენდენციას – ყველაფერი აბსტრაქციად და ალეგორიად აქციონ. ამის კლასიკური მაგალითია გილიომ დე ლორის „ვარდის რომანი“.

ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა. რუსთაველი თავის მოძღვრებას უფრო გულდასმითა და უფრო საფუძვლიანად ამუშავებს, ვიდრე ფრანგული და სპარსული სარაინდო რომანების ავტორები და გვიჩვენებს, რა მოხდებოდა, ადამიანებს რომ ამ რწმენით ეცხოვრათ.

ნაშრომს ახლავს ალ. გამყრელიძის ბოლოსიტყვაობა (გვ. 29-40). (იხ. აგრ. ნარკვევის თარგმანის პირველი პუბლიკაციის ანოტაცია – „რუსთვ. ლიტ.“ II, № 2629).

გ. ა.

206. მორის ბოურა

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „ლიტ. საქ.“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 4; „ლენ. დრ.“ (მახარ. რ.), 1966, 25 ოქტ., № 127, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსანი“ ის ქართული ნაწარმოებია, რომელიც იმზირება როგორც აღმოსავლეთისაკენ, ისე დასავლეთისაკენ და მაინც თავის ეროვნულ ხასიათს ინარჩუნებს. „ვეფხისტყაოსნით“ საქართველომ თავისი საკუთარი, უნიკალური წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურაში.

ი. კ.

207. გ. ბოჯგუა

ცეცხლით შექმნილი პორტრეტი

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 15 სექტ., გვ. 3.

შოთა რუსთაველის უსაზღვრო სიყვარულმა 72 წლის ნ. ტუმასპირადოვს პოეტის პორტრეტის შექმნა გადააწყვეტინა. მისი იარაღია ცეცხლი და ხე. ხეზე ამომწვარი რუსთაველის პორტრეტი ჭეშმარიტად ამაღლებელია. ნ. ტუმასპირადოვს სხვა ნამუშევრებიც აქვს. რუსთაველის პორტრეტი მისი ბოლო ნამუშევარია, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს ერთ-ერთ მუზეუმში.

ი. წ.

208. იან ბრაუნი

სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წ. 28 სექტემბერს

ჟურ. „მაცნე“, 1966, №5, გვ. 211-212.

პოლონელი ქართველოლოგი იან ბრაუნი საუბრობს რუსთაველის მიმართ ხანგრძლივ ინტერესზე მის ქვეყანაში; აღნიშნავს, რომ პირველი წერილი „ვეფხისტყაოს-

ნის“ შესახებ პოლონურ ენაზე 1830 წელს დაბეჭდილია. მასში იყო პოემის ნაწყვეტების თარგმანიც. 1853 წელს გაკეთდა პოემის არასრული თარგმანი; მთარგმნელს ეხმარებოდა გიორგი ერისთავი.

ამჟამად შესრულებულია ახალი პოლონური თარგმანი ი. ზაგორსკისა და ი. ბრაუნის მიერ. **გ. ა.**

209. დავით ბრეგაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, XXIX, 1966, გვ. 11-27.

ნარკვევში დახასიათებულია სამი პერსონაჟი – ფატმანი, ასმათი და შერმადინი. ავტორი აღნიშნავს, რომ **ფატმანზე** ბევრი უარყოფითი მოსაზრებაა გამოთქმული, რაშიც აუცილებლად იგრძნობა გადაჭარბება. ავტორი ვრცლად განიხილავს ფატმანის დამოკიდებულებას სხვა პერსონაჟებთან და ცდილობს მისი დადებითი თვისებების წარმოჩენას. ავტორის დასკვნით, ფატმანს, ნაკლებად ერთად, ბევრი კარგი თვისება აქვს, ამას გარკვევით გვიჩვენებს პოემის ავტორი (გვ. 11-20).

ავტორის აზრით, **ასმათი** „დაბალი სოციალური წრიდან გამოსული“ ქალია, რომელიც ნესტანისა და ტარიელის მიმართ პატრონყმურ ერთგულებას განასახიერებს და იმაზე მეტსაც აკეთებს, რაც მისი სოციალური მდგომარეობის გამო ეკისრება. მას ტარიელთან წმინდა დამძური სიყვარული და ერთგულება აკავშირებს (გვ. 20-25).

შერმადინის შესახებ მკვლევარი წერს, რომ „იგი ავთანდილის მონაა, მაგრამ ყველასაგან გამორჩეული, მისანდო და უერთგულესი“. რუსთაველმა შერმადინის სახით პატრონის უჩვეულოდ მოყვარული და ერთგული ხელქვეითი დახატა. შერმადინი მრავალი კარგი თვისებით შემკული ჭაბუკია. მეგობრისადმი (პატრონისადმი) თავდადებისა და ერთგულების გამო იგი ქართულ ლიტერატურაში ზოგად ტიპად იქცა (გვ. 25-27). **გ. ა.**

210. დავით ბრეგაძე

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტ., გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შექმნისთანავე იქცა მისაბამ ნიმუშად, როგორც ფორმის, ისე პოეტური მეტყველებისა და ვერსიფიკაციის მხრივ; „რუსთაველის პოეტური ხელოვნების კანონებს, მის იდეათა გავლენას ვერ გაექცა ალორძინებისა და გარდამავალი ხანის ვერც ერთი თვალსაჩინო მწერალი“. **თ. ნ.**

211. ტ. ბრეგაძე

მგოსნის სახელობისა

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 15 სექტემბერი, № 217, გვ. 3.

ტყვიულში შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეოდ კურორტ ცხრაჯვარს „რუსთაველის მთა“ დაერქვა. ტყვიულის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ი. ვა-

კელის პიესას „რუსთაველი“. გამოცხადდა კონკურსი მათთვის, ვინც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“. ეწყობა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა. **ი. წ.**

212. ბაჩანა ბრეგვაძე

წინასიტყვაობა პლოტინის

„მშვენიერებისათვის“

ჟურ. „მნათობი“, 1966, №9, გვ. 181-190.

როგორც ავტორი აღნიშნავს, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის ყურადღების ცენტრში დგება პოეტის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული საკითხები. ნეოპლატონიზმი ჯერ კიდევ პ. იოსელიანმა მოაქცია ამგვარ საკითხთა რკალში. პლოტინი ნეოპლატონიზმის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია.

პლოტინის ფილოსოფიის ამოსავალი წერტილია „ერთის“ ცნება, დასაბამიერი პრინციპი, ანუ ღვთაება; პლოტინის კონცეფციით, ესაა აბსოლუტური ერთი, იგივე აბსოლუტური სიკეთე, „უცნაური და უთქმელი“, ზეარსი.

ავტორი მოკლედ განიხილავს პლოტინის ემანაციურობის თეორიას, რომლისგანაც გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჭეშმარიტად არსებულია ღვთაებრივი და კეთილი, ბოროტი კი არარსებულის ატრიბუტია. **ლ. კ.**

213. ქ. ბრეგვაძე

ზნეობრივი აღზრდა

„ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ლაგოდები), 1966, 30 ივნისი, № 76.

ავტორის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოტივი, ხალხთა ურთიერთობის მასშტაბის მიხედვით, მეგობრობა-სოლიდარობაა. შეიძლება, – შენიშნავს ავტორი, – გრძნობათა ემოციური სიმღიერით პოემის მთავარ მოტივად მიჯნურობა ჩაითვალოს, მაგრამ იგი ზოგადი თვისება არ არის და „ვეფხისტყაოსნის“ ეფექტურობა და ქმედითი სიცხოველე მთლიანად მეგობრობაზეა დამოკიდებული. **გ. ა.**

214. ლ. ი. ბრეჟნევი

Речь товарища Л. И. Брежнева

გაზ. «Правда», 1966, 2 ნოემბ., № 306, გვ. 1.

ლ. ბრეჟნევი თავის ვრცელ სიტყვაში, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს, ეხება რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს და აღნიშნავს, რომ რუსთაველი – ეს საქართველოა. მისი გენიალური შემოქმედება ეკუთვნის მთელ ჩვენს მრავალეროვან ქვეყანას. იხსენებს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომას, რუსთაველის ძეგლის გახსნას მოსკოვში და დასძენს, რომ ამ დიდებულ იუბილეს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს.

ლ. კ.

215. პეტრუს ბროვკა

უმრეტი წყარო

გაზ. „კომუნ.“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 2;
„ლენ. დრ.“ (მახარ. რ.), 1966, 25 ოქტ., № 127, გვ. 1.

ავტორი წერს: „რუსთაველის პოემას ღირსეული ადგილი უჭირავს კაცობრიობის დიად ქმნილებათა შორის. დიდი პოეტის სახეს მე ყოველთვის ვხედავ აზრის იმ გიგანტთა შორის, რომლებსაც საუკუნენი წარმოშობენ“. იგი აღნიშნავს, რომ ამ დღეებში ბელორუსიაში ყველგან იმართება რუსთაველისადმი მიძღვნილი სადამოები.

ლ. კ.

216. М. Бузукашвили

«Радуга любви»

(Уникальная коллекция изданий поэмы Руставели)

გაზ. «Труд», 1966, 22 სექტ., № 219, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს შალვა ასათიანის უნიკალური კოლექციის შესახებ. კოლექციაში შედის: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, მათ შორის იშვიათი – 1841 წლის გამოცემა, მ. უორდროპისეული თარგმანი, ა. ლაისტის თარგმანი, აქვეა ყველა რუსულენოვანი და სსრკ-ს ხალხთა ენებზე განხორციელებული გამოცემები. შ. ასათიანი აგროვებდა ყველაფერს, რაც რუსთაველს და მის შემოქმედებას უკავშირდებოდა, ამონაჭრებსაც კი ჟურნალ-გაზეთებიდან, ფოტომასალებს, მარკებს და სხვა. ლ. კ.

217. В. Бушин

Великий пример Руставели

გაზ. «Красная звезда», 1966, 27 სექტ., № 225, გვ. 4.

საუბარია ფრანგ ვეტერანთა ჯგუფის სტუმრობაზე თბილისში, რომლებმაც შთაბეჭდილებათა წიგნში რუსთაველის სიტყვები ჩაწერეს: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“.

ავტორი ხსნის იმ მიზეზებს, რამაც თითოეული ადამიანისათვის საყვარელ წიგნად აქცია „ვეფხისტყაოსანი“. მისი აზრით, ეს პოემა თითოეული ჩვენგანისთვის გასაგები და ახლობელია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ენის ცოდნას. ამის დასტურად იხსენებს პოეტ ნ. ტიხონოვის ნაამბობს: ერთმა ქართველმა არაქართულენოვან საზოგადოებას ქართულ ენაზე წაუკითხა ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდი. შინაარსი, ბუნებრივია, ვერავინ გაიგო, თუმცა კი აღნიშნეს, რომ წაკითხულ ეპიზოდში ასახული იყო ბრძოლა, იერიში რომელიმე ციხე-სიმაგრეზე.

ავტორი გვაწვდის რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს და მიიჩნევს, რომ შოთას გენია პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულად უაღრესად განვითარებულმა საქართველომ შვა. შეუძლებელია ამ დონის ხელოვანი მოულოდნელად, ანაზღვეულად მოვლენოდა ქვეყანას. ამ აზრის დასასაბუთებლად მიმოხილულია საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“, კულტურული კავშირები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან.

თ. ხ.

218. В. Бушин

Восемь веков борьбы

ჟურ. «Советские профсоюзы», 1966, № 17, გვ. 42-43.

ავტორი ერთმანეთს უკავშირებს შოთა რუსთაველისა და დოლორეს იბარურის სახელებს, „ვეფხისტყაოსანსა“ და ესპანეთის სამოქალაქო ომს, რომლის მთელი ტრაგიზმი ისე ცოცხლად აღებეჭდა ცნობიერებაში, თითქოს საკუთარი თვალით ეხილა და განეცადა. იხსენებს, როგორ წიოდა ტყვია ესპანელი ხალხის სიახლოვეს, იხსენებს დოლორეს იბარურის სიტყვებს: უმჯობესია მოკვდე ამაყად თავაწეული, ვიდრე მთელი სიცოცხლე მონასავით მუხლზე დაჩოქილმა გაატარო.

სწორედ ეს სიტყვები ამოიკითხა ქართველი პოეტის „ვეფხისტყაოსანში“: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ამ სიტყვებმა წერილის ავტორს სიყრმეშივე შეაყვარა ქართველი პოეტი, რომელიც მის განცდილზე მიმზიდველად და მაღალმხატვრულად ლაპარაკობდა. ვ. ბუშინის თვალწინ ცოცხლდებოდა დოლორეს იბარური – პასიონარია, გენერალი ფრანკო, რომელსაც ხატაეთის მეფე რამაზს ადარებს და ასე ავლებდა პარალელს გარდასული დროის ქართველი პოეტისა და საკუთარ ტრაგედიას შორის, გამოხატავდა ბავშვურ ემოციურ განცდებს.

ავტორი მიმოიხილავს თამარის მეფობის წლებს, რუსთაველზე არსებულ ბიოგრაფიულ ცნობებს, მის წინამორბედ და თანამედროვე აღმოსავლურ-დასავლური მწერლობის ნიმუშებს. ყურადღებას ამახვილებს პოემის ძირითად პრობლემატიკაზე.

თ. ხ.

219. ივ. ბუხაიძე

რუსთაველს მიეძღვნა

*გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 4.*

ცნობა: ქუთაისის მინის ტარის ქარხნის წითელ კუთხეში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. მოხსენებების შემდეგ ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების მხატვრულად და ზეპირად კითხვის კონკურსი. **ბ. დ.**

220. მირიან გაგოშიძე

„ვეფხისტყაოსნის“

აფორიზმები და სოციალური საკითხები

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ლაგოდეხი), 1966, 18 აგვ., №97, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები მრავალმხრივია. მათში გამოთქმული ბრძნული აზრები ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა დარგს შეეხება. პოემის აფორიზმებს კავშირი აქვთ ხალხთა ურთიერთობასთან და ქვეყნის სოციალურ წყობასთან. ისინი გვიჩვენებენ მე-12 საუკუნის საქართველოს პატრონყმურ ურთიერთობას, ფეოდალურ კიბეს, ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ და სხვ. **გ. ა.**

221. აკაკი გაგუა

დაბალი ფენები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, 12 ივლისი, № 83, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი გარკვეულ ყურადღებას აქცევს დაბალ ფენებს. მისი აფორიზმი: „მივე გლაზაკათა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“ მოუწოდებს, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრით ყველამ ერთნაირად უნდა ისარგებლოს. რუსთაველი გვიჩვენებს, რომ ყმები („მონები“) თავიანთი აზრებით, სათნოებით, ჰუმანურობით, ესთეტიკური გრძნობით არ ჩამორჩებიან არისტოკრატებს. **გ. ა.**

222. ლ. გაგუა

მსოფლიო პოეზიის გენია

(მოსკოვში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი)

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 26 ოქტ., № 244, გვ. 1-2; „თბილისი“, 1966, 26 ოქტ., № 252, გვ. 1-2; „Заря Востока“, 1966, 26 ოქტ., № 247, გვ. 1, 3; „Веч. Тбилиси“, 1966, 26 ოქტ., № 252, გვ. 1-2; „ლიტ. საქართველო“, 1966, 28 ოქტ., № 44, გვ. 1-2.

ავტორი აღწერს მოსკოვში შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნის ცერემონიალს. აღნიშნულია, რომ სოფელ ვოსკრესენსკოეს ადგილას ახლა ქუჩები – „ბოლშაია გრუზინსკაია“ და „მალაია გრუზინსკაია“. ეს სოფელი რუსეთის იმპერატორმა აჩუქა სამშობლოდან დევნილ ვახტანგ VI-ს. აქ, მდინარე პრესნის ორივე ნაპირზე, გაშენდა დაბები, სადაც ქართლის მეფე და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ცხოვრობდა.

„ბოლშაია გრუზინსკაიას“ სკვერში დადგმულია მოქანდაკე მ. ბერძენიშვილის პროექტით ჩამოსხმული რუსთაველის ხუთმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება.

ძეგლის გახსნას დაესწრნენ: სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრები, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები: დ. სტურუა, ვ. სირაძე, ო. ლოლაშვილი, ირ. აბაშიძე, ი. ვეკუა, მ. ბერძენიშვილი, ზ. ლეჟავა. საზეიმო მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ნ. ტიხონოვი, ირ. აბაშიძე და სხვები. **გ. ა.**

223. კონსტანტინე გამსახურდია

სიტყვა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი

მიძღვნილ საქ. სსრ მეცნ. აკად. საერთო კრების

საიუბილეო სესიაზე, 1966, 28/IX

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 199-200.

კ. გამსახურდიას რუსთაველის დამსახურებად მიაჩნია შემდეგი: მან შექმნა პირველი ქართული რომანი. ის დაწერილია ლექსად, როგორც წერდნენ რომანებს XII-XIII საუკუნეებში ირანსა და საფრანგეთში.

რენესანსის წარმომადგენელ პოეტებს შორის რუსთაველმა პირველმა გამოიყენა ბოლორიტმოვანი ლექსი. რუსთაველმა განავითარა ქართული ენა და მისცა მას ახალი მიმართულება. **გ. ა.**

224. კ. გამსახურდია

იგავმიუწვდომელი ორფეოსი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 1;

ჟურ. „Дружба народов“, 1966, № 2, გვ. 244-247,

სათაურით: „რუსთაველის აპოლოგია“.

ავტორი წერს: „რუსთაველის პოემა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საკრალური მწერლობა, უფრო გამართობელი, ვიდრე ზღაპარი, უფრო ძვირფასი, ვიდრე სამკაული პატარძლისათვის... რუსთაველის ლექსი უფრო მეტია, ვიდრე შაირი, უფრო ღრმა, ვიდრე დიდაქტიკური ფილოსოფიის შეგონებანი, რადგან იგი პოეზიისა და სიბრძნის სამანზე იყო გამიზნული...“ წერილის ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტში, ჰომეროსის, ვირგილიუსის, დანტეს, გოეთეს თხზულებებთან შეპირისპირებით.

გ. ა.

225. სვიმონ გამსახურდია

კვლავ რუსთაველის მსოფლგაგების საკითხებთან

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 27 მაისი, № 22, გვ. 2.

ავტორი წერს, რომ საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვალსაზრისით რუსთაველი უშუალო გამგრძელებელია მე-11 ს-ის საქართველოში შექმნილი იმ სკოლის იდეოლოგიისა, რომლის წარმომადგენელიც არიან: გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ლეონტი მროველი და, ბოლოს, იოანე პეტრიწი.

მკვლევრის აზრით, მე-11 ს. ქართველ მოღვაწეთა მსოფლგაგებაში აშკარად შეიმჩნევა „დიდაზნაურთა“ წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია... იოანე პეტრიწის ნააზრევში საქმე იქამდე მივიდა, რომ იზოთეოსის (ღვთისსწორობის) თეორია უნდა შეცვლილიყო თეოზისის (გაღმერთების) პრინციპით, რაც ყველასათვის, ვინც დაიმსახურებდა, მისაწვდომი იყო და, ამდენად, მსახურეული ხალხის იდეოლოგია იყო (შ. ნუცუბიძე).

გიორგი მთაწმინდელი და გიორგი ხუცესმონაზონი აღიარებენ ადამიანების გონებრივ უნარ-თვისებათა თანასწორობას, მათი სოციალური და წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ ვლინდება ეს იდეა. ერთ-ერთი მაგალითია როსტევან მეფის მიმართვა თინათინისადმი:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების...“

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში „ღმერთისა“ და „მზის“ ცნებები თითქმის გაივიწყლებია; ჩანს, რომ რუსთაველისთვის სავსებით მისაღებია გიორგი მთაწმინდელის აზრი: ღმერთს „ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხოვრებაჲ და მეცნიერებასა, ჭემმარიტებასა მოსლვად“.

მკვლევარი აყენებს ჰიპოთეზას: რუსთაველი ხომ არ იყო გარკვეული ვითარებით აღზევებული მსახურეულთა ფენიდან და მისი თავგადასავალი ხომ არაა დაკავშირებული ცენტრალიზებული ხელისუფლების იმ მარცხთან, რომელიც განიცადა თამარის სამეფო კარმა „დიდებულთა“ ოპოზიციის შემოტევით?

გ. ა.

226. ს. გამსახურდია

აღზრდის იდეები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 6, გვ. 46-53.

ავტორის მიზანია, აღზრდის იდეები განიხილოს იმ ისტორიულ სინამდვილესთან უშუალო კავშირში, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა. იგი ჩერდება ორ მომენტზე: 1) ნესტანს შვიდი წლისას აწყებინებენ სწავლას; 2) მისი განათლების საქმის მეთვალყურეობა მამიდას – დავარს ჩააბარეს.

როგორც ავტორი წერს, ორივე წესი საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა და იგი XII ს-ის სინამდვილისთვისაც დამახასიათებელი იყო.

რუსთაველს განათლებული არისტოკრატი ავთანდილი ფილოსოფიის ცოდნის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ფიზიკური ვარჯიშობა პოემაში აღზრდის ერთ-ერთ სახედაა მიჩნეული და გონებრივ აღზრდასთან ერთად იგი ჰარმონიულ მთლიანობაში მოცემული, თუმცა რუსთაველი უფრო მეტ ყურადღებას უნებობრივ აღზრდას აქცევს.

გ. ა.

227. ალ. გამყრელიძე

ბოლოსიტყვა [წიგნისა – «მორის ბოურა, „ვეფხისტყაოსანი“]

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966, გვ. 29-40.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ბრიტანეთის სამეფო აკადემიის წევრის – მორის ბოურას სამეცნიერო მოღვაწეობას, მის წიგნს „შთაგონება და პოეზია“, რომელშიაც მოთავსებულია „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა. ავტორის შენიშვნით, „მართალია, მკვლევარს ხელს უშლის ქართული ენის უცოდინარობა, რის გამოც, ცხადია, ფრიად შეზღუდულია როგორც თვით პოემის წმინდა პოეტურ ღირსებათა შესახებ მსჯელობისას, ისე მდიდარი რუსთველოლოგიური ლიტერატურის მიღწევათა გათვალისწინების საქმეშიაც, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადად სწორად განჭვრეტს და აფასებს ჩვენი პოეზიის სწორუპოვარი წარმომადგენლის შემოქმედების შესანიშნავ მხარეებს“ (გვ. 30).

ავტორი ცალკეულად იხილავს ბოურას მიერ შესწავლილ საკითხებს და მათ შეფასებას აძლევს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. მისი მიზანია, მეტი სიცხადით წარმოგვიდგეს ინგლისელი მეცნიერის ორიგინალური მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე, მის ეპოქასა და ნაწარმოებზე და ის როლი, რომელიც ქართულ პოემას მსოფლიო რაინდული რომანის განვითარების ისტორიაში ენიჭება.

გ. ი.

228. გიორგი გამყრელიძე

თარგმნის პრობლემები და სიძნელეები ი. ვ. გოეთეს „ფაუსტში“

და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, გვ. 194-197.

როგორც ავტორი წერს, „ლექსის თარგმნა სინამდვილეში არის მისი სულიერი იდეური და მხატვრული ფოტოასლი ორიგინალისა და არა მისი სიტყვასიტყვით გა-

დათარგმნა, რაც ხშირად უგუნურობამდე და კაკაფონიამდე მიგვიყვანდა“.

ავტორის აზრით, შოთა რუსთაველს მსოფლიო ლიტერატურაში არ უჭირავს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის. ამის მიზეზი ისაა, რომ ევროპულ ენებზე „ვეფხისტყაოსანი“ არაა იმდენად კარგად თარგმნილი, რომ მას შეეძლოს მათი ერების საზოგადოებრივი აზრისა და კრიტიკოსების ამაში დარწმუნება. ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს ი. იედლიჩკას ჩეხური თარგმანის უვარგისობას: „მის მიერ ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ დგას იმდენად დაბალ და უღირს დონეზე, რომ ასეთი უბადრუკი და სულით ღარიბი თარგმანი არასოდეს წამიკითხავს“ (გვ. 196).

ავტორის აზრით, უკეთესი თარგმანებია რუსულ ენაზე. მათ შორის კ. ბალმონტი ყველაზე ახლოს მივიდა რუსთაველის შემოქმედებით სულთან, მის პოეტურ გრძნობასთან, მის მუსიკასთან, მის სახეობთან და ყველაფერ იმასთან, რაც ახასიათებს დიდსა და უკვდავ პოეტს – შოთა რუსთაველს. გ. ა.

229. ტამარა განე

არსება მისი გრძელია

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 აგვისტო, გვ. 6; აგრ. წიგნში „რუსთველი მსოფლიოს ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 261-266, სათაურით: შოთა რუსთველი რუმინეთში.

ბუქარესტის უნივერსიტეტის დოცენტის, ლიტერატურული კრიტიკოსის ტამარა განეს მიზანია შოთა რუსთაველის თხზულების გაგება და შეფასება ჩვენი დროის ეთიკური და ესთეტიკური კრიტერიუმების გამოყენებით. იგი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ თარგმანზე და აღნიშნავს, რომ რუსთაველის ლექსწყობის ორიგინალურმა ფორმამ და მის სახეთა სისტემამ მთელი ნაირფეროვნებით სრულფასოვანი და მკაფიო ასახვა პოვა ამ თარგმანში.

რუსთველის პოემა 1963 წელს მეორედ გამოიცა რუმინულ ენაზე. კრიტიკოსი რუსთაველს უბადლო ხელოვანს უწოდებს და დასძენს, რომ მის პოემას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს სოციალურ-პატრიოტული აზრი, ხოლო ფილოსოფიური ხასიათის იდეური ჩანაფიქრი მას უნივერსალობასა და უჭკნობ დიდებას ანიჭებს. გ. ა.

230. ა. გასვიანი

ის უმღეროდა ქვეყნის დიდებას

გაზ. „ახალი სვანეთი“, 1966, № 102, 103, 105.

წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგად თემატიკურ-იდეური ანალიზია. განსაკუთრებულ ყურადღებას ავტორი უთმობს პოემაში მოცემულ პატრიოტიზმის იდეას. სანიმუშოდ ასახელებს სარიდანის მოქმედებას, უწოდებს მას „დიდბუნებოვან პატრიოტს, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულს,... რომელმაც დამოუკიდებელი მეფის ბრწყინვალე ტიტული რიგითი კარისკაცის თანამდებობაზე გასცვალა“.

ავტორის აზრით, სარიდანის „სამაგალითო მამულიშვილობა რუსთაველმა დაუპირისპირა ათასი ჯურის ორბელიანთა, დადიანთა, ჯაყელთა თუ სხვა ფეოდალთა უღირს ქცევას“. ავტორი ამავე თვალსაზრისით იძლევა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის დახასიათებას. გ. ა.

231. გ. გაფრინდაშვილი

რუსთაველის ეპოქის ძეგლები ვანის ქვაბიდან

ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმ. მუზეუმი, XIV სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1966, გვ. 26-27; (იგივე რუსულ ენაზე, გვ. 27-28, მოგვაქვს შემოკლებით).

1965 წელს სპელეისტიკურმა ექსპედიციამ ვანის ქვაბში გამოავლინა იჩქით გურგენისძის წარწერა, რომელიც შესრულებულია 1189-1204 წლებს შორის.

იჩქით გურგენისძე ჯავახეთის დიდი ფეოდალია.

ე. მეტრეველმა ჯვრის მონასტრის ალაპებში გამოყო და დაათარილა XII ს-ის ბოლო ან XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ხუთი ალაპი. მათ შორის არის შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის ალაპი, იჩქით გურგენისძის ალაპთან ერთად.

ვანის ქვაბის იჩქით გურგენისძის 1189-1204 წლების სამშენებლო წარწერამ დაადასტურა ამ ალაპთა დათარიღება და მოგვცა თამარ მეფის თანამედროვეთა – შოთა რუსთაველისა და იჩქით გურგენისძის მოღვაწეობის დრო.

იჩქით გურგენისძის ამ წარწერას სხვა მასალებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ იგი დღეისათვის ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლია. იერუსალიმის მასალებთან ურთიერთობაში შოთა რუსთაველის მოღვაწეობის ხანას რომ იძლევა არაპირდაპირი გზით.

ლ. კ.

232. ამბერკი გაჩეჩილაძე

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები და შოთა რუსთაველი

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 216-232.

ავტორი წარმოაჩენს XIX საუკუნის ქართველ მწერალთა დამოკიდებულებას რუსთაველის შემოქმედებისადმი, „ვეფხისტყაოსნის“ პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას მათ შემოქმედებაზე. ამგვარ მწერალთა შორის არიან: გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ლ. არდაზიანი, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე შექმნილი დრამატული ნაწარმოების ავტორები: გოდერძი ფირალიშვილი, გ. ერისთავი, ოქროპირ ბაგრატიონი, ალ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი.

ლ. კ.

233. გივი გაჩეჩილაძე

„ვეფხისტყაოსანი“ იტალიურ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 22 აპრ., № 17, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ იტალიელმა პროფესორმა ლეონე პაჩინიმ მას გამოუგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ იტალიური თარგმანი, რომელიც შესრულებულია ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორის – შალვა ბერიძის მიერ. რუსთაველის პოემა თარგმნილია პროზაულად დ. კარიჭაშვილის გამოცემის მიხედვით. დასურათებულია მხატვარ ფულვიო ბიანკონის მიერ.

დაიბეჭდა ქ. მილანში 1945 წელს 499 ცალი.

გ. ა.

234. გ. გაჩეჩილაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 21 ოქტ., № 43, გვ. 3.

ავტორი მსჯელობს სხვა ენაზე მხატვრული თარგმნის სიმძნელებზე და აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა უთუოდ ელოდება ისეთ პოეტ მთარგმნელს, რომელსაც ერთდროულად ქართულიც ეცოდინება და თავისი მშობლიური სიტყვის დიდი ოსტატიც იქნება. „ვეფხისტყაოსნის“ მარჯორისეულმა ინგლისურმა თარგმანმა ისტორიული როლი ითამაშა და ის დღესაც იპყრობს ყურადღებას თავისი პოეტური ღირსებებით, თუმცა მან შეგნებულად აუარა გვერდი რუსთაველის ლექსის საზომს. რუსთაველის შაირის გადატანა ინგლისურ ენაზე პირველად სცადა ვენერა ურუშაძემ. უკანასკნელი ცდა ამ მხრივ ეკუთვნის ვახტანგ ერისთავს, რომლის მიერ შესრულებული 83 სტროფის თარგმანი მის ძირითად თვისებებზე წარმოდგენას გვაძლევს. მას საზომად აუღია ოთხტერფიანი ქორე, რომელიც სავსებით შეეფერება მაღალ შაირს და ორგანული და გასაგებია ინგლისელი მკითხველისათვის. **გ. ი.**

235. გ. გაჩეჩილაძე

მუდმივი თანამგზავრი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 ოქტომბერი, № 245, გვ. 3.

ავტორი ეძიებს იმ მიზეზებს, რომელიც იწვევდა დაუცხრომელ ინტერესს „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. მას მიაჩნია, რომ პოემის უნივერსალიზმში ყოველი ეპოქა ხედავდა ცხოვრების შინაგანი კანონზომიერებისაკენ ლტოლვის ენერჯიას, ხედავდა როგორც ამ გზაზე არსებულ დაბრკოლებას, ასევე მისი ძლევის სიტკბოსაც გრძნობდა. პოემის ეს ოპტიმისტური სულისკვეთების მფეთქავი ნერვი დაცემის გზაზე მდგომი ეპოქის ადამიანს აწვდიდა სასიცოცხლო ძალას, ხოლო აღზევებულს მოაგონებდა სიფრთხილის აუცილებლობას.

რუსთაველი თანამედროვე მწერლობისათვის ის ნათელი ორიენტირია, რომლის შემოქმედებაშიც იწყება ახალი ლიტერატურისათვის ანტონიმიებად გაშლილი საწყისების გაცნობიერება და რუსთაველი ეხმიანება თანამედროვეობის უმძაფრეს პრაქტიკულ და ეთიკურ იდეალებს. **თ. ხ.**

236. გ. გაჩეჩილაძე

სიკვდილის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდ. საბჭოს I სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1966, გვ. 28-29.

ავტორის აზრით, „სიკვდილისადმი დამოკიდებულებაში „ვეფხისტყაოსნის“ სულისკვეთების გასარკვევად აუცილებელია სამყაროს სურათის შესახებ შუა საუკუნეებისა და რენესანსის წარმოდგენების გათვალისწინება“. ხოლო ეს წარმოდგენები, ავტორის თქმით, „ძირითადად მომდინარეობს არეოპაგელის შრომებიდან... ამ სურათში მაღალ და დაბალ სამყაროთა საფეხურეობრივი კოსმოსი წარმოდგენილია

როგორც იერარქიული კიბე, რომელსაც უკავშირდება გაწმენდის იდეა. უმაღლესი საშუალება ამ ზედროული იერარქიის გავლენისათვის არის სიკვდილი“.

რენესანსული წარმოდგენები „უკავშირდება სამყაროს ამ იერარქიული მოდელის რღვევას... რუსთველის მსოფლგანცდა ამ ტენდენციის ნათელი გამოხატველია. ეს მომენტი „ვეფხისტყაოსანში“ უკავშირდება სიკვდილის აბივალენტური სულისკვეთების წარმოსახვას.

ისევე, როგორც გვიანი რენესანსული კულტურის ფონზე..., სიკვდილის წინაშე შიშის დაძლევის სულისკვეთება რუსთაველთან ისახება სტოიციზმის ფილოსოფიის უარყოფაში..., რომელშიც შენარჩუნებულია სტოიციზმის სიკვდილთან დამოკიდებულების გარეგნული ფორმა...“

ბ. დ.

237. გიორგი გაჩეჩილაძე

რუსთაველის ტრადიცია და ქართული პოეზიის გზები

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 17 სექტ., № 181; აგრ. ქართული ლიტ. ინსტ., XXVI სამეცნ. სესია, თეზისები, 1966, გვ. 9-10.

ავტორის აზრით, ეროვნული ცნობიერების გაღვივების პერიოდებში „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი საგრძნობლად იზრდება. აღორძინების ხანის პოეტთა დიდი ნაწილის მიერ იგი გამოყენებული იყო ეპიგონური თვალსაზრისით. **ვახტანგ მეექვსის**, სულხან-საბა **ორბელიანისა** და დავით **გურამიშვილის** ლიტერატურულ სამყაროში იწყება რუსთაველის შემოქმედების მაღალ სპირიტუალურ დონეზე შეცნობა.

გარკვეული ინტერვალის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ სულისკვეთების მაჯისცემა განახლდა ქართულ რომანტიზმში. იგი უაღრესად რთულ სახეს იღებს ნ. **ბარათაშვილის** რომანტიკულ „მე“-ში.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის გმირთა ზნეობრივ სფეროში მხოლოდ იმდენად ბატონობდა ქრისტიანიზმის ზნეობრივი იმპერატივი, რამდენადაც ეს საჭირო იყო ცხოვრებაში სრულყოფილად დამკვიდრებისათვის. ეს იყო რაციონალიზმისათვის მყარი ნიადაგის შემზადების პროცესი. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი რაციონალიზმის არსენალიდან მომდინარე ნორმატიული პრინციპების რღვევის სულისკვეთებას გამოხატავს.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესის ახალ საფეხურს ქმნიან დემოკრატი მწერლები – ილია **ჭავჭავაძე** და აკაკი **წერეთელი**, ყველაზე მასშტაბურად კი XIX ს-ის ქართული კულტურის ისტორიაში რუსთაველის შემოქმედებით პრობლემატიკას **ვაჟა-ფშაველა** ეხმაურება. იგი პირველი პოეტია, რომელმაც საკუთარ შემოქმედებით პრობლემატიკას, როგორც ეროვნულ ამოცანას, რუსთაველური მასშტაბურობა მიანიჭა. ამ შემოქმედებითი ამოცანის დასაძლევად მან რუსთაველის კვალდაკვალ მოძებნა ზოგადი ხასიათის სიუჟეტური ქარგა – მითი.

გ. გაჩეჩილაძის აზრით, რუსთაველი და გ. **ტაბიძე** ქართული კლასიკური პოეზიის რვასაუკუნოვანი ინტერვალით დაშორებული ორი სხვადასხვა მასშტაბის მწვერვალია. სიყვარულის მოტივი გ. ტაბიძის შემოქმედებას თვისობრივად აკავშირებს რუსთაველის სამყაროსთან. ასეთივე პათოსითაა შთაგონებული ირ. **აბაშიძის** „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“.

ავტორი დაასკვნის, რომ რუსთაველის შემოქმედებითი ტრადიცია და მისი პოემის ზნეობრივი პათოსი იქცა ყველა ეპოქის ქართველი კაცის ინტელექტისა და ესთეტიკური გრძნობის თავისებურ სამჭედლოდ. გ. ა.

238. გ. გაჩეჩილაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და რენესანსული კულტურის საკითხები

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 123-137.

ავტორი განიხილავს რენესანსული აზროვნებისა და შემოქმედების სხვადასხვა სფეროს, ადგილისა და დროის მიხედვით. მისი სიტყვით, „რენესანსული კულტურის წიაღში წარმოშობილი იდეალი ახალი ადამიანისა გულისხმობდა მოქმედებაში შეუზღუდავ თავისუფალ პიროვნებას, მაგრამ რელიგიის საერთო დოგმატიზმთან ბრძოლაში პიროვნების ზნეობრივი კრიტერიუმების შესუსტებამ აშკარა გახადა თავისუფალი ადამიანის არასრულყოფილების ფაქტიც. რუსთაველი ნათლად ხედავს რა პრაქტიციზმის ცალმხრივობას და მის გამო გაღებულ დიდ ზნეობრივ მსხვერპლს, იძლევა მათი დიალექტიკური ერთიანობის რაციონალისტურ თვალსაზრისს“.

ამ თვალსაზრისით ავტორი განასხვავებს „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ კულტურებს. „აღმოსავლურმა ხელოვნებამ ადამიანის ღირებულების განცდა რენესანსულ კულტურაში მისი ეთიკური თვისებების იდეალიზაციით წარმოადგინა“. „ანტიკურ და რომაულ სულისკვეთებაზე აღმოცენებულმა დასავლურმა კულტურამ შუა საუკუნეების ქრისტიანიზმის დოგმათა რღვევა დაიწყო ადამიანის, როგორც მოაზროვნე და პრაგმატისტული არსების მიღებით“.

„ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული კულტურის განვითარების იმ საფეხურს ემთხვევა, როდესაც ადამიანის თავისუფლების იდეალი ჯერ კიდევ მყარადაა დაფუძნებული ზნეობრივ პრინციპებზე“. თუმცა „რუსთაველისათვის უკვე აღარ არსებობს ქრისტიანული ეთიკის თვითკმარი ღირებულება, რომელიც ქმნის ცოცხალი პრაქტიკისაგან დამოუკიდებელ სფეროს“ (გვ. 130).

„ვეფხისტყაოსანი“ ადამიანის სიცოცხლის ღირებულებათა დამკვიდრების პოემაა და ეს ჰარმონია რუსთაველის ჰუმანიზმს უნივერსალურ მნიშვნელობას ანიჭებს კაცობრიობის ყველა დროის კულტურასთან მიმართებაში...

რუსთაველის ჰუმანიზმის უნივერსალური ფორმისათვის ზნეობრივი იდეალიზმი არის სინამდვილესთან დამოკიდებულების პრინციპი, ხოლო პრაგმატიზმი – მისი განხორციელების შესაძლებლობა“... „ამ თვისებით „ვეფხისტყაოსანი“ თვალსაჩინოდ გამოკვეთილი ძეგლია ამ ორი ტიპის ხელოვნების (აღმოსავლურის და დასავლურის) ფონზე“. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ორი კულტურული სამყაროს „სულიერი შეხების ხიდი“.

გ. ა.

239. Г. Гачечиладзе

Научная сессия

გაზ. «Заря Востока», 1966, 12 აგვისტო, № 183, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ წულუკიძის რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელიც მიემდგვნა რუსთაველის იუბილეს, სესია შესავალი სიტყ-

ვით გახსნა განათლების რაიონული განყოფილების გამგემ გ. თედორაძემ, წულუკიძეში სტუმრად ჩასულმა მეცნიერებმა წაიკითხეს მოხსენებები.

დასასრულ, დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ლექსები გააცნო (წაუკითხა) პედაგოგმა გ. მუშკულიანმა.

თ. ხ.

240. გ. გაჩეჩილაძე

მუდმივი თანამგზავრი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 ოქტ., № 245, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესს სრულიად განსხვავებული ისტორიული ამოცანების მქონე ეპოქები ამჟღავნებენ. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ რუსთაველის თხზულების „უნივერსალიზმში ყოველი ეპოქა ხედავდა ცხოვრების შინაგანი კანონზომიერებისაკენ ლტოლვის ენერგიას, ხედავდა როგორც ამ გზაზე არსებულ დაბრკოლებებს, ისე მისი ბრძოლით დაძლევის სიტკბოს“.

მკვლევრის სიტყვით, „რუსთაველმა არა მარტო აჩვენა ადამიანის გახსნილი შინაგანი სამყარო და მისი კონფლიქტები,... არამედ წარმოადგინა ამ სამყაროს უდიდესი თვითღირებულების ოპტიმისტური შეგრძნება. ამ დიდი შინაგანი კონფლიქტის ფონზე რუსთაველმა გაშალა ადამიანის ზნეობრივი და პრაგმატისტული საწყისის ურთიერთმიმართების პრობლემა“. როგორც ავტორი ამბობს, „რუსთაველის გმირთა სიცოცხლე საუკუნეებით იზომება. ისინი გვიზიდავენ და ალტაცებაში მოჰყავთ მათგან დიდი დროით დაშორებული ადამიანები“.

გ. ა.

241. კ. გაჩეჩილაძე

პოეტის უკვდავება

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 18 ივნისი, № 117, გვ. 3.

წერილის ავტორი არ ეთანხმება გამონათქვამს „კლასიკოსია ის, ვისაც ყველა იცნობს და რომელსაც არავინ კითხულობს“, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ რუსთაველის მიმართ ერთხანს მართლაც მოდუნებული იყო ყურადღება. ამის მიზეზი, ავტორის აზრით, უდროობაა, რამეთუ ქართველი მუდმივად იბრძოდა, იცავდა თავის ქვეყანას, მაგრამ რუსეთთან სიახლოვემ მას სიმშვიდის გარანტია მისცა და ისიც დაეწაფა ცხოვრების დიდ სიბრძნეს, გაიცნო და სხვასაც გააცნო რუსთაველი, ამის შემდეგ პოეტა მეფე მთელი მსოფლიოს კუთვნილება გახდა.

თ. ხ.

242. ს. გაჩეჩილაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ხელოვნების შესწავლისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ., ლიტერატურათმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, I სამეცნ. სესია, თბ., 1966, თეზისები, გვ. 16 (მოგვაქვს შემოკლებით).

1. რუსთაველის პოეტური ხელოვნების შესწავლის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა საკითხების შესწავლის მდგომარეობას. 2. ადვილად ვრცელდება და ზოგჯერ გაბატონებულ ადგილს იჭერს არამეცნიერული შეხედულებანი პოემის კომპოზიციის, მისი მთავარი თემის, სიუჟეტის ძირითადი ამბის, პარალელური ფაბუ-

ლის, თხზულების კვანძის, პერსონაჟთა სახეების სისტემისა და დანიშნულების შესახებ. 3. რუსთაველის პოეტური ხელოვნების შესწავლის შეუფასებლობა და მისი დაბალი დონე აძნელებს პოემის ტექსტის დადგენას. გ. ა.

243. მ. გელაძე

სიყვარული – გზად და ხიდად

გაზ. „თრიალეთი“ (დმანისი), 1966, 25 სექტ., № 115.

შოთა რუსთაველი, როგორც ყოველთვის, მეგობრობის გამოხატვაშიც კაცთმოყვარეობას ეძიებს. „ვეფხისტყაოსანის“ გმირები (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) ერთმანეთთან შეკავშირებული არიან სიყვარულისა და ძმობის გრძნობით, თუმცა ეს გრძნობა არასოდეს ავიწყებს მათ მოვალეობას სამშობლოსა და სახელმწიფოს წინაშე.

მეგობრობა კაცსა და ქალს შორის, რასაც რუსთაველი გვიხატავს, უმაგალითოა ლიტერატურის ისტორიაში და დღესაც მისაბაძია. პოემის გმირთა, ცალკეულ ინდივიდთა მეგობრობა ხალხთა ძმობასა და მეგობრობაშია გადაზრდილი. გ. ა.

244. ე. გელხვიძე

შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი

გაზ. „ახალი კოლხიდა“, 1966, 8 ივლისი, № 81.

წერილი ეხება იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში სვეტზე დახატულ შოთა რუსთაველის პორტრეტს, რომელიც მოხსენიებული აქვთ: ნიკიფორე ჩოლოყაშვილს, ტიმოთე გაბაშვილს, ნიკო ჩუბინაშვილს და სხვ. ავტორი საუბრობს 1960 წლის სპეციალურ ექსპედიციაზე, როდესაც ქართველმა მეცნიერებმა ხელახლა აღმოაჩინეს საღებავით დაფარული შოთას პორტრეტი, ეხება რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების საკითხს და დაასკვნის, რომ „შოთა რუსთაველის სამშობლოდან გაძევების მთავარი მიზეზი, ცხადია, კლერიკალიზმისაგან თავისუფალი მისი იდეები და იდეალები იყო, რომლებითაც გაჟღერებულია პოემა“. გ. ა.

245. ვ. გენგიური

ელმავალი რუსთაველის ბარელიეფით

გაზ. «ახალგაზრდა კომუნისტი», 1966, 4 ოქტომბერი, № 117, გვ. 3.

დედაქალაქის ახალგაზრდობამ რუსთაველის იუბილის დღეებში შეაგროვა ჯართი, რომლითაც აიგო ელმავალი 3 ლზ–1530. მას რუსთაველის ბარელიეფი ამშვენებს. ელმავალი მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა გაიოზ წულაძემ.

ლ. კ.

246. გ. გეორგიანი

Астрономические рукописи эпохи Руставели

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 24 სექტემბერი, № 225, გვ. 2.

საუბარია კოსმოგრაფიულ ხელნაწერებზე, რომლებიც დაცულია ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში და რომლის თვალის ერთი გადავლევაც სრულ წარ-

მოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ ადამიანს რუსთველის ეპოქის მკვიდრთა ცოდნის დონეზე.

მიმოხილულია თავის დროზე მეტად პოპულარული რამდენიმე კალენდარი. მაგალითად: იოანე ქართველისა, X ს.; მეორე კალენდარი, რომელიც 1188 წლით თარიღდება და არაჩვეულებრივადაა გაფორმებული; 1233 წლით დათარიღებული ტბელ აბუსერისძის ხელნაწერი კალენდარი და ა. შ. საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთ ეპიზოდზე – ავთანდილის ვედრება მნათობთა მიმართ. **თ. ბ.**

247. ა. გეწაძე

სახალხო თეატრის სპექტაკლებზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 3 დეკემბერი, № 275, გვ. 4.

საუბარია ონის სახალხო თეატრის გასტროლებზე. ონელმა სცენისმოყვარულემა წარმოადგინეს დავით კასრაძის დრამატულ-ჰეროიკული პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“ (რეჟ. გ. ჯაფარიძე). წერილის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს, თუმც არც ხარვეზებზე ხუჭავს თვალს და მიაჩნია, რომ სპექტაკლში ზოგი რამ სადავოა, ყველა თანაბარი პროფესიონალიზმით ვერ თამაშობს. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს გონივრულად გააზრებული კარგი წარმოდგენაა, სადაც სრულად წარმოჩნდა რუსთაველის და ხალხის, პოეტისა და დრო-ჟამის ურთიერთობა. ამით გ. ჯაფარიძემ კიდევ ერთხელ ცხადყო თავისი ნიჭი და გამოცდილება. დავით სოსლანის როლი მაღალ დონეზე შეასრულა მსახიობმა შალვა ჯაფარიძემ. შთამბეჭდავი იყო მაგული ჯაფარიძის (თამარი), გ. გავაშელის (კათალიკოსი), ნ. დუშუაშვილის (ჭიაბერი), ვ. ჯაფარიძის (მხარგრძელი) თამაში, რამაც კვლავ დაადასტურა, რომ ონის სახალხო თეატრში თავისი საქმის მცოდნე და თავდადებული კოლექტივია. **თ. ბ.**

248. Сандро Гвалиа

Легенда о вершине Руставели

გაზ.: «Вечерний Тбилиси», 1966, 12 ოქტომბერი, № 243, გვ. 3; „ლელო“, 1966, № 54, გვ. 2.

ავტორმა, ალპინისტმა სანდრო გვალიამ, აღმასგირ კვიციანთან ერთად 1937 წ. 23 ოქტომბერს დალაშქრა ახალი, ზღვის დონიდან 4 960 მ-ის სიმაღლის მწვერვალი, რომელიც მდებარეობს დასავლეთ შხარას და აღმოსავლეთ ჯანგოს შორის (მწვერვალის დალაშქრის პირველი ცდისას მათთან ერთად იყვნენ გოჩა ზურაბიანი და ლადო მესხიშვილი). მწვერვალს შოთა რუსთაველის სახელი უწოდეს, დადგეს ბარელიეფი (ავტ. იაკობ ნიკოლაძე) და მემორიალური დაფა წარწერით „750“. **ლ. კ.**

249. [ზ. გვარამაძე და სხვ.]

ერთი თქმულების ორი ვარიანტი

გაზ. „სამგორი“, 1966, 17 აპრილი, № 45, გვ. 3.

ახალციხელი მთქმელები ზ. გვარამაძე და ნ. ბერიძე მოგვითხრობენ რუსთაველის სიყვარულზე სოფ. ორმოცის ბატონის თეკლეს მიმართ, რომელმაც როცა შეიტ-

ყო, რომ მისმა მიჯნურმა ზემო თმოგვის (II ვარიანტში – კოდიანის) ბატონის ასული შეერთო ცოლად, თავი მოიკლა. **თ. ხ.**

250. ბ. გვასალია და სხვ.

პოეტისადმი მიძღვნილი

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 13 ივნისი, № 111, გვ. 4.

საიუბილეო დღეებს მიეძღვნა ლიტერატურული გამოფენა, რომელიც მოაწყო სოხუმის მასწავლებლის სახლის ბიბლიოთეკის გამგეობამ. წარმოადგინეს ბევრი უნიკალური ექსპონატი, მაგალითად: 1712 წელს ვახტანგ მეფის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ს. კაკაბაძისეული გამოცემა, 1937 წ. საიუბილეო გამოცემა..., რუსულ ენაზე სხვადასხვა დროს თარგმნილი ეგზემპლარები: კ. ბალმონტის, გ. ცაგარლის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის, ნ. ზაბოლოცკის თარგმანები, მ. ბაჟანის (უკრაინული), დ. გულიას (აფხაზური) თარგმანები.

წარმოდგენილია 588 სალექსო სტრიქონის მ. მეტაფიდის მიერ ახალ ბერძნულ ენაზე შექმნილი თარგმანი, რომელიც რუსთაველის პოემის ბერძნულ ენაზე თარგმნის პირველი ცდაა. **თ. ხ.**

251. ალექსანდრე გვახარია

„ვეფხისტყაოსანი“ და „იოსებზილიხანიანი“

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 221-228.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი გავლენა ე. წ. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაზე გამოიხატებოდა შოთას ლექსიკის, მხატვრული ხერხების გამოყენებაში, ზოგჯერ მისი სტროფების პარაფრაზში. „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი მიბაძვითა თუ გავლენით შექმნილ ძეგლთა – „ომანიანის“, „ბარამგულიჯანიანის“, „იოსებზილიხანიანის“, „ბარამგურიანიისა“ და თეიმურაზის პოემების – შედარებითი შესწავლა არანაკლებ საყურადღებო და ანგარიშგასაწევ მასალას გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების გასარკვევად. ამ თხზულებებს ზოგჯერ უფრო ძველი სურათი შემოუნახავთ, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ გვიანდელ ხელნაწერებს.

ავტორი არ იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „იოსებზილიხანიანის“ პროლოგის ცნობილი სტროფის «აწ, რუსთველო, გეთხოვები...» მესამე ტაეპში: „რომე გკადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა“ სიტყვა „დაჯრა“ ნიშნავდეს მიწყობას, ხოლო პოეტიკაში გულისხმობდეს ლექსად თქმას. ავტორი ამ საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით (შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე, ს. ოირდანიშვილი, ალ. ბარამიძე, „ბახთიარნამეს“ ჩვენება), ასკვნის, რომ „დაჯრა“ ნიშნავს დახურვას, შემჭიდროებას, შემოკლებას. ამასთან, ავტორს მოჰყავს „იოსებზილიხანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფები იმის საილუსტრაციოდ, რომ „იოსებზილიხანიანის“ ავტორს ზოგჯერ თავისუფლად აქვს გააზრებული „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის დებულებები (გვ. 224). ანონიმ პოეტს უცვლელად გადმოაქვს არათუ შოთას შეხედულებები, ზოგჯერ ლექსიც კი, ამასთან, ერთ სტროფში ათავსებს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის შინაარსს (გვ. 225).

„ვეფხისტყაოსნის“ 329-ე და 343-ე სტროფებსა და „იოსებზილიხანიანში“ ერთ-ნაირი მნიშვნელობით გამოყენებულ სიტყვებზე მსჯელობისას ავტორი ასკვნის, რომ „სარაჯი“ უნდა ნიშნავდეს აუხს.

ავტორის საერთო დასკვნით, „ზილიხანიანის“ ყოველი სტროფი იძლევა ანალოგიური დაკვირვებისა და მსჯელობის საფუძველს. ლექსიკა, აფორისტული და იდიომატური გამოთქმები, პოეტიკა – ყოველივე ეს იმდენად საერთოა „ვეფხისტყაოსანთან“, რომ უბრალო შედარებაც კი თვალნათლივს ხდის მათ კავშირს. გ. ი.

252. ვაჟა გვახარია

თამარისდროინდელი საერო მუსიკა

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 5, გვ. 108–118.

ნარკვევში ავტორი განიხილავს ქართული საეკლესიო გალობისა და საერო სიმღერის განვითარების გზას და ბერძნულ გალობასთან შეპირისპირებით წარმოაჩენს მათს თავისებურებებს. როგორც ავტორი წერს, ქართული გალობა სამხმიანი იყო. იოანე პეტრიწი ხმის დიაპაზონებს უწოდებს: **მზახრს**, **ჟირს** და **ბამს**. ხმის რეგისტრის აღსანიშნავად X-XII საუკუნეების ჰიმნოგრაფიულ კრებულებში გამოყენებულია სპეციალური მუსიკალური ნიშნები, იხმარებოდა ტერმინები: „**მწყობრი**“ და „**დასი**“ – ანსამბლის მნიშვნელობით. იყო აგრეთვე „გალობის მოძღვარი“ და „მგალობელთა უხუცესი“.

საერო პოეზიაში გვხვდება ტერმინები: **ჩანგი** და **მგოსანი** (ჩანგზე დამკვრელი); **მუტრიბი** (მომღერალი და მოცეკვავე); **ზმა** და მისი სინონიმი **ძნობა**; **ქნარი**, ანუ **ათძალი**; ჩასაბერი საკრავები: **ბუკი**, **ნობა**, **ნაძ**; დასარტყმელი: დაირა, დაბდაბი, ტაბლი, ტაბლაკი და სხვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ხალხში სიმღერით სრულდებოდა. მის საფუძველზე შექმნილია სიმღერები: „ბინდისფერია სოფელი“, „ზამთრი“, „ავთანდილ გადინადირა“, „ნახე უცხო მოყმე ვინმე“, „სუფრული“ (ქართლში), „ვარდსა ჰკითხეს“ (გურიაში) და სხვა, რომელთა შესრულების წესები დღევანდლამდეა შემორჩენილი. გ. ა.

253. В. Гвахария

Бессмертие

ჟურ. «Советская музыка», 1966, № 9, გვ. 60–61.

ნაშრომის თემაა „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური და სცენური განხორციელება. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ისტორიას, იხსენებს ო. ბატონიშვილის და გ. ფირალიშვილის პიესებს, მ. ზიჩის დადგმებს, კ. მესხის და კ. მარჯანიშვილის მცდელობებს წარმოედგინათ „ვეფხისტყაოსანი“ სცენაზე.

ავტორი მიიჩნევს, რომ რუსთაველის შემოქმედების ღირსეული გადატანა მუსიკის ენაზე ჯერ ვერ მოხერხდა. დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და შ. მშველიძის „თქმულება ტარიელზე“ სუსტი ლიბრეტოს გამო არ შეაქვთ თბილისის ოპერის რეპერტუარში.

ამის შემდეგ საუბარი ეხება 1947 წ. მონტე კარლოში წარმოდგენილ ბალეტს „შოთა რუსთაველი“. ეს იყო ხუთმოქმედებიანი ნაწარმოები, რომელიც დადგა სერჟ ლიფარმა. მუსიკა დაწერეს: ა. ონეგერმა, ა. ჩერეპნინმა და ტ. არსანიმ, მათ გამოიყენეს ქართული ცეკვების რიტმი და ხასიათი. მთავარი გმირები განასახიერეს: ივეტ შოვირიმ (ნესტან-დარეჯანი, უ. ალგაროვმა (ტარიელი), ფ. სკურატოვმა (ავთანდილი).

1960 წელს მეჩისლავ კოტიარჩიკმა კრაკოვში დადგა „ვეფხისტყაოსანი“ ეჟი ზაგურსკის თარგმანის მიხედვით. სპექტაკლი მიდიოდა ა. ხაჩატურიანის და ს. ცინცაძის მუსიკალური ნაწარმოებების თანხლებით.

სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ლ. კ.

254. **С. Гвелесиани**

Восьмитомное академическое

გაზ. «Вечерний Тбилиси», 1966, 25 ოქტ., № 251, გვ. 3.

ავტორის ცნობით, რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ 5 ქართული გამოცემა, 2 – რუსული თარგმანი, 3 – ინგლისური, ფრანგული და სხვ. გარდა ამისა, მომზადდა ილუსტრაციათა ორი კრებული. ერთში შევიდა პოემის ხელნაწერთა ილუსტრაციები, II-ში – თანამედროვე მხატვართა ნამუშევრები. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემას, 3 წლის წინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა პოემის ტექსტის დამდგენი კომისია (თავმჯდომარე ი. აბაშიძე, მთ. რედ. გ. წერეთელი). კომისიამ დიდი მუშაობა გასწია. მან შექმნა ძველი ქართული ლიტერატურის რამდენიმე ძეგლის ე. წ. „სიმფონია“, რაც დაეხმარებოდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში. ამჟამად მუშაობა დასასრულს უახლოვდება. აკადემიური გამოცემა 8 ტომს მოიცავს: პოემის ტექსტები და ვარიანტები, კომენტარები, სიმფონია, ლექსიკონი, დიდი საილუსტრაციო მასალა და სხვა.

ლ. კ.

255. **გ. გვენეტაძე**

რუსთაველი და მისი პოემა

გაზ. „ტყიბული“, 1966, 8 სექტემბერი, № 106.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველმა თავის პოემაში მხატვრულ ფორმაში გააერთიანა ქართული მხატვრული და ფილოსოფიური აზრის განვითარების წინა საფეხური, მომდინარე პეტრე იბერიდან, გ. მერჩულესა და პეტრიწის, ჩახრუხაძისა და შავთელის ჩათვლით.

რუსთაველი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით „განათლებული აბსოლუტიზმის“ თეორიის წინამორბედი, თუმცა კარგად ხედავს არა მხოლოდ ფეოდალიზმის შეზღუდულობას, არამედ ოქროს ბატონობაზე დამყარებული საზოგადოების სიდუხჭირეს და მკაცრად აკრიტიკებს მას. პოეტმა აღმოსავლეთიდან მიიღო ზოგი რამ, და პირველყოვლისა, ქრისტიანობის საწინააღმდეგო ბუდისტური მეტაფიქიზის იდეა და მზის ღვთაებრივ საწყისად აღიარება.

რუსთაველს 45.000 სიტყვა აქვს ნახმარი პოემაში. იგი ხშირად არსებითს, ზედსართავს და რიცხვით სახელებს, თვით უფორმო სიტყვებსაც ზმნად აქცევს, რითაც აზრის დიდ სიფართოვეს და სიტყვის დიდ ეკონომიას აღწევს.

„ვეფხისტყაოსანს“ შემოუნახავს ქართული ზმნის არქაული ფორმები, რომლებიც საშუალო ქართულში აღარ იხმარებოდა. **ი. კ.**

256. ალექსანდრე გვენცაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ქალები

გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1966, 4 აგვისტო, № 91, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი გამოყოფს „სამამაცო ზნეს“ – საკაცო შრომა-საქმიანობას და სადიაგო საქმეს. მაგრამ რუსთაველი კაცსა და ქალს არ განასხვავებს გონიერების, ინტელექტის მიხედვით. „მსოფლიო მხატვრული სიტყვის საგანძურში ძნელად მოიპოვება ნაწარმოები, რომელშიც ქალი ინტელექტუალურად ისე იყოს ამალღებული და დაფასებული, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“.

მკვლევარი ცალ-ცალკე ახასიათებს პოემის პერსონაჟ ქალებს: თინათინს, ნესტან-დარეჯანს, ასმათს, დავარს, ფატმანს, ნესტანის დედას (ინდოეთის დედოფალს) და დულარდუხტს. მისი თქმით, „ასმათი არის კდემამოსილების, სათნოების, სისპეტაკის, უმანკოების, ნამუსის, მეგობრობის... უმშვენიერესი განსახიერება“. სტატიის ავტორის აზრით, ნესტანის გადარჩენას „შეეწირა ფატმანის ქალური ნამუსი. მაგრამ დიდმა პოეტმა გამოისყიდა ეს ხარვეზი და ფატმანის სახე წარმოგვიდგინა უკეთილშობილეს ადამიანად. ფატმანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ნესტან-დარეჯანი ეხსნა განსაცდელისაგან“.

გ. ა.

257. ალ. გვენცაძე

უფროს-უმცროსობა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1966, 25 აგვ., № 100, გვ. 2.

ავტორი წერს: უფროს-უმცროსობა ადამიანურ-მორალური სფეროა, რომელსაც საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი კვებავს სათანადოდ. რუსთაველის პოემაში გატარებულია თვალსაზრისი, რომ უფროსის ნება-სურვილს უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს უმცროსი. მაგრამ ისიც სავალდებულოა, რომ უფროსი ყოველთვის სიკეთესა და ბედნიერებას უნდა ცდილობდეს უმცროსისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში უმცროსი თვითონ ეძიებს სიმართლესა და ჭეშმარიტებას. წერილში ამ თვალსაზრისით განხილულია ნესტანის გათხოვების ეპიზოდი, ავთანდილის მეორედ წასვლა ტარიელის საშველად, ტარიელისა და როსტევან მეფის შეხვედრა და სხვ.

გ. ა.

258. ალ. გვენცაძე

რუსთაველი და რელიგია

გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი), 1966, 13 სექტემბერი, № 108.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველმა თვითონ ჩამოაყალიბა საკუთარი რელიგიური მრწამსი. რუსთაველის მსოფლმხედველობის შინაარსი ასეთია: ღმერთი ადამიანისათვის და არა ადამიანი ღმერთისათვის.

შოთა რუსთაველის პროგრესული აზროვნების ერთ-ერთი ნიშანია მისი რელიგიური წარმოდგენანი, რომელთა მიხედვით, ცხოვრების შინაარსი არის თვით ადა-

მიანი; ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს კეთილს. ამქვეყნიური ცხოვრების კეთილმოწყობა ადამიანთა კოლექტიური მოქმედებით არის მოსაპოვებელი და არ შეიძლება ადამიანები პასიურად ელოდებოდნენ ღმერთის, განგების, შემოქმედის მოწყალეობას. **გ. ე.**

259. ალ. გვენცაძე

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1966, №№: 9, 16, 21, 22, 23, 27, 30, 36, 38, 40, 46, 50, 58, 62.

ერილების სერიაში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. ცალკეული ეპიზოდები გამოყოფილია სათაურებით: თინათინის გამეფება, ტარიელთან შეხვედრა, ავთანდილის გამგზავრება, ტარიელის პოვნა, ომი ხატაეთის წინააღმდეგ, ნესტან-დარეჯანს გათხოვება დაუპირეს, ნესტან-დარეჯანის დასჯა, ტარიელის შეხვედრა ფრიდონთან, ავთანდილი არაბეთში დაბრუნდა, და ა. შ. **გ. ა.**

260. ალ. გვენცაძე

პოემის ენა

გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1966, №№ 32 (15/III), 70 (16/VI), 73 (23/VI), 77 (2/VII), 78 (5/VII).

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ დაცულ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ ნიშნებს, როგორცაა: მრავლობითის ნიშანი **თა**, მოთხრ. ბრ. ნიშანი - **მან**, ტმესის მოვლენები, **მცა**, **ძი** ნაწილაკები (რამცა, ვინძი, რაძი), თანდებული - დაღმა, ხოლმეობითი (ესმოდის, მოვიდიან...).

აქვე (№ 73, 77, 78) ავტორი ეხება პოემაში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებს: მეტაფორას, განმეორებას, ეპითეტს, ჰიპერბოლას, ლიტოტესს, შედარებას. **გ. ა.**

261. ალ. გვენცაძე

ბრძენი მასწავლებელი

გაზ. „ალაზნის განთიადი“, 1966, 29 სექტ., № 115, გვ. 2.

წერილში მოცემულია რუსთაველის შემოქმედების ზოგადი შეფასება. ავტორი წერს: რუსთაველმა ადამიანობა – კაცობა აღიარა ყველაფრის საზომად. შოთამ გვიანდერძა, რომ ადამიანის სიცოცხლის დანიშნულებაა სამშობლოს სამსახური... მან უგალობა ხალხთა მეგობრობას. შოთამ ქება-დიდება შეასხა კოლექტიურ ძალ-ღონეს. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა წინააღმდეგობა გადალახულია კოლექტიური ღონისძიებებით. რუსთაველმა ადამიანი გამოიყვანა თავისი თავის პატრონად და გაათავისუფლა იგი ღვთაების მონური მორჩილებისაგან. მან დიდად შეაფასა სწავლის, აღზრდისა და განათლების მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. შოთამ განსაკუთრებით გვიჩვენა ახალგაზრდობის მნიშვნელობა. პოემის ყველა მთავარი მოქმედი პირი ახალგაზრდაა. მაღალია მათი შეგნება და სპეტაკია მათი ზნეობა. ახალგაზრდობაა ის ძალა, რომელმაც ბოროტება გაცამტვერა. **გ. ა.**

262. გ. გვენცაძე

ლეკვი ლომისა სწორია...

გაზ. „ტყიბული“, 1966, 29 სექტ., № 115.

ავტორის აზრით, ქალისა და კაცის თანასწორობის იდეის ქადაგებისათვის რუსთაველს კლასიკურ მაგალითს იმდროინდელი საქართველო – თამარის მეფობის ბრწყინვალე ეპოქა აძლევდა. თინათინი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი ფილოსოფიურად განათლებული ადამიანები არიან, ვაჟკაცური ქცევისა, გონიერი და ზომიერი მოქმედების ჰუმანისტები. ქალებისა და მამაკაცების გმირულმა სულმა ბოლოს სძლია ბოროტებას – დაემხო ქაჯეთი, თავისუფლება მოიპოვა ნესტანმა და მზე მოეახლა რუსთაველის გმირებს. **თ. ნ.**

263. გ. გვინჩიძე

«Легенда о Руставели»

(ონის სახალხო თეატრის გასტროლები თბილისში)

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 3 დეკემბერი, № 282, გვ. 4.

29 ნოემბერს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ონის სახალხო თეატრმა წარმოადგინა დავით კასარაძის პიესა „ლეგენდა რუსთაველის შესახებ“. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ეს სპექტაკლი დიდი წარმატებით სარგებლობს როგორც ონში, ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. „ლეგენდა რუსთაველის შესახებ“ დაიწერა 30 წლის წინ რუსთაველის თეატრისათვის.

სპექტაკლმა თბილისელი მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა. **ლ. კ.**

264. ივანე გიგინეიშვილი

სიტყვათა წყობის ზოგი თავისებურება რუსთაველის ლექსისა და ამასთან დაკავშირებული სადავო საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა

მოხსენება საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. XXII სამეცნიერო სესიაზე 1966 წ. 6 ივლისს, თეზისები, გვ. 7-8 (მოგვაქვს შემოკლებით).

ცნობილია, რომ ქართულში სიტყვათა წყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსაზღვრელი და საზღვრული სახელების სინტაქსური ურთიერთობისას. ლექსის ენა ამ შემთხვევაშიც ზოგიერთ თავისუფლებას იჩენს.

რუსთაველის ფრაზაში სიტყვათა წყობის თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის შედეგად პოემის ტექსტში არაერთი ტაეპია შეცვლილი როგორც ძველად, პოემის გადამწერთაგან, ისე შემდგომ, პოემის გამომცემელთა მიერ.

მოხსენებაში წარმოდგენილია ცდა პოემის ზოგი ადგილის გამართვისა სიტყვათა წყობის თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე.

1957 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:

სტროფი 846-ე, ტაეპი მე-3: მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა; სტროფი 541-ე, ტაეპი 1-ლი: მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა“; სტროფი 420-ე, ტაეპი მე-2: სრულთა სპასათა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა; სტროფი მე-1000, ტაეპი 1-ლი: მე უცხოს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრე-

ლისა; სტროფი 1030-ე, ტაეპი მე-3: ჰკადრეს: „**ხმელთა სინათლეო**, შენ **ამოხვე** ჩვენი მლხენი“; სტროფი 690-ე, ტაეპი 1-ლი: **ქვაბნი წაუხმან დევთათვის**, სახლად აქვს დევთა სახლები.

ეს ტაეპები **უნდა გაიმართოს ასე**: მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა; მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს **მის ყმისა** შენი ქმარობა“; სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ **შესხდომისა** მზობასა; მე უცხოს **უცხო** მანატრა მოსმენა სანატრელისა; ჰკადრეს: „**მზეო, სიცოცხლე** და შენ **ამოჰვე** ჩვენი მლხენი“; **ქვაბნი ომითა წაუხმან**, სახლად აქვს დევთა სახლები.

უნდა დარჩეს წაკითხვა 339-ე სტროფის 1-ლი ტაეპისა – „ალარა ვიცი, დამვიწყედეს **თუცა** დიადი წელია“, რომლის მართებულობაში ეჭვია შეტანილი.

უნდა გასწორდეს **პუნქტუაცია** ქვემოჩამოთვლილი ტაეპებისა.

არის: სტროფი 542-ე, ტაეპი მე-3: რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა ყმათა აუწყვედლად; სტროფი 154-ე, ტაეპი მე-4: ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად; სტროფი 1075-ე, ტაეპი მე-4: მათთა ცოლთა მოიძულვნეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად; სტროფი 308-ე, ტაეპი მე-3: ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა.

უნდა იყოს: რა მოვიდეს, სიძე მოკლა მისთა ყმათა აუწყვედლად; ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად, მათთა ცოლთა მოიძულვნეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად; ვერ გაახვნა სასაუბროდ, მან ბაგენი გაამყარნა.

წინადადებაში სიტყვათა წყობის საკითხთანაა დაკავშირებული წაკითხვა 162-ე სტროფის მე-3 ტაეპისა: მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად; ეს ტაეპი უნდა იკითხებოდეს ასე: მარგალიტი არვის მიჰხვდეს **უსასყიდლო უვაჭრელად**. ეს ნიშნავს შემდეგს: უსასყიდლო (უფასო, ფასდაუდებელი; ფასის თქმაშეუძლებელი) მარგალიტი არვის შეხვდება, არვის ერგება, არვის მიეცემა უვაჭრელად (უწვალელად, უტანჯველად, თავის განუწირველად). **გ. ა.**

265. ი. გიგინეიშვილი

ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 25-38;

ავრ. წიგნში: „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის... შესახებ“, თბ., 1975, გვ.123-141.

მკვლევარი ეხება პოემის 337-ე სტროფში ტერმინის – **წინამდგომელთა** – მნიშვნელობასა და დაწერილობას. იგი მიუთითებს, რომ „წინამდგომელი“ ცნობილი სამოხელეო ტერმინია, რომელიც „წინამდგომელის“ სახითაც გვხვდება ძველი მწერლობის ძეგლებში. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაზე დაყრდნობით, ავტორს მიაჩნია, რომ წინამდგომი (წინამდგომელი) მთავრის ან მეფის მსახურთა უმაღლეს ჯგუფს ეკუთვნოდა. ეს ტერმინი ერთი, რთული ფუძის შემცველი სიტყვაა ისევე, როგორც „წინამწოლი“ (558-ე სტროფში) და ისინი თითო სიტყვად უნდა დაიწეროს.

მკვლევრის აზრით, „წინამდგომელი“ არაა „ხასი“; ეს ცნებები ერთი წინადადების რეალური სუბიექტები და თანაბარუფლებიანი სინტაქსური ერთეულებია, ამიტომ ტაეპი ასე უნდა დაიბეჭდოს:

„უკუნით გამომიყვანეს ხასთა და წინამდგომელთა“.

ამავე წერილში მკვლევარი განიხილავს „**საწოლის მეკრეს**“ (მეკარის) მნიშვნელობას. მას არასწორად მიაჩნია ნაბეჭდ გამოცემებში დამკვიდრებული ფრაზა: „სა-

წოლს მეკარე შემოდგა“ (358,3), მიუთითებს, რომ ხელნაწერების აბსოლუტურ უმეტესობაში იკითხება: „საწოლის მეკრე შემოდგა“. „მეკრე“ უფრო ძველი და გავრცელებული ფორმაა; იგი ზოგადი ტერმინია, მოხელე-მსახურთაგან ერთ-ერთია „საწოლის მეკრე“. მისი უფლება-მოვალეობა ზუსტად განსაზღვრულია „ხელმწიფის კარის გაირიგებაში“.

გ. ა.

266. ი. გიგინეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (წვერგამო, უაუგო)

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 342-362.

„ვეფხისტყაოსნის“ 227-ე სტროფის მეორე ტაეპში: «ულვამ-აშლილი, წვერ-გამო, «ნუ-თუ მზეაო, – თქვა, – ცისა?» სიტყვა წვერ-გამოს განმარტება: უწვერო, უწვერული, პირტიტველას მნიშვნელობით ავტორს უმართებულოდ მიაჩნია. მისი მტკიცებით, წვერგამო არც უწვერულია და არც წვეროსანი. ეს სიტყვა იმაზე ითქმის, ვისაც წვერი ეს-ეს არის ამოსდის. ძველი და ახალი ქართულიდან ავტორი იმოწმებს საილუსტრაციო მასალას და ასკვნის, რომ წვერგამო რთული ფუძეა, რომელიც შედგება წვერ-ფუძისა და გამო-პრევერბისაგან. მისი სრული ფორმაა წვერგამომავალი.

1937 წლამდე „ვეფხისტყაოსნის“ 798-ე სტროფის მეორე ტაეპი იკითხებოდა: „ვჰგომო კაცსა უაუგოსა, ცრუსა და სირცხვილიანსა“. 1937 წლის შემდეგ სიტყვა „უაუგოსა“ წაკითხვის მაგივრად დამკვიდრდა „აუგიანსა“. ავტორი ითვალისწინებს „აუგ-“ სიტყვის შინაარსსა და მნიშვნელობას ქართული ენის უძველესი ძეგლებიდან თანამედროვეობამდე და ადგენს, რომ „აუგ- ფუძისაგან ნაწარმოებ აუგ-იან და უაუგო ფუძეებს ორგვარი მნიშვნელობა აქვს. აუგ-იანი არის, ერთი მხრივ, ის, ვისაც აუგი შეახვედრეს, ვინც აუგი განიცადა სხვა პირისაგან, სირცხვილნაჭამია, მეორე მხრივ, აუგ-იანი არის ის, ვისთვისაც აუგი დამახასიათებელია ბუნებით. უაუგო, ერთი მხრივ, არის ის, ვისაც აუგი არ შეხვედრია, აუგი არ განუცდია, უმწიკვლოა. მეორე მხრივ, უაუგო არის ის, ვინც აუგის გრძნობას მოკლებულია, უსირცხვილოა, სირცხვილდაკარგულია.

ავტორის დასკვნით, მართებულ წაკითხვას გვაწვდის „ვეფხისტყაოსნის“ ის ხელნაწერები, რომლებშიც საანალიზო ტაეპი ასეა წარმოდგენილი: „ვჰგომო კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატ-იანსა“. ამ ტაეპში უაუგო სწორედ იმას აღნიშნავს, ვისაც აუგის გრძნობა არა აქვს, უსირცხვილო, სირცხვილდაკარგულია.

გ. ი.

267. ი. გიგინეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი

(ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე)

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 3 (30), გვ. 198-236.

ავტორი კრიტიკულად იხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 708-ე სტროფის შესწავლის ისტორიას არსებული განმარტებების, ლექსიკონებისა და სპეციალური გამოკვლევების მიხედვით (ვახტანგი, თ. ბაგრატიონი, ს-ს. ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ივ. როსტომაშვილი, იუსტ. აბულაძე, ზ. კაკაბაძე, კ. ჭი-

ჭინაძე, ა. შანიძე, ალ. სარაჯიშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. იმედაშვილი, შ. ლლონტი, პ. ინგოროყვა). 1957 წლის გამოცემაში სტროფი ასე იკითხება:

**„ვა თუ გავიჭრა, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ ალი!
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის საკრავად სამალი,
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი,
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი“.**

ყველა ვარიანტისა და ორთოგრაფიული სხვაობების გათვალისწინებით ავტორი იძლევა მაჯამური შერითმვით გამოწვეული ზოგი გაბუნდოვანებული სიტყვის უფრო დაზუსტებული მნიშვნელობის დადგენის ცდას. ქართული მწერლობის ძეგლებიდან მოყვანილი მასალების საფუძველზე ავტორს შესაძლებლად მიაჩნია სტროფის პირველ ტაეპში სიტყვა „სამ ალი“-ს ნაცვლად მიიღოს „ამალი“, მნიშვნელობით: „სურვილი; ტრფობა“. მეორე ტაეპში „საკრავად“ → **საკლავად**, მესამეში – „დღესითგან“ → **„დღისილა“** და მთელი სტროფი ასე უნდა იკითხებოდეს:

**„ვამ თუ გავიჭრა მინდორად, სადა, გლახ, დამწვავს ამალი,
გული ძეს საგნად ისრისა, მესრვის (ან: მესრვის) საკლავად სამალი,
მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი,
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღისილა (ან: დღისალა) ჩანს ნასამალი“.**

მთლიანად სტროფის შინაარსს ასე იგებს:

ვაი თუ გავიჭრა მინდორში (ველად), სადაც, ვაგლახ, დამწვავს (დამდაგავს, მოკლავს) ამალი (სურვილი, ტრფობა).

გული (ჩემი) ძევს ისრის საგნად (სამიზნედ), სამალი (არბალეტი, მშვილდი) მესრვის ისარს მოსაკლავად. პატიჟთა (ტანჯვის) მალვა მსურს (მინდა, ჩემი ტანჯვა დავმალო), მაგრამ ტანჯვის მალვის დრო გარდახდა (გავიდა, გათავდა). ჩემი სიცოცხლის დრო (ხანგრძლივობა) დღის მესამედილა ჩანს (დარჩა, არის).

ნარკვევს ავტორი ამთავრებს შენიშვნით: „გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც საანალიზო სტროფის ტექსტის დადგენას ეხებოდა უშუალოდ, ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა არაერთი ისეთი საკითხი, რომლებიც ამ საკითხებს უშუალოდ უკავშირდებოდა, ამ საკითხების ანალოგიური იყო. მრავალი ასეთი საკითხი წამოიჭრება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკის დროს, ყოველი ნებისმიერი სტროფი აღძრავს საკითხთა წყებას“.

გ. ი.

268. ი. გიგინეიშვილი

**„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვისათვის, ქართულში
ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის
ფორმათა წარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით**

*კრებ. „იბერ. კავკას. ენათმეცნ.“ XV ტ., 1966, გვ. 39-62; აგრ. წიგნში: „გამოკვლევები
„ვეფხისტყაოსნის“ ენის... შესახებ“, თბ., 1975, გვ. 141-173.*

მკვლევარი ეხება პოემის 706-ე და 523-ე სტროფების წაკითხვის საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტდაურთველი ფორმების თავისებურების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მართებულად გამოვიყენოთ „ვეფხის-

ტყაოსნის“ ხელნაწერთა ჩვენებები და აღვადგინოთ პოემის ორი ადგილის სწორი წაკითხვა. ავტორის ყურადღებას იპყრობს სიტყვა **უიცი**, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდ-გენილი 706-ე სტროფის მესამე ტაეპში და 523-ე სტროფის მეოთხე ტაეპში.

ი. გიგინეიშვილის აზრით, ერთადერთი მართებული წაკითხვა **706-ე** სტროფის მესამე ტაეპისა არის „მებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს უუიცისა“. **უუიცისა** ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **უუიცი** ზედსართავი სახელისა, რომელიც **უიცი**- ზედსართავის ფუძისაგან **უ**- პრეფიქსით და **-ე** სუფიქსით ნაწარმოები შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმაა. მნიშვნელობა მას აღმატებითი ხარისხისა აქვს: **უუიცი** სავსებით უცნობს, არცოდნის ნიშნავს. ბუნებრივია, რომ ნათესაობით ბრუნვაში ბოლოკიდური **ე** მოკვეცილია. ეგვე **უუიცი** გვაქვს, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდ-გენილი, 523-ე სტროფში: „ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მის ჩემგან **უუიცი-სა?**“ ეს იმას ნიშნავს: ვჰკადრე: რა პასუხი გკადრო მის, ჩემგან სრულიად უცოდინარისა.

ავტორი მიუთითებს: თუ პოემის **87-ე** სტროფის მეოთხე ტაეპში დადასტურებულ **გაუუმეცარდა**-ს გავიგებდით არა როგორც **უმეცარ** ფუძისაგან ნაწარმოებ ვნებითი გვარის ორპირიან ზმნას, არამედ როგორც ვნებითი გვარის ერთპირიან ზმნას, ნაწარმოებს **უმეცარ** – ზედსართავი სახელის შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმისაგან **უ-უმეცარ-ე**, ტაეპის აზრი ნათელი გახდებოდა: **გა-უუმეცარ-დ-ა = უუმეცარე გახდა**. ამგვარივე წარმოება გვაქვს პოემის ერთ-ერთ დანართ სტროფში:

„დღენი მათნი წაიარნეს, დაბერდეს და დაუძლურდეს; ტარიელის ლომნი მკლავნი მეტად გაუუსუსურდეს“ (2067). **თ. ნ.**

269. თ. გიგინეიშვილი

რუსთაველს მიემღვნა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 27, გვ. 4.

იუწყება, რომ ბათუმის № 2 საქალაქო ბიბლიოთეკამ რკინიგზელთა კლუბის გამგეობასთან ერთად ჩაატარა მკითველხთა კონფერენცია თემაზე: „შოთა რუსთაველი – გენიალური პოეტი, მოაზროვნე და ჰუმანისტი“. **ბ. დ.**

270. ექნ გიევიკი

კაცად ყოფნის სიხარული

„Лит. газета“, 1966, 27 окт., №127; თარგმანი (ნ. აბესაძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 110-111.

ფრანგი მწერალი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დიდი სიყვარული და ვნებებია... „ესაა სამყარო, სადაც იტანჯებიან და ტირიან, მაგრამ არასოდეს სული არ სძვრებათ მოწყენილობისაგან. ესაა სამყარო, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა. აქ იმარჯვებს სიხარული, ბედნიერება და სილამაზე, იმარჯვებს კაცად ყოფნის სიხარული... „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი ყველა ამბავი – მწვავე განსაცდელი და მძიმე თავგადასავალიც კი – აუცილებლად შეიცავს ადამიანის სიკეთის თავშეკავებულ, მაგრამ მარადიულ ხოტბას“. **გ. ა.**

271. ა. გიორგაძე [გ. არაბული]

„ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს“

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 3.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემებზე, მოკლედ და დახასიათებული ძირითადი გამოცემები (1712, 1841, 1888, 1937 წწ.). ავტორი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს საუბილოდ დაიბეჭდა ხუთი ახალი გამოცემა ქართულ ენაზე, აგრეთვე პოემის თარგმანები რუსულად, ფრანგულად და ინგლისურად. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა 17 ენაზე და 22 უცხო ენაზე.

ც. ქ.

272. გ. გიორგობიანი

რამდენიმე შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალურ მეტაფორებზე

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, №9, გვ. 36-37.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი კარგად იცნობდა იმდროინდელი კოსმოგრაფიის საფუძვლებს და ამ ცოდნას ოსტატურად იყენებდა თავის ასტრალურ მეტაფორებში, რომელთა შეტანით პოემაში დასრულებულ სურათებს ქმნიდა (მოტანილია რამდენიმე მაგალითი). ავტორის თქმით, რუსთაველი თვისი ეპოქის ფართოდ განათლებული პოეტია და მისი ასტრალური მეტაფორები ერთგვარად ასახავს მგოსნის თანამედროვე ასტროლოგიურ და ასტრონომიულ შეხედულებებსა და ცოდნას ციური სამყაროს აგე-ბულებზე პოეტურ ასპექტსა და ლექსიკაში გარდატეხით.

გ. ა.

273. ლ. გოგელია

შ. რუსთაველის იუბილესათვის

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 20 აპრილი, № 16, გვ. 4.

მოთხრობილია რუსთაველის საიუბილო ღონისძიებების შესახებ, რომელიც ჩატარდა ბათუმის რუსთაველის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში. გაიმართა კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად კითხვაში. მოეწყო გამოფენა: პოემის პერსონაჟთა გრაფიკული ჩანახატები, შოთას მოზაიკური პორტრეტი და სხვა. ინსტიტუტის დრამ-წრემ წარმოადგინა დ. კასრადის პიესა „ლეგენდა შოთა რუსთაველზე“. განზრახულია შეხვედრა რუსთაველის პრემიის ლაურეატებთან: ი. აბაშიძესთან, ლ. გუდიაშვილთან, კ. გამსახურდიასა და ე. ამაშუკელთან. ინსტიტუტის ხელნაწერი ჟურნალის „მაჭახელას“ I ნომერიც რუსთაველს მიეძღვნა. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გამსვლელი სესიებისათვის ამზადებს მოხსენებებს: „შოთა რუსთაველის ვინაობისათვის“, „შოთა რუსთაველი ი. აბაშიძის შემოქმედებაში“.

ლ. კ.

274. კლიმენტი გოგიავა

იქ, სადაც რუსთაველი ცხოვრობდა

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 4 სექტ.

წერილი შედგება 6 თავისაგან. პირველ თავში საუბარია ქ. ახალციხის ისტორიაზე, II თავში – მესხი ქალის, როზა მეფისაშვილის მიერ მ. ზიჩის ილუსტრაციის მი-

ხედვით შესრულებული ნაქარგი ტილოს შესახებ (რუსთაველი მიართმევს „ვეფხისტყაოსანს“ თამარ მეფეს). მესამე თავში საუბარია აწყურზე, მეოთხე თავში კი – საიუბილეო სამზადისზე სოფ. რუსთაველი. სხვა თავებში გადმოცემულია სახალხო მთქმელებთან საუბრები რუსთაველის პიროვნებისა და მისი თხზულების შესახებ.

ბ.

ა.275. კ. გოგიავა

„ვეფხისტყაოსნი“ ინგლისში

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 18 სექტემბერი, გვ. 3.

წერილი ეხება ინგლისის ქალაქ ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულ XVII საუკუნეში გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი ოდესღაც პოლიექტოვ კარბელაშვილის კუთვნილებას წარმოადგენდა. კარბელაშვილს იგი მიუყვოდა ელენე ერისთავის ასულ თარხან-მოურავისათვის. ეს მანდილოსანი იყო გაგარინის ცოლის ძმისშვილი. თბილისში გაგარინის მეუღლე გარდაიცვალა. ქმარმა იგი წაასვენა ყირიმში და დაასაფლავა თავის მამულ ქუჩუქ-ლამბადაში. ამის შემდეგ ელენე ერისთავიც იქ გადასახლდა. ქუჩუქ-ლამბადაში გენერალ-გუბერნატორად იყო მისი სიძე ივანე დუმბაძე. ელენემ თავის ძვირფას ნივთებთან ერთად ეს ხელნაწერიც წაიღო. ამ დროს ქართველი ინტელიგენცია ისტორიულ ძეგლებს აგროვებდა. ექვთიმე თაყაიშვილი შეეცადა დაებრუნებინა ეს ხელნაწერი საქართველოსათვის. ბოლოს ელენე ერისთავი აიძულეს, შეეწირა ხელნაწერი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის.

ე. თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი საფუძვლიანად შეისწავლა. მხატვარმა დ. კაკაბაძემ სურათები გადმოხატა იქიდან და საქართველოში გამოგზავნა. ელენე ერისთავის მეორე სიძე იყო იოსებ დადიანი. ამ დადიანის ცოლმა და ცოლისდამ თაყაიშვილს უკან გამოართვეს ხელნაწერი და ინგლისელ სერ ბერნად ექსტეინს 25 000 ფრანკად მიჰყიდეს. სერ ექსტეინის ანდერძის შემსრულებელმა ხელნაწერი ბოდლის ბიბლიოთეკას მიჰყიდა, ღირებულების ნახევარი უორდროპის ფონდიდან გადაიხადეს.

ბ. ბ.

276. Г. Гогиберидзе

Гимн красоте человеческой

გაზ. „Заря Востока“, 1966, 9 ივლისი, № 156, გვ. 4.

წერილში რუსთაველის ეთიკური შეხედულებების ერთგვარი ანალიზია მოცემული. ავტორის აზრით, რუსთაველი ადამიანური ღირსებების წარმოჩენისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მორალურ-ეთიკური ნორმების ერთგულებას, მათ დაცვას. მიუხედავად დაბრკოლებებისა, პოემის გმირები ზნეობრივად სრულქმნილნი რჩებიან.

თ. ბ

277. ვლადიმერ გოგიბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გამო

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 4.

ავტორი განიხილავს ტარიელისადმი ნათქვამ ავთანდილის სიტყვებს: „...შენ გასალო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“ (298, 4) და დაასკვნის, რომ ამ „სტროფ-

ში ლაპარაკია მეგობრის გულისათვის არა შეყვარებულის დავიწყებაზე, არამედ შეყვარებულის და სახელმწიფო საქმეების დროებით გადადებაზე“. **ბ. დ.**

278. მ. გოგიბერიძე

ამხნეებს, აჭაბუკებს

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 3.

კასპის რაიონის სოფ. გრაკალში მცხოვრებმა 98 წლის მოხუცმა კარგო ივანეს-მე მამა-მამაჯანაშვილმა ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“. თავის დროზე ის ბიძას გიორგი მამა-ჯანაშვილს დაუინტერესებია ამ პოემით, რომელსაც თავისი ხელით გადაწერილი ჰქონია პოემა და ზეპირადაც სცოდნია. კარგო მამაჯანაშვილი ამბობს: „რუსთაველსა და მის პოემაზე საუბრის დროს სიმხნევეს, იმედს და სულიერ სიტკბობებს განვიცდიო“.

ი. წ.

279. გივი გოგიჩაიშვილი

ნოვო-ივანოვკა – ქართული სოფელი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 3 ნოემბ., № 251, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ სტავროპოლის მხარეში, კურსკის რაიონში არსებობს სოფელი ნოვო-ივანოვკა, სადაც 130 კომლი ქართველი ცხოვრობს. ისინი აქ 1912 წლიდან დასახლებულან. მათი თხოვნით რუსთაველის იუბილეს დღეებში საქართველოდან ჩავიდნენ მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები. სოფლის კლუბში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელზეც მოხსენებებით გამოვიდნენ: დოცენტი პ. დუდუშაური, ბიბლიოთეკარი ი. გურგენიძე, შ. კვასხვაძე და სხვები. უჩვენეს კინოქრონიკები: „თბილისი“; „რუსთაველი და მისი დრო“.

გ. ა.

280. К. Гогодзе

«Вепхисткаосани» на экране

გაზ. „Заря Востока“, 1966, 14 სექტემბერი, № 211, გვ. 3.

კულტურის დამსახურებული მოღვაწე კ. გოგომე ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციის საკითხს, რომელსაც მეტად მნიშვნელოვნად თვლის – რამდენად კინემატოგრაფიულია პოემა და რამდენად საჭიროა სპეციფიკური ტრანსფორმაცია, კინემატოგრაფიული ჩარევა ტექსტში.

ავტორის აზრით, სიუჟეტში აუცილებელი იქნება კინემატოგრაფიული ჩარევა, რის გარეშეც სრულყოფილ ფილმზე ფიქრი უშედეგოა, თუმცა ეს ჩარევა სიუჟეტის საფუძვლიან ცვლილებას არ უნდა გულისხმობდეს. ავტორს მოაქვს მაგალითები, რისი გათვალისწინებითაც ამტკიცებს, რომ პოემის სიუჟეტური განვითარება ისეთ კინემატოგრაფიულ ხარვეზს გამოიწვევს, რაც კინომცოდნეთათვის მიუღებელს, მაყურებლისთვის კი ნაკლებად მიმზიდველს გახდის ფილმს. ეს გარკვეული პრობლემური საკითხებია, რაც პოემის ეკრანიზების დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, – ასკვნის ავტორი.

თ. ბ.

281. ბ. გოგუა

**რუსთაველი
მოსწავლეთა წარმოსახვაში**

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 11 მაისი, № 89, გვ. 4.

სტატიაში საუბარია გამოფენაზე, რომელიც მოსწავლეების სახლში გაიმართა. წარმოდგენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ. გოგუას „იერუსალიმში ბერად შემდგარი რუსთაველი“. ლიტერატურული წრის ორგანო კედლის გაზეთი „წინსვლის ემბლემა“ მთლიანად რუსთაველს ეძღვნება.

ი. ჭავჭავაძის სახ. VIII საშუალო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა ასევე იზიდავდა დამთვალიერებლებს. აქ წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. გამოფენილია ატლასის დაქარგული ალბომი, ხავერდზე ამოქარგული რუსთაველის პორტრეტი, IV საშუალო სკოლის მოსწავლის ვ. ზალიმ-ოღლის ქმნილება – რუსთაველის ქვის ბიუსტი.

ჟიურის გადაწყვეტილებით, რამდენიმე საუკეთესო ნიმუში თბილისში გაიგზავნება იუბილესადმი მიძღვნილ დიდ საზეიმო კვირეულში მონაწილეობის მისაღებად.

თ. ხ.

282. შ. გოზალიშვილი

**დავით ჩქოტუას უცნობი წერილები
შოთა რუსთაველზე**

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 20 აგვისტო.

სტატია ეხება ოდესის სახელმწიფო არქივში დაცულ, ვ. პეტრიამვილისადმი მიმართულ რვა წერილს. ისინი 1880-1886 წლებში კატორდიდან გამოგზავნა დავით ჩქოტუამ, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების საზოგადო მოღვაწე და ერთადერთი ქართული გაზეთის – „დროების“ აქტიური თანამშრომელი იყო.

ამ წერილებიდან სამი განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილი ეხება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, მის სიდიადეს, გმირთა დახასიათებას, პოემის ავტორის მსოფლმხედველობის საკითხებს.

ც. ე.

283. ლევან გოთუა

ვეფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., № 218, გვ. 3.

წერილში ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ განუზომელ მნიშვნელობაზე ქართული კულტურისათვის და, აქედან გამომდინარე, ზოგადად განიხილავს შემდეგდროინდელი ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული კულტურის მიმართების ასპექტებს შოთა რუსთაველის თხზულებასთან. ავტორი რუსთაველს ახასიათებს როგორც ტიტანური ძალის შემოქმედს, რომლის „მაღალპოეტური ხედვა მიმართული იყო ადამიანის სულიერი სამყაროს უნივერსალური შრეების რენესანსული შეცნობისაკენ“.

გ. ა.

284. ლ. გოლდინოვ

Чтения в Абхазии

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 27 სექტემბერი, № 113, გვ. 1.

ავტორის ცნობით, აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში იმართება ლიტერატურული საღამოები, სადაც ცნობილი ლიტერატორები კითხულობენ ნაწევრებს პოემიდან, გამოვიდა რუსთველის აფორიზმების კრებული (მთარგმნელი ბ. შინკუბა), ეწყობა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, კონკურსები „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად კითხვაში, გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც. ახალგაზრდების ჯგუფი კავკასიონის მწვერვალ ჩუმკუზბაზე ავიდა და რუსთველის ბიუსტი აღმართა. **თ. ხ.**

285. ვიკტორ გოლცევი

[მეგობრობა და სიყვარული]

(რუბრიკა: რუსული კულტურის მოღვაწენი რუსთაველზე)

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტემბერი, № 214, გვ. 3.

ვ. გოლცევის აზრით, მეგობრობა სიყვარულზე მაღლა დგას. „უდიდესი ოსტატობით გვიჩვენებს რუსთაველი ორ გმირს შორის მეგობრობის ჩასახვას. ავთანდილი ვეფხის ტყავით მოსილი იდუმალი რაინდის სამებრად გაემგზავრება მხოლოდ თავისი შეყვარებულის სურვილით. მაგრამ, როდესაც ტარიელის ტრაგიკული თავგადასავალი მოისმინა, მან მაშინვე გაიზიარა მისი მწუხარება“. პოემაში სიყვარული გაიგივებულია მინანქრის ბრწყინვასთან, ხოლო მეგობრობა – მისი დამწრდილავი იაგუნდის ციალთან.

ი. წ.

286. თ. გომართელი

მძივში ჩაქსოვილი ოცნება

გაზ. „თბილისი“, 1966, 5 ოქტ., № 234, გვ. 3.

პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ე. გიგინეიშვილმა და დაწყებითი განათლების მეთოდის ფაკულტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს მძივებით შეექმნათ უკვდავი პოეტის სახე. სამუშაო გაინაწილეს. 24-ათასი მძივისაგან შეიქმნა ახალგაზრდა მგოსნის პორტრეტი. ე. გიგინეიშვილისათვის ეს პირველი როდია. მის სხვა ნამუშევრებსაც იცნობს საზოგადოება. **ი. წ.**

287. ნ. გომართელი

სცენაზეც ცოცხლობს

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 7 სექტემბერი, გვ. 3.

ქ. ჭიათურის ლენინის სახ. მაღაროს სცენისმოყვარეებმა, რუსთაველის 800 წლის-თავს მიუძღვნეს ახალი წარმოდგენა შ. დადიანის ოთხმოქმედებიანი დრამა „შოთა რუსთაველი“ (დადგა ტიტე გაფრინდაშვილმა). ამ რთული ისტორიული პიესის განხორციელება დიდ პასუხისმგებლობას და შრომას მოითხოვდა, მაგრამ ნიჭიერმა კოლექტივმა წარმატებით დასძლია სიმძნელები. შოთა რუსთაველის როლი წარმატებით შეასრულა თ. გურჯიძემ, თამარ მეფის სახე წარმოადგინა მსახიობმა ნ. ქავთა-

რაქემ. საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს სცენისმოყვრეებმა: ჯ. ნეფარიძემ, კ. ბედენაშვილმა, ვ. ბუიშვილმა, ს. კელენჯერიძემ, ჯ. კიკოზაშვილმა და ტ. გაფრინდაშვილმა.

ი. წ.

288. დიმიტრი გონაშვილი

ავთანდილის პაემანი

გაზ. „ახალი შირაქი“ (წითელწყარო), 1966, 4 იანვარი, №2, გვ. 3.

ავტორი ცდილობს დააზუსტოს დრო, როდესაც ავთანდილი გაეყარა ტარიელს და შეხვედრისათვის მეორე წლის იგივე დრო დაუთქვა: „ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იფსა“ (936). რადგან ავთანდილის დაბრუნების დროს ნათქვამია, რომ:

„მოწურვილ იყო ზაფხული...“

ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,

ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ (1328),

რაკი სარატანი ივნისის კირჩხიბია (თანავარსკვლავედი), გამოდის, რომ ავთანდილს პაემნის დროდ ივნისის დასაწყისი, ზაფხულის პირველი დღეები დაუთქვამს.

გ. ა.

289. დ. გონაშვილი

დავარი

გაზ. „ახალი შირაქი“, 1966, 3 თებერვ., № 15, გვ. 3.

ავტორის აზრით, დავარი თუმცა ინდოეთის სამეფო დინასტიის შთამომავალია, მისი წარმოშობის შესაფერისად აღზრდილი და განათლებულია, მაგრამ გადაგვარებული და ბოროტი პიროვნებაა, რადგან ქაჯური თვისებები აქვს შეძენილი. მას ქაჯეთთან, გრძნეულებთან კავშირი არ გაუწყვეტია. მას ხელქვეით მონებად ქაჯეთიდან წამოყვანილი ორი გრძნეული ახლავს („წამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა“, 580). დავარი პირქუში, მრისხანე და დაუნდობელია, მღელვარების მომენტში წააგავს თავის ძმას – ფარსადანს. მას არა აქვს ის სათნოება, კეთილბუნებოვანება, რაც აღმზრდელს უნდა ახასიათებდეს.

გ. ა.

290. დ. გონაშვილი

სიყვარული – გზად და ხიდად

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 21 სექტემბერი, № 222, გვ. 3.

ავტორი საუბრობს რუსთაველის ჰუმანიზმზე, მეგობრობის მოტივზე „ვეფხისტყაოსანში“, მისი მიზანია გაარკვიოს, კონკრეტულად რა დრო დაუთქვა ავთანდილმა ტარიელს შესახვედრად, რომელი თვეა „ვარდ-იფი“. თვის ზუსტი განსაზღვრისათვის ეყრდნობა ტაეპში მოცემულ სიტყვას „სარატანი“ (კირჩხიბი, კირჩხიბის ეტილი) და აკონკრეტებს, რომ ეს თვე არის არა მაისი, როგორც ფიქრობენ, არამედ ივნისის დასაწყისი. ზაფხულის პირველი დღეები.

ლ. კ.

291. Олесь Гончар

Рыцарь грузинской поэзии

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 3.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ თარგმანებზე. აღნიშნავს, რომ რუსთაველის შესახებ უკრაინამ დავით გურამიშვილის მეშვეობით შეიტყო. პოემის თარგმნის პირველი მცდელობა ნავროცკის ეკუთვნის. სრული თარგმანი კი შეასრულა მიკოლა ბაჟანმა. რუსთაველის იუბილეს უკრაინაც ზეიმობს. მომზადდა პოემის საიუბილეო გამოცემა, გამოქვეყნდა ი. აბაშიძის პოემა „რუსთაველის ნაკვალევზე“, თარგმნილი მ. ბაჟანის მიერ.

ლ. კ.

292. ოლეს გონჩარი

[რუბრიკა:

ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტემბერი, № 223, გვ. 2.

უკრაინელი ხალხი უდიდესი პატივისცემით აღნიშნავს რუსთაველის იუბილეს. რუსთაველის უკვდავი ქმნილება არა მარტო ქართველი ხალხის კუთვნილებაა, იგი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის კუთვნილებად იქცა. სტუმარი აღნიშნავს, რომ „ამ შესანიშნავ იუბილეს თამამად შეიძლება ეწოდოს ჰუმანიზმის, მეგობრობის, ძმობისა და მშვენიერების დღესასწაული“.

ი. წ.

293. ვასო გორგაძე

ქართული ეროვნული პოეზიის სიამაყე

გაზ. „ლენინელი“ (ქობულეთი), 1966, 11 აგვ.;
„ლენინელი“ (ზესტაფონი), 1966, 11 აგვ., № 94, გვ. 3.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ როდის დაიწერა პოემა, ვინ იყო მისი ავტორი, როდის ცხოვრობდა იგი, რა დროს, რა პირობებში შექმნა „ვეფხისტყაოსანი“.

პოემის ავტორი ორჯერ პროლოგში და ორჯერ ეპილოგში გვამცნობს თავის ვინაობას: „დავჯე რუსთველმან გავლექსე...“ და „მე რუსთველი ხელობითა...“ ეპილოგის უკანასკნელ სტროფში პოეტი გვაცნობს თავს – როგორც ტარიელის შემამკობელს, მაშასადამე, პოემის ავტორად რუსთაველი აღიარებს თავის თავს.

რუსთაველის ავტორობის მეორე, შეუმცდარ წყაროდ ავტორს ესახება შუასაუკუნეების ქართველ პოეტთა ნაწარმოებებში დაცული ცნობები. ეს პოეტები არიან: თეიმურაზ პირველი (1589–1663), რომელიც თავისი პოემის „იოსებ ზილიხანიანის“ შესავალში გაკვირით ეხება პოემის შინაარსს და რუსთაველის ავტორობას მოწმობს; ნოდარ ციციშვილი – „ბარამგურიანის“ მთარგმნელი, მეფე არჩილი (1647–1713) პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. ავტორის თქმით, პოეტის დაბადების თარიღი, ცნობათა სიძუნწის გამო, ძნელად დასადგენია; ცნობილია მხოლოდ ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა შოთა რუსთველი. ესაა XII ს-ის დამლევით და XIII ს-ის დასაწყისი.

ი. კ.

294. თ. გორგოშია

პოეტის სახელობის სკოლაში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 18 სექტემბერი, № 106, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს იმ საიუბილეო ღონისძიებებს, რომელსაც აწყობს რუსთაველის სახელობის ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა. მოსწავლეებმა შეკრიბეს პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები, წაიკითხეს რეფერატები „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე, მოეწყო პოემის მხატვრული კითხვა, მოსწავლეებს მიმოწერა აქვთ რუსთაველოლოგებთან და პოეტის სახელობის პრემიის ლაურეატებთან, განზრახული აქვთ მოაწყონ ექსკურსია იყალთოსა და გრემში, შეხვდნენ რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებს და ჩაატარონ საიუბილეო საღამო.

ლ. კ.

295. თ. გორგოშია

რუსთაველის საიუბილეოდ

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 115, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული რუსთაველის საიუბილეო საზეიმო სხდომაზე. შესავალი სიტყვა წარმოთქვა ინსტიტუტის რექტორმა ვ. მამათელაშვილმა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: შ. ძიძიგური, ს. სერებრიაკოვი, ნ. ყიასაშვილი, ს. წულაძე და ვ. ურუშაძე. წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე.

ლ. კ.

296. ლ. გორდაძე

XX-საუკუნისეული ხელნაწერი

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 აგვისტო, № 196, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ გორელმა თამარ მურადოვამ რუსთაველის საიუბილეოდ შექმნა პოემის „უახლესი, მე-20 საუკუნის ხელნაწერი“, რომლის „ყოველი თავის დასაწყისი ასო გამოიყვანება მიხაკებით, მათ შორის სათაურიც. პოემის ხელნაწერი მზად არის. თამარი ახლა ყდისა და ტიტულის დაწერა-მოჩუქურთმებაზე მუშაობს“.

ბ. დ.

297. ლ. გორდაძე

ფოტოალბომი

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

რუსთაველის იუბილეს 38-ე ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მიუძღვნეს ფოტოალბომი. აქ ვნახავთ ნ. მარის, არტურ ლაისტის, ნ. ზაბოლოცკის, მ. ბაჟანის, პ. პავლენკოს, ალ. ფადეევის, ვ. შიშმარიოვის, ლუი არაგონისა და სხვათა გამოთქმებს შორის რუსთაველსა და მის პოემაზე. ალბომი გაფორმებულია ლამაზი ილუსტრაციებით. ბიბლიოთეკაში აგრეთვე მოწყობილია გამოფენა „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემით. არის სპეციალური ნომერი კედლის გაზეთისა. ხშირად ტარდება ლექციამოხსენებები. საიუბილეო დღეებში მოეწეობა მკითხველთა შეხვედრა რუსთაველის პრემიის პირველ ლაურეატებთან.

ი. წ.

298. ბ. გორდეზიანი

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებანი

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, №9, გვ. 38-41.

წერილში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ზოგადი მიმოხილვა XVII ს-დან XX ს-ის 60-იან წლებამდე. როგორც ავტორი წერს, ჩვენამდე მოღწეული ძველი ილუსტრაციებიდან ჩანს, რომ მათი შემქმნელი მხატვრები „ვეფხისტყაოსანს“ „სპარსულ ამბად“ თვლიდნენ. ეს სურათები არ შეეფერება არც ქართულ ხელოვნებაში დამკვიდრებულ მხატვრულ ტრადიციებს და არც „ვეფხისტყაოსნის“ ეროვნულ სულს. მათი უმეტესობა დაქვეითების გზაზე შემდგარი სპარსული მინიატურების მიბაძვის ნაყოფია. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ოდიშის მმართველის კარზე 1646 წელს გადაწერილი ნუსხის ილუსტრაციები, რომლებშიც მეტი ეროვნული თავისებურება იგრძნობა, თუმცა მათი ავტორის მხატვრული ოსტატობაც დაბალ დონეზე დგას. ავტორის თქმით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX ს-ის 80-იან წლებში მ. ზიჩის მიერ შესრულებული ილუსტრაციები. ზიჩის შემოქმედებამ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული რეალიზმის გზაზე დააყენა და მომავალ მხატვრებს ახალი გზა გაუხსნა.

ავტორი წარუმატებლად თვლის ლ. გუდიაშვილისა და თ. აბაკელიას ცდებს ამ დარგში. მისი სიტყვით, მეტი ყურადღება და მოწონება ხვდა წილად ს. ქობულაძისა და ირ. თოიძის ნამუშევრებს. თუმცა, გარეგნული ელვარების მიუხედავად, ს. ქობულაძის სურათებს აკლია რუსთაველის ადამიანური სიტბო, სიბრძნე და ბუნებრივობა. ირ. თოიძის ილუსტრაციები შექმნილია რეალისტური მეთოდით და ნატურაზე დაყრდნობით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გმირების ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათების განსახიერებისათვის.

ლ. ცუცქერიძის ნამუშევრებს ავტორი „ექსპერიმენტულ ჩანახატებს“ უწოდებს.

გ. ა.

299. Георгий Горделадзе

Иллюстраторы поэмы Руставели

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 79-80.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები სამართლიანად შედის საქართველოს ეროვნული სახვითი ხელოვნების საგანძურში. ისინი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებს იცავენ.

ავტორი მოკლედ ახასიათებს მამუკა თავაქარაშვილის, მ. ზიჩის, ლ. გუდიაშვილის, თამარ აბაკელიას, ი. თოიძის, ფულვიო ბიანკონის, უჩა ჯაფარიძის და ლევან ცუცქერიძის ნამუშევრებს, რომელთა თემა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანია“.

ლ. კ.

300. კევინ გრასლი-ჰოლანდი

ტემზაც გაიცნობს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლ., №173, გვ. 3; ჟურ. „საქ. ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 24.

ინგლისელი პოეტი წერს, რომ რედაქციას უკეთებს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ტექსტს, რომლის თარგმანი შესრულებულია ვენერა ურუშაძის მიერ. „ვვარაუ-

დობთ ივლისის დამლევისათვის დავამთავროთ მთელი მუშაობა. უკვე რედაქტირებულია წიგნის ნახევარი... ჩვენი დიდი სურვილია მივალწიოთ იმას, რომ წიგნი გამოვიდეს შემოდგომაზე, დიდი შოთა რუსთველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზემის დღეებში... სიძნელების მიუხედავად, თარგმანზე მუშაობის ყოველი დღე დიდ კმაყოფილებას განმაცდევინებს“, – აღნიშნავს იგი. **გ. ა.**

301. აშოტ გრაში

პოეზიის უკვდავი რაინდი

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 4; «Заря Востока», 1966, 30 სექტ., № 225, გვ. 3.

ავტორი ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ ღირსებებს და წერს: „...რუსთაველის გენიის გრანდიოზულობა განუზომელია“... „სინამდვილის მთლიანი სურათის ერთ სტრიქონში გამოხატვის ოსტატობა – აი რუსთაველის სამყაროს შემოქმედებითი ხედვის სული. ახლა ფანტაზიას არ იტყვიან? პოეტური ფიქრებისა და ალეგორიების რა აღმაფრენაა! თავისი მხატვრული ღირსებებით ეს პოემა მხარში უდგას გოეთეს „ფაუსტს“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“.

„ვეფხისტყაოსანი“ „უაღრესად ეროვნული პოემაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა შორს სცილდება ეროვნულ ფარგლებს და სრული უფლებით შედის ნათელი კაცობრიობის პოეტური აზროვნების არსენალში“.

„ვეფხისტყაოსნის“ რითმაზე წერს: „მთელ პოემას გასდევს სტროფების გართიმვის საუცხოო ფორმა – ოთხ სტრიქონს ერთი რითმა აქვს. ომარ ხაიამი სპარსეთში, ნააპეტ კუჩაკი სომხეთში ლექსის ამ გენიალურ ფორმას მხოლოდ ცალკეულ სტროფებში იცავდნენ. მაგრამ ესოდენ დიდ პოეტურ ტილოზე ამ უაღრესად დახვეწილი მანქანის შენარჩუნება მხოლოდ რუსთაველმა შეძლო. და რა ბრწყინვალედ! ლექსწყობის ამ ოსტატობას ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოს პოეზიაში“.

ბ. დ.

302. კონსტანტინე გრიგოლია

თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება

ჟურ. „ცისკარი“, 1966, №9, გვ. 91-101.

ავტორი დამაჯერებლად მიიჩნევს თამარის ეპოქის ისტორიკოსების (სამი სხვადასხვა ავტორის) ცნობებს თამარის გელათში დასაფლავების შესახებ. ამის დასადასტურებლად მკვლევარს აქვს შემდეგი არგუმენტები:

1. გელათი იყო ქართველ მეფეთა სამარხი (საქართველოს ერთიანობის დროს).

2. გელათში მე-18 საუკუნემდე ყოფილა ტრადიცია: ტამარის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერში ყოველწლიურად, თამარის ხსენების დღეს საფლავის ქვის ფიქალს აიღებდნენ და თამარისთვის პანაშვიდს იხდიდნენ. ეს ტრადიცია გაუქმდა მე-18 ს-ის 30-იან წლებში, როდესაც იმერეთის მეფე ალექსანდრემ ამ ეკვდერის „უპატრონო“ საფლავში დამარხა თვისი მეუღლე.

3. ფრანგი რაინდის წერილში საუბარია მხოლოდ იერუსალიმში გავრცელებულ ხმებზე, თითქოს საქართველოს მეფეს განეზრახოს თავისი დედის ნეშტის წაღება იერუსალიმს, და არა ნამდვილად მომხდარ ფაქტზე. ამ ვერსიის სასარგებლოდ სხვა საბუთი არ არსებობს.

4. ხალხური გადმოცემები თამარის საიდუმლოდ დასაფლავების შესახებ შექმნილია გვიან, XVI-XVII საუკუნეებში.

ავტორი დაუსაბუთებლად თვლის ს. კაკაბაძისა და შ. ამირანაშვილის მტკიცებას რუსთაველის იერუსალიმში გარდაცვალებისა და ჯვარის მონასტერში დასაფლავების შესახებ. ამისათვის, მისი სიტყვით, საკმარისი არ არის შოთას პორტრეტის იქ არსებობა, ან აღაპებში შოთას მოხსენიება. **გ. ა.**

303. Юрий Григорович

Будет балет

გაზ. „Труд“, 1966, 25 სექტემბერი, № 222, გვ. 3.

დიდი თეატრის ბალეტმეისტერი ი. გრიგოროვიჩი ამზადებს ბალეტს „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე, რისთვისაც კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა უკვე დაწერა მუსიკა. ავტორი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სცენური და საბალეტო ეკვივალენტის შექმნა იოლი საქმე არ არის, ამიტომ არჩევს აილოს მხოლოდ რომელიმე მოტივი პოემისა. სპექტაკლს გააფორმებს ს. ვირსალაძე. ი. გრიგოროვიჩმა მესხეთი მონახულა, დაათვალიერა ისტორიული ძეგლები, მონასტრები და ციხეები. ამ მოგზაურობამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, მას ბევრი მისცა. **ლ. კ.**

304. თ. გუგუშვილი

გამოჩენილი რუსთველოლოგები მესხეთში

გაზ. „წითელი დროშა“, 1966, 26 აპრილი, № 50, გვ. 2.

ამ დღეებში პარტიის ახალციხის რაიკომის სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს მეცნ. აკად. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო სესია მიძღვნილი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. სესიას უძღვებოდა ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შ. გრძელიშვილი. სესიაზე სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. გვერდწითელი, მოხსენებები წაიკითხეს: აკად. ალ. ბარამიძემ, პროფ. მ. დუდუჩავამ, უფროსმა მეცნიერ-თანამშრომლებმა: ს. ცაიშვილმა და შ. ონიანმა.

დასასრულ, საპატიო სტუმრებმა უპასუხეს კორესპონდენტთა შეკითხვებს. გ. გვერდწითელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტი საგანგებოდ ემზადება იუბილესთვის. გამოსაცემად მზადდება მონოგრაფიული გამოკვლევები, ტარდება სამეცნიერო სესიები, იკითხება ლექციები, იბეჭდება რამდენიმე შრომა: აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის მიერ მომზადებული მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი პოემისა, ილუსტრირებული საიუბილეო გამოცემა, ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა. **თ. ხ.**

305. მერი გუგუშვილი

პოლემიკა რუსთველის გარშემო (XV-XVIII სს.)

თბ., 1966, 179 გვ.

ვტორის მიზანია, გამოიკვლიოს ის რელიგიური და წმინდა ლიტერატურული ხასიათის კამათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI-XVIII საუკუნეებში „ვეფხისტყაოს-

ნისა“ და მისი ავტორის გარშემო. ნაშრომი შედგება 4 თავისაგან.

I თავი. **სასულიერო საზოგადოება და „ვეფხისტყაოსანი“** (გვ. 15-56).

მკვლევარს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გაიდევალებული ამქვეყნიური ცხოვრება, პოემაში დახატული სამყარო, შემკული „უთვალავი ფერთა“, ამქვეყნიური, მიწიერი სიყვარულის აპოლოგია, ქალის კულტის იდეალი „ვეფხისტყაოსანს“ სასულიერო წოდებისათვის მიუღებლად აქცევდა (გვ. 20).

ე. წ. აღორძინების ხანაში „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული განხილვა ჩვეულებრივი ამბავი ჩანს (არჩილი, ვახტანგ VI), მაგრამ, თუ ადრე „ვეფხისტყაოსანს“ „სამემაო-სამიჯნურო“ ნაწარმოებად აცხადებდნენ რელიგიის წარმომადგენელი, ამჯერად ვახტანგ მეექვსემ პოემას მისტიკურ-ალეგორიული განმარტება მისცა და „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობაში საღვთო მიჯნურობა დაინახა.

მ. გუგუშვილი დაასკვნის, რომ მრავალი სასულიერო პირი მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლით იდეური პოლემიკა გამართონ „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის წინააღმდეგ (გვ. 27-40). ფილოსოფიურ-თეოლოგიური თვალ-საზრისით ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ არ გამოცხადებულა და არც შეიმჩნევა სადმე.

ამრიგად, დასძენს ავტორი, „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ კლერიკალური საზოგადოების მიერ წარმოებულ პოლემიკას გამამფრებელი ბრძოლის ხასიათი არ მიუღია და არც „ვეფხისტყაოსნის“ ფიზიკური განადგურების ფაქტი მტკიცდება დოკუმენტურად (გვ. 56).

II თავი. **ე. წ. ადრეული რეალიზმის წარმომადგენელთა პოლემიკა რუსთველთან** (გვ. 57-85)

XVI ს. დასაწყისის მოღვაწეს სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილს პირველად მოუხსენიებია რუსთველი და „როსტომიანში“ ჩაურთავს გაბაასება, რომელშიც იგი რუსთველს ეჯიბრება (გვ. 58). „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსიის ავტორი, (XVI ს.) რუსთველს პოეტების მეფედ თვლის და ეკამათება ყველა იმას, ვისაც რუსთველის დასადარად მიაჩნია თავი. ნოდარ ციციშვილი (XVII ს.) გვაწვდის ცნობას, რომ თანამედროვენი თეიმურაზ პირველს ადარებდნენ რუსთველს.

ქართველი ხალხის პოლიტიკურმა და ეროვნულმა ბრძოლამ სპარსელებთან გამოიწვია ქართული ეროვნული სულის აღზევება. ძლიერად გაისმის ეროვნული მოტივი. ბრძოლას უცხადებენ უცხოური ლიტერატურის თაყვანისმცემლებს. პროგრესული ქართველი მწერლები რუსთველს ემყარებიან. ახალი მიმდინარეობის ყველაზე დიდი წარმომადგენელია არჩილი, რომელიც თეიმურაზსა და რუსთველს ნაკლად უთვლის მონაჭორი სპარსული ამბის გალექსვასა და გამონაგონი გმირების ხოტბას. თვითონ არჩილი მართლის თქმის პოზიციებზე დგას. მან მოითხოვა დაცულიყო ქართულ მწერლობაში ეროვნული თემატიკის, რეალიზმის, ენის სიწმინდის პრინციპები.

ამ ისტორიულ-ეროვნულ მიმართულებას აგრძელებენ: თეიმურაზ II, მისი „სარკე თქმულთა“ XVIII საუკუნის ჩვენი ყოფა-ცხოვრების შესახებ საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს; იოსებ თბილელი („დიდმოურავიანი“); დავით გურამიშვილი მოითხოვს „მართლის თქმის“ პრინციპის დაცვას. მისი „ქართლის ჭირი“ XVIII საუკუნის საქართველოს ცხოვრების მხატვრული მატანეა (გვ. 67-79).

ამრიგად, როგორც მკვლევარი წერს, ადრეული ქართული რეალიზმი რუსთ-ველთან იდეურ პოლემიკაში ჩამოყალიბდა (გვ. 80-85).

III თავი. **რუსთველი და აღორძინების ხანის მწერლობის პოეტიკის საკითხები** (გვ. 86-92).

რუსთველმა დიდი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი ხანის ქართულ მწერლობა-ზე ჟანრისა და ვერსიფიკაციის სფეროში. ქართულ მწერლობაში აშკარა უპირატესობა მიენიჭა ეპიკურ ჟანრს. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი შაირით, რომელიც ქართული ხალხური შემოქმედებიდან მომდინარე მეტრია.

ავტორი იმოწმებს ა. ბარამიძის აზრს და აცხადებს, რომ პირველი სულხან-საბა ორბელიანი შეეხო სერიოზულად ტრადიციულ ზღუდეს, გადალახა რუსთველის შემდეგ დამკვიდრებული ჟანრი და მეტრი და თავისი საკუთარი ხმის პოეტად მოგ-ვევლინა. მკვლევარი ასახელებს ქართული ლექსის ნოვატორებს: ვახტანგ მეექვსეს, მამუკა ბარათაშვილს, ბესიკს, დ. გურამიშვილს და სხვ. (გვ. 90-92).

IV თავი. **„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა XVI-XVII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაზე**

სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებთა განხილვის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის: XVI-XVIII საუკუნეების როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ნაწარმოებები საგრძნობლად არის დავალებული რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სა-ხეებით და ფრაზეოლოგიით. ერთსა და იმავე მხატვრულ სახეს ან ფრაზას ხშირად იმეორებს რამდენიმე მწერალი. „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით შექმნილია ნაწარმოე-ბები, რომლებშიც, გარდა პოემის ფაბულისა და სიუჟეტის გავლენისა, ეპიზოდებისა და სურათებისა, თავს იჩენს „ვეფხისტყაოსნის“ მოტივები და შეხედულებანი. და ეს ყველაფერი რუსთველის პოეტური აქსესუარის სამოსელშია გახვეული. ამ თვალსაზ-რის დასამტკიცებლად განხილულია „ომინიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“. **გ. ე.**

306. მ. გუგუშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები

გაზ. „ახალი კოლხიდა“, 1966, 7 სექტ., № 107.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ ასზე მეტი ხელნაწერი, მაგრამ უძველესი (ფრაგმენტი) XVI ს-ის ბოლო წლებისაა, სხვები კი XVII ს-ის შუალედზე ადრეული არაა.

პოემის ხელნაწერების უმეტესობას მხატვრულად შემკული არშიები და თავ-ხატულობანი აქვს, ზოგს კი ილუსტრაციებიც ახლავს. ეს ილუსტრაციები და მოხა-ტულობანი ქართული ხელოვნების ისტორიის განსაზღვრულ პერიოდს ასახავს და ამავე დროს მდიდარ მასალას იძლევა შუა საუკუნეების ყოფა-ცხოვრების ისტო-რიისათვის.

პირველად „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წელს დაიბეჭდა ვახტანგ VI-ის მიერ დაარ-სებულ სტამბაში, თუმცა ამის შემდეგაც კიდევ დიდხანს ვრცელდებოდა ხელნაწერე-ბით. 1966 წლამდე ბეჭდურად რუსთაველის პოემა 46-ჯერ გამოიცა. მისი მეცნიე-რულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად ახლაც დიდი მუშაობა მიმდინარეობს.

გ. ა.

307. მ. გუგუშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ჩანართი სტროფის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ. XXVI სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1966, გვ. 10.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი სტროფი: „პირველ თავი დასაწყისი...“ მკვლევართა უმეტესობის მიერ მიჩნეულია სასულიერო საზოგადოების მხრივ პოემის დევნის გამოხატულებად. ამ სტროფის შესწავლა ადასტურებს, რომ მასში არა გვაქვს მინიმუმ „ვეფხისტყაოსნის“ დევნასა და, მით უმეტეს, მის ფიზიკურ განადგურებაზე. ეს სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილი პირველი კრიტიკული ნაწარმოებია, რომლითაც სასულიერო საზოგადოება აფრთხილებს მხოლოდ თავის წრეს.

308. М. Гугушвили, Л. Дзоценидзе

Н. Я. Марр – исследователь текста „Вепхисткаосани“

ჟურ. „მაცნე“, 1966, №5, გვ. 114–129.

გამოკვლევა ეხება ნ. მარის გამოუქვეყნებელ ნაშრომებს, რომლებიც დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფილიალის არქივში. ესენია: რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტის ქრონიკა; Spuria – ბუნებისა და მამაკაცისა და ქალის სილამაზის აღწერის ხერხები, ეპითეტები; მეფობისა და ხელისუფლების აღმნიშვნელი სიმბოლოები და შედარებები; რუსთაველის რითმები.

შრომები „ტექსტის ქრონიკა“ და „Spuria“ დასრულებული არ არის. ნ. მარი პოემის ციტირებულ ტექსტს ურთავს ვარიანტებს, კომენტარებს და თარგმანს რუსულ ენაზე. განმარტავს სტრიქონს და ცალკეულ სიტყვებს.

ნ. მარის მიერ ციტირებული ტექსტი ზუსტად არ ემთხვევა არცერთ ხელნაწერსა და არც გამოცემებს. ნ. მარი იყენებდა დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებს, იგი არჩევდა, მისი აზრით, მისაღებ ფორმებს და განმარტავდა მათ ეტიმოლოგიას და ლექსიკურ მნიშვნელობას.

ავტორების აზრით, ნ. მარის მსჯელობა ანგარიშგასაწევია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის დროს, ვინაიდან ნ. მარი საფუძვლიანად სწავლობდა თითოეული სიტყვის ეტიმოლოგიას, რისთვისაც იყენებდა სპარსულ, ბერძნულ, სომხურ, ებრაულ პარალელებს, აგრეთვე მეგრული და სვანური ენების მონაცემებს. (ნ. მარის ამ ნაშრომებიდან ნაწილი გამოაქვეყნეს მ. გუგუშვილმა და ლ. ძოწენიძემ, იხ. ნ. მარი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1965, ნაწილი – ი. მეგრელიძემ, – Н. Я. Марр, Вопросы „Вепхисткаосани“ и „Висрамиани“, тб., 1966).

გ. ა.

309. მ. გუგუშვილი

„ბარამგულიჯანიანის“ სადაურობის საკითხისათვის

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და იტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 43-44.

ავტორი აღნიშნავს, რომ ონანა მდივნის გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“ ნიშანდობლივად ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“. ეს „იმდენად თვალსაჩინოა, რომ საეჭვო ხდება

მისი სპარსული დედნისა და შესატყვისი პროზაული ვერსიის ვარაუდი. ამკარაა, რომ ონანა მდივან ქობულაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ მიზამვით შეუქმნია რომანტიკული ხასიათის პოემა. „ბარამგულიჯანიანი“ „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით დაწერილი ორიგინალური ნაწარმოებია“.

ბ. დ.

310. ლადო გუდიაშვილი

პოეზიის ბრძენი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 1.

ავტორის თქმით, რუსთაველი ჩვენი სიამაყეა, „უდიდესი ძალა, რომელსაც შეუძლია მომაჯადოებელი სიტყვით, „წყობილ მარგალიტით“, პოეზიის სიბრძნით „დაიმორჩილოს“ ქვეყნები და ეპოქები, მოველინოს დღევანდელობას და გასწვდეს მერმისს!“

ი. კ.

311. ლადო გუდიაშვილი

Солнце восьми столетий

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9–10, გვ. 27-28.

მხატვარი საუბრობს რუსთაველის საიუბილეო გამოფენების შესახებ, რომლებზეც სხვა მრავალ ექსპონატთა გვერდით დიდ ადგილს დაიკავებს ქართველ მხატვართა ნამუშევრები, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. პოემის ილუსტრატორთაგან ავტორი ყურადღებას ამახვილებს მხატვარ-მინიატურისტებზე: მამუკა თავაქარაშვილსა და უცნობ მხატვარზე, რომლის სურათებს ირანული სკოლის გავლენის კვალი ატყვია. ავტორი საკუთარ შემოქმედებასაც ეხება. პოემის პირველი ილუსტრაცია, რომელზე მუშაობაც მან 1934 წელს დაიწყო, დასრულებულად არ მიაჩნია, თუმცა მზად აქვს სხვა ნამუშევარი გამოფენაზე წარსადგენად.

ლ. კ.

312. აკ. გულედანი

აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ახალი სენთი“, 1966, 6 ოქტ., № 112, გვ. 3.

ავტორის დაკვირვებით, ადამიანის აღზრდის მხარეთა შორის რუსთაველი პირველ ადგილს ანიჭებს გონებრივ განათლებას და საჭიროდ მიაჩნია, რომ ადამიანის ქცევა-მოქმედებას საღი გონება დარაჯობდეს, გრძნობა გონებას ემორჩილებოდეს.

სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის პოემაში აუცილებელ პირობად არის მიჩნეული აგრეთვე ზნეობრივი აღზრდა, სიკეთის, სიმართლისა და სულგრძელობის პრინციპებით ხელმძღვანელობა ადამიანთა ურთიერთობაში.

გ. ა.

313. შ. გულორდავა

კიევშიც აჟღერდა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 3 ნოემბერი, № 44, გვ. 3.

კიევის 180-ე საშუალო სკოლაში საგანგებოდ მოემზადნენ ზეიმისათვის. მოსწავლეებმა ზეპირად შეისწავლეს პოემის ცალკეული თავები, ამოქმედდა დრამატუ-

ლი წრე, გააფორმეს ალბომი „შოთა რუსთაველი“, გამოუშვეს კედლის გაზეთის ორი სპეციალური ნომერი. 15 ოქტომბერს სკოლის კლუბში გაიმართა საზეიმო სხდომა, წაიკითხეს მოხსენებები პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ზეპირად წაიკითხეს ვრცელი ნაწყვეტები, შეასრულეს „სიმღერა თბილისზე“.

თ. ხ.

314. გივი გურგენიძე

უტყუვრად, მიუმცდარებლად
(სამეურნეო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მონაცემები
„ვეფხისტყაოსანში“)

გაზ. „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1966, 17 ნოემბერი, № 137, გვ. 2-4.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით შესწავლას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აკად. ივანე ჯავახიშვილმა (დასახელებული სათანადო გამოკვლევები).

ავტორს მოჰყავს აღრიცხვა-ანგარიშის მაგალითები პოემიდან და დაასკვნის: „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი, თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ ფრიად დამაჯერებელი, უტყუარი წყაროა თავისთავადი, ქართული სამეურნეო აღრიცხვის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის“.

თ. ნ.

315. [ნ. გურგენიძე]

შოთა რუსთაველის
„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები და ხელნაწერები
(საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში)
ბიბლიოგრაფიული სამიებელი, შემდგენელი ნ. გურგენიძე,
თბ., 1966, 35 გვ.

შემდგენელის ცნობით, ბიბლიოგრაფიულ სამიებელში მოცემულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ქართული გამოცემა, თარგმანები რუსულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხო ენებზე, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, მიკროფილმები და ფოტოპირები.

თ. ხ.

316. ჰ. გურგენიძე

„ვეფხისტყაოსანი“
და ილია ჭავჭავაძე

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, სექტემბერი, № 116.

1889 წლიდან ილია თავგამოდებით იცავს რუსთაველსა და ქართულ კულტურას ი. ჯაბადარისა და მის მსგავსთა ცილისმწამებლური თავდასხმისაგან. ერთ დროს ნიკო მარი მხურვალედ იცავდა ყალბ თეორიას რუსთაველის პოემის სიუჟეტის ნასესხობის შესახებ. ილიამ „ქვათა ღაღადში“ ფარდა ახადა ამ უსაფუძვლო თეორიის მტკიცებას და განაცხადა, რომ პოემა ორიგინალური ქართული ქმნილებაა. თუ მანამდე „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ წარმოშობის საკითხს იკვლევდნენ, ილია ერთ-ერთი პირ-

ველთაგანია, ვინც მოგვცა პოემის მხატვრული ანალიზი, ყურადღება მიაქცია ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას და უკვდავი პოემის ავტორი შექსპირის, ჰომეროსის და მსოფლიოს სხვა გამოჩენილ მწერლების გვერდში დააყენა. თავის მხატვრულ ქმნილებებში და პუბლიცისტურ წერილებში ილია იყენებს რუსთაველის აფორიზმებს და აზრებს. 1888 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემის ტექსტის დადგენაში ილია საქმიან მონაწილეობას ღებულობდა. მან არ გაიზიარა გრ. ორბელიანის აზრი, რომ დაყრდნობოდნენ ვახტანგისეულ ტექსტს და მოითხოვდა სხვადასხვა ტექსტების ურთიერთშეჯერებას.

ლ. კ.

317. გრიგოლ გურული

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხის გულში

გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 1966, 5 აპრილი, № 108, გვ. 3.

ავტორი ყურადღებას მიაქცევს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობას საქართველოში და ასახელებს ამის ხელშემწყობ პირობებს. ერთ-ერთი პირობა ისაა, რომ პოემა დაწერილია ხალხისათვის გასაგები ენით, რუსთაველი მსუბუქ პოეტურ ფორმებში გამოხატავდა ღრმა აზრებს.

ხალხს იზიდავდა აგრეთვე პოემაში აღწერილი რეალური მიჯნურობა, რომელიც არც ჯადოქრობის შედეგია (როგორც „ტრისტან და იზოლდაში“) და არც რამინისებურ ვნებასაა დამორჩილებული.

ხალხისათვის ცნობილი და მისაღები იყო პოემაში მოცემული გმირობისა და მეგობრობის იდეები, მოყვრისადმი თავგანწირვა, დარბაისლობა, უანგარობა და სხვ.

გ. ა.

318. გრ. გურული

რუსთაველი და რელიგია

გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 1966, 23 ივნისი, № 121, გვ. 3.

ავტორის აზრით, რუსთაველი არ იყო, და არც შეიძლება ყოფილიყო, ათეისტი. ის მორწმუნეა, თუმცა კანონიკური რელიგიური მრწამსის მიმდევარი არაა. რუსთაველი მაღლა დგას ყოველგვარ რელიგიურ საწესო ფორმალობაზე. ის იცნობს მხოლოდ ერთადერთ ყოვლისშემოქმედ აბსოლუტს, უზენაეს კეთილ არსებას, რომელიც მფარველობს ადამიანს.

გ. ა.

319. გურამ გუჯაბიძე

რუსთაველს მიემღვნა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 27, გვ. 4.

იუწყება, რომ საზოგადოება „ცოდნამ“ და ლანჩხუთის რაიონულმა საიუბილეო კომისიამ მოაწყო რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისში მოღვაწე მეცნიერებმა (ალ. ბარამიძემ, ი. იმნაიშვილმა, გრ. ბარამიძემ, ი. გიგინეიშვილმა, რ. ბარამიძემ).

ბ. დ.

320. გ. დაბაძე

**„კავშირის“ ცნება
„ვეფხისტყაოსანში“**

გაზ. „ტყიბული“, 1966, 29 სექტემბერი, №115.

სასოწარკვეთილი ტარიელი ეუბნება ავთანდილს: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჭრთვივარ სულთა სირასა“. ტერმინი „სირა“ პეტრე იბერისაგან მოდის, იგი აღნიშნავს უმაღლეს საფეხურს ღმერთთან ადამიანის მიახლოების კიბე-იერარქიაში.

„კავშირნი“ კი გულისხმობს იმ ოთხი ელემენტის (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი) ერთიანობას, რომელთაგანაც, ძველი ბერძენი სწავლულების წარმოდგენით, შედგებოდა მატერიალური სინამდვილე. ტარიელის ნათქვამი ასე უნდა გავიგოთ: მე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვარ, შემადგენელ ელემენტებად დაშლილი, დისოცირებული ვარ. აღნიშნულ ოთხ ელემენტს ახსენებს ნესტან-დარეჯანიც: „ღმერთსა შემვედრე, რათამცა დამხსნა სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“... (1304).

ამ ოთხ ელემენტს იხსენიებენ: ომარ ხაიამი, დანტე, გოეთე და სხვები. გ. ა.

321. А. Дадияни

Соотечественники Гете о Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 9 ივნისი, № 133, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ 100 წლი წინ რუსთაველსა და მის პოემას უდიდეს შეფასებას აძლევდა გერმანელი მეცნიერი, პროფესორი გ. ბროკჰაუზი. ქართულ ლიტერატურას ის გაეცნო დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიით. გ. ბროკჰაუზის შეხედულება რუსთაველზე უფრო დაწვრილებით ჩამოაყალიბა რ. მილერ-ბუდნიცკაიამ. გერმანელ მეცნიერთა შეხედულებანი რუსთაველზე განხილული აქვს შ. რევიშვილს წიგნში „გოეთეს თანამემამულენი რუსთაველის შესახებ“. კორესპონდენტთან საუბარში შ. რევიშვილი აღნიშნავს XVIII საუკუნის ბოლოს გერმანელი სწავლულების – ფრანც ფინკლისა და ოტო ჰაუზერის, XIX საუკუნეში ფრიდრიხ ბოდენშტედტის, მოგზაურების – მაქს პროსკოვეცისა და გოტფრიდ მერცბახერის, შემდეგ არტურ ლაისტის, ფელიქს ხოლდეკის, რ. ბლაიხშტაინერის, ჩვენი თანამედროვე ჰუგო ჰუპერტის და სხვათა დამოკიდებულებას რუსთაველისადმი. ახლა ქართველმა მეცნიერებმა ნათელყვეს ბროკჰაუზისა და მილერ-ბუდნიცკაიას მიერ 100 წლის წინათ გამოთქმული შეხედულება, რომ დასავლურევროპული რენესანსის აკვანი წორედ საქართველოა.

ბ. დ.

322. А. Дадияни

Новые иллюстрации к поэме Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 31 ივნისი, № 128, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს ახალგაზრდა მხატვრის ლევან ცუცქერიძის ნამუშევრების შესახებ. მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები (სულ 15 სურათი) აღბეჭდილია თავისებური მანერით, სიუჟეტის თავისებური გადაწყვეტით. მხატვარი საუბრობს მზისა და ვეფხის სიმბოლიკაზე, ზოგადად, ადრერენე-

სანსული მხატვრობის შესახებ. ცუცქირიძის ნაშუევრებს დადებითად აფასებენ ლ. გუდიაშვილი და ს. ქობულაძე. მისი ილუსტრაციებით გაფორმდება პოემის ზაბოლოცკისეული თარგმანის ახალი გამოცემა მოსკოვში, ნაწილი სურათებისა გაგზავნილია პარიზში, იუნესკოში და ჟურნალ „ვეროპის“ რედაქციაში, თბილისში კი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ილუსტრაციები გამოიცემა ცალკე ალბომად ანოტაციებითურთ ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ლ. კ.

323. მ. დავითაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ მეგობარი წყნარი დონიდან

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 29 სექტემბერი, № 229, გვ. 3.

წერილში საუბარია მწერალ მიხ. შოლოხოვის დამოკიდებულებაზე „ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ავტორის მიმართ. „მადლიერი კაცობრიობა არასოდეს შეწყვეტს მწყურვალე ბაგეებით დაეწაფოს პოეზიის ამ ცხოველმყოფელ პირველქმნილ წყაროს“, – ამ ლაკონიურ სიტყვებში გამოხატულია სახელოვანი რუსი მწერლის მთავარი აზრი. რუსთაველი შოლოხოვისათვის პოეზიის სიმბოლოა. ეს თვითონ პოეზიაა მისი ყველაზე უფრო ბრწყინვალე გამოხატულებით. დაბადების 60 წლისთავზე მ. შოლოხოვმა ქართველებისაგან საჩუქრად მიიღო მოქანდაკე ბ. სახვაძის მიერ შესრულებული რუსთაველის ჭედური პორტრეტი.

ი. წ.

324. М. Давишавили

Дорогие сердцу образы

ჟურ. „Огонек“, 1966, № 38, გვ. 19.

ცნობილმა მეჩაიემ კლავდია ნაცვალაძემ თავისი კოლმეურნეობის სახელით ვალენტინა ტერემკოვას გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ზაბოლოცკისეული თარგმანი. როგორც ტერემკოვამ აღნიშნა, „ვეფხისტყაოსანი“ მისი ერთ-ერთი საყვარელი წიგნია, ამაღელვებელია მისი ავტორის დიდებულ იდეები და გმირთა სახეები.

ლ. კ.

325. ნ. დავითაშვილი

მედმუშაკთა სახლის წვლილი

გაზ. „თბილისი“, 1966, 12 სექტემბერი, № 214, გვ. 3.

ი. ჭავჭავაძის სახ. მედმუშაკთა კულტურის სახლმა მოაწადა ლიტერატურული კრებული „ჩვენი წვლილი“, რომელიც რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა. კრებულში ვეცნობით ექიმების, ინჟინრების, სტუდენტების, პენსიონერების შემოქმედებას. მეორე განყოფილება ეთმობა მოთხრობებსა და მეცნიერული ხასიათის წერილებს. კულტურის სახლი იუბილეს დღეებში გამოუშვებს კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს, სტენდს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით. დასასრულს კი გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო.

ი. წ.

326. ლ. დავითაძე

აჭარა ემზადება დიდი ზეიმისათვის

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 17 სექტემბერი, № 180, გვ. 1.

ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ რუსთაველის იუბილე სათანადო დონეზე ჩატარდება აჭარაში. გადაწყვეტილია ქ. ბათუმში დაიდგას რუსთაველის ძეგლი. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექცია-მოხსენებებს კითხულობენ სტუდენტები, გამოცხადდა პოემის ზეპირად შემსწავლელთა კონკურსი, ეწყობა გამოფენები, დაწესდა რუსთაველის სახელობის სტიპენდია (50 მანეთის ოდენობით), რომელსაც მიიღებს წარჩინებული სტუდენტი. იგეგმება ექსკურსიები ვარძიაში, რუსთავსა და გელათში, საინტერესო ღონისძიებები ტარდება აჭარის სკოლებში, იქმნება ფერწერული და სკულპტურული ნაწარმოებები. **თ. ხ.**

327. ა. დავითიანი

საიუბილეო გამოცემა

გაზ. „თბილისი“, 1966, 8 სექტემბერი, № 211, გვ. 3.

სომხეთში განხორციელდა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა. წერილში საუბარია ამ გამოცემის როგორც პოლიგრაფიულ-მხატვრულ გაფორმების, ისე წიგნის შედგენილობაზე. წიგნს წამძვარებული აქვს ავეტიკ ისააკიანის სიტყვები. ეპიგრაფს მოსდევს იოსებ ორბელის სტატია, რომელიც დაწერილია საქართველოსა და ქართველი ხალხის კულტურისა და ხელოვნების ღრმა ცოდნით. თარგმანი ეკუთვნის გეორგ ასატურს. აქვეა აკად. ნ. მარის წერილი, რომელიც ეძღვნება ვ. ტერიანის ხსოვნას. აგრეთვე პარული მურადიანის წერილი, რომელშიც მიმოხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნის ისტორია. დაბეჭდილია აგრეთვე ი. მეგრელიძის წერილი, რომელიც ეხება იოსებ ორბელის რუსთველოლოგიურ მოღვაწეობას. ეს გამოცემა ძვირფასი საჩუქარია მოძმე სომხეთიდან. **ი. წ.**

328. ივანე დავითიანი

„ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ენაზე

გაზ.: „გამარჯვების გზა“ (ხაშური), 1966, 17 სექტ., № 110;
„სოფლის ცხოვრება“ 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 3.

წერილში მოცემულია ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე თარგმნის ისტორიიდან. XIX ს-ის 60-იან წლებში ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს სტეფანე ბასტამიანს უთარგმნია ნაწყვეტები პოემიდან და გამოუქვეყნებია „სარგისი“-ს ფსევდონიმით ჟურნალში „კრუნუ ჰაიოც აშხარჰ“.

პირველი იმპერიალისტური ომის დროს პოეტ ვაჰან ტერიანს უთარგმნია 12 სტროფი. 1937 წ. პოემა მთლიანად თარგმნა პროფ. გევორქ ასატურმა. სხვადასხვა დროს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა უცდიათ ჰარუთინ მირიმიანიანს, ლეონ მელიქსეთ-ბეგს, ვარდან სიმონიანს, სურენ ავჩიანს, ჰარუთინ თუმანიანს, დავით ტერ-დავითიანს, ივ. დავითიანს, ოვანეს კარაიანს. ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეულია თბი-

ლისში დაბადებული და ქართული ენის კარგად მცოდნე პოეტის – ო. კარაიანის თარგმანი. **გ. ა.**

329. ლ. დათიაშვილი

ერთი სიტყვის გაგებისთვის

„ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ცისკარი“, 1966, №7, გვ. 109-112.

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილთან დაკავშირებით ერთგან ნათქვამია „ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო“. ავტორს ეს უკანასკნელი ორცნებიანი კომპოზიტი აინტერესებს და მიმოიხილავს ამ სიტყვის ახსნის შესაძლებლობასა და მცდელობებს. მას ხსნიან ასე: „უწვერული, პირტიტველა“ (იუსტინე აბულაძე).

ბევრ თარგმანში, სავარაუდოდ, ძნელად გასაგები შინაარსის გამო მას გვერდს უვლიან (ვ. ბალმონტი, გ. ცაგარელი, გ. გულია, მ. შავლოხოვი, ი. იედლიჩკა, ს. წულაძე). ჰ. ჰუპერტისეულ, ვ. შანდორისეულ თარგმანებში „წვერ-გამო“ გაიაზრება როგორც „წვერიანი“.

ავტორი მიიჩნევს, რომ „წვერ-გამო“ რუსთაველს სიჭაბუკის, ახალგაზრდობის მაუწყებელი ღინღლის მნიშვნელობით აქვს გამოყენებული და ამისთვის იმოწმებს ქართული ორიგინალური მწერლობისა და ნათარგმნი ძეგლების მასალებს. **თ. ხ.**

330. გ. დათუაშვილი

ლეკვი ლომისა სწორია

გაზ. „თრიალეთი“ (დმანისი), 1966, 25 სექტ, №115.

ავტორის აზრით, შოთა რუსთაველი დამაჯერებლად ასაბუთებს სიყვარულზე დაფუძნებული მეუღლეობის საზოგადოებრივ სიკეთესა და გონივრულობას. ნესტან-დარეჯანი აღაშფოთა მშობლების უსულგულობამ. მან არ დაუშვა თავისი ადამიანური ღირსების შელახვა და დამცირება, ტარიელს ურჩია უცხოელი სასიძოს მოკვლა და მეფესთან გაბედული დაპირისპირება.

არაბეთის მეფემ, როსტევეანმა, თავის სიცოცხლეშივე სამეფო ტახტზე დასვა თინათნი. ამ მოვლენებიდან და მათი რუსთაველისეული აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ პოეტი აქტიურად იცავს ქალის გამეფების კანონზომიერებას. **გ. ა.**

331. [დამდინსურენი]

ჩვენი ხალხის სულის ნაწილი

გაზ. „თბილისი“, 1966, 27 სექტემბერი, № 227, გვ. 3.

რუსთაველის იუბილეზე თბილისში ჩამოსული მონღოლეთის დელეგაციის წევრი მწერალი დამდინსურენი საუბრობს, თუ როგორ აღინიშნება რუსთაველის იუბილე მონღოლეთში. აღნიშნავს, რომ მონღოლეთში გამოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ „პროზაული და ფრაგმენტული თარგმანები ლექსად“, რომ შარშან გამოიცა დ. გომბჯავის თარგმანი. მთარგმნელი იუბილემდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა. **ბ. დ.**

332. კორნელი დანელია

სინონიმურ წყვილთა ხმარება

„ვეფხისტყაოსანში“

*„შოთა რუსთველს“ (თბილისის სახ. უნივერსიტეტის კრებული),
1966, გვ. 406-414.*

ავტორის დაკვირვებით, სინონიმური სიტყვების ერთად, წყვილად ხმარება მხატვრული საშუალებაა, რომელიც გადმოსაცემი შინაარსის გაძლიერებას, ემოციურად გამოხატვას ემსახურება. ეს წყვილები შეიძლება გამოხატავდეს როგორც რომელიმე ატრიბუტს, ასევე, თვით საგანს, ან მოვლენას.

რუსთაველი იყენებს როგორც აბსოლუტურ, ასევე რეალისტურ სინონიმურ ერთეულებს. პოემაში დასტურდება აბსოლუტურ სინონიმურ წყვილთა გამოყენების შემდეგი შემთხვევები: 1) ერთ-ერთი წევრი უცხო წარმომავლობისაა; 2) ორივე წევრი უცხოურია; 3) ორივე წევრი ქართული ლექსიკური ფონდიდანაა.

სინონიმურ წყვილთა შესაქმნელად რუსთაველი იყენებს: ლექსიკურ პარალელიზმებს, არ ნაწილაკით წარმოებულ უარყოფით კონსტრუქციას, ან ფრაზეოლოგიურ გავრცობას.

გ. ა.

333. ვ. დანელია

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(მოცალოება)

*თსუ ფილ. ფაკ-ის X სამეცნ. სესია, მუშაობის გეგმა და მოსხენებათა თეზისები,
1966, გვ. 13.*

ნაშრომის თეზისები წარმოდგენილია 2 პუნქტად:

1. პოემის პროლოგის 23-ე სტროფში ნახმარი „მოცალოება“ ან სულ არ არის განმარტებული ლექსიკონებში, ან განმარტებულია როგორც „მოცლა“, „თავისუფალი დროის ქონება“.

2. ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლთა მონაცემების გათვალისწინებით გაირკვა, რომ „მოცალოებას“ მოცლის გარდა სხვა მნიშვნელობაც ჰქონია, ესაა: სიმშვიდე, აუჩქარებლობა, სიდინჯე. საფიქრებელია, რომ პოემაში „მოცალოება“ ამ მეორეული მნიშვნელობით იყოს ნახმარი.

334. А. Данельян

Колхозная премия

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 1 ოქტომბერი, № 115, გვ. 7.

საუბარია აფხაზეთში მიმდინარე საიუბილეო სამზადისზე. აღსანიშნავია, რომ იუბილეს მიეძღვნა მთელი რიგი ღონისძიებები: გაგრამი გაიხსნა მხატვრულ-მონუმენტური კომპოზიცია „შოთა რუსთაველი“, კოლმეურნეობა „პობედას“ ეწოდა რუსთაველის სახელი, გაიმართა საიუბილეო კონცერტი, დაწესდა რუსთაველის სახელობის პრემია გამარჯვებული ბრიგადისა და მეჩაიეებისათვის.

თ. ბ.

335. ბორის დარჩია

„ვეფხისტყაოსანი“ და ციციშვილების სიმღერა

გაზ. „თბილისი“, 1966, 21 ივლისი, № 169.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე დაბეჭდილია ვ. სიდამონიძის („თბილისი“, 17/2, 1966) და გრ. ჩხიკვაძის („თბილისი“, 24/3, 1966), ხოლო უფრო ადრე გ. ლეონიძის წერილები („მნათობი“, 1960, № 8).

გ. ლეონიძე ფიქრობდა, რადგან „შეკრა წითელი“ ციციშვილების საგვარეულო სიმღერაა, 20 მარცვლიანი სტროფი „ვეფხისტყაოსანში“ ნანუჩა ციციშვილის ჩამატებული უნდა იყოსო.

ბ. დარჩია ამ სტროფის ჩანართობის აზრს არ ეთანხმება. მისი აზრით:

1. განსხვავებული ზომა ჩანართობას არ ამტკიცებს; მიმზადებულები წერდნენ 16 მარცვლიანი შაირით, რათა მათი სტროფები უკეთ შეხამებოდა პოემას. 2. ი. ტფილელის მიერ გადაწერილ ნუსხაში ნანუჩას სტროფები აღნიშნულია ინიციალით **ნ**. ამ სტროფთან ასეთი ნიშანი არ არის. 3. ჩანაწერებში სიმღერის ტექსტი ერთნაირი არ არის. ზოგან წერია: „შეკრა წითელი სტავრა-ატლასი“..., ზოგან: „შეკრა წითელ-წითელი“, სხვანაირი კიდევ: „შევსვათ წითელ-წითელი“.

დადგენილი არ არის, თავიდანვე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე შეიქმნა ეს სიმღერა თუ შემდეგ დაუკავშირდა მას.

გ. ა.

336. ბ. დარჩია

პოეტს არ დასჭირდა

გაზ. „ლელო“, 1966, 29 იანვარი, № 20, გვ. 3.

ავტორი იხილავს თ. გიორგაძესა და ა. რუგოშელს შორის წარმოებულ კამათს იმის შესახებ, იხსენიება თუ არა ჭადრაკი „ვეფხისტყაოსანში“. თუ გიორგაძე ფიქრობდა, რომ ქრისტიანული რელიგია სასტიკად კრძალავდა ჭადრაკს და იქნებ ეს არის მიზეზი მისი მოუხსენებლობისა „ვეფხისტყაოსანში“, რუგოშელს მიაჩნია, რომ 1632-ე სტროფის მესამე ტაეპში ნახსენებია საჭადრაკო ტერმინი „შამათი“: „ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგვცემენ ყოლ შამათსა“.

ბ. დარჩიას დასკვნით, ეს სტროფი განეკუთვნება ე. წ. „ინდოხატაელთა ამბავს“, რომელიც არაა შესული 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაში, როგორც დანართი და ყოველგვარი ნიშნებით ეს სტროფი რუსთაველს არ ეკუთვნის. ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი არც ეკლესიის შიშით და გავლენით არ მორიდებია ჭადრაკის მოხსენიებას და მისი მოუხსენებლობა იმას არ ნიშნავს, რომ პოეტი საერთოდ არ იცნობდა ჭადრაკს – უბრალოდ, პოეტს არ დასჭირდა მისი მოხსენიება.

ბ. ი.

337. ბ. დარჩია

ფისტიკაური სტროფი ვეფხისტყაოსანში

„შოთა რუსთველი“, საიუბილეო კრებული, 1966, „მეცნიერება“, თბ., გვ 369-390.

ნაშრომში განხილულია და ნაჩვენები, თუ როგორ არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთადერთი ფისტიკაური სტროფი („შეკრა წითელი ასი ათასი“) ხელ-

ნაწერებსა და გამოცემებში. გამოტანილი დასკვნები:

1. ეს სტროფი თავიდან ფისტიკაური ფორმით შეიქმნა და ზოგიერთ ხელნაწერში შაირის სახით შემდეგ გადაკეთდა. 2. ა) ამ სტროფის ავთენტიკური ტექსტი უნდა ვეძიოთ იმ ხელნაწერებში, რომ-ლებიც ფისტიკაური ფორმით წარმოგვიდგენს მას. ბ) მიუღებელია საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემათა მესამე სტრიქონის მეორე ნახევრის წაკითხვა: „... ფერად მართ ვითა მიუმხედარო მან“. მის ნაცვლად უნდა იყოს „...ფერად არ მათგან საუარო,-მან“, რაც ნიშნავს: მან, ავთანდილმა, სამოცი ისეთი თვალი ლალ-იაგუნდი გაუგზავნა ვაზირს, რომ ფერით მათგან (= მისგან, ვაზირისაგან) არ საუარო (უარი რომ არ ითქმებოდა, ისეთი) იყო. 3. წამოყენებული საბუთები საკმარისი არ არის ამ სტროფის ჩანართობის დასა-მტკიცებლად.

ნაშრომში საგანგებოდ არის აგრეთვე განხილული ამ ფისტიკაური სტროფის მიმართება ე.წ. ციციშვილების საგვარეულო სიმღერასთან. **ბ. დ.**

338. ბ. დარჩია

„ვეფხისტყაოსნის“

ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების გამო

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია [თეზისები], თბ., 1966, გვ. 25-26.

ავტორი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების შედგენის მცდელობის ისტორიას და ახასიათებს ოთხ ნაკვეთად 1960-1963 წლებში დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებს“. აღნიშნავს, რომ ამ გამოცემამ ახალი ეტაპი შექმნა როგორც პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტების დადგენის, ისე, საერთოდ, პოემის შესწავლის საქმეში. მოწონებულია მისი შედგენისა და აგების პრინციპები, აღნიშნულია ნაკლოვანებები: დაშვებულია სხვადასხვა ხასიათის შეცდომები და უზუსტობანი, ცუდია ამოწერილ მასალათა მონტაჟი, გამოყოფილი არ არის ჯარიანი და უმარცვლო უნიანი წაკითხვები, ხელნაწერები ძირითად ტექსტად ყოველთვის სწორად ვერ არის შერჩეული იმ ჩანართი სტროფებისათვის, რომლებიც ძირითად ტექსტად აღებულ ნუსხაში არ მოიპოვება და სხვა. **ბ. დ.**

339. ბ. დარჩია

„ზმა“ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობისთვის

„ვეფხისტყაოსანში“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ. XXVI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1966, გვ. 13-14.

სიტყვა **ზმა** „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ იხმარება და მას სხვადასხვა ნიშნელობა აქვს. 692-ე სტროფში („იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად **ზმიდეს**) უნდა ნიშნავდეს ზოგადად: **ხუმრობდნენ, ლაღობდნენ, ერთობოდნენ**, ან როგორც ნ. მარსა და მ. ჯანაშვილს ესმოდათ, კონკრეტულად – საკუთრივ ზმებს, კალამბურებს ამბობდნენ.

ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება.

340. ბ. დარჩია

საიუბილეო სესიები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 20 სექტემბერი, №214, გვ. 3.

I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში საიუბილეო სამეცნიერო სესია მოეწყო. სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, გ. გვერდ-წითელმა, მოისმინეს ცხრა მოხსენება. განმაზოგადებელი მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი აკად. ალ. ბარამიძე. სხვა გამოსვლები რუსთაველოლოგიის ცალკეულ პრობლემებს ეხებოდა: ს. ცაიშვილი შეეხო რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს; კრიტიკოს ბ. ჟღენტის მოხსენების თემა იყო „რუსთაველი და თანამედროვეობა“, რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებები გააშუქა მ. დუდუჩავამ, რუსთაველისა და ქართული ხალხური სამიჯნურო პოეზიის ურთიერთობის საკითხზე საუბრობდა ე. ვირსალაძე, რუსთაველისა და ქართული კლასიკური პოეტიკის შესახებ კი – გ. ასათიანი; „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები მიმოიხილა ს. სერებრიაკოვმა.

სესიაზე სიტყვით გამოვიდნენ სტუმრებიც.

II. თბილისის უცხო ენათა პედ. ინსტიტუტში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ვ. ქოჩორაძემ. მოხსენებები წაიკითხეს: აკად. ს. ყაუხჩიშვილმა – „რუსთაველის შაირის ისტორიის საკითხისათვის“, ინსტიტუტის უფრ. მასწავლებელმა ფ. ჯინჯიხაშვილმა რუმინელი პოეტის ვ. კერნახისა და „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის შესახებ ისაუბრა. პედ. მეცნ. კანდიდატმა ე. ლორთქიფანიძემ – რუსთაველის პედაგოგიურ მსოფლმხედველობაზე, ხოლო ფრანგული ენის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა გ. გეგელიამ წაიკითხა მოხსენება „ი. მეუნარგია – რუსთაველის პოემის პირველი მთარგმნელი ფრანგულ ენაზე“.

თ. ხ.

341. ბ. დარჩია

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები

გაზ.: „კომუნიზმისაკენ“ (კასპი), 1966, 14 აპრილი, № 45, გვ. 3; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187, გვ. 2 (სათ.: „პოემის გამოცემები“); „Заря Востока“, 1966, 25 აგვ., № 194, გვ. 4 (სათ.: „В Тбилиси, Петербурге, Париже... Издание «Витязя в тигровой шкуре» на грузинском языке“).

სტატია ავტორის დაუკითხავად წამოღებულია საქართველოს რადიოდან და შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა მოკლე დახასიათებას დასაბამიდან 1964 წლის ჩათვლით. **ბ. დ.**

342. ჯეფრი დატონი

[რუბრიკა: ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

„თუმცა ჩემს ქვეყანასა და საქართველოს დიდი მანძილი აშორებს ერთმანეთს, მაგრამ მაღალი ადამიანური გრძნობებისა და კეთილშობილური მისწრაფებებისათვის, რომლითაც გამსჭვალულია გენიალური ქართველი პოეტის ქმნილება, არ არსე-

ბოზს არც მანძილი და არც დროის ფაქტორი. „ვეფხისტყაოსანი“ სულიერად ანათესავებს ხალხებს, რა შორი მანძილიც უნდა აშორებდეს მათ“. სტუმარი მოხიბლულია არა მხოლოდ ქვეყნის სილამაზით, არამედ ხალხით, მდიდარი კულტურით, პოეზიისადმი დიდი სიყვარულით. „რუსთაველის მშობელი ხალხი მართლაც რომ პოეტური ყოფილა“, – ამბობს ის. **ი. წ.**

343. გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო

რაინდული ეპოსი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ.

გაზეთში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ სრული ესპანური თარგმანის წინასიტყვაობის შემოკლებული ტექსტი, რომლის ავტორია პოემის მთარგმნელი დე ლა ტორე ბოტარო. წიგნი დაიბეჭდა სანტიაგო დე ჩილეში 1964 წელს და შეიცავს 292 გვერდს.

მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ჰეროიკული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“ საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია. სიყვარულის, მეგობრობის, სოციალური ჰარმონიის გაბედული იდეალებით რუსთაველის ჰუმანიზმს პიროვნული თავისუფლების ქადაგებაში უპირატესობა აქვს დასავლურთან შედარებით. **გ. ა.**

344. მიხა დელბა, მირიან მირნელი

„ვეფხისტყაოსანი“

აფხაზურ ფოლკლორსა და ლიტერატურათმცოდნეობაში

„გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 30 სექტ.

ავტორები წერენ, რომ აფხაზი ხალხი, რომელიც საუკუნეების მანძილზე თავისი პოლიტიკური და კულტურული ინტერესებით მჭიდროდაა დაკავშირებული მომხმე ქართველ ხალხთან, რუსთაველის სიდიადეს ასახავს თავის ზეპირსიტყვიერებაში. აფხაზ ხალხში ცოცხლობს თქმულებები რუსთაველის გმირებზე, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის, ტარიელის, ძლიერი სახე კი აფხაზისათვის იქცა სილამაზის, ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის, გმირობისა და მამაცობის სიმბოლოდ. აფხაზეთში გავრცელებულია გამოთქმები, რომელთა წყაროს რუსთაველის გენიალური პოემა წარმოადგენს. **გ. ა.**

345. Геня Демирханова

Удивительная «книга»

გაზ. „Заря Востока“, 1966, 3 სექტემბერი, № 202, გვ. 3.

რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა ახალგაზრდა მხატვარმა უნიკალური წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი – ხეში ნაკვეთი „ვეფხისტყაოსანი“. მხატვარმა ს. ქობულაძემ მისი ილუსტრაციების ხეში ამეტყველების ნებართვა სთხოვა, ასე შეიქმნა ეს „წიგნი“, რომელშიც სულ რვა ფურცელია, გარეკანი ვეფხვის ნატურალური ტყავისაა, პოემის სტროფები და ილუსტრაციები – თხელ ფანერაზე ამომწვარი. „წიგნი“ რამდენიმე „სურათია“: თინათინის გამეფება, ტარიელისა და ვეფხვის ბრძოლა,

ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრა, ნესტანის წერილი საყვარელთან მიწერილი და სხვა. **თ. ხ.**

346. გ. დემირხანოვა

Возрожденная песнь металла

ქურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 124-128.

საუბარია ჭედური ხელოვნების ნიმუშებზე, მისი განვითარების ისტორიაზე. ავტორი იხსენებს შეხვედრას ირაკლი ოჩიაურთან, საუბრებს იაკობ ნიკოლაძის შესახებ, ახასიათებს ჭედური ხელოვნების ნიმუშებს, განსაკუთრებით გამოყოფს ელგუჯა ამა-შუკელის პანოს მეტროს სადგურ „რუსთაველის“ კედელზე, სადაც გამოსახულია შოთა რუსთაველის სახე. შემდეგ საუბარი გრძელდება ჭედური ხელოვნების ოსტატებზე, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით ორიგინალური ფორმით უკვდავყვეს რესთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

თ. ხ.

347. გ. დემირხანოვა

Руставелиана в Армении

გაზ. „Заря Востока“ 1966, 30 ივლ. №173, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ დიდი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მიმდინარეობს საიუბილეო სამზადისი სამუშაოები. ტელე-რადიო კომიტეტი მუშაობს საგანგებო პროგრამაზე, გამომცემლობა ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ თარგმანს. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა აპირებს ბიბლიოგრაფიული ცნობარის გამოცემას.

წერილის ავტორი ესაუბრება ჟურნალების – „სოვეტაკან გრაკანუტუნისა“ და „ლიტერატურული არმენიის“ რედაქტორებს და მათგან იღებს უფრო სრულ ინფორმაციას საიუბილეო სამზადისის შესახებ.

თ. ხ.

348. ბ. დიასამიძე

კონტაქტის წარმოება „ვეფხისტყაოსანში“

შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწ. პედ. ინსტ. სტუდენტთა XXI სამეცნ. კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1966, გვ. 62-63.

შუალობითი კონტაქტის ფორმებზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ ის ჭარბადაა წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“ და საილუსტრაციოდ მოჰყავს **ევ, ინ, ევინ** სუფიქსების გამოყენების შემთხვევები:

თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შვილთა დამაჭმევს პირითა (1108)

საუბართა და საქმეთა ვითა ძლივ ვათქმევ ენასა (310)

ერთმანერთსა გარდაუხდეს, ლხინმან ცრემლი აფრქვევინა (987)

-ინ- უფრო პროდუქტიული სუფიქსია (უომრად ავალებინე, მინდორი შევალებინე, ამბავი ვაამბობინო.

გვხვდება აგრეთვე **ინ-**ის გამარტივებული სახე **ი**(შენთვის ხელქმნილსა ტარიელს ამბითა მოვალხენიე, 1271), რაც დღეს ზოგ დიალექტში გვაქვს.

გ. ი.

349. მ. დიხამინჯია

სუვენირთა ნიმუშები

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 24 სექტემბერი, № 113, გვ. 3.

ავტორი გვაცნობებს, რომ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროში დიდი გულისყურით მუშაობენ ხალიჩების, თავსაფრების, სხვადასხვა სასმელის ეტიკეტების, ჩაის, შოკოლადის, პაპიროსის კოლოფების მხატვრულ გაფორმებასა და დამზადებაზე. ცდილობენ, თითოეულში გადმოსცენ რუსთაველის ეპოქის კოლორიტი. სპეციალურად საიუბილეოდ შეიქმნა კერამიკისა და ჭედური ხელოვნების მრავალი ნიმუში. ასე რომ, რუსთაველის სტუმრები საქართველოდან საინტერესო სუვენირებს წაიღებენ. **ლ. კ.**

350. Ю. Довгаленко

Новый иллюстратор «Вепхистკаосани»

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 16 სექტემბერი, № 218, გვ. 2.

კიეველმა მხატვარმა გ. გავრილენკომ შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციათა სერია, რომელიც მიეძღვნა საიუბილეო თარიღს. ეს ილუსტრაციები დაერთო პოემის უკრაინულ თარგმანს, რომელიც სამი წინამორბედი თარგმანისაგან განსხვავებულია მაღალპროფესიული დონითა და გემოვნებით შერჩეული ილუსტრაციებით. **თ. ხ.**

351. კ. დოლიძე

პოეტისადმი მიძღვნილი

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 25 ოქტომბერი, № 127, გვ. 3.

ავტორი გვაუწყებს, რომ სოფ. მთისპირის კლუბში ჩატარდა შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია, სადაც წაიკითხეს მოხსენებები რუსთაველის შემოქმედების თემატიკიდან.

მოსწავლეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და მოაწყვეს მონტაჟი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. **თ. ხ.**

352. ლ. დოლიძე

К юбилею Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 23 თებერვალი, № 45, გვ. 3.

1) ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელმა ვ. ლუკონინმა ისაუბრა რუსთაველის საიუბილეო მზადების შესახებ. აღნიშნა, რომ დაიბეჭდება კრებული „Памятники эпохи Руставели“, მეორე გამოშვება (პირველად კრებული 1937 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ 750-ე წლისთავთან დაკავშირებით), რომელშიც შევა სამეცნიერო სტატიები საქართველოს კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე. მოეწყობა გამოფენა, შედგება საიუბილეო სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან.

2) ტრეტიაკოვის გალერეის სწავლული მდივანი ე. ვოლოდარსკი აცხადებს, რომ რუსთაველის საიუბილეოდ მუზეუმში გაიხსნება გამოფენა. გრაფიკის განყოფი-

ლებამი განთავსდება ყველა ილუსტრაცია, ჩანახატი და ესკიზი, რომელიც აქვს გალერეას და უკავშირდება რუსთაველის შემოქმედებას. ე. ვოლოდარსკი იმედოვნებს, რომ ქართველი მხატვრები შეავსებენ ამ გამოფენას თავიანთი ნამუშევრებით.

3) აზიის ხალხთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი საურმაგ კაკაბაძე აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილეს მიძღვნილი სესიები, შედგება სამეცნიერო საბჭოს სხდომა და საზეიმო სხდომა სსრკ-ს მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილებასთან ერთად. გამოიცემა აკადემიკოს იოსებ ორბელის გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

ლ. კ.

353. ლ. დოლიძე

რუსთაველს დღი ადჯარიის

გაზ. „*Вечерний Тбилиси*“, 1966, 22 სექტემბერი, № 223, გვ. 1.

რუსთაველის იუბილესთვის სერიოზულად ემზადებიან აჭარაში, ეწყობა გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, მცირე ხნის წინ მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია ციხისძირში. ექსპედიციის მონაწილეებმა აღმოაჩინეს ბაზილიკის ნაშთები, რომელიც მოპირკეთებული ყოფილა მოზაიკით (შემორჩენილია ფრაგმენტი), ვარაუდობენ, რომ იგი ადრეფეოდალურ ხანას ეკუთვნის.

დაგეგმილია რუსთაველისადმი მიძღვნილი პიესის დადგმა.

დასკვნითი საიუბილეო სხდომა გაიმართება 26 სექტემბერს, ბათუმის სახელმწიფო თეატრში. მოხსენებით გამოვა პოეტი ფ. ხალვაში.

თ. ხ.

354. მ. დონაური

ზიჩი - „ვეფხისტყაოსნის“ პირველი დამსურათებელი

გაზ. „*საბჭოთა აჭარა*“, 1966, 27 სექტემბერი, № 187, გვ. 2.

ავტორი მოგვითხრობს უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის (1829-1906) პეტერბურგში ცხოვრების პერიოდსა და მის მუშაობაზე „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე. 1881 წელს რუსთაველის პოემის საგამომცემლო კომისიამ იმ დროისათვის რუსეთში ცნობილ მხატვარს მ. ზიჩის შესთავაზა აღნიშნული სამუშაო. მხატვარმა გააკეთა 34 ესკიზი და თბილისში გამოგზავნა ამოსარჩევად. შემდეგ დიდხანს მუშაობდა ილუსტრაციების სრულყოფაზე. ისინი დაერთო 1888 წლის გამოცემას, ხოლო ალბომად შეკრული ესკიზები მ. ზიჩიმ ქართველ ხალხს გადასცა საჩუქრად.

გ. ა.

355. კ. დონაძე

გმირთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „*საბჭოთა ოსეთი*“, 1966, 13 სექტემბერი, № 178, გვ. 3.

ავტორის ყურადღების საგანია „ვეფხისტყაოსანში“ ფიგურირებული პერსონაჟთა პანთეონი, რომელიც ისე გამოირჩევა პორტრეტული სიზუსტით და ზნეობრივ-ინტელექტუალური უნივერსალიზმით, რომ მსოფლიო ლიტერატურაში მისი ბადალი ძნელად მოიძებნება.

ც. ე.

356. ვ. დონაძე

სულიერი სიმტკიცისა და შეუდრეკლობის სიმღერა

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 3.

ავტორი ზოგადად მსჯელობს „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც იდეურობისა და მხატვრობის შერწყმის მიუღწეველ ნიმუშზე. მისი თქმით, „რუსთაველის პოემა ეროვნული კულტურის დიდება და მისი ისტორიული ცხოვრების მღელვარე წიგნია... პოემის მაგისტრალური ხაზია სიცოცხლის, ადამიანის უსაზღვრო სიყვარული, მისი სრულქმნისა და გამარჯვების რწმენა“.

გ. ა.

357. ვარლამ დონდუა

„ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები

კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი, 1966, გვ. 228-242.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ისტორიკოსთა ორივე ნაშრომი „ისტორიანი და აზმანი“ და ბასილისეულად მიჩნეული „ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისი“ ერთი ეროვნული შემოქმედების ნაყოფია, რომელთაც საერთო აქვთ „სულიცა და ხორციც“. „ვეფხისტყაოსანში“ აისახა იმდროინდელი ისტორიული სინამდვილე. მკვლევარი პოემის პერსონაჟების - თინათინისა და დავარის პროტოტიპებად მიიჩნევს თამარ მეფესა და რუსუდანს. აღნიშნავს, რომ პოემაში ასახულია სამეფო კარის გარიგების ნორმები, მეფედ კურთხევის წესი და მრავალი სხვა მომენტი. ავტორი ავითარებს ანტონ I -ის ვარაუდს, რომ რუსთაველს დაწერილი უნდა ჰქონოდა ისტორიული ქრონიკა თამარ მეფის ცხოვრების შესახებ. ნაშრომში საუბარია ქართველთა და მაჰმადიანთა ურთერთობის ხასიათზე. აღნიშნულია, რომ ქართველებს მტკიცედ ჰქონდათ შეთვისებული თავისი კულტურის უპირატესობა და მუსლიმობის დიდი ჩამორჩენილობა. ეს ირონია გამოსჭვივის კიდევ „ვეფხისტყაოსანში“. თვით მაჰმადის სახელიც კი ერთგვარად დამცრობილია. ცნება „სპარსი“ როგორც პოემაში, ისე ისტორიაშიც ანტაგონისტურ ურთიერთებაში არიან მოპირდაპირესთან. პოემაში აშკარა ანტისპარსული სულისკვეთებაა (კვდება სპარსი უფლისწული, ხაზგასმულია, რომ სპარსელები უარყოფითი თვისებების მატარებლები არიან). ასეთ ვითარებაში ჩასაფიქრებელია ფრაზა - „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“... ავტორის თქმით, ეს საკითხი სცილდება ისტორიის საგანს და ლიტმოდნეობის სფეროს გადასაწყვეტია.

ი. წ.

358. ვ. დონდუა

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისათვის ისტორიის შუქზე

ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმ. ისტ.-ეთნ. მუზეუმისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალაქო საზოგ. სამეცნიერო სესია. თეზისები, ქუთაისი, 1966, გვ. 5.

1. დღემდე უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებს დებულება, რომ რუსთაველოლოგიური საკითხების გადაწყვეტა (ავტორის ვინაობა, აზმის ორიგინალობა და სხვა) წინასწარ პირობად გულისხმობს პოემის ტექსტის სისწორით აღდგენას (ი. ჯავახიშვილი).

2. სათანადო კვლევა-ძიებაში დიდი ჩანს ხვედრითი წონა საისტორიო წყაროთა კულტურულ-ისტორიული რიგის მონაცემებისა.

3. თამარის ისტორიკოსთა ცნობების შუქზე „ვეფხისტყაოსანში“ მეტ-ნაკლები კონკრეტულობით ისახება, კერძოდ, იმდროინდელი საპატრონჟო ინსტიტუტის, სამეფო კარის ინტიმური ცხოვრების, იმ დროის მოქმედი კარის გარიგების ანარეკლები და ეპოქისათვის ნიშანდობლივი რეალიები, – ის, რაც ცხადყოფს პოემის ქართულობას და ორიგინალობას. **ლ. კ.**

359. [თ. დონდუა და სხვ.]

„ვეფხისტყაოსანი“

გამოცემების ბიბლიოგრაფიული საძიებელი, თბ., 1966, 44 გვ.

საძიებელი მომზადებულია კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში თ. დონდუას, კ. რამიშვილის და თ. მაჭავარიანის მიერ.

მასში დასახელებული და მოკლედ ანოტირებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1712-1963 წლებში დაბეჭდილი 45 ქართული, სრული და 4 გადამუშავებული (პროზაულად გარდათქმული) გამოცემა.

II. პოემის სრული ან ნაწილობრივი თარგმანები რუსულ ენაზე, 13 გამოცემა (1888-1965 წწ.).

III. თარგმანები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

IV. თარგმანები უცხოურ ენებზე.

V. განყოფილებაში მოცემულია ცნობები ჯერ გამოუქვეყნებელ თარგმანთა შესახებ.

ყველა განყოფილებას ბოლოს ერთვის რეცენზიებისა და ინფორმაციების დასახელება მნიშვნელოვან ორიგინალურ თუ ნათარგმნ გამოცემებზე.

ბროშურას ახლავს მთარგმნელების, წინასიტყვაობის ავტორების რედაქტორების, გამომცემლებისა და მხატვრების, აგრეთვე – პოემის გამოცემის ადგილების საძიებლები. **გ. ა.**

360. მ. დოჭვირი

სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლისათვის

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 23 მარტი, № 12, გვ. 2.

ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ასწავლის იგი „ვეფხისტყაოსანს“ სკოლაში, როგორ ანაწილებს საათებს, რას ანიჭებს უპირატესობას. იგი საჭიროდ მიიჩნევს მოსწავლეებს დაუსვას ისეთი კითხვები, რომელთა დახმარებითაც ბავშვები გაარკვევენ მოქმედ პირთა დამახასიათებელ თავისებურებებს, მსგავსება-განსხვავებას, ხასიათს, პოემის მხატვრულ მხარეებს. პედაგოგი სწავლების პროცესში იშველიებს ი. აბაშიძის ლექსების ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“, აცნობს ა. შანიძის, გ. წერეთლის და ი. აბაშიძის პალესტინაში მოგზაურობის შედეგებს. ხსნის პოემის ლექსის თავისებურებას, შაირის რაობას, საერთოდ რუსთაველის პოეტიკას. საილუსტრაციოდ აქვე წარმოდგენილია ერთ-ერთი გაკვეთილის სქემა. **ლ. კ.**

361. მამია დუდუჩავა

რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებანი

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 8, გვ. 38-57;

აგრ. წიგნში – „შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნააზრევნი“, თბ., 1966, გვ. 13-60.

წერილში მოცემულია ხელოვნების არსის რუსთაველური გაგების ანალიზი, ძირითადად „ვტ“-ის პროლოგის საფუძველზე.

ავტორი, იკვლევს რა საერთოდ ხელოვნების, კერძოდ კი პოეზიის არსის რუსთაველისეული გაგების ძირითად პრინციპებს, მათ ისტორიულ მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ ისინი მკაცრად თანამიმდევრულია და საბოლოოდ აყალიბებს შემდეგი ხასიათის დასკვნებს:

1. პოეზია, საერთოდ ხელოვნება, ადამიანური სამყაროს ასახვაა.

2. ხელოვნების ასახვის თავისებურებების საფუძველს ხელოვანის ნიჭის, გულის, ხელოვნებისა და გონების ერთობლიობა შეადგენს. პოეზიაში ამას ემატება კიდევ ენის სრულქმნა, გამომსახველობითი თავისებურება.

3. ხელოვნება ძნელად მისაღწევი ადამიანური მოვლენაა და ღრმად სპეციფიკურ გნოსეოლოგიურ საფუძველს ემყარება.

4. ხელოვნება თავისებური სიბრძნეა, აზროვნების, შემეცნების სპეციფიკური სახეობაა, ხატოვანი აზროვნებაა.

5. ხელოვნება არა მარტო სიბრძნეა ადამიანებისათვის „დიდად მარგი“, არამედ ესთეტიკური ფენომენიც.

6. ხელოვნება და ადამიანი განუყოფელი ცნებებია.

ნ. მ.

362. მ. დუდუჩავა

სინამდვილის მშვენიერება რუსთაველის თვალსაზრისით

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 138-145;

აგრ. წიგნში – „შოთა რუსთაველის ესთეტიკური ნააზრევნი“, თბ., 1966, გვ. 61-95.

ავტორი განიხილავს ბუნებრივი (არსებული) მშვენიერებისა და ხელოვნების გზით შექმნილი მშვენიერების რაობას. იგი წერს: „სინამდვილის მშვენიერება „ვეფხისტყაოსანში“ წარმოსახულია არა მარტო როგორც უაღრესად მიმზიდველი და ამადლებული სრულყოფილება, არამედ როგორც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც...“

მშვენიერება მთელი თავისი არსებით სიკეთესთანაა დაკავშირებული. (ის, რაც სიკეთეს გამოიცხავს, მშვენიერებასაც გამოიცხავს). ამავე დროს მას ფორმის სრულყოფილებაც (გარეგნული სილამაზე) უნდა გააჩნდეს.

„ვეფხისტყაოსანის“ ყველა მონაცემის ერთობლივი ანალიზიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ხელოვნების მშვენიერება ხელოვანის შექმნილია და სიბრძნის საფუძველზე ამოზრდილი. სინამდვილის მშვენიერება კი ემპირიულის, თვით ადამიანების, მოვლენების, საგნების თანმხლები თვისებაა.

შ. რუსთაველი პირველი აღუდგა წინ რეალური სამყაროს მშვენიერების რელიგიურ-დოგმატურ გაგებას. რუსთაველი იყო თავისი დროის უდიდესი ესთეტიკოსი. შუა საუკუნეების ესთეტიკური აზროვნების პირველი დიდი რეფორმატორი,

რენესანსის ესთეტიკური პრინციპების ფუძემდებელი და ერთ-ერთი უბრწყინვალესი გამომხატველი.

გ. ა.

363. მამია დუმბაძე

საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი

კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი, 1966, გვ. 5-32.

ავტორი მოკლედ გვაცნობს რუსთაველის ეპოქას, გენიოსი პოეტის ნააზრევის ორგანულ კავშირს მშობლიურ სინამდვილესთან. მიმოხილულია დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რასაც მოჰყვება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. ფილოსოფიური აზრის გვენვეთარების მაღალმა დონემ განაპირობა მწერლობის აღმასვლა. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“, მიუხედავად მისი ალეგორიული სიუჟეტისა, ქართულ სინამდვილეს ემყარება და მასში მოჩანს XII ს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანარეკლი.

ი. წ.

364. [მამია ებრალიძე]

რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“

1966, თბ., გამ. „განათლება“, 254 გვ.

წიგნად დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსანი“, პროზად გარდათქმული მამია ებრალიძის მიერ. მისი დანიშნულებაა დაეხმაროს პოემის მკითხველს, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას, მისი შინაარსის სწორად გაგებასა და უკეთ შეთვისებაში.

თხზულების შინაარსი იწყება პირველი თავით: „არაბთა მეფის როსტევანის ამბავი“ (პროლოგი, „დასაწყისი“, გამოტოვებულია). თხრობა მიჰყვება პოემის ტექსტს თითქმის სიტყვა-სიტყვით. დაცულია ტრადიციული დასათაურება, რომელიც 1937 წლის საიუბილეო გამოცემიდან მომდინარეობს, ოღონდ გადმოტანილია ახალი ქართულის სინტაქსით.

შინაარსის თხრობაში აქა-იქ ჩართულია პოემის სტროფები, სტრიქონები ან აფორიზმები ავტორის მხატვრული სტილის საჩვენებლად.

გ. ა.

365. ოთარ ეგაძე

რუსთაველი ჩვენთანაა

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 5-8.

ავტორი ბედნიერად რაცხს თავს, რომ საქართველომ არა თუ არ დაკარგა რუსთაველი, არამედ ორჯერ აღნიშნა მისი დაბადების დღე – პირველად 1937 და მეორედ ახლა, 1966 წელს. იხსენებს 1934 წლის აგვისტოს, როცა კავშირების სასახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა მწერალთა პირველი ყრილობა. მარმარილოს სვეტებზე გამოფენილი იყო დიდი პორტრეტები სახელგანთქმული მოღვაწეებისა: დანტე, შექსპირი, სერვანტესი, გორკი, პუშკინი. ავანსცენასთან მარმარილოს ორ ცარიელ სვეტს კი რუსთაველისა და შევჩენკოს პორტრეტები ამშვენებდა.

ავტორის აზრით, რუსთაველი ისევ ჩვენთანაა და „ღარიბად არ ვიხსენიებით“, რამეთუ იგი არ დაგვიკარგავს.

თ. ბ.

366. ნ. ედიშერაშვილი

„ცოცხალი“ „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „კომუნისკენ“ (კასპი), 1966, 14 აპრილი, № 45, გვ. 3.

ავტორი გვიყვება ვალერიან ქვრივიშვილზე, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“ და XIX და ზოგიერთი XX საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. იქვეა ფოტოსურათი: ვ. ქვრივიშვილი სტუმრად რედაქციაში. **ბ. დ.**

367. კ. ევაშვილი (ცინცაძე)

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობისათვის

წიგნში: „შოთა რუსთაველი“, ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული, თბ., 1966, გვ. 227-274.

გამოკვლევა დაწერილია 1936 წელს. ავტორი უარყოფს მკვლევართა შორის გავრცელებულ შეხედულებას „ვეფხისტყაოსნის“ სამღვდელოებისგან დევნის შესახებ. მისი აზრით, პოემაში არ არის არავითარი „მწვალებლური იდეა“, რომელიც დევნის საბაზი გახდებოდა. ტიმოთე გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის დამოკიდებულება რუსთაველისა და მისი პოემისადმი სუბიექტური მიდგომის მაგალითებია და მათი განზოგადება სწორი არ იქნება.

თხზულების სრულიად განსაკუთრებული ხასიათისა და მიზანდასახულობის გამო რუსთაველს არ შეეძლო ქრისტიანული დებულებების ამკარად და ხაზგასმით წარმოჩენა, მაგრამ ავტორისა და მოქმედი პირების სიტყვებსა და აზროვნებაში მაინც ჩანს, რომ ისინი იცნობენ და მისდევენ ქრისტიანული მოძღვრების ნორმებს.

რუსთაველს მზე მიაჩნდა ღვთაების ემანაციად, მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ დოგმას. თვით საღვთო წერილი ახსენებს ღმერთს მზედ, ასევე – წმინდა მამები: ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და სხვ.

ასევე მცდარია აზრი, თითქოს რუსთაველი არ ახსენებდეს სამებას. იგი ახსენებს „ერთარსებას“, რაც თავისთავად გულისხმობს სამებას. რუსთაველი სარგებლობს წმინდა საღვთისმეტყველო და საეკლესიო ცნებებით, როგორებიცაა: „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „ხატი... ერთარსებისა, ერთისა“ და ა. შ.

მკვლევარს მრავლად მოაქვს „ვეფხისტყაოსნისა“ და ბიბლიის პარალელური ადგილები, რომელთა შორის არის „არსებითი, შინაგანი მსგავსება“ (გვ. 248-260). ავტორი პოემის მთავარ გმირებად თვლის თინათინსა და ავთანდილს (გვ. 241-246). **გ. ა.**

368. ე. ეკიზაშვილი, გ. შარაძე

ფრანგი მეცნიერი „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 6 აპრილი.

პარიზის გამომცემლობა „გალიმარმა“ ფრანგულად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (ს. წულაძის თარგმანი). ამასთან დაკავშირებით ფრანგმა მკვლევარმა მ. ბრიონმა დაბეჭდა რეცენზია სათაურით „მწვერვალთა დასაპყრობად“. მისი შეხედულებით, პოემის რაინდული თავგადასავლის მეტაფიზიკური ფონია ნახევრად ჰერმეტიული და ნახევრად მისტიკური ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც უშუალოდ პეტრიწის ნეოპლატონიზმისაგან და პეტრე იბერიისაგან მომდინარეობს. წერილში აგრეთვე

აღნიშნულია, რომ ამ ფილოსოფიურ წყაროებზე მინიშნება გვიხსნის, თუ რატომ არ შეიძლება „ვეფხისტყაოსანი“ მივიჩნიოთ მხოლოდ რაინდული თავგადასავლების წარმტაც აღწერად. **ი. კ.**

369. გ. ელიავა

ჰყონდიდ-მარტვილი და შოთა რუსთაველი

გაზ. „შრომის დროშა“ (გეგეჰკორის რ.), 1966, №117, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჰყონდიდი ერთ-ერთი უძველესი რელიგიური და კულტურული კერა იყო დასავლეთ საქართველოში. XI საუკუნიდან აქ იყო სამთავარეპისკოპოსო მონასტერი.

სოფ. ინჩხურში, „ნაოხვამურზე“ ნაპოვნია ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელზედაც მრგვლოვანით (ასომთავრულით) ამოკვეთლია „შოთასა“. ამ წარწერაში ავტორი შოთა რუსთაველს გულისხმობს. **გ. ა.**

370. გ. ელიავა

რუსთაველის ნაკვალევზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 1 მარტი, № 26.

ავტორი აღნიშნავს, რომ იოანე მინჩხის სამშობლო სოფელ ინჩხურში მცხოვრებმა ი. წოწორიამ იპოვა ლოდი, რომელზედაც არის X–XI საუკუნეში მრგვლოვანით შესრულებული წარწერა: „შოთასა“. მის ზემოთ, ქვის გონიოზე ასოთა ბოლოებია შემორჩენილი, რომელიც, ალბათ, წარწერის ნაწილია.

ავტორის აზრით. ვინაიდან ქვას ერთი მხარე ჩასწორებული აქვს მიჯრით მიწყობისათვის, ამიტომ მას საფლავის ქვად ვერ ჩავთვლით. იგი ან კედლის მოსაპირკეთებელი ლოდის ან იატაკის ფილაქნის ნაწილი უნდა იყოს.

ავტორის ვარაუდით, თუ აქ ასეთი ნაგებობა იდგა, რომელსაც წარწერებით დამშვენებული კედლები და იატაკი ჰქონდა, ეტყობა, იგი რაღაც სერიოზული სარიტუალო ან საერო ნაგებობა იყო. ამ ექსპონატის გარდა, გეგეჰკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი უნიკალური გამოცემა, რომელთაგან ყველაზე საინტერესო მაინც „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის ეგზემპლარია, რომელიც XIX საუკუნის პირველ წლებში გადაუწერიათ.

მუზეუმს თავის ფონდებში დაცული აქვს აგრეთვე ჰედური ხელოვნების ნიმუშები: სურები, სარტყელები, რომლებზეც ამოტვიფრულია რუსთაველის სახე. მუზეუმს აქვს თამარის სახით შემკული ბეჭდები. **ნ. მ.**

371. გ. ელიავა, მ. მარკოზია

დიდი ეროვნული დღესასწაულის შესახებდრად

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 29 ივნისი, № 26, გვ. 2.

ავტორთა ცნობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე რუსთაველის საიუბილეოდ ატარებენ რესპუბლიკურ კონკურსს, რომელშიც აქტიურად ჩაებნენ გეგეჰკორის რაიონის სკოლებიც.

კონკურსის მიზანია მოსწავლეებმა საფუძვლიანად გაიცნონ „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ეპოქა, გამოვლინდეს მხატვრული თვითშემოქმედების ძალები. აქვეა ინფორმაცია გეგეჭკორის რაიონიდან კონკურსის მონაწილეთა, ინსცენირებების, მოხსენებების, საკუთარი შემოქმედებით გამომსვლელთა და გამარჯვებულთა შესახებ, რომლებიც 14 ტურში მონაწილეობის მისაღებად წარადგინეს რესპუბლიკური კომისიის წინაშე. **ლ. კ.**

372. Нази Элиашвили

**К. Марджанишвили и поэма
Руставели**

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9–10, გვ. 122–123.

საუბარია შოთა რუსთაველის პოემის ინსცენირების ცდაზე, რომელიც კ. მარჯანიშვილს ეკუთვნის. აღწერილია დიდი რეჟისორის მუშაობის მეთოდი, მსახიობთა შერჩევის პრინციპი, მიმოხილულია პიესის ლიტერატურული წყაროები. გამოთქმულია სინანული, რომ რეჟისორის ეს ჩანაფიქრი არა თუ არ განხორციელდა, პიესის მარჯანიშვილის კუთვნილი ვარიანტიც კი დაიკარგა. **თ. ხ.**

373. ი. ელისაშვილი

დიდი პოეტის შთაგონებით

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 4.

საიუბილეო დღეებში თბილისის 62-ე საშუალო სკოლამ გამოფენა მოაწყო. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ხეზე ამომწვარი ქაჯეთის ციხე, რუსთაველის პორტრეტი, ბარელიეფი – ერთ მხარეს სვეტიცხოველი, მეორე მხარეს ჯვარი, თავში კი პოეტის გამოსახულება. გამოფენილია ქართველ ხუროთმოძღვართა ხელოვნების დასტური – საფარისა და ხერთვისის, ვარძიისა და სნოს ციხის, ბაგრატიისა და გელათის, იყალთოსა და ალავერდის სურათები.

წარმოდგენილია სტენდები: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები“, ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელები“, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ილუსტრაციები“. **თ. ხ.**

374. ივანე ენიკოლოპოვი

ა. ნ. მურავიოვი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ჟურ. „მნათობი“, 1966, №9, გვ. 162-164.

წერილში გადმოცემულია რუსი მწერლისა და მეცნიერის, ანდრეი ნიკოლოზის ძე მურავიოვის შთაბეჭდილებები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ის 1846 წ. ყოფილა საქართველოში, დაუთვალე რეგია ისტორიული ძეგლები, გასცნობია ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, მწერლობას. მაშინ რუსულად თარგმნილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ პირველი თავი. ა. მურავიოვი თავის წიგნში „საქართველო და სომხეთი“ იმოწმებს ადგილებს ამ თარგმანიდან და აღტაცებას გამოთქვამს ამ ნაწილში აღწერილი ამბების პოეტური ოსტატობით გადმოცემის გამო. **გ. ა.**

375. И. Эниколопашვილი

Судьба одного портрета

ჟურ. „Москва“, 1966, №9, 194-195.

ავტორი მოგვითხრობს ისტორიას რუსთაველის მინიატურული პორტრეტი-სა, რომელიც ოდესღაც ზაზა ციციშვილის კუთვნილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს ამკობდა. პორტრეტი ფართოდ გავრცელდა XIX ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც მხატვარმა გრიგოლ გაგარინმა შექმნა მისი ასლი.

გ. გაგარინმა კარგად შეისწავლა ძველქართული ფრესკული ფერწერა, საეკლესიო ხელნაწერები და მინიატურები. მან რუსთაველის მინიატურული პორტრეტის ასლიც გადაიღო და მისი რესტავრირებაც შეძლო. ეს პორტრეტი მოათავსა 1847 წელს პარიზში გამოცემულ ალბომში „Живописный Кавказ“. პორტრეტის ორიგინალი 1869 წელს პ. იოსელიანთან ინახებოდა. მან ის მოსკოვში მცხოვრებ დავით ზაგრატიონს გადასცა.

1923 წელს პორტრეტი მისი ახალი მფლობელის ვინმე ყაზაროვისაგან შეისყიდა საქართველოს მუზეუმის თანამშრომელმა ი. მამულაშვილმა და თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა. **ლ. კ.**

376. И. Эниколопов

Певый переводчик Руставели на Армянский язык

ჟურ. „Литературная Армения“, 1966, № 8, გვ. 81-83.

1860 წელს სომხურ ჟურნალ „Крунк“-ში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი სომხურ ენაზე **სარგისის** ხელმოწერით. თარგმანი 500-ზე მეტი სტროფისგან შედგება. იმ დროისთვის ეს იყო პოემის ყველაზე ვრცელი თარგმანი. სარგისის ფსევდონიმით სარგებლობდა ექიმი ს. ბასტამოვი (სტეფან ბასტამიანი). იგი 1817 წ. დაბადებულა თბილისელი მოქალაქის ოჯახში. დაუმთავრებია მოსკოვის უნივერსიტეტი.

ი. ენიკოლოპოვი დადებითად აფასებს მის თარგმანს, მიიჩნევს, რომ ს. ბასტამოვმა მოგვცა რუსთაველის ლექსის ორიგინალური ხმოვანება, დაიცვა სიზუსტე, ჩასწვდა პოეტის ჩანაფიქრს, თხზულების აზრსა და სტილურ თავისებურებებს. **ლ. კ.**

377. ი. ენიკოლოფაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი ხელნაწერის ისტორია

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი, №43, გვ. 3.

წერილში საუბარია Q930, ე.წ. გურგენისეულ ხელნაწერზე. მისი მფლობელი **გურგინი** იყო ერეკლე II-ის მუნში (ვიცე-კანცლერი) და აქტიურ დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდა. გურგინმა კარგად იცოდა აღმოსავლური ენები და ამის გამო მიიღო მეტსახელი „ენიკოლოფი“. გარდაიცვალა 1786 წ. მას ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც გაიძარცვა და განადგურდა ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აღების შემდეგ.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი დაზიანებული მოხვდა მატენადარანში, სადაც იგი ნაწილობრივ აღადგინეს, 1946 წელს კი წიგნი გადაეცა „საჩუქრად მოძმე ქართველ ხალხს“. ამჟამად ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ავტორი აღნიშნავს, რომ მისი მფლობელის სახელი იყო **გურგინი** და არა გურგენი ან გურგენა, როგორც ნარკვევებსა და ცნობებში მოიხსენიებენ. **გ. ა.**

378. И. Ениколопов

А. Лейст о «Вепхисткаосани»

გაზ. „Заря Востока“, 1966, 7 სექტემბერი, № 205, გვ. 4.

სტატიაში საუბარია ა. ლაისტის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. ნათქვამია, რომ 1882 წ. თავის წერილში „მივიწყებული ლიტერატურა“ ა. ლაისტმა პირველმა გააცნო თავის თანამემამულეებს ქართული კულტურა, მოგვიანებით კი ი. ჭავჭავაძის ინიციატივით ახლოს გაეცნო საქართველოს და უკანდაბრუნებულმა თავისი შთაბეჭდილებების ორი ტომი გამოსცა. 1887 წ. ლაიფციგში გამოაქვეყნა ქართველი პოეტების თხზულებათა თარგმანები, 1889 წ. კი დრეზდენში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“.

1906 წლიდან იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სტატიაში მიმოხილულია ა. ლაისტის წერილები რუსთაველის შესახებ, მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, გამოკვეთილია ამ თარგმანის ნაკლი და ღირსება. ავტორი ერთმანეთს ადარებს ა. ლაისტისა და ჰ. ჰუმპერტისეულ თარგმანებს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებს, თუმც არც ა. ლაისტს უკარგავს დამსახურებას, რამდენადაც იგი იყო პირველი მთარგმნელი, თანაც ითვალისწინებს იმ სირთულეებს, რაც გზაზე ხვდებოდათ იმ პერიოდში მოღვაწე რუსთაველოლოგებს. **თ. ბ.**

379. И. Ениколопов

По следам Мари Броссе

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 26 სექტემბერი, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მ. ბროსე იყო პირველი, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები თარგმნა ფრანგულ ენაზე. იგი განიხილავს მ. ბროსეს მიმდევრის, ლ. ბობრინსკის თარგმანს, რომელიც დაიბეჭდა 1885 წელს და დიდი გამოხმაურება გამოიწვია. იმ დროის ცნობილმა კრიტიკოსმა ა. სუტნერმა თარგმანს მაღალი შეფასება მისცა. ბობრინსკიმ (ფსევდონიმი ბორენი Борен) თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ადგილები სიტყვა-სიტყვით, ნათლად და ამავე დროს უდავო პოეტური ტალანტით. თუმცა გამოტოვა ისეთი სტროფები, რომლებიც, მისი აზრით, რუსთაველს არ ეკუთვნოდა, რამდენიმე ეპიზოდი კი თვითნებურად განავრცო. ერთი წლის შემდეგ ბობრინსკიმ, ასევე ფსევდონიმით, გამოსცა წიგნი „აღმოსავლური ზღაპრები“ («Восточные сказки»), რომელშიც შევიდა მისი თარგმნილი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. **ლ. კ.**

380. ი. ენიკოლოფოვი

მოკრძალებული ღვაწლი
(„ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელი სომხურ ენაზე)
გაზ. „თბილისი“, 1966, 20 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სომხურ თარგმანზე, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ 1860 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრუნკის“ ივნისის ნომერში. მთარგმნელი, რომელიც ფსევდონიმ „სარგის“-ით წარუდგა მკითხველს, არის სტეფანე ბასტამიანი. ავტორი გვაცნობს სტეფანე ბასტამიანის ბიოგრაფიულ მონაცემებს. იგი დაბადებულია 1817 წელს. მისთვის ქართული დედაენა ყოფილა. 1840 წელს დაუმთავრებია მოსკოვის უნივერსიტეტი. 1847 წლიდან იბეჭდებოდა თბილისში გამოშვალ სომხურ პერიოდულ ორგანოებში. „კრუნკში“ რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანი. ავტორის თქმით, მთარგმნელს ორგანული ჟღერადობა მიუნიჭებია სომხურ ენაზე ამეტყველებული სტრიქონებისათვის. ს. ბასტამიანის მოკრძალებული ღვაწლი დარჩება ორი ხალხის კულტურულ ურთიერთკავშირის ისტორიაში, როგორც დიდი და კეთილშობილი საქმის პირველი ცდა.

ი. წ.

381. სამსონ ენუქაშვილი

რუსთაველის
წინამორბედები და არეოპაგატიკა
გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 2 ოქტ., №192, გვ. 3.

როგორც ავტორი აღნიშნავს, შოთა რუსთაველის წინამორბედები ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ სფეროში იყვნენ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. ეფრემ მცირემ XI ს-ის დასასრულს ბერძნულიდან გადმოთარგმნა პეტრე იბერიელის შრომები. ამის საფუძველზე იოანე პეტრიწმა განავითარა საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც პეტრე იბერიელის მოძღვრების აღორძინებას წარმოადგენს. ამის შემდეგ არეოპაგატიკა გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ კომპონენტად, რამაც ასახვა და სრული განვითარება ჰპოვა რუსთაველის პოემაში.

გ. ა.

382. ვ. ესაიაშვილი

შთამაგონებელი და დამრავლავი
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტ., № 221, გვ. 2.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ როლს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში. მისი თქმით, რუსთაველის თხზულება XX ს-ის დასაწყისიდან დგება ქართველი მუშისა და გლეხის კლასობრივი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის სამსახურში. ამით კიდევ უფრო ფართოვდება და ღრმავდება მისი გავლენის სფერო და უფრო მაღლდება მისი სოციალური დანიშნულება. ბოლშევიკური პარტიის ლიდერები პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის დროს ან ოპონენტებთან კამათში იყენებენ რუსთაველის აფორიზმებს. მათ წერილებში გვხვდება რუსთაველური გამოთქმები და აფორიზმები: „შუა უზის დიდი ზღვარი“; „რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული

ჰკონია“; „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“; „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“; „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“ ... **გ. ა.**

383. სეი იბი ვაკული (ტოკიოს უცხო ენების სახ. უნივერსიტეტი)
[რუბრიკაში: ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები]
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

თავის ინტერვიუში იგი აღნიშნავს, რომ მისი მიზანია უფრო ღრმად გაიცნოს „ქართველი ხალხის როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე პოეზია... ისტორიული და ღირსშესანიშნავი ძეგლები... ქართველი ხალხი“, ბოლოს ამბობს: „შოთა რუსთაველის უკვდავ გენიას „ვეფხისტყაოსანს“ კარგად იცნობენ იაპონიაში. იგი იპეი ფუკურომ თარგმნა ამ რამდენიმე წლის წინ და დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იაპონიაში რვაჯერ გამოიცა დიდი ტირაჟით.“ **ბ. დ.**

384. ე. ვაზიშვილი
„რუსთაველის ბაღი“
გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 8 ივნისი, № 23, გვ. 4.

ავტორი გვიამბობს, რომ თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად დადგეს პატარა მონტაჟი („რუსთაველის ბაღი“), რომლის ავტორები არიან პედაგოგები: ლამარა ხაფავა და ადელი ერაგია. ბავშვები ყვავილებით იყვნენ მოსილნი. ისინი ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოთქვამდნენ რუსთაველის აფორიზმებს. **ლ. კ.**

385. ვაჟა-ფშაველა
[რუბრიკა: რას ამბობდნენ წინაპრები რუსთაველზე]
გაზ. „კომუნისტისკენ“, 1966, 14 აპრილი, № 45, გვ. 3.

აღნიშნული სათაურით გამოქვეყნებულია ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „რუსთაველი ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი; იგი იმავე დროს სარკეა თავის ერისა... ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნო თავისი თავი...“

შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“. **ბ. დ.**

386. ვაჟა-ფშაველა
[რუსთაველის შესახებ]
გაზ. „ქუთაისი“, 1966, 16 ივლისი, № 137, გვ. 3.

„შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“. ასე რომ არ იყოს, ქართველებს ხომ ასეთი სიყვარულიც არ ექნებოდათ შოთასი... ამ დიდი სიყვარულის მოხვეჭა კი მხოლოდ დიდს ადამიანს, გენიოსს შეუძლია,

რომელიც ღვიძლი შვილია თავისი ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი“.

ბ. დ.

387. [ხაიმ ვარდი]

Гордость всего человечества

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 29 აპრილი, № 100, გვ. 4.

TACC-ის კორესპონდენტი ისრაელში ივან სტოვბუნი ესაუბრა დოქტორ ხაიმ ვარდის. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის თარიღთან დაკავშირებით მეცნიერს თელავივის უნივერსიტეტში წაუკითხავს ლექციების სერია ქართული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორიის შესახებ. მას განზრახული აქვს მომავალ წელს ერთი სემესტრი დაუთმოს ქართული კულტურისა და რელიგიის ისტორიის შესწავლას. ხაიმ ვარდის შესაძლებლად და დამაჯერებლად მიაჩნია ე. წ. „პალესტინის პერიოდი“ რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ის ეხება აგრეთვე რუსთაველის ფრესკის საკითხს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე და ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებს, რომელთა მიხედვით, შოთა რუსთაველი იერუსალიმს მოვიდა 1192 წელს თამარ მეფის დავალებით.

ლ. კ.

388. ხაიმ ვარდი

[შოთა რუსთაველი]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლისი, № 179, გვ. 3.

რუბრიკით „ასე აფასებენ“ მოყვანილია ხაიმ ვარდის სიტყვები: შოთა რუსთაველი, ჩემის აზრით, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი გენიაა. „ვეფხისტყაოსანს“ რომ ვკითხულობდი, შევიგრძენი დიდი და მარად უჭკნობი პოეზიის ფრთავამლილობა.

ბ. დ.

389. ხ. ვარდი

მარად ჭაბუკი პოეზიის სუნთქვა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 2.

ავტორი წერს: „მე ორჯერ ვეზიარე შოთა რუსთაველის შემოქმედებას. პირველად – სიჭაბუკეში, როცა მის პოემაში მოქმედებას, შემართებას და რაინდულ სიქველეს ვეძებდი; მეორედ – ... როცა შალვა ნუცუბიძის მოსაზრებათა გაცნობის შემდეგ მასში არეოპაგიულ მისტიკას ვეძებდი. „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას როგორც ერთხელ, ისე მეორედ დიადი და მარად უჭკნობი პოეზიის სუნთქვა ვიგრძენი“.

მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ რუსთაველი XII ს-ის ბოლოს იერუსალიმში ჯვრის მონასტრის რესტავრაციისთვის ჩასულიყო. მისი თქმით, შოთა რუსთაველის პორტრეტის პოვნა ქართველ სწავლულთა უდავოდ დიდი მეცნიერული აღმოჩენაა და ეს პორტრეტი მეთორმეტე საუკუნეს, ჯვრის მონასტრის რესტავრაციის პერიოდს განეკუთვნება.

გ. ა.

390. ბ. ვარდი

მარად ჭაბუკური პოეზიის სუნთქვა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 5.

ავტორი აღნიშნავს, რომ „მსოფლიო პოეზიაში შოთა რუსთაველი მე მუდამ მესახებოდა ერთ-ერთ განსაცვიფრებელ გენიოსად“. შემდეგ საუბრობს პოეტის იერუსალიმთან დამოკიდებულებაზე და შესაძლებლად მიაჩნია, რომ იგი „XII საუკუნის დამლევეს იერუსალიმში ჩავიდა გარკვეული მიზნებით, ე. ი. ჯვრის მონასტრის რესტავრაციისათვის“. „მე უფრო ვფიქრობ, – აგრძელებს ავტორი, – რომ პორტრეტი ჯვარის მონასტრის რესტავრაციის პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ შესაძლოა, რომ მაშინ პორტრეტი ხელახლა იქნა რესტავრირებული“.

ბ. დ.

391. ი. ვარლამიშვილი

ეს დღეები ქუთაისში

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 28 სექტემბერი, № 39, გვ. 4.

საზეიმო ვითარებაა ვ. მაიაკოვსკის სახელობის I საშუალო სკოლაში. თაღოვან სტენდს ამკობს რუსთაველის მოვარაყებული პორტრეტი, გამოფენილია ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ფოტომასალა. ცალკე კუთხე ეთმობა პოემის ილუსტრაციებს, რომელთა ავტორები არიან ამავე სკოლის კურსდამთავრებულნი. მზადდება ინსცენირება „ქაჯეთის აღება“, წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „დიდება რუსთაველის გენიას“. ნორჩმა მოქანდაკემ შექმნა რუსთაველის ბიუსტი, მოსწავლეებმა შეასრულეს პოემის რჩეულ ადგილთა თარგმანები სხვადასხვა ენებზე.

თ. ბ.

392. დავით ვაშაძე

ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 184-189.

წერილი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკისა და პოეტიკის ზოგად მიმოხილვას. ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსანი უპირველესად ხელოვნების დიდი ნაწარმოებია, მხატვრული ლიტერატურის შედეგია, ადამიანის ღირსების მქადაგებელი, ... ქართველ ერს დაუფასებელი სამსახური რომ გაუწია...“ „შუა საუკუნეების ეპოქისათვის სრულიად უცნობია სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპი; ის მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ მოძღვრების დამახასიათებელია, წმინდა ქართული ჰუმანიზმის ასპექტში წარმოდგენილი“.

ავტორის თქმით, რუსთაველის პოემა არ არის მოჩვენებითი შეუღლება გადაუწყვეტელი ფილოსოფიური საკითხებისა, როგორც ეს ნიჟამს ახასიათებს და არც ღმერთისაკენ მისტიური გზის მაჩვენებელი, როგორც დანტეა. რუსთაველი ორივე ფეხით მაგრად დგას მიწაზე; ამქვეყნად სიკეთისა და ბედნიერების დასამყარებლად იბრძვიან მისი გმირები.

ავტორი განიხილავს რუსთაველის აფორიზმებს და სინანულით წერს, რომ ვინმე ვ. ჯავრიშვილს მოუნდომებია მათი გადამუშავება და გამოუქვეყნებია კიდევ

„ახალი შესატყვისები“. როგორც დ. ვაშაძე ამბობს, „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ღრმა აზრი და მნიშვნელობა შეთვისებული აქვს ქართველ მკითხველს და მას არავის მიერ შეთითხნილი „შესატყვისები“ არ ესაჭიროება. გ. ა.

393. ვეფხისტყაოსნის დასურათება [I]

*შედგენილია და მხატვრულად გაფორმებულია გ. გორდელაძის მიერ.
შესავალი წერილი და რედაქცია შ ამირანაშვილისა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966.*

ალბომში წარმოდგენილია ფერადი ფოტოპირები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ჩართული მინიატურებისა, რომლებიც შესრულებულია XVI-XVIII საუკუნეებში. შესავალ წერილში (გვ. 5-30) აკად. შალვა ამირანაშვილი განიხილავს S 5006, H 599 და P10 ნუსხებში მოთავსებულ მინიატურებს, აგრეთვე – ხელნაწერთა არშიების მხატვრულ შემკულობას. გ. ა.

394. ვეფხისტყაოსნის დასურათება [II]

*შედგენილია და მხატვრულად გაფორმებულია გ. გორდელაძის მიერ.
შესავალი წერილი მ. ქვლივიძისა, თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1966.*

ალბომში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ შავ-თეთრი და ფერადი ილუსტრაციები, შესრულებული XIX და XX საუკუნეებში ქართველი და უცხოელი მხატვრების მიერ.

შესავალ წერილში (მიხ. ქვლივიძე, გვ. 5-12) წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების ისტორია და თითოეული მხატვრის ნამუშევრების სტილური თავისებურება. გ. ა.

395. ანტანას ვენცლოვა

„ვეფხისტყაოსანი“
ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 32-33.

ავტორი აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მნიშვნელობისა და რეზონანსის შედეგია. ლიტველი ხალხი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს აღნიშნავს, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის კულტურის დღესასწაულს. ლიტველმა პოეტებმა პოემის ნაწყვეტები თარგმნეს 1940 წელს, როდესაც ლიტვა სსრკ-ს შემადგენლობაში შევიდა. ავტორი იმედოვნებს, რომ ლიტველი ხალხი მალე მიიღებს „ვეფხისტყაოსნის“ სრულ თარგმანს. ლ. კ.

396. ზ. ვილნაი

Сквозь глубину веков
გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 3 მარტი, № 52, გვ. 3.

გაზეთი აქვეყნებს ფრაგმენტებს ებრაელი მეცნიერის, დოქტორ ზეებ ვილნაის წერილიდან, რომელიც დაიბეჭდა ისრაელის ჟურნალში „Природа и земля“. წერილში გადმოცემულია ჯვრის მონასტრის ისტორია, აღწერილია მისი კედლის მხატვრობა.

ავტორი მოგვითხრობს აგრეთვე 1960 წელს სსრკ-ს აკადემიის ექსპედიციის შესახებ იერუსალიმში ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის მონაწილეობით. აღნიშნავს, რომ ამ ექსპედიციის მიზანი იყო აღმოეჩინა შოთა რუსთაველის გაუჩინარებული ფრესკა ჯვრის მონასტერში და, საერთოდ, გამოეკვლია ძველი ქართული კულტურის ეს შესანიშნავი ძეგლი.

ლ. კ.

397. ელენე ვირსალაძე

შოთა რუსთაველი და ქართული ხალხური სამიჯნურო პოეზია

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 185-220.

ავტორის მიზანია გაარკვიოს დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანსა“ და ხალხურ ლირიკას შორის. საკითხი მას აინტერესებს რამდენიმე ასპექტით: რა მიმართებაშია ხალხურ პოეზიასთან რუსთაველისეული შეხედულებები ქალსა და ვაჟზე, მიჯნურობაზე. გააჩნია თუ არა მათ რაიმე საერთო ფორმაში, მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებში. მკვლევარი განიხილავს სატრფიალო ლირიკის ნიმუშებს. აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შესრულების მედიკური ხასიათით ენათესავება ხალხურ შემოქმედებას, მის საფუძველს ხალხური პროსოდია წარმოადგენს. გამოყოფს ჟანრებს, რომლებიც პოპულარულია ხალხურ შემოქმედებაში და მრავალჯერ გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ეს არის ელეგია (პოემაში – გმირთა მონოლოგები) და ქება, რომელიც პოემაში რამდენიმე ფუნქცია აქვს:

1. ოფიციალური ოდა,
2. საგაჟაკო სადიდებელი სიმღერა,

3. გმირის გარეგნობის ქება-დიდება. დასასრულ, ავტორი საუბრობს უშუალოდ სიყვარულის მოტივზე ქართულ სატრფიალო ლირიკაში და „ვეფხისტყაოსანში“. განხილული მასალის საფუძველზე ასკვნის, რომ ქართული ხალხური პოეზიის უძველესი ტრადიცია, მხატვრული სახეების უღვივი მარაგი, ენის დახვეწილობა და ფორმების მრავალფეროვნება წარმოადგენს რუსთაველის შემოქმედების საზრდოს.

ლ. კ.

398. ე. ვირსალაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ხალხური ზღაპარი

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ. XXVI სამეცნ. სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 8.

„ვეფხისტყაოსანის“ ხალხური საწყისები მკვლევართა უმეტესობას ესმოდა როგორც პოემის ხალხურ ვარიანტებთან მიმართების საკითხი. დღევანდელ ეტაპზე ხალხურობის პრობლემა, მისი ეროვნული საფუძვლების მიებად იქცა. არაერთ რუსთაველოლოგს მიუმართავს ქართული ხალხური ზღაპრებისათვის პოემის არქიტექტონიკის, ზოგიერთი სახისა და სტილისტიკურ-კომპოზიციური ხერხების ანალიზის დროს.

„ვეფხისტყაოსანის“ ცალკეული ტერმინების, მხატვრული სახეების, პოეტური ტროპებისა და სიტუაციების ანალიზი, ავტორის აზრით, გვიჩვენებს ერთის მხრივ, მათ ორგანულ კავშირს უძველეს, ეროვნულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციასთან, შოთა რუსთაველის დიდ სიახლოვეს ქართული ხალხური ზღაპრის სამყაროსთან, მეორე

მხრივ, ნათლად მოწმობს უღრმეს და პრინციპულ განსხვავებას ხალხურ პოეზიასა და შოთა რუსთაველის შემოქმედებით მეთოდებს შორის.

399. ე. ვირსალაძე

ქალთა ტიპები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ.: „ლენინის დროში“ (ორჯონიკის რ.), 1966, 17 სექტ., № 110;
„შრომის დროშა“ (გეგეჭკორის რ.), 1966, 8 სექტ., №105, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველმა ღირსეულად უმღერა ქალებს, რომელნიც ვაჟკაცების მხარდამხარ ებრძვიან უბედურებას და უსამართლობას, გამირულად იტანენ ყოველგვარ გასაჭირს და წარმოადგენენ ადამიანური სისპეტაკის განსახიერებას. მკითხველს ხიბლავენ: გონიერი და კეთილშობილი თინათინი, უკიდურესად გრძნობიერი, პირდაპირი და გულმართალი ნესტანი, უმწიკვლობისა და უანგარო მეგობრობის განსახიერება ასმათი, კეთილი და სათნო ფატმანი.

პოეტი ქმნის მრისხანე, ამაყი და დაუნდობელი დავარის და ქაჯეთის ჭკვიანი და მკაცრი დედოფლის – დულარდუხტის დაუვიწყარ სახეებს.

პოემის პერსონაჟი ქალების ესოდენ განსხვავებული ხასიათების მიუხედავად, ყველას აქვს ერთი საერთო თვისება – ეს ქალები ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური წევრები არიან. არც ერთს არაფერი აქვს საერთო აღმოსავლეთის ჰარამხანისათვის გაზრდილ ქალებთან, რომელთა ხვედრი ჩადრი და მამაკაცის სრული მორჩილება იყო. **გ. ა.**

400. Е. Вирсаладзе

Женский вопрос в «Витязе в тигровой шкуре»

ჟურ.: „Агитатор Грузии“, 1966, № 14, გვ. 11-13; (იგივე ქართულად – „საქ. აგიტ.“, 1966, № 14).

წარმოჩენილია პოემის პერსონაჟი ქალები. ავტორი ახასიათებს თითოეულ მათგანს. მიიჩნევს, რომ რუსთაველმა ღირსეულად და სავსებით დამსახურებულად შეამკო ისინი. **თ. ხ.**

401. კ. ვორონკოვი

(სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი)

რუსთაველის რვაასი წელი

გაზ.: „ლიტ. საქართველო“, 1966, 9 სექტ., №37, გვ. 1; „Лит. газета“, 1966, 15 სექტ., № 109, გვ. 1.

ავტორი უდიდეს შეფასებას აძლევს რუსთაველსა და მის ქმნილებას: „ვეფხისტყაოსანი,“ – წერს იგი, – „მიეკუთვნება მსოფლიო პოეზიის უიშვიათეს საგანძურს. ამ პოემის უკვდავება მარტო მისმა მდიდარმა იდეურმა შინაარსმა როდი განაპირობა, იგი წარმოადგენს პოეტური შემოქმედების ჭეშმარიტ შედეგს, რომლის ბადალი დღემდე არ იცის სიტყვაკაზმულმა მწერლობამ“. ავტორი შემდეგ ჩამოთვლის იმ ვრცელ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად არის დაგეგმილი. აღნიშნავს, რომ „საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტები შეიქმნა სომხეთში, აზერბაიჯანში,

უკრაინაში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში. სხვა რესპუბლიკებში იუბილის ჩატარების ორგანიზაცია ამ რესპუბლიკების მწერლების კავშირის გამგეობებმა ითავეს“. ღონისძიებათა ჩამონათვალი ვრცელი და მრავალფეროვანია. **ბ. დ**

402. კ. ვორონკოვი

Гению грузинской поэзии

„Литературная газета“, 1966, 15 სექტ., № 109, გვ. 1.

სსრკ-ს მწერალთა კავშირის მდივანი კ. ვორონკოვი საუბრობს რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ. ამ ღონისძიებათა ნუსხაში შედის: „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები, აგრეთვე მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ნარკვევების გამოცემები, კონკურსი რუსთაველის ძეგლის საუკეთესო პროექტის შესარჩევად. საიუბილეოდ აქტიურად ემზადებიან მხატვრები, კომპოზიტორები, კინემატოგრაფები. 26 სექტემბერს თბილისში გაიმართება მწერალთა პლენუმი. მომმე რესპუბლიკებში შედგება საიუბილეო კომიტეტები. მოსკოვში, მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, ჩატარდება სამეცნიერო სესია. 25 ოქტომბერს დიდი თეატრის დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა, რასაც მოჰყვება ქართული პოეზიის დეკადა მოსკოვში. დასასრულ, სსრკ-ს დედაქალაქში დაიდგმება რუსთაველის ძეგლი. **ლ. კ.**

403. მ. ზაალიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 ივლისი, № 161, გვ. 2.

გვაცნობს ქისტაურელ 80 წელს გადაცილებულ ფირუზ მესაბლიშვილს, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“. იქვეა მისი ფოტოსურათიც. **ბ. დ.**

404. ნიკოლოზ ზაბოლოცკი

[რუსთაველი]

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტემბერი, № 124, გვ. 3.

ავტორი წერს: „რუსთაველი ადიდებს მიჯნურობას, პოემის შესავალში იგი თავის თავსაც მიჯნურს უწოდებს. ამ მაღალი სიყვარულის იდეალი რუსთაველს სულ სხვაგვარად წარმოუდგენია. მისი იდეალური მიჯნური არ გაურბის რეალურ ცხოვრებას. პირიქით, ჭეშმარიტი სიყვარული, რუსთაველის გაგებით, აღამაღლებს ადამიანს, სულიერ სიმტკიცეს მატებს, ამდიდრებს მაღალი მორალური თვისებებით, ძალას მატებს ცხოვრებისეულ სიძნელეებთან ბრძოლაში“. **ი. წ.**

405. В. Загорский

Руствелиана в керамике

გაზ. „Заря Востока“, 1966, 12 აგვისტო, № 183, გვ. 4.

წერილში საუბარია კერამიკულ ნაწარმზე, რომლებშიც ამეტყველდა რუსთაველის პოეტური სამყარო. აღსანიშნავია: „შველი“, „ვეფხვი“, „შრომანა“, ე. ამაშუკელის

სკულპტურული კომპოზიცია „ვეფხვი“ კერამიკულ ფიალაზე ოსტატურად აღბეჭდა ი. მელაშვილმა. კერამიკული ხელოვნება მძიმე შრომასა და დიდ სიყვარულს მოითხოვს. ამ საქმეს წარმატებით ართმევენ თავს კომბინატის თანამშრომლები. **თ. ხ.**

406. ეჟი ზაგურსკი

როცა ყურს ვუგდებ რუსთაველს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 სექტ., №211, გვ.3; აგრ. ჟურნ. „Лит. Грузия“ 1966, №4, გვ. 95-96.

წერილში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე მთარგმნელის ეჟი ზაგურსკის მოსაზრებები ზოგადად მხატვრული თარგმანის თაობაზე. ავტორი საუბრობს იმ სიძნელეებზე, რომლებიც წარმოიშვა პოლონური ექვივალენტის მიგნებისას ისეთი მაღალ-პოეტური ნაწარმოებისათვის, როგორც „ვეფხისტყაოსანი“. **გ. ა.**

407. Е. Загурски

Поэтическая вершина Кавказа

გაზ. „Правда“, 1966, 25 სექტემბერი, № 268, გვ. 3.

ავტორი რუსთაველის იუბილეს თავის მოკრძალებულ საჩუქარს უძღვნის – „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანს პოლონურ ენაზე, რომელსაც შვიდი წლის შრომა შეაღია. **თ. ხ.**

408. მიხ. ზავერინი

მარადიული თანამგზავრი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 14 ოქტ., №42, გვ. 2.

ავტორს სურს ახსნას ტრაგიზმის საფუძველი „ვეფხისტყაოსანში“, რატომ მოუხდათ პოემის გმირებს ესოდენ ძნელი გზის გავლა ბედნიერების მისაღწევად. ავტორის თქმით, ისინი ისწრაფვიან სილამაზისა და თავისუფლების იდეალისაკენ. „სილამაზისა და პიროვნების თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ სიკეთისა და ზნეობრივი კანონების დაუფლებაზე გადადის. სწორედ სილამაზისა და სიკეთის „დამოკიდებულება“ არის „სამყაროს ვითარება“, რომელსაც ხსნის მხატვარი“.

თავისი ადამიანური უფლებისათვის ბრძოლას უეცრად ტრაგიკულ-შემთხვევითი შედეგი მოჰყვება – უდანაშაულო სასიძოს მოკვლა, ამის გამო – ფათერაკები, ტანჯვა და განშორება. რუსთაველი უარყოფს ინდივიდუალიზმს და მხატვრულად განახორციელებს პრინციპს: „სიკეთის მეშვეობით – პიროვნების თავისუფლებისაკენ“.

გ. ა.

409. ნ. ზამბახიძე

ადამიანის ფსიქიკის ზოგიერთი საკითხი

გაზ. „გამარჯვება“, გორი, 1966, 4 ოქტომბერი

ნ. ზამბახიძე ფიქრობს, რომ რუსთაველი პოეტური ჩანაფიქრის მხატვრულად გადმოცემის დროს ემყარება ანტიკურ და ქრისტიანულ სამყაროში არსებულ ცოდნას ადამიანის ფსიქიკის შესახებ. სიტყვა „ფსიქიკა“ „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება, მაგ-

რამ მის ექვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ „სული“, რომელსაც რუსთაველი სხვადახვა მნიშვნელობით ხშირად იყენებს. ადამიანის ფსიქიკის თავისებურებათა გასაგებად არსებითი მნიშვნელობა აქვს „ხასიათის“ ცნებას. რუსთაველი სხვადასხვა ფსიქიკურ ფუნქციათა მოქმედებას ერთ მთლიანობაში განიხილავს, მაგრამ გადამწყვეტ უპირატესობას გრძნობასა და გონებას აძლევს. პოეტი ადამიანში ამეტყველებს ქცევის ისეთი ძლიერ მოტივებს, რომლებიც წვდებიან ადამიანის სულის სიღრმეს, ადამიანის ფსიქიკის დაფარულ საიდუმლოებას. **თ. ნ.**

410. Наირи Зарьян

[Шота Руставели]

გაზ. „Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 2.

ავტორი წერს: მკვლევართა და მკითხველთა გულწრფელ აღტაცებას იწვევს რუსთაველის თხზულების როგორც მაღალმხატვრულობა, ენისა და რითმის სიმდიდრე, მეტაფორები და ალიტერაციები, ასევე მისი მაღალი იდეები. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სომხური თარგმანი (ს. ბასტამოვისა) 1860 წელს დაიბეჭდა თბილისში. პოემის სრული ტექსტი კი (გვეროქ ასატურის თარგმანი) სომხურ ენაზე 1937 წელს დაიბეჭდა. „ვეფხისტყაოსანი“ ამჟამადაც ემსახურება მოძმე ერების კულტურების ურთიერთგამდიდრებას. **გ. ა.**

411. „Заря Востока“ - ს კორესპონდენტი

В честь великого Шота

(Вечер грузинской поэзии в Москве)

გაზ. „Заря Востока“, 1966, 14 Октября, № 237, გვ. 1.

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ რუსეთში იწყება „ქართული პოეზიის დღეები“. საქართველოდან ჩამოსულ ქართველ პოეტთა დიდი დელეგაცია ჩაატარებს გამოსვლებს კულტურის სახლებში, კლუბებში, შემოქმედების სახლებში.

რიაზანში ჩასულ ქართულ დელეგაციას სერგეი ესენინის და საჩუქრად უძღვნის რუსთაველის პოემას დიდი რუსი პოეტის ავტოგრაფით.

13 ოქტომბერს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობაზე გახსნა ირაკლი ანდრონიკოვმა.

საღამოზე „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები ქართულ ენაზე წაუკითხავს არტისტს ვალერიან კვაჭაძეს. რუსულ ენაზე პოემის ცალკეული ადგილები წაუკითხავს არტისტს ივანე რუსინოვს.

ქართველი პოეტების - გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, კ. კალაძის, ა. გრიშაშვილის, ა. კალანდაძის, ხ. ბერულავას, ი. ნონეშვილის, ო. ჭელიძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, შ. ნიშნიანიძის, ნ. გურეშიძის, ჯ. ჩარკვიანის, ფ. ხალვაძის, თ. და ო. ჭილაძის ლექსები წაუკითხავთ ბ. ახმადულინას, ს. ევტუშენკოს, კ. სიმონოვს, ბ. ოკუჯავას, ს. კუნიაევის, ე. ნიკოლსკაიას, დ. სამოილოვას ვ. სოკოლოვის თარგმანებში. საღამო დამთავრდა ქართველ ხელოვანთა კონცერტით.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კვცვის მდივანი დ. გ. სტურუა. **გ. ი.**

412. П. Закаря

Руставели и его эпоха

გაზ. „Заря Востока“, 1966, 8 სექტემბერი, № 206, გვ. 3.

ავტორი საუბრობს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა სამზადისზე. დაგეგმილია საიუბილეო ექსპოზიციის მოწყობა. სასურველია წარმოჩნდეს საქართველოს მატერიალური კულტურა რუსთაველის ეპოქაში. ცდილობენ, გამოფენა იმდენად ყოვლისმომცველი და მრავლისმთქმელი იყოს, რომ დამთვალიერებელს სრული წარმოდგენა შეექმნას XII საუკუნის საქართველოზე. ცენტრალური დარბაზები დაეთმობა უნიკალურ ექსპონატებსა და მდიდარ ფოტომასალას, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და გამოცემებს.

ავტორი იმედოვნებს, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ბევრ ქართველ და უცხოელ დამთვალიერებელს უმასპინძლებს. **თ. ხ.**

412ა. ს. ზაქარიაძე

სიტყვის ძალა

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტ. № 230, გვ. 2.

სსრკ სახალხო არტისტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა სერგო ზაქარიაძემ გადაწყვიტა სცენიდან წაეკითხა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მონტაჟში რუსთაველის თეატრის მთელი დასი მონაწილეობს. **თ. ხ.**

413. Д. Захаров, В. Куликов

Открытие памятника

Шота Руставели

გაზ. „Правда“, 1966, 26 октября, № 299, გვ. 1.

საინფორმაციო ცნობა იმის შესახებ, რომ 1966 წლის 25 ოქტომბერს დღის ორ საათზე მოსკოვში „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი. ხალხმრავალი მიტინგის წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ საკავშირო მთავრობის, საკავშირო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები და საქართველოს დელეგატები, ლენტი გაჭრა. ი. ბრეჟნევმა. სიტყვები წარმოთქვეს მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ნ. გ. ეგოროვმა, საკავშირო მწერალთა კავშირის თავჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. ბ. აბაშიძემ.

ძეგლის ავტორია მ. ი. ბერძენიშვილი, არქიტექტორი ი. ი. ლოვეიკო. ბრინჯაოს ძეგლი დგას ოთხკუთხა კვარცხლბეკზე, რომლის წინამხარეს აწერია: „Шота Руставели – Великому грузинскому поэту и мыслителю.“ გვერდებს ამშვენებს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები: „Зло сразив, добро пребудет в этом мире беспредельно“, „Кто себе не ищет друга, самому себе он враг“. მიტინგის გახსნისას გამოკიდული იყო საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ალმები და შესრულებული იყო სახელმწიფო ჰიმნები.

გ. ი.

14. დ. ზახაროვი

ყვავილები დიდ გენიას

გაზ. „თბილისი“, 1966, 26 ნოემბერი, № 277, გვ. 1.

ცოტა ხნის წინ მოსკოვში, ბალშია გრუზინსკაიაზე გაიხსნა რუსთაველის ძეგლი, რომლის კვარცხლბეკი მუდამ სავსეა ყვავილებით. წერილში დ. ზახაროვი მოგვითხრობს ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობაზე, მეფე არჩილის მოღვაწეობაზე მოსკოვში, აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონზე, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა რუს მეცნიერთა შორის. საუბარია ვახტანგ VI-სა და დავით გურამიშვილზე. დ. ზახაროვი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა. **ი. წ.**

415. **Д. Захаров**

Посвящается поэту

გაზ. „Веч. Тбилиси“, 1966, 20 სექტ. № 221, გვ. 3.

სტატია გვაუწყებს, რომ ამ დღეებში სომხეთის მეცნიერებათა აკადემიაში შედგა საიუბილეო სხდომა, რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერევანში გაემგზავრა ქართული დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სხდომის მუშაობაში. **თ. ხ.**

416. ვახიდ ზახიდოვი

[რუსთაველი]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტემბერი, № 223, გვ. 2.

„დღეს რუსთაველის მაღალი შაირი მგზნებარედ გაისმის ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალ ენაზე. იგი მთელი პროგრესული კაცობრიობის კუთვნილებას წარმოადგენს. რუსთაველი ყოველი თაობის თანამედროვეა. ეს დაუვიწყარი დღეები გადაიქცა... ხალხთა ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად“. **ი. წ.**

417. გურამ ზედგენიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე თარგმნის ისტორიიდან

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 457-463.

ავტორი იხილავს არტურ ლაისტის მიერ 1885 წელს ვარშავაში პოლონურ ენაზე გამოცემულ წიგნს „Szkice z Grusyi“ და აღნიშნავს, რომ მის მეშვეობით ქართული ლიტერატურისა და მისი წარმომადგენლების შესახებ პოლონულ საზოგადოებას აცნობს რუსთაველის შემოქმედებას, გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს და მოჰყავს ცალკეული ნაწყვეტების საკუთარი პოეტური თარგმანი პოლონურ ენაზე. მანამდე ცნობილი იყო კაზიმეჟ ლაჰინსკის მიერ გიორგი ერისთავთან ერთად 1850-54 წლებში შესრულებული თარგმანი, დაბეჭდილი 1863 წელს „Biblioteka Warszawska“-ში.

1937 წელს ვარშავაში გამოცემულ კრებულში „Szota Rustaweli“ დაბეჭდილია ცნობილი პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის მიერ ნათარგმნი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნის“ შესავალიდან. იმავე კრებულშია დოქტორ იეჟი ნაკაშიძის სტატია „შოთა რუსთაველი“, რომელშიც საილუსტრაციოდ ჩართული ყოფილა სოფიო ვოლნიკუჟნას თარგმნილი 11 სტროფი ნესტანის წერილიდან. სტატიაში აღნიშნულია, რომ პოლონელ კაზიმეჟ ვინიევიჩს უთარგმნია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. **გ. ი.**

418. გ. ზედგინიძე

შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის შესახებ

გაზ. „ბორჯომი“, 1966, 24 სექტემბერი.

რიგი ისტორიული ცნობების საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „მესხი“ XII-XIII სს. საგვარეულოს აღმნიშვნელი ზედწოდება ყოფილა. სამცხის მთავრების გვარი ორგვარ ზედწოდებას ატარებდა – მესხნი და ჯაყელ-ციხისჯვარელნი. რუსთაველის მესხობაზე საუბრისას, ავტორის აზრით, პოეტს სურს მიუთითოს, რომ იგი მესხია, პატრონია რუსთავისა და მისდამი დაქვემდებარებული მამულისა.

ავტორის აზრით, ტოპონიმიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ჩახრუხადის ძენი დაკავშირებული იყვნენ რუსთავთან. ავტორს სარწმუნოდ მიაჩნია, რომ პოეტი გვარად ჩახრუხაძე იყოს. **გ. ზედგინიძე** დასძენს, რომ სახელ ჩახრუხასაგან წარმოებული ეს გვარი შეიძლება პოეტის მამისაგან, ან მისი რომელიმე უახლოესი წინაპრისაგან მოდიოდეს. **ი. კ.**

419. ელიზბარ ზედგინიძე

მესხეთში

გაზ. „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1966, 25 ივნ., № 75, გვ. 2; 28 ივნ., № 76, გვ. 2, 3; 5 ივლ., № 79, გვ. 2, 4; აგრ. გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 15 ივლ., № 29, გვ. 1-2.

წერილში საუბარია ხალხურ გადმოცემებსა და თქმულებებზე შოთა რუსთაველის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩაუწერია ინჟინერ-არქიტექტორს სერგო ბერიძეს. მასვე დაუხატავს შოთას პორტრეტის ორმოცზე მეტი ვარიანტი და შეუფარვებია რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები: შოთას ბილიკი, შოთას ყორღანი, შოთას ფაგები, შოთას წყარო, შოთას კაპნები, შოთას კოშკი და სხვ. ავტორი ასახელებს სოფ. ჭობარეთის მკვიდრს მიხა ჯვარიძეს და სოფ. ტოლოშაში მცხოვრებ ექვთიმე დავლაშერიძეს, რომელთაც ზეპირად სცოდნიათ „ვეფხისტყაოსნის“ დიდი ნაწილი. წერილში მოცემულია ცნობები ორმოცის ციხის შესახებ, რომელიც შოთას ცხოვრების ჭაბუკობის პერიოდს უკავშირდება. **გ. ა.**

420. ე. ზედგინიძე

მესხეთ-ჯავახეთში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 15 ივლისი, № 29, გვ. 1-2.

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ე. ზედგინიძეს ერთხელ კიდევ შემოუვლია მესხეთ-ჯავახეთი, რათა ამ კუთხეში მოესმინა გადმოცემები და თქმულებები

შოთა რუსთაველზე. იგი არაერთ ადამიანს შეხვდა, რომლისთვისაც რუსთაველზე საუბარი და „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა ნამდვილი ბედნიერებაა. ისინი აგროვებენ ფოლკლორულ მასალებს რუსთაველის შესახებ, ზეპირად იციან პოემა. ამ ადამიანთაგან ე. ზედგინიძე ასახელებს სერგო ბერიძეს (ჩაწერილი აქვს ხალხური გადმოცემები, ლექსები, შეუდგენია პოეტის ხალხური ბიოგრაფია, დახატული აქვს შოთას 40-ზე მეტი პორტრეტი), ბასილ ზედგინიძეს, მიხა ჯვარიძეს, ექვთიმე დავლაშერიძეს, ნიკოლოზ ნათენაძეს. ამ უკანასკნელს შეუსწავლია ვარძიის ყველა ოთახი და ქვაბული. მისი ცნობით, რუსთაველის საიუბილეოდ გაიხსნება ახალი ტურისტული მარშრუტი, ვარძიის გარდა ტურისტები ნახავენ ვანის ქვაბებს და თმოგვის ნაქალაქარს.

ლ. კ.

421. კორნელი ზელინსკი

უკვდავება

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219.

ავტორი ჯერ საუბრობს იმაზე, თუ რა ვიცი რუსთაველის შესახებ და რამ გამოიწვია ცნობათა სიმწირე. შემდეგ აღნიშნავს იმ წარმატებებს, რასაც საქართველომ XII საუკუნეში მეცნიერების, არქიტექტურის, ლიტერატურის სფეროში მიაღწია.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსანს“ შუასაუკუნეთა მწერლობასთან მიმართებაში და ახასიათებს მას როგორც რენესანსულ ქმნილებას. ის „იმ თვალსაზრისს ადგას, რომ რუსთაველის პოემა უფრო რომანტიკული ნაწარმოებია, ვიდრე რელისტური (როგორც ამას ამტკიცებს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი...)“.

მკვლევარი ახასიათებს პოემის პერსონაჟებს, მათ იდეალებს და ასკვნის: „ჩვენ გვესმის მათი ფსიქოლოგია, ... დასასრულ, მათი ცხოვრების ფილოსოფია. ეს ცხოვრების ფილოსოფია დაახლოებით ასეთია: ქვეყნად არის ბოროტება და საჭიროა ვიბრძოდეთ მის წინააღმდეგ... სიყვარული არა მარტო ხორცია, არამედ სულიც. გრძნობის სინამდვილე მოქმედებაშია. მეგობრობა არა მარტო სიმპათიაა, არამედ მოქმედებაც“.

მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება რელიგიისადმი რუსთაველის დამოკიდებულებაზე და აღნიშნავს: „რუსთაველის მიერ შექმნილი სამყარო ის სამყაროა, სადაც ყოველივე ადამიანური მეფობს. თუმცა პოემაში გვხვდება ღმერთის, სამყაროს ღვთისმცემის შექმნის მოხსენიება და ა. შ., მაგრამ რუსთაველის ღმერთი ტრადიციული ღმერთი როდია. რუსთაველის ღმერთი თვით სამყაროა, მარადიული კოსმოსია. ეს პანთეისტური მსოფლმხედველობის გვარეობაა...“

ბ. დ.

422. ბ. ზონენაშვილი

ერთი სტრიქონის განმარტებისთვის

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 26 ივნისი, № 122, გვ. 3.

ავტორი განიხილავს პოემის ტაეპს „ვარმცა ურია მე ლევი“, რადგანაც ამ საკითხზე რუსთაველოლოგთა შეხედულებებში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება.

როდესაც როსტევეანმა ვაზირისგან ავთანდილის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, „გაგულისდა“ და „გაავცნობდა“. სწრედ მაშინ წარმოთქვა ეს სახელი: „შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი“.

ავტორი ცდილობს დაადგინოს ტაეპში მოხსენიებული ლევის ვინაობა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ შესაბამის კონტექსტში მოხსენიებული ლევის ამბავი ბიბლიის პირველ წიგნშია (შესაქმე) აღწერილი. **თ.ბ.**

423. ავლიპი ზურაბაშვილი

შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია

თბ., 1966, 69 გვ.

შრომა შედგება სამი თავისგან. პირველ თავში განხილულია პერსონოლოგიის ზოგადი პრობლემები.

მეორე თავში განხილულია კონკრეტული საკითხები, მაგ.: ცრემლის პრობლემა პოემაში; ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანისა და თინათინის პიროვნული თავისებურებანი. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ტარიელი ძლიერი პიროვნებაა, სპეტაკი სურვილებით. მისთვის აფექტური რეაქცია მხოლოდ ეპიზოდია რთულ სულიერ განცდათა რიგში. ტარიელის სულიერი მდგომარეობა არ შეიძლება შეფასდეს როგორც რეაქტიული დეპრესია. მისი სიტყვები „ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები (656)“ - მხოლოდ გმირის გუნება-განწყობის მაჩვენებელია რთულ პირობებში. სინამდვილეში ტარიელის სიტყვებიდან ყოველთვის ჩანს თავისი მდგომარეობის აქტიური შეფასება, რომელიც შორს არის სასოწარკვეთილებისა და დეპრესიამდე მისული განცდისაგან.

მესამე თავში მოცემულია შენიშვნები პოემის სხვადასხვა საკითხზე, როგორცაა: მიჯნურის პიროვნული ფსიქოლოგია, მმადნაფიცობის პიროვნული სიქოლოგია, დედაკა-ცისა და მამაკაცის პიროვნული ფსიქოლოგიის ერთანობა და სხვ. **გ. ა.**

424. А. Зурабишвили

Тбилисский оперный – к юбилею

გაზ. „Заря Востока“, 1966, 19 აგვისტო, № 189, გვ. 4.

საუბარია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საიუბილეო სამზადისზე. დასი ამზადებს ორ სპექტაკლს: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“. ორივე სპექტაკლი იუბილეს დღეებში იქნება წარმოდგენილი. **თ. ბ.**

425. დ. ზურაბიშვილი

ახალი მუსიკალური ჩანაწერები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ გრამჩამწერების თბილისის სტუდიამ ჩაწერა მონტაჟი „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ და რუსულ ენებზე. მისი ლიტერატურული კომპოზიცია

ეკუთვნის ს. სერებრიაკოვს. ჩანაწერი გაიგზავნა მოსკოვში საკავშირო დათვალიერებაზე.

ჩაწერილია აგრეთვე ირ. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, რომელსაც თვით ავტორი კითხულობს. სტუდია ამჟამად იწერს ო. თაქთაქიშვილის ორატორიას „რუსთაველის ნაკვალევზე“ (ირ. აბაშიძის ტექსტის მიხედვით). **გ. ა.**

426. გ. ზუხბა, ნ. შონია

„ვეფხისტყაოსანი“ და აფხაზეთი

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 8 ივნისი.

წერილში საუბარია იმ უეჭველი ზეგავლენის შესახებ, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ საუკუნეების განმავლობაში მოუხდენია აფხაზ ხალხზე.

მაშინდელი საქართველოს სალიტერატურო და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ენა ქართული იყო. ამიტომაც ადვილი შესაძლებელია, შ. რუსთაველის გენიალურ შემოქმედებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მით უმეტეს აფხაზეთში, ადრე გასცნობოდნენ.

წერილში ვკითხულობთ, რომ აფხაზეთში „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე მეტყველებს პოემიდან აფხაზურ ენაში შემოსული ხატოვანი თქმები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებანი, ზეპირი ხალხური გადმოცემები და სხვ.

გ. ა.

427. Г. Зухба, Т. Болквадзе

Абхазия накануне юбилея

Руставели

გაზ. „Веч. Тбилиси“, 1966, 15 აგვისტო, № 190, გვ. 3.

ავტორები აცხადებენ, რომ რუსთაველი განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულითაა მოცული აფხაზეთში. ამას მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა აფხაზთა შორის, გავრცელებული სახელები: ტანდელ, დარჯა, ტარიალ, რომლებიც საწყისს სწორედ რუსთაველის პოემიდან იღებენ. ზოგადად მიმოხილულია აფხაზი პოეტის - გ. შერვაშიძის ღვაწლი, რომელიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენაში. ასევე ცნობილია, რომ სწორედ გ. შერვაშიძემ შთააგონა მხატვარ მ. ზიჩის ტარიელის სახე.

მიმოხილულია დ. ჩქოტუას, დ. გულიას დამსახურება ქართული კულტურისა და რუსთაველის სახელის პოპულარიზაციის საქმეში. **თ. ბ.**

428. С. Л. Зухба

„Витязь в тигровой шкуре“ на абхазском языке

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ.

საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 19.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ თარგმანთა ნაწყვეტები იბეჭდებოდა XX საუკუნის 30-იანი წლებიდან. სრული თარგმანი ეკუთვნის დ. ი. გულიას, რომელსაც ეხმარებოდნენ ს. ჯანაშია და ქ. ლომთათიძე. რუსთაველის დაბა-

დების 800 წლისთავის იუბილეს დროს გამოიცემა რუსთაველის აფორიზმების ბაგრატი შინკუბასეული თარგმანი. **ბ. დ.**

429. O. Табукашвили

Эпоха, ожившая на экране

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 1 ოქტომბერი, № 115, გვ. 7.

ავტორის ცნობით, საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიამ გადაწყვიტა ევრანზე გაეცოცხლებინა რუსთაველის ეპოქა, გამოყენებულ იქნა მდიდარი საარქივო და დოკუმენტური მასალა.

წერილის ავტორი – კინომცოდნე ო. თაბუკაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ფილმს. **თ. ხ.**

430. ფ. თავაძე, ი. ანდრიაშვილი

შუაფეოდალური ხანის საქართველოს მეტალურგია

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, გვ. 24-27.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართულმა ჭედვის ხელოვნებამ გარკვეული ასახვა ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში“. შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებში (სირია, თურქეთი, სპარსეთი) ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. „ბულატის“ ფოლადის წარმოება საომარი იარაღის დასამზადებლად. უფრო ადრე მისი დამზადება სცოდნიათ ინდოელებს. ბულატი არის მაღალხარისხოვანი საიარაღე ფოლადი, რომელიც ხასიათდება კარგი ჭედადობით, დრეკადობით და დიდი სისალით. მისგან დამზადებული ხმლები რკინას კვეთდა პირის დაუზიანებლად.

არსებობს ცნობები, რომ ბულატის ფოლადისაგან იარაღს საქართველოშიც აკეთებდნენ. ქართულში ამ ფოლადის სახელად **ბასრი** ჩანს. „ვეფხისტყაოსანშიც“ ამ მნიშვნელობით არის ხმარებული ეს სიტყვა: „ჯაჭვ-მუზარადი აღმასი, **ხრმალი ბასრისა**, მჭრელი“ (1368,2). აქ „ხმალი ბასრისა“ უნდა გავიგოთ როგორც ხმალი, რომელიც დამზადებულია ბასრისაგან (ანუ ბულატისაგან). ასეთვე აზრია სხვაგანაც:

„ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა **ხმალი ბასრი**, შუბი ახე“ (439,3). ავტორების აზრით, სიტყვა „აღმასი“ ხმალს ეკუთვნის, მისი ეპითეტია, რაც გადმოსცემს, ისევე ბულატის თვისებას - სიმაგრეს, სისაღეს და მასთან – სილამაზესაც. ცნობილია, რომ ბულატის ხმლის ზედაპირი სახიანი და მოწითალოდ ბზინვარეა. სიტყვა „ბასრი“ ქართულ ენაში საუკეთესო მჭრელი იარაღის სინონიმად იქცა. **გ. ა.**

431. ფ. თავაძე, ი. ანდრიაშვილი

**მასალები ზოგიერთი ტექნიკური ტერმინის შესახებ
„ვეფხისტყაოსანში“**

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №5, 1966, გვ. 19-23.

ავტორები აღნიშნავენ, რომ წერილობით დადასტურებულია მე-13 საუკუნეში საქართველოში ოქროთი ნაქსოვი საექსპორტო დანიშნულების აბრეშუმისა და სხვა

სახის ქსოვილების წარმოება. ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ქსოვის ოსტატები იყვნენ მე-19 საუკუნეშიც.

ავტორებს ოქროსძაფიან ქსოვილებად მიაჩნიათ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული: ტურფა, ოქსინო, ზეზი, სტავრა, ზარქაში, პირ-ოქრორიდე („რიდე, რომლის ზედაპირი ოქროთია მოქარგული“), შადი („ფერადსურათოვანი ოქროქსოვილი“).

სიტყვა „ჩავაკარაბაკე“ ავტორებს მიაჩნიათ **კარაბადან** წარმოებულად, რაც იმერულ დიალექტში კარის ჩარჩოს ან მის ზედა ნაწილს აღნიშნავს. **გ. ა.**

432. კ. თარგამაძე, ი. აბაშიძე

პოეტი და ბუნება

(ფლორა „ვეფხისტყაოსანში“)

გაზ. „თბილისი“, 1966, 29 სექტემბერი, № 229, გვ. 3.

ავტორები აღნიშნავენ, თუ როგორ იყენებს რუსთაველი პერსონაჟების დახასიათებისათვის ბუნების სხვადასხვა მოვლენასა და საგანს. რომ გმირები შედარებულია მზესთან და მთვარესთან, რომ რუსთაველი ახსენებს საროს (კვიპაროსს), ალვას და სხვ. აღწერს ტყიან და სანადირო ადგილებს. **გ. ე.**

433. ო. თაქთაქიშვილი

Краски Руставелианы

გაზ. „Советская культура“, 1966, 22 სექტემბერი, № 113, გვ. 3.

საქართველოს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი გაზეთის კორესპონდენტთან საუბრობს რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ. აღნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება მიიღებს 200 გრამფირფიტას რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსანისადმი“ მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებებით; საფრანგეთის რადიო ამზადებს სპეციალურ გადაცემას ამ თარიღთან დაკავშირებით, მასალები საქართველოში შეკრიბა ცნობილმა მუსიკათმცოდნემ მიშელ გიფმანმა. საქართველოს სახალხო ბიბლიოთეკამ რომის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან საჩუქრად მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა იტალიურ ენაზე.

იუბილეს მიეძღვნება კონცერტები, საოპერო დადგმები, ლიტერატურული საღამოები და დოკუმენტური ფილმი რუსთაველის შესახებ.

დასასრულ, ავტორი დასძენს, რომ რუსთაველიანა გაგრძელდება მოსკოვშიც.

ლ. კ.

434. ო. თაქთაქიშვილი

Дни Грузинской культуры в Москве

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 12 ოქტომბერი, № 240, გვ. 1.

გაზეთის კორესპონდენტთან ო. თაქთაქიშვილი საუბრობს რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ, რომელიც ჩატარდება მოსკოვში. 25 ოქტომბერს დიდ თეატრში შედგება საზეიმო საღამო, 13 ოქტომბრიდან ქართველი პოეტები შეხვდებიან მოსკოვის საზოგადოებას. კრემლის სასახლეში (26-27.X) გაიმართება ქართველ ხელოვანთა დიდი კონცერტები, გაიხსნება რუსთაველის ძეგლი საქართველოს სა-

ხელობის ქუჩის სკვერში. ნოემბრის ბოლოსთვის მზადდება დიდი გამოფენა „Грузинская культура“, დაგეგმილია რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები მოსკოვში. მასშტაბური ხასიათის ღონისძიებები გაგრძელდება სხვა ქალაქებშიც. **ლ. კ.**

435. ი. თედიაშვილი

ხეთაგუროვის ენაზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 2 სექტ., № 200, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის იუბილეს მოახლოებასთან ერთად გაიზარდა ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი“. ადრე პავლე სანაკოევმა გააკეთა პოემის ტექსტის პწკარედი ოსურ ენაზე. მასზე დაყრდნობით პოემა ლექსად თარგმნა პოეტმა მუხტარ შავლოხოვმა (გამოიცა 1945 და 1969 წლებში).

ამჟამად ახალ თარგმანზე მუშაობს პოეტი გიორგი ბესთაუთი. რამდენიმე თავი უკვე დაიბეჭდა ოსურ გაზეთში და ჟურნალ „ფიდიუაგში“.

მხატვარმა ბ. სანაკოევმა შექმნა რუსთაველის პორტრეტი.

გ. ა.

436. Я. Тевзадзе

От людей к людям

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 27 სექტემბერი, № 113, გვ. 1.

ავტორის ცნობით, მინსკის 26 კომისრის სახელობის რაიონში გაიმართა რუსთაველის საიუბილეო საღამო. გამომსვლელები დიდ სიყვარულსა და მოწიწებას გამოხატავდნენ ქართველი ხალხის უდიდესი პოეტის მიმართ, იხსენებდნენ თავიანთ ბავშვობას, პირველ შეხვედრას „ვეფხისტყაოსანთან“, შთაბეჭდილებებს.

დასასრულ, ს. წულაძემ ისაუბრა პოემის ფრანგულ თარგმანზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ო. კარაიანმა წაიკითხა ნაწყვეტი პოემის სომხური თარგმანიდან. სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ქართული სიმღერები. **თ. ბ.**

437. კ. თევზაძე

ფანტასტიკურის რეალურობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „წინსვლა“ (სამტრედია) 1966, 17 სექტ., № 110 გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედება ძირითადად რეალისტურ ხაზებში ვითარდება, სადაც გვხვდება გამოკვეთილი ფანტასტიკური ელემენტებიც. ასეთია, მაგალითად, ნესტანის ყოფნა ქაჯების ტყვეობაში. ეს ამბავი ავტორმა დასაჯერებელი გახადა იმით, რომ ქაჯებს ადამიანის გარეგნობა და თვისებები მიაწერა.

ავტორი ეხება ფატმანის გრძნეული მონების მოქმედებას და წერს: მხატვრული სიმართლე გვაჯერებს ამ დაუჯერებელს, გამონაგონის ისეა წარმოდგენილი, თითქოს გამოგონილი რეალურია. ამ ფანტასტიკურ ელემენტში რეალურია ის, რომ შესაძლებელია მცველებით გარშემორტყმულ ციხეში ფარულად შედწევა. ის კი, რაც შესაძლებელია, ამავე დროს დასაჯერებელია. რუსთაველმა ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებლის რეალურობა გრძნეული მონის გამოყვანით განასახიერა.

გ. ა.

438. გ. თოდაძე

**ხალხური ტალანტები
(ვ. ლიპოვცევი)**

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 13 თებერვალი, № 31, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს ელექტრომექანიკური ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს მგრაგვნელთა ხელმძღვანელს – ვ. ლიპოვცევს, რომელსაც არაერთი საინტერესო ნამუშევარი შეუქმნია. იგი ფონად იღებს შავ ქაღალდს და მასზე პურის თავთავის გამხმარი ღეროებისგან გამოჰყავს სასურველი კომპოზიცია. მას ეკუთვნის რუსთაველის პორტრეტიც, რომლისთვისაც ხელოვანს დასჭირდა ხუთასზე მეტი პურის ღეროს გადანაჭერი დასაწებებლად და შექმნა თავისებური მოზაიკა, რომელიც მაღალმხატვრულ ღირებულებას ნამდვილად არაა მოკლებული.

თ. ხ.

439. ა. თომაძე

დრო არ ითმენს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 2 სექტ., № 200, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის საიუბილეოდ კარგად ემზადებიან დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურის საშუალო სკოლაში. აქ ლიტერატურული წრის წევრებმა წაიკითხეს მოხსენებები „ვეფხისტყაოსნის“ თემებზე. სკოლის ფოიეში მოწყობილია ფოტო და მხატვრული ნამუშევრების სტენდი. მონდომებით ემზადებიან აგრეთვე ჭართალში, მლეთაში, ანანურში, ქვეშეთში, ბარისახოში.

რაიონის ზოგიერთ სოფელსა და სკოლაში ჯერ არაფერი გაკეთებულა დიდი პოეტის იუბილეს აღსანიშნავად. ამაზე იმსჯელეს დუშეთის რაისაბჭოს მორიგ სესიაზე და დასახეს კონკრეტული გეგმა, რათა რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები და სკოლები ღირსეულად შეხვდნენ რუსთაველის იუბილეს.

გ. ა.

440. გ. თომაძე

რუსთაველი და დანტე

გაზ. „ტყიბული“, 1966, 29 სექტ., № 115.

ავტორი შენიშნავს, რომ დანტე თავის პოემაში მტკიცედ ეყრდნობა არისტოტელე-პტოლომეს მცდარ გეოცენტრულ სისტემას, რიცხვთა პითაგორისეულ კაბალისტიკას, ნაკლებ ეეჭვება ჯოჯოხეთის არსებობა, ჭეშმარიტებად მიაჩნია ქრისტიანული სამება. რუსთაველი 500 წლით ადრე კოპერნიკის სისტემის შექმნამდე ჰელიოცენტრისტია. „მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მიმცემს წვასა,“ – ათქმევინებს პოეტი ავთანდილს. რუსთაველი არ იზიარებს პითაგორელებისა და დანტეს მიერ მიღებულ რიცხვებით „მკითხაობას“.

დანტე თავის პოემაში ორჯერ იხსენიებს დიონისე არეოპაგელს, მაგრამ დანტესთვის სიკეთისაკენ მიმავალი გზა საფეხურებრივ სწორხაზობრივია, ან მეტაფიზიკური. რუსთაველთან ლტოლვა უმაღლესი სიკეთისაკენ (ღმერთისაკენ) წრიულ – სპირალური, ანუ დიალექტიკურია.

ი. კ.

441. მ. თომამე, ფ. პაიჭაძე

თაობებს გადაეცემა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 5 ოქტომბერი, № 40, გვ. 3.

სსრკ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტისა და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი, რომელიც მიეძღვნა იუბილეს. კონკურსის მიზანი იყო რუსთაველის უკვდავი პოემისა და იმ ეპოქის ცოდნის სრული წარმოჩენა.

კონკურსის მონაწილეებმა გამოავლინეს დიდი შემოქმედებითი ნიჭი და მდიდარი ფანტაზია, კვლევისა და ანალიზის უნარი. აღსანიშნავი იყო თემატიკის მრავალფეროვნება. ბავშვებმა წარმოადგინეს ლიტერატურული გაზეთები, ხელნაწერი ჟურნალები, ქვაზე ამოკვეთილი ჩუქურთმები, ფრესკული ორნამენტები, ორიგინალური ილუსტრაციები, ბარელიეფები, ჭედურობის ნიმუშები, ნაქარგები, საკუთარი ხელით დამზადებული სუვენირები.

მოწყო კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად კითხვაში. თბილისში გაიმართება III ტური, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს. **თ. ხ.**

442. აკაკი თოფურია

გავიდა, გაიჯირითა

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 16-17.

ავტორი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ ერთ შემთხვევას, რომელიც მას მოუსმენია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე სერგო ცომიასაგან.

ს. ცომიამ 1944 წელს ქ. იასაში ერთი რუმინელი ქალისგან შეიტყო: 1939 წ. მისმა სასიძომ, ძველი არისტოკრატიული გვარის შთამომავალმა, ბრინკოვიანუმ, მოითხოვა, ცოლის მზითევში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ყოფილიყო. წიგნი 1938 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა (გ. გვაზავასა და ანი მარსელ პაონის პროზაული თარგმანი). ქალბატონი პარიზში ჩავიდა ამ წიგნის შესაძენად და სიძეს უძღვნა.

ა. თოფურია სვამს კითხვას: საიდან უნდა სცოდნოდა რუმინელ არისტოკრატს რუსთაველის წიგნის მზითევში გატანების ტრადიცია? იგი გამოთქვამს შემდეგ ვარაუდს: XVIII ს-ის დასაწყისში რუმინეთის მთავარგამგებელი იყო კონსტანტინე ბრინკოვიანუ ბასარაბა. ამავე დროს რუმინეთში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი, რომელიც 1709 წლიდან ვლახეთის მიტროპოლიტი გახდა. კონსტანტინე და მისი მემკვიდრე სტეფანე დიდად აფასებდნენ და მფარველობდნენ ანთიმოზს. შესაძლებელია, რომ რუმინეთის მმართველების ოჯახმა სწორედ ანთიმოზის მეშვეობით გაიცნო რუსთაველის თხზულება და ქალის მზითევში მისი გატანების ტრადიცია.

გ. ა.

443. გ. თოფურია

დარბაზში შოთას შუქი ანთია

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 25 სექტემბერი, № 226, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს რუსთაველის საიუბილეოდ გამართული გამოფენების შესახებ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეო-

ბის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე დიდუბეში. დიდუბეში გამოფენილია რუსთაველამდე და რუსთაველის ეპოქაში შექმნილი ხუროთმოძღვრების ძეგლები (ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვარი, გურჯაანის ყველაწმიდა, კუმურდო, სვეტიცხოველი). აქვეა რამდენიმე ძველქართული ფრესკის ნატურალური ზომის ასლი. გამოფენა გვაცნობს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ისტორიულ-იდეოლოგიურ წინაპირობას, ექსპონატთა შორის ვხვდებით „პეტრე იბერს“, „იოანე ლაზს“, „იოანე პეტრიწს“... **ლ. კ.**

444. მ. თოფურია

დიდი საგანძური

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 3.

წერილი ეხება რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოწყობილ გამოფენას, სადაც წარმოდგენილია ქართული ფერწერის, ოქრმჭედობისა და ხელოვნების სხვა დარგების საუკეთესო ნიმუშები. მათში ჩანს დიდი ოსტატობა და ავტორების რენესანსული მსოფლმხედველობა, რაც საფუძვლად უდევს „ვეფხისტყაოსანს“.

აღნიშნული გამოფენა გვაცნობს შოთამდე შექმნილი ხელოვნების დიდ საგანძურს და თვით შოთას დროის ხელოვნების უმესანიშნავეს ქმნილებებს. **გ. ა.**

445. М. Топурия

Великому Шота посвящается

გაზ. „Заря Востока“, 1966, 4 ოქტომბერი, № 228, გვ. 4.

საუბარია საქართველოს სურათების გალერეაში მოწყობილ ექსპოზიციაზე, რომელზეც ბევრი საინტერესო მასალაა წარმოდგენილი. გამოფენა მოგვითხრობს რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობაზე. ექსპოზიციაზე მრავლადაა პოემის ილუსტრაციები. ავტორი იმედოვნებს, რომ გამოფენა წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს. **თ. ხ.**

446. ალ. თუთაშვილი

შოთას აფორიზმების ხალხური პარალელები

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 25 ივნისი, № 122, გვ. 3.

წერილში საუბარია რუსთაველის პოემის მიმართ ქართველი ხალხის განსაკუთრებულ სიყვარულზე; მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრნი, ხშირად, თავიანთი აზრის გასაძლიერებლად, ხატოვნად მიმართავენ რუსთაველს, ამიტომ არსებობს შოთას აფორიზმების უამრავი ხალხური პარალელი. **თ. ხ.**

447. И. Туманишвили

Воскрещая эпоху Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 20 ივნისი, № 142, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს მხატვარ ტარიელ ხერხეულიძის (გარდ. 1955 წ.) ხელოვნებას, მათ შორის რუსთაველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილ ნახატებს. **ბ. დ.**

448. [ი. თუმანიშვილი]

Большой театр: вечер Руставели, премьеры, гастрOLI

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 11 ოქტომბერი, № 239, გვ. 3.

რუსთაველის იუბილეზე ჩამოსულ სტუმართა შორისაა მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრკ-ს სახალხო არტისტი, იოსებ თუმანიშვილი. გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში იგი აცხადებს, რომ 25 ოქტომბერს დიდ თეატრში შედგება საიუბილეო საზეიმო სხდომა, რის შემდეგაც გაიმართება კონცერტი. კონცერტის ძირითადი იდეაა მაყურებელს მოუთხროს, რომ რუსთაველი წარმოიშვა ძველი და შესანიშნავი ქართული კულტურის ნიადაგზე და რომ თანამედროვე ქართული კულტურა აგრძელებს რუსთაველის ტრადიციებს. რეჟისორი მაღალ შეფასებას აძლევს ფილარმონიაში ნანახ ახალ ლიტერატურულ-თეატრალურ კომპოზიციას „ო, პალესტინა, პალესტინა“ (ი. აბაშიძის ლექსების მიხედვით). **ლ. კ.**

449. სერგო თურნავა

წერილი მოვიდა საფრანგეთიდან

გაზ.: „თბილისი“, 1966, 9 სექტ., № 212; „საბჭ. აჭარა“, 1966, 14 სექტ., № 178, გვ. 3.

წერილში საუბარია შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით აკად. ირაკლი აბაშიძის მოგზაურობის შესახებ იტალიასა და საფრანგეთში, სადაც პოეტმა რუსთაველის ზეიმზე მოიწვია ცნობილი მეცნიერები, პოეტები, მხატვრები, გამომცემლები და მოიპატიჟა რუსთაველის იუბილეზე საქართველოში.

წერილი ეხმაურება ქართული და ბასკური ენების სპეციალისტის, კავკასიოლოგის, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის რენე ლაფონის ქართულად მოწერილ წერილს საფრანგეთიდან.

ს. თურნავას წერილის დასასრულს სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოცემული რენე ლაფონის აღნიშნული ბარათი. **ც. ე.**

450. ს. თურნავა

ნაშრომი შოთა რუსთაველზე

გაზ.: „საბჭ. აჭარა“, 1966, 16 აგვ., № 157; „ახალი კოლხიდა“ (ფოთი), 1966, 14 სექტ., № 110.

წერილი ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის ნაშრომს „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, 1966 წ. გამოცემა. ს. თურნავა აღნიშნავს: წიგნში ღრმა მეცნიერული ანალიზითაა დასაბუთებული რუსთაველის ჰუმანისტური შეხედულებანი, რომ რუსთაველი დიდი მოაზროვნე, დიდი ჰუმანისტია, რომელმაც გაუსწრო თავის ეპოქას და დიდი ჰუმანისტური იდეებიქადაგა.

სტატიაში ნათქვამია, რომ დღემდე რუსთაველოლოგები აშუქებდნენ პოემის ცალკეულ პრობლემებს, მაგრამ არ მოგვეპოვებოდა ისეთი ნაშრომი, რომელიც განაზოგადებდა და შეაჯამებდა რუსთაველოლოგიური მეცნიერების მიღწევებს. ამ ხარვეზს ავსებს ალ. ბარამიძის ფუნდამენტური წიგნი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, რომელშიც მოკლედ, სისტემატიურად და თანმიმდევრულადაა გარკვეული რუსთაველოლოგიური მეცნიერების ყველა ძირითადი საკითხი. **ც. ე.**

451. ს. თურნავა

წიგნი დიდ პოეტზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 17. ივლ., გვ. 3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის იოსებ მეგრელიძის ნაშრომზე „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიერებაში“. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ი. მეგრელიძე განიხილავს ბევრ ხალხურ გამოცემას, რომელთა შორის მთავარი ადგილი თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის სიყვარულის ამსახველ ამბებს უჭირავს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შოთას სადაურობაზე ორი აზრი არ არსებობს, – ხალხი რუსთაველის მესხურ წარმომობას აღიარებს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აღორძინების ხანის ტრადიციული ბიოგრაფიული ცნობებით რუსთაველი აღიარებულია მესხად.

რეცენზენტის აზრით, ი. მეგრელიძის წიგნი საინტერესო ცნობებს შეიცავს და კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის. **ც. ე.**

452 რომან იაკობსონი

კაცობრიობის დიდი საგანძური

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 3.

ავტორის დაკვირვებით, XII ს-ის ქართული პოეზია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ უჩვეულო აღმავლობასთან, რომელიც მსოფლიო პოეზიის დამახასიათებელი იყო XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისში. „ვეფხისტყაოსანი“ მკაფიოდ ეხმიანება ბიზანტიურსა და აღმოსავლეთის (ირანულ და არაბულ) ოსტატობას, ამავე დროს აღსავსეა ორიგინალური ქართული კოლორიტით. უფრო მეტად დაკვირვებული შესწავლა უნდა მის პოეტიკას, კერძოდ, ნატიფ რითმებს, სტროფათა და ფიგურათა აღნაგობას. **გ. ა.**

453. რ. იაკობსონი

„Золотой век поэзии“

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 3 ოქტ., № 232, გვ. 3.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რომან იაკობსონი სტუმრად იმყოფება თბილისში. მან წაიკითხა ლექციები თანამედროვე ლინგვისტიკაზე. მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობაში. რ. იაკობსონი დიდ სიხარულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსთაველის საიუბილეო დღეებში იმყოფება თბილისში. საუბრობს პოეზიაზე, „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ერთ-ერთ შესანიშნავ მონაპოვრად იმ პოეტური მიმდინარეობისა, რომელმაც მოიცვა მთელი ევროპა XII–XIII საუკუნეებში. ამ ხანას ლუი არაგონმა პოეზიის ოქროს საუკუნეები უწოდა. **ლ. კ.**

454. **М. Яковлев**

В честь юбилея

გაზ. „Кутаисская Правда“, 1966, 24 სექტემბერი, № 115, გვ. 4.

26 ოქტომბერს მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში შედგა რუსთაველის საიუბილეო საზეიმო სხდომა. მოხსენებით „რუსთაველი და მუსიკა“ გამოვიდა III კურსის მოსწავლე ს. უგრეხელიძე. შესრულდა ოპერა „თქმულება ტარიელზე“ და აგრეთვე დუეტი ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“. ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ გ. მარჯანიშვილი და ა. მაჭავარიანი.

ავტორის ცნობით, ორკესტრი და გუნდი მონაწილეობას მიიღებენ იმ საიუბილეო სადამოხვეც, რომელზეც გამოვლენ დიდი თეატრის სოლისტი ზ. ანჯაფარაძე და თ. ზეინკლიშვილი.

ლ. კ.

455. **ეივარს იანსონი**

ბალტიისპირეთშიც იცნობენ

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 9, გვ. 117-118.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველს ლიტვაში მხოლოდ გაკვრით იცნობდნენ და პირველმა „ვეფხისტყაოსანზე“ ხმა ამოიღო მწერალმა იანის ვესელისმა (გაზ. „პადომიუ ლატვია“, 1940, №55), რასაც მოჰყვა ზ. მოორის ინფორმაციული ხასიათის სტატია (გაზ. „იუნაის კომუნარი“, 1940, № 27), რომლებშიც ზოგადად არის დახასიათებული „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში.

სპეციალური სტატიები მიუძღვნიათ რუსთაველისთვის არვიდ გრიგოლისის და ლიტერატურათმცოდნე ემა ანდერსონს (ჟურ. „პადომიუ ლატვიას“ სკოლა, 1946, №3), რომელშიც პირველად გამოქვეყნდა პოემის ზოგიერთი სტროფის თარგმანი. 1946 წელს ლიტერატურულ ქრესტომათიაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები შესავლისა და რამდენიმე თავისა, პოეტ ეკაბს იანსონის თარგმანით, რომელიც რუსულიდან შესრულდა ე. საივას ფსევდონიმით.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველის პოემის საზეიმო კეთილშობილება, დიდებულება, ძველი რაინდებისა და აღორძინების ხანის ჰუმანიზმი კარგი ლატვიური ენით ჟღერს.“

გ. ი.

456. **ვ. იაშვილი**

დიდ პოეტს მიეძღვნა

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 მარტი, № 72, გვ. 3.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ლიტერატურისა და ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა თემაზე: „შოთა რუსთაველი“. სადამო გახსნა პ. კეკელიძემ. მოხსენებები წაიკითხეს: ალ. ბარამიძემ, ირ. აბაშიძემ, ვ. ბერიძემ, გ. ტორაძემ, ლ. გოთუამ; რუსთაველისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები წაიკითხეს: ი. ნონეშვილმა, ვ. გომიანვილმა, გ. საღარაძემ, თ. თეთრაძემ, ტ. და ე. საყვარელიძეებმა. X-XII საუკუნეების ჰიმნები შეასრულა ანსამბლმა „გორდელამ“. ნ. ანდლულაძემ შეასრულა ტა-

რიელის არია „ასმათ, დაო“, შ. მშველიძის ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“. დასასრულ უჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ვეფხისტყაოსანი“ ილუსტრაციებში“. **ი. წ.**

457. მირზა იბრაგიმოვი

ჰუმანიზმის დიდი მომღერალი

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 34-35.

ავტორის აღნიშვნით, რუსთაველი უკვდავია იმიტომ, რომ იგი ქადაგებს ჰუმანიზმის იდეებს, რომლებიც ბრწყინვალე სახითაა გადმოცემული „ვეფხისტყაოსანში“. მისი ყოველი სტრიქონი გვაოცებს ბრწყინვალეობით, ფორმის სილამაზითა და დამთავრებულობით. ამ პოემაში სიცოცხლის მუდმივი ცეცხლი ღვივის და იგი გამსჭვალულია ადამიანისადმი უდიდესი სიყვარულით. დრმა ფილოსოფიური აზრი და დიდი ისტორიული შინაარსი, გამოხატული სრულყოფილ პოეტურ ფორმაში „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიო ლიტერატურის სწორუპოვარ ნიმუშებს შორის აყენებს. რუსთაველმა თავის პოემაში გამოხატა მშობელი ერის ამაყი სული, მისი ჰუმანიტური იდეები და მისწრაფებანი.

„ვეფხისტყაოსანი“ ავტორს პირველად რუსული ბჭკარედის საშუალებით გაუცვნია სამედ ვურგუნთან ურთიერთობაში, რომელმაც პოემა თარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე სულიემან რუსტამსა და მამედ რაჰიმთან ერთად. **გ. ი.**

458. იდრისოვი

დეპეშა „ლიტ. საქართველოს“ რედაქციას

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ. № 39, გვ. 4.

გაზეთში დაბეჭდილია ალმა-ატადან იდრისოვის დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ყველა რაიონში ტარდება რუსთაველის საიუბილეო საღამოები. 15 სექტემბერს ყაზახეთის მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო დედაქალაქის საზოგადოების დიდი შეკრება. მოხსენება რუსთაველის შემოქმედებაზე წაიკითხა პოეტმა საგინგალი ნეიტოვმა. სიტყვებითა და ლექსებით გამოვიდნენ მეცნიერი-ფილოლოგები და პოეტები. **გ. ა.**

459. ი. ივანისელი

კოჯრის გზატკეცილიდან დედაციხემდე

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 4.

სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, იუბილესთან დაკავშირებით, მოეწყო გამოფენა, რომელიც ასახავს თბილისის ისტორიას უძველესი ხანიდან 1921 წლამდე. განსაკუთრებით მრავლისმომცველი აღმოჩნდა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ამსახველი ძეგლები: მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭელი, თამარის და აღმაშენებლის ფრესკის პირები და სხვ. სპეციალური სტენდი დაეთმო ჯვრის მონასტერში აღმოჩენილ ფრესკას. წარმოდგენილია ე. კაზარიანის ნამუშევარი – რამდენიმე საფეხურიანი აქატის ქვის სვეტი, რომელზეც ამოტვიფრულია წარწერა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“.

მუზეუმის სიახლოვეს, დედაციხის ტერიტორიაზე მიმდინარეობს გათხრები. საგულისხმოა, რომ მეცნიერებმა უკვე აღმოაჩინეს ნივთიერი მასალა. **თ. ხ.**

460. გაიოზ იმედაშვილი

**შოთა რუსთაველი და მისი
„ვეფხისტყაოსანი“**

ჟურ „სკოლა და ცხოვრება“, 1966, სექტემბერი, № 9, გვ. 7-14.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ნაწარმოებია, თავიდან ბოლომდე მოფიქრებული და დაწერილი ქართულ ენაზე ქართველი კაცის მიერ. მის წყაროს წარმოადგენს „ქართული ცოდნა და განათლება, ფილოსოფიური ნააზრევი, ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლები“. რუსთაველმა დააყენა ის პრობლემები ქვეყნის, ადამიანისა და ღმერთის მიმართ, რაც ეროვნული ცხოვრების ლოგიკური განვითარებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე იყო მომწიფებული. ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ მართებული გაგება უმთავრესად ქართული ენის, პოეტური ხელოვნებისა და ეროვნული ისტორიული ცხოვრების შესწავლას უნდა დაეყრდნოს.

ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ რუსთაველოლოგიის ჭეშმარიტი პრობლემა არის არა რუსთაველის ბიოგრაფიის ძებნა, არამედ თვითონ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენა და გაგება.

რუსთაველის პოეტური ენის თავისებურებების, პოეზიის მხატვრული კონსტრუქციის, მისი იდეოლოგიის, სოციალური გარემოს, ადამიანის კონცეფციის მოკლე დახასიათების შემდეგ ავტორი არკვევს ქართული რენესანსისა და ჰუმანიტური მოძრაობის ადგილობრივ ნიადაგს და აღნიშნავს პატრონყმური წყობილებისა და ქრისტიანობის მნიშვნელობას.

დასასრულს ავტორი სახავს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის პერსპექტივებს და ეხება მის მნიშვნელობას ქართველი ერის ცხოვრებისა და სოციალური განვითარებისათვის. **გ. ი.**

461. გ. იმედაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ „მოცალოება“

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი. 1966, გვ. 290-295.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის 23-ე სტროფს (მიჯნურსა თვალად სიტურფე...“) და განმარტავს სიტყვა „მოცალოებას“. მისი აზრით, „**მოცალოება**“ ნიშნავს არა მოცლას, არამედ ცალს, ტოლს, სწორს, ე. ი. სტროფში ჩამოთვლილ თვისებათა მიხედვით, მიჯნური მიჯნურის ტოლი, სწორი, შესაფერი უნდა იყო.

კვლევარი ეხება აგრეთვე „სიმდიდრეს“ და ფიქრობს, რომ რაკი სიუხვე თავისთავად შეუძლებელია იქ, სადაც არ არის სიმდიდრე, რუსთაველი სიმდიდრეს მიიჩნევს სიუხვის თვისებაში გადასულ პირობად. დასასრულს, ავტორი იძლევა მთელი სტროფის მისეულ ინტერპრეტაციას. **ლ. კ.**

462. გ. იმედაშვილი

ამან წიგნმან გაგაგონოს...
(„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სინამდვილე)
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 22 სექტ., №216, გვ. 3.

ნარკვევში წარმოჩენილია „ვეფხისტყაოსნის“ კავშირი ქართულ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და კულტურასთან სხვადასხვა ასპექტით. როგორც ავტორი წერს, „რუსთაველი აგვირგვინებს ქართული კულტურის ისტორიის დიდ გზას, რომელიც გავლილია ეროვნული აზრის, სიტყვისა და გემოვნების ხანგრძლივი ევოლუციით... „ვეფხისტყაოსნის“ მოვლინება არის ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინების სიმბოლო, მისი სოციალური და კულტურული კეთილდღეობის განცდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ძლიერებაში“.

ავტორის თქმით, ქართული გონება და გემოვნება გადაურჩა როგორც სპარსული სინამდვილის ფანატიზმსა და დესპოტიზმს, ისე ბიზანტიურ-ქრისტიანულ რელიგიურ დოგმატიზმს, მისტიციზმსა და ასკეტიზმს. რუსთაველის პოემის სიუჟეტი შთაგონებულია ქართული ისტორიული სინამდვილის განცდით. მისი სახეები, თემა, მოტივები და ხასიათები გადაწყვეტილია სინამდვილის ქართული შემეცნებისა და გემოვნების თვალთახედვით. თამარის ეპოქის მხატვრულ გარდასახვაში კარგად ჩანს მისი სოციალური წრე, იდეოლოგიისა და ეთიკურ-მორალური იდეალების ეროვნული წყაროები. რუსთაველმა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანების დაახლოებითა და დამეგობრებით დაამტკიცა, რომ სიყვარულისა და სიკეთის ძალები იმარჯვებენ მძულვარებასა და ბოროტებაზე. მის მიერ დახატულ საზოგადოებაში ადამიანებს არ აწუხებთ სოციალური, რელიგიური და ნაციონალური შეურიგებლობის პრობლემები იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თემა არის არა ადამიანთა მძულვარება, ომის, სისხლისა და ძალმომრეობის მოტივები, არამედ სიყვარული, მეგობრობა და თანაგრძნობა.

რუსთაველს სწამს ადამიანთა კეთილდღეობა პატრონყმურ სამყაროში, სადაც თავისი ადგილით ყველა კმაყოფილი და ბედნიერია.

მკვლევრის აზრით, რუსთაველის ენა დიდ გავლენას ახდენს საერო მწერლობის მეტყველებაზე. მისი მხატვრულ საშუალებათა სისტემა ძველი და ახალი ქართული პოეტური მეტყველების მიჯნებს აერთებს და ისევე ამთლიანებს საქართველოს ენობრივად, როგორც ეროვნულად და ზნეობრივად.

გ. ა.

463. გ. იმედაშვილი

ამბავი ერთი ხელნაწერისა
გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 29 სექტემბერი, გვ. 3.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად დრამატული თავგადასავალი აქვს ე. წ. „ზაზასეულ“ ხელნაწერს, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალ ფონდში. ის გადაწერილია 1661-64 წლებში ცნობილი მწერლისა და კალიგრაფის იოსებ ტფილელის მიერ.

ხელნაწერის პირველი მფლობელი იყო ქართლის ფეოდალი ზაზა ციციშვილი. შემდეგ ეს ნუსხა მეფის ვახტანგ V-ის ოჯახში მოხვდა და რიგრიგობით გადადიოდა

მისი მემკვიდრეების ხელში. XIX ს-ში ეს ძვირფასი ხელნაწერი პოეტმა ალ. ორბელიანმა მეფისნაცვალ ვორონცოვს აჩუქა. ის მხოლოდ 1935 წელს დააბრუნეს საქართველოში.

ამ ხელნაწერში ყოფილა რუსთაველის ფერადი პორტრეტი, რომელიც 1850 წელს ამოუღიათ და პარიზში გაუგზავნიათ ქრომოლითოგრაფიული სურათის დასამზადებლად. ახლა ეს პორტრეტი ინახება ხელოვნების მუზეუმში. **გ. ა.**

464. გ. იმედაშვილი

ასტრალური სინამდვილე „ვეფხისტყაოსანსა“

და „იგორის ლაშქრობის ამბავში“

ქურ. „მნათობი“, 1966, №7, გვ 121-129.

მკვლევრის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანი“ ასტრალური სინამდვილითაა მოცული და ასტრალური მოვლენები რუსთაველის ეპითეტურ-მეტაფორული მეტყველების მუდმივი ელემენტებია (სტრ.1382, 1172, 1549, 1305, 1495).

რუსთაველი ახსენებს ეტლს როგორც ბედს, ზოდიაქური მნიშვნელობით. თითოეული მნათობის დახასიათების თავისებურებები პოემაში სავსებით ემთხვევა იმდროინდელ ასტროლოგიურ შეხედულებებს. ამიტომ შემთხვევით არაა ნახსენები ზუალთან-კაემანი, მუშთართან – სამართალი, მარიხთან – ლახვარი, ასპიროზთან – მშვენიერება, ოტარიდთან – საწერ-კალამი, მთვარესთან – უძლურება. მნათობთა მოხსენიების რიგი, მზის გამოკლებით, სავსებით ეთანხმება ამ მნათობთა რეალური მდგომარეობის რიგს დედამიწასთან სიახლოვე-დაშორების მიხედვით. ავტორს პარალელურად მოჰყავს მაგალითი „იგორის ლაშქრობიდან“, სადაც ნახსენებია ოთხი მზე და ბრძოლის მონაწილე ოთხი რუსი რაინდი. მოცემულ კონტექსტში ოთხი მზე მთლიანად ეპითეტი, მეტაფორული გამოხატულებაა. „იგორის ლაშქრობის“ პოეტური ენის საფუძველი უფრო მეტად სადა და გასაგებია, ვიდრე ეს ჩანს თავისთავად. აქ ასტრალური სინამდვილე ნახული რეალობაა, რომელიც არ შეიძლება მეტაფორასიმბოლოდ და ალეგორიად მივიჩნიოთ, რადგან ის ავტორს ასე არც ჰქონია ჩაფიქრებული. „ვეფხისტყაოსანში“ კი ასტრალური მოვლენა პოეტურ ასპექტშია გადატეხილი და რუსთაველი იყენებს მეტაფორის მასალად. **თ. ნ.**

465. ივანე იმნაიშვილი

ქართული პოეტური ენის საკითხები

თბ., 1966, 184 გვ.

წიგნში დაბეჭდილია ორი ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და პოეტიკის შესახებ.

პირველში – „რუსთაველის რითმა“ – განხილულია შემდეგი საკითხები:

I. რუსთაველის რითმის სიახლენი (გვ. 4-15). II. რუსთაველის რითმის ლექსიკური შედგენილობა (15-71). III. შედგენილი რითმა (71-84). IV. შეცვლილი რითმა (84-91). V. პოეტური ლიცენცია (91-123).

მეორე ნარკვევში - „ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის წაკითხვისათვის“ (გვ. 124-135) აღნიშნულია, რომ დროის გარემოებას ძველ ქართულში გამოხატავდა სხვადასხვა ბრუნვის ფორმა (წრფელობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი და ზოგჯერ ნათესაობითიც). მკვლევარს კონკრეტულ შემთხვევაში აინტერესებს სიტყვა **ზამთრის**. ძველი ქართული წერილობითი თუ ფოლკლორული მასალის მოხმობით ავტორი ასკვნის, რომ ფორმა „ზამთრის“ იგივეა რაც „ზამთრობით“. სტროფში „თვე ერთისა მოშორვება მზისა **ზამთრის** გაგვამცივნებს, მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივნებს“ - „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიურ გამოცემაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ფორმა შეცვლილია „თვე ერთისა მოშორვება **მზე ზამთარსა** გაგვიმცივნებს“ (956), რაც, ავტორის აზრით, შეცდომაა და შინაარსეულად და ენობრივად გაუმართლებელია (თუმცა ფორმა **ზამთარს(ა)** იკითხება რამდენიმე ხელნაწერშიც). ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება დროის გარემოებად ძველი ქართულის თავისებურებაა. „ზამთრის“ მოცემულ კონტექსტში ნიშნავს: „ზამთარში“, **ზამთრობით**“. **ი. წ.**

466. ი. იმნაიშვილი

რუსთაველის რითმა

გაზ. „კომუნისტური შრომა“, ლანჩხუთი, 1966, 23 ივნისი, № 73;

ავტ. ავტორის წიგნში - „ქართული პოეტური ენის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 3-123.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველი მაქსიმალურად ავლენს ქართული ენის უსასრულო შესაძლებლობებს, ამოუწურავ რესურსებს ახალი რითმების შესაქმნელად. რუსთაველმა გაბედულად უკუაგდო შინაგანი რითმები, რომლებიც ჩახრუხადის და შავთელის „ოდებში“ თვითმიზნად იყო ქცეული და ძალზე აძნელებდა ლექსის შინაარსის გაგებას. მან ხელი აიღო მაჯამებზე. პოემაში მაჯამური რითმები სულ რაღაც 17 თუ არის, ისინიც შედარებით ადვილად გასაგებია.

რუსთაველს სხვადასხვა მეტყველების ნაწილები აქვს ერთმანეთთან შერითმული. ამ მხრივ მან დაარღვია ძველი ტრადიცია ერთნაირი მეტყველების ნაწილების შერითმვისა. ეს პრინციპი დღესაც წარმოადგენს ჩვენი ახალი პოეზიის ქვაკუთხედს. რუსთაველის რითმა სადა, ბუნებრივი, ადვილად გასაგები და ტკბილსასმენია. მისმა შაირმა უდიდესი გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეების პოეზიაზე. მისი ლექსის ყველა მხარე ნორმად და მეტრად ითვლებოდა. **თ. ნ.**

467. ი. იმნაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი რითმის აღდგენისათვის

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 თებერვალი, № 6, გვ. 2.

ავტორის მოსაზრებით, სტრიქონში „რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მცალს სმენად მაგისად“, მომდევნო რითმების შესაბამისად, რითმა **„მაგისად“** უნდა შეიცვალოს სიტყვით „ამისად“. **ბ. დ.**

468. ი. იმნაიშვილი

სირინოსი თუ სირინო?

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 364-372.

ავტორი იხილავს სიტყვა „სირინოსის“ მნიშვნელობას „ვეფხისტყაოსნის“ 341-ე სტროფის მეორე ტაეკში: „მფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა“, და აღნიშნავს, რომ გადატანითი მნიშვნელობით **სირინოსი** ტკბილად მგალობელი, ტკბილხმიანია (გვ. 365). ძველი ქართული სასულიერო, აგრეთვე, მხატვრული ლიტერატურის ძეგლებიდან მოყვანილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით ავტორი ადგენს, რომ ძველი ქართული სირინოსი დღევანდელ ქართულში შეიცვალა ფორმით – **სირინოზი** (გვ. 367).

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ეს სიტყვა ორი ფორმით არის დაცული: სირინოსი (სირინოზი) და სირინო. გვხვდება აგრეთვე სირინი. ავტორის აზრით, **სირინოსა** უნდა იყოს სირინოს ფუძის მიცემითი ბრუნვა: სირინოსა → სირინოსა. რუსთაველის რითმის მკაცრი კანონის თანახმად, აქ ერთი სანი ამოვარდა, რადგან რითმა ზუსტი უნდა იყოს სტროფის ორივე სტრიქონში ბგერობრივი მასალის სავსებით ერთნაირი შეგენილობით (გვ. 370, 373). ამდენადვე, სადავო სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმად უნდა მივიღოთ **სირინოსი** და არა **სირინო** (გვ. 273). **გ. ი.**

469. ი. იმნაიშვილი

რუსთველოლოგიის ძვირფასი შენაძენი

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 11, გვ. 103-108; აგრ. გაზ. „თბილ. უნივერ.“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 3.

ავტორი იხილავს ა. შანიძის ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (1966), აღნიშნავს, რომ წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი მნიშვნელოვანი და სადავო საკითხი, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პოემის კარდინალური პრობლემების საბოლოოდ გადასაჭრელად. ა. შანიძემ დაასაბუთა, რომ ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ტექსტი ერთ-ერთი ვრცელი ხელნაწერის ხელოვნურად შემოკლებულ კრიტიკულ რედაქციაა. წიგნში მთავარი ყურადღება ტექსტის მეცნიერული დადგენის პრობლემას ეთმობა. ამ მიზანს ემსახურება სარეცენზიო წიგნში შეტანილი შრომა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემისათვის, რომელიც შესავლად ჰქონდა წამდვარებული 1956 წ. გამოსულ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიას“. აქ ავტორს მოცემული აქვს სხვადასხვა სახის 200-მდე შესწორება.

ტექსტის დადგენის მიზანს ემსახურება აგრეთვე ზოგიერთი სპეციალური გამოკვლევა, რომლებშიც გამოწვლილვით არის საკითხი განხილული და ამის საფუძველზე გასწორებულია ტექსტის დამახინჯებული ადგილები. **ი. კ.**

470. ჯ. ინასარიძე

„ვეფხისტყაოსანი“ ივანე მაჩაბლის რედაქციით

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 20 აგვ., № 98, გვ. 3.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე და აღნიშნავს: რედაქციამ დიდი და მრავალმხრივი სამუშაო

ჩაატარა, მაგრამ ძირითადი და მძიმე საქმე მაინც ივანე მაჩაბელს დაეკისრა. ასეთი იყო ტექსტის საბოლოო რედაქციის გაკეთება, სასვენი ნიშნების მოწესრიგება, შრიფტის შერჩევა, თავსამკაული ასოების დამზადება დათვით გამოცემის ხელმძღვანელობა. ამ მუშაობის ზოგიერთი მომენტი ასახულია ი. მაჩაბლისა და იონა მეუნარგიას მიმოწერაში. წერილებიდან ჩანს, რომ ივანე მაჩაბელმა, როგორც რედაქტორმა და გამოცემის მეთვალყურემ, უთუოდ დიდი ამაგი დასდო შოთა რუსთაველის თხზულების იმ მდიდრულ გამოცემას, რომლისთვისაც მთელი ხარჯი გაიღო ქველმოქმედმა გიორგი ქართველიშვილმა. **გ. ა.**

471. Инасян

Комсомольцы Абхазии – великому поэту

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 31 აგვისტო, № 204, გვ. 3.

ინფორმაცია ემდგინება საიუბილეო სამზადისის თემას აფხაზეთში. კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა განაცხადა, რომ ახალგაზრდები სერიოზულად ემზადებიან რუსთაველის იუბილესთვის, კეთილმოაწყვეს პარკები და სკვერები, დაიდგა რუსთაველის რამდენიმე მონუმენტი, ეწყობა გამოფენები, წარმოდგენილია სტენდები, აწყობენ ლიტერატურულ დილა-საღამოებს, კონკურსებს – ვინ უკეთ წაიკითხავს პოემას ზეპირად.

დაგეგმილია სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. **თ. ხ.**

472. ვერა ინბერი

რუბრიკა: რუსული კულტურის მოღვაწენი რუსთაველზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტემბერი, № 214, გვ. 3.

„თუ ადრეული შუა საუკუნეების პოეზიაში ქალს ხატავდნენ უძრავს, არაადამიანურად ლამაზს, უსიცოცხლოს, თვალმარგალიტებში ჩაფლულს და ინდივიდუალური თვისებებისაგან თითქმის დაშრეტილს, ბიზანტიური ხატების მსგავსად, რუსთაველთან ეს უკვე ხატი კი არა, ცოცხალი სახეა, ქალის სახე, რომელსაც თუ გაეცნობი, არ შეიძლება არ დაიმახსოვრო და არ შეიყვარო“, – ამბობს ვერა ინბერი. **ი. წ.**

473. პავლე ინგოროყვა

შოთა რუსთაველი

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 3, გვ. 99-131.

ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია პ. ინგოროყვას გამოკვლევის ნაწილი, რომელიც შეეხება XI-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. პირველ კარში – „საქართველოს ისტორიული წარსული“ – შედის შემდეგი საკითხები: 1. ქვეყანა ძველი კულტურისა; 2. საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა საშუალო საუკუნეებში, რენესანსის განთიადი; 3. ბიზანტია და საქართველო...; 4. საქართველოს სახელმწიფო XII- XIII საუკუნეთა.

მეორე კარში – „ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და რუსთაველი“ – ავტორი განიხილავს ქართული მწერლობის განვითარების ძირითად ეტაპებს

IV საუკუნიდან XIII-მდე, ეხება ძირითად საერო მხატვრულ მწერლობას, მათ შორის, ნათარგმნ თხზულებებსაც: „უფალთა წიგნი“ („შაჰნამეს“ პროტოტიპი), „ქილილა და დამანა“, „აბუკურა“, „სიბრძნე ბალაჰვარისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, არისტოტელეს „კატეგორიები“ და სხვ.

თამარის ეპოქის ნაწარმოებებად თვლის ჩახრუხადის „თამარიანს“, შავთელის „აბდულ-მესიანს“, „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანის“, ნიზამის „ლეილ მეჯნუნის“, „ხოსრო და შირინის“ თარგმანებს; მოსე ხონელის „ამირან დარეჯანიანს“, სარგის თმოგველის „დილარგეთიანს“, უცნობ ავტორთა რომანებს „ეთერიანს“, „ოსანოზ და შარიელს“ და ისტორიკოსთა თხზულებებს.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის პოემის წარმოშობა შემზადებული იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურით. **გ. ა.**

474. პ. ინგოროყვა

თამარს ვაქებდეთ მეფესა

ქურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ XIII-XIV სს. ინტერპოლატორ-კომენტატორებისა და XVI-XVII სს. ქართველი პოეტების აზრით, შოთა რუსთაველი თამარ მეფისადმი უიმედო მიჯნურობით იყო შეპყრობილი. ამ აზრს გვიდასტურებს პოემის „დასაწყისის“ სტროფებიც, რომლებიც არაა უბრალო ტრუბადურული შექება დედოფლისა, არამედ ნამდვილი სიყვარულის გამომჟღავნებაა (მოყვანილია სტროფები: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“..., „თვალთა, მისგან უნათლოთა...“, „ჩემი აქ ცანით...“).

როგორც მკვლევარი წერს, შედარება თამარისა ვეფხთან („ჯიქთან“) ხსნის „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკას: პოემაში ვეფხის სახით წარმოდგენილია ნესტან-დარეჯანი, ანუ თამარი. შოთა აიგივებს თამარსა და ნესტან-დარეჯანს. **გ. ა.**

475. П. Ингорквa

Руставели и заря ренессанса

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 2.

ავტორი მიმოიხილავს XII ს-ის საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მეცნიერულ და ლიტერატურულ ვითარებას. აღნიშნავს, რომ რენესანსულ-ჰუმანისტური მოძრაობა დაიწყო ბიზანტიაში XI ს-ის I ნახევარში, შემდეგ – საქართველოში XI ს-ის დასასრულიდან და ბოლოს დასავლეთ ევროპაში XII საუკუნეში. მკვლევარი ასახელებს იოანე იტალოსს (ბიზანტიაში), მის მემკვიდრეს იოანე პეტრიწს, რომელმაც დაწერა პლატონის ფილოსოფიის განმარტება, და ეფრემ მცირეს („ელინთა ზღაპრობანი“).

ავტორი ქართული მწერლობის თავისებურებად თვლის იმას, რომ მასში ფართოდ განვითარდა ნამდვილი საერო მხატვრული ლიტერატურა. ეს იმანაც განაპირობა, რომ საქართველო იმყოფებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა შესაყარზე. ქართველ მოღვაწეებს ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ბერძნულ-ბიზანტიურ, ისე სპარსულ მწერლობასთან, კერძოდ – შირვანის ლიტერატურულ

სკოლასთან, სადაც XII ს-ში მოღვაწეობდნენ: ნიზამი, ხაკანი, აბულ-ალა, ფალაქი და სხვ. ქართულ მწერლობაში განვითარდა ისტორიოგრაფია (მატიანეები და ქრონიკები), ეპიკური მხატვრული (ამირანდარეჯანიანი, დილარგეთიანი) და ლირიკული ჟანრები (დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, ჩახრუხაძე). პ. ინგოროყვას დასკვნით, აღნიშნული ფილოსოფიური ცოდნის, ეპიკური მწერლობის და პოეტურ-ესთეტიკური განვითარების საფუძველზე შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“. **გ. ა.**

476. რ. ინოგამოვი

შოთა ჩვენც არის

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტემბერი, № 29, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველის 800 წლისთავი წარმოადგენს უზბეკური ხალხის კულტურის ზეიმსაც, რადგან მისი უკვდავი ქმნილება უზბეკი ხალხის გულთანაც ახლოა. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ ჩვენმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა იუბილე ქართველი პოეტისა. მაშინ უზბეკმა პოეტებმა რუსთაველის თხზულება თავიანთ ენაზე თარგმნეს. ამის შემდეგ რუსთაველი ჩადგა ჩვენი ხალხისათვის საყვარელი უზბეკური ლიტერატურის კლასიკოსთა წყებაში. **გ. ა.**

477. მ. ინწკირველი

[პოეტისადმი მიძღვნილი]

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 25 ოქტომბერი, № 127, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ მახარაძის რ-ნის სოფ. ვაკიჯვრის კლუბში ჩატარდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია. წაკითხულ იქნა მოხსენებები რუსთაველის შემოქმედებაზე. მოსწავლეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და წარმოადგინეს მონტაჟი: „დიდება შოთა რუსთაველს“

ბოლოს ნაჩვენები იყო კინოფილმი – „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“. **თ. ნ.**

478. დ. იოვაშვილი

**ქართული პოეტური ეპოსის განვითარება
რუსთაველის ტრადიციებთან დაკავშირებით**

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბილისი, 1966, № 9, გვ. 79-84.

ავტორის მტკიცებით, ქართული პოეტური ეპოსის განვითარების საფუძველია „ვეფხისტყაოსნის“ მწყობრ სიუჟეტურ სისტემაზე აგებული ამბის თხრობითი ტენდენცია, რომელშიაც მთავარია გმირის მოქმედება. მეორე მხრივ, აბდულმესიანისა და თამარიანის ქების მოტივზე აგებული ლირიკული პოემა, რომელშიაც მთავარია გმირისადმი ავტორის დამოკიდებულების გამომჟღავნება. ქართული მწერლობა ძირითადად ვითარდებოდა მაინც „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით, რის გამოც გაბატონებული მდგომარეობა პოემამ დაისაკუთრა. ძველი ქართული პოემები „ვეფხისტყაოსნის“ ყაიდის ამბავთხრობითი პოემებია, პოეტურ ეპოსში გამოხატულია გმირულ-მეორული და სატრფიალო-რომანტიკული მოტივები. „ვეფხისტყაოსნით“ დამკვიდ-

რებულმა ტრადიციამ უდიდესი როლი შეასრულა XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის შექმნა-განვითარებაში; ის იგრძნობა თანამედროვე მწერლობაშიც.

ავტორის დასკვნით, პოეტური ეპოსის ე. წ. გადახრა ლირიკისაკენ, რაც შესამჩნევია თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც, უჩვეულო მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. ის იმეორებს ძველ ქართულ ტრადიციას, რომელშიაც შერწყმული იყო ამბავთხრობითი და ლირიკული პოემა, ისევე, როგორც ეს ახასიათებდა რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხადის ეპოქას.

გ. ი.

479. С. Иремашвили

Рисунок сделан шелком

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 7 სექტემბერი, № 210, გვ. 3.

შოთა რუსთაველის პორტრეტი (მხატვარი უჩა ჯაფარიძე), ამჯერად აბრეშუმის ძაფით ამოქარგული, წარმოადგინეს ავტორებმა ტ. მექვაბიშვილმა და დ. მამადაშვილმა. სამუშაო უკვე დასრულებულია და იგი საიუბილეო დღეებში გამოიფინება.

თ. ბ.

480. С. Иремашвили

«Работа над поэмой обогатила меня»

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 9 სექტემბერი, № 212, გვ. 3.

წერილი მკითხველს აცნობს „ვეფხისტყაოსანის“ უკრაინელ მთარგმნელს. თვალმდევნებულია მ. ბაჟანის ცხოვრებისეული გზა. ავტორს სურს იმის თქმა, რომ მ. ბაჟანი შემთხვევით არ მისულა პოემის თარგმნის გადაწყვეტილებამდე. მ. ბაჟანი წერდა, რომ მისი მიზანი არ ყოფილა პოემის ადეკვატური, შესაბამისი მხატვრული ღირებულების მქონე თარგმანის შექმნა, მას სურდა აზრობრივ-შინაარსობრივად მაქსიმალურად დაეახლოებინა ერთმანეთისთვის ქართული პოემა და მისი უკრაინული თარგმანი.

მისი აზრით, თარგმანზე მუშაობამ ბევრი რამ შესძინა თავად მთარგმნელს, მან კი, თავის მხრივ, გაამდიდრა მთელი უკრაინელი ხალხი, შეუქმნა რა მშობლიურ ენაზე ქართული მწერლობის შედეგის თარგმანი.

თ. ბ.

481. С. Иремашвили

Яркий, живой, образный

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 3 ოქტომბერი, № 232, გვ. 2.

ავტორი მოგვითხრობს რუსთაველის საიუბილეოდ შექმნილი პლაკატების შესახებ, რომელთა გამოშვებაში მონაწილეობდნენ: მხატვარ-პლაკატისტები: ს. ნადარეიშვილი, კ. ჭელაძე, ფ. მალრაძე, გ. ლომიძე, შ. კუპრაშვილი, ირ. გორდელაძე (ხელმძღვანელი). რუსთაველს მიეძღვნა ი. გორდელაძისა და ე. ბერძენიშვილის ახალი ნამუშევარიც – ფარზე შესრულებული ტრიპტიხი, რომლის კომპოზიციაც საინტერესოდ არის გადაწყვეტილი: ცენტრში რუსთაველია გამოსახული, ორივე მხრიდან კი მისი აფორიზმები.

ლ. კ.

482. ავეტიქ ისაკიანი

[რუსთაველი]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 4.

„რუსთაველი ეკუთვნის მსოფლიოს იმ გენიოსთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაში ასახულია კაცობრიობის უკეთესი ფიქრები, მისწრაფებანი და იდეალები... რუსთაველი ეკუთვნის იმ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ანგრევენ ეგოიზმს, მდაბიურ ვნებებს და კაცობრიობა მიჰყავთ თავისუფლების, თავდადებულობის, სიყვარულისა და ძმური სოლიდარობის სამყაროში“.

გ. ა.

483. Г. Исакадзе

В честь великого поэта

გაზ. „Кутаисская правда“, 1966, 17 სექტემბერი, № 112, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ ემზადებიან ქუთაისელები რუსთაველის იუბილესათვის. მხატვრებმა შექმნეს ახალი ნამუშევრები „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე. პოემის ილუსტრაციებით და აფორიზმებით ფორმდება ქალაქის რკინიგზის სადგურის მოედანი, ცენტრალური ბაღი, სახელმწიფო მუზეუმის სკვერი, მზადდება გამოფენა გელათში, იგეგმება ტურისტული მარშრუტი „რუსთაველის ნაკვალევზე“. 7 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი რუსთაველის ძეგლის პროექტზე. ძეგლი დაიდგმება ქალაქის ცენტრალურ მოედანზე.

ლ. კ.

484. Л. Истомин

Шота Руставели

ჟურ. „Клуб и художественная самодеятельность“, 1966, № 13, გვ. 30-31.

წერილში საუბარია პოეტის ცხოვრება-შემოქმედების, მისი პოემის შესახებ. მიმოხილულია ბიოგრაფიული ცნობები და რუსთაველის ფოლკლორული ბიოგრაფია, მოცემულია რუსთაველის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურული შრომები (ი. აბაშიძე, ი. მეგრელიძე, შ. ნუცუბიძე, ვ. გოლცევი, ლ. დანდუროვი...).

საუბარია საიუბილეო დღეებში დაგეგმილ ღონისძიებებზე.

თ. ხ.

485. ს. იტრიაშვილი

დიდი სამზადისი

გაზ. „თბილისი“, 1966, 16 თებერვალი, № 39, გვ. 3.

შოთა რუსთაველის იუბილესათვის კრუჰსკაიას სახ. საქალაქო ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო სამზადისი. მოეწყო პოეტისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გამოფენა. აწყობენ ლექცია-მოსხენებებს. გაიმართება კონფერენცია „მეგობრობა ვეფხისტყაოსანში“, დაამზადებენ საბიბლიოთეკო პლაკატებს.

ი. წ.

486. **Е. Ищенко**

«Витязь» на украинском языке

გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 18 სექტემბერი, № 181, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნის ისტორიას. უკრაინელმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ პირველად დ. გურამიშვილისაგან შეიტყო. პირველი, ვინც პოემა უკრაინულ ენაზე გადათარგმნა, მწერალი ა. ნავროცკი იყო, მაგრამ მისი თარგმანი არ დაბეჭდილა. 1929 წ. მ. ბაჟანმა დაიწყო მუშაობა პოემის თარგმნაზე. 1937 წ. მან თავისი ნაშრომი თბილისში, სპეციალურად მისთვის გამართულ საღამოზე წარადგინა. აუდიტორია ნ. ბაჟანს გამარჯვებას ულოცავდა. პოემის მისეული თარგმანი ამავე წელს პირველად კიევში გამოიცა.

ახლა კი, რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით, უკრაინულმა გამომცემლობამ „Днипро“ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა მოამზადა.

ლ. კ.

487.

კავკასიონი

წიგნი XI, პარიზი, 1966, 200 გვ., რედაქტორი ვ. ნოზაძე.

კრებული ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

მასში დაბეჭდილია: შოთა რუსთაველის სამი პორტრეტი, გვ.: 5, 7, 10.

ვიქტორ ნოზაძის „შოთა რუსთაველს“ (ესსე – აპოლოგია რუსთაველისა და მისი შემოქმედებისა, გვ. 11-13).

მისივე – გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილებისა და სიტყვა-ცნებების შესახებ, გვ. 15-108.

მისივე – დანტე - რუსთაველი, 700-800 წლისთავი, გვ. 109-110.

მისივე – ტექსტოლოგიური ნარკვევები, გვ. 111-128.

აკაკი პაპავა, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი, გვ. 129-134.

რაჟდენ არსენიძე, შოთა რუსთაველი და მისი წიგნი, გვ. 135-140.

კახაბერი [ა. პაპავა], მაღლიანი მხრეკელი (ეხება ვ. ნოზაძის რუსთაველოლოგიურ მოღვაწეობას), გვ. 141-147.

ალ. შათირიშვილი, ემოციური განცდები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ გვ. 148-176.

ალ. მანველიშვილი, „რუსთაველიანას ეპილოგი“, გვ. 177-179.

მისივე, „ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი ს. წულაძისა (რეცენზია), გვ. 179-183.

დ. ვაშაძე, ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, გვ. 184-189.

გ. წერეთელი, მკითხველის შენიშვნა (რუსთაველის პიროვნების შესახებ), გვ. 189-191.

გ. გამყრელიძე, თარგმანის პრობლემები და სიძნელეები ი. ვ. გოეთეს „ფაუსტში“ და შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 194-197.

(ყველა ნარკვევის ანოტაცია გაკეთებულია ცალ-ცალკე).

კრებულში დაბეჭდილია რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები: გიორგი გამყრელიძის (გვ. 8, 9, 14, 183); ევტიხი აბულაძის (გვ.140) და გიორგი ყიფიანის (გვ. 147, 200) .

გ. ა.

488. **В. Кайшаури**

„В руках печатников витязь“

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 1 აგვისტო, № 178, გვ. 4.

საუბარია იმის შესახებ, რომ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა საქართველოს წიგნის ბაზას გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემის პირველი პარტია, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული და ილუსტრირებული, გამოსაყენებლად მეტად მოსახერხებელი გამოცემა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მხატვარ-რედაქტორმა გ. გორდელაძემ განაცხადა, რომ ამჟამად მუშაობს საიუბილეო ალბომის გამოცემაზე, რომელშიც შევა XIX-XX საუკუნეებში მოღვაწე მხატვარ-ილუსტრატორთა შემოქმედება, მ. ზიჩიდან მოყოლებული ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, უ. ჯაფარიძის. ი. თოიძის. ლ. ცუცქერიძისა და იტალიელი ფ. ბიანკონის ნამუშევრებამდე.

თ. ხ.

489. **В. Кайшаури**

Юбилейные издания

გაზ. „Вечерняя Москва“, 1966, 24 ოქტ., № 250, გვ. 3.

ავტორი გვაწვდის ცნობებს, რუსთაველის საიუბილეო გამოცემების შესახებ. ესენია: „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა, პოემის თარგმანები რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე, რუსთაველის აფორიზმები, აგრეთვე წიგნი – „Деятели русской литературы о Руставели“, რომლის რედაქტორია გ. ბებუთოვი.

იუბილეს მიეძღვნა ალბომი – „ვეფხისტყაოსნის“ XVI-XVIII ს-ს. მინიატურები.

ლ. კ.

490. **В. Кайшаури**

Добро пожаловать!

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 24 სექტემბერი, № 225, გვ. 1.

საუბარია ექსპოზიციანზე, რომელიც გაიხსნება 25 სექტემბერს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე. გაზეთის კორესპონდენტმა მოინახულა ეს გამოფენა და თავის საგაზეთო სტატიაში მიმოიხილავს ექსპოზიციას.

თ. ხ.

491. **ვ. კაკაბაძე**

თხუთმეტსაუკუნოვანი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 აგვისტო, № 196, გვ. 6.

საქ. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი საუბრობს რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის გამოფენის მომზადებაზე. მისი თქმით, ფართოდ იქნება წარმოდგენილი რუსთაველის დროისა და მისი წინა პერიოდის განათლების, კულტურისა და მწერლობის ამსახველი მასალები. გამოფენაში სახვით მასალასთან ერთად გამოყენებული იქნება კალიგრაფიული ტექსტები, ფოტოდოკუმენტური სურათები, ავტოგრაფები, წიგნები და მწერალთა გრაფიკულად შესრულებული პორტრეტები.

გ. ა.

492. სარგის კაკაბაძე

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

თბ., 1966, 344 გვ.

წიგნი შედგება 6 თავისა და ორი „დამატებისაგან“. I და II თავები ეხება შოთა რუსთაველის წარმოშობისა და ცხოვრების დროის გარკვევას. III თავი – „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობას. IV თავში კი ავტორი აჯამებს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგს.

მკვლევარს მიაჩნია, რომ შოთა რუსთაველი იყო ჩახრუხადეთა გვარიდან. ამ გვარის წინაპარს, „მოხევე“ (ბორჯომის ხევის მოთემე) ჩახრუხას, დავით აღმაშენებლის დროს მიუღია მამულად გაღმა რუსთავი, ფერის ციხის მიდამო. მისი ჩამომავლების ერთი შტოდან იყვნენ გრიგოლის ძენი – პოეტი ჩახრუხასძე, „თამარიანის“ ავტორი (სახელად ხელი) და მისი უფროსი ძმა, ისო „იგავთ დამწესი“, ალეგორიული თხზულებების შემომღები, რომელსაც უცხოეთის ბევრი ქვეყანა მოუვლია და შემდეგ სამშობლოსკენ მომავალი გზაში დაღუპულა. (გვ. 54-59).

მეორე შტოდან იყო შოთა რუსთაველი, რომელმაც ახალგაზრდობაშივე მიიღო შუა და პატარა რუსთავი და წოდებაც – რუსთველი. შოთას დაწყებითი სწავლა-აღზრდა (11 წლამდე) უნდა მიეღო აგარის მონასტერში, შემდეგ კი ტრაპიზონსა და ათინაში, სადაც მამინაცვალსა და დედასთან ერთად უნდა წასულიყო. შოთა საქართველოში ჩამოსულა 22-23 წლის ასაკში. ის დაბადებული იქნებოდა დაახლოებით 1165-1166 წლებში. 1192 წ. შოთა უკვე იმდენად ცნობილი პირია, რომ მას აგზავნიან ელჩად სულთან სალადინთან ორი დავალებით: 1) ქრისტეს ჯვარის გამოსყიდვა; 2) იერუსალიმის ქართული მონასტრებისა და მათი მიწების დაბრუნება. ამ დავალებათა შესრულების შემდეგ რუსთაველი (არაბული წყაროებით – რასულ ალ-გურჯ) ჩასულა იერუსალიმში, სადაც განუახლებია და მოუხატვინებია ჯვარის მონასტერი. 1212 წლიდან შოთა ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესია და ასეც დარჩა სიკვდილამდე.

1222 წელს, ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ, შოთა მესამედ წასულა იერუსალიმში და სიკვდილამდე (დაახლ. 1224 წ.) იქ დარჩენილა. ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი შოთას მიერ თამარის მეორე მატთანე. (გვ. 182-183).

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის საკითხი ს. კაკაბაძეს ასე აქვს წარმოდგენილი: უცხოეთიდან დაბრუნებული 22-23 წლის შოთა გამიჯნურებულა თამარზე და ამის შედეგად დაუწყია „ვეფხისტყაოსნის“ წერა (გვ. 174). მაგრამ პოემის სიუჟეტი მანამდე უკვე არსებობდა; ეს იყო ისო ჩახრუხადის მიერ დაწერილი თამარის ქება სპარსულ ენაზე, გიორგი მესამის მიერ 1180 წელს თამარის მეფედ დალოცვასთან დაკავშირებით. ეს ქება იყო ალეგორიული მოთხრობა როსტევეანის მიერ თინათინის გამეფებაზე, სადაც თინათინის სახეში თამარი იგულისხმებოდა. ეს მოთხრობა ქართულად თარგმნა სარგის თმოგველმა, გვარად ქვაბულისძემ. ქვაბულიძეები იყვნენ იმერეთიდან (საჩინოდან). 1073 წ. გიორგი მეორემ ნიანია ქვაბულისძეს დაუმტკიცა თმოგვი და მას ფლობდნენ ნიანიას მემკვიდრეები მე-12 ს-ის ბოლომდე. ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილა სარგის თმოგველი, „დილარგეთიანის“ ავტორი.

სარგისის გარდაცვალების (1182 წ. ახლოს) შემდეგ შოთას თმოგვში უნახავს თამარის ალეგორიული ქება და გადაუწყვეტია პოემის დაწერა. ეს უნდა მომხდარიყო თამარის მეორედ გათხოვებამდე, 1189 წელზე ადრე (გვ. 164-170).

V და VI თავებში ავტორი ეხება რაინდთა ორგანიზაციების შექმნას ევროპის ქვეყნებში და მოყმე-მეომართა მდგომარეობასა და დანიშნულებას მე-12 ს-ის საქართველოში. აქვე განიხილავს ქალის კულტის დამკვიდრების პირობებს, აზუსტებს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღს (1207 წ.) და „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა დაწერის თარიღებს. კერძოდ, მისი მტკიცებით, ინდოხატაელთა ამბავი დაწერილი უნდა იყოს XIII ს-ის უკანასკნელ მესამედში (გვ. 240), ხოლო ხვარაზმელთა ამბავი დაწერილია XIV ს-ის მეორე ნახევარში (გვ. 241). I დამატებაში (გვ. 245-276) ავტორი ამტკიცებს, რომ შოთას წინაპრები, ჩახრუხაძეები, გაბელისძეთა გვარს ეკუთვნოდნენ. II დამატებაში კი მოცემულია პ. ინგოროყვას „რუსთველიანას ეპილოგის“ ძირითად დებულებათა კრიტიკა (გვ. 277-316). **გ. ა.**

493. ს. კაკაბაძე

„ვეფხისტყაოსნის“ უთარილო ხელნაწერების დათარიღების საკითხი

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტ. შრომები, XXIX, 1966, გვ. 65-86.

K 215(Q) ხელნაწერის კალიგრაფიის (ჯარისა და ჰაეს დაწერილობა) მიხედვით ავტორი ათარიღებს 1550-იანი წლებით. **H 2074 (C)** ხელნაწერის კალიგრაფიას ადარებს მე-16 საუკუნის საბუთებთან და ასკვნის, რომ ის გადაწერილი უნდა იყოს 1550-1560 წლების ახლო ხანაში ავალ ავალიშვილის მიერ, რომელიც იოანე ავალიშვილის მამა უნდა ყოფილიყო (ადრე ს. კაკაბაძე ამ ნუსხის გადამწერად თვლიდა იოანე ავალიშვილს) (გვ. 67-74). სხვა უთარილო ხელნაწერებსაც ს. კაკაბაძე მიახლოებით ათარიღებს, უმეტესობას მე-17 ს-ის სხვადასხვა ათწლეულებით. ამ ხელნაწერების სია სავარაუდო თარიღებით დაბეჭდილია მის წიგნშიც „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 238-239 (დასაბუთების გარეშე). **გ. ა.**

494. გ. კაკიაშვილი

მეორე გამოცემა

გაზ. „თბილისი“, 1966, 29 სექტემბერი, № 229, გვ. 3.

1841 წელს პეტერბურგში მარი ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ მეორე ბეჭდურ გამოცემად ითვლება. როგორც მ. ბროსე წერს, ამ გამოცემის დასაყრდენი ვახტანგისეული ტექსტი ყოფილა. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერისათვის, რომელიც ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანზე გაცილებით ძველია და ბევრ მნიშვნელოვან სხვაობასა და ჩასწორებას იძლევა საქართველოში არსებულ ხელნაწერებთან შედარებით. **ი. წ.**

495. შალვა კაკულია

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 21-22.

ავტორი წერს, რომ რუსთაველმა გაბედულად აამაღლა ქრისტიანული ასკეტოზიმისაგან დათრგუნული ადამიანი, საუკუნეებით ადრე გამოხატა დასავლეთ ევ-

როპის რენესანსის ჰუმანური იდეები. „რუსთაველი მხატვრულ ფორმაში ახდენს ადამიანის და ადამიანურის შესახებ ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის რესტავრაციას და ქრისტიანიზმის თეოსოფიის უარყოფას, იზიარებს ბუნებაში დაუსრულებელი მიმოქცევისა და ადამიანის მთლიანობის ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი) შექმნის ჰოპოთეზას“.

მკვლევრის თქმით, „რუსთაველის თვალსაზრისი ადამიანის სოციალური ანუ სულიერი ბუნების შესახებ არსებითად უპირისპირდება მასზე მისტიკურ-რელიგიურ წარმოდგენას... რუსთაველი ღრმად წვდება ადამიანის სულიერ ცხოვრებას, აზროვნებას, ნებელობას, მეხსიერებას, შეგრძნებას - მთელ სულიერ სინამდვილეს. მის უმაღლეს ფორმებს: მიჯნურობას, მეგობრობას, რასაც გამოხატავს განსაკვიფრებელ მხატვრულ ფორმაში.“ **გ. ა.**

496. შ. კაკულია

რუსთაველის ჰუმანიზმი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 18 ნომბერი, № 47, გვ. 2.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ ორ ბერძენ ფილოსოფოსზე – პლატონსა და დიონისე არეოპაგელზე. მათი სახელების ხსენება, ავტორის აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა არეოპაგეტიკულმა ფილოსოფიამ. იგივე ითქმის დანტეს შემოქმედებაზე. ორივეს არეოპაგეტიკული ფილოსოფია ასაზრდოებს, რასაც შ. ნუცუბიძის შეხედულებებიც ადასტურებს.

მკვლევარი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობისა და ჰუმანიზმის მთელი ფილოსოფია ადამიანის ამაღლების იდეალებია და ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევისათვის.

ავტორი მნიშვნელოვნად მიიჩნევს რუსთაველის მიერ გონების კულტის წამოყენებას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ გონების გარეშე შეუძლებელია ადამიანი ფლობდეს ზნეობრივ შეგრძნებას, ერთმანეთისაგან არჩევდეს მორალურსა და ამორალურს.

რუსთაველის ეთიკურ-ჰუმანისტური მსოფლმხედველობა გამოვლენილია ქალთა საკითხშიც. მან პირველმა აღიარა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. იგივე მსოფლმხედველობა ვლინდება ხალხთა მეგობრობის გაგებაშიც. სწორედ ამ პრინციპებმა დაახლოვა განსხვავებული ეროვნების ადამიანები, რამდენადაც პოემის ავტორისათვის უცხოა ნაციონალური შეზღუდულობა.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალადამიანური ეთიკა და ჰუმანიზმი მძლავრი იდეოლოგიური იარაღია ნათელი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში.

თ. ხ.

497. გულნარა კალანდარიშვილი

რუსთაველური ვაჟას პოეზიაში

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 229.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველა, მისივე ცნობით, „ძველ ქართულ საგმირო პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანზე“ აღიზარდა. ძველმა ქართულმა მწერლობამ და უმთავრესად „ვეფხისტყაოსანმა“ რამდენადმე განსაზღვრეს ვაჟას მხატვრული

აპერცეპცია, დახვეწეს მისი გემოვნება...“ „... ის ძირითადი, რაც განაპირობებს ვაჟას პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის არსებულ პარალელურ მომენტებს, არის შემოქმედებითი მეთოდის არსებითი ნიშნების ერთიანობა: ბუნებრიობა, ფსიქოლოგიზმი, სწრაფვა ამაღლებისაკენ, ეთიკური ტენდენცია, ზოგადისა და კერძობის შერწყმა გმირის სახეში, მძლავრი მუსიკალური ელემენტი ლექსთწყობაში...“ (გვ. 230). ვაჟას პოემაში „ეთერი“ ბევრი პარალელური ადგილი მოიძებნება „ვეფხისტყაოსანთან.“ მსგავსი სიტუაციები, მეტაფორული სახეები, ფრაზის კონსტრუქცია და აგრეთვე დეტალები, რომლებიც გვაგონებენ რუსთველის პოემას და მოხდენილი მინიშნებით „ეთერში“ ვეფხისტყაოსნის პოეტურ გარემოს ქმნიან“ (გვ. 232).

ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე, „რუსთველის გენიის კეთილმყოფელი გავლენის“ საილუსტრაციოდ ავტორს უზვად მოჰყავს პარალელური ადგილები „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული მოტივების, თქმების, სინტაქსური კონსტრუქციების შესადარებლად.

გ. ი.

498. მ. კალინინი

[**რუბრიკაში: ლაპარაკობენ რუსთაველზე**]

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 2.

ავტორი ამბობს: ჩვენს ქვეყანაში არც ერთ კულტურას არა აქვს ისეთი დიდი ხნის ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. პირადად მე აღტაცებაში მოგვყავდი ქართულ სიმკვლეტა ძეგლებს, ქართულ ხელოვნებას, ქართულ ლიტერატურას. როცა რუსთაველს კითხულობ, ფიქრობ: ბევრი არ მოიძებნება 700 წლის წინათ მცხოვრები ისეთი მწერალი, როგორც არის ქართველი ხალხის ეს კეთილშობილი გენიოსი.

ი. წ.

499. ბორის კანდელაკი

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ჟურ. „საქ. ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 8; ავრ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 77-78.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენამდე მოღწეულია შოთა რუსთაველის ორი პორტრეტი XVII საუკუნიდან, - ერთი ე. წ. თეკლასეულ ხელნაწერშია, მეორე კი 1646 წ. მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილ ნუსხაში.

მესამე პორტრეტი იერუსალიმში იყო, ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ბერძნებმა ის მწვანე საღებავით დაფარეს. მისი ხელახლა აღმოჩენა და გაწმენდა მოხდა 1960 წელს.

ამ სამი პორტრეტის მიხედვით შეიქმნა რუსთაველის სხვა ამჟამად არსებული სურათები.

გ. ა.

500. ბ. კანდელაკი

ორი მინიატურა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 20 აგვ., № 98, გვ. 3.

ავტორი აღწერს მხატვარ გიორგი ერისთავის მიერ შესრულებულ ორ მინიატურას. პირველზე გამოსახული არიან თამარ მეფე და შოთა რუსთაველი. ისინი მადიდასთან სხედან. პოეტი კითხულობს ეტრატს (ალბათ პოემისტექსტს). მეორე მინი-

ატურაზე შოთა რუსთაველი ზის სავარძელში. დარბაზის ინტერიერი მორთულია ქართული არქიტექტურისა და მხატვრობის სტილით. პოეტის გვერდით, კედელზე მოჩანს თამარის პორტრეტი. მინიატურები უნდა დაბეჭდილიყო საიუბილეო ჟურნალში 1937 წელს, მაგრამ ჟურნალი საერთოდ არ გამოსულა. გაზეთში, წერილთან ერთად, დაბეჭდილია ორივე მინიატურა (შავ-თეთრად). **გ. ა.**

501. ბ. კანდელაკი

პორტრეტი მარცვლებით

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 აგვისტო, № 201, გვ. 3.

ავტორი იმყოფებოდა ნორჩ ნატურალისტთა სადგურში, სადაც მისი ყურადღება მიიპყრო რუსთაველის პორტრეტმა. იგი მეჯვრისხევის საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტებს შეუქმნიათ ბოსტნეულისა და მცენარეთა თესლების გამოყენებით. **ლ. კ.**

502. ბ. კანდელაკი

მიხაი ზიჩი

გაზ.: „სახალხო განათლება“, 1966, 14 სექტ., № 37, გვ. 3; „Заря Востока“, 1966, № 195, გვ. 4.

წერილი გვაცნობს ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხეილ (მიხაი) ალექსანდრეს ძე ზიჩის დამსახურებას ქართველი ერის წინაშე. მან 1888 წლის გ. ქართველიშვილისეული გამოცემა სრულიად უსასყიდლოდ დაასურათა.

საქართველოში მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ წერდა: „ამჟამად ჩვენს ქალაქში იმყოფება გამოჩენილი პირი – მხატვარი ზიჩი. ის ჩამოსულია ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსი პოეტის – ლერმონტოვის პოემის „დემონის“ დასურათებისათვის...“ შემდეგ კი, რაც ი. მეუნარგიას დახმარებით გაეცნო „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს, მოისურვა პოემის დასურათება, რომელიც მისივე სიტყვებით: „...ეხლაც ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენდა ქართველთათვის“. მიხაი ზიჩის სთხოვეს 12 სურათის დახატვა, მან კი 32 შექმნა, რომელთაგან 26 ქართველიშვილისეულ გამოცემაში დაიბეჭდა. 1903 წ. დ. კარიჭაშვილმა გამოაქვეყნა მხატვრის 34 ილუსტრაცია, ხოლო 1937 წ. ბალმონტისეულ რუსულ თარგმანში უკლებლად იქნა რეპროდუქტირებული.

სწორედ ზიჩის ინიციატივით დაიწყო და გაასრულა პოემის უნგრულ ენაზე თარგმნა ბელა ვიკარმა. **თ. ბ.**

503. Б. Канделаки

Путешествие в жизнь поэта

გაზ. „Заря Востока“, 1966, 22 სექტემბერი, № 218, გვ. 3.

საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვარ-ილუსტრატორთა ღვაწლზე, განსაკუთრებით გამორჩეულია საქართველოს დამსახურებული მხატვრის ზ. გოგოლაშვილის შემოქმედება. გაზეთში დაბეჭდილია მისი ოთხი ილუსტრაცია: რუსთაველი ბექა ოპიზარის სახელოსნოში, რუსთაველი პეტრე იბერის საფლავთან, რუსთაველის უკა-

ნასკნელი დღეები და „გამოთხოვება“, რომლებიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ.

თ. ბ.

504. Б. Канделаки

რუსთაველი – кистью Пиросманишвили

გაზ. „Заря Востока“, 1966, 23 სექტემბერი, № 219, გვ. 4.

საუბარია ნ. ფიროსმანიშვილის მიერ შექმნილ რუსთაველის პორტრეტზე, რომელიც მან 1903 წ. დახატა და ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

რუსთაველის მეორე პორტრეტი, შესრულებული 1913 წ., ტ. ტაბიძის ოჯახში ინახებოდა და 1937 წ. გაუჩინარდა. აღმოჩნდა მესამე პორტრეტიც, რომელიც დაბეჭდილია გაზეთის წინამდებარე ნომერში.

თ. ბ.

505. იზა კაპანაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ილუსტრაციები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 16 სექტემბერი, № 38, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ რუსთაველის საიუბილეოდ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები შექმნა მხატვარმა ნათელა იანქოშვილმა. მისი თქმით, ამ ილუსტრაციებში მხატვარი ადამიანის განცდების გადმოცემის ფაქიზ ოსტატად გვევლინება; სურათებში ჩანს მხატვრული შესრულების მაღალი ოსტატობა და იდეური ჩანაფიქრის სიღრმე.

გ. ა.

506. ციალა კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 339-350.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მათში მოცემულ ყველაზე სტაბილურ მომენტს - ესაა ტექსტის გადაწერის პროცესში შეტანილი გააზრებული ცვლილებანი ცალკეული სიტყვის, ფრაზის ან ტაეპისა, რომელნიც რამდენიმე ხელნაწერში ერთგვარადაა წარმოდგენილი. ამგვარი შემთხვევა აუცილებლად გულისხმობს ამ ნუსხათა დასაბამის დამდებ საერთო არქეტიპის არსებობას.

„ვეფხისტყაოსნის“ სისტემური სტილისტური სწორების მიხედვით ძირითად ხელნაწერთა შორის მკველვარი გამოყოფს რამდენიმე ჯგუფს, რომელთა შორის შემავალ ხელნაწერებს ახასიათებს თავისებულებული სტილისტური ერთიანობა, განსხვავებული სხვა ჯგუფებისგან. ესენია: A B C M X, DUV, FIRZ, GH, JT და KO. E, L, N და Y ნუსხები, ცალკეულ ჯგუფებთან მსგავსებასთან ერთად, ზოგიერთ ნიშანდობლივ თვისებებს ამჟღავნებენ. ვარიანტული წაკითხვებით მხარს უჭერენ ხან AD, ხან FGJK ტიპის ნუსხებს და ერთგვარ საშუალებად რგოლებს წარმოადგენენ მათ შორის. მკველვარი ახასიათებს თითოეული ჯგუფის თავისებურებებს, ფიქრობს, რომ A ტიპის ნუსხები ხელნაწერული მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებს განასახიერებენ.

ლ. კ.

507. გ. კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ენა
ჟურ. „პიონერი“, 1966, № 6, გვ. 9-11.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძველი ქართულიდან ახალი ქართული ენისაკენ მობრუნების გზასაყარზე დგას. იგი კუთხური მეტყველების ნაჭუჭში კი არ არის მომწყვდეული, არამედ საერთო-სახალხო ენის ძეგლს წარმოადგენს.

შემდეგ გ. კარტოზია ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ენობრივ თავისებურებას. რუსთაველის ენაში ნახევარხმოვანი იოტი აღარ გვხვდება. ეს ფაქტი ქმნის სახელის ბრუნების განსხვავებას ძველ ქართულთან შედარებით.

„ვეფხისტყაოსანი“ მრავლობითის წარმოებაში ძველ ქართულს მისდევს და ნარ-თანთან მრავლობითს იყენებს. ზმნის დრო-კილოთა სისტემაში მკვიდრი ადგილი უჭირავს ხოლმეობითებს.

ავტორი ასკვნის: რვა საუკუნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ქართულ ენაში, მაგრამ არ მოძველებულა რუსთაველის ენა. „ვეფხისტყაოსანს“ მკითხველი არ მოჰკლებია და დღესაც გვხიბლავს და გვაჯადოებს დარბაისლური, ტკბილი ქართულით.

ც. ჟ.

508. Людмила Кафанова

Грузия – год великого поэта
გაზ. „Учительская газета“, 1966, 24 სექტემბერი, № 113, გვ. 4.

ავტორი სტუმრად ჩამოვიდა საქართველოში, მოინახულა რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ადგილები: მესხეთის რუსთავი, ვარძია... იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს, საუბრობს იმ ლეგენდებსა და თქმულებებზე, რითაც ასე საინტერესოდ ივსება პოეტის ბიოგრაფია. იგი მონაწილეობდა ვარძიაში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებში, მიმოიხილავს ცნობებს რუსთაველის მოგზაურობაზე პალესტინაში, საუბრობს 1960 წლის ექსპედიციის შესახებ, მიაჩნია, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ მოპოვებული მასალა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მეცნიერებისა და რუსთაველის გენიის ჭეშმარიტი დამფასებლებისათვის.

თ. ხ.

509. გ. კაჭარავა

ერთი ზმნის ფუძის შედგენილობისათვის
შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით

ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედ. ინსტიტ., XXXI სამეცნიერო სესია, 19.IV.-21.IV, 1966, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966, გვ. 33-34.

1. თანამედროვე ქართულში ჭერი //ჭირ-ძირის შემცველ ზმნურ ფორმებში ადგილი აქვს ხმოვანთა მონაცვლეობას; პირველი სერიის მწკრივებში ჭერ = ძირი იხმარება, მეორე სერიაში - ჭირ, ხოლო მესამე სერიის მწკრივებში გვხვდება ერთიცა და მეორეც (პირველი თურმეობითი იყენებს ჭერ-ძირს, ხოლო მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი ჭირ-ს ემყარება).

2. შ. რუსთაველის პოემა, რომელიც საშუალო ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, არ იცნობს დასახელებულ ძირში ხმოვანთა ამგვარ მონაცვლეობას. „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ჭირ- ძირია გამოყენებული (მაგ.: და-ი-ჭირ-ავ-ს, და-ი-ჭირ-ე, ი-ჭირ-ვ-ენ, ი-ჭირ-ვ-ი-დ-ეს; და-ჭირ-ულ-ნ-ი; მ-ჭირ-ავი, და-ნამ-ჭირ-ებ-ი და მისთ.).

510. Д. Качахидзе

Интересная экспозиция

გაზ. „Заря Востока“, 1966, 16 სექტემბერი, № 213, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო კაბინეტი. წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები, ვახტანგისეული გამოცემიდან დაწყებული, იმხანად ბოლო – ა. შანიძისა და ა. ზარამიძის რედაქტორობით გამოსული ნუსხის ჩათვლით. გარდა ამისა, ექსპოზიცია მდიდარია პოემის თარგმანებით. **თ. ხ.**

511. კახაბერი [აკაკი პაპავა]

მადლიანი მჩხრეკელი

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 141-147.

ნაშრომი დაწერილია 1964 წ. ივნისში. ეს არის რეცენზია ვ. ნოზაძის წიგნისა „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (1963 წ.). ავტორი აღნიშნავს, თუ რა ძნელია მეცნიერული კვლევადიება სათანადო და აუცილებელი ლიტერატურის ნაკლებობის პირობებში. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ვ. ნოზაძის წიგნს, რომელშიც მკვლევარმა განიხილა და მრავალმხრივი არგუმენტაციით ნათელი და გასაგები გახადა რუსთაველის ეროვნობის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა – რუსთაველის რელიგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობისა. ვ. ნოზაძემ დაასაბუთა, „რომ რუსთაველის მსოფლ-ჭვრეტა არის ქრისტიანული, მისი ღმერთი არის **ერთი** და **ერთარსება** და ეს არის **წმინდა** ქრისტიანული **სამება**.“ ვ. ნოზაძის აზრით, პოემის ტექსტში გამოყენებული ტერმინი **ღმრთება** (ღმრთეება) – „კურთხეულ არს მისი ღმრთება“ - წმინდა სამებას გულისხმობს, რაც ავტორის ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი დადასტურებაა.

ა. პაპავა ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს. მას დამაჯერებლად მიაჩნია პ. ინგოროყვას ვერსია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო შოთა გრიგოლის ძე, ჰერეთის ერისთავი, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე და სხვ., თუმცა საექსპოდ თვლის მის მანიქველობას.

რეცენზიას ბოლოს ერთვის ვ. ნოზაძის შენიშვნა, რომ რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ ა. პაპავას მსჯელობას არ იზიარებს; იგი წერს: „გულდასმით წავიკითხე პ. ინგოროყვას „რუსთაველიანა“, რომელსაც არა ერთჯერ შევეხე ჩემს ნარკვევებში; გულისყური არ დამიკლია მისი უკანასკნელი ნარკვევისათვის: „რუსთაველიანას ეპილოგი“. სრულიად მიუკიბ-მოუკიბავად და პირდაპირ უნდა აღვნიშნო, რომ მკვლევარ პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანას ეპილოგი“ ჩემთვის არის მხოლოდ **„ლამაზი ზღაპარი“** და ეს თავისი სილამაზით პირველ ზღაპარს უთოდ სჯობნის.“ (გვ. 147).

გ. ა.

512. ციალა კახაბრიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდის ფოლკლორული პარალელი

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, თბილისი, 1966, გვ. 211-215.

ქართული ფოლკლორის, კერძოდ, ქართული ზღაპრების ანარეკლი დაძეგნილია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ცალკეულ დეტალებსა და მოტივებში. მკვლევარი განიხილავს ავთანდილის თავგადასავალს და განსაკუთრებით საყურადღებოდ ეჩვენება ავთანდილის ასმათთან და ტარიელთან შეხვედრის ეპიზოდები, რომლებშიც ადგილი აქვს ქართული ზღაპრის მზა ფორმულების თანმიმდევრობით განვითარებას. მკვლევარს ასე წარმოუდგენია „ვეფხისტყაოსანში“ ქართული ზღაპრის მზა ფორმულების გამოყენების სქემა: 1. გმირს ეძლევა საფათერაკო დავალება. 2. ინიშნება დავალების შესასრულებელი ვადა. 3. ვადის გადაცილების შემთხვევაში იგი დაღუპულად ითვლება. 4. დავალების შესრულება ხერხდება მხოლოდ დათქმული ვადის მიწურულს. 5. სახიფათო არსების ბინაზე გმირი ხვდება ამ არსების ახლობელ ქალს. 6. ქალის გულის მონადირებას გმირი ახერხებს განსაკუთრებული სიტყვების მეშვეობით. 7. სახიფათო არსების მოახლოების შემჩნევა ხდება ხმაურის საშუალებით. 8. ქალის მიერ გმირის დამალვა. 9. ქალის მიერ სახიფათო არსებისაგან ფიცის მიღება დამალულის ხელშეუხებლობაზე. 10. დამალული გმირის გამოჩენა. 11. მეგობრული შეხვედრა.

ლ. კ.

513. ნ. კახიძე

ქუთაისსა და გელათში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 5 აგვისტო, № 32, გვ. 4.

ინფორმაცია: ქუთაისსა და გელათში გამართული საქართველოს სსრ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებისა და ამავე საზოგადოების ქუთაისის საქალაქო განყოფილების გაერთიანებული საიუბილეო-სამეცნიერო სესიის მუშაობის შესახებ, რომელიც მიემდგვნა რუსთაველის საიუბილეო თარიღს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებები წაიკითხეს: პროფ. შოთა მესხიამ („შოთა რუსთაველის ეპოქა“); დოც. გ. ბრეგაძემ („შოთა რუსთაველის ეპოქის პოეზია“); პროფ. ვ. გრიგოლიამ („შოთა რუსთაველი, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი“); დოც. მ. ალავიძემ („შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი“); აკად. შ. ამირანაშვილმა („შოთა რუსთაველის პორტრეტი ძველ ქართულ მხატვრობაში“); პროფ. ვ. დონდუამ („ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები“); პროფ. ა. კიკვიძემ („ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ქარგა“); ს. წულაძემ („ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი“); აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა („უმაღლესი სკოლა შოთა რუსთაველის ეპოქაში“).

სიტყვით გამოვიდნენ: პროფ. ტრ. ხუნდაძე; დოცენტები: ი. ბერძული, გ. ნიკოლეიშვილი, კ. აფრიდონიძე, შ. აბრამიძე, რ. მარგიანი, რ. ბერძემ, ზ. კუხიანიძე; დრამატურგი ლ. სანიკიძე; მხატვარი ვ. მიზანდარი; კინორეჟისორი დ. რონდელი.

სესიის მუშაობა აღიბეჭდა კინოფირზე.

თ. ხ.

514. ნ. კველიშვილი

მომხიბლავი პოეზია

გაზ. „თბილისი“, 1966, 3 აგვისტო, № 180, გვ. 3.

კ. ბალმონტმა ევროპაში გამგზავრების წინ, 1916 წ. 26 დეკემბერს, მოსკოვის სინოდის სასწავლებლის დარბაზში გამართა რუსთველის საღამო. მან მიმოიხილა ქართველი ხალხის ისტორიული წარსული, ისაუბრა ქართული ენის სიმდიდრეზე, შოთას პოემაზე. შოთას იგი „მომხიბლავი პოეზიის ქურუმს“ უწოდებს, რომლის სიტყვაც მხოლოდ იმისთვის იქნება გასაგები, ვინც იცნობს ქართველ ხალხს, მის წარსულსა და აწმყოს.

ბალმონტი შეეხო დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქას, ისაუბრა იმ მიზეზებზე, რამაც გადააწყვეტინა პოემის თარგმნა. აღნიშნა, რომ რუსთველის ლექსმა გამოიწვია ქართულის ღრმად შესწავლის სურვილი, რასაც მოჰყვა თარგმნის წადილი.

გამომსვლელმა ისაუბრა სირთულეებზე, რომელიც მას მუშაობის პროცესში ხვდებოდა. **თ. ხ.**

515. კორნელი კეკელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებისათვის

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 119-123.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა: „მოხსენება, წაკითხული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე, 1936 წლის 2 მარტს (ოქმი №188). ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ გამრავლდეს იგი საწერ მანაქანაზე გადაბეჭვდის საშუალებით და დაურიგდეს კომისიის წევრებს, რომელთაც ამასთანავე წინადადება მიეცათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი ამავე საკითხის შესახებ წერილობით.

მოხსენება იბეჭდება უცვლელად იმ ცალის მიხედვით, რომელიც ჩემს არქივშია დაცული. იმ დღის სხდომის თავმჯდომარე – აკაკი შანიძე“.

ავტორს საყურადღებოდ მიაჩნია არჩილ მეფის განცხადება თეიმურაზ პირველის პირით რუსთველისადმი: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავებს“, რაც იმას ნიშნავს, რომ 1681 წელს, როდესაც დაწერილია აღნიშნული „გაბაასება“, ჩვენში უკვე იცოდნენ, რომ ყველაფერი ის, რასაც შეიცავდა ამ დროს არსებული და ცნობილი ხელნაწერები პოემისა, მის ავტორს არ ეკუთვნის, რომ ყოველ შემთხვევაში, ბოლო მისი, ესე იგი დასასრული, მას (ავტორს) სხვებმა „შეთავებს“ (გვ.119). „ვეფხისტყაოსანი“ არსებითად თავდება „ავთანდილისა და თინათინის ქორწილის ამბით“, ყველა ის თავი კი, რომელიც ამ ქორწილის ამბავს მისდევს ხელნაწერებში (გარდა 17 სტროფისა), ... „წარმოადგენენ პოემის „შეთავებულ“ ნაწილს... დამატება-გაგრძელებებს, რაც ტრადიციულადაც ცნობილი იყო (იქვე). ესენია ინდო-ხატაელთა, ხვარაზმელთა და ძმადნაფიც გმირთა გარდაცვალების ამბები. შესაძლოა, დამატებათა სერიას ეკუთვნოდეს აგრეთვე ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა“ (გვ. 120).

ამ თემის დასაბუთებას ავტორი აყრდნობს ქორწილის ეპიზოდების შედარებას ძირითად ტექსტთან, მათი მოტივების დახასიათებას, ლექსიკურ-სტილისტურ ანალიზს და მათში აღნიშნავს ისეთ ადგილებს, რომლნიც არ უდგებიან რუსთველის

მანერას, უადგილოა ამბის მიმდინარეობის ლოგიკით (გვ.121), ეწინააღმდეგება წინ-ნათქვამს, ულაზთოა პოეტიკის თვალსაზრისით (გვ. 122). მათში არც რიტმია ყოველ-თვის სწორი და გამართული (იქვე). დასასრულ, ამ თავში გვხვდება ისეთ ლექსიკურ-ი ფაქტები, რაც პოემის ძირითადმა ნაწილმა არ იცის (გვ.123). ამავე დროს მოიპოვე-ბა ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლნიც ანათესავებენ მას დამატება-გაგრძე-ლების თავებთან, რამდენადაც ისინი მხოლოდ ამ უკანასკნელში გვხვდებიან (იქვე).

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში და-საბრუნებლად საჭირო არ იყო ყველაფერი ის, რაც ხელნაწერებშია. ამას პოეტი მოა-ხერხებდა რამდენიმე სტროფითაც, რომლებიც გაფანტულია დამატება-გაგრძელება-თა ეპიზოდებში.

გ. ი.

516. M. Кекелидзе

Начало 1802 г.

გაზ. „Веч. Тбилиси“, 1966, 7 სექტემბერი, № 210, გვ. 2.

წერილი იწყება ე. ბოლხოვიტინოვის მიერ რუსულად თარგმნილი „ვეფხის-ტყაოსნის“ სტროფით, შეფასებულია მისი მოღვაწეობა, რომელმაც შეძლო რუსულ-ენოვანი მკითხველის დაინტერესება რუსთაველის პოემით. მიმოხილულია მისი ცხოვრების გზა, საუბარია მის დამოკიდებულებაზე ქართული ლიტერატურის შე-დევრის მიმართ. მოხსენიებულნი არიან ის ადამიანები, ვინც გაუღვივეს ინტერესი საქართველოსა და ქართული კულტურის მიმართ. ესენი იყვნენ: ეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი, გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, იოანე ბაგრატიონი. მათი მა-ლისხმევითა და დამსახურებით ე. ბოლხოვიტინოვმა შექმნა წიგნი, რომლითაც სცა-და ქართველი და რუსი ხალხების დაახლოება.

თ. ხ.

517. უ. კეკონენი

ფინეთის პრეზიდენტის ურხო კეკონენის დეპეშა მის აღმატებულებას, ბატონ გ. ს. მოწენიძეს, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 1 ოქტომბერი, № 224, გვ. 1.

„საქართველოს სახელოვანი შვილის, ჰუმანიზმის მარადიული იდეების მგზნე-ბარე მქადაგებლისა და მომღერლის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის გა-მო თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და თქვენი სახით ქართველ ხალხს გულითადად გი-ლოცავთ ფინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით“. ურხო კეკონენი, ჰელსინკი.

ი. წ.

518. ირ. კენჭოშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისელი მეცნიერის მონოგრაფიაში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 11 ნოემბერი, № 46, გვ. 2.

წერილი ეხება კემბრიჯის უნივერსიტეტის საშუალო საუკუნეთა ლათნური ფილოლოგიის ლექტორის – პიტერ დრონკეს მონოგრაფიულ გამოკვლევას – „საშუა-

ლო საუკუნეთა ლათინური კულტურა და ევროპული სატრფიალო პოეზიის საწყისი“, სადაც ცალკე ქვეთავი ეთმობა რუსთაველის პოემას.

ავტორი ცდილობს დაარღვიოს განმტკიცებული თვალსაზრისი, რომ ევროპული სატრფიალო პოეზიის კურტუაზიული ელემენტები მხოლოდ ლათინური გაგლების შედეგია. ავტორი წარმოაჩენს კურტუაზიული სიყვარულის დამახასიათებელ ნიშნებს ძველევგვიპტურ წერილობით და ბიზანტიურ ხალხურ ძეგლებში. მისთვის ამ მოსაზრების დამამტკიცებელი „მესამე საბუთი“ სწორედ „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც, ავტორის აზრით, „კურტუაზიული სიყვარული პოულობს სრულ გამოხატულებას... იგი წარმოდგენილია ცხოვრებისათვის აზრისა და მნიშვნელობის მიმცემ ძალად. ამდენად, კურტუაზიული სიყვარული მთელი ამ რომანის... ძირითად კონსტრუქციულ ღერძად იქცევა...“ **თ. ბ.**

519. კოკი კეჟერაძე

რუსთაველს მიეძღვნა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 14 ოქტომბერი, № 42, გვ. 4.

ავტორი მოგვითხრობს ცხაკაიაში გამართული რუსთაველის საიუბილეო საღამოს შესახებ. გვაცნობებს, რომ იუბილეს დღეებში ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლას და სოფელ ეკის კოლმეურნეობას მიეკუთვნა რუსთაველის სახელი.

სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში, გაიხსნა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც ოთხ განყოფილებას მოიცავს: 1. „რუსთაველი და მისი ეპოქა“, 2. „აკაკი წერეთელი რუსთაველის შესახებ“, 3. „რუსთაველი აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში“, 4. „რუსთაველი და თანამედროვეობა“. **ლ. კ.**

520. ნ. კეჟერაძე

რუსთაველი აკაკი წერეთლის შემოქმედებაში

გაზ. „ახალი ცხოვრება“ (საჩხერე), 1966, 17 სექტ., № 110; 22 სექტ. № 112.

ავტორი წერს, რომ ა. წერეთელს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა შეუწყვეტელი ინტერესი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისადმი. აკაკი ბავშვობაში თექვსმეტმარცვლიან ლექსებს წერდა რუსთაველის მიბაძვით, ხოლო პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისას სადიპლომო შრომად დაწერა „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის სასარგებლოდ“. 1880-იან წლებში აკაკი საჯარო ლექციებით გამოდის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რაც ცნობილი დისკუსიის საბაზი გახდა.

ი. ჭავჭავაძის კრიტიკული სტატიის საპასუხო წერილში ა. წერეთელი ცდილობს დაასაბუთოს შემდეგი დებულებები: 1. „ვეფხისტყაოსანი“ რეალისტური ნაწარმოებია. მასში წარმოდგენილია მაშინდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. 2. აკაკი იყენებს კერძოსა და ზოგადის, ნაციონალური და მსოფლიო ტიპის ერთიანობის იდეას. 3. ჭეშმარიტად მსოფლიო ყველა ნაწარმოები, უწინარეს ყოვლისა, ნაციონალური უნდა იყოს.

დასასრულ, ავტორი ეხება რუსთაველის აზრებისა და მხატვრული სახეების გამოყენებას აკაკის მხატვრულ შემოქმედებაში. **გ. ა.**

521. ქ. კერვალიძე

სახელის ვერბალიზაცია “ვეფხისტყაოსანში” და მისი მხატვრული ფუნქცია

ა. მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა XXIV სამეცნ.

კონფერენცია, თეზისები, სოხუმი, 1966, გვ. 85.

რუსთაველს განსაკუთრებით უყვარს ზმნა და მეტად ოსტატურად იყენებს მას მხატვრულ სახეთა შესაქმნელად მეტყველების სხვადასხვა ნაწილის გაზმნავებით, რითაც ქმნის ორიგინალურ ლექსიკურ ერთეულებს.

სიტყვაწარმოქმნაში ყველაზე პროდუქტიულია სახელთა ვერბალიზაცია, რასაც უწინარეს ყოვლისა, მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია აქვს. მეტყველების ნაწილთა ფუძეებზე ზმნური აფიქსების დართვით მიღებული გაზმნავებული ფორმებია:

ა. სახელისაგან: წამწამი – აწამწამე (131₁)...

ბ. ზედსართავი სახელისაგან: დიადი – ადიადა (191₁)...

გ. რიცხვითი სახელისაგან: რვა – არვებდა (891₁)...

დ. ზმნიზედისაგან: ადრე – მოვიადრო (859₃)...

ე. კავშირისაგან: თუ – სათუობს (776₁)...

ვ. შორისდებულისაგან: იში – იშობს (185₂)...

გაზმნავებული სიტყვები პოემაში ასრულებენ როგორც აზრობლივ, ისე მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას, ამდიდრებენ თხზულების ლექსიკას. **გ. ი.**

522. ვ. კერნაზი

როცა რუსთაველს კითხულობ

თბ., 1966, 51 გვ., აგრ. ჟურ. „მნათობი“, 1966, № 4-6.

წიგნაკი წარმოადგენს პოპულარულ ნარკვევს რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. მოტანილია ხალხური გადმოცემები რუსთაველის ვინაობისა და სწავლა-აღზრდის შესახებ. „ვეფხისტყაოსანს“ ავტორი უწოდებს რაინდულ რომანს, რომელშიც „ერთმანეთთან არის შერწყმული და გადახლართული დიდი ეპიური სურთქვა, გმირთა მოქმედებისა და დიალოგების აგების იშვიათი დრამატული ოსტატობა და უფაქიზესი გრძნობების ამშლელი ლირიზმი“ (გვ. 35). ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში წარმოდგენილ მონარქიულ სისტემაში პოეტი ხედავს თავისი და თავის განათლებულ თანამედროვეთა ოცნებისა და იდეალის განხორციელების შესაძლებლობას – ქართველთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას. პოეტის განმანათლებლური ფილოსოფია ეყრდნობა მყარ საფუძველს, – ეს არის რწმენა ადამიანის გონებისა და ნებისყოფის ძლიერებისა, რწმენა მეგობრობის და სიყვარულის ძლევამოსილებისა. რუსთაველს მიაჩნია, რომ შეიძლება ბოროტება დაძლეულ იქნეს, ვინაიდან იგი წინასწარ და სამარადისოდ კი არ არის მოცემული, არამედ წარმოშობილია ადამიანთა ურთიერთობით. ავტორის თქმით, პოემის მთავარი გმირები „ოდნავ იდეალიზებული არიან“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რუსთაველისათვის შეექმნა მონოლითური ხასიათები ცოცხალი და კონკრეტული ადამიანური თვისებებით. მკვლევარი მოკლედ ახასიათებს ტარიელს, ავთანდილს, ფატმანს, როსტევანს, ფარსადანს და აღნიშნავს, რომ ისინი არიან ერთმანეთისგან ხასიათითა და ტემპერამენტით, ნებისყოფით.

ფითა და სულისკვეთებით განსხვავებული ტიპები; მორწმუნენი, მაგრამ არა ფანატიკოსნი.

ნარკვევის ავტორმა „ვეფხისტყაოსნი“ თარგმნა რუმინულ ენაზე. **გ. ა.**

523. შ. კეჭყმაძე

რუსთაველის სახელი მიეკუთვნა

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ-ნი), 1966, 25 ოქტომბერი, № 127, გვ. 3.

ავტორი – მახარაძის რაიონის სოფ. ნარუჯის ჩაის მეურნეობის დირექტორი – იუწყება, რომ მათ მეურნეობას მიეკუთვნა შოთა რუსთაველის სახელი. მეურნეობის ცენტრში დაიდგა რუსთაველის ძეგლი (ბიუსტი 1 მ. და 25 სმ), რომლის ავტორია მოქანდაკე კუკური ქინქლაძე. გაზეთში დაბეჭდილია ამ ბიუსტის ფოტოსურათი, აგრეთვე ფოტო მეორე ძეგლისა – შოთა მთელი ტანით – რომელიც დაუდგამთ რუსთაველის სახელობის ჭანიეთის კოლმეურნეობის ცენტრში. **გ. ა.**

524. გიორგი კვარაცხელია

რუსთაველი ბუნების შესახებ

გაზ. „ნაპერწკალი“ (ჩხოროწყუ), 1966, 22 თებ., № 22, გვ. 3.

ავტორი წერს: რუსთაველი, წინააღმდეგ რელიგიური მოძღვრებისა, ბუნებას ესთეტიკურ რეალობად აცხადებს და მას თავისთავად ღირებულებას ანიჭებს. ბუნების მშვენიერება ადამიანს ესთეტიკურ სიამოვნებას გვრის. ბუნება ზოგჯერ თითქოს თანაუგრძნობს ადამიანებს და ხარობს მათთან ერთად („მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა“...).

თუ, ბიბლიური თეოლოგიის თანახმად, ბუნების ყოველ მოვლენას ღმერთი წარმართავს, რუსთაველი პირიქით, „სოფლის ქმნის“ ანუ ბუნების მოქმედების კანონის შესახებ ლაპარაკობს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“... **გ. ა.**

525. შ. კვასცაძე

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათება

გაზ. „თბილისი“, 1966, 12 ოქტომბერი, № 240, გვ. 3.

ეხება ხელნაწერების (H-2074, H-54, H-599) მხატვრულ შემკულობასა და მინიატურებს. ავტორის აზრით, ამ ხელნაწერების და აგრეთვე S-5006, Q-1082-ის დამსურათებლები ქართველები არიან. აქვე განხილულია ბეჭდური გამოცემებისათვის შესრულებული ილუსტრაციები. **ც. ე.**

526. კირა კვეციანი

საზეიმოდ მოირთვება ქუთაისი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 3.

ცნობა რუსთაველის საიუბილეოდ ქუთაისელ მხატვართა ნამუშევრების შესახებ. სახელდობრ: ავტოქარხანაში ჩამოასხეს გ. ნიკოლაძის მიერ შესრულებული რუსთავე-

ლის ბარელიეფი, რომელსაც ახლავს ჭედური წარწერა – „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ქუთაისის რუსთაველის მოედნის მარჯვენა მხარეს დაფარავს ვ. მიზანდარის პანო – „გასეირნება ავაზებით“, სადაც გამოსახულია ცხენზე ამხედრებული თამარ მეფე და შოთა რუსთაველი მხლებელ-მეომრებთან ერთად. გ. დოლენჯაშვილმა და ა. მხეიძემ ქალაქს გადასცეს პანოები: „როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობის სცენა“, „ქაჯეთის ციხის აღება“, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“. გამოცხადდა კონკურსი რუსთაველის ძეგლზე და სხვა. **ბ. დ.**

527. გ. კვიციანი

ზეიმი ოხურიში

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 25 სექტ., №184, გვ. 4.

ავტორი გვაუწყებს, რომ ოჩამჩირის რ. სოფ. ოხურიში რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის წინ დაიდგა დიდი პოეტის ძეგლი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 23 სექტემბერს. ზეიმს მრავალი სტუმარი დაესწრო. შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა სკოლის პედაგოგმა ს. დარსანიამ.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ ავსტრალიელი მწერალი ჯეფრი დატონი, რუსი პოეტი ე. ევტუშენკო, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავჯდომარე ი. თარბა და სხვები. **გ. ა.**

528. მ. კიკვაძე

დ. კარიჭაშვილის რუსთველოლოგიური შეხედულებებიდან

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 21-23.

ავტორი ეხება დ. კარიჭაშვილის ნააზრევს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ. მისი გაგებით, პოემის სიუჟეტი ნასესხებია, რომელიც „პოეტს მხატვრული სრულყოფით აქვს დამუშავებული“, ხოლო „მის მიერ ასახულ სინამდვილეში უცხო ქვეყნებისა და ხალხების შესახებ ნაგულისხმევია მშობლიური ქვეყნის გარემო და ადამიანები“. მ. კიკვაძის დასკვნით, ეს შეხედულება „რუსთველოლოგიის განვლილი საფეხურებია, მაგრამ მას ახლაც მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიულ ასპექტში წარმოდგენის თვალსაზრისით“. **ბ. დ.**

529. აბელ კიკვაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ქარგა

ჟურ. „დროშა“, 1966, № 6, 7, 8.

ავტორი ფართო ისტორიული რეალიების შუქზე განიხილავს პოემის შექმნის თარიღის საკითხს. შეგვახსენებს, რომ XI-XII ს.ს. მანძილზე ფეოდალური ქართული სახელმწიფო წყობილების განვითარების ნიადაგზე შემუშავდა დარბაზობისა და ვა-

ზირობის, საერთოდ, სამეფო კარის მოქმედების რთული ეტიკეტი, რაც ნათლად მოწმობს ქართული კულტურის მნიშვნელობას მსოფლიო ასპარეზზე.

ავტორი უარყოფს საკმაოდ განმტკიცებულ ვერსიას იმის თაობაზე, თითქოს შვიდი სამეფოს იდეა ნასესხები იყოს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ა. კიკვიძე შენიშნავს, რომ შვიდი სამეფოს პოლიტიკური ტრადიცია კარგად ჩანს თამარ მეფის ისტორიკოსის ქმნილებაში და პოემაში დაცული ეს ტრადიცია არ შეიძლება მოვწყვიტოთ ეროვნულ ნიადაგს.

შვიდ სამეფოს გიორგი II დროს შეადგენდა: აფხაზეთი, ქართლი მესხეთითურთ, კახეთი, რანი (განჯა), სომხეთი, შარვანი და ერთად აღებული მაჰმადიან მფლობელთა საამიროები. შვიდი სამეფო, როგორც სრულიად საქართველოს შემადგენელი თემები, დადასტურებულია „ხელმწიფის კარის გარიგებითაც“.

საინტერესოა, შენიშნავს ავტორი, რომ „ვეფხისტყაოსანში სავსებით დაცულია მამულის და ქონების მნიშვნელობა იმგვარადვე, როგორც ეს თამარის ისტორიკოსს ესმის. „კარის გარიგებაშიც“ დაცულია საგულისხმო ცნობები სალაროსა და მოლარეების შესახებ, რაც „ვეფხისტყაოსანს“ კარგად უდგება. კერძოდ, „ყაბარჩა“, იგივე „ყაბაჩა“, აქ კაცის ტანსაცმელია, მაგრამ ყაბაჩა სცმიათ აგრეთვე ქალებსაც (სტრ. 1439, 1148). სალაროს უშუალო კავშირი ჰქონდა მეფის საწოლთან, მოლარეთუხუცესი მესაწოლეთუხუცესის მოადგილედ ითვლებოდა (მუხლი 7), რაც დადასტურებულია პოემის 102, 104 სტროფებში.

პოემაში ხშირად გვხვდება ლარი – ძვირფასი ქსოვილი, რომელიც დამოწმებულია „ხელმწიფის კარის გარიგებითაც“. აქ ასევე მოხსენიებულია ზარადხანა და მასში დაცული იარაღები, რაც მეორდება პოემის 1367, 1368, 1369 სტროფებში.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება „დარბაზის ერი“. ეს კი, ქართული სახელმწიფო დარბაზის შემადგენლობისდაგვარად, დარბაზის წევრთა საკრებულოა. პოემაში გატარებულია „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი იდეა, რომლის თანახმად, ხალხის ძლიერება ემყარება სახელმწიფოსა და მისი ცენტრის ძლიერებას.

ამრიგად, ასკვნის ავტორი, პოემაში ასახულია XII საუკ. საქართველოს სინამდვილე.

ი. კ.

530. ლ. კიკვიძე

საფრანგეთში აღნიშნავენ რუსთაველის იუბილეს

(გვესაუბრება „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელი სერგი წულაძე)

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 26 იანვარი, № 21, გვ. 4.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ ს. წულაძისეულ თარგმანზე, მაღალ შეფასებას აძლევს მას და საამისოდ იმოწმებს ფრანგი რენე ლაკოტისა და რუსი ალ. დეიჩის სიტყვებს.

ს. წულაძე მოგვითხრობს საფრანგეთის აკადემიის საზეიმო-საჯარო სხდომაზე, სადაც მას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის გადაეცა ლანგლუას სახელობის პრემია. ასევე, გვაცნობს საფრანგეთის გამოჩენლ მწერალთა და მეცნიერთა დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთაველის იუბილეს საფრანგეთში ფართოდ აღნიშვნისადმი.

ბ. დ.

531. ლ. კიკნაძე

გვიწვევენ იუბილეზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 2 სექტემბერი, № 200, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ მხატვრები ნოდარ მაღაზონია და დავით დუნდუა მუშაობენ რუსთაველის საიუბილეო პლაკატების, აფიშების, მოსაწვევი ბარათებისა და პროგრამების გაფორმებაზე. მათივე მხატვრული გაფორმებით გამოდის „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე (ს. წულაძის თარგმანი).

იბეჭდება თბილისის ტურისტული რუკა, რომლის მხატვრული გაფორმებაც ნ. მაღაზონიას ეკუთვნის.

გ. ა.

532. ბეჟან კილანავა

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი ადგილის გაგებისათვის

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 18 მარტი, № 11, გვ. 2.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ კონტექსტს და მიაჩნია, რომ ავთანდილისა და როსტევეანის კამათში უნდა აღდგეს H-757 ნუხაში დადასტურებული სტროფი: „როსტევეან უთხრა: მით მკადრე...“

ბ. დ.

533. პ. კირთაძე

შოთას გმირები ილუსტრაციებში

გაზ. „შრომის დროშა“, 1966, 4 ივნისი, № 64, გვ. 2.

წერილი ეძღვნება პოემის ილუსტრირებულ გამოცემებს. ცნობებს გვაწვდის 1888 წ. ქართველიშვილისეული გამოცემის შესახებ, რომელიც დაასურათა მ. ზიჩიმ. საუბარია მ. ზიჩის შესახებ, რომელიც პუშკინისა და ლერმონტოვის თხზულებათა ილუსტრაციებზე სამუშაოდ ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ იმდენად დააინტერესა და მოხიბლა პოემამ, რომ სრულიად უსასყიდლოდ დაასურათა იგი.

თ. ხ.

534. В. Кирилов

На языке Рудаки и Фирдоуси

გაზ. „Коммунист Таджикистана“, 1966, 25 სექტემბერი.

(თარგმანი კრებულში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, IV, 1985, გვ. 392–393).

ავტორი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები ტაჯიკურ ენაზე თარგმნეს რ. ჯალილმა, ა. დეჰოთიმ, მ. ამინ-ზადემ და ჯ. სუჰაილმა მ. თურსუნ-ზადეს ხელმძღვანელობით. ამჯერად რამდენიმე თავი თარგმნეს შ. ნოდირმა (16-მარცვლოვანი რუბაის საზომით), შ. მას-თონმა (ოთხტაეპიანი ლექსით) და ა. აღჰამმა (ორტაეპიანი ბეითით), რომლის თარგმანი ყველაზე სრულყოფილი გამოდგა.

ბ. დ.

535. **В. Кирилов**

Руставелские дни в Таджикистане

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 10 აგვისტო, № 186, გვ. 4.

ცნობა, რომ დუშანბეში გაიმართა ტაჯიკეთის მწერალთა კავშირისა და რუსთველის რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის ერთობლივი გაფართოებული სხდომა, რომელზედაც აღინიშნა: ქალაქებსა და სოფლებში მოეწყო რუსთველისადმი მიძღვნილი ლიტერატურული შეხვედრები, ბიბლიოთეკებში – გამოფენები. გამოიცემა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების ა. დეჰოთის, ჯ. სუჰაილის, შ. ნოდირის, ა. ადჰამისა და სხვათა ტაჯიკური თარგმანები. ჟურნალში დაიბეჭდება პოემის შ. მასთონის მიერ ნათარგმნი ნაწყვეტები და სხვა.

ბ. დ.

537. **ა. კლდიაშვილი**

სადღესასწაულოდ მორთული

გაზ. „თბილისი“, 1966, 15 სექტემბერი, № 217, გვ. 3.

საიუბილეოდ ემზადებიან ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები. რაიონში თავმოყრილია მრავალი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება, სადაც იმართება სესიები. მეცნიერები სხვა ორგანიზაციებშიც მართავენ ლექცია-მოხსენებებს. ამ მხრივ გამოირჩევიან შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერები. მრავალი ღონისძიებაა ჩაფიქრებული. მოეწყობა გამოფენები, შეხვედრები რუსთველოლოგებთან, რუსთაველის ეპოქის ხელნაწერთა გამოფენა და მრავალი სხვა.

ი. წ.

538. **Н. Кобцев**

Бессмертный „Витязь“

ჟურ. „Дон“, 1966, № 9, გვ. 183-186.

ნაშრომის თემაა რუსთაველის ჰუმანიზმი, რენესანსული იდეები, ფეოდალური მონარქია და სოციალური ურთიერთობები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანშია“ ასახული. ამ თვალსაზრისით, ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს XII საუკუნის საქართველოს რეალობას და პოემის მხატვრულ სინამდვილეს. აცხადებს, რომ რუსთაველის იდეალი სოციალური სამართლიანობაა. დამოწმებულია სტროფი: „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს“.

ლ. კ.

539. **ალექსანდრე კოკაია**

მგირფასი შენაძენი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 4.

ავტორი წერს, რომკ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო ახალი უნიკალური გამოცემებითა და დოკუმენტებით. მათ შორისაა „ვეფხისტყაოსნის“ 1943 წ. (ბერლინი) და 1945 წ. (მილანი) გამოცემები (იტალიური თარგმანი შ. ბერიძისა).

სომხეთის მიასნიკოვის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკიდან მივიღეთ ერთ დროს პროფ. ალ. ხახანაშვილის პირად ბიბლიოთეკაში არსებული, მისთვის პეტერბურგელი ქართველებისაგან მირთმეული „ვეფხისტყაოსანის“ 1888 წ. გამოცემა და ადრესი 70 კაცის ხელმოწერით, აგრეთვე, შოთა რუსთაველის სამი პორტრეტი: 1) ნ. თარხნიშვილის ქანდაკების ფოტო; 2) ბუროვის მიერ დახატული სურათი; 3) რუსთაველის პორტრეტი, გადმოღებული გაგარინის მიერ ძველი ხელნაწერიდან.

გ. ა.

540. ა. კოკაშვილი

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...“

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 2.

სტატია წარმოადგენს ფრონტულ თავგადასავალს. ავტორი მოგვითხრობს თავის ასეულის მეთაურის – უკრაინელი გუცენკოს შესახებ, რომელიც მას შემდეგ ექცეოდა გამორჩეული ყურადღებით, რაც ა. კოკაშვილის ქართველობის ამბავი შეიტყო. ერთხელ დამტვრეული ქართულითაც კი მიესალმა, თან სთხოვა, მისთვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ემოვნა. ეს დაინტერესება მას შემდეგ უგრძვნია, რაც ომის დროს ვიღაცისგან მოუსმენია სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ასმეთაურ გუცენკოს ერთი თვის მანძილზე პოემის სტროფები ზეპირად უსწავლია და რუსთაველისადმი საკუთარი ლექსიც მიუძღვნია. **თ. ბ.**

541. „კომუნისტის“ მოწინავე

უკვდავი მემკვიდრეობა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტ., № 221, გვ. 1.

სტატიაში საუბარია რუსთაველის ეროვნულ და საკაცობრიო მნიშვნელობაზე, რამაც განსაზღვრა ის, რომ მისი იუბილე მთელ მსოფლიოში აღინიშნება. „მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, – ვკითხულობთ სტატიაში, – რუსთაველისადმი ღრმა პატივისცემის ნიშნად, რომელმაც შუასაუკუნოებრივი მონობის ეპოქაში მიუწვდომელი სრულყოფით უმღერა სინათლის, მშვენიერების, კაცთმოყვარეობის, მამაცობის კეთილშობილურ გრძნობებს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ შოთა რუსთაველის იუბილე მსოფლიო მასშტაბით აღინიშნოს ...“ „...იუბილე თავისი შინაარსითა და ფორმით, თავისი მასშტაბურობითა და სადღესასწაულო შემართებით ჭეშმარიტ საერთო-სახალხო დღესასწაულად, მშობის, ერთობის, მშვიდობის, კაცთმოყვარეობის დღესასწაულად გადაიქცა.“ **ბ. დ.**

542. „კომუნისტის“ საკ. კორ.

ზეიმობს საქართველო

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს საინფორმაციო ცნობებს საქართველოს რაიონებში რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს მიმდინარეობაზე. ეწყობა საზეიმო სხდომები, საღამოები, სამუზეუმო გამოფენები, ლექციები, მოხსენებები, იდგმება რუსთაველის

ძეგლები. მისი სახელი აქვს მიკუთვნებული პედაგოგიურ ინსტიტუტს **ბათუმში** და მრავალ კოლმეურნეობას, სკოლას და ქუჩას **სოხუმში, ქუთაისში**. გამოიცა სპეციალური გაზეთი „რუსთაველი“. **ბორჯომში** „გოგიას ციხეზე“ აღმართულია რუსთაველის ბარელიეფი 48 მეტრის ზომისა. **რუსთაველი** რუსთაველის სახელის უკვდავსაყოფად რეკონსტრუქცია გაუკეთდა მისი სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც ერთ-ერთი განყოფილება მთლიანად მიძღვნილია რუსთაველისადმი. **თელავში** საიუბილეოდ ჩამოსული სტუმრები გაეცნენ იყალთოს აკადემიის ნაშთებს, სადაც, გადმოცემით, რუსთაველს უსწავლია და სადაც მოწყობილია რუსთაველის ეპოქის გამოფენა. **იყალთოში** გამართულ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ინგლისელი მწერალი ჰემრის ჰიუზი, უნგრელი მწერალი შიმონ იშტვანი, პოლონელი პოეტი ლეოპოლო ლევინი, რუსი მწერალი კონსტანტინე სიმონოვი. **ადიგენში** აღიმართა რუსთაველის ბიუსტი.

გ. ი.

543. „კომუნისტის“ მეთაური

მოსკოვის ესტუმრა დიდი მგოსანი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 ოქტომბერი, № 243, გვ. 1.

საინფორმაციო ცნობაში მიმოხილულია საქართველოში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს ჩატარების შემდეგ ზეიმის სამზადისი სსრკ-ს ქალაქებში.

გულთბილი შეხვედრა გაიმართა სერგეი ესენინის მშობლიურ ქალაქ **რიაზანში** და პოეტის სოფელ კონსტანტინოვოს სახლ-მუზეუმში. მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საგანგებო სამეცნიერო სესია. მოხსენებათა შორის საყურადღებო იყო საზღვარგარეთული ლიტერატურის ცნობილი მკვლევრის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის რ. სამარინის მოხსენება, რომელშიც განხილული იყო რუსთაველის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსკოვში, გრუზინსკაიას მოედნის სკვერში, უკვე აღმართულია რუსთაველის ძეგლი, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება 25 ოქტომბერს, დღის 3 საათზე. იმავე დღეს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართება შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო-კონცერტი, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვი და მოხსენებით გამოვა პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

გ. ი.

544. გაზ. „კომუნისტი“ [სარედაქციო განცხადება]

ერის დიდება და გენია

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 15 ივნისი, № 137, გვ. 1.

„ვეფხისტყაოსნის“ მოკლე დახასიათების შემდეგ გაზეთ „კომუნისტი“ რედაქცია იუწყება, რომ „იწყებს რუსთაველის იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით მასალების სისტემატურ ბეჭდვას“.

ბ. დ.

545. Н. Конрад

რუსთაველის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში

სიტყვა, წარმოთქმული შოთა რუსთაველის დაბ. 800 წლისთავისადმი მიძღვნილ

საქ. სსრ მეცნ. აკად. საერთო კრების საიუბილეო სესიაზე

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 200-207; აგრ. გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 3.

ნ. კონრადი აყალიბებს გლობალური რენესანსის თეორიას. მისი აზრით, რენესანსი იწყება ჩინეთში, შემდეგ ჩნდება სპარსეთში, შემდეგ ამიერკავკასიაში, უფრო გვიან – ევროპაში. ამ ჯაჭვში „ვეფხისტყაოსანი“ შუა ადგილზეა – „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანისა“ და ნიჰამის პოემების შემდეგ. ნ. კონრადი „ვეფხისტყაოსანს“ წყვეტს ქრისტიანული ლიტერატურიდან და აღმოსავლურ მწერლობას მიაკუთვნებს, მაგრამ დამაჯერებლად ვერ ასაბუთებს, თუ ტიპოლოგიურად რა აქვს მას საერთო ნიჰამისა და ნავაის პოემებთან.

ნ. კონრადის თეორიის კრიტიკა იხ.: რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიული ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 204-212. **გ. ა.**

546. Н. Конрад

Об Эпохе Возрождения

წიგნში: „Запад и Восток, Главная редакция восточной литературы“, Москва, 1966, 520 გვ.

ავტორი აღორძინების მსოფლიო პრობლემაზე მსჯელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ რენესანსის ეპოქაზე აღმოსავლეთმცოდნეებიც ლაპარაკობენ და მიუთითებს 1947 წ. შ. ნუცუბიძის მიერ გამოცემულ წიგნზე „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (რუსულად), რომელშიც დიდი ქართველი პოეტის რუსთაველის დრო, XII-XIII საუკუნეები, გაგებულა როგორც რენესანსი. 1948 წელს ივ. ჯავახიშვილმა თავის წიგნში „ქართველი ერის ისტორია“ ისე დაახასიათა თავისი ქვეყნის XI-XII საუკუნეთა ისტორია, როგორც დრო, რომელიც ისტორიული შინაარსით ახლოს დგას დასავლეთ ევროპული ქვეყნების ისტორიის იმ ეპოქასთან, რომელსაც რენესანსი ეწოდება. ვ. ჭანტურია 1961 წ. გამოცემულ ნაშრომში „XI-XII საუკუნეთა ქართული ჰუმანიზმის პედაგოგიკა“ ასაბუთებდა, რომ ამ ხანების პედაგოგიური იდეები სწორედ ასეთი ეპოქის არსებობას ადასტურებენ (გვ. 241).

ამასთან ავტორი აღნიშნავს, რომ ძველ ხალხთა ჯგუფს ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორიით, მდიდარი და ძველი კულტურით ეკუთვნიან ქართველებიც, რომელთაც ჩვენ ერამდე III საუკუნეში უკვე ჰქონდათ თავისი სახელმწიფო ცხოვრება (გვ. 242). **გ. ი.**

547. ალექსანდრე კორნიეჩუკი

[საყოველთაო სიყვარული]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 3.

ავტორი ამბობს: „შოთა რუსთაველი თავის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ წარმოგვიდგება, როგორც პირველი სრულიად საკაცობრიო ჰუმანიტი. მისი პოემა მემბოხე რენესანსის ნაწარმოებია. შუა საუკუნეების ბრძოლებში რუსთაველი იბრძვის ახა-

ლი ფორმაციის ადამიანისათვის, გონების პრიმატისათვის. მისი გმირები უმაღლესი კულტურის წარმომადგენლები არიან“.

ბ. დ.

548. ვახტანგ კოტეტიშვილი

ხალხური „ამბავი ტარიელისას“ თეატრალური შესრულება

საგაზაფხულო ცერემონიალთან დაკავშირებით

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 16 სექტ., № 38, გვ. 2-3.

(ნარკვევი მოხსენებად იყო წაკითხული 1937 წლის 5 ოქტომბერს თბილისში ბელოვანების მუშაკთა სახლში. ეს პირველი პუბლიკაციაა მეცნიერის პირადი არქივიდან).

ავტორის აზრით, ხალხური „ამბავი ტარიელისას“ ქართულ ზღაპართა წრეს ეკუთვნის და ეს ზღაპრისმიერი მომენტი იმდენად ძლიერია, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსაც“ მოუშორებელ თვისებასავით გაჰყვა. ზღაპრის ფაბულა ასეთია: **x**-ს უყვარს **y**. **z**-ის მიზეზით **y** დაიკარგება. **x** ეძებს და მრავალი დაბრკოლებით დაძლევის შემდეგ იპოვნის და დაიბრუნებს.

ხალხურ „ტარიელიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ არის ზღაპრისათვის ტიპური მოტივები: ქალის წყალში გადაგდება, ქაჯების მიერ მოტაცება, სამი გმირის მიერ ძებნა, ბეჭედი, როგორც ცნობის საშუალება და სხვ.

„ამბავი ტარიელისას“ წარმოდგენილია პროზისა და ლექსის ნარევი ტექსტით. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს ფორმა „ამბის“ სადღესასწაულო შესრულების წესიდან მომდინარეობს. „ამბავი ტარიელისას“ ოდესღაც მოქმედებით სახიერდებოდა. მას ასრულებდა გუნდი, სადაც მთქმელი (მთხრობელი) და მომღერლები მონაწილეობდნენ. მთქმელი მოუთხრობდა გარკვეულ ეპიზოდს, გუნდი კი სიმღერით იმეორებდა ან მთქმელის კითხვას პასუხობდა. მკვლევარს ასეთი ეპიკური გამეორების მაგალითები მოჰყავს საკვლევი ტექსტიდან, აგრეთვე იმოწმებს უძველეს ეპიკურ ძეგლებს („გილგამეშის ეპოსი“, „რამაიანა“, ბერძნული დითირამბები, ფრანკების თქმულება ვილჰელმზე და სხვ.).

ხალხური სუფრული სიმღერები: „ბინდის ფერია სოფელი“, „ზამთარი“, „ინდომინდი“, „ავთანდილ გადინადირა“ მკვლევრის აზრით, იმ ტიპის ფრაგმენტებია, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა თავის პოემაში შეიტანა, „რასაკვირველია – სახეცვლილი და ახალ კომპოზიციაში მოყვანილი“.

გ. ა.

549. ფარნაოზ კოტეტიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეპოქის ამსახველი რომანი

ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, XXXI სამეცნიერო სესია, 19. IV-21. IV.; მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები., თბ., 1966 გვ. 26-28.

ავტორის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ ბევრ ისეთ მასალას იძლევა, რომლის მიხედვითაც შეიძლება კონკრეტული ეპოქის წარმოდგენა. ამ მხრივ საინტერესოა გმირთა რეალურ-ყოფითი ბუნება. საპირისპიროდ ზოგადად გავრცელებული აზრისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები იდეალური ადამიანების სახეები არიან, მათ ქცევა-მოქმედებაში აშკარად შეინიშნება ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული მანკიერებანიც. ეს ის ეპოქაა, როცა ფულს მოუპოვებია დამანგრეველი, ჯოჯოხეთური ძალა.

„ვეფხისტყაოსანში“ ბევრი მკაფიო სურათი გვაქვს რენესანსული პერიოდი-სათვის ნიშნული „თავისუფალი“ ცხოვრებისა. ეპოქასთან „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება შეიძლება არა მარტო ეპოქის ისტორიულ-კონკრეტული მასალის გათვალისწინებით, არამედ თვით ამ მხატვრული ნაწარმოებით, რომელიც დროის სულისკვეთებასა და იდეალებთან ერთად იძლევა ეპოქის არსებით სახეს. **გ. ი.**

550. Карл Краулинъ

[Песнь пробуждения]

გაზ. „Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველმა ქუფრ შუასაუკუნეებში, ევროპული ჰუმანიზმის განთიადამდე გამოაცხადა ახალი ეპოქის დაწყება ადამიანების აზროვნებაში და თავის დაუჭუნობელ თხზულებაში ხორცი შეასხა კეთილშობილურ იდეალებს. ეს საქმე მოითხოვდა გენიალობას, შორსმჭვრეტელობასა და გაბედულებას. „ვეფხისტყაოსანი“ გამოღვიძების სიმღერაა ფეოდალური მონობის დამეში, მყდერი სახოტბო სიმღერაა მატერიალური სამყაროს მშვენიერებისა, ადამიანური ჰეროიზმის სიდიადისა, სიკეთისა და სამართლიანობის სასიცოცხლო ძალისა.

ლატვიელი ხალხი ქართველებთან და სხვა ერებთან ერთად ზეიმობს შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს. **გ. ა.**

551. გ. კუნჭულია

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაზე

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 25 ოქტომბერი, № 127, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ მახარაძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ათ დღეს იყო გამოფენილი რაიონის მოსწავლეთა ნამუშევრები, მიძღვნილი შოთა რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემისადმი. წარმოდგენილი იყო ჭედურობით ნაკეთი და მარმარილოში გამოკვეთილი პორტრეტები, ტუშით და ზეთით შესრულებული ილუსტრაციები, მხატვრული პანოები: „მგოსნის უკვდავება“, „შოთა რუსთაველის ეპოქა“ და სხვ.

მოეწყო კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაში, რომელშიც რაიონის სკოლების 280 მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის – რუსული სკოლებიდანაც. **გ. ა.**

552. [გ. კუპრაშვილი]

მისი ტრფიალი

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 24 სექტემბერი, № 225, გვ. 3.

წერილი გოგუცა კუპრაშვილის მოგონებაა დედაზე, რომელიც წარმოშობით მესხეთიდან, იმ დროისათვის მეტად განათლებული ოჯახიდან იყო. გოგუცას მამას იგი მოუტაცია. გაჯავრებულ ოჯახს მისთვის მზითევი არ მიუცია, გარდა საგვარეულო განძის – „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ქალიშვილებზე გადადიოდა მემკვიდრეობით. დედა, რომელსაც 12 შვილი ჰყოლია, ხშირად ესაუბრებოდა მათ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ენით. მას ზეპირად სცოდნია მთელი პოემა, მაგრამ მაინც

ხშირად კითხულობდა. „მინდა შვი-ლებს ყურში ჩაუჯდესო“. „ვეფხისტყაოსანი“ იყო მისი ტრფიალი. შერიგებულ მშობ-ლებს გამოუგზავნიათ აგრეთვე ქართული „ლო-ტო“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების საფუძველზე ყოფილა შედგენილი.

ი. წ.

553. **Г. Курганели**

Благородный труд переводчиков

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 146-147.

ნაშრომის თემაა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები. ავტორი ყურადღებას ამახვი-ლებს ვ. ბალმონტისა და მ. ბაჟანისეულ თარგმანებზე. აღნიშნავს, რომ რუსულ ენაზე პოემის გადატანა სცადეს პ. ანტოკოლსკიმ, ვ. დერჟავინმა, ს. კლიჩკოვმა და სხვებმა, სრული თარგმანები კი მოგვცეს პ. პეტრენკომ, გ. ცაგარელმა, ნ. ზაბოლოცკიმ და შ. ნუცუბიძემ.

ავტორი ეხება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს აზერბაიჯანულ, სომ-ხურ და სხვა ენებზე. იმედოვნებს, რომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის შემდეგ კვლავაც გაჩნდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, სრული თარგმანები.

ლ. კ.

554. **С. Курилов**

На беломорском севере

გაზ. „Заря Востока“, 1966, 30 სექტემბერი, № 225, გვ. 2.

ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი შორეულ ჩრდილოეთში. ქ. არხანგელსკის საოლქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურული გამოფენა. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ს. ქობულაძის მიერ გაფორმე-ბული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. ასევე დიდ მოწონებას იმსახურებს გოლცევის მი-ერ გამოცემული კრებული, რომელშიც არის დაბეჭდილი კრიტიკული სტატიები.

ი. წ.

555. **შ. კურტანიძე**

დიდ პოეტს მიეძვნა

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 2 აგვისტო, № 179, გვ. 3.

საჩხერის ავ. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლამ კულტურის სახლში მოაწ-ყო რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. სიტყვებით გამოვიდნენ: გ. სადუ-ნიშვილი, ნ. პაპიძე, ნ. ტეფნაძე, ნ. ქავთარაძე, ნ. ქამუშაძე. საღამოში მონაწილეობა მი-იღეს: თ. თუშიშვილმა, ლ. ადამიამ, ს. ცომიაიმ. საპატიო სტუმრად მიწვეული იყო ცნო-ბილი მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.

ი. წ.

556. **ვ. კუტალაძე**

დიდი მზადება

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 22 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

თერჯოლის რაიონში ემზადებიან შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის-თავის აღსანიშნავად. ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები. ბიბლიოთეკამ

მოაწყო გამოფენა, გამოუმუშა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი. რაიონულ ცენტრში აღიმართება 4 მეტრი სიმაღლის რუსთაველის ბარელიეფი. **ი. წ.**

557. ს. კუჭავა

ლექციები დიდ პოეტზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 18 აგვისტო, № 193, გვ. 3.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად ცხაკაიას რაიონის დაწესებულებებში ხშირად ეწყობა ლექციები, საუბრები. ამ დღეებში საქ. კ. პ. ცხაკაიას რაიკომის სხდომათა დარბაზში, საზ. „ცოდნას“ ლექტორმა, დოცენტმა ე. შუშანიამ წაიკითხა ლექცია თემაზე: „ვეფხისტყაოსნის“ საკაცობრიო მნიშვნელობა“. დოც. დ. ქორიძის მოხსენების თემა იყო „შოთა რუსთაველის ცხოვრება და შემოქმედება“.

ი. წ.

558. ვ. ლადიმერიძე

დაუვიწყარი

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 5 ოქტომბერი, № 40, გვ. 3.

ავტორის ცნობით, თბილისის I გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს რუსთაველის ცხოვრების ამსახველი გამოფენა, შოთას აფორიზმებით გააფორმეს საკლასო ოთახები, დაამზადეს პოემის ილუსტრაციების ალბომი, მოაწყვეს საიუბილეო საღამო, წარმოადგინეს ეპიზოდები „ვეფხისტყაოსნიდან“, აჟღერდა შოთას სტრიქონებზე შექმნილი სიმღერები.

თ. ბ.

559. არტურ ლაისტი

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 4.

მკვლევარი და მთარგმნელი წერს: „რუსთაველის უკვდავ პოემას ბევრი მსგავსება აქვს მისი თანამედროვე გერმანელი პოეტის ვოლფრამ ფონ-ემენბახის „პარციფალთან“. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ პოეტი შოთა რუსთაველი შეუდარებლად უფრო თავისუფალ შემოქმედად გვევლინება ვინემ ემენბახი, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია რელიგიური დოგმებისა და საეკლესიო სწავლა – მოძღვრებათა ხლართისაგან“.

გ. ა.

560. ა. ლაისტი

[რუსთაველი]

გაზ. „Заря Востока“, 1966, 30 სექტემბერი, № 225, გვ. 3.

რუსთაველი ძველი ქართული კულტურის ზენიტია, ფილოსოფოსი, მორალისტი, ტკბილხმიანი პოეტი. იგი წარმოჩნდა, როგორც ქართველი ხალხის სულიერი ძალის გამომხატველი. იგი იყო და ყოველთვის იქნება აღმზრდელი და მასწავლებელი. მისი შემოქმედება მდიდარი განძია ადამიანის სულიერებისა.

ი. წ.

561. [ნ. ლაიშვილი]

შოთა რუსთაველი
(დაბადების 800 წლისთავი)

ლიტერატურის სარეკომენდაციო სია შემდგენელი: ნ. ლაიშვილი, თბილისი, 1966, 32 გვ.

შემდგენელის აზრით, ლიტერატურის სარეკომენდაციო სია მიზნად ისახავს სათანადო დახმარება აღმოუჩინოს მკითხველს რუსთაველოლოგიური ლიტერატურის შერჩევის საქმეში. საძიებელი შედგება 11 განყოფილებისაგან.

1. რუსთაველის შემოქმედება
2. ლიტერატურა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ
3. რუსთაველის მსოფლმხედველობა და ესთეტიკა
4. „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა
5. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემების შესახებ
6. „ვეფხისტყაოსნის“ ენა
7. ხელნაწერები
8. თარგმანები
9. რუსთაველი ხელოვნებასა და ლიტერატურაში
10. რუსთაველი ხალხურ შემოქმედებაში
11. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები **თ. ხ.**

562. ნ. ლაიშვილი

სტუმრად იყო შოთას სიტყვა

გაზ. „თბილისი“, 1966, 14 ნოემბერი, № 266, გვ. 3.

საიუბილეო დღეებში კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მოაწყო მოძმე რესპუბლიკებში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრის კვირეული. პირველი საიუბილეო საღამო გაიმართა ნალჩიკში. იქ მცხოვრები ქართველები დიდი ინტერესით ისმენდნენ მოხსენებებს „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურ შემოქმედზე. მსგავსი ღონისძიება მოეწყო ჩეგემის კულტურის სახლში. განსაკუთრებით დასახსომებელი იყო ნოვო-ივანოვკაში გამართული საიუბილეო საღამო, სადაც 120 ქართული ოჯახი ცხოვრობს. მათ საჩუქრად გადაეცათ 300-ზე მეტი ქართული წიგნი და გენიალური პოეტის ბიუსტი, ფირზე ჩაწერილი ქართული სიმღერები და ქართული ხალხური საკრავი ინსტრუმენტები. შემდეგ ეწვივნენ ქ. ორჯონიკიძის ა. წერეთლის სახელობის ქართულ საშუალო სკოლას. ამაღელვებელი იყო ყველა გამომსვლელის სიტყვა. თანამემამულეებთან სტუმრობამ ერთ კვირას გასტანა. **ი. წ.**

563. დევიდ მ. ლანგი

ვამაყობთ

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ. № 219, გვ. 5;
აგრ. „Вечер. Тбилиси“, 1966, 28 სენტ. გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობას რუსთაველის იუბილეს ჩატარების შესახებ „დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ როგორც ინგლისში, ისე ამერიკაში“. 1965 წელს მან ამე-

რიკის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გენერალური ასამბლეის სხდომაზე ჩიკაგოში წაიკითხა მოხსენება „შოთა რუსთაველი და შუა საუკუნეების ქართული ეპოსი“. ამჟამად დაგეგმილია: 1966 წელს ინგლისში გაიმართება ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი და იქ გამოვა მოხსენებით „შოთა რუსთაველი –1166-1966“.

მკვლევარი საუბრობს აგრეთვე მარჯორი და ოლივერ უორდროპების მოღვაწეობასა და ოქსფორდის „ბოდლენის“ ბიბლიოთეკაში დაცულ „ვეფხისტყაოსანზე“.

ბ. დ.

564. Дэвид М. Ланг

В преддверии юбилея

გაზ. „Заря Востока“, 1966, 23 სექტემბერი, № 219, გვ. 4.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს მარჯორი და ოლივერ უორდროპების მოღვაწეობას, რისი წყალობითაც ინგლისელი ხალხი ერთ-ერთი პირველი გაეცნო რუსთაველს, საქართველოს, აღნიშნავს, რომ ოქსფორდში შეიქმნა საგანგებო ფონდი, რომლის მიზანი იყო ქართული ენისა და კულტურის შესწავლის ყველა მსურველის წახალისება. გარდა ამისა, იგი აფინანსებდა მრავალრიცხოვან ლექციებსა და საჭირო გამოცემებს, როგორცაა, მაგალითად, ეკა ჩერქეზის „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“.

დასასრულ, ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ საიუბილეო დღეებში ქართველ და ინგლისელ მოღვაწეთა შეხვედრა კიდევ უფრო მჭიდროს გახდის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას.

თ. ბ.

565. Д. Ланг

Работает интерес к старне поэтов

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 1.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ ლანგი სიამაყით აღნიშნავს, რომ ინგლისელები ერთ-ერთნი პირველთაგანნი გაეცნენ „ვეფხისტყაოსანს“ მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანით, რომელიც ლონდონში 1912 წელს გამოიცა, რომლის განმეორებული გამოცემა კიდევ განხორციელდება. საქართველოში წამოსვლამდე დ. ლანგი ოქსფორდის უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სესიაზე გამოსულა მოხსენებით შოთა რუსთაველის შესახებ, რომელსაც საქართველოდან დასწრებიან მსოფლიო ბიზანტიოლოგიის კონგრესის დელეგატები ნათელა კეჭალმაძე და ნოდარ ლომოური.

ლონდონში მზადდება ვენერა ურუშაძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის გამოცემა. თვითონ დევიდ ლანგს 1964-1965 წლებში კალიფორნიის უნივერსიტეტში დაუარსებია ქართველოლოგიის კათედრა და გამოსულა მოხსენებით: „შოთა რუსთაველი და ქართული შუასაუკუნეთა ეპოსი“. დევიდ ლანგის მიერ გამოცემულ წიგნში „ქართველები“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული კულტურის და განსაკუთრებით რუსთაველის შემოქმედების საკითხებს. ავტორი აღნიშნავს, რომ მას კონსულტაციებით ეხმარებოდნენ ა. შანიძე, გ. წერეთელი, ვ. ბერიძე.

გ. ი.

566. ვ. ლაფერაშვილი

საუკუნეთა გადაძახილი

გაზ. „Заря Востока“, 1966, 3 სექტ., გვ. 3; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 25 სექტ., № 226, გვ. 3.

ავტორის თქმით, რუსთაველის საკაცობრიო იდეალების გადაძახილი საუკუნეების მანძილზე სისხლხორცეულად აკავშირებს არა მარტო თანამედროვე ქართველ პოეტებს, მოძმე რესპუბლიკების პოეტებმაც განიცადეს რუსთაველის სიბრძნის ცხოველმყოფელობა. ავტორს მხედველობაში აქვს ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედება, მისი შემოქმედებითი გადაძახილები რუსთაველთან, იმოწმებს ლექსს „ვლადიკავკაზი-თბილისი“, რომელშიც საქართველო და რუსთაველი იხსენიება. ლექსი 1924 წელს დაიწერა. აღნიშნულია ისიც, რომ ვ. მაიაკოვსკი დედანში კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“.

ლ. კ.

567. რენე ლაფონი

[ვეფხისტყაოსანი]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტემბერი, № 221, გვ. 3.

თავის ინტერვიუში რ. ლაფონი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ აღნიშნავს, რომ „ეს ნაწარმოები შესანიშნავი ქმნილებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაიცნოს და დააფასოს მთელმა მსოფლიომ“. შემდეგ უმაღლეს შეფასებას აძლევს პოემის ს. წულადისეულ ფრანგულ თარგმანს.

ბ. დ.

568. ჰალდორ ლაქსნესი

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „ლიტ. საქ.“, 1966, 23 სექტ., №39, გვ. 2; „ლენ. დროშა“ (მახ. რ.), 1966, 25 ოქტ., №127, გვ. 3.

ავტორი წერს: „თუმცა მე ქართული ენა არ ვიცი და უკვდავ პოემას – „ვეფხისტყაოსანს“ – ფრანგულ ენაზე ვკითხულობდი და ვსწავლობდი, მაინც გავიგე და ვიგრძენი არა მარტო ეპოქის მომხიბლავი გმირობა, არამედ მარადიულ ღირებულებათა, ხალხური სიბრძნის, ერთგულების, მეგობრობისა და სიყვარულის შესანიშნავი გამარჯვება. ამიტომ არის რუსთაველის პოემა ასე ახლობელი სხვადასხვა ეპოქის ხალხებისათვის, და ჩემთვისაც“.

გ. ა.

569. Л. Лагидзе

Руставели и документальное кино

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 17 სექტემბერი, № 219, გვ. 3.

სტატიაში საუბარია დოკუმენტური კინონარკვევის – „შოთა რუსთაველის“ შესახებ (სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორები: ბ. ბურავლიოვი, ფ. ვისოცკი, ო. მარგიანი, ვ. მიქაბერიძე, ნ. ნაგორნი). მიმოხილული და შეფასებულია ყველა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც შევიდა ფილმში და რომელიც რუსთაველის ეპოქით დაინტერესებული მაყურებლისთვის მეტად საყურადღებო კინომასალაა.

თ. ხ.

570. **Г. Лебанидзе**

Руставели посвящается

გაზ. „Правда“, 1966, 27 სექტემბერი, № 270, გვ. 3.

ავტორის ცნობით, გაიხსნა საქართველოს და საბჭოთა კავშირის მწერალთა ერთიანებული პლენუმი, მიძღვნილი რუსთაველის 800 წლისთავისადმი. მოკლე სიტყვით გამოვიდა გ. მარკოვი, სტუმრებს მიესალმა ვ. მჟავანაძე. მოხსენება „შოთა რუსთაველი და მსოფლიო ლიტერატურა“ წაიკითხა ნ. ტიხონოვმა. რუსთაველის შემოქმედებაზე ისაუბრა ბ. ჟღენტმა. სიტყვით გამოვიდნენ საბჭოთა მწერლები და უცხოელი სტუმრები.

ლ. კ.

571. **ნ. ლეზანიძე**

უბადო ქმნილება

(რას მოგვითხრობენ ჟურნალ-გაზეთები)

გაზ. „თბილისი“, 1966, 17 აგვისტო, № 192, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს XIX საუკუნეში და XX-ის დასაწყისის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ რუსთაველოლოგიურ მასალებს: „ცისკარში“ (1870 წლის ივნისი) მ. ბროსეს, კაზიმირ ლაბჩინსკის, „ივერიაში“ (1884, № 7-8) ა. ბობრინსკის, არტურ ლაისტის, სუტნერის, „დროებაში“ (1884, № 174) ა. ბობრინსკის, „ივერიაში“ (1888, № 171) მორფილის, იმავე გაზეთში (1889, № 200) მეფე ოსკარ მეორის, „კვალში“ (1894, № 22) ო. უორდროპის, „საქართველოს მოამბესა“ (1909, № 8) და „სახალხო გაზეთში“ (1912, № 633, 634) მ. უორდროპის რუსთაველოლოგიურ ღვაწლზე.

ბ. დ.

572. **С. Лекишвили**

Испитание времени

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 13 ივლისი, № 162, გვ. 2.

სტატიაში საუბარია რუსული საზოგადოებისათვის შოთა რუსთაველისა და მისი პოემის გაცნობასა და პოპულარიზაციაში ე. ბოლხოვიტინოვის, ი. ორლოვის, ა. ხომკოს, პ. დუბროვსკის, ი. ბარტდინსკის, ი. სლივიცკის, ნ. გულაკის, ე. სტალინსკის, მ. კლოდტის, ლ. ლაგორის, ფ. სოლოგუბის, ნ. ხარლამოვისა და სხვათა დასახურებაზე.

ბ. დ.

573. **Д. Леонидов**

Шота Руставели

ჟურ. „Литература в школе“, 1966, № 5, გვ. 94-96.

ავტორი საუბრობს ქართველი ხალხის სიყვარულზე რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. ამ სიყვარულის მიზეზად ის ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი მაღალხეობრივი თვისებების წარმოჩენას, რუსთაველის სიბრძნე-გონიერებას, პოემის უმდიდრესი პოეტური სამყაროს მაღალოსტატურად ასახვას მიიჩნევს.

ცალკე გამოყოფილია აფორიზმები, ავტორი მიმოიხილავს და აანალიზებს მათ ღრმა ფილოსოფიურ არსს.

თ. ხ.

574. გიორგი ლეონიძე

დადგით მესხეთში აკვნები!

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 6.

პოეტი მიესალმება რუსთაველის მშობელ მხარეს: „ძვირფასო დებო, მეგობრებო, მესხნო-ახალციხელნო! ანაზღაურდი ავადმყოფობის გამო, ალბათ, ვერ დავესწრებო რუსთაველის იუბილეს და ნება მომეცით, ორიოდ სიტყვით მაინც მოგილოცოდ დიდი „მესხი მელექის“ ზეიმის დაწყება შოთას მშობლიურ კუთხეში, რუსთაველის მხარეში... წლევანდელი წელი მას ეკუთვნის“.

გ. ლეონიძე აღნიშნავს, რომ მესხეთი არის კერა და სააკვნე დიდ მხატვართა, მეცნიერთა, სარდალთა და სახელმწიფო მოღვაწეთა. მათი სახელები ჩვენ მოგვაგონებს ჩვენს მოვალეობას – მამულიშვილობისას, ჩვენი ქვეყნის აღორძინებასა და გაძლიერებაში, ჩვენი წვლილის შეტანისას, კერძოდ, მესხეთის პატრონობისას. „ვეფხისტყაოსანი“ ყოველწამიერად გაგვახსენებს ქართული ენის ფაქიზად შენახვას, ზნეობის დაცვას, ერის გამრავლებას.

დადგით მესხეთში აკვნები! ეს იქნება თქვენი წვლილი რუსთაველის სადიდებლად.

გ. ა.

575. დ. ლიაშკევიჩი

მოსკოვი იუბილეს დღეებში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 3.

ავტორი იუწყება: სსრკ მწერალთა კავშირმა და რუსთაველის 800 წლისთავის საკავშირო საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტეს 13-დან 24 ოქტომბრამდე მოსკოვში, რიაზანსა და ლენინგრადში ჩაატარონ ქართული პოეზიის დღეები, რომელიც მიეძღვნება გენიალური ქართველი პოეტის იუბილეს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი მწერლები და კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

13, 14, 15, 19 და 20 ოქტომბერს შეხვედრები გაიმართება მოსკოვის სხვადასხვა რაიონის საკონცერტო დარბაზებსა და კულტურის სახლებში. 16 და 17 ოქტომბერს ქართველი მწერლები და მსახიობები ეწვევიან ქ. რიაზანს, ხოლო 21-23 ოქტომბერს – ქ. ლენინგრადს.

25 ოქტომბერს გაიმართება დიდი საზეიმო საღამო სსრკ სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

გ. ა.

576. ოლაგი ლინუსი

მშობელი ერის სარკე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 25 ნოემბერი, № 48, გვ. 4.ბ

ოლაგი ლინუსი ფინელი მწერალია, რომელმაც საიუბილეო დღეებში ფინურ გაზეთ „კანსას ლუდისეტ“-ში („სახალხო უწყებანი“) გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყა-

ოსნის“ შესახებ. ამ პოემას იგი მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანის საშუალებით გასცნობია.

წერილის ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქას, საუბრობს პოემის შესახებ, უწოდებს მას „წმინდა სიყვარულისა და ერთგული მეგობრობის გამოხატულებას“.

ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ერის სულის სარკედ მიიჩნევს, რომელიც კაცობრიობის კუთვნილებაა „ოდისეასთან“, „როლანდის სიმღერასა“ და „ღვთაებრივ კომედიასთან“ ერთად.

თ. ხ.

577. ივანე ლოლაშვილი

რუსთაველი და მისი დრო

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 9, გვ. 51-57.

ნარკვევის ძირითადი მიზანია იმის დასაბუთება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უკუფენილია თამარის დროინდელი ცხოვრება და კულტურული გარემო. რუსთაველი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანის, პატრონყმური ფეოდალური არისტოკრატიული ცხოვრების, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნაყოფია. რუსთაველის სამწერლო მოღვაწეობა მთლიანად ემთხვევა თამარის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ცნობებს მყარი ისტორიული საფუძველი მოენახება, რაც ობიექტურად აყენებს „ვეფხისტყაოსნის“ „ისტორიზმის“ პრობლემას, კერძოდ იმის გარკვევას, თუ როგორ აისახა პოემაში თამარის ცხოვრების ეპიზოდები და რა ურთიერთობა არსებობდა მეფექალსა და პოეტს შორის (გვ. 51.).

ავტორი ქართული მატთანების ცნობების, კლასიკური ქართული მწერლობის ძეგლებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენებათა შედარებითი ანალიზით ასკვნის, რომ პოემა ეხმაურება საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს. მასში ასახულია განვითარებული პატრონყმური ფეოდალიზმის ხანა, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური გარემო, სახელმწიფოებრივი სისტემა და წოდებრივი ურთიერთობის გამომხატველი წესები და ტერმინები მთლიანად ქართულია (გვ. 52.). რუსთაველი მიემხრო თამარის გამეფებისათვის მებრძოლ პროგრესულ მიმდინარეობას და „ვეფხისტყაოსანში“ დააყენა და დადებითად გადაჭრა ქალის სახელმწიფოებრივი უფლების საკითხი. პოეტმა მხატვრულად ასახა ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი თამარის დროინდელი ორი პოლიტიკური მიმდინარეობა (გვ. 54.). უნდა ვირწმუნოთ, რომ თინათინის გამეფების ეპიზოდში ისტორიული სიზუსტითაა აღწერილი 1178 წელს მომხდარი პოლიტიკური ფაქტი – გიორგი მესამის მიერ თამარის კურთხევა მეფედ (გვ. 55.). რუსთაველმა მკაცრად გაილაშქრა ქალ-ვაჟის ძალდატანებითი შეუღლების წინააღმდეგ, დაგმო იძულებითი ქორწინება და ცოლქმრული ურთიერთობის საფუძველად სიყვარული აღიარა. ქალის უფლებების დაცვისათვის რუსთაველმა გამოიყვანა ტახტის მემკვიდრე ნესტანი, რომლის ბიოგრაფიაში მკვლევარი ამჩნევს თამარის ცხოვრების „ცალკეულ ხაზებს“, როგორც ამას უშვებდა პ. ინგოროყვა (გვ. 56.).

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ თამარისა და შოთას მიჯნურობა, როგორც კვლევის საგანი, უკვე მოძველდა. რუსთაველი თამარს ადიდებს როგორც სახელმწიფო მოღვაწეს.

გ. ი.

578. ი. ლოლაშვილი

რუსთველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, თბილისი, 1966, გვ. 32-87.

წერილი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. ისტორიული სინამდვილის ასახვა „ვეფხისტყაოსანში“,
2. ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება და რუსთველი. პირველ ნაწილში გატარებულია აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანს“ პოეტმა საფუძვლად დაუდო ორი ისტორიული ფაქტი: თამარის გამეფება და მისი იძულებითი გათხოვება გიორგი რუსზე. პირველი ფაქტი მხატვრულად აისახა როსტეველისაგან თინათინის გამეფების ამბავში. მეორე – ნესტან-დარეჯანის ტრაგედიულ ცხოვრებაში.

მეორე ნაწილში მკვლევარი განიხილავს შეხედულებებს რუსთველის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობის შესახებ. კერძოდ, უარყოფს ნეოპლატონიზმისა და პანთეიზმის გავლენას, გარკვეული შენიშვნებით იზიარებს არეოპაგიტულ თეორიას და გამოკვეთს თავის პოზიციას:

1. რუსთველი დგას ეროვნულ ნიადაგზე. იგი ქრისტიანია, მისი ღმერთია სამპიროვანი ღვთაება, სამება-ერთარსება.

2. პოეტი საფუძვლიანად იცნობს ძველ-ქართულ, ბიბლიურ, ჰიმნოგრაფიულ და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მწერლობას, არეოპაგიტულ წიგნებს, იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ და იოანე პეტრიწის „კომენტარებს“.

3. რუსთველი ფილოსოფიურად მოაზროვნე შემოქმედი.

4. პოემა აღსავსეა ოპტიმისტური განწყობილებით, ცდისა და გამარჯვების სურვილით.

5. რუსთველმა ღმერთთან ერთად აზროვნების ცენტრში დააყენა ადამიანი, როგორც „ღვთაებრივი სიბრძნის ნაყოფი“. მისი სურვილები, განცდები და იდეალები დაუმორჩილა სამშობლოს სიყვარულსა და ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის ზრუნვას.

ლ. კ.

579. ი. ლოლაშვილი

რუსთველის მსოფლმხედველობისათვის

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 21 სექტ., № 38, გვ. 3.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს პოემის ზოგიერთი სტროფის შინაარსის განსხვავებულ გაგებაზე. მაგ; ცნობილი სტროფი „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“... მკვლევარებს განსხვავებულად ესმით. ეს განსაკუთრებით ეხება გამოთქმებს „სახე ყოვლისა ტანისა“ და „მომეც მიჯნურთა სურვილი“. ავტორი მოიხილავს არსებულ შეხედულებებსა და წარმოადგენს საკუთარ თვალსაზრისს: „ღმერთმა, რომელმაც თავისი ძლიერი ძალით შექმნა მყარი (უმრავი) ცა (სამყარო) ზეგარდმო მონაბერი სულით – ყოველი არსება და ჩვენ, ადამიანებს მოგვცა მიწა („ქვეყანა“) უთვალავი ფერით, მისგანვე შექმნილია ყოველი ხელმწიფე ღვთაებრივი სახით.

ჰე, ერთო ღმერთო, შენ შექმენ ყოველი ცოცხალი არსების (პირველი) ნიმუში: „შენ დამიფარე და მომაპოვებინე გამარჯვება ეშმაკის დასათრგუნავად, მომეცი მიჯნურების სიყვარული, რომელიც სიკვდილამდე გასატანი იქნება და შემიმსუბუქე იმკვეყნად თან წასაღები ცოდვები“.

თ. ბ.

580. ი. ლოლაშვილი

რუსთაველის ეპოქის სიბრძნე

გაზ. „თბილისი“, 1966, 21 სექტ., № 222, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქაში განსაკუთრებით განვითარდა ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ლიტერატურა და ჩამოთვლის ამ ხასიათის ნაშრომებს. ერთ-ერთი ასეთი კრებული „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“ გამხდარა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროც. ავტორს მოაქვს შესაბამისი ნიმუშები და აანალიზებს მათ. განსაკუთრებით ეს ეხება აფორიზმებს, რომლებიც კრებულებს მრავლად შემოუნახავს. თითოეული მათგანი სტილისტურად ლაკონიურია, ლოგიკურად გამართული და შინაარსობლივად დასრულებული. მათი ავტორები არიან სხვადასხვა დროის გამოჩენილი ფილოსოფოსები და მწერლები.

ი. ლოლაშვილი წარმოგვიდგენს რუსთაველის ეპოქის აპოფთეგმური კრებულებიდან ამოკრებილ აფორიზმებს, რომელთა ტექსტები დადგენილია ხელნაწერთა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე.

ი. წ.

581. ი. ლოლაშვილი

რუსთაველის წინამორბედნი

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა იმ ეპოქის მხატვრული საერო ძეგლებიდან გადარჩენილია ოთხი ნაწარმოები: რაინდული რომანი „ამირანდარეჯანიანი“, სამიჯნურო რომანი – „ვისრამიანი“, და ორი სახოტბო თხზულება – ჩახრუხადის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულუმესიანი“. პირველი ორი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს რუსთაველის ეპოქის მხატვრულ პროზაზე, ორი უკანასკნელი – სახოტბო პოეზიაზე. ეს ოთხივე ძეგლი დაწერილია „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე. შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა მათი შინაარსი და მხატვრული ღირებულება. ზოგიერთი სახე არეკლილია „ვეფხისტყაოსანშიც“.

ი. ლოლაშვილი მიმოიხილავს ოთხივე ნაწარმოებს და მიუთითებს პარალელებს „ვეფხისტყაოსანში“.

ც. ე.

582. И. Лолашвили

По Руставелским местам Грузии

გაზ. „Заря Востока“, 1966, 15 სექტემბერი, № 212, გვ. 3.

გაზეთ „Заря Востока“-ს რედაქციამ რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ ადგილებში კორესპონდენტთა ჯგუფი გაგზავნა, რომლებიც დაათვალიერებენ ისტორიულ ძეგლებს და გამოაქვეყნებენ შთაბეჭდილებებს.

ავტორი თვლის, რომ აუცილებელია სოფელ რუსთავის, თმოგვის, ვარძიის, ტბეთის, იყალთოსა და გელათის აკადემიების მონახულება. წერილში ი. ლოლაშვილი განმარტავს, თუ რატომაა გამორჩეული ზემოხსენებული მარშრუტი. **თ. ბ.**

583. ი. ლოლაშვილი

„ზმა მგოსანთა“

გაზ. „თბილისი“, 1966, 1 ოქტომბერი, № 231

წერილი წარმოადგენს რუსთაველის ბიოგრაფიის ერთი მომენტის დაზუსტების ცდას, კერძოდ, ხალხური თქმულებით ცნობილი, რუსთაველის პატივსაცემად გამართული ზეიმის სინამდვილის დადგენას. ავტორის აზრით, რუსთაველის დაჯილდოება და აღნიშნული ზეიმი უნდა გამართულიყო დიდუბეში, სადაც თამარის დროს სამეფო სასახლე იყო ბაღებითა და სასპარეზო მოედნებით. ისტორიულად ცნობილია, რომ დიდუბეში მოეწყო თამარისა და დავით სოსლანის ქორწილიც.

გ. ა.

584. ქეთევან ლომთათიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სადაო ადგილის განმარტებისათვის

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 374-379.

ავტორი არკვევს „ვეფხისტყაოსნის“ მე-17 სტროფის სიტყვა „სათრეველად“ მნიშვნელობას. ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების მონაცემებთან დაკავშირებით იძლევა საკითხის შესწავლის მიმოხილვას. მოჰყავს ზოგი ახალი მასალა ამ სიტყვის ფუძისა და გავრცელებულობის საჩვენებლად და ასკვნის, რომ „ქართველურ ენებს ჰქონდათ თირ (სვ. შდირი) ფუძე „გართობა = შექცევა = მხარულების“ მნიშვნელობით. მისი ძირი მთის კილოებთან ერთად შემოგვინახა „ვეფხისტყაოსანმა“ „სათრეველად“ სიტყვაში, რაც ნიშნავს „გასართობად“. მასში შემონახულია ქართული „გართობა“ სიტყვის ძველი თრ-ევ ფუძე, რომელიც ამოსავალში თირ [ევ]-სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რასაც ადასტურებს ამავე მნიშვნელობის ზუსტი სვანური შდირ-შესატყვისი და ფშაურსა და ხევსურულში დღემდე დაცული თირ-[ებ]- ფუძე.

გ. ი.

585. ქ. ლომთათიძე

დილა სიტყვის დილ-სახეობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXII სამეცნიერო სესია, თბ., 1966, თეზისები, გვ. 6.

დილა-ს გვერდით „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ გვხვდება დილ-ი: „ოხრად გავუხბდი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა“ (608, 3).

დილ-სახეობის გამოყენება ამ ადგილას „ვეფხისტყაოსანში“ მარტო რითმის საჭიროებით არ უნდა იყოს შეპირობებული; დილა-ს პარალელურად ქართულში დილ-ი ფორმაც უნდა არსებულიყო.

586. კ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, რ. ჯაფარიძე
მხოლოდ რეპლიკა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 28 იანვარი, № 5, გვ. 3.

ავტორები აღშფოთებით იწუნებენ და გმობენ წულუკიძის რაიონულ გაზეთში (№ 6) დაბეჭდილ ვახტანგ ჯავრიშვილის ნაწარმოებს – „რუსთაველის აფორიზმები ახალი შესატყვისებით“. საყვედურს გამოთქვამენ აგრეთვე იმ მეცნიერთა აღფრთოვანებულ სიტყვებზე, რომლებიც ამ ახალ აფორიზმებს იწონებენ. **ბ. დ.**

587. მარიამ ლორთქიფანიძე

რუსთაველის ეპოქა

თბილისი, 1966, 100 გვ.

წიგნში მოცემულია XII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური სტრუქტურისა და სახელმწიფო წყობილების ზოგადი მიმოხილვა. 81-93 გვერდები ეთმობა იმ ეპოქის კულტურის (არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ოქროჭედლობის, საისტორიო მწერლობისა და მხატვრული ლიტერატურის) დახასიათებას.

ავტორის თქმით, ამ ეპოქის ქართული კულტურის გვირგვინია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი უმღერის ადამიანის მიწიერ, ამქვეყნიურ გრძნობებსა და მისწრაფებებს, სიყვარულს ქალ-ვაჟს შორის, რაინდულ, ვაჟკაცურ თავგანწირვას, მმადნაფიცობასა და ერთგულებას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა... ამ იდეებმა მოუპოვეს „ვეფხისტყაოსანს“ სწორუპოვარი თხზულების სახელი, გაიტანეს დიდ ასპარეზზე და საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს შუასაუკუნეების მსოფლიო კულტურაში (გვ. 92.).

პოემაში მხატვრულ ფორმებსა და სახეებშია ასახული XII ს-ის მეორე ნახევრისა და XIII ს-ის დას-ის საქართველო. ისეთი მრავალეროვანი ქვეყნისათვის, როგორც მაშინდელი საქართველოა, ერთ-ერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა ერთა შორის თანამშრომლობა და თანამეგობრობა იყო. რუსთაველი, თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი, უმღერის ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეას.

ამავე სათაურით ბროშურა დაიბეჭდა რუსულ ენაზე: М. Лорткифанидзе, „Эпоха Руставели“, თბილისი, 1966., 40 გვ. **გ. ა.**

588. მერაბ ლორთქიფანიძე, მიხაილ ცუნცი

რუსთაველის ქვეყანაში

[თბ., 1966], ინგლისურ ენაზე, 55 გვერდი და 102 ილუსტრაცია

წიგნი ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილეს, რომელიც 1966 წლის სექტემბერში აღინიშნა საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დადგენილებით.

ტექსტი ორი თავისაგან შედგება:

1. ქართველი ხალხის დიდი შვილი (გვ. 9-28); 2. სა-ქართველო დღეს (გვ. 29-55.). ბოლოს ერთვის ილუსტრაციები.

პირველ თავში მიმოხილულია XII ს-ის საქართველოს კულტურა, ხელოვნება და მწერლობა; კერძოდ, ეკლესია-მონასტრები და საგანმანათლებლო კერები, ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურული თხზულებები, რომელთაც ნიადაგი მოამზადეს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნისათვის. ორი გვერდი (12-13) ეთმობა ხალხურ თქმულებებს პოემის ავტორზე, ისინი ეხება შოთას განათლებას და სახელმწიფო მოღვაწეობას. მე-16-20 გვერდებზე მოთხრობილია პოემის მოკლე შინაარსი და ხელნაწერებისა და გამოცემების ისტორია. 25-27-ე გვერდებზე საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებსა და თარგმანებზე სხვადასხვა ენაზე.

წიგნში დაბეჭდილია შოთა რუსთაველის ბარელიეფის (ი. ნიკოლაძის), ქართული არქიტექტურის ჭედური ხელოვნების, მხატვრობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სპორტის ამსახველი სურათები. **თ. ხ.**

589. პეტრე ლორთქიფანიძე

როგორ გადარჩა „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, № 28, გვ. 2; ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 20.

ავტორი წერს, რომ 1942 წელს ფრონტზე წასვლისას თან წაიღო „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემა. როცა ტყვედ ჩავარდა და ვლადიმირ-ვოლინსკის ბანაკში მოხვდა, ხშირად კითხულობდა მას, თითქმის ზეპირად ისწავლა, მაგრამ შიმშილით დასუსტდა და გადარჩენის იმედი რომ აღარ ჰქონდა, წიგნი ქართველ ექიმს გრიგოლ კაკაბაძეს გადასცა.

ომის დამთავრების შემდეგ პ. ლორთქიფანიძე სამშობლოში დაბრუნდა, გაიგო რომ გ. კაკაბაძემ დაბრუნებულა და ხონში ცხოვრობს. წერილის ავტორი დარწმუნებულია, რომ გ. კაკაბაძემ გადაარჩინა ორივესათვის ძვირფასი და ტყვეობის სიმძნელის შემამსუბუქებელი წიგნი. **გ. ა.**

590. Михаил Луконин

Вечное открытие

გაზ. „Московская правда“, 1966, 25 სექტემბერი, № 223, გვ. 4.

ავტორი ხოტბას ასხამს რუსთაველს და მის პოემას, რომელსაც „მარადიულ აღმოჩენას“ უწოდებს და მიაჩნია, რომ რამდენჯერაც წაიკითხავ, იმდენჯერ აღმოაჩენ რაღაც ახალს და სასარგებლოს. **თ. ხ.**

591. ივანე ლუპოლი

შოთა რუსთაველის სახეები და იდეები

ჟურ. „Лит. Газета“, 1966, 25, I, გვ. 2-3; გაზ. „თბილისი“, 1966, 28 იან., № 23; „ლიტ. საქართველო“, 1966, 28 იან., № 11.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოემის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. დიდ მხატვრულ-იდეურ მნიშვნელობას ანიჭებს პოემის აფორიზმებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი პირველ რიგში პოეტია და არა ფილოსოფოსი. განიხილავს რაციონალური

და ემოციური მომენტების ურთიერთობას („გული“ და „გონება“) და ასკვნის, რომ რუსთაველის პერსონაჟთა თვისებანი, მათი ქცევისა და მოქმედების პრინციპები ერთდროულად მგრძნობელობითიცაა და გონებისმიერიც. განიხილავს სიყვარულისა და მეგობრობის იდეების გაგებას პოემაში და მიუთითებს, რომ ისინი ვერ თავსდება ფეოდალური სამყაროსა და ვერც კაპიტალისტური წყობილების ჩარჩოებში. „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს ეპოქას ეხმაურება. **გ. ა.**

592. ილია მაისურაძე

პოეზიისა და სიბრძნის წყაროსთვალი

გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 1966, 18 იანვარი, № 12, გვ. 3.

ავტორი მიუთითებს ავთანდილის ანდერძსა და ნ. ბარათაშვილის „მერანს“ შორის მსგავსებაზე და იქვე განმარტავს: „ეს მოკლე შედარებითი დახასიათება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნ. ბარათაშვილი შეგნებულად და უშუალოდ სესხულობდა ავთანდილის ფიქრებსა და აზრებს“. სინამდვილეში, „ორივე პოეტი ერთი და იმავე ჯანსაღი და ოპტიმისტური მსოფლგაგებით საზრდოობდა“. **ბ. დ.**

593. ი. მაისურაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მესხური რეალიები

კრებ. „ძველის მეგობარი“, 1966, № 8, გვ. 53-60.; გაზ. „თბილისი“, 1966, 12 აპრილი, № 85. გვ. 3.

„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და მესხურ-ჯავახური კილოს ურთიერთობის საკითხის დასმა, ავტორის შენიშვნით, გასაზიარებელია საისტორიო-მწიგნობრული და ხალხური გადმოცემებით განმტკიცებული იმ ძლიერი ტრადიციით, რომელიც რუსთაველის წარმოშობას ადსტურებს. მესხიზმებად აღიარებულ სიტყვათა რიგიდან „ვეფხისტყაოსანში“ ავტორი იხილავს იმ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა ან ნივთიერი კულტურის ობიექტებს უკავშირდება, ანდა მესხეთის გეოგრაფიულ პუნქტებს. ასეთია მაგ., **აყიყი**: „**შუა ძოწსა და აყისა სჭვირს მარგალიტ-ტყუბები**“ (1134). მესხეთში **აყიყი** ერთგვარი მძივების ასხმას ნიშნავდა და უმთავრესად მოწითალო ფერის ქვისგან ითლებოდა. **აყიყი** აგატის გარკვეული სახეობაა და საყურადღებოა, რომ მდ. **ფოცხოვის** აუზში დღეს აგატის მადანს იღებენ.

კაპანი „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ არის ნახმარი, „ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, **კაპანია**“ (402,4), ს. ორბელიანის განმარტებით, **კაპანი ქვა -ღორღს** ნიშნავს, ჩუბინაშვილის ლექსიკონში „**ქვიან ადგილს**“. იუსტინე აბულაძე ხაზს უსვამს მის სომხურ წარმოშობას „**კაპანქ**“, რაც მახეს ანუ ხაფანგს, და საზოგადოდ, დაბრკოლებას ნიშნავს; გამარტებით ლექსიკონში „**მთის კლდიანი ფერდის ფხაა**“.

კაპანი და კაპნები მესხეთ-ჯავახეთში კლდოვან-ღორღიან ფერდობზე გამავალ გზას ნიშნავს და სამცხესა და ჯავახეთში ბევრგან ვხვდებით, ზოგან აჭარასა და გურიაშიც, როგორც ტოპონიმიკურ სახელს. იხსენება „ქართლის ცხოვრებაშიც“.

ნაისა ნასოფლარია ჯავახეთში, მისი ძირეული ელემენტი -**ნა** დამოუკიდებელი სიტყვა იყო და ძველად ნიშნავდა **ლერწამს**. ქართული სიტყვათწარმოების მიხედვით **ნაისა** ლერწმოდან ადგილს აღნიშნავდა, მაგრამ სპარსულიდან შემოსული სიტყვა **ნა-ს** ამ ძირითად მნიშვნელობიდან გამომდინარე მეორე გადატანითი მნიშვნე-

ლობა ჰქონია და ნიშნავდა საკრავ ინსტრუმენტს – ლერწმისაგან გამოთლილ სტვირს ანუ სალამურს. სწორედ ამ გაგებით არის ნახმარი ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ 169-ე სტროფში: „მოვშორდი ლხინსა, ყველასა ჩანგსა, ბარბითსა და ნასა“. ლერწმის მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას მეოთხე სტროფში: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“. ამასთან ერთად, **ლერწამი** და **ნა** კალმის (პოეტური ზემთაგონების) გამომხატველიცაა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1412-ე სტროფში **„სადარნო“** („მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები“) წარმოშობილია ქართული **„დარანისაგან“**. ის იხმარება ქართულ კილოებში სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაახლოებული მნიშვნელობით და აღნიშნავს **ორმოს, თხრილს, თევზის ბუნაგს მდინარეში, წისქვილის ღარს, მიწის ფენას ანუ შრეს, სამალავს**; სალიტერატურო ქართულში – ზოგადად **მღვიმეს, საფარს**.

ძველი მესხეთის ცხოვრებაში ის ნიშნავდა გარკვეული ტიპისა და დანიშნულების მიწისქვეშა, საბრძოლო-თავდაცვით ნაგებობას, რომლის ნაშთები დღესაც ბევრია. **დარანი** მიწისქვეშა ხვრელად გაყვანილი სასაფრო-საზვერავე უქვითკირო ნაგებობაა, რომელიც ლოდებით არის ამოყვანილი და ქვის სქელი ფიქლებით გადახურული. **დარნები** სხვადასხვა მიმართულებით არის განშტოებული. ერთი შტო აუცილებლად წყალთან არის დაკავშირებული, დანარჩენი შტოები – ციხე-სიმაგრეებთან, სოფლებთან, ტყეებთან ან გზებთანაა შეერთებული. „ვისრამიანში“ ვხვდებით გამოთქმას **„სადარნო ადგილი“**. **სადარნო** თავისი ფორმითაც და შინაარსითაც ნიშანდობლივ ეხმაურება მესხეთის კულტურის ძეგლთა ერთი სახეობის სახელს **დარანს**.

გ. ი.

594. ი. მაისურაძე

ნობათსა არ დასცთებიან

გაზ. „თბილისი“, 1966, 16 სექტ., № 218, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება არაბულ-სპარსულ სიტყვათა სიჭარბე, ი. მაისურაძის აზრით, რუსთაველს ისინი მესხური ხალხური მეტყველებიდან აქვს აღებული, სადაც, თავის მხრივ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან უშუალო მეზობლობის გამო ადრევე ყოფილა დამკვიდრებული და ცვლილებათა ერთგვარი გზაც გაუვლია. ასეთი სიტყვებია: **მიჯნური, შამათი, შაბაში, მუფარაზი, ნობათი, კატაბანი, ზარადი...** ავტორი განიხილავს სიტყვას **ნობათი**, რაც ჯერს, რიგს ნიშნავს ქართული ენის ზოგიერთ კილოში. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სიტყვის სათავე სამხედრო ოპერაციას უკავშირდება, დაცვა-შენახვის წესრიგს „ვეფხისტყაოსანმა“ კი შემოგვინახა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა.

ი. წ.

595. ი. მაისურაძე

„შუა ძოწსა და აყიყსა“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 24 ივნ., № 26, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ეხება „ვეფხისტყაოსანში“ ძვირფასი ქვების გამოყენების საკითხს და ასკვნის: „გამოთქმა **„შუა ძოწსა და აყიყსა“** უნდა გვესმოდეს, როგორც მი-

თითება ბაგეებსა და ღრძილთა შორის არეზე, საიდანაც ნესტანის მარგალიტის კბილები გამოსჭვიოდა“. იქვე ადასტურებს, რომ „აყიყი“ სიტყვას იცნობს მესხური დიალექტი და ზოგიერთ ხანდაზ-მულთან ეს ძვირფასი ქვა შემორჩენილიცაა. **ბ. დ.**

596. ი. მაისურაძე

ნაქსოვის სილბო და ნაჭედის სიმტკიცე

გაზ. „თბილისი“, 1966, 6 ოქტ., № 235, გვ.

წერილში საუბარია რუსთაველის პოეტურ ოსტატობაზე, პოემაში გამოყენებულ მდიდარ ლექსიკაზე, სიტყვათწარმოებაზე და სხვ. ახსნილია ზოგიერთი მეტაფორის მნიშვნელობა. მაგ., „გიშრის სარი“ და „გიშრის წნელი“ წამწამებს აღნიშნავს. ხოლო 1342-ე სტროფში „ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, ავრთხობს ბროლისა ჭერითა“ – ყორანი შავი თმის პოეტური სახეა, ბროლის ჭერი – თითებისა. ამავე სტროფში „ანდამატის კვერი“ მუმტს აღნიშნავს. **გ. ა.**

597. ი. მაისურაძე

პოეზიისა და სიბრძნის წყაროსთვალი

გაზ. „სოც. რუსთავი“, 1966, 18 იანვ., გვ. 3; „სახალხო განათლება“, 1966, 12 ოქტ., № 41, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანის“ დიდ მნიშვნელობას, ქართველი ხალხის ზნეობის სრულყოფაში და მის ზეგავლენას ქართულ მწერლობაზე. ავტორს სურს გაარკვიოს „თუ რა იდეური ნათესაობითა და მხატვრული გადმოცემის მსგავსებით არის აღბეჭდილი ბარათაშვილის „მერანის“ სტროფები და „ავთანდილის ანდერძის“ ის ადგილები, რომლებიც თავგანწირვის სულისკვეთებით არის გამსჭვალული“.

მკვლევარის აზრით, „ორივე პოეტი ერთი და იმავე ჯანსაღი და ოპტიმისტური მსოფლგაგებით საზრდოობდა. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და მოყვრისათვის თავდადება იყო ის სათავე, საიდანაც მომდინარეობდა ერთნაირ სიტუაციაში მოქცეული ორი გმირის მღელვარე მისწრაფებანი.“ **გ. ა.**

598. ი. მაისურაძე

განქიქება და „გვარის მაქიქი“

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 ივნისი, № 144, გვ. 3.

ავტორი ძველი ქართული ძეგლებისა და მესხური დიალექტის მიხედვით მხარს უჭერს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს „არ თავი გამიქიქიას“ ტრადიციულ გაგებას: თავი არ შემირცხვენია. **ბ. დ.**

599. ი. მაისურაძე

რუსთაველური მეტაფორები

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 22 ივნ., № 120, გვ.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის ლექსს, მის პოეტურ ენას და აღნიშნავს მისი მხატვრული ფიგურალური თქმის, ეპითეტის, სიტყვის სემანტიკური ცვალებადობის

ნაიროვანი სახეების, შედარების, განსაკუთრებით კი მეტაფორის სიმდიდრეს, რასაც პოეტ გმირთა გარეგანი სილამაზის გადმოცემისათვის იყენებს. მკვლევარს მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ სათანადო მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსთაველის ურთულესი მეტაფორული სახეები ემოციური, ნათელი და გასაგებია. **გ. ი.**

600. ი. მაისურაძე

**„ვეფხისტყაოსანი“
და მესხური ხალხური პოეზია**

გაზ. „ბორჯომი“, 1966, 19 თებ., გვ. 3; აგრ. ჟურ. „მნათობი“, 1966, № 8, გვ. 147-150.

რუსთაველზე არსებული ბიოგრაფიული ხასიათის თქმულება-გამოცემანი, უმთავრესად მესხეთშია შექმნილი. რუსთაველის შთაგონებით შექმნილი პოეტური ნაწარმოებები მოწმობენ, თუ რა დიდი გავლენა მოუხდენია შოთას გენიას ხალხის ზეპირ შემოქმედებაზე.

მესხეთსა და ჯავახეთში ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში ვამჩნევთ მათი ენისა და სტილის ერთგვარ სიახლოვესა და მსგავსებას „ვეფხისტყაოსანთან“ (თქმის მანერაში, პოეტურ სახეებსა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში). ყურადღებას იქცევს ერთსტროფიანი სიმღერა, რომელშიც მოიხსენიება რუსთაველური მეტაფორა „მელნის ტბა“.

ხალხურ ლექსებში გამოყენებულია პოეტური სახე „ბინდისფერი სოფელი“, აგრეთვე – რუსთაველისეული სიტყვები და გამოთქმები: ვარდი, ია-ვარდი, მარგალიტი, ბროლი, გიშერი, მინა, საწუთრო, სახმილი, ჭვრეტა და სხვა.

ვინმე მესხმა (ი. გვარამაძე) ხალხში გაგონილი რუსთაველის გამონათქვამები გახალხურებულ მასალად მიიჩნია. ავტორი ასახელებს აგრეთვე რუსთაველის სიბრძნით შთაგონებულ მესხეთ-ჯავახეთის მომღერალ-მოლექსეებს. **თ. ნ.**

601. ი. მაისურაძე

რუსთაველური მეტაფორები

გაზ. „სოციალისტური რუსთავი“, 1966, 9 აპრილი, № 69, გვ. 3.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროს, განსაკუთრებით გამოყოფს მეტაფორებს, რომლებსაც რუსთაველი ხშირად მიმართავს, ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ სტრიქონებზე, სტროფებზე, რომლებშიც გამოკვეთილია პოეტის მეტაფორული აზროვნება. მაგალითად, ფატმანი ნესტანის შესახებ ამბობს:

*„შინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან მელნისა მორევსა ეყარის გიშრის შუბები.
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,
შუა მოწსა და აციყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“.*

ავტორის აზრით, მდიდარია რუსთაველური ლექსი, „პოემის შინა სამყარო აელვარებულია მხატვრულ-ფიგურალური თქმების ბრწყინვალეებით“. **თ. ხ.**

602. ი. მაისურაძე

ნახეს უცხო მოყმე ვინმე

გაზ. „სოციალ. რუსთავი“, 1966, 25 მაისი, № 100, გვ. 3; „ბორჯომი“, 1966, 12 ივნ., № 81, გვ. 4.

ავტორი გადმოგვცემს პოემის მეორე თავის შინაარსს და მსჯელობს მის მნიშვნელობაზე ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებაში. ეს თავი „სიუჟეტური თვალსაზრისით თხრობის პირველი საყრდენი პუნქტია, კომპოზიციური კვანძი, რომელიც შეიძლება შუქურას შევადაროთ, საიდანაც გამოსხივდება ნაწარმოებში გაშლილ დიად ამბავთა მთელი მხატვრულ-იდეური შინაარსი“.

გ. ა.

603. ი. მაისურაძე

შოთას შთაგონებით

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 10 სექტემბერი, № 213, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოში ყველაზე საყვარელი წიგნი იყო. ავ. წერეთლის თქმით, ეს წიგნი ხალხს „სახარებაზე მეტად გაუტკბა“, ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარე გახდა და ჩვენი ყოფის ყოველ უბანში შეაღწია.

ავტორი საუბრობს ერთ ასეთ შემთხვევაზე. სოფელ უდეში, რომელიც ერთ-ერთი ძველთაგანია მესხეთში, ქარიშხალმა ეკლესიიდან სიძველისაგან გადახრილი ჯვარი გადმოაგდო, რომელსაც თან მოჰყვა ფუძეში ჩატანებული ფირფიტა შოთასეული აფორიზმებით „მიეც გლახაკთა საჭურჭლე...“ და „არვის ძალუმს ხორციელსა...“.

ავტორი მეორე შემთხვევასაც გვიამბობს. ეს უკავშირდება ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსის ედუარდ ბარონდე როპის მოგზაურობას საქართველოში (1903 წელს). როპმა მაშინ მხარი დაუჭირა ქართველ კათოლიკეთა მოთხოვნას, რომ მესხეთის ეკლესიებში ქართული ენის დევნა შეწყვეტილიყო და წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. მწერალ კონსტანტინე გვარამაძეს ეს მოგზაურობა დაწვრილებით აქვს აღწერილი. ერთ უდელ გლეხს ეპისკოპოსის წინაშე თავი მოუწონებია „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად წარმოთქმით. ეპისკოპოსისათვის გადაუთარგმნიათ ეს ლექსები. მის მეუფებას დიდად სასიამოვნოდ დარჩენია ლექსის შინაარსი. ამის შესახებ გაზეთი „ივერიაც“ აღნიშნავდა (№ 127, 1903 წელი).

ი. წ.

604. [შ. მაისურაძე]

ახლოვდება შოთას დღეები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 8 სექტემბერი, № 204, გვ. 3.

მზადდება წიგნი „რუსთაველები რუსთაველს“, რომელშიც შევა რუსთაველისადმი მიძღვნილი რუსთაველი მუშა პოეტებისა და პროზაიკოსების ლექსები. გარდა ამისა, ყველა ბიბლიოთეკასა და წიგნის მაღაზიაში მოეწყობა სპეციალური გამოფენა. დასრულდა რუსთაველის სახელობის პროსპექტის რეკონსტრუქცია, კეთილწყობა ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც ერთი განყოფილება „ვეფხისტყაოსნის“ ექსპოზიციებს დაეთმობა, მეორე – თანამედროვე რუსთავს ასახავს.

ემზადება მესხეთიც. ახალციხის რაიონში დარგეს ათასობით ძირი ხე და ბუჩ-

ქი. რკინიგზის სადგურთან აღიმართა სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი ობელისკი, კეთილმოეწყო ქუჩები, მოედნები, რეკონსტრუქცია უკეთდება დიდ კინოთეატრს. მთავრდება რესტორან და სასტუმრო „მესხეთის“ რეკონსტრუქცია. მტკვარზე აიგო 150-მეტრიანი ხიდი, რომელსაც რუსთაველის სახელი მიენიჭა.

ტყიბულის პიონერთა სასახლეს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა. ნაქერალას მთის ქედს რუსთაველის მთა ეწოდა. გადაწყდა, ქალაქის ცენტრში რუსთაველის ბიუსტის დადგმა.

წყალტუბოს რაიონის სოფელ მალლაკში დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი.

თ. ხ.

605. შ. მაისურაძე, გრ. დობორჯგინიძე

როგორ ემზადებიან...

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 21 აგვისტო, № 190, გვ. 1.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საიუბილეო დადგმისათვის საგანგებოდ ამზადებს ზ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერი“ (დირიჟორი – რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიდიმ მირცხულავა), რეჟისორი – რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჟ. სუმბათაშვილი.

ამ დღეებში განახლდება შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“ (დირიჟ. – ხელოვნების დამს. მოღვაწე ჯ. კახიძე, რეჟისორი – გ. მელიავა, მხატვარი – კ. კუკულაძე). ორივე ოპერაში ცეკვების დამდგმელია სსრკ სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი.

30 სექტემბრისათვის დაგეგმილია დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი.

საიუბილეო დღეებისათვის ემზადება **ვარძიაც**, სადაც მასობრივი ექსკურსიებია დაგეგმილი. დასრულდა ვარძიის გამოქვაბულთა ელექტროგანათება, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. მაგალითად, დასადგმელია 50 ორსაწოლიანი კოტეჯი, გასაფართოებელია ტურბაზის სასადილო, კეთილმოსაწყობია ვარძიის მინერალური წყლების აბაზანები. ამიტომ საჭიროა აჩქარება, რათა ვარძიაც ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს საიუბილეო ზეიმს.

საკდესის კორესპონდენტი **ქუთაისიდან** გვატყობინებს, რომ ქუთაისში რუსთაველის ლექტორიუმი დიდი პოპულარობით სარგებლობს. დამსწრე საზოგადოების წინაშე ლექციები წაიკითხეს პროფესორებმა: დ. გვრიტიშვილმა, კ. მეძველიამ, შ. რევიშვილმა, ი. მეგრელიძემ, დოცენტებმა: დ. ბრეგაძემ, გ. სამხარაძემ, მ. მახათაძემ, ს. სერებრიაკოვმა.

ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს დადგენილებით თეატრალურ ქუჩას ეწოდა შოთა რუსთაველის სახელი.

თ. ხ.

606. ვ. მაკარაძე

საიუბილეო მზადების ქრონიკა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 3 აგვისტო, № 31, გვ. 3.

ცნობა რუსთავის საიუბილეოდ შუახევის რაიონის ოლადურის საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის საქართველოში ჩატარებული ექსკურსიის შესახებ.

ბ. დ.

607. მ. მაკაროვი

რუსთაველის ნაკვალევზე

გაზ. „მახტრონი“ (ახმეტა), 1966, 28, 30 ივლისი – 2 აგვისტო, №№ 88, 89, 90.

წერილში საუბარია რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე, „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკასა და პროგრესულ იდეებზე, პოემის გამოცემებსა და თარგმანებზე, მის წარმოდგენად დადგმის ცდებზე (კრაკოვის „რაფსოდის თეატრში“). **გ. ა.**

608. А. Малюгина

«Грузия, музыка, Руставели»

გაზ. „Заря Востока“, 1966, 20 სექტემბერი, № 216, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ საიუბილეო დღეებში პარიზის ტელევიზია უჩვენებს გადაცემას სათაურით: „საქართველო, მუსიკა, რუსთაველი“. ცნობილი ფრანგი მსახიობები წაიკითხავენ ცალკეულ ადგილებს პოემის ფრანგული თარგმანიდან (მთარგმნელი ს. წულაძე). აქედრდება ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკა.

გარდა ამისა, ჟურნალი „Музыка“ დაბეჭდავს რ. ჰოფმანის წერილს, სადაც გადმოცემული იქნება ავტორის საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. **თ. ხ.**

609. А. Малюгина

Научные сессии, экскурсии, лекции

გაზ. „Заря Востока“, 1966, 10 სექტემბერი, № 208, გვ. 4.

საიუბილეო სამზადისა ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ტარდება სამეცნიერო სესიები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები კითხულობენ მოხსენებებს, დაგეგმილია ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში. სექტემბრის II ნახევარში მოეწყობა მუსიკალურ-ლიტერატურული სადამო, რომელზეც მოწვეული იქნება რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მწერალი კ. გამსახურდია.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაემგზავრება ლექციების ჩასატარებლად. **თ. ხ.**

610. ლ. მალხაზიშვილი

ადიდებენ პატარები

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 28 სექტემბერი, № 39, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ ჭიათურის რაიონის სოფელ პერევისის რვაწლიან სკოლაში რუსთაველისადმი მიძღვნილ სტენდს ამზვენებს ამ სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის სურათები, პოემის ილუსტრაციები, გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

სვერის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს ექსკურსიები და მოინახულეს რუსთაველისა და თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილები: „თამარის ციხე“, ორი უძველესი გამოქვაბული, მოეწყო საიუბილეო დილა.

მათ არც სხვა სოფლები ჩამორჩნენ: ნიგოზეთის საშ. სკოლაში მომზადდა მოხსენებები, რეფერატები, კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, ალბომი და სტენდი „რუსთაველის ეპოქა“, პატარებმა ტილოზე ამოქარგეს რუსთაველის აფორიზმები.

ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა გ. ნოზაძემ სკოლას მიუძღვნა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც საზეიმო ვითარებაში დაიდგა სკოლის ეზოში. მსგავსი ღონისძიებები ტარდება ჭიათურის სხვა სოფლების: ცხრუკვეთის, ჩხირულის, მანდაეთის, კაცხისა და ქვაცხის სკოლებში. **თ. ბ.**

611. ზ. მამასახლისი

ლექსის მუსიკალურობა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლენინის დროშით“ (ორჯონიკიძის რ.), 1966, 20 სექტ. № 111.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსის მუსიკალურობა ემყარება ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტორებს, როგორცაა: მეტრი, რიტმი, რითმა, ასონანსი. ყველა ეს ორკესტრული ხმა ისეთი სახით არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“, რომ გაგვიძნელებს, იმ ეპოქის რომელიმე პოეტი ამოვუყენოთ გვერდში რუსთაველს. რუსთაველი ლექსში იმეორებს სიტყვებს და გამეორებული სიტყვა ისე ორგანულად უკავშირდება ფრაზას, რომ შეუძლებელი ხდება მისი ადგილიდან დაძვრა. მაგ.: „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოთა სანახავისა“.

თ. ნ.

612. მიხეილ მამულაშვილი

„ხელიხელ საგოგმანები მარგალიტი“

(შოთა რუსთაველი ლათინურ ამერიკაში)

გაზ. „თბილისი“, 1966, 4 დეკემბერი, № 284, გვ. 3.

რუსთაველის საიუბილეოდ ღონისძიებები საზღვარგარეთაც ტარდება. აღინიშნა ეს თარიღი „ვეფხისტყაოსანის“ მთარგმნელის – გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს სამშობლო ჩილეში, სანტიაგოში. ჩილეს პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება რუსთაველის შესახებ. გაზეთმა „ლა ტარდემ“ დაბეჭდა მწერალ ხოსე მიგელ გარჩესის წერილი რუსთაველის ესპანური თარგმანის შესახებ. მასში მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული რუსთაველოლოგიის არაერთი საინტერესო საკითხი, რაზეც ლათინურ ამერიკაში ცოტა ხნის წინ საერთოდ არაფერი სმენოდათ. რუსთაველის იუბილე ბრაზილიაშიც აღინიშნა. რიო-დე-ჟანეიროს გაზეთში დაიბეჭდა ბრაზილიელი მწერლის კარლოს დრუმონდ ანდრადეს წერილი. რუსთაველი ლათინური ამერიკის კომპოზიტორებისთვისაც შთაგონების წყაროდ იქცა. პოემის თემაზე პუბლიკაციებს დაწერა სიმფონია. **ი. წ.**

613. მ. მამულაშვილი

რუსთაველის ბერძენი ინტერპოლატორი

ჟურ. „დროშა“, 1966, № 3, გვ. 17.

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსთაველს კიდევ ერთი ინტერპოლატორი გამოუჩნდა. ამჯერად, უცხოელი – ბერძენი ჟურნალისტი ტრიკოგლიდისი, რომელმაც

თავისი ორი ლექსის ავტორად რუსთაველი გამოაცხადა. მასვე ეკუთვნოდა ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველზე. მასალა ათენის ბერძნულ სალიტერატურო გაზეთში დაიბეჭდა.

აღმოჩნდა, რომ ბერძენ ტრიკოგლიდისს, ისევე, როგორც მის წინამორბედ ინტერპოლატორებს, საკუთარი შემოქმედების ნაყოფი რუსთაველისთვის მოუწერია.

თ. ხ.

614. ალექსანდრე მანველიშვილი

„რუსთაველიანას ეპილოგი“

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 177-179.

ავტორი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს პ. ინგოროყვას ნაშრომზე „რუსთაველიანას ეპილოგი“ („მნათობი“, 1963, N 3-7).

1. პ. ინგოროყვამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორად შოთა კუპრი, ჰერეთის ერისთავი გამოაცხადა, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა ვრცლად არის აღწერილი იმდროინდელ ქრონიკებში, მაგრამ არაფერია თქმული მის პოეტურ უნარზე.

2. ადრე პ. ინგოროყვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მანიქველად თვლიდა, ახლა კი მართლმადიდებელ ქრისტიანად და ჯვარის მონასტრის შემკეთებლად მიიჩნევს.

3. მსჯელობა, რომლითაც პ. ინგოროყვა შოთა კუპრს მეჭურჭლეთუხუცესად აცხადებს, დაუსაბუთებელია. მისი აზრით, შოთას მამა, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა, გარდაიცვალა 1204 წელს. შოთა კი ამ თანამდებობას ღებულობს 40 წლის შემდეგ – 1245 წელს, 80 წლის ასაკში. თუ ეს სახელო მემკვიდრეობით გადადიოდა („წესისაებრ სახლისა“), რატომ არ ეღირსა შოთა კუპრს იგი 40 წლის მანძილზე?

როგორც ავტორი დაასკვნის, პ. ინგოროყვამ თავის ადრინდელ საბუთებს ახალი ვერაფერი შესძინა და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის საკითხი კვლავ საიდუმლოებით მოცული დარჩა.

გ. ა.

615. ალ. მანველიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი სერგო წულაძისა, 1964.

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 179-183.

რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, რომ მთარგმნელს აქვს გარკვეული მიღწევა, მაგრამ წიგნში მრავლად არის არასწორად თარგმნილი ადგილები, რაც გამოწვეულია ძველი ქართულის არასაკმარისი ცოდნით, ზოგჯერ კი – დაუდევრობით. შეცდომები სხვადასხვა ხასიათისაა:

1. მთარგმნელს არ ესმის ტექსტის მთავარი აზრი და მას აყალბებს ან ამცირებს აზრის მნიშვნელობას. **2.** მთარგმნელს ვერ გაუგია ზოგიერთი სიტყვა და თარგმანს საერთო აზრის მი-ხედვით აკეთებს. **3.** ზოგი შეცდომა მომდინარეობს უყურადღებობიდან ან მთარგმნელი იმეო-რებს სხვათა შეცდომებს (მოყვანილია სათანადო მაგალითები, გვ. 180-182).

რეცენზენტი მთარგმნელს ურჩევს, რომ იგი თარგმანს კიდევ დაუბრუნდეს: „რადგან ჩვენი საერთო შთაბეჭდილება დადებითია და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სერგო წულაძე შესძლებს ღირსეული თარგმანის შესრულებას“ (გვ. 183.).

გ. ა.

616. **Н. Я. Марр**

Вопросы „Вепхисткаосани“ и „Висрамиани“

კრებული გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ი. მეგრელიძემ, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1966, 296 გვ.

შინაარსი: წინასიტყვაობა (ი. მეგრელიძე) – გვ. 7-12.

I ნაწილი – „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები:

1. კავკასიური პოეზია და მისი ტექნიკური საფუძვლები (გვ. 13-41);
2. ლექციიდან „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (გვ. 42-46).
3. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენა და კომენტარები (გვ. 47-49).
4. ბუნების, ქალისა და მამაკაცის მშვენიერების აღწერის ხერხები, სიმბოლოები და შედარებანი (გვ. 49-59).
5. ტავტოლოგია რუსთაველთან.
6. რუსთაველის რითმები.

II ნაწილი – „ვისრამიანი“. „ვეფხისტყაოსნთან“ საერთო ელემენტები (გვ. 72-78).

III ნაწილი – ლექსიკონი „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „რუსუდანიანის“ და „დილარიანის“ ლექსიკონებში გამორჩენილი ან არასწორად ახსნილი სიტყვებისა და გამოთქმებისა.

IV ნაწილი – ინფორმაცია, კომენტარები და შენიშვნები (ი. მეგრელიძე, გვ. 259-281).
საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 282-288). გ. ა.

617. **Ю.Н.Марр, К.И. Чаикин**

Хакани, Незами, Руставели

Подготовка арх. материалов Ю. Н. Марра и К. И. Чаикина к печати, сост. сборника, редакция, предисловие и примечания С. М. Марр и А. А. Гвахария, „Мециниереба“, Тб., 1966, гв. 212.

აქვს ქართული ტიტულიც. დაბეჭდილია როტოპრინტით. შეიცავს ი. მარისა და კ. ჩაიკინის მიმოწერას და სხვა მასალებს ირანულ-ქართული და კავკასიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. ერთვის ფართე შენიშვნები და საძიებლები პიროვნებათა, თხზულებათა სახელწოდებებისა, გეოგრაფიულ სახელთა და ტერმინთა.

რუსთაველი მოხსენიებულია სპეციალურად თუ გაკვრით გვერდებზე: 2, 7, 26, 30, 37, 58, 69, 88, 113, 114, 124, 152, 154, 156, 169, 170, 174. „ვეფხისტყაოსანი“ – 38, 55, 56, 60, 66, 67, 81, 112. რუსთაველისა და ონსორის საერთო მოტივების ძიება – 113, 114, 116, 117, შენიშვნა 175.

1927 წლის, 10 მარტის ჩაიკინისადმი წერილში ი. მარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ხაკანი, ნეზამი და რუსთაველი ალბათ თანამედროვენი არიან. რუსთაველი თავისი დროის საზოგადოების ქრისტიანულ-სპარსულ-მუსულმანური ფონით ყურადღებიან მკვლევარზე მუსულმანის შთაბეჭდილებას ტოვებს, ხაკანი და ნეზამი კი, განსაკუთრებით მეორე, ქრისტიანებად გვევლინებიან. საეთოდ კი ისინი ერთი კლასის, ერთი მდგომარეობისა და საერთო ინტერესების ხალხად წარმოგვიდგებიან. მათ შორის საკუთარი განწყობილების გამოხატვაში უფრო თავისუფალი იყო ქართველი“ (გვ. 2.).

1929 წლის 22 ოქტომბრის ჩაიკინისადმი მიწერილ წერლში ი. მარი წინადადებას აყენებს, რომ დაიწყოს გამოცემა სპეციალური კრებულისა, ან რუსეთის აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის „იზვესტიებში“ დაარსდეს ცალკე განყოფილება, მიძღვნილი რუსთაველის, ნეზამისა და ხაკანის ეპოქის გაშუქებისადმი. ამ კრებულსა თუ განყოფილებაში მოწვეული იქნებიან ბარტოლდი, კრაჩკოვსკი, კრიმსკი, ჩაიკინი და სხვები.

1933 წლის 25 თებერვლის ჩაიკინისადმი წერილში ი. მარი აღნიშნავს, რომ მან ჩაიფიქრა გამოსაცემად სერია „Тексты и исследования по произведениям и эпохе Незами, Хакани и Руставели (გვ. 30).

1933 წლის 28 მაისის ჩაიკინისადმი წერილში ი. მარი აღნიშნავს, რომ მის მიერ განზრახული სერიის ტექსტებსა და გამოკვლევების მეორე კრებულში აპირებს მოათავსოს „რუსთაველიანა“. (ონსორი და რუსთაველი, ნ. მარის რუსთაველოლოგიური შრომების დამატება, რუსთაველოლოგიის ზოგი ქართველი სპეციალისტის ნაშრომთა კრიტიკა) (გვ. 58).

1933 წლის 25 ივნისის ჩაიკინი ი. მარისადმი წერილში შენიშნავს: Из указаний ваших отрывочных загадочных и замысловатых я понял только что прототипом „Барсовой шкури“ Вы считаете утраченную поэму Онсори „შადაბუ“. ალბათ იმ საფუძველზე, რომ აქა-იქ გვხვდება მათ შორის საერთო სახელებიო. **გ. ი.**

618. **Георгий Маргвелашвили**

Великий светоч гуманизма

გაზ. „Заря Востока“, 1966, 30 სექტემბერი, № 225, გვ. 2-3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქა საქართველოში, – ეს არის ჩვენში აღორძინების დასაწყისი. მიმოხილულია მარქსისა და ენგელსის შეხედულებები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარებაზე. ლაპარაკია ჯვაროსანთა ლაშქრობაზე. თუ წინათ ანტიკურ მემკვიდრეობას განიხილავდნენ დოგმატური და სქოლასტიკური პოზიციიდან, დანტემ და პეტრარკამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა დოზით, მაგრამ ერთნაირი ისტორიული კანონზომიერებით გაათავისუფლეს კულტურა ეკლესიის დამამცირებელი მსახურებისაგან, დაანგრეს მისი დიქტატურა და წინა პლანზე წამოსწიეს ადამიანი, რაც არის რენესანსული ჰუმანიზმის საბრძოლო დროშა. რუსთაველის ეპოქაში წინა პლანზე დგას ადამიანი, თავისი ძლიერი გონებით და შემართებით. მას თავის პოემაში ადამიანი მიჰყავს ბრძოლისა და აქტიურობის, ბოროტზე კეთილის გამარჯვების გზით. **ი. წ.**

619. **ს. მარინაშვილი**

შოთას პირველი ბიუსტი

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტემბერი, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის პირველი ბიუსტი 1897 წელს გააკეთა ქუთაისელმა მოქანდაკემ, სერაფიმ პოლოლიკაშვილმა. ამჟამად ეს ბიუსტი დგას ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (თბილისში, ორჯონიკიძის ქ.). მისი ავტორი – ს. პოლოლიკაშვილი თურქებმა მოკლეს 1917 წელს მახინჯაურში. **გ. ა.**

620. შ. მარკოზაშვილი

ემზადებიან

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 6 ივლისი, № 27, გვ. 2.

ავტორის ცნობით, მცხეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში გაიხსნა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა „შოთა რუსთაველის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მოსწავლეებს თიხისა და პლასტელინისაგან დაუმზადებიათ რუსთაველის ბიუსტები, დაუხატავთ პორტრეტები და პოემის ილუსტრაციები. **ლ. კ.**

621. შ. მარკოზაშვილი

სიყვარულით შთაგონებული

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 12 ივლისი, გვ. 3.

შოთა რუსთაველი ყველასათვის საყვარელი შემოქმედია. ამიტომ ცდილობენ გამოხატონ სიყვარული მის წინაშე: აქანდაკებენ, ხატავენ, წერენ ლექსებს, ქსოვენ და ქარგავენ პოემის გმირების სურათებს. ერთ-ერთია ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ხოდაშენში მცხოვრები ხანდაზმული ქალი თებრო გელდიაშვილი. მან მოქსოვა მოზრდილი ხალი თამარ მეფის სურათით. „დიდმა თამარმა უბრძანა შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა, – თქვა თებრომ, – დიდებულ თამარს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ჩვენ, ქართველებს, ეს ძვირფასი წიგნი გვაქვს“. თებრო გელდიაშვილის მოქსოვილმა ხალმა დიდი მოწონება დაიმსახურა. **ი. წ.**

622. შ. მარკოზაშვილი

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 26 ივლისი, № 87, გვ. 3.

ავტორი მოკლედ საუბრობს ავალიშვილის, იოსებ თბილელის, ბეგთაბეგისა და დავით რექტორის მიერ გადაწერილ პოემის ხელნაწერებზე. იქვე დაბეჭდილია პოემის ხელნაწერებიდან ამოღებული ერთი მინიატურისა და ერთი მხატვრულად გაფორმებული გვერდის ფოტოები. ბოლოს მოჰყავს „ივერიის“ ცნობა იგდირში დაცულ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. **ბ. დ.**

623. ლ. მარუაშვილი

რუსთაველის გეოგრაფიული თვალთახედვა

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, სექტემბერი, № 9, გვ. 19-22.

წერილის ავტორი იცავს საკუთარ შეხედულებას, რომელიც 1938 წელს გამოთქვა საჟურნალო წერილში, ხოლო ამჟამად მონოგრაფიის სახით აქვს გამზადებული. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოქმედების სფერო ვრცელდება ერთმანეთისაგან დაშორებულ ქვეყნებში, რომელთაგან ზოგიერთი ადგილი და ქალაქი მკვლევარებს პოეტის ფანტაზიურ გამოწავლას მიაჩნიათ. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსთაველს კონკრეტულად ჰქონდა წარმოდგენილი პოემაში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობა; რომ იგი იცნობდა მა-

შინდელი არაბი და ირანელი გეოგრაფებისა და კარტოგრაფების ნაშრომებს, სადაც აღწერილი იყო პოემაში ხსენებული გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ცნებები.

ლ. მარუაშვილის ვარაუდით, **მულაზანზარი** და **დევთა ქვაბები** (სადაც ტარი-ელი იდგა), მდებარეობდა აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, ხოლო **ზღვათა სამეფო**, **ქ. გულანშარო** და **ქაჯეთი** – კუნძულ მადაგასკარზე. ჟურნალში (გვ. 20) დაბეჭდილია გმირების მოგზაურობის მარშრუტები. ავტორის თქმით, სხვადასხვა წყაროებით მტკიცდება XIII ს-ში მაგადასკარზე მაჰმადიანური სამეფოს არსებობა, სავარაუდოდ – „ზღვათა სამეფო“, რომელიც XIV ს-ში შთანთქა იავა-სუმატრადან გადმოსახლებული მაღაელი ტომების მიერ შექმნილმა სახელმწიფომ. **გ. ა.**

624. ს. მაღლაფერიძე, დ. გედენიძე

მესხეთის გზაზე

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტემბერი, გვ. 3.

საგაზეთო ნარკვევში ავტორები აღწერენ სოფელ რუსთავს, მის ისტორიულ წარსულს და იმ სიახლეებს, რაც სოფელს შეემატა დიდი პოეტის საიუბილეოდ. ერთ-ერთი მათგანია შოთა რუსთაველის მონუმენტური ქანდაკება ძველი რუსთავის ნასოფლართან, გზის მარცხენა მხარეს. **გ. ა.**

625. ელენე მაჭავარიანი

უორდროპისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის (w-27)

უცნობი მინიატურა

კ. კვეციანის სახ. ხელნ. ინსტ. VIII სამეცნ. სესია. თეზისები, თბ., 1966, გვ. 8-9.

1. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ერთი ფურცელი, რომელიც ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული უორდროპისეული „ვეფხისტყაოსნის“ (w-27)) ფრაგმენტი აღმოჩნდა.

2. მინიატურის შესწავლის საფუძველზე განისაზღვრება მისი ადგილი ქართული საერო მხატვრობის განვითარების ისტორიაში. იგი შედის XVII ს-ის მინიატურათა იმ ჯგუფში, რომელსაც მიეკუთვნება ავალიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ (H 2074) ილუსტრაციები და წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ (S 5006) ილუსტრაციების პირველი ნაწილი. **ლ. კ.**

626. მუხრან მაჭავარიანი

ქართული სიტყვის მხედართმთავარი

ჟურ. „ცისკარი“, 1966, გვ. 5-6.

ავტორი ყურადღებას მიაქცევს „ვეფხისტყაოსნის“ სალექსო ზომას, მის სიახლოვეს ხალხურ პოეზიასთან, მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობას და მის მნიშვნელობას სალექსო ნიუანსების შექმნაში.

საუბარია აგრეთვე რუსთაველის ენის ხალხურობაზე, რომ პოეტი არ იზღუდება ერთ-ერთი კუთხის, ან მიღებული სამწერლო ენის ფარგლებით, იგი უხვად იყენებს ე. წ. „დიალექტებს“ და ამით გამოხატავს მთლიანად საქართველოს.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოეტურ ალღოს და ოსტატობას ზმნების გამოყენებაში, რაც ლექსს მისთვის აუცილებელ დინამიურობას ანიჭებს. გ. ა.

627. ვ. მაჭარაძე

რუსთაველიანა რუმინეთში

გაზ. „თბილისი“, 1966, 17 დეკემბერი, № 294, გვ. 3.

რუმინელმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ პატივისცემა მოკლე დროში პოემის სამგზის გამოცემით გამოხატა. 13 სექტემბერს გაზეთში „სკინტია“ დაიბეჭდა საინფორმაციო ცნობა „800 წელი პოეტ შოთა რუსთაველის დაბადებიდან“. 28 სექტემბერს რუმინეთის რადიომ მოაწყო სპეციალური გადაცემა „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. 29 სექტემბერს გაზეთმა „სკინტია“ დაბეჭდა სილვიუ პოდინას წერილი „რუსთაველის იუბილე“. 31 ოქტომბერს დაიბეჭდა ცნობა 30 ოქტომბერს კონსტანცაში გამართული საიუბილეო სხდომის შესახებ, რომელზეც ტრაიან სიმულამ ილაპარაკა ქართველი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ი. წ.

628. მიხეილ მახათაძე

რუსთაველოლოგიის საკითხები

თბილისი, 1966, 310 გვ.

წიგნი მოიცავს სხვადასხვა დროს დაწერილ გამოკვლევებს: **ეროვნული იდეები „ვეფხისტყაოსანში“** (გვ. 5-44.) დაბეჭდილი იყო 1941წელს (იხ. გ. იმედაშვილის წიგნში, ანოტაცია N 2065).

სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 45-113). გამოქვეყნდა 1942 წელს (იხ. გ. იმედაშვილის წიგნში, ანოტაცია N 2096).

მედიცინა „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 114-150), დაწერილია 1960 წელს. ავტორი ვრცლად განიხილავს რუსთაველის თხზულებაში ასახულ ადამიანის შინაგან და გარეგან სნეულებებს, ფსიქიკურ და ნევროზულ პათოლოგიებს, მათი მკურნალობის მეთოდებსა და საშუალებებს. ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ჯეროვანი ცოდნა ადამიანის ანატომიისა და საციცოცხლო პროცესებისა. „რუსთაველის შემოქმედებაში ასახული ქართული სამედიცინო აზროვნება თავისუფლად უტოლდება თავისი ეპოქის სამედიცინო სისტემებს. იგი უფრო მატერიალისტურია, ვიდრე იდეალისტური, რეალისტური და არა დეისტურ-დემონოლოგიური, მეცნიერულია და არა საკულტო-სატაძრო და მაგიური, რაციონალურია და არა მისტიკური“ (გვ.150).

ნადირობა „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 151-186). ნარკვევი დათარიღებულია 1956-1961 წლებით. ავტორის დაკვირვებით პოემაში აღწერილია ნადირობის 16 შემთხვევა. ამათგან არც ერთი არაა თვითმიზნური, ინტერმედიული, განცალკევებული; ყველა მათგანი ორგანულ კავშირშია ან სიუჟეტურ განვითარებასთან, ან ამა თუ იმ სიტუაციასთან, ხასიათთან, სახის თუ ეპიზოდის მთლიანობასთან. ნადირობას ორგვარი მიზანი აქვს: წმინდა ეკონომიკური და სასპორტო-სანახაობითი.

რუსთაველისეული ნადირობის სურათებისა და მონაცემების შედარება ქართულ და სხვა ხალხების ნადირობის წეს-ჩვევებთან უქვეყლს ხდიან, რომ ამ სურა-

თებში წარმოდგენილია ქართული ნადირობის მხატვრულ-რეალისტური ასახვა. ნარკვევში მოცემულია ნადირობასთან დაკავშირებული ლექსიკის 59 სიტყვა-ტერმინი (გვ. 183).

რუსთაველის ბიბლიოგრაფიისა და ტექსტის დადგენის საკითხები (გვ. 187-308). დათარიღებულია 1959-1962 წლებით.

აქ მკვლევარი განიხილავს ფრანგი ორიენტალისტის ფრ. ტუსენის მიერ 1942 წელს გამოქვეყნებული „საქართველოს სიმღერების“ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. იგი რეალობად თვლის აბუ ლ-ფარაჯის კრებულში რუსთაველის თარგმანის არსებობას, ასევე სანდოდ მიიჩნევს ტუსენის ნათქვამს: „საქართველოს სიმღერები“ არაბული კრებულიდან ვთარგმნეო და ამის საფუძველზე ამ ტექსტების მნიშვნელობას გადაჭარბებით აფასებს. დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ტუსენისეული „სიმღერები“ ლიტერატურული მისტიფიკაციაა (იხ. ლ. მენაბდე, რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში, 1990, (გვ. 249-278).

ქვეთავში **„ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“** (გვ. 205-251) მკვლევარი ასწორებს ზოგიერთ წაკითხვას, ან აზუსტებს ტერმინებისა და ფრაზების შინაარსს. მაგ; **აზავერი** ასე უნდა გავიგოთ: **საკიდარის** (უღლის) ხარი (იხ. „უღელი“ საბასთან). „ქვითა დავლენეთ წვივები“ (სტრ. 618) – აქ იგულისხმება ცხენების წვივები. **„დავაშავითა“** (სტრ. 763) – დავაშავეთ, შეცდომა ჩავიდინეთ. „ტყვე საკნით ნააზატები“ (სტრ. 267) ნიშნავს: ტყვე, საკნის მაშვეობით გათავისუფლებული, მიზანმიღწეული. „აწ ეგე არ მართალია“ (სტრ. 565) უნდა გასწორდეს: **„აწ ესე არს მართალია“**. „დიდებულნი არ გაუშვენეს“ (687), უნდა გასწორდეს: ... **რა გაუშვენეს**. სტროფი 655 „დევთა ყვირილი, ზახილი“... **ყალბია**, შექმნილია როსტომიანის მიბადებით. „სხვასა რას მნუკვეთ საქმესა“ (1193) უნდა გასწორდეს: **გნუკვეთ** (= მე სხვა რაღაცას გეხვეწებით). „პერპერასა დაფანტულსა ზედა სცვეთდეს, ვითა ხიდსა“ (1437), უნდა გასწორდეს: **ჰხვეტდეს**.

წიგნის 252-260 გვერდებზე ავტორი ასაბუთებს, რომ სტროფი: „მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტისმეტითა“... (ხელნაწ. N 377), უნდა აღდგეს პოემის ძირითად ტექსტში; მისი მეოთხე ტაეპი კი ასე გაიმართოს : „ვით იადონი, არ მოჰკვედ ბულბულას (ან ბურბურას) თესლთა კვნეტითა“.

თავი: **„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით** (გვ. 261-279) დაბეჭდილი იყო 1946 წელს (იხ. გ. იმედაშვილთან, ანოტაცია № 2164). მკვლევარი ამტკიცებს, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ სამივე თავი ერთი ავტორისაა (რუსთველის მიმბადველისა), რომელსაც წარმოდგენა არა აქვს არც ჯარის ორგანიზებულ წყობაზე, არც ტაქტიკურ ერთეულებზე („რაზმი“, „დასი“). იგი სარგებლობს რუსთველური ტერმინოლოგიით, სიტუაციებით, ტაქტიკური ხერხებით... მისგან აღწერილი მეოთხე ბრძოლა ტარიელისა პოემაში აღწერილი ბატალური სურათების პროფანაციას და ფალსიფიკაციას წარმოადგენს.

წიგნის დასასრულს: „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის – ავტორი კრიტიკულად განიხილავს კ. ჭიჭინაძის არგუმენტებს „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსთველურობის თაობაზე. მისი დასკვნა ასეთია: „დროა რუსთაველს ავხადოთ პასუხისმგებლობა იმ აუარებელი კურიოზებისათვის, რომლებიც უვიცმა ხელოსან-გამგრძელებლებმა და გადაძწერებებმა შექმნეს და პოემას მიაწერეს“ (გვ. 308).

გ. ა.

629. მ. მახათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 27 მაისი.

ავტორი შენიშნავს, რომ პოემის გმირი ქალები სხვადასხვა სოციალური წარმოშობისა და წრისანი არიან. ხუთი მათგანი მეფე ან სამეფო გვარეულობის წევრია; ას-მათი, საგულვეტელია, დიდგვაროვანი ფეოდალის ასულია, ფატმანი კი – პირველი ქალბატონია ვაჭრული არისტოკრატის ზედაფენებში. პოემაში თითქმის არ გვხვდებიან დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული ქალები. ნაჩვენები არ არის არც კლასობრივ-წოდებრივი ანტაგონიზმი და მისგან მომდინარე განწყობილებანი. პოემით, ქალი იმედია მამაკაცისა, მისი შთამავგონებელი. ეს მაღალი თვისება ქალისა, უქვევლია, მის ზოგადსაკაცობრიო თვისებად უნდა იყოს მიჩნეული. ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის გმირი ქალები მათ იდეურ-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-მორალურ და სხვა მისწრაფებებთან ერთად, ტიპობრივად, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, უფრო ქართული, ვიდრე არაბული ან ინდური მიწა-წყლის შვილები არიან.

ი. კ.

630. მ. მახათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ქუთაისის საისტორიო მუზეუმის ხელნაწერები

ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელ. ისტ.-ეთნ. მუზეუმისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალაქო საზ.-ის სამეც. სესია, თეზისები. ქუთაისი, 1966, გვ. 14-15.

1. ქუთაისის საისტორიო მუზეუმში ინახება „ვეფხისტყაოსნის“ რვა ხელნაწერი. მათი საინვენტარო ნომრებია: 204, 205, 209, 214, 215, 289, 383 და 589. ამათგან 205 და 215 მე-17 საუკუნისაა. 383 – მე-18 საუკუნის, დანარჩენი ხუთი კი მე-19 საუკუნეს განეკუთვნება. 2. ყურადღებას იმსახურებენ ხელნაწერები №№ 205 და 215, როგორც უძველესთა რიგისანი და 383, მე-18 საუკუნისა, მაგრამ ვრცელი, და მამასადაამე, მომდინარე არა ვახტანგის გამოცემიდან, არამედ რომელიღაც გაცილებით ძველი ხელნაწერიდან. 3. მუზეუმის სამი საყურადღებო ხელნაწერიდან, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინარჩუნებს პირველი, № 205. მას შემოუნახავს ინდო-ხატაელთა დამატების სრული ტექსტი. ამ და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით იგი ძალზე ახლოა S 4499 ცნობილ ხელნაწერთან. მხოლოდ ამ ორი ხელნაწერით შემონახულია 1812, 1-7 სტროფები (1956 წ. გამ. სათვალავით), რომლებიც ყოველ ეჭვს გარეშე ინდო-ხატაელთა ამბის (დანართის) ორგანული ნაწილია, უტყუარი არგუმენტი ამ ამბის სიყალბისა. ამით აიხსნება, რომ ამ სტროფებს დუმილით უვლიან გვერდს ინდო-ხატაელთა დანართის ავთენტურობის მომხრეები (კ. ჭიჭინაძე და სხვ.). 4. ხელნაწერი № 215, „აღწერილობაში“ შეტანილი სათაურით „ვეფხისტყაოსნის დამატებანი“ (ტ. I, 1959წ.), სინამდვილეში „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციის ნაკლები ხელნაწერია, 54 ფურცელი, 428 სრული და 4 ნაკლები სტროფის შემცველი. 5. მე-19 საუკუნის ხელნაწერი № 204 გადაწერილია „დიაჩოქი ეპიფანე გაწერელო-ვის“ მიერ ილუმენ იოანე ჭალაგანიძის დაკვეთით. ჩვენს სიმძველეთასაცავებსა და კერძო კოლექციებში მოიპოვება სხვა ხელნაწერები, გადაწერილი მიტრიპოლიტების, მღვდლების, სომხური სემინარიის სტუდენტების მიერ.

ლ. კ.

631. მ. მახათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნება მის რუსულ თარგმანებში

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელ. პედ. ინსტიტუტის შრომები, XXIX, 1966, გვ. 35-64.

ავტორი გვიჩვენებს, რამდენად სწორად არის წარმოდგენილი რუსულ თარგმანებში პოემის ბატალური სურათები, სამხედრო სისტემა და ხელოვნება. მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული სამხედრო ხელოვნება მე-12 ს-ის ქართული ფეოდალური ხელოვნების სრულყოფილი ასახვაა. სამხედრო მოვლენები თუ ბატალური სურათები პოემაში მკაფიოდ არის რეგლამენტირებული, კვალიფიცირებული, გადმოცემულია ზუსტი ტერმინებით. თარგმანებში კი ეს ტერმინები და ცნებები ხშირად ირევა, სხვა ტერმინით იცვლება ან სულ უგულვებლყოფილია, რის გამოც არასწორი შთაბეჭდილება იქმნება საბრძოლო ოპერაციებში გამოყენებულ წესებსა და ხერხებზე.

ავტორი განიხილავს სამ ეპიზოდს: **1.** ტარიელის ბრძოლას ხატაელებთან, **2.** მულ-ღაზანზარში – ფრიდონის ბიძაშვილებთან და **3.** ქაჯეთის ციხე-ქალაქის აღებას. თარგმანებში მოცემული შინაარსის მიხედვით, ტარიელი ფიზიკური ძალის ან რაღაც შემთხვევითობის წყალობით იმარჯვებს და ამით მკვიდრდება უხეში ფიზიკური ძალის კულტი, როდესაც დედანში სრულიად საპირისპირო ვითარებაა – ტარიელი იმარჯვებს სამხედრო საქმის ცოდნით, გონებით, სწორი ტაქტიკის გამოყენებით.

ავტორი ეხება თვით ქართულ ენაზე სხვადასხვაგვარად გაგებულ ზოგიერთ ტერმინს. მაგ. **„ქუსლი ვვარ და დაფუქცივე“**... ავტორის აზრით, **ქუსლი** იგივეა, რაც **тапан**. ხოლო 615-ში: „მოვჰკიდე ხელი ნავისა ბაგესა“... **ხელი** არის **ворон**, ამწევი დანადგარი და არა ადამიანის ხელი (გვ. 46-47). 617-ე სტროფში: „თვით ორნივე ბიძაძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა, ხელნი წმიდად დაეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარა“... მკვლევარი სიტყვას **დაეკვეთნეს** აკავშირებს **დაკვეთებასთან**, რაც ნიშნავს: დასცა, დაახეთქა, ჩააგდო, დააუძღურა, დაიმორჩილა (სინური მრავალთავი, საქმე მოციქულთა, ოთხთავი, „ბალავარიანი“ და სხვ.). ამ მნიშვნელობის შეტანით, სტრიქონს შემდეგი შინაარსი ექნება: „თურმე წმიდად (სწორედ) ხელები დაეზიანებინა, დაეკოდა ბიძაშვილებისა ფრიდონს (და არა სხეულის სხვა ნაწილები), მარტო ხელებში დაეჭრა ფრიდონს ბიძაშვილები, და არა სხვაგან, ასე ასაპყარა ისინი“ (გვ. 55-56).

ავტორი ფიქრობს, რომ „ფრიდონს უნდა მოეხსნას თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ წაყენებული ბრალდება ბარბაროსობისა, რასაც იმეორებენ მთარმნელები“. (გვ. 56).

გ. ა.

632. აპოლონ მახარაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართველი რომანტიკოსები

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 237-252.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა და გავლენა საერთოდ საგრძნობია მომდევნო ეპოქების საზოგადოებაზე და ლიტერატურულ ცხოვრებაზე ზნეობრივი იდეალებითა და მხატვრული ოსტატობით. მეცხრამეტე საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწენი და რომანტიკოსი პოეტები, დაწყებული სოლომონ დოდაშვილით, „ვეფხისტყაოსანს“ მიმართავენ ეროვნული იდეალების ქადაგებაში, საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ. ალექსანდრე

ჭავჭავაძის, გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში, მათ ლექსებსა, კრიტიკულ წერილებსა თუ პირად ბარათებში ავტორი აღნიშნავს სათანადო მსჯელობებსა და გამოთქმებს რუსთაველთან დამოკიდებულების დასახასიათებლად და მოჰყავს ამონაწერები „ვეფხისტყაოსნის“ კვალის საილუსტრაციოდ.

გ. ი.

633. ი. მეგრელიშვილი

შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია

გაზ. „თბილისი“, 1966, 24 სექტემბერი, № 225, გვ. 3.

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ შოთა რუსთაველის საიუბილეოდ გამოუშვა აკად. ავლიპი ზურაბაშვილის „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“, რომელიც, წერილის ავტორის აზრით, გამოირჩევა ღრმა მეცნიერული შინაარსითა და საზოგადოებრივი მნიშვნელობით. ა. ზურაბაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ადამიანთა მოქმედების რეალურ პროგრამას იძლევა. იგი მორალურ-კულტურული და ეროვნული პროფილის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი ნაწარმოებია. როგორც რეცენზენტი წერს, „ა. ზურაბაშვილის გამოკვლევა „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“ შენაძენია ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის მეცნიერულ საგანძურში“.

ი. წ.

634. იოსებ მეგრელიძე

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირსიტყვიერებაში

გაზ. „ახალი კოლხიდა“ (ფოთი), 1966, 21 აგვისტო, № 100, გვ. 3.

მკვლევარი იცავს აზრს, რომ ხალხური „ტარიელიანი“ შექმნილია რუსთაველის თხზულების გახალხურების გზით. მისი ერთ-ერთი არგუმენტი შემდეგია: „ტარიელიანი“ რომ პირველი იყოს, მისი სამოქმედო გარემო, გეოგრაფიული არეალი ძირითადად მაინც საქართველო ან კავკასია იქნებოდა. მაგრამ ასე როდია: „ტარიელიანის“ გმირების სამოქმედო ასპარეზი შორეული ინდოეთი, არაბეთი და ქაჯეთია. პირთა სახელებიც „ვეფხისტყაოსნისას“ ემთხვევა.

მკვლევრის აზრით, რუსთაველი იყენებდა ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ მოტივებს, მაგრამ ეს ის არაა, რასაც ზოგიერთი ფოლკლორისტი ამტკიცებს. „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქის სინამდვილის მხატვრული წარმოდგენაა, რაც უფრო ადრე შექმნილ თხზულებაში ვერ აისახებოდა.

გ. ა.

635. ი. მეგრელიძე

სიბრძნის წყარო

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 3.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ აფორიზმებზე, აღნიშნავს, რომ რუსთაველის აზროვნებისა და წერის ამ სტილით დაინტერესებული იყო ნიკო მარი. მის არქივში აღმოჩნდა მასალა, სადაც რუსთაველის აფო-

რიზმებს მიწერილი აქვს პარალელები ნასირ-ხოსროს (გარდ. 1088წ.) დიდაქტიკური ნაწარმოებიდან.

ავტორის დაკვირვებით, შოთა რუსთაველი იყენებს ხალხურ ანდაზებს, ზოგჯერ აღნიშნავს, რომ ეს „ბრძენთა“ თქმულია, ზოგჯერ კი პიროვნებას ასახელებს (მაგ., პლატონს). „ვეფხისტყაოსნის“ დიდი პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი მასში გამოთქმული ბრძნული აზრებია, რომლებიც აფორიზმებით არის წარმოდგენილი.

გ. ა.

636. ი. მეგრელიძე

ერთი აფორიზმის შესწორების გამო

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 27 მაისი, № 22, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უმრავლეს ხელნაწერებსა და გამოცემებშიც ერთი აფორიზმი ასე იკითხება: „სჯობს სიკვდილი აკლებასა“ (744), ზოგიერთმა გამომცემელმა, მაგ. 1841, 1860, 1937, 1951, 1953, 1957 წლების გამოცემებში, დაბეჭდა: „სჯობს სიცოცხლე აკლებასა“.

ეს არაა რუსთაველური აფორიზმი, მეტიც, ეს ეწინააღმდეგება პოეტის აზრს. მკვლევარი იმოწმებს რუსთაველის სხვა აფორიზმებს და დაასკვნის, რომ უნდა აღდგეს ხელნაწერების წაკითხვა: „სჯობს სიკვდილი აკლებასა“.

გ. ა.

637. ი. მეგრელიძე

დავით ჩუბინაშვილი მეცნიერი და რუსთველოლოგი

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 106-113.

წერილი ეხება დ. ჩუბინაშვილის მუშაობის ქართულ ფილოლოგიაში და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და შესწავლის საქმეში.

ავტორი აღნიშნავს, რომ დ. ჩუბინაშვილს რუსთველოლოგიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში, შემდეგ ამ გამოცემის ტექსტი დაბეჭდა 1846 წელს შედგენილ „ქრესტომათიაში“, 1860 წელს კი დამოუკიდებლად გამოსცა პოემის შესწორებული ტექსტი. ამ გამოცემას ახლავს მისგანვე შედგენილი მოკლე ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილმა პროზაულად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდი, იგი ეხმარებოდა ივ. ბარტდინსკის პოემის ეპიზოდების რუსულ ენაზე თარგმანში და დაბეჭდა კიდევაც 1846 წელს „ქრესტომათიაში“ ამ თარგმანის 142 სტროფი.

გ. ა.

638. ი. მეგრელიძე

სამოციანელების ღვაწლი რუსთველოლოგიაში

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 135-141.

როგორც მკვლევარი წერს, პლ. იოსელიანის შემდეგ ილია ჭავჭავაძე პირველია, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განიხილა.

მის ნაშრომებს შორის აღსანიშნავია წერილი „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (1887წ.). ცნობილია ილიას მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ტექსტის დადგენაში, რომელზედაც სპეციალური კომისია 1881 წლიდან მუშაობდა.

აკაკი წერეთელი პეტერბურგში 1862 წელს დაწერილ სადიპლომო ნაშრომში აღნიშნავდა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად შესწავლის აუცილებლობას, ხოლო 1881 წელს მან მოხსენებად წაიკითხა „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“. ი. გოგებაშვილი თავის სასკოლო წიგნებში იყენებდა რუსთაველის აფორიზმებს. წიგნში „ბუნების კარი“ იგი საგანგებო ადგილს უთმობს „ვეფხისტყაოსანს“. ვაჟა-ფშაველამ სპეციალური წერილები უძღვნა რუსთაველის შემოქმედებას: „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (1890 წ.), „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (1911წ.) და სხვ. **გ. ა.**

639. ი. მეგრელიძე

შოთა რუსთაველი ქართულ ფოლკლორში

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, აგვ., № 104; „ჭიათურის მღაროელი“, 1966, 7 სექტ., № 175; „გამარჯვების დროშა“, (ლაგოდეხი), 1966, 15 სექტ., № 109; „ახალი თიანეთი“, 1966, № 97,98; „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1966, № 107.

ავტორი შენიშნავს, რომ ქართველი ერის მდიდარ ზეპირსიტყვიერებაში, ხალხი ლაპარაკობს როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე, ისე მის პოემაზე. ამ გადმოცემებში ორი ციკლი განირჩევა:

1. ისტორიული ან ლეგენდული გადმოცემები თვით რუსთაველის შესახებ.

2. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და მისი ცალკეული ადგილების ხალხური ვარიანტები. 1829 წლიდან ვიდრე დღემდე გამოქვეყნებულია 50-ზე მეტი ასეთი გადმოცემა და რიგი მათი ვარიანტები.

ხალხური გადმოცემები პოეტის შესახებ მრავალფეროვანია, მაგრამ მათში მთავარი ადგილი თამარ მეფისა და პოეტის სპეტაკი სიყვარულისა და რუსთაველის მესხეთში დაბადების ამბავს უჭირავს. უკვე ცნობილ მრავალრიცხოვან თქმულებათაგან რუსთაველის შესახებ ავტორს უფრო სანდოდ მიაჩნია ის ცნობები, რომლებიც ხშირად მეორდება უფრო ძველსა და მნიშვნელოვან გადმოცემებსა და ვარიანტებში. გადმოცემებში პოეტის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების პარალელურად ასახულია აგრეთვე რუსთაველის შეხედულებანი კლასობრივ ურთიერთობათა, ქალთა და მამაკაცთა დამოკიდებულების ნორმები. **ი. კ.**

640. ი. მეგრელიძე

დიდების შარავანდედი

გაზ. „თბილისი“, 1966, 19 სექტ. № 220

წერილში საუბარია ხალხური თქმულებების შესახებ რუსთაველზე. ნიმუშად მოტანილია ორი ლეგენდა და ორი ხალხური ლექსი. პირველი ლეგენდა „სტუმრად კახაბერთან“ ავტორს ჩაუწერია 1929 წელს, მეორე – „რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი“ კ. ბალმონტს შეუტანია 1917 წელს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის წინასიტყვაობაში, საიდანაც ი. მეგრელიძემ თარგმნა და დაბეჭდა 1954 წელს. **გ. ა.**

641. ი. მეგრელიძე

**„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები
(ჰოჭმანი, საჰოჭმანები, ლაყფობა, ვილაყფეთანი)**

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, თბილისი, 1966, გვ. 296-310.

ავტორი განმარტავს რამდენიმე სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას „ვეფხისტყაოსანში“: 1. **ჰოჭმანი** („ვჰოვე, და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ **საჰოჭმანები**“). ამ სიტყვას რამდენიმე ახსნა აქვს: სამნელო, საეჭვო, საყოყმანო, სადავო, საქები, სამაყო, სასახელო. ი. მეგრელიძის აზრით, მოცემულ ტაეპში „საჰოჭმანები“ საყოყმანოს, საეჭვოს ნიშნავს. 2. **ვილაყფეთანი** – („ვოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“). მკვლევრის აზრით, ეს არ ნიშნავს: ამბები გავლექსე და თანაც მევე ვილაყფე გავერთე, არამედ შემდეგს (ამბები მე გავლექსე და) ჩვენ (მე და მათ პოემის გამო) ვიმსჯელებთ, ვილაყფეთ, გავერთეთ. ე. ი. სიტყვაში სუბიექტი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი – **ვილაყფეთ**, რითმის გამო დამატებულია **ანი**. 3. **ჰაველი წყლისა** („რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჰაველსა წყლისასა“): ა. **ჰაველი** არის მოძრავი წყლის „ძარღვი“, თოკივით რომ გაჩნდება წყალზე და გრებით მოედინება. ბ. **ჰაველი** – ანკარა წყლის მოძრავ ზედაპირზე სხივთა ციმციმი, წყალზე სხივთა თამაში, ლიცლიცი. ი. მეგრელიძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში **ჰაველს** უფრო მეტად პირველი განმარტება შეესაბამება. **ლ. კ.**

642. ი. მეგრელიძე

მარი ბროსე – რუსთველოლოგი

შოთა რუსთველის სახ. ქართული ლიტ. ინსტ., XXVI სამეცნ. სესია, თეზისები გვ. 7-8, თბ: 1966, 21 მარტის სხდომა, გვ. 7-8. იგივე მოხსენება წაკითხული იყო 23 მაისის სხდომაზეც.

თეზისების ძირითადი დებულებებია, რომ მარი ბროსემ (დ. ჩუბინაშვილთან ერთად) XII საუკუნის საქართველოს სინამდვილესა და „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდთა შორის მონახა პარალელები და გააღრმავა პოემის ისტორიულ-ეროვნული ინტერპრეტაცია; I-მა შეამჩნია მსგავსება ჩახრუხადისა და რუსთაველის ზოგ აფორიზმებსა და მხატვრულ ლექსიკას შორის, წამოაყენა ამ ორი პოეტის იგივეობის ჰიპოთეზა.

თეიმურაზ ბაგრატიონთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ხელმძღვანელობის გარდა, მ. ბროსემ თავის ნაშრომებში დააყენა რიგი საკითხები რუსთაველის ბიოგრაფიის, ეპოქის ისტორიის, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის, აღნაგობისა და სხვა მხარეებისა; გაავლო პარალელები რუსთაველის პოემასა და მსოფლიოს სხვა უმნიშვნელოვანეს ლიტ. ძეგლებს შორის. მ. ბროსემ თარგმნა შემოკლებულად ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“. გამოაქვეყნა მასზე რამდენიმე ნარკვევი.

გ. ი.

643. **Иосиф Мегрелидзе**

Руставели и „Витязь в тигровой шкуре“ в изустной поэзии

გაზ. „Кутаисская правда“, 1966, 27 авг., № 103, გვ. 4; აგრ. ჟურ. „საქ. ავტორი“, 1966, № 15.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვარიანტებზე. მიმოხილულია ის 50-მდე თქმულება, რომელიც 1829 წლიდან ჩაუწერიათ და ჩვენამდე მოუღწევია.

ყურადღება გამახვილებულია ე. წ. „ტარიელიანაზე“, „ავთანდილიანაზე“; გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპრული სამყარო.

ავტორი საუბრობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილ თქმულებებზე, რომლებზეც მართლაც დიდი გავლენა მოუხდენია რუსთაველის პოემას, მაგრამ „ვეფხისტყაოსანშიც“ ასახულია ფოლკლორული მოტივები, ასე რომ ფოლკლორი და შოთა რუსთაველის პოემა ის ჰარმონიული შერწყმაა, რამაც გაამდიდრა, ერთი მხრივ, ქართული ზეპირსიტყვიერება, მეორე მხრივ, თავად პოემა, მთლიანობაში კი ამ სიმბიოზმა ფრიად არგო ქართულ ეროვნულ კულტურას. **თ. ბ.**

644. ი. მეგრელიძე

Новые сведения о Давиде Сослани

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 29 сент., № 229, გვ. 2.

ავტორი საუბრობს დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ. აღნიშნავს, რომ ის იყო ოსეთის მეფის მემკვიდრე, ხოლო დედის მხრიდან ქართველ ბაგრატიონების შთამომავალი. იგი დაიღუპა 1207 წელს და სად არის დასაფლავებული, უცნობია. ოსური ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ის დაიჭრა ყარსის ბრძოლაში და გზაში გარდაიცვალა. ოსური წესის მიხედვით, ოსი სადაც არ უნდა გარდაცვლილიყო, უსათუოდ ოსეთში დაიმარხებოდა. დავით სოსლანის შემთხვევაში ასეთ ადგილად სახელდება **ნუზალი**. **ნუზალის ეკლესიაში** რუსი მეცნიერის ვ. პაპის თქმით, მართლაც არის კედელზე დავით სოსლანის გამოსახულება ქართული წარწერით. პროფ. მ. ტოტროვი ადასტურებს, რომ გათხრებისას აღმოჩნდა მამაკაცის სამარხი, რომელიც გოლიათური აღნაგობის უნდა ყოფილიყო, ეს არის დავით სოსლანის სამარხი. დასტურდება აგრეთვე წარწერა კედელზე „დავით სოსლანი“. **ი. წ.**

645. ი. მეგრელიძე

Размышления над бессмертной поэмой

გაზ. „Заря Востока“, 1966, 9 септември, № 207, გვ. 3.

წერილის ავტორის აზრით, მართალია, პოეტის სრული ბიოგრაფია არ მოგვეპოვება, მაგრამ ყველაზე სანდო წყარო თავად პოემაა, სადაც არაერთგზისაა ნათქვამი, რომ ავტორი პოემისა არის რუსთაველი. ი. მეგრელიძე ცდილობს დაადგინოს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი. იგი საუბრობს რუსთაველის ბიოგრაფიულ საკითხებზე, განსაკუთრებით იერუსალიმში მისი მოღვაწეობის შესახებ, გვთავაზობს ცალკეულ დაკვირვებებს, რაც გარკვეულწილად ავსებს რუსთაველის ბიოგრაფიას.

თ. ბ.

646. ი. მეგრელიძე

Илья Чавчавадзе и творец „Вепхисткаосани“

გაზ. „Заря Востока“, 1966, 20 септември, № 216, გვ. 3.

საუბარია ქართველ სამოციანელთა დამოკიდებულებაზე „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. გამორჩეულია ი. ჭავჭავაძის შეხედულებები, რომელმაც პ. იოსელიანის შემ-

დეგ პირველმა შეაფასა პოემა ლიტერატურულ-ესთეტიკური პოზიციიდან და საპატიო ადგილი მიუჩინა მას მსოფლიო საგანძურში.

მიმოხილულია ი. ჭავჭავაძის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, გამოკვეთილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისათვის გაწეული ღვაწლი.

თ. ბ.

647. **И. Мегрелидзе**

Гогешавили и „Вепхисткаосани“

გაზ. „Заря Востока“, 1966, 24 სექტემბერი, № 220, გვ. 3.

მიმოხილულია ი. გოგებაშვილის დამსახურება, რომელიც დიდი მონდომებით იღვწოდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის. აღნიშნულია, რომ იგი საგანგებოდ ბავშვებისათვის წერდა ნარკვევს რუსთაველზე, რომელიც შემდეგ თავის „ბუნების კარში“ შეიტანა, ხშირად იყენებდა აფორიზმებს.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ზემოხსენებულ ბიოგრაფიულ ნარკვევს.

თ. ბ.

648. **И. Мегрелидзе**

Н. Я. Марр о Руставели

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 194-197.

წერილში განხილულია ნიკო მარის რუსთაველოლოგიური მოღვაწეობა. ავტორი განსაკუთრებით გამოარჩევს მის ნაშრომს: „Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустава, грузинский текст, русский перевод и пояснения с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме“, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ივანე ჯავახიშვილი და ალექსანდრე ბარამიძე.

წერილის ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ნ. მარის მოღვაწეობას, ნათლად წარმოაჩენს მის დამსახურებას.

თ. ბ.

649. **Г. Мейлицев**

Руставелевские дни в Ленинграде

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 29 აგვ., № 202, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ თავისი სიცოცხლის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ი. ა. ორბელი, რომელმაც აღადგინა მეორე მსოფლიო ომის დროს მუშაობაშეწყვეტილი კავკასიური კაბინეტი. ახლა ამ კაბინეტს ხელმძღვანელობს ი. ორბელის ნათესავი რუსუდან რუბენის ასული ორბელი. შემდეგ თავის ინტერვიუში რუსუდან ორბელი ჰყვება იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად ინსტიტუტის კავკასიანთ-მცოდნეებს აქვთ დაგეგმილი: მოეწყობა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ გამოცემათა და უცხოურ თარგმანთა და ინსტიტუტში დაცულ ხელნაწერთა გამოფენა, ჩატარდება სამეცნიერო სესია, ერმიტაჟის თეატრში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე მოსმენილი იქნება რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებათა და დ. არაყიშვილისა და შ. მშველიძის ოპერების ნაწყვეტები და სხვ.

ბ. დ.

650. Г. Мейлицев

Слово о Великом Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 22 სექტ., № 226, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს იოსებ ორბელის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაშრომს „Эпоха Руставели“, ხელნაწერის სახით დაცულს აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. მეცნიერმა ეს ნაშრომი 1938 წელს რუსთაველის საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციაზე წარადგინა. ავტორი მოკლედ ეხება ი. ორბელის მიერ განხილულ რუსთაველოლოგიურ საკითხებს. აღნიშნავს, რომ ეს ნაშრომი და კიდევ ორი ლექცია ი. ორბელისა („Кавказ эпохи Ш. Руставели“ და „Витязь в барсовой шкуре“ Шота Руставели) შევა კრებულში „Шота Руставели и его эпоха“; ასევე – კრებულში „Памятники эпохи Руставели и „Висрамиани“-ში ადრე გამოქვეყნებული 9 ნარკვევი.

ლ. კ.

651. Г. Мейлицев

Руставели переводил и Муса Джалиль

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 15-162.

ავტორი საუბრობს პოემის თარგმანებზე. მოიხსენიებს კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოცკის ნაშრომებს, მიმოიხილავს პოემის სხვა თარგმანებსაც, მაგრამ მისთვის აღმოჩენა იყო „ვეფხისტყაოსნის“ მუსა ჯალილისეული თარგმანი.

თ. ბ.

652. Г. Мейлицев

„Витязь“ 1712 года

(Вахтанговское издание „Вепхисткаосани“ в библиотеке Ленинграда)

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 5 აგვისტო, № 182, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს ლენინგრადის მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ერთ ცალს, ცნობილი 19 ცალიდან ყველაზე სრულად და დაუზიანებლას. ა. აბრამიშვილის განმარტებით, მისი მფლობელი იყვნენ იოანე ბატონიშვილი, მისი შვილი გრიგოლ და ბოლოს, ამ უკანასკნელის შვილი – ივანე. ბიბლიოთეკაში შევიდა 1880 წელს. წიგნს ახლავს მინაწერები. ა. აბრამიშვილს გ. მეილიცევისათვის უჩვენებია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სხვა, გვიანდელი გამოცემები, მათ შორის 1888 წლის ე. წ. ქართველიშვილის გამოცემა, რომელიც 1888 წელს საქართველოში მოგზაურობისას რუსეთის მეფის ალექსანდრე მესამისათვის უჩუქებიათ.

ბ. დ.

653. Г. Мейлицев

Поэма, опередившая время

(Гранки сентябрьского номера «Звезды»)

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 17 აგვისტო, № 192, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს ჟურნალ „ზვეზდას“ სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ვსევოლოდ როჟდესტვენსკის სტატიას „უკვდავი პოემა“, სადაც დახასიათებულია „ვეფხისტყაოსანი“.

ბ. დ.

654. Г. Мейлицев

Памятники эпохи Руставели в залах Эрмитажа

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 15 სექტემბერი, № 217, გვ. 3.

წერილში საუბარია იმ ექსპონატების შესახებ, რომლებიც ერმიტაჟშია დაცული და არაჩვეულებრივად არის შენახული. ისინი XII-XIII საუკუნეებს უკავშირდებიან და თამარისა და რუსთაველის თანამედროვეთა ხელით უნდა იყვნენ შექმნილნი. **თ.ხ.**

655. გიორგი მელიქიშვილი

ჯადოქარი ოსტატი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 2.

ავტორი ახასიათებს „ვეფხისტყაოსანს“ და წერს: „გრძნობები, რომელთაც იგი უმღერის, გასაგები და ახლობელია თანამედროვე ადამიანისთვისაც, ამაშიც არის რუსთაველის უკვდავების წყარო. მაგრამ რუსთაველის სიდიადეში მთავარი მაინც სხვა არის... ქართულ ლექსს ასეთი მუსიკალობისათვის, ასეთი ჟღერადობისათვის არ მიუღწევია“ საქართველოში. მისი სიტყვებით: „ვინც ქართველ ხალხს საკუთარი ძალების რწმენას უნერგავდა, საკუთარი ეროვნული კულტურისა და ისტორიული წარსულისადმი პატივისცემით გამსჭვალავდა“, „ერთი ასეთი დედაბოძი იყო რუსთაველი“.

ბ. დ.

656. დ. მელუხა

ჩვენი ძველი მეგობარი

გაზ. „თბილისი“, 1966, 7 ოქტ., № 236, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს მცირე ინტერვიუს პოეტ იგორ სიკირიციკისთან, რომელმაც პოლონურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. სტუმარი აღტაცებას გამოხატავს კარგად ჩატარებული რუსთაველის საიუბილეო ზეიმით და აღნიშნავს, რომ პოლონეთში მეორედ დაიბეჭდა და რამდენსამე დღეში გაიყიდა „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტირაჟი. გაისად გათვალისწინებულია მესამე გამოცემა. პოლონეთის კულტურისა და განათლების სამინისტრომ რუსთაველის პოემა სკოლების სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის სიაში შეიტანა. **გ. ა.**

657. დ. მელუხა

მწერალი და ცხოვრება

(ვესაუბრებით გიორგი ლეონიძეს)

გაზ. „თბილისი“, 1966, 2 მარტი, № 51, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს დ. მელუხას ინტერვიუს, რომელიც გ. ლეონიძესთან ჩაიწერა. მწერალი საუბრობს იმ მეცნიერულ პროდუქციაზე, რომელიც მომზადდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და რაოდენობრივად და ხარისხითაც ძალზე სოლიდურია. მათ შორისაა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, მონოგრაფიები რუსთაველზე, ნიკო მარის რუსთაველოლოგიური ნაშრომები, ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეული და სხვ. **ი. წ.**

658. დ. მელუხა

უკვდავების მოტრფიალენი
(„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის კონკურსი)
გაზ. „თბილისი“, 1966, 21 სექტემბერი, № 222, გვ. 3.

თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის კონკურსი, სადაც, პროფესიონალ მსახიობებთან ერთად, მონაწილეობდნენ მოყვარულები. მოყვარულთაგან განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ ლენტეხელი თ. ბაბლუანი და მახარაძელი მეჩაიე პ. ჩხაიძე, რომელთაც პოემის ცოდნით მოხიბლეს მსმენელი. ჟიურიმ პირველი ადგილი მიაკუთვნა ვ. ანჯაფარიძესა და გ. საღარაძეს, მეორე ადგილი ც. ამირეჯიბს, ზ. ბაწელაშვილს, ო. მეღვინეთუხუცესს, ი. რუსინოვს, ტ. საყვარელიძეს, მ. ჩახავას, თ. ხაინდრავას. სიგელებით დაჯილდოვდნენ სხვა მონაწილენიც.

ი. წ.

659. დ. მელუხა

ბალეტი „შოთა რუსთაველი“ უცხოეთში
ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 9, გვ. 8-9.

ავტორის ცნობით, 1946 წელს მონტე-კარლოში დაიდგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“. ინფორმაცია ამის შესახებ ავტორმა დამდგმელი რეჟისორის პირველი ასისტენტის – ალ. პეტრიაშვილისა და ნესტანის პარტიის შემსრულებლის – ივეტ შოვირესაგან მიიღო. ცნობილმა ბალეტმეისტერმა – სერჟ ლიფარმა დიდი ხნის ოცნება განახორციელა და სცენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები გააცოცხლა.

ივეტ შოვირემ გაიხსენა, თუ როგორ იქმნებოდა ბალეტი „შოთა რუსთაველი“.

თ. ხ.

660. ლევან მენაბდე

დიდი პოეტის იუბილეს – დირსეული შეხვედრა
გაზ. „თბილისი“, 1966, 5 მაისი, № 103, გვ. 2.

ავტორი ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რუსთაველის საიუბილეოდ განახორციელებს. მათ შორის: გადახალისდა სასწავლო გეგმები, გაძლიერდა რუსთაველოლოგიის სწავლება, გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, ა. შანიძის, იუსტ. აბულაძის, ი. სურგულაძის, კ. გრიგოლიას, პ. ბერაძის წიგნები, იქმნება „რუსთაველის შრიფტი“, გაიხსნა რუსთაველის კაბინეტი, ეზოში დაიდგმება რუსთაველის ბიუსტი, მოეწყობა სამეცნიერო სესია, ჩატარდება ლექცია-საუბრები და ა. შ.

ბ. დ.

661. Л. Менабде

Шота Руставели и его „Витязь в тигровой шкуре“

ჟურ.: „Агитатор Грузии“, 1966, № 13, გვ. 25-29; „საქართველოს აგიტატორი“, 1966, № 13.

მიმოხილულია წინარე რუსთაველური პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება, საუბარია მეცნიერებისა და მწერლობის

განვითარების მაღალი დონის შესახებ. მიმოხილულია ქართული მწერლობის ძეგლები: „ამირანდარეჯანიანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, იმხანად გამოსული „ვისრამიანი“, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა.

მოთხრობილია რუსთაველის ბიოგრაფია, ყურადღება გამახვილებია ამ საკითხთან დაკავშირებულ ისტორიულ მასალებზე, მიმოხილულია არსებული ცნობები რუსთაველის ეპოქაში მოღვაწე ყველა შოთას შესახებ.

საუბარია პოემის დაწერის თარიღზე, მიმოხილულია პროლოგი, ფაბულა და სიუჟეტი. ავტორი განსაკუთრებული ყურადღებით საუბრობს სიუჟეტური შენიღბვის ხერხებზე და მის გამომწვევ სავარაუდო მიზეზებზე.

ცალკეა განხილული ზოგადსაკაცობრიო იდეალები და ძმობისა და ხალხთა შორის მეგობრობის საკითხი.

თ. ხ.

662. ლ. მენაბდე

რუსთაველის კაბინეტი უნივერსიტეტში

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 23 სექტ., № 28, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ გასულ სასწავლო წელს თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან დაარსდა რუსთაველის კაბინეტი. პროფესორ-მასწავლებლებმა კაბინეტს შემოსწირეს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე, აგრეთვე სხვადასხვა სახის რუსთაველოლოგიური ლიტერატურა. კაბინეტს დასახული აქვს ფართო გეგმა. განზრახულია სხვადასხვა ხასიათის კრებულებისა და სიმფონიების შედგენა, მეცნიერული შრომების გამოქვეყნება, რუსთაველოლოგიური ლიტერატურის თავმოყრა და გამოცემა.

გ. ა.

663. ლ. მენაბდე

ქართული პოეზიის დიდება

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ღრმად ეროვნული და თვითმყოფი პოეტური ქმნილებაა. მას ქართულ სინამდვილესთან, ქართველთა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი აქვს. „რუსთაველმა შესანიშნავად დაგვიხატა რთული და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრება, კარგად დაახასიათა პატრონყმონის ინსტიტუტი, დიდებულად უმღერა ადამიანის გამაკეთილშობილებელი გრძნობების თავისუფლებას, სიყვარულის ამამაღლებელ ძალას... თავისი ჰუმანისრული მსოფლმხედველობით მან გაუსწრო იტალიელ ჰუმანისტებს და მათზე ადრე შეასხა ხოტბა ადამიანსა და ამქვეყნიურ ცხოვრებას“.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანმა“ განუსაზღვრელი გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

გ. ა.

664. ლ. მენაბდე

ვაჟა-ფშაველას „ფიქრები ვეფხისტყაოსანზე“

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 30 სექტ., № 189.

წერილი ეხება ვაჟა-ფშაველას 1911 წელს გამოქვეყნებულ სტატიას „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. ლევან მენაბდე მიმოიხილავს ვაჟა-ფშაველას მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებს ამ საკითხის გარშემო და აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო დიდი მცოდნე და დამფასებელია, არამედ მისი ენერგიული მკვლევარიც. მის რუსთველოლოგიურ შეხედულებათაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი კიდევ უფრო დადასტურდა შემდგომი კვლევა-ძიებით.

ც. ე.

665. ლ. მენაბდე

ნიკო ნიკოლაძე და „ვეფხისტყაოსანი“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 8, გვ. 63-70.

ნარკვევში განხილულია ნ. ნიკოლაძის კრიტიკული წერილები ი. ჯაბადარის „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი ნიჰილისტური წერილების საპასუხოდ. ავტორი ვრცლად განიხილავს ამ დისკუსიის მიმდინარეობას და აღნიშნავს:

ნ. ნიკოლაძეს, „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა ზოგადსაკაცობრიო ქმნილებად, მაღალ-მხატვრულ და ღრმა ჰუმანურ ნაწარმოებად, ქართული სინამდვილით ნასაზრდოებ, ქართველთა ცხოვრების დამახასიათებელი ფაქტებითა და იდეებით აღსავსე ეროვნულ და თვითმყოფ თხზულებად, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მშობელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მისი ლიტერატურის ზრდა-განვითარებაზე.

ბ. ა.

666. ლ. მენაბდე

გიორგი წერეთელი და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 253-262.

ავტორი აჯამებს მწერალ გ. წერეთლის სხვადასხვა შრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ და იდეურ აგებულებაზე, მის ძირითად მოტივებსა და პერსონაჟებზე, ენაზე და პოემის მნიშვნელობაზე ქართველი ერის ცხოვრებაში. გ. წერეთელს რუსთაველი მიაჩნდა მე-12-13 საუკუნეების სახელმწიფო-ებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ღირსეულ პირ-მშოდ. რუსთველმა მიზნად დაისახა სინამდვილის რეალისტურად ჩვენება. „გ. წერეთელი რუსთველის დამსახურებას იმაში ხედავდა, რომ მან საბურველი, შავი ფარდა ჩამოაცილა საზოგადოებას, მწერლობა ზღაპრული სფეროდან გამოიყვანა და რეალურ ცხოვრებას დაუახლოვა. ნაცვლად აღმოსავლური ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბებისა, მან ნამდვილი ამბები გალექსა და ცხოვრებისეული სურათები დახატა, ამქვეყნიური სინამდვილე ასახა“ (გვ. 255).

საყურადღებოა გ. წერეთლის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის რაობის გარკვევისა. „ვეფხისტყაოსანი“ გ. წერეთელს მიაჩნდა ქართული სულიერი კულტურის

უბრწყინვალეს ძეგლად და ეროვნული თვითმყოფადობის დამადასტურებელ შესანიშნავ საბუთად. (გვ. 258).

ავტორი დაწვრილებით იხილავს გ. წერეთლის პოლემიკას „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კულტურის მიმართ ნიჰილისტურ გამომხდომელებთან (სენკოვსკი, პატკანოვი, ჯაბადარი).

გ. წერეთელი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასა და გამოცემაში.

გ. ი.

667. ლ. მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი“ და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)

საქ. მეცნ. აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტი, ლიტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, I სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, 1966, გვ. 12.

თეზისებში ძირითადად ის აზრია განვითარებული, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი (ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. წერეთელი და სხვ.) დაბეჯითებით ამტკიცებდნენ პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდნენ მას ქართული სინამდვილის მხატვრულ გარდასახვად და ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად. ისინი საგანგებოდ წარმოაჩენდნენ რუსთაველის სიბრძნესა და შემოქმედებითი აზრის ძალმოსილებას, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სიღრმეს, შინაარსობლივ სიმდიდრესა და მხატვრულ ოსტატობას, რითაც ხელს უწყობდნენ ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივებასა და განმტკიცებას.

გ. ი.

668. ედუარდას მეჟელაიტისი (ქ. ვილნიუსი)

პოეზიის დიდება

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 ივლისი, № 161, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლიტველი მწერლების ა. ვენუოლის-ჟუკაუსკასის, პიტრას ცვირკასა და სხვათა ნაწერებში ასახულია საქართველო. მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსანს“ თავისი იდეებისა და მხატვრული ფორმის გამო. ერთგან შენიშნავს: „მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სავსებით თავისუფალია კლერიკალური შუასაუკუნეობრიობის გავლენისაგან. ესეც მოგვაგონებს ლიტვეური პოეზიის ერთ საოცარ ნაწარმოებს – „ანიჰაიას ტევრს“...“ გაკვრით ეხება პოემის ქალ პერსონაჟთა სახეებს.

ბ. დ.

669. Эдуардас Межелайтис

Слова особого рода

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 27 სექტემბერი, № 227, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლიტვაში რენესანსის და ჰუმანიზმის სხივებმა გვიან, XV, უფრო XVI საუკუნეში გამოანათეს. ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ ღირსებებს,

რითაც რუსთაველი ლიტველთა სულსა და გულს ავსებს. მიუთითებს ზოგიერთი ლიტველი მწერლის დამოკიდებულებაზე რუსთაველისადმი. **ბ. დ.**

670. ი. მერაბიშვილი

„სულხან-საბა ორბელიანი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „თრიალეთი“ (დმანისი), 1966, 31 მაისი, № 64.

ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ს.ს. ორბელიანი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტის მომზადებაში. მისი აზრით, ს.ს. ორბელიანი მომხრე ყოფილა პოემის ვრცელი ტექსტის დაბეჭდვისა (როგორც ვახტანგ VI), მაგრამ ვახტანგის სპარსეთში წასვლის შემდეგ ეს განზრახვა დაირღვა და დაიბეჭდა მოკლე ტექსტი. საბას მიერ ინდო-ხატაელთა ამბიდან სიტყვების დამოწმება ავტორს იმის საბუთად მიაჩნია, რომ ამ ნაწილს საბა რუსთაველისეულად თვლიდა.

გ. ა.

671. ი. მერაბიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ მოწმობს

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, 2 აგვ., № 92.

შოთა რუსთაველი პოემაში მიგვითითებს XIV ს-ის საქართველოში ძვირფასი თვლების გათლის ხელოვნების ცოდნასა და გათლილი ლალ-ალმასის არსებობაზე (1103, 1366, 1426, 1466). ეს სტროფები უდავოდ ასაბუთებენ, რომ ქართველებს ალმასების თლის, ანუ გამრავალწახნაგურების ხერხით სხივთა ტეხის უნარის გამრავალკეცების ხელოვნება ოთხასზე მეტი წლით უფრო ადრე სცოდნიათ, ვიდრე ამ ხელოვნების პირველ აღმომჩენად მიჩნეული ბელგიელი ლუი ფონ ბერგენი დაიბადებოდა.

თ. ხ.

672. ი. მერაბიშვილი

საჩუქრების არსი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „გამარჯვების დროშა“, (ბოლნისი), 1966, 8 ივნ., № 68, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ საჩუქრების გაცემა, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ნიშანია კეთილდამოკიდებულების გამოვლინებისა!

საშუალო საუკუნეებში საჩუქრების გაცემა და მიღება საქონელ-ბრუნვის თავისებურ სახეს წარმოადგენდა. საჩუქრების გაცემით ხდებოდა ანგარიშსწორება ისეთი სამსახურისათვის, რომლის ფასი წინასწარ გარიგებით არ იყო დათქმული, ანდა როცა თვით სამსახური თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელი იყო. რუსთაველი საჩუქარს ახსენებს 114-ჯერ.

გ. ა.

673. ი. მერაბიშვილი

ვარდის სიმბოლო „ვეფხისტყაოსანში“

გაზ.: „გამარჯვების დროშა“ (ბოლნ.), 1966, 13 აგვ., № 97; „თრიალეთი“, 1966, 22 სექტ., № 113.

ვარდს „ვეფხისტყაოსანში“ მრავალგვარი როლი აქვს დაკისრებული. მათი სიმბოლიკის ხასიათების მიხედვით ისინი შეიძლება ექვს ჯგუფად დავალოთ:

1. ვარ-დი მზის სიმბოლიკასთან შეხამებული,
2. ვარდი, როგორც პირისახისა და ტუჩების სიმბოლო,
3. ვარდი, როგორც ქალწულებრივი სილამაზის გამომხატველი,
4. ვარდი – სულიერი განცდების გამომხატველი,
5. ვარდი – სატრფოს სიმბოლო,
6. ვარდი – წარმავლობის სიმბოლო. ი. წ.

674. რ. მერაბიშვილი

რუსთაველის იუბილე ვერანზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 14 ნომბ., № 266, გვ. 3.

საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კონსტრუქცია მალე მაყურებელს უჩვენებს დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც შევა როგორც საქართველოს, ისე მოძმე რესპუბლიკებში რუსთაველის იუბილეს ამსახველი კადრები. ფილმში ნაჩვენებია იქნება საზეიმო სხდომები, პლენუმები, შეხვედრები, მიტინგები, გამოფენები, ძეგლების გახსნის კადრები. ფილმის რეჟისორები არიან გ. ასათიანი და თ. ნოზაძე. მზადდება აგრეთვე ორ ნაწილიანი სასწავლო ფილმი „შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი“. მასში აისახება ეპოქის ტრადიციები. ზეიმის დოკუმენტური კადრები, „შოთაობა“ იყალთოში, ვარძიასა და თბილისში. ნაჩვენებია იქნება უცხოეთში გაფანტული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: პალესტინის, ათონის, პეტრიწონის მონასტრები. ფილმის სცენარი ეკუთვნით კ. დევდარიანსა და ქ. ხაფავას. ი. წ.

675. ზ. მესენგისერი

შეხვედრა ი. აბაშიძესთან

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 27 მაისი, № 22, გვ. 4.

ავტორი მოგვითხრობს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ი. აბაშიძესთან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივის შეხვედრაზე, სადაც სტუმარმა დამსწრეთ გააცნო ის ღონისძიებანი, რაც მაშინ რუსთაველის საიუბილეოდ ჩვენს ქვეყანაში ტარდებოდა. ბ. დ.

676. დურმიშხან მესხი

თქმულება შოთას შთამომავალზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 28 ივლ., გვ. 3.

წერილში საუბარია იმ ამბის შესახებ, რომელიც XV საუკუნეში მომხდარა თურქეთის სარდლის ომარ ხანის საქართველოში შემოჭრისას. მესხეთ-ჯავახეთი აუღბრები იათ მტრებს და მრავალ ტყვესთან ერთად ერთი ახოვანი ვაჟკაციც დაუტყვევებიათ. თქმულების მიხედვით, იგი შოთა რუსთაველის შთამომავალი ყოფილა, **ავთანდილ შოთას ძე**, რომელსაც ტამარში შეუტყუებია ომარ ხანი და მოუკლავს. ავთანდილი ომარ ხანის მხლებლებსაც შებრძოლებია, მაგრამ ბოლოს მოუკლავთ, მრავალი ტყვე დაუხოცავთ, მრავალი სოფელი და ქალაქი მიწასთან გაუსწორებიათ. ც. ე.

677. ვარლამ მესხია

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართველი კლასიკოსები

(ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა)

გაზ. „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1966, 30 აგვ., № 102; 3 სექტ., № 104.

ავტორი ვრცლად გადმოგვცემს ი. ჭავჭავაძის პოლემიკის შინაარსს ნ. მართან, ა. წერეთელთან, აგრეთვე მსჯელობს იმაზე, თუ როგორ იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებსა და ეპიზოდებს ილია თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. ასევე განიხილავს ავტორი „ვეფხისტყაოსანთან“ ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულებას, განსაკუთრებით – ვაჟას წერილებს ა. ხახანაშვილისა და ნ. მარის წინააღმდეგ.

ავტორის დასკვნით, ქართველმა მწერლებმა შეძლებისდაგვარად დაასაბუთეს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობის თეორია, ხალხს გააცნეს პოემის მხატვრული და იდეური ღირსება. **გ. ა.**

678. შოთა მესხია

საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება

რუსთაველის ეპოქაში

კრებ. „თბილ. უნივერ. შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 7-32; ჟურ. „მნათ.“, 1966, № 9, გვ. 82-104.

გამოკვლევა ეხება საქართველოს მეფეების – ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, დავით IV, გიორგი III-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომელთა შემდეგ გაიზარდა და განმტკიცდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, როგორც მაჰმადიანურ აღმოსავლეთში, ისე ევროპის ქვეყნებში და სახელმწიფო ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა.

ავტორის დასკვნით, XII-XIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს ამ საუკუნეების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში, ამჟღავნებს ფეოდალური ურთიერთობის ახალ ხარისხს, მისი რღვევის ნიშნებს, ... სწორედ ასეთ ეპოქას შეეძლო წარმოემვა შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. **გ. ა.**

679. როინ მეტრეველი

ქვეყნის თვალი, მზისა დარი...

(თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში)

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 4, გვ. 128-133.

ავტორი მიმოიხილავს ფოლკლორულ მასალებს, რომლებიც ეძღვნება თამარ მეფეს: „თამარ მეფის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას. ყოველივე ამის გამო ხალხმა ხობტა შეასხა თავის სათაყვანებელ დედოფალს“.

წერილში აღნიშნულია, რომ ხალხის ფანტაზიამ თამარის პიროვნება შოთა რუსთაველის სახელს დაუკავშირა. მოყვანილია რამდენიმე ლეგენდა შოთაზე: „თა-

მარის კლდე და შოთას მთა“, „თამარი, შოთა და შოთას ძმის ამბავი“, „თქმულება დავით გოცირიძეზე“ და სხვ. **გ. ა.**

680. რ. მეტრეველი

ეპოქა დიდი რუსთაველისა
ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 9, გვ. 102-110.

წერილი არის რეცენზია მ. ლორთქიფანიძის წიგნზე – „რუსთაველის ეპოქა“ (1966წ.). როგორც ავტორი ამბობს, წიგნში გათვალისწინებულია აღნიშნული პრობლემის კვლევის საქმეში თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევები. მკვლევარი იძლევა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების, სოციალური სტრუქტურის, სახელმწიფო წყობილებისა და კულტურული შემოქმედების თვალსაჩინო სურათს. წიგნში ნაჩვენებია ამ ეპოქის ადგილი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, რომ ამ ეპოქაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და გაფორმდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წყობა, სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა, კულტურული სახე. **გ. ა.**

681. გივი მეფისაშვილი

აკაკი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ
გაზ. „რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტ., გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს აკაკი წერეთლის დიდ ყურადღებას „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, ასახელებს მის სადიპლომო შრომას „რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის სასარგებლოდ“. მასში აკაკი განიხილავს იმ დროისათვის არსებულ ბეჭდურ გამოცემებს, მიუთითებს გვიანდელ ჩანართ სტროფებზე, რომლებიც ჰიპერბოლური გამოთქმებითა და მეტაფორებით რუსთაველის თხზულებას „აზიური“ პოემის ელფერს აძლევს.

ამ ნაშრომში დაყენებულ საკითხებს აკაკი კვლავ უბრუნდება 80-იან წლებში და ცდილობს უფრო დამაჯერებლად მათ დასაბუთებას.

აკაკი წერეთელი მხატვრულ ნაწერებშიც ხშირად ახსენებს რუსთაველსა და მის გმირებს. **გ. ა.**

682. Д. Мечин

Руставелевский вечер в селе Цагери
გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 27 მარტი, № 60, გვ. 4.

ავტორის ცნობით, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. საგინაძემ წაიკითხა მოხსენება „დიდი პოეტი და მოაზროვნე“. აგრონომმა შ. ხეცურიანმა თავისი გამოსვლა ააგო გამოჩენილი ხალხის გამონათქვამებზე რუსთაველის შესახებ. ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა წრემ წარმოადგინა პოემის ლიტერატურული მონტაჟი და ინსცენირება. ღონისძიებაში მონაწილეობდა სოფლის კლუბის საგუნდო ანსამბლი. **ლ. კ.**

683. კონსტანტინე მეტეველია

ქუთაისში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტ., გვ. 1.

ავტორი წერს, რომ 1883 წელს ქუთაისში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ მეშვიდე გამოცემა. მის სატიტულო ფურცელზე გამომცემლად პეტრე წულუკიძეა დასახელებული. ეს გამოცემა კი მოამზადა კირილე ლორთქიფანიძემ, წიგნი დაიბეჭდა მის მიერ შექმნილი შრიფტით, რომელსაც ხმარობდნენ პ. წულუკიძის სტამბაში. **გ. ა.**

684. ე. მეტმარიაშვილი

შოთას გენიით შთაგონებული

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 27 ივლისი, გვ. 3.

ავტორმა უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში დაათვალიერა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები: „თეთრი ნესტანი“, „ნესტანი თალხ ფერებში“. მხატვართან საუბრისას გაირკვა, რომ მას ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაუწყია მუშაობა პოემის დასურათებაზე. თითო ილუსტრაციისთვის 10, 20 და მეტ ესკიზსაც ხატავს. როგორც მხატვარი აცხადებს, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირება მწელი და პასუხსაგები ამოცანაა, რამდენადაც გმირები მეტად მშვენიერნი და ამაღლებულნი არიან. **ლ. კ.**

685. ე. მეტმარიაშვილი

სულჩადგმული ქანდაკება

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 21 სექტემბერი, № 38, გვ. 3.

ავტორი აღფრთოვანებას გამოხატავს ცნობილი მხატვარ-მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრის – ბრინჯაოში ჩამოსხმული რუსთაველის ფიგურის გამო და მას ასე უწოდებს – სულჩადგმული ქანდაკება, რომელსაც ტრადიციული ბეწვის ქუდის ნაცვლად მუზარადი ახურავს და ხელთ გრავნილი უპყრია.

ეს ქანდაკება 25 ოქტომბერს, მოსკოვში, რუსთაველის ქუჩაზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება. **თ. ხ.**

686. ი. მთიულიშვილი

საოჯახო გამოფენა

გაზ. „თბილისი“, 1966, 12 ოქტ., № 240, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს მხატვარ ელენე ჯაფარიძისა და პოლიგრაფისტ იოსებ შახ-ნაზაროვის მიერ რუსთაველის საიუბილეო დღეებში მოწყობილ ორიგინალურ გამოფენაზე (ი. ნკოლაძის პირველი ჩიხი, სახლი N 2).

ექსპოზიციის მიხედვით, რომელიც სახლის ეზოშია განლაგებული, წარმოდგენილია პოემის გმირების სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ილუსტრაციები.

თვით ელენე ჯაფარიძეს იერუსალიმური ფრესკის მიხედვით შეუქმნია რუსთაველის ორმეტრიანი სურათი სხვადასხვა ფერის ყვავილებსაგან. **გ. ა.**

687. შ. მირიჯანაშვილი

ხალხთა ძმობის სიყვარულის გამოხატულება

(თეატრალური წარმოდგენა მთაწმინდაზე)

გაზ. „თბილისი“, 1966, 29 სექტემბერი, № 229, გვ. 3.

მთაწმინდა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი დიდი თეატრალიზებული სანახაობის ასპარეზად იქცა. აქ უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. წარმოდგენას სახელად „სიყვარული გზად და ხიდად“ ერქვა. პროფ. ი. ლოლაშვილმა წაიკითხა ლექცია. სპორტულ მოედანზე ჩატარდა შეჯიბრება. მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიამ გამართა ერთდროული სეანსი. სკოლის მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ აფორიზმების წაკითხვაში. გაიმართა სამეჯლისო ცეკვების კონკურსი. საღამოხანს კი თეატრალიზებული წარმოდგენა დაიწყო.

ი. წ.

688. ალ. მიქავა

თელავის ინსტიტუტი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 28 იანვარი, № 5, გვ. 4.

ცნობა, რომ რუსთაველის საიუბილეოდ ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები ლექცია-მოსხენებებით გამოდიან ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციაში, სტუდენტებთან ერთად აგროვებენ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის ამსახველ ფოლკლორულ მასალებს, ჩაატარეს სამეცნიერო კონფერენცია და გამსვლელი სამეცნიერო სესიები. კახეთის რაიონებში მიმდინარეობს XII საუკუნის ისტორიული ძეგლების შესწავლა და ფოტოგრაფირება.

ბ. დ.

689. ნ. მიქაშავიძე

რუსთაველი ჩუმკუზბაზე

გაზ.: „ლელო“, 1966, 30 აპრ., № 64, გვ. 2; 22 მა., № 97, გვ. 3; „კომუნ.“, 1966, 4 სექტ., № 201, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით სოხუმის თეატრის მსახიობებმა, ტურბაზის მოლაშქრეთა დახმარებით (ხელმძღვანელი ვ. იობიძე), მწვერვალ ჩუმკუზბაზე დადგეს ბიძინა ლოღობერიძის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ბიუსტი. იქვეა დაბეჭდილი ბიუსტის ფოტოსურათი.

ბ. დ.

690. შოთა მიქაშავიძე

მშვენიერების იდეა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ.

საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, (თეზისები), თბილისი, 1966, გვ. 37-38.

ავტორი წერს: „მშვენიერებას შოთა რუსთაველის პოემაში არ მოუპოვებია მშვენიერი საგნებისაგან დამოუკიდებელი იდეის სახით არსებობა“. რუსთაველის ესთეტიკური თვალსაზრისი არ ემთხვევა ნეოპლატონიზმის ცნობილ მიმდევართა შეხედულებებს და მას ნაკლებად აქვს კავშირი ხელოვნების ქრისტიანულ ორთოდოქსალურ გაგებასთან... მშვენიერება „ვეფხისტყაოსანში“ სოციალური მოვლენის რანგ-

შია აყვანილი; ადამიანი წარმოადგენს სამყაროს ესთეტიკური აღქმის ცენტრს“...
ბ. დ.

691. შ. მიქაშვიძე

**მე-19 საუკუნის 30-იანი წლების ქართველი მოაზროვნენი
„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ**

*შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XXVI სამეცნიერო სესია,
1966, თეზისები, გვ. 14 (მოგვაქვს შემოკლებით).*

„აღორძინების ხანიდან“ დაწყებული, ბრძოლა რუსთაველის გარშემო გრძელდებოდა XIX ს-ის I ნახევარშიც. ქართული აზროვნების პროგრესული ფრთა – ს. დოდაშვილი, დავით, იოანე, თეიმურაზ ბატონიშვილები – რუსთაველის მსოფლმხედველობისა და მისი ლიტერატურული პოზიციების დამცველნი არიან.

მათ საპირისპიროდ, თეოლოგის იონა ხელაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ არის „დამამწარებელ სიცოცხლისა და წარწყმედელ ამიერ და იმიერ“.
გ. ა.

692. გივი მიქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი – ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 263-269.

საუკუნის დასასრულს ცნობილი ქართველი მწიგნობარ-კალიგრაფი ნიკ. ჩაჩიკაშვილის ცხოვრება-მოდგაწეობის მოკლე დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს, რომ მისმა შთამომავალმა ალ. ჩაჩიკაშვილმა რუსულად გადათარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ 30 სტროფი: „Сказ Тариэля Автандилу о своих злочлечениях“. მასვე დაუწერია პოემა რუსთაველზე („Поэма о Руставели“), რომელშიც გადმოცემულია პოეტის ფანტასტიკური ბიოგრაფია.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ კრებულში – „შეხვეტილიანი“ ყოფილა აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ამჟამად ხელნაწერის დაშლილ ნაწილებში (A860, 858, 999) აღარ მოიპოვება. ის კრებულიდან ამოუღიათ და ცალკე სახმარ წიგნად გაუხდიათ (გვ. 267).

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის მოღწეულ ცალებზე მსჯელობისას ავტორი ეხება ა. შანიძის აღწერის მიხედვით H ლიტერით ცნობილ ეგზემპლარის თავისებურებებს, რომელიც ამჟამად დაცულია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ავტორის დასკვნით, პალეოგრაფიული შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ვახტანგისეული გამოცემის H ცალის დაზიანებული ადგილები აღუდგენია ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს (სტროფები ა – კვ და ლე-ოა).
გ. ი.

693. გ. მიქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კრიპტოგრამები

კრებ. „შოთა რუსთაველი“ (ქართული ლიტ. ინსტ.), თბ., 1966, გვ. 351-367.

ნაშრომში დაზუსტებულია ზოგიერთი ნუსხის გადაწერის თარიღი, კალიგრაფისა და მფლობელის ვინაობა; გამოვლენილი და გაშიფრულია კრიპტოგრაფული

მინაწერები შემდეგ ხელნაწერებში: Q 779 (1671 წ.); H 599 (1646 წ.); S 2829 (1688წ.); A1123 (1833 წ.); H 302 (1833წ.); H 1205 (1833წ.); H 783 (1857წ.); აK 25299/2 (1860წ.).

ნარკვევში არის ცნობები გადამწერთა ანდერძებისა და ლექსად მინაწერების შესახებაცაა.

გ. ა.

694. გ. მიქაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მზეხათუნისეული ხელნაწერი

ბ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმ. ისტ.-ეთნ. მუზეუმის და კულტურის ძეგლთა დაცვის ქუთაისის საქალ. საზ-ის სამეცნ. სესია, 1966, მოხს. თეზისები, გვ. 11; იგივე რუსულად – გვ. 27.

მოხსენება წაკითხული იყო აგრეთვე თბილისში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სამეცნიერო სესიაზე.

1. „ვეფხისტყაოსნის“ მზეხათუნისეული ხელნაწერი (W17) გადაწერილი უნდა იყოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

2. შედგენილობისა და ვარიანტული წაკითხვების მხრივ ის უახლოვდება H 461 ხელნაწერს და შესაძლებელია საერთო პროტოგრაფიდან მომდინარეობდნენ.

3. ხელნაწერი დაზიანებულია. ნაკლები ადგილები აღუდგენიათ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მიწურულში. აღდგენისას გამოუყენებიათ S 2829 ხელნაწერი.

4. მზეხათუნისეული ნუსხის მინაწერებით ირკვევა ხელნაწერის მფლობელთა, მკითხველთა და მათთან დაკავშირებულ პირთა, მათ შორის გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის (1778–1807წწ.) ვინაობა და მათი ცხოვრების უცნობი დეტალები.

5. ხელნაწერების კრიპტოგრაფიული მინაწერები საყურადღებო ცნობებს შეიცავენ მე-18-19 საუკუნეთა იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

6. ხელნაწერში გვხვდება გიორგი ბაგრატიონის უცნობი ლექსების ავტორაფული ჩანაწერები, რომლებიც საგრძნობლად ამდიდრებენ პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ლ. კ.

695. გ. მიქაძე

ერთი ხელნაწერის ჩანამატი სტროფები

გაზ. „თბილისი“, 1966, 24 აგვისტო, № 198, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი (H-784) 1857 წ. ივანე სომხიოვმა გადაწერა. ტექსტი ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს და დართული აქვს ინდო-ხატაელთა და მისი მომდევნო ამბები. ეს ხელნაწერი იმით გამოირჩევა, რომ 176-ე სტროფის მიყოლებით ჩამატებულია 9 სტროფი, რომელსაც პოემის ტექსტთან საერთო არაფერი აქვს და არც სხვა ხელნაწერებშია. გ. მიქაძემ ჩანამატი დაწვრილებით შეისწავლა. ირკვევა, რომ ხელნაწერში ჩადებული ფურცელი, გადამწერ სომხიოვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან ერთად გადაუწერია. ლექსის ავტორი უცნობია. გ. მიქაძემ ტაეპების დასაწყისი ასოების ერთად წაკითხვით გაარკვია, რომ ლექსი ეკუთვნის სალომე წინამძღვრიშვილს, რომელსაც, როგორც ჩანს, სხვა ლექსებიც უნ-

და ჰქონოდა. ლექსი მხატვრულობით არ გამოირჩევა, მაგრამ საინტერესოა, როგორც XVIII ს-ის მწიგნობარი ქალის პოეტური ნიმუში, შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ შთაგონებით.

ი. წ.

696. ლია მიქაძე

დიდ შოთაობას მიეძღვნა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 4 ოქტომბერი, № 117, გვ. 3.

რუსთაველის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის 7 დარბაზში გაიხსნა. წარმოდგენილია 1000-ზე მეტი ექსპონატი, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთაველისა და მისი ეპოქისადმი მიძღვნილი ტილოები და გრაფიკურები. ა. სპარსიაშვილმა ლითონში ამბეტყველა შოთას სახე. ხაზგასმულია აგრეთვე მ. მაგომედოვას, ელ. ბუჭუკურის, გ. ფორჩხიძის, კ. ქუთათელაძის, რ. თურქიას, ლ. ცუცქირიძის, ლ. ქუთათელაძის ნამუშევრები.

ლ. კ.

697. ლ. მიქაძე

1200 ფოტოდოკუმენტი შოთა რუსთაველზე

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 9, გვ. 62.

ავტორი საუბრობს უხუცესი ფოტო-ჟურნალისტის რუბენ აკოფოვის საიუბილეო ფოტოგამოფენის შესახებ. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოუძიებია შოთას სახელთან, მის ეპოქასთან დაკავშირებული ისტორიული ძეგლების ფოტოსურათები: ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, იშხანი, ნიკორწმინდა, სამთავისი, ფიტარეთი, იკორთა, ქვათახევი, თბილისის ლურჯი მონასტერი, სიონი, რუსთავის ციხის ნანგრევები, ვარძია – კლდეში ნაკვეთი ქალაქი... დავით აღმაშენებლის, თამარის, ჩახრუხაძისა და ეფრემ მცირის ავტოგრაფები, მანდატურთუხუცესი ჭიაბერის სიგელზე ხელის დამრთველი შოთა და სხვა. რუბენ აკოფოვის ფოტოკოლექცია 1200-ზე მეტ ფოტოდოკუმენტს ითვლის. წერილის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ამ ფოტოკოლექციას მალე წიგნად აკინძულსაც ვიხილავთ.

თ. ხ.

698. ლ. მიქაძე

შექსპირის ენაზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 3.

მოკლე წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანზე, რომელიც ლექსად გააკეთა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა ვენერა ურუშაძემ. თარგმანის ერთ-ერთი რედაქტორია ნიკო ყიასაშვილი. მთარგმნელსა და რედაქტორს კონსულტაციები მიუღიათ ინგლისელი მეცნიერებისა და მწერლებისაგან. ესენი არიან: რ. სტივენსონი, რუსთაველის პოემის პროზად მთარგმნელი, ალან სილიტოუ, რუფ. ფეირლაიტი, რობერტ გრეივზი, დევიდ ლანგი, სნოუ, კევინ კროსლი ჰოლანდი (მან შეასრულა ძირითადი სარედაქციო სამუშაო). ვ. ურუშაძის ინგლისურ თარგმანს ბეჭდავს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

გ. ა.

699. ნ. მიქაძე

მისი სიტყვა ყველგან გაჰქუხს

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 13 მაისი, № 90, გვ. 4.

სოხუმის VIII საშუალო სკოლაში მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები სხვადასხვა ენებზე, მხატვარ ს. ქობულაძის ილუსტრაციები, კედლის გაზეთები გვაწვდის საგულისხმო მასალას რუსთაველის შესახებ. წარმოდგენილია მოსწავლეთა ნაქარგები, ფერწერული ტილოები, რომლებიც შესრულებულია მაღალ დონეზე. ყველაფერში იგრძნობა სიყვარული რუსთაველის მიმართ.

თ. ხ.

700. ნ. მიქაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 22 ივლისი, № 137, გვ. 4.

ავტორი საუბრობს ოჩამჩირის რაიონის სოფელ რეკაში მცხოვრები პედაგოგის – კ. ლაბახუას შესახებ, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ შალვა ნუცუბიძისეული თარგმანით გაეცნო და ისე შეიყვარა, რომ ზეპირად ისწავლა. ამის შემდეგ პოემის ქართულად და აფხაზურად შესწავლას მიჰყო ხელი და სწამს, რომ სულ მალე მას სამ ენაზე ეცოდინება რუსთაველის შედევრი.

თ. ხ.

701. В. Микеладзе

Дань великой любви

გაზ. „Заря Востока“, 1966, 23 აგვ., № 192, გვ. 4.

საუბარია შალვა ასათიანის უნიკალური კოლექციის შესახებ, რომელიც მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“ 85-მდე გამოცემას ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ, უკრაინულ, უზბეკურ, ყირგიზულ, თურქმენულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, პოლონურ და უნგრულ თარგმანებს. შ. ასათიანის წიგნთსაცავში არაერთი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ასე მაგალითად: 1841 წელს პეტერბურგში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ ბროსეს, ფალავანდიშვილისა და ჩუბინაშვილის რედაქციით. გარდა ამისა, 1860, 1867, 1888, 1889, 1890, 1891, 1892, 1896, 1899, 1903 წლებში პეტერბურგში, კიევში, ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ლაიფციგში, თბილისში, ბათუმში, ოზურგეთსა და ახალ სენაკში გამოცემული წიგნები.

შ. ასათიანის უნიკალურ კოლექციას ამშვენებს ტიმოთე გაბაშვილის, ზ. მთაწმინდელის, ნ. მარის, ს. მერკვილაძის შრომები.

თ. ხ.

702. Н. Михайлов

Торжества в колхозе

გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 25 სექტემბერი, № 186, გვ. 1.

სოფელ ოხურეიში, რომლის კოლმეურნეობაც რუსთაველის სახელობისაა, გაიხსნა დიდი პოეტის ძეგლი. გახსნას ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა და

სტუმრები. მასწავლებელმა ს. დარსანიამ ისაუბრა რუსთაველის შემოქმედების შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ ე. ევტუშენკო, ჯ. დატონი და სხვები.

საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა გ. კიპაროიძემ სოფლის ბიბლიოთეკას გადასცა საიუბილეოდ გამოცემული წიგნები, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა.

ლ. კ.

703. „მნათობის“ კორ.

რუსთაველის

საიუბილეო დღეების ქრონიკა

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 10, გვ. 16-20.

საიუბილეო დღეებს მიემდვნა „ქართული კულტურის“ გამოფენა, რომელიც **25 სექტემბერს** გაიხსნა საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე; აგრეთვე – სახელმწიფო სურათების გალერეაში სათაურით: „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“, სადაც თავმოყრილია პოემის გამოცემები, ხელნაწერები, თარგმანები, ილუსტრაციები და თითქმის ყველაფერი, რაც კი დაწერილა რუსთაველზე.

რუსთაველის საიუბილეო დღეები დაიწყო **26 სექტემბერს** სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გაერთიანებული პლენუმით, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დარბაზში. პლენუმი გახსნა სსრკ-ს მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა. სტუმრება მიესალმა ვ. მჟავანაძე. მოხსენებით გამოვიდნენ: ნ. ტიხონოვი („შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“) და ბ. ჟღენტი („შოთა რუსთაველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურა“). სიტყვა წარმოთქვეს მ. ალექსიევიძე, ო. გონჩარმა, მ. იბრაგიმოვი, აგრეთვე საზღვარგარეთელმა მწერლებმა: ჯ. ოლდრიჯმა, ა. პრიტამმა, შ. ვეორეშმა და სხვებმა. პლენუმის მონაწილეებმა ნახეს რუსთაველის თეატრის პრემიერა „ვეფხისტყაოსანი“.

27 სექტემბერს ბორჯომში გაიხსნა მწერალთა საერთაშორისო ფორუმი. მუშაობას შეუდგა 5 კონტინენტის 33 ქვეყნის წარმომადგენელთა „მრგვალი მაგიდა“. დისკუსიის თემა იყო „პოეზია და თანამედროვე კულტურა“. დისკუსია გახსნა ი. აბაშიძემ და ისაუბრა რუსთაველის იუბილეს მნიშვნელობაზე.

იმავე დღეს ახალციხეს ეწვივნენ საბჭოთა და უცხოელი მწერლები. კორტეჟი შეჩერდა სოფელ რუსთავში, სადაც დიდი პოეტის საიუბილეოდ დაიდგა მისი ობელისკი. ძეგლის გახსნამდე გაიმართა მიტინგი. შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ვარძია.

28 სექტემბერს რუსთაველის თეატრში შეიკრიბნენ საქართველოს და სსრკ-ს სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მეცნიერები, საზღვარგარეთელი სწავლულები, ლიტერატორები და ქართველოლოგები. სესია გახსნა ი. მუსხელიშვილმა. მოხსენებებით გამოვიდნენ: ა. ბარამიძე („შოთა რუსთაველის შემოქმედება“), გ. წერეთელი („ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემის გამო), გ. ჩუბინაშვილი („რუსთაველის ეპოქის ქართული ხელოვნების ძეგლები“), სიტყვა წარმოთქვეს: კ. გამსახურდიამ, ნ. კონრადმა, ვ. ჟირმუნსკიმ, ე. შტერნიმ, იან ბრაუნმა და სხვებმა.

29 სექტემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიხსნა პოეზიის საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ი. აბაშიძემ. ნ. ტიხონოვმა წაიკითხა საკუთარი თარგმანი გ. ლეონიძის ლექსისა „ვეფხისტყაოსანი“. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი პოეტები თავიანთ ენებზე კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებს ან რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსებს. გამომსვლელთა შორის იყვნენ: იულიან პშიბოსი, ე. ბაგრიანა, მიკოლა ბაჟანი, იშტვან შიმონი, ე. ვეტუშენკო, ა. მირცხულავა და სხვები.

30 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და საზღვარგარეთის 45 ქვეყნის გამოჩენილი მწერლები და კულტურის მოღვაწენი. საზეიმო სხდომა გახსნა გ. ჯავახიშვილმა, მოხსენება შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ წაიკითხა ი. აბაშიძემ. სიტყვით გამოვიდნენ: ე. ფურცევა, ვ. სტოლეტოვი, რ. ალბერტი, პ. ტრონკო, ა. შაპოშნიკოვა და სხვები.

30 სექტემბერს, დილით, საქართველოს მოქალაქეებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს რუსთაველის ძეგლი თბილისში.

საღამოს ოპერისა და ბალეტის სახ. აკადემიურ თეატრში გაიმართა დიდი საიუბილეო კონცერტი. დარბაზი სავსე იყო სსრკ-დან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებით.

1 ოქტომბერს სპორტის სასახლის სცენა დაეთმო თეატრალიზებულ წარმოდგენას რესპუბლიკის საუკეთესო არტისტების მონაწილეობით. **2 ოქტომბერს** თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა დიდი დღესასწაული. **ლ. კ.**

704. გიორგი მოისწრაფიშვილი

შოთა რუსთაველი – დაბადების 800 წლისთავი
(მეთოდური წერილი, მოკლე ბიბლიოგრაფიული საძიებელი)
აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო, ბათუმი, 1966, 30 გვ.

წიგნაკის საგანია მეთოდური მითითებანი ბიბლიოთეკის მუშაკთათვის რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებათა მოსამზადებლად.

გეგმა (გვ. 6-7) შეიცავს ღონისძიებათა დასახელებას რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენების მოწყობას, სარეკომენდაციო ლიტერატურის სიების დამზადებას, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლექციებისა და კონფერენციების ჩატარებას, ალბომის შედგენას, სპეციალური კედლის გაზეთის გამოშვებას, საბიბლიოთეკო პლაკატის შედგენას და სხვ. ავტორი იძლევა რუსთაველის გამოფენის სანიმუშო გეგმასა და სახელმძღვანელო ლიტერატურის მითითებას (გვ. 8-9).

„გამოჩენილი ადამიანები შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (გვ.10-13) შეიცავს ქართველ, საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოელი მწერალთა და მეცნიერთა გამონათქვამებსა და შეხედულებებს ცალკეულ ფრაზებში (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო მარი, ნ. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ ტიხონოვი, ავეტიკ ისაკიანი, ნ. ზაბოლოცკი, მიკოლა ბაჟანი, პ. ანტოკოლსკი, პ. პავლენკო, დემიან ბედნი, ვ. ჩკალოვი, ალ. ფადეევი, ა. სერაფიმოვიჩი,

ა. კორნეიჩუკი, ვ. შიშმარიოვი, ლუი არაგონი, მორის ბოურა, არტურ ლაისტი, ჰალდორ ლაქსნესი.

„საინტერესოა ვიცოდეთ“ (გვ. 14-16) შეიცავს სხვადასხვა ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების, პოემის ილუსტრაციების, მის თემაზე დაწერილ მუსიკალური ნაწარმოებების, მისი ხელნაწერებისა და პორტრეტების შესახებ.

„რა წავიკითხოთ შოთა რუსთაველსა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (გვ. 17-27). მითითებულია ასორმოდდაათამდე ქართული დასახელება.

წიგნს ბოლოს ერთვის სახელთა საძიებელი.

გ. ი.

705. ფ. მოისწრაფიშვილი

სიყვარულისა და სილამაზის პრობლემა

„ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 10 ივნ., 7 ივლი.;

„ლენინელი“ (ქობულეთი), 1966, 23 ივნ..

ავტორის აზრით, რუსთაველურ სიყვარულს ახასიათებს ორი აუცილებელი და არსებითი ნიშანი: მსხვერპლად შეწირვის გრძნობა და გრძნობის მუდმივობა. რუსთაველის აზრით, ნამდვილად შეყვარებულია არა ის, ვინც პირად სიამოვნებას ეძებს, არამედ ის, ვისაც მსხვერპლად მიაქვს თავისი პიროვნება საყვარელი არსებისათვის, ვისაც შეუძლია „მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს“, „ვინც იქმს სოფლისა თმობასა“. თავგანწირვის ამგვარი განცდა ახასიათებს პოემის ოთხივე გმირს (ავთანდილს, ტარიელს, თინათინს და ნესტან-დარეჯანს).

რუსთაველი სავსებით კანონზომიერად უპირისპირებს ერთმანეთს სიყვარულსა და სიმულვილს. ეს კონტრასტი ნათელყოფს იმას, რომ „სიყვარულის სიტურფე“ მისი სიდიადის გამოსხივებაა.

ი. კ.

706. ფ. მოისწრაფიშვილი

ბუნების მშვენიერების პრობლემა

„ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 20 აგვ., № 98, გვ. 2.

ავტორის დაკვირვებით, ბუნების განსახიერებაში რუსთაველს ახასიათებს სიმართლის გრძნობა; ზღვა, მთები, ტყე, მდინარე, კლდე, ბაღი, ცხოველთა სამყარო, მცენარეები, ძვირფასი ქვები – პოემაში წარმოდგენილია იმ სახით, როგორც ყოველივე ეს არსებობს საღი, რეალისტური ცნობიერებისათვის; ხოლო ბუნების ირაციონალურ ელემენტებს (დევეები, ქაჯები, ფატმანის გრძნეული მონა) უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ პოემაში.

ამდენად შესაძლებელია, ბუნების განცდა რუსთაველთან მისი ესთეტიკური კონცეფციის განუყრელ ნაწილად მივიჩნიოთ.

ავტორი აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების მხატვრულ ქმნილებებში ბუნება უპირისპირდება ადამიანს, რუსთაველთან კი პირიქით – ბუნება თანაუგრძნობს პოემის გმირთა სულისკვეთებას და მათ შინაგან განცდებს.

გ. ა.

707. ფ. მოისწრაფიშვილი

ესთეტიკის პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 23 მაისი, № 60.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს პოეტის მიერ ესთეტიკურ კატეგორიათა დიფერენცირება და მათი რაობა. ავტორის შეხედულებით, რუსთაველი ასხვავებს ესთეტიკური ტკბობის ორ სახეობას – მაღალ პოეზიასა და სალონური მსუბუქი პოეზიის ჟანრს. აქედან გამომდინარე, სიბრძნის მეტყველ პოეზიას უკავშირდება ესთეტიკური განცდა, ესთეტიკური ემოცია, მეორე სახის განცდას კი ესთეტიკური გრძნობა. ამ უკანასკნელს ვერ მივაკუთვნებთ მაღალი პოეზიის სფეროს. აქ ესთეტიკური სიამოვნება ისეთივე ბუნებისაა, როგორცაა თვითონ ეს გრძნობები.

ესთეტიკური ემოციის უნართ ალბეჟილი პოეზია როდესაც მაღალ ინტელექტუალურ და მორალურ იდეებს უკავშირდება, მაღალ საზოგადოებრივ შინაარსს იძენს.

ი. კ.

708. Ю. Мосешвили

Свидания с Руставели

გაზ. „Советская культура“, 1966, 15 სექტემბერი, № 110, გვ. 4.

სტატია ეხება ეროვნულ გაღერებაში გამართულ გამოფენას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ლადო გუდიაშვილის და სერგო ქობულაძის ნამუშევრებზე – თემა რუსთაველია. ახალგაზრდა მხატვრებიდან მოიხსენიებს კობა გურულს, გრიგოლ ჩირინაშვილსა და ლევან ცუცქირიძეს.

ლ. კ.

709. Ю. Мосешвили

Экскурсия в восемь веков

გაზ. „Советская культура“, 1966, 27 სექტემბერი, № 115, გვ. 1.

სტატია ეძღვნება გამოფენებს, რომელთა ექსპოზიციის თემა რუსთაველია. ცალკეა განყოფილება „რუსთაველი და სასცენო ხელოვნება“. ავტორის შენიშვნით, მ. ზიჩის „ცოცხალი სურათები“ შეიძლება ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ დებიუტად სცენაზე. ცნობილია ოქროპირ ბატონიშვილის ხუმროქმედებიანი ტრაგედია პოემის სიუჟეტზე, ერისთავის დრამა, კ. ფალავას ინსცენირება და სხვა ცდები, მაგრამ პოემის სრული სცენური წარმოდგენა დღემდე არ მომხდარა.

აქვეა მინაწერი, რომ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში შედგა მწერალთა გაერთიანებული პლენუმი. ნ. ტიხონოვი გამოვიდა მოხსენებით „რუსთაველი მსოფლიო პოეზიაში“.

ლ. კ.

710. ვასილ მჟავანაძე

სიტყვა საქართველოს მწერალთა შექვეყნებულ ყრილობაზე

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 3-8; გაზ. „კომუნისტი“, 1966, 2 ნოემბ., № 250, გვ. 3.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს სამზადისთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ იგი „არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კავშირისა და

მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურული ზეიმი იქნება“. „შოთა რუსთაველის გენიამ არ იცის დროისა და სივრცის საზღვრები. რვა საუკუნემ არა თუ რაიმე დაუკარგა მის პოეტურ და ფილოსოფიურ ნააზრევს, არამედ პირიქით, უფრო გააბრწყინა და გააღდიდა. შოთა რუსთაველი ჩვენი თანამედროვეა თავისი მაღალი ჰუმანისტური იდეებით, ხალხთა მეგობრობის დიადი მოძღვრებით. რუსთაველის იუბილემ ნიშნავს დიდი პოეტის იდეების ზეიმს, ქართული მწერლობის ჯანსაღი ტრადიციების ცხოველმყოფელობას ჩვენს ეპოქაში“. „ჩვენ ვზეიმობთ რუსთაველის იუბილეს და ამით საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ვიცავთ მის ტრადიციებს. რუსთაველის ტრადიციების დაცვა კი ხალხისათვის, მისი სიკეთისა და ბედნიერებისათვის სამსახურს ნიშნავს“. **გ. ი.**

711. ქ. მჟავია

საღამო ტაძარში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 1 ივლისი, № 27, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ აჭარის მეცნიერ-მუშაკთა და ლიტერატორთა ჯგუფმა ხულოს რაიონის სოფ. სხალთის XII ს-ის ტაძარში გამართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო. წაიკითხეს მოხსენებები: „რუსთაველი და სამხრეთ საქართველო“ (ალ. დავითიძე), „რუსთაველი აჭარის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ (მ. ნადირაძე), „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა“ (ლ. ბეჟანიძე), „დიალექტები „ვეფხისტყაოსანში“ (ნ. სურმანიძე) და რუსთაველისადმი მიძღვნილი ახალი ლექსები.

გ. ა.

712. [მიხეილ მრევლიშვილი]

Продолжая традиций

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 19 ივლისი, № 167, გვ. 3.

გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას მ. მრევლიშვილი გვაცნობს ჟურნალ „Литературная Грузия“-ს მუშაობას, საერთოდ, და რუსთაველის საიუბილეოდ, კერძოდ.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია დ. ყიფშიძის „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი ჟედური სურათის ფოტო.

ბ. დ.

713. М. Мრвлишვილი

Гении народа

წერილის თემაა რუსთაველის ეპოქა, ვინაობა (ლეგენდებისა და გადმოცემების მიხედვით), მისი პოეტური პრინციპები, პოემის ხალხურობა-ეროვნულობა და ძირითადი მოტივები.

ლ. კ.

714. საბით მუკანოვი, საგინგალი სეიტოვი

რუსთაველი ჩვენი პოეტიცაა

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 36-37.

ავტორები იგონებენ რუსთაველის 1937 წლის იუბილეს, როდესაც ყაზახურ ენაზე პირველად შესრულდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი თარგმანები და აღნიშ-

ნავენ, რომ ყაზახეთის კულტურული ცხოვრების შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ცნობილი ყაზახი პოეტების თაირ ჟაროკოვის, აბდილი ტაჯიბაევის, ჟაკან სიზდიკოვის, მალეიტა დაუდუთბაევის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკე წიგნად გამოსვლა.

რუსთაველის იუბილესათვის ყაზახეთში დიდი მზადებაა. გამომცემლობა „ჟა-ზუში“ სცემს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანს, რომელშიაც შედის თაირ ჟაროკოვისა და აბდილი ტაჯიბაევის მიერ ადრე თარგმნილი თავები. საერთოდ თაირ ჟაროკოვის შემოქმედებაში რუსთაველის თემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ყაზახი პოეტი გაიტაცა რუსთაველის ლექსის მომაჯადოებელმა სიმშვენიერემ, გმირთა სახეების გამოკვეთის ვირტუოზულმა ოსტატობამ და პოემის დინამიკურმა სიუჟეტმა. რუსთაველი სიმამაცის, კეთილშობილების, მეგობრობისა და სილამაზის მომღერალია და გასაგებია ყაზახებისათვის, როგორც პუშკინი და აბაი. შოთა მეტყველებს ყაზახურ ენაზე და მისი ენა მისაწვდომია ჩვენთვის, რადგან იგი ღრმად თანამედროვეა, მიუხედავად ჩვენგან მისი სიშორისა.

გ. ი.

715. [Сабит Муканов]

Великий акын дружбы

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 26 სექტემბერი, № 226, გვ. 2.

ყაზახი მწერალი საბიტ მუკანოვი მოგვითხრობს, თუ როგორ აღინიშნება რუსთაველის იუბილე ყაზახეთში: იხსნება გამოფენები, იკითხება მოხსენებები, ლექციები გამოჩენილი მწერლებისა და მეცნიერების მონაწილეობით. ალმა-ატას საუკეთესო დარბაზში შედგა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომლის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. საიუბილეოდ მომზადდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა ხალიჟან ბეკ ხოჟინის (Халижан Бек Хожин) რედაქციითა და წინასიტყვაობით.

ლ. კ.

716. გ. მუკბანაიანი

ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 16 სექტემბერი, № 218, გვ. 3.

ავტორის ცნობით, ლენტეხის საშუალო სკოლის მოსწავლემ იზოლდა პირველმა ზეპირად იცის თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი“, შესანიშნავად ფლობს პოემის სვანურ თარგმანსაც, რომელიც ჯერჯერობით არ დასტამბულა. მის მაგალითს ბაძავს ძმა ამზაილიც, რომელმაც „ვეფხისტყაოსანის“ მრავალი სტროფი იცის ზეპირად.

ლ. კ.

717. ნ. მუმლაძე

ძმობისა და ხალხთა მეგობრობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“, 1966, 27 სექტემბერი, № 189, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია მეგობარი რაინდების იდეალური სახეები. პოემის გმირები არასოდეს ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას არა მარ-

ტო ერთმანეთის, არამედ სახელმწიფოს, საზოგადოების წინაშე. ისინი ჰარმონიულად ითავსებენ უაღრესად ეროვნულსა და ამავე დროს ზოგადადამიანურ თვისებებს.

ი. კ.

718. ა. მურვანიძე

**შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“
ასტრონომიის შესახებ**

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 16 ივლ., № 83, გვ. 3.

ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ რუსთაველის თხზულების მიხედვით დადგინდეს იმ დროის ასტრონომიული ცოდნის დონე. რუსთაველს სცოდნია ხუთი ცთომილის არსებობა მზის სისტემაში, აგრეთვე მათი განლაგება ცის თაღზე. ავტორი აღწერს იმ თანმიმდევრობას, როგორც პლანეტები დასახელებული არიან ავთანდილის ლოცვაში.

გ. ა.

719. ნიკოლოზ მუსხელიშვილი

**შესავალი სიტყვა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის
საერთო კრების საიუბილეო სესიაზე, 1966, 28 სექტემბერს**

ჟურ. „მაცნე“ (საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზ. მეცნიერებათა განყ.), 1966, № 5, გვ. 179-180.

საიუბილეო სესიის თავმჯდომარე ნ. მუსხელიშვილი შესავალ სიტყვაში აღნიშნავს: „რუსთაველი ჩვენი ეროვნული პოეზიის, მთელი ქართული კულტურის მშვენიერება და გვირგვინია. რუსთაველმა უბადლო პოეტური შთაგონებით გამოხატა მშობელი ხალხის ვაჟკაცური სული, მაღალი ზნეობა, ყველაზე ფაქიზი განცდები და მისწრაფებანი... რუსთაველი უაღრესად ეროვნული პოეტია, მაგრამ ამასთანავე იგი უმაღლესი საკაცობრიო იდეალების დიდი მომღერალია, დიდი ჰუმანისტი-მოაზროვნე... რუსთაველის იუბილეს ფართო საერთაშორისო რეზონანსი მიეცა. მხურვალედ ეხმაურებიან მას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სალიტერატურო და სამეცნიერო კერები.“

თავმჯდომარე მიესალმება შოთა რუსთაველის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე დამსწრე საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების მწერლებს, მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს და სესიას გახსნილად აცხადებს.

გ. ა.

720. ნიკ. მუსხელიშვილი

პოეტის უკვდავება

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 23 სექტემბერი, № 39, გვ. 1.

ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ უპირველესი ღირსება და ცხოველმყოფელობა – კაცთმოყვარეობა და სიცოცხლის სიყვარულია. საუკუნეების მანძილზე შოთა რუსთაველის სახელი კიდევ მრავალი ქვეყნის ხალხთა გულს დაიპყრობს და გამოიწვევს მათში არა მარტო უბრალო პატივისცემის გრძნობას, არამედ გულწრფელ აღტაცებასა და გაკვირვებას“.

თ. ნ.

721. ი. Мухранели

И как живой с живыми говорит

გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 1 ოქტომბერი, № 115, გვ. 7.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დადგმას „ვეფხისტყაოსანი“. მიაჩნია, რომ კლასიკის გადატანა ევროანსა და სცენაზე მეტად რთული საქმეა, მისი შესრულება ჭეშმარიტ ხელოვანს ძალუძს მხოლოდ. დიდი გაბედულება გამოიჩინა თეატრის კოლექტივმა, რომელმაც სცადა პოემის გაცოცხლება სცენაზე.

ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლს, თუმცა ხარვეზებზეც მიუთითებს.

თ. ხ.

722. მშვიდობის მსოფლიო საბჭო

შოთა რუსთაველის

800 წლისთავის იუბილეს მომწივობ კომიტეტს

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 224, გვ. 1.; „ლიტ. საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 1.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო ულოცავს საიუბილეო კომიტეტს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მილოცვაში წერია: „ეს თარიღი, როგორც მსოფლიო კულტურის დღესასწაული, ბევრ ქვეყანაში აღინიშნება. დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მილიონობით ადამიანის გრძნობებს ეხმაურება. მშვიდობის მსოფლიო საბჭო წარმატებებს უსურვებს საბჭოთა ლიტერატორებსა და კულტურის სხვა დარგის მუშაკებს მშვიდობისა და პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ მოღვაწეობაში“.

ი. წ.

723. ვანო მჭედლიშვილი

დიდი პოეტის იუბილეს მიეძღვნა

გაზ. „თბილისი“, 1966, 12 აპრილი, № 85, გვ. 3.

ცნობა, რომ რუსთაველის საიუბილეოდ თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელზედაც მოწვეული იყვნენ სტუმრები: გ. წერეთელი, ა. შანიძე, ი. აბაშიძე, ქ. სიხარულიძე, ვ. მაღრაძე.

ბ. დ.

724. ვ. მჭედლიშვილი

მიეძღვნა რუსთაველს

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 19 აგვისტო, № 34, გვ. 2.

ცნობა, რომ ბოლნისის რაიონის სოფელ ხაჩენში ჩატარდა რუსთაველის საიუბილეო საღამო, სადაც პოეტმა ო. კარაიანმა წაიკითხა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები.

მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში მოეწყო რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი მხატვრული თვითშემოქმედების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი.

ბ. დ.

725. ფ. მჭედლიშვილი

„ატლანტიდის“ მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

ა. ს. პუშკინის სახ. სახელმ. პედ. ინსტიტუტი, XXXI სამეცნ. სესია, 19-21 აპრ., თეზისები, თბ. 1966, გვ. 23-24.

1. ატლანტიდა – რომელსაც საფუძვლად უდევს პლატონის დიალოგები „ტიმეოსი“ და „კრიტია“ – რუსთაველმა გაიგო ნეოპლატონიკოსთა თვალსაზრისით, როგორც ალევორიული ნაწარმოები (პორფირი) და სინამდვილის სიმბოლური ასახვა (იამბლიხი, პროკლე) და ასეთივე ფორმით და შინაარსით გამოიყენა მისი მოტივები „ვეფხისტყაოსანში“.

2. „ატლანტიდას“ მოტივების ანარეკლს, სხვა ფაქტებთან ერთად, წარმოადგენს პიროვნებათა გაორება – გმირების ერთგვარი პოეტური დუბლირება „ვეფხისტყაოსანში“, რომელთა ერთ სიბრტყეში მოქცევა, ალბათ, გამოხატავს გმირთა პროტიპების მოქმედების ისტორიულ სინამდვილეს.

3. ამასთანავე, გმირთა ორეულების ერთ სიბრტყეში მოქცევა და მიღებული შედეგების კოორდინირება „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღებთან (როგორც ისტორიულ ფაქტობრივ მასალასთან) და პოემაში აღნუსხული ბუნების, საგნებისა და მოვლენების შედარებით- ისტორიული ანალიზის მონაცემებთან, გარკვეულ ფორმებში – ააშკარავებს „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების გეოგრაფიული გარემოს საკითხს.

4. აღნიშნული თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების გეოგრაფიული გარემო – ეს მხოლოდ თამარის ეპოქის საქართველოა. **გ. ი.**

726. ჯ. მჭედლიშვილი

დიდი მგოსანი პოლუდინოში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 15 სექტ., № 109, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის 50 სტუდენტი, ნუგზარ პაიჭაძის მეთაურობით საზაფხულო არდადეგებზე ციმბირში, პეტრო-პავლოვსკის ოლქის სოფელ პოლუდინოში მუშაობდა. მათ ახალი ქუჩა გაიყვანეს და საცხოვრებელი სახლები ააშენეს. სტუდენტებმა ქუჩას შოთა რუსთაველის სახელი დაარქვეს. იქვე ააშენეს ოთხმეტრიანი ობელისკი და მასზე ჯუმბერ ეფრემიძის მიერ დამზადებული რუსთაველის ბარელიეფი დაამაგრეს. ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა, რასაც ესწრებოდნენ პარტიის საოლქო კომიტეტისა და კომკავშირის საოლქო შტაბის ხელმძღვანელები, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის კორესპონდენტი. **გ. ა.**

726a. ს. მხარგრძელი

როდის შეიქმნა სურათი

გაზ. „თბილისი“, 1966, 17 სექტემბერი, № 219, გვ. 3.

სოფელ ველისციხეში აღმოჩნდა რუსთაველის პორტრეტი, შესრულებული 1893 წელს. მინაწერიდან ჩანს, რომ მისი ავტორია გიგო ტარიელაშვილი. გ. ტარიელაშვილის მიერ 1897 წელს შესრულებული პორტრეტი ინახება საქართველოს ხე-

ლოვნების მუზეუმში. როგორც ჩანს, მხატვარს დიდ პოეტზე რამდენიმე სურათი ჰქონია დახატული. ამ მხატვარზე ერთადერთი ცნობა გაზ. „დროების“ 1878 წელს № 173-ში მოიძებნა. აქ ის საქართველოდან ევროპაში მხატვრობის შესასწავლად გამგზავრების მსურველთა შორის არის მოხსენიებული. მას საზოგადოების დახმარების იმედი ჰქონია. მისი ნამუშევრებიდან ჩანს, რომ იგი იყო პროფესიონალი მხატვარი.

ი. წ.

727. ნოდარ ნათაძე

რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი

თბ., 1966, 244 გვ.

წიგნი შედგება 6 თავისაგან:

I თ. – რუსთველური მიჯნურობა, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი – მოცემულია მიჯნურობის, როგორც სავალდებულო წესებითა და ქცევით განსაზღვრული ურთიერთობის დახასიათება და განხილულია ის სოციალური და სამწერლო ფაქტები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოს შუა საუკუნეების ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში სამიჯნურო ნორმების დამკვიდრებისათვის. ასეთ წყაროებად ავტორი თვლის არაბი პოეტების: იბნ -დაუდის (IX-X), იბნ-ჰაზმის და სხვათა შემოქმედებას, რომელთაც გავლენა იქონიეს აგრეთვე ევროპულ ლიტერატურაზე და დასაბამი მისცეს პროვანსულ ტრუბადურულ პოეზიას.

II თ. – რუსთველური მიჯნურობა და ეპოქის ზნე – ჩვეულებანი – განხილულია ავთანდილ-თინათინის, ავთანდილ-ფატმანის, ტარიელისა და ასმათის ურთიერთობა, რის შემდეგაც ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ რუსთველის ეპოქის ფეოდალურ საზოგადოებაში დასაშვები ყოფილა „მიჯნურისთვის მსუბუქი ფლირტი მის სატრფოზე ნაკლები სოციალური მდგომარეობისა და ნაკლები ადამიანური ბრწყინვალეების ქალთან.“

III თ. – გრძნობათა ხატვის მხატვრულ-ფსიქოლოგიური პლანი რუსთაველთან და მის თანამედროვეებთან – ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი იყენებს ტრადიციულ კონვენციურ მოტივებს (ველად გაჭრა, ხელობა, მიჯნურობისაგან ტანჯვა), მაგრამ გმირთა ხასიათები და მოქმედება განსაზღვრულია არა ამ კონვენციებით, არამედ ფსიქოლოგიური მოტივებით. გმირთა ტრფობის ხატვაში ავტორი კონვენციებისაგან თავისუფალია და თავისი შინაგანი სამყაროს, თავისი დაკვირვებისა და გამოცდილების კარნახით მოქმედებს.

IV თ. – სიყვარულის ფილოსოფიური დოქრტინა რუსთაველთან – მოცემულია ევროპულ მწერლობაში სიყვარულის ემანსიპაციისათვის ბრძოლის ეტაპები, აღნიშნულია, რომ ის დონე, რომელსაც რუსთველური სიყვარულის კონცეფცია ასახავს (ქალ-ვაჟს შორის სიყვარულის დასაბუთებული აღიარება, სიყვარულის ემანსიპაცია რელიგიური თვალსაზრისისაგან), დასავლეთ ევროპაში მიღწეულ იქნა იტალიელი პოეტების „ტკბილი ახალი სტილის“ შემქმნელთა და დანტეს მიერ.

V თ. – რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი – შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობის კონცეფციისა და ევროპული სარაინდო ლიტერატურის შედარებით დახასიათებას. ავტორის თქმით, რუსთაველი შეგნებულად ცდილობს დახატოს სიყ-

ვარულის გრძნობა მხოლოდ ისეთად, როგორც იგი არის, რომ რუსთაველი სწორედ სიყვარულის ფსიქოლოგიური ბუნების გაგებაში ახერხებს ყველაზე მეტი საკუთარის თქმას – ორიგინალური შტრიხების, განცდის თავისებური ვარიანტების შეტანას.

VI თ. – რუსთაველი და თანამედროვე კულტურა – წარმოადგენს გ. დეეტერსის მოსაზრებათა კრიტიკას, რომელსაც შ. ნუცუბიძის შრომაზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში (1937 წ.) და ჰ. ჰუპერტის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის შეფასებისას (1958 წ.), ნიჰილისტური შეხედულება აქვს გამოთქმული რუსთაველის მსოფლმხედველობისა და „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ღირებულების მიმართ.

ნ. ნათაძე განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივ დონეს, მის, როგორც რომანის, მხატვრულ ღირებულებებს, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ღვთაებრივი კომედიის“ ძირითად მოტივებსა და იდეებს და ასკვნის, რომ არც დასმულ პრობლემათა მნიშვნელობითა და არც პერსონაჟთა ხატვის დონით რუსთაველი დანტეზე დაბლა არასოდეს დგას; რომ რუსთაველის დაყენება დანტეს გვერდით ქართველ მეცნიერთა ტენდენციური სურვილის გამოხატვა კი არ არის, არამედ სხვადასხვა ხალხის კულტურულ ღირებულებათა ობიექტური შესწავლისა და შეფასების შედეგია.

გ. ა.

728. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 3, გვ. 132-141;

აგრ. წიგნში – „რუსთაველი მიჯნურობა და რენესანსი“, თბ., 1966, გვ. 63-80.

პოემის რამდენიმე ეპიზოდის მაგალითზე მკვლევარი განიხილავს რუსთაველის შეხედულებას სატრფიალო ურთიერთობაზე. კერძოდ, ავტორი ეხება ავთანდილ-თინათინის პაემანს ავთანდილის მეორედ გამგზავრების წინ, კრიტიკულად აფასებს ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძისა და ალ. ბარამიძის ინტერპრეტაციებს. აღნიშნავს, რომ 711-ე სტროფში მეტაფორები სწორად გახსნილი არ არის ვ. ნოზაძის მიერ, რომელიც გიშერს წამწამებად მიიჩნევს, ხოლო მეორე ტაეპი პირდაპირი მნიშვნელობით ესმის როგორც ხეებზე (ალვასა და საროზე) მსჯელობა. აგრეთვე: „მარგალიტი“ არ აღნიშნავს არც „შეუღლებას“ და არც რაიმე სხვა ამბავს, ფაქტს. იგი აღნიშნავს მხოლოდ ხელშეუხებლობას.

ავტორის დასკვნა ასეთია: „ზ. ავალიშვილისეული გაგება მაინც ვერ ჩაითვლება სარწმუნოდ... საქმე ისაა, რომ პოეტი ცდილობს, ეს სცენა კდემისა და იდუმალეების ბურუსით შემოსოს.“ საერთოდ კი რუსთაველის ეპოქის საზოგადოებას არ მიაჩნდა დიდ ცოდვად მიჯნურისათვის მსუბუქი ფლირტი მის სატრფოზე ნაკლები სოციალური მდგომარეობის და ნაკლები ადამიანური ბრწყინვალეების ქალთან. ამის დამადასტურებელია ტარიელ-ასმათისა და ავთანდილ-ფატმანის „მიჯნურობის“ ეპიზოდები.

თავისი სოციალური მრწამსით რუსთაველი სავსებით მიჰყვება იმ რწმენა-შეხედულებებს, რომლებიც თამარის ეპოქის საქართველოს ცხოვრებას საფუძვლად ედო, „მდაბალი მიჯნურობა“ კი მისთვის არის ემპირიული ცხოვრების ნაწილი, რომელსაც იგი იცნობს და ანგარიშს უწევს.

გ. ა.

729. ნათამე

რუსთაველი და ქართული რენესანსის პრობლემა

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 12, გვ. 123-135.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს მე-12 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას და ასკვნის, რომ რუსთაველისა და მისი თანამედროვეების ფილოსოფიურ და ლიტერატურულ აზროვნებაში რენესანსი დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. ამის ნიშნებია: ეროვნულსახელმწიფოებრივი იდეის ემანსიპაცია რელიგიური თვალსაზრისისაგან; ნათელი და ოპტიმისტური მსოფლმხედველობა, რომელიც ანტიკური ფილოსოფიის იდეებით იკვებება; რაციონალიზმი და გონების ძალის რწმენა, შეერთებული სიბრძნის კულტთან; თვითმიზნური ინტერესი სიყვარულისადმი და ხელოვნებაში მისი ცვალებადი ბუნების გამოხატვისაკენ სწრაფვა; ადამიანის ნამდვილი, ირაციონალური ბუნების დანახვა და ადამიანის მამოძრავებლად მისი საკუთარი სულიერი ძალების ცნობიერი დასახვა; ინდივიდუალიზმი და კაცის ბუნების განდიდება.

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ევროპული რენესანსის სოციალურ საფუძვლად მიჩნეულია მესამე წოდების (ბურჟუაზიის) აღზევება და აგრეთვე ევროპელთა ექსპანსია ამერიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში.

საქართველოში რენესანსული ოპტიმისტური და ლაღი მსოფლმეგრძნება მთლიანად ფეოდალური წრის კუთვნილებაა, მის წიაღში წარმოშობილი და მისი წოდებრივი იდეალის (მოყმე-რაინდის) განდიდებათ აღბეჭდილი. ქართული რენესანსი წარმოშვა ეროვნულ –სახელმწიფოებრივმა დაწინაურებამ, ქართული სახელმწიფოს აღზევებამ, რაც ყველაზე მეტად ქვეყნის მმართველ ფენას – სამხედრო ფეოდალურ ფენას შეეხო.

გ. ა.

730. ნათამე

რუსთაველის რელიგია და მსოფლმხედველობა.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანაფიქრი

წიგნში – ნ. ნათამე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1966, გვ. 70-91.

ნარკვევი დაყოფილია ქვეთავებად: 1. რუსთაველის აღმსარებლობა; 2. ანტიკური ფილოსოფია; 3. ადამიანის ახალი იდეალი; 4. ფილოსოფია და ქრისტიანობა; 5. აღმოსავლური მწერლობა; 6. ადამიანის გაგება.

ავტორის დაკვირვებით, რუსთაველის „სამყაროს სურათი“ ქრისტიანული რელიგიის წარმოდგენებით არ ამოიწურება, მისი აზროვნება უფრო დამოუკიდებელიც არის და უფრო ფართოც და სხვა, არაქრისტიანულ ელემენტებსაც შეიცავს.

რუსთაველი კარგად იცნობს ანტიკურ ფილოსოფიას, მაგრამ სისტემატურად იყენებს მხოლოდ პლატონისა და ნეოპლატონიკოსების შეხედულებებს, რომლებსაც თავისებურ ქრისტიანულ გარდატეხას აძლევს. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქაში ჩამოყალიბდა ადამიანის ახალი იდეალი, რომლის გმირი არა მარტო ძლიერი და ქველია, არამედ მაღალმორალური გრძნობის უნარით დაჯილდოებული და გონებაგახსნილი ადამიანი. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ჰარმონიულია და მშვენიერ-

რი, ამავე დროს ბრძენია, რომელსაც ახასიათებს სამყაროს პირველმიზეზთა იდუმალებისა და ამაღლებულობის მძაფრი განცდა.

მკვლევარი მიუთითებს რუსთაველის სიახლოვეზე აღმოსავლურ (ისლამურ) კულტურასთანაც, რაც პოემის გმირების ძლიერი განცდის უნარშიც ვლინდება. მათთვის უცხო არაა „სისხლის ცრემლები“, დაბნედა და აფექტური მოვლენები, მაგრამ რუსთაველისათვის უცხოა ისლამური მისტიკა, აგრეთვე – სიყვარულში თავდავიწყების და „მოყივნების“ პათოსი, რაც „ვისრამიანს“ ახასიათებს.

ადამიანი, რუსთაველის გაგებით, არ არის რაციონალური არსება; იგი ბრძენია, მაგრამ თავის თავს დაუფლებულია მხოლოდ იდეალში და არა სინამდვილეში. რუსთაველის უდიდესი შემოქმედებითი მიღწევაა პოემის გმირების დაძაბული შინაგანი ბრძოლის ულვეი მრავალფეროვნებითა და ფსიქოლოგიური სიზუსტით წარმოჩენა.

გ. ა.

731. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი

წიგნში – ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, 1966, გვ. 52-69.

წერილში ავტორი იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსს და მიმოიხილავს პოემის სიუჟეტის ორიგინალობის საკითხს.

ავტორის მსჯელობით, საკითხი ორიგინალობა-თარგმნილობის შესახებ ეხება არა სიუჟეტს მის მთლიანობაში, არმედ მხოლოდ მასში შემავალ ცალკეულ ელემენტებს.

რაც შეეხება ფსევდოწყაროს სპარსულობას, ავტორი ხსნის იმით, რომ საგმირო – სამიჯნურო პოემის ჟანრი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის, მისი მკვლევლის თვალში სწორედ სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული.

ავტორის აზრით, უცხო წყაროს დამოწმება შესაძლოა იმაზედაც მიუთითებდეს, რომ რუსთაველს სარწმუნოებრივი ან სხვა რამ მიზეზით საჩოთიროდ მიაჩნდა თავისი პოემის მოქმედების გაშლა უცხო ქვეყნებში ან ქართველი გვირგვინოსნის ქება უცხო მეფეთა საქმეების თხრობით.

ნ. მ.

732. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც ქართველთა ეროვნული საუნჯე

წიგნში – ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1966, გვ. 143-149; აგრ. გაზ. „Молодежь Грузии“, 1966, 22 სექტ. გვ. 3.

წერილში განხილულია ორი საკითხი:

1. „ვეფხისტყაოსანი“ ფეოდალურ ხანაში; 2. „ვეფხისტყაოსანი“ ახალ დროში.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ძნელბედობის ხანამ (XIV-XVI სს.) „ვეფხისტყაოსნის“ აღქმასაც თავისებური კვალი დააჩნია. თუ დღეს გვაოცებს პოეტის რენესანსული იდეები, აზროვნების დამოუკიდებლობა და თავისუფალი ფართო გაქანება, იმ დროს მკითხველისათვის პირველ რიგში პოემის გმირები და მათი მოქმედება იყო ცხოვრების იდეალის განსახიერება.

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის მეორე მიზეზად ავტორი იმას მიიჩნევს, რომ პოემის გმირთა ფიზიკური თუ ეთიკური განსაცდელი და მათი ამოცანა საოცრად ეხ-

მაურებოდა ქართველი კაცის ცხოვრების განსაცდელსა და ამოცანას. ასევე ქართველი ხალხის ისტორიულ თვითშეგნებაში გამოხმაურებას პოულობდა „ვეფხისტყაოსნის“ თავისებური არისტოკრატიზმი და გამორჩეულობის გრძნობა.

ავტორი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აღქმა ახალ დროში არა მხოლოდ მოწონებისა, – უშუალო ესთეტიკური ტკბობის საგანია. მკვლევარი პოემის ყველაზე დიდ ნამდვილობას ხედავს მისი ავტორის მიერ ცხოვრების მსოფლშეგრძნების ნამდვილობაში **ნ. მ.**

733. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები. რუსთაველის პალიტრა

წიგნში – ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1966, გვ. 103-115.

წერილში განხილულია შემდეგი საკითხები:

I. ემპირიული ადამიანი; II. სრულყოფილი ადამიანი; III. მორალური სრულყოფა; IV. სრულყოფა და პოემის კონცეფცია.

I. ავტორის შენიშვნით, რუსთაველს პერსონაჟი აინტერესებს არა მარტო როგორც ამბის მოქმედი პირი და გრძნობის სუბიექტი, არამედ როგორც რეალური ადამიანი, თავისი ღირსება-ნაკლოვანებებითა და სოციალური ვინაობით. ამ ქვეთავში ავტორი ჩერდება ფატმანისა და ვეზირის სახეებზე.

II, III. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველისათვის სრულყოფა თვისებათა რთული კომპლექსია, რომელთა ხატვაშიც რუსთაველს რეალიზმისა და ჰიპერბოლიზმის შეერთება ახასიათებს. ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა სახეები ერთსა და იმავე დროს აბსოლუტურად რეალურნიც არიან და იდეალურნიც.

IV. ავტორის მსჯელობით, სრულყოფა საზომია, თვალსაზრისია, რომლითაც რუსთაველი ადამიანებს ერთიმეორისაგან გამოარჩევს. არის სრულყოფილი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი და მშვენიერი ადამიანი და სრულყოფის დამავალი გრადაციის უთვალავ საფეხურებზე მდგომი რეალური ადამიანიც, რომელიც თავისთავად საინტერესოა ავტორისათვის, მაგრამ პირველთან შედარებით მხოლოდ გარემოსა და ფონის ფასი აქვს, ეს პოემის მხატვრული კონცეფციაა და ამავე დროს მისი საერთო სულისკვეთებაც, რომელიც პოემის შინაგან მთლიანობას ქმნის. **ნ. მ.**

734. ნ. ნათაძე

რუსთაველი – მხატვარი

ჟურ. „პიონერი“, 1966, №7, გვ. 11-14; №8, გვ. 12-15; №9, გვ. 11-14.

ავტორის თქმით, რუსთაველი იმ ეპოქის პოეტია, როდესაც სადევეგმრო თხზულებები იყო გავრცელებული. შუა საუკუნეთა საგმრო თხზულებებში ჭარბობდა ზღაპრული ელემენტი. რუსთაველის პოემაში ფანტასტიკა ცოტაა; ბრძოლების აღწერა, ისევე როგორც სხვა ამბების თხრობა, ძირითადად რეალისტურია. ბრძოლების უმრავლესობა „ვეფხისტყაოსანში“ თავისი დროის სამხედრო ხელოვნებისა და ტაქტიკის სრული ცოდნით არის აღწერილი.

რუსთაველის გმირებს დადებითი, კეთილშობილური თვისებები აქვთ, მაგრამ მათ ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებიც ახასიათებთ. პოეტი ამას სათანადოდ წარმოაჩენს, რითაც თხრობას უფრო დამაჯერებელს ხდის; მისი პერსონაჟები მკითხველის თანაგრძნობას იწვევენ.

რაც შეეხება თხზულებაში ასახულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეს რუსთაველის დროინდელი საქართველოა. ურთიერთობათა და წეს-ჩვეულებათა გადმოცემაშიც რუსთაველი ნამდვილი რეალისტი მხატვარია. თუმცა იგი თავის დროს ბევრად წინ უსწრებს და გვიანი ხანის ლიტერატურულ ძეგლებს უტოლდება.

ნ. ნათამის აზრით, დადებითი გმირის სახის შექმნა მწერლისთვის უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე უარყოფითი პერსონაჟისა. მით უფრო ძნელია იდეალური ადამიანის სახის დახატვა, რომ მკითხველისათვის ის ამაღლებულიც იყოს და დამაჯერებელიც. რუსთაველმა ეს ამოცანა ისე ბრწყინვალედ გადაჭრა, როგორც არც ერთ მწერალს არ გადაუჭრია, არც მანამდე და არც მის შემდეგ. **გ. ა.**

735. ნ. ნათამე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მოტივის გაგებისათვის

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნ. სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 16-17.

მოხსენებაში დასაბუთებულია აზრი, რომ „ტარიელის „ხელობა“, ანუ სიშმაგე, ავტორს წარმოდგენილი აქვს, როგორც ადამიანის ბუნებრივი პასუხი მის თავს დამტყდარ უბედურებაზე და არა როგორც მისი ხასიათის ინდივიდუალური თვისება (...). ტარიელის სახის შექმნისას გამოყენებული მეთოდი გამომდინარეობს შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი აზროვნების თავისებურებებიდან“. **ბ. დ.**

736. ნ. ნათამე

„ვეფხისტყაოსნის“

სამი ადგილის გაგებისათვის

„შოთა რუსთაველი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 311-317.

ავტორი განიხილავს დროის, ცის, ბედის, ბედისწერის, განგების ცნებებს სპარსულ ეპიკაში, კერძოდ – „შაჰნამესა“ და „ვისრამიანში“. ანალიზებს ანალოგიური შინაარსის ცნებებს „ვეფხისტყაოსანში“. აღნიშნავს, რომ სპარსულ ეპიკასთან კავშირში ამ წარმოდგენებს მხოლოდ იმდენად მიიჩნევს საყურადღებოდ, რამდენადაც „ვეფხისტყაოსანს“ ყველაზე მეტი ჟანრობრივი სიახლოვე ამ უკანასკნელთან აქვს.

ავტორი განმარტავს პოემის სამ ბუნდოვან ადგილს:

1. „თუ ვერა გნახე ცოცხალმან, ყოფაცა მქონდა ჟამისად“ (801,4), მისი აზრით, ტაეპში იკითხება: „თუ მე, ავთანდილმა, ცოცხალმა ვეღარ გნახე, დაე, ჩემი ყოფა ასეთი იყოს, როგორც ჟამს (ე. ი. მუხთალ ბედს) შეეფერება, როგორც მისგან არის მოსალოდნელიო“.

2. „მაშინ **სოფელმა საწუთრო მიუხვის**, რაცა ვინები“ (389,3), ნ. ნათაძის აზრით, „სოფელი“ აქ იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც **ჟამი, ცა** და **ბედი** სპარსულ ეპიკასა და „ვეფხისტყაოსანში“. რუსთაველი მკვეთრად მიჯნავს ბედს, ცას, ჟამს და განგებას. პირველნი (ცა, ჟამი, ბედი) დაბალია, დასაძლევე (სპარსული ტრადიციისგან განსხვავებით), განგება კი მაღალია, გარდუხდომელი და კეთილი.

3. ავტორი განმარტავს სიტყვას „**ვუაღეთ**“ ტაეპიდან: „იმან მართოდენ მორეენა გვითხრა, **ვუაღეთ** ჩვენებით“ (206,3). იგი ფიქრობს, რომ „ვუაღეთ“ (ხელნაწერის მიხედვით – „**ვუაღლეთ**“) უნდა ნიშნავდეს: „**ალ-ლაჰი ვუფიცეთ**“, „**აღლაჰი ვიფიცეთ**“, რაც კონტექსტს საუცხოოდ ეთანხმება: მშვენიერი მოყმის დაჭერის მიზნით მას მოსატყუებლად ალაჰი ვუფიცეთო. **ლ. კ.**

737. ნ. ნათაძე

ერთი დაუსაბუთებელი შეხედულების გამო

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 2, გვ. 186-190.

ავტორი განიხილავს ი. ლოლაშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად რუსთაველს ეკუთვნის ქართული ისტორიოგრაფიის ანონიმური ძეგლი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ცდილობს დაასაბუთოს მისი არგუმენტების უსაფუძვლობა. ნ. ნათაძის აზრით, წარმოდგენილი თეორიის წყაროა მხოლოდ რუსთაველის უცნობი ნაწარმოების პოვნის სურვილი. ხოლო ანტონ კათალიკოსის ცნობას, რომ თამარის განდიდება მის ე. წ. „მეორე ისტორიაში“ ტრადიციას რუსთაველის ნაღვანად მიუჩნევია, გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. **ლ. კ.**

738. ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

თბ., 1966, 150 გვ.

წიგნი წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურულ მონოგრაფიას შოთა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მისი მიზანია, მკითხველს მიაწოდოს ძირითადი ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიის, პოემის იდეური შინაარსისა და მხატვრული აღნაგობის შესახებ. იგი ნავარაუდევია მკითხველთა ფართო წრისათვის და დაიბეჭდა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით. წიგნი გამოვიდა აგრეთვე რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

წიგნში შესული ნარკვევებიდან ნ. ნათაძეს ეკუთვნის: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი; რუსთაველის რელიგია და მსოფლმხედველობა, პოემის იდეური ჩანაფიქრი; სიყვარული და მეგობრობა; „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები, რუსთაველის პალიტრა; „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ქართველთა ეროვნული საუნჯე.

ს. ცაიშვილის დაწერილია: ბიოგრაფიული ესკიზი; „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია; რუსთაველის პოეტიკა; „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები. (იხ. ანოტაციები ცალ-ცალკე). **გ. ა.**

739. რ. ნაკაშიძე

„ვეფხისტყაოსნის“ გავლენა დ. ბაგრატიონის შემოქმედებაზე

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 60-70.

ნარკვევი ეხება მე-19 საუკუნის I მეოთხედში მოსკოვში მცხოვრები პოეტის დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონის შემოქმედებაზე რუსთაველის პოემის გავლენას. ავტორის დასკვნით დ. ბაგრატიონის პოეზია საგრძნობლად არის დავალებული რუსთაველის პოემით. პოეტს ხიზლავდა „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო მაღალმხატვრულობა და იდეურობა, არამედ იგი პოემას ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანაში“ გადაჰყავდა.

მოტანილია მრავალი ნიმუში დ. ბაგრატიონის მიერ რუსთაველის მეტაფორების, პოეტური სიმბოლოების, შედარებების და აფორიზმების გამოყენებისა, ან მათი მიზაძვით, მსგავსი ტროპებისა და სენტენციების შექმნისა. **გ. ა.**

740. ა. ნამგალაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ჩუვაშურად

გაზ. „თბილისი“, 1966, 17 იანვ. № 13.

ავტორი იუწყება, რომ ჩუვაშეთის ასსრ სახალხო პოეტი პედერ ხუზანგაი თავის დედაენაზე თარგმნის რუსთაველის პოემას. იგი წინასწარ გაეცნო ქართულ ლიტერატურასა და კულტურას, სპეციალურად ჩამოვიდა ჩვენს რესპუბლიკაში და ესაუბრა ქართველ პოეტებსა და მეცნიერებს. **გ. ა.**

741. ლეილა ნანიტაშვილი

ნ. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 თებ., № 6, გვ. 2.

მიმოხილულა მასალები, საიდანაც ჩანს ნ. ბარათაშვილის გატაცება „ვეფხისტყაოსნით“. ანასტასია ამილახვარის გამოუქვეყნებელი მოგონების მიხედვით, იგი არკვევს, რომ „ნ. ბარათაშვილს პოემა გადაუწერია, მხატვრულად გაუფორმებია და ქეთევან შალვას ასული ერისთავისათვის ჯვრისწერის დროს საჩუქრად მიუღობებია“. **ბ. დ.**

742. Георгий Натрошвили

Побратимы. Автандил русской поэзии

გაზ. „Заря Востока“, 1966, 25 ნოემბერი, № 271, გვ. 2.

ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ იუბილესთან დაკავშირებით რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ: პოეტი მ. ბაჟანი („ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანისათვის) და პოეტი ნ. ტიხონოვი (საქართველოს თემაზე შექმნილი ლექსების ციკლისათვის).

25 ნოემბრის სადამოს რუსთაველის თეატრში ლაურეატებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჯილდო.

ავტორი მიმოიხილავს მათ მოღვაწეობას, ეხება ნ. ტიხონოვისა და გ. ლეონიძის მეგობრობას, რომელმაც რუს პოეტს „რუსული პოეზიის ავთანდილი“ უწოდა.

თ. ხ.

743. გ. ნატროშვილი

პოეტის ყველაზე დიდი სიბრძნე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 30 სექტემბერი, გვ. 2-3.

ავტორი ეხება იმ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც მსოფლიოში სუფევდა მაშინ, როცა ჩვენში „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა.

რუსთაველმა პირველმა აღიმაღლა ხმა ქვეყნად დამკვიდრებული უსამართლობის აღსაკვეთად. პოეტმა ხმა აღიმაღლა იმ ტანჯვის, იმ სოციალური უსამართლობის დასათრგუნავად, რომელიც ფესვგადგმული იყო როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში. მან ოცნებით წარმოიდგინა სამყარო, სადაც ადამიანის ჩაგვრა, ძალადობა და უსამართლობა აღარ იქნებოდა და საქვეყნო სიკეთე ყველას თანაბრად მოეფინებოდა. რუსთაველმა დასვა ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხი, აღნიშნა, რომ ადამიანები ერთმანეთის ძმები და და-ძმები არიან, რომ ხალხები და ერები კი არ უნდა მტრობდნენ ერთმანეთს, არამედ სიყვარულს უნდა სდებდნენ გზად და ხიდად. ყოველივე ეს იყო და არის ყველაზე მაღალი, ყველაზე დიდი სიბრძნე კაცობრიობის მთელ ისტორიაში და ამ სულისკვეთებით არის გამსჭვალული „ვეფხისტყაოსანი“.

ც. ე.

744. ა. ნაცვლიშვილი

სიმბოლიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნ. სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 23-24.

მომხსენებლის აზრით, შოთა რუსთაველი უხვად იყენებს „ვეფხისტყაოსანში“ სიმბოლო-ალეგორიებს, მაგრამ ისეთნაირი ინტერპრეტაციით აგებს ფრაზებს, რომ სრულიად სცილდება სასულიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მისტიკურ იდეებს. კერძოდ, „მის მიერ გამოყენებული სახე – სიმბოლოები „მზე“, „მზიანი ღამე“, „მზიან-ჩრდილი“, „ტურფა საბაღნარო“ და სხვა მრავალი „ვეფხისტყაოსანში“ არ არიან წარმოდგენილი სასულიერო გაგებით“. მისივე დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში“ „სიმბოლო“ კი არ განსაზღვრავს შინაარსს, პირიქით, შინაარსი იმორჩილებს სიმბოლოს და იგი გამოყენებულია მხოლოდ პროგრესული ნააზრევის, ცხოვრების რეალური დეტალების ესთეტიკური ფუნქციებით წარმოსადგენად.“

ბ. დ.

745. ს. ნაციაშვილი

საინტერესო გამოფენა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1966, 2 სექტ., № 36, გვ. 2.

ინფორმაცია: თბილისის კიროვის რაიადმასკომის შენობაში გაიხსნა ცნობილი ფოტო-არქივარიუსის რუბენ აკოფოვის ფოტოდოკუმენტთა გამოფენა, რომელიც რუსთაველის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. რ. აკოფოვის არქივი 70 000-ზე მეტ ფოტოსურათს მოიცავს. მასზე აღბეჭდილია ქართული მატერიალური და სულიერი

კულტურის უნიკალური ძეგლები. ზემოხსენებულ გამოფენაზე რ. აკოფოვმა 1200-ზე მეტი უნიკალური ფოტოდოკუმენტი წარმოადგინა, რომელიც ასახავს პოეტის ცხოვრებამოდვაწეობის ეპოქას. წარმოდგენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების ფოტორეპროდუქციები, განსაკუთრებული ადგილი უკავია XI-XII სს. გამოჩენილ მოღვაწეთა ავტოგრაფების ნიმუშებს, წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერთა გვერდები, ხელნაწერები, ხელნაწერთა მინიატურები, პოემის პირველი ნაბეჭდი გამოცემის ფერადი გვერდები, ვახტანგ VI-ის სურათების ფოტოასლები, პოემის მთარგმნელთა და მკვლევართა სურათები; „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელთა ილუსტრაციები, 1937 წლის საიუბილეო დღეების ფოტომასალა.

თ. ხ.

746. ს. ნაციაშვილი

ათასი ფერი

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 3.

ავტორი გვაუწყებს, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის V კურსის სტუდენტმა გ. ჟვანიამ შექმნა რუსთაველის მოზაიკური პორტრეტი. ახალგაზრდა ხელოვანის მიერ შექმნილ რამდენიმე ვარიანტში, გამოყენებულია 3 000-მდე ფერადი ნაწილაკი. საბოლოო ვარიანტი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფონზეა აკინძული, ჩაისმება პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის მთავარი ინტერიერის ერთ-ერთ კედელში.

გ. ა.

747. ს. ნაციაშვილი

მხატვარი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „თბილისი“, 1966, 1 თებერვალი, № 26, გვ. 3.

წერილი ეხება ს. ქობულაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საკითხს. აღნიშნულია, რომ სურათები გამოირჩევა სხვებისაგან განსხვავებული სტილით (შესრულებულია 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით). ნახატების დედააზრი მთლიანად ესიტყვება პოემის შინაარსს და ასახავს გმირულ ეპოპეას, რისთვისაც ს. ქობულაძემ დიდი მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა, რათა გაეცნო რუსთაველის ეპოქის სულიერი და მატერიალური სიმდიდრე, ადათ-ჩვევები, მორთულ-მოკაზმულობა. ილუსტრაციები მიმზიდველია არა მარტო გარეგნულად, არამედ მისი „შინაგანი სამყაროც რუსთაველის გენიით არის გამთბარ-გასხივოსნებული“.

ი. წ.

748. С. Нацашвили

Барельеф великого Шота

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 26 აპრილი, № 97, გვ. 3.

წერილის თემაა გ. სესიაშვილის მიერ შესრულებული რუსთაველის ბარელიეფი. მხატვარს სხვადასხვა პლასტიკური მასალით შეუქმნია მრავალი ეტიუდი, ესკიზი და კომპოზიცია, დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანთან“. ბარელიეფი, რომლის ფოტოც გაზეთშია დაბეჭდილი, მზად იყო ჯერ კიდევ 1937 წელს. პოეტის პორტრეტთა შორის იგი საუკეთესოდ არის მიჩნეული.

მოსკოვის ფაიფურის ქარხანამ თავის ნაკეთობებში პორტრეტს ახალი სიცოცხლე მიანიჭა.

ლ. კ.

749. ს. ნაციაშვილი

როცა ქვა მეტყველებს...

კ. მერაბიშვილის დაბადების 60 წლისთავი
გაზ. „თბილისი“, 1966, 22 ივლისი, № 170, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ „1938 წელს კ. მერაბიშვილი კვლავ ძერწავს შ. რუსთაველის პორტრეტს იტალიურ მარმარილოში“, რომელიც სოხუმშია დადგმული. იქვე იუწყება, რომ ამჟამად მოქანდაკე „მუშაობს შ. რუსთაველის სკულპტურულ პორტრეტზე“ და ბეჭდავს ფოტოსურათს: „მოქანდაკე კ. მერაბიშვილის სახელოსნოში“, სადაც წინა პლანზე რუსთაველის ქანდაკება არის.

ბ. დ.

750. ს. ნაციაშვილი

მ. ზიჩის წერილი

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

მ. ზიჩიმ თავისი სულიერი სამყარო დაუკავშირა ქართული ეროვნული პოეზიის გენიას – „ვეფხისტყაოსანს“ და ბრწყინვალე ილუსტრაციები შექმნა. მან „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიას ასე მისწერა: „გიგზავნით არა 12, არამედ 34 ესკიზს ასარჩევად... ძალზე მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენი იმედის გამართლებას და ღირსეულად დავასურათებ რუსთაველის ქმნილებას... ბედნიერი ვარ დაგეხმაროთ თქვენი იდეის განხორციელებაში... ამ გზით კიდევ უფრო მეტ გავრცელებას მოიპოვებს ქართველი პოეტის რუსთაველის სახელი და სიდიადე“. ეს წერილი მეტყველებს, თუ როგორი გატაცებით მუშაობდა ზიჩი ილუსტრაციებზე, რომლებიც დღესაც ერთ-ერთი ხატოვანი და წარმტაცია არსებულთაგან.

ი. წ.

751. ს. ნაციაშვილი

იუბილეს მიემდვანა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 22 სექტემბერი, № 216, გვ. 3.

წერილი ეხება გამოფენას, რომელიც გაიხსნა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. წარმოდგენილია 1500-მდე ექსპონატი – აკადემიის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრები. დარბაზები სავსეა რუსთაველისადმი მიძღვნილი ეტიუდების, ნატურმორტების, ინდივიდუალური და ჯგუფური კომპოზიციების, პეიზაჟების, პორტრეტების, სასალონე მონუმენტური ქანდაკებების უნიკალური ნიმუშებით. ყურადღებას იპყრობს პოეტისადმი მიძღვნილი გრაფიკული ნამუშევრები. აქვეა ლითოგრაფიურის, ქსილოგრაფიის, ლითოგრაფიის, გუაშის უბრწყინვალესი ექსპონატები. ვრცელი დარბაზი ეთმობა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს, პოეტის სურათებს – ფერწერაში, გრაფიკასა და ქანდაკებაში. ამავე დარბაზში წარმოდგენილია რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები.

ლ. კ.

752. **Н. Николаев**

Источник вдохновения

ჟურ. „Огонек“, 1966, № 38, გვ. 25.

წერილის თემა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, მხატვარ-მინიატურისტები და კალიგრაფები, მათი ხელწერა და ხელოვნება, რუსთაველის პორტრეტი (ხელნაწერიდან), ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან და მისი ისტორია. ავტორი ზოგადად ახასიათებს პოემის ილუსტრატორთა ნამუშევრებს (მ. ზიჩი, ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, ს. მასიაშვილი, ი. თოიძე, ს. ქობულაძე, ი. დივნიგორცევა-გრიგოლია, ნ. იანქოშვილი-ავალიანი, უ. ჯაფარიძე) და დასძენს, რომ პოემა ტკბობისა და ზემთაგონების წყაროდ იქცა.

ლ. კ.

753. **ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა**

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „Заря Востока“, 1966, 20 სექტ., № 225, გვ. 3; „Вечерний Тбилиси“, 1966, № 230, გვ. 3; „სოფლის ცხოვრება“, 1966, № 230, გვ. 3.

დღეს ჩვენს გულებში ღრმა გამოძახილია უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ კეთილშობილური იდეებისა, გმირობის იდეალი, სამშობლოსადმი სიყვარული, ხალხთა შორის მეგობრობისა და ჰუმანიზმისა. რა ღრმად გვაღელვებს ყველა ჩვენგანს ჩვენი გულებისათვის გაუხუნარი სახეები ნესტანისა და თინათინისა.

ი. წ.

754. **Л. Николаенко**

Руставели на пяти языках

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 19 სექტემბერი, № 220, გვ. 3.

საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ იშვიათ გამოცემაზე, რომლის სატიტულო გვერდი იუწყება: ე. ს. სტალინსკი – „ვეფხისტყაოსანი“, ქართული პოემა შოთა რუსთაველისა, თარგმანი რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ქართულ და სომხურ ენებზე, ტიფლისი, 1888. ტიპოგრაფია გ. ვ. ჩარკვიანისა.

პოემა სომხურ ენაზე თარგმნა ექიმმა ბასტამოვმა, გერმანულად – ა. ლეისტმა, ფრანგულად – ბორემონმა. წიგნს სხლავს თამარისა და რუსთაველის პორტრეტები.

ეს იშვიათი გამოცემა წარმოდგენილი იყო საიუბილეო დღეებში სპეციალურ გამოფენაზე.

თ. ხ.

755. **ვ. ნიკოლაიშვილი**

დიდი მგოსანი ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში

გაზ. „თბილისი“, 1966, 13 სექტემბერი, № 215, გვ. 3.

ი. ნიკოლაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია, შეიძლება ითქვას, რუსთაველის ქანდაკებით იწყება. 1896 წელს, მან პირველმა შექმნა ჯერ მცირე ქანდაკება (ეს ნაწარმოები შეიძინა ა. ზუბალაშვილმა და ფლორენციაში წაიღო). ერთი წლის შემდეგ ამ ესკიზის მიხედვით მან შექმნა მეტრნახევრიანი ქანდაკება და თბილისში გამოფენაზე

წარადგინა. ამის შემდეგ ი. ნიკოლაძემ კიდევ სამი სახე შექმნა: მრგვალი ბარელიეფი, ოვალური ბარელიეფი და ბიუსტი, სადაც ვხედავთ მოაზროვნე პოეტის კეთილშობილურ სახეს. ი. ნიკოლაძემ შექმნა აგრეთვე რამდენიმე ესკიზი: „ტარიელის ბრძოლა ვეფხვთან“, „ნესტანის გატაცება“, „ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის თათბირი“, „ნესტანის გამოხსნა“.

ი. წ.

756. ნ. ნიკოლაიშვილი

XIX საუკუნის პოლონელი რუსთველოლოგები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 2 სექტ., № 36, გვ. 2.

წერილი მოგვითხრობს XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში გადმოსახლებული პოლონელის ალექსანდრე ხომკოს შესახებ, რომელმაც ორი წელი იცხოვრა თბილისში, გაეცნო ქართულ კულტურას, შეისწავლა საქართველოს ისტორია და ერთერთმა პირველმა გააცნო პოლონელ ხალხს შოთა რუსთაველის პოემა, მან 1833 წელს ლონდონში პოლონურ ენაზე გამოცემულ შრომაში „ნიმუშები სპარსული პოეზიიდან“ შეიტანა თავისი ნარკვევი „შოთა რუსთაველი – ქართველი პოეტი“. იმავე წელს ეს ნარკვევი ჟურნალ „ტელესკოპის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა.

ნარკვევში მიმოხილულია საქართველოს ისტორიული წარსული, ქართველი ერის ცხოვრება, რომელსაც ავტორი „გასაოცარი გმირობის ხალხს“ უწოდებს, შემდეგ ყურადღებას აქცევს „ბრწყინვალე“ და „სახელოვანი ეპოქის“ საქართველოს. სხვადასხვა ცნობებსა და ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით აშუქებს რუსთაველის ბიოგრაფიას. შემდეგ საუბრობს „ვეფხისტყაოსანზე“ და უმაღლეს შეფასებას აძლევს მას.

მეორე პოლონელ რუსთველოლოგად მიჩნეულია XIX საუკუნის 40-იანი წლებში თბილისში გადმოსახლებული პოლონელი ინჟინერი კაზიმირ ლაპჩინსკი, რომელიც 1847 წლიდან ცხოვრობდა თბილისში და მეგობრობდა გ. ერისთავთან. სწორედ მისი დახმარებით, მას, შემდეგ, რაც კარგად გაეცნო ქართველი ხალხის ისტორიასა და ქართულ მწერლობას, გადაწყვიტა პოლონურ ენაზე პროზის სახით ეთარგმნა რუსთაველის პოემა, რომელიც 1863 წელს „ბიბლიოთეკა ვარშავსკას“ IV ტომში გამოუქვეყნებია.

თ. ხ.

757. Лев Никулин

Вершина поэзии

გაზ. „Заря Востока“, 1966, 30 სექტემბერი, № 225, გვ. 2.

ლევ ნიკულინი იგონებს. იგი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, 19 წლისა მოიხიბლა თბილისით. მაშინ გაიგო პირველად გენიალურ შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე. „რაც არ უნდა თქვან კონსტანტინე ბალმონტის თარგმანზე, ჩვენ, რუსები, მისი თარგმანით ვეზიარეთ მას და შევძელით შეგვეფასებინა სილამაზე და ჯადოსნური ხმატკბილობა შოთა რუსთაველის პოემისა“, – ამბობს ლევ ნიკულინი. „მე მაღელვებს ის ღრმა ინტერნაციონალური გრძნობები, რომლებიც ჩადებულია პოემაში, მათი გმირების დაუმარცხებელი სული, მათი სწრაფვა მეგობრობისადმი. ეს გრძნობები გასაგებია ყველა საუკუნის პროგრესული ადამიანისათვის, ამიტომაც 8 საუკუნით დაცილებულ ქართველ პოეტს ჩვენ ვთვლით ჩვენ თანამედროვედ“. „ვეფხისტყაოსანი“,

ეს არის მარგალიტი... იგი კანონიერად ამშვენებს მსოფლიო კულტურის საგანძურს. ეს უმაღლესი მწვერვალი პოეზიისა მუდმივი და მიუწვდომელია“.

ი. წ.

758. შ. ნიჟარაძე

აჭარული დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ.: „საბჭოთა აჭარა“, 1966, 28 სექტ.; „ოქტომბრის გზით“ (ბათუმი), 1966, 29 სექტ., № 114, გვ. 2-3; „კოლექტიური შრომა“ (ხულოს რ.), 1966, 24 სექტ., № 112, გვ. 3.

მკვლევრის აზრით, აჭარულმა კილომ, მესხურ-ჯავახურთან და იმერხეულთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული კლასიკური სამწერლო ენის ჩამოყალიბებაში, რომლითაც შეიქმნა IX–XII საუკუნეების მწიგნობრობის მაღალმხატვრული ნიმუშები. ავტორი პარალელს ავლებს რუსთაველის ენასა და აჭარულ კილოში არსებულ ლექსიკასა და მორფოლოგიურ მოვლენებს შორის. მაგალითად, – ავ და – ამ სუფიქსიან ზმნებს აჭარულში ახასიათებთ თემის ნიშნისეული ხმოვნების შეცვლა. მსგავსი შემთხვევებია „ვეფხისტყაოსანშიც“. აჭარულში გვაქვს „შესტირნა“ და „გეეტირნა“ ფორმები, აგრეთვე „უკუდეგ“, „უკუდგას“ შესატყვისი: „ოკოდექ“, „ოკოდგა“ და სხვ.

ლექსიკიდან აღსანიშნავია: მოღალფება, მორჩვი, კაპანი, შეთხზნა, გამფრინვალე, სულე, აქვან, ღაზვი და სხვა, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ამავე ფორმითა და შინაარსით, ან ოდნავ სემანტიკური გადახრით.

ავტორი ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველის მშობლიური დიალექტი უნდა ვეძიოთ ისტორიულ „ზემო ქართლში“ – მესხეთ-ჯავახეთ-აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში.

გ. ა.

759. შ. ნიჟარაძე

„ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებული ზოგიერთი ფორმისა და დიალექტური ელემენტის ისტორიისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკვირდინავიო საბჭო, I სამეცნიერო სესია, თბ., 1966, გვ. 15-16.

1. რუსთაველის პოემაში დასტურდება რიგი ლექსიკური ერთეული და ფორმა, რომელთა პარალელებიც თანამედროვე აჭარულში (resp. მესხურ-ჯავახურში) შეინიშნება (დათხზნა, დაშუენება, [მ]თხუელი, კაპანი, ლუსკუმეტი, ნაჭარი, ყოლიფერი, ხათუნი; ზედან, იშ! სოლე/სულე! გეეტირნა, ვხედვიდი და სხვ.).

2. აჭარული კილოს მჭიდრო ურთიერთობა მესხურ-ჯავახურთან ამჟამად დამტკიცებულად ითვლება. აღნიშნულ ფაქტებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოემის ენის ისტორიისათვის.

ბ. დ.

760. ვიკტორ ნოზაძე

შოთა რუსთაველს

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 11-13.

კითხვა-პასუხის სახით გადმოცემულია აპოლოგია რუსთაველისა და ძირითადი დებულებები „ვეფხისტყაოსნისა“, მისი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნე-

ნელობა. ავტორის თქმით, რუსთაველი არის: „მფლობელი ქართული მხატვრული ენისა“, „მახარობელი სიკეთის გამარჯვებისა“, „სამართლისა და სამართლიანობის მესაჭე“, „მქადაგებელი სოციალური თანხმობისა“, „მოდღვარი ხალხთა მძობისა“, „ქადაგი გონებისა და სიბრძნისა“, „ქებით მოქმელი ლხინისა და გახარებისა“, „მეხოტბე სილამაზისა და შვენიერებისა“, „ქართველი ერის მთელი მსოფლმხედველობისა და მსოფლჭვრეტის ამსახველი და გამომხატველი“.

ავტორი მიმართავს შოთას, რომ ყოველივე ზემოთქმული „საკაცობრიოა, საერთაშორისო! – ამას უგალობ შენ! და ქართველი ერი ასეთი წარმტაცი გალობით ტკბება!... ქართველი ერი სიყვარულითა და სიხარულით ინაწილებს და თავისად მიიჩნევს შენს მოძღვრებას. შენ ბრძანდები მისი უზენაესი მოძღვარი“!

შემდეგ, ჟურნალის 15-128 გვერდებზე დაბეჭდილია ვ. ნოზაძის მოკლე ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე, მხატვრულ-მეტაფორულ გამოთქმებსა და სხვა საკითხებზე. ისინი ერთგვარი შევსება-დამატებებია მკვლევრის მანამდე გამოქვეყნებულ წიგნებში განხილული პრობლემებისა. **გ. ა.**

761. ვ. ნოზაძე

[„ვეფხისტყაოსნის“ საკითხები]

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 15-32.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს „დივნოს“-ის ვინაობა, რომელიც იხსენება სათაურად გამოტანილ ტაეპში (1402, 1), აგრეთვე 177-ე სტროფში: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს...“ ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სახელის ბერძნული გამოთქმებია: დიონისიოს, დიონუსოს, დიონისოს; აგრეთვე: დივნისიოს, დივნისოს.

ქართულ მწერლობაში ცნობილია: დიონვისი, დიონოს, დივანოსე. „ვეფხისტყაოსნის“ **ბრძენი დივნოსი** არის დიონისე აეროპაგელი, ქრისტიანი თეოლოგოსი და ფილოსოფოსი (იხ. „ვეფხ. ღმრთიმეტყვ.“ 1963.). 177-ე სტროფში შემოდის ახალი სახელი „**ბრძენი ეზროს**“, რომელიც მკვლევართა სხვადასხვა ინტერპრეტაციას იწვევს.

ვ. ნოზაძე განიხილავს პ. ინგოროყვას, ა. შანიძის და სხვა მკვლევართა მოსაზრებებს აღნიშნულ პიროვნებათა შესახებ, აგრეთვე დიონისე აეროპაგელის სახელით პეტრე იბერის შრომების გავრცელების ვერსიას (შ. ნუცუბიძე, ე. ჰონიგმანი) და დასკვნის, რომ საკითხი სრულყოფილად გარკვეული მაინც არაა. განსაკუთრებით სადავოა „ეზროს“ ვინაობა. ესპანეთში (ტოლედოში) დაბადებულ ებრაელ პოეტსა და ფილოსოფოსს – იბნ ეზრა, აბრაჰამ ბენ მეირის (აბენ ეზრა, ავენარეს, გარდ. 1167 წ.) ერთი ლექსი ასე იწყება: „ერთხელ დავტოვე მე ჩემი სახლი, გამოვედი ჩემი სამკვიდრებელიდან, მივატოვე სამშობლო ადგილი, ოჯახი და ხალხი და წავხეტიალდი ...“ ლექსში ალეგორიულ შინაარსს კითხულობენ – რომ ებრაელები მოწყვეტილი არიან ძველ სამშობლოს, პალესტინას. მთავარი საკითხავი ისაა, თუ როდის და რა გზით გაიცნო შოთამ იბნ ეზრას შემოქმედება? კიდევ – „ვეფხისტყაოსნის“ 177-ე სტროფში „ყველა ხელნაწერის თანახმად, არის სიტყვა „ეზროს“ და არა „ეზრა“ ან „ესრა“. ეს ძალიან მძიმე საბუთია, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარნი მის ტექსტს მაინც და მაინც დიდ ანგარიშს არ უწევენ... იგივე ამბავი დაატყდა თავს სიტყვას „დიონოსი“, რომელიც ხელნაწერებშიაც სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ოღონდ სახელს

– „დიონოსი“ – მაინც არ სცილდება. მაგრამ მკვლევარებმა იგი გადააკეთეს და მას შინაარსი გამოუცვალეს: დიონოსი გახდა „დიაგნოს“ – „დიაღნოსი“, გარდაიქცა „დივანად“ – ლექსთა კრებულად, და რაც მთავარია, – ამგვარი დოსტაქრობით არაფერი დამარწმუნებლად არ გაირკვა. სამაგიეროდ კი ზედმეტი და თავსატეხი საკითხი გამოტყვრა!“ (გვ. 32.).

ავტორი შენიშნავს, რომ „კვლევა უნდა გაგრძელდეს და იქნებ ვისმე გაუღიმოს ბედმა და ეს მძიმე ამოცანა უეჭველობით ამოხსნას“. **ავტორის მინაწერი:** „ეს წერილი დაწერილია 1960 წლის აგვისტოში, შევსებულია მაისში 1965 წელს“. **გ. ა.**

762. ვ. ნოზაძე

„ვით კატასა, ვხოცდი ლომსა“ („კავკასიონი“, XI, გვ. 33-35).

ავტორი წერს: „ჩემ ნარკვევში: „ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება“ (წიგნში „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, დამატება, გვ. 191-237) **კატის** საკითხს შევეხე და დავადგინე – „ვეფხისტყაოსნის“ „**კატა**“ არ არის არც შინაური კატა და არც გარეული კატა. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენებული „კატა“ არის არაბული სიტყვა „**კატა**“, რომელი სახელითაც **უდაბნოს ქათამი**, კაკაბის ერთი ჯიში იწოდება მეთქი... დღეს დამატებით კიდევ ზედმეტი საბუთი მსურს შემოგთავაზოთ.

კატა (არაბული სახელი) არის ფრინველი, დურაჯთა ოჯახისა. კატები დაფრინავენ გუნდ-გუნდად, ყვირიან ხმით – „კვატ“, „კვატა“ და ამ მახილის მიხედვით დაერქვათ მათ სახელი: „კატა“. ავტორის თქმით, ფრინველი „**კატა**“ ხსენებული ან დასახელებული ჰყავთ: იბნ ჰაზმს (არაბი მწერალი, X ს.); მოჰამმედ ბენ მოჰამმედ ყაზვინს; ბრეჰმს (ენციკლოპედიაში).

ეს „**კატა**“ არის „**უდაბნოს ქათმის**“ ერთერთი სახე. გერმანულად ეწოდება „**ხადდა**“, ლათინურად – „**ხატტა**“. ის ბუდობს და ცხოვრობს ესპანეთის ველებზე, ჩრდილო აფრიკის უდაბნოებში, აზიის სტეპებში, განსაკუთრებით ამურდარიის, კასპიის ზღვის მიდამოებში და ინდოეთში. **გ. ა.**

763. ვ. ნოზაძე

ლეოპარდუს, პანთერა, ტიგრ, ვეფხი („კავკასიონი“, XI, გვ. 35-42).

ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ სიტყვას „ვეფხი“ უცხო ენებზე თარგმნიან როგორც: **ა) ბარს, ბ) პანთერა, გ) ლეოპარდ, დ) ტიგრ.**

„ვეფხი“ ხშირად იხსენება ძველ მწერლობაში, მათ შორის – ბიბლიაში. ქართული ბიბლიის „ვეფხი“ არის ბერძნულად – ლეოპარდის, პარდალის; ლათინურად – პანთერა, ლეოპარდუს; ინგლისურად – ლეოპარდ; გერმანულად – პარდერ; ფრანგულად – ლეოპარდ; ესპანურად – ტიგრე, ლეოპარდო; რუსულად – 1. ბარს, 2. სკიმენ (= პატარა ლომი).

ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ავტორი დაასკვნის, რომ ქართული „ვეფხი“ ევროპულ ენებზე **პანთერად** უნდა ითარგმნებოდეს.

ნარკვევის ძირითადი ნაწილი დაწერილია 1961 წელს. ბოლოს ავტორი იმოწმებს 1965 წელს საქათველოში დაბეჭდილ ნარკვევებს: მ. მამულაშვილი, ა. ქუთათე-

ლაძე („ლიტ. საქ.“ 20 გვ.); ს. ცაიშვილი („კომუნისტი“, 28 ნოემბ.); დ. კობიძე („თბ. უნივერსიტ.“, 20 სექტ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია დ. კობიძის ნარკვევი, რომლის მიხედვით ქართულ „ვისრამიანში“ ხსენებულ „ვეფხს“ სპარსულში შესატყვისება ფალანგ (ხალეზიანი ცხოველი), რაც არის ბერძნულ–ლათინური „ლეოპარდი“. გ. ა.

764. ვ. ნოზაძე

ბრუნავს ვითა ტანაჯორი („კავკასიონი“, XI, გვ. 42-44).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ტანაჯორს“ ლექსიკონებში მეტწილად მწერად განმარტავენ, მაგრამ ზუსტად ცნობილი არაა, რა სახის მწერია ის.

ავტორის აზრით, ეს უნდა იყოს წყალზე მარბენალი „ჯერის ფ“ (Gerris F), რომელიც გუბურებში და მდორე მდინარეების ზედაპირზე დარბის, ტრიალებს ან დაფრინავს. გ. ა.

765. ვ. ნოზაძე

მოლი რამე წამოსხა ზედა ტანსა („კავკასიონი“, XI, გვ. 44-50).

როგორც ავტორი აღნიშნავს, ი. ლოლაშვილს შეცვლილი შინაარსით მოაქვს ნაწყვეტი „ილიადადან“, სადაც საუბარია მოლზე, როგორც მაგიური ძალის მქონე მცენარეზე. ი. ლოლაშვილი კი მსჯელობს მოლისგან დამზადებულ ჯადოსნურ წამალზე. მაგრამ ჰომეროსთან „მოლი“ არ არის თხევადი, არც მალამო, არც დასალევი, არც წასასმელი წამალი.

საბოლოო დასკვნა ასეთია: „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვას „მოლი“ არავითარი კავშირი არა აქვს ჰომეროსის „მოლთან“. დღემდე არსებული საბუთებით, „მოლი“ არის ნაბადი ან წამოსასხამი (იხ. ს. საბაშვილის „როსტომიანის“ თარგმანი: „მან დაიგო მოლი ქვეშა“; ი. ჯავახიშვილი მას წამოსასხამად განმარტავს...). გ. ა.

766. ვ. ნოზაძე

ძოწეულითა მოსილი („კავკასიონი“, XI, გვ. 51-54.)

ავტორი წერს: ჩემ წიგნში „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“ (1953 წ., გვ. 63-67), როდესაც „ძოწის“ საკითხი გავარჩიე, დავადგინე შემდეგი: ძოწი არის წითელი ფერი, ზღვის ლოკოკინის – ლოფორთქინის წვენი; ძოწეული არის ლოფორთქინისაგან მოპოვებული წითელი წვენი შეღებილი ქსოვილი; ძოწეული არის სამოსელი პორფირი – პურპურა.

ამით უარვეყავი გაბატონებული შეხედულება, თითქოს ძოწი ყოფილიყოს „კორალლი“, როგორც ეს ს.-ს. ორბელიანს, და მერმე ყველას, აქვს განმარტებული.

მკვლევარი იმოწმებს გიორგი ხუცესმონაზონს, ისტორიკოს გიორგი ამარტოლს, ბერძენ და რომაელ მწერლებს, ძველ და ახალ აღთქმას, საიდანაც მტკიცდება, რომ ძოწეული არის წითელი ფერის ქსოვილი ან ამ ფერის სამოსელი (მეფეთა და დიდებულთა) და არა პატიოსანი ქვა. გ. ა.

767. ვ. ნოზაძე

შუა ძოწისა და აყიყისა სჭვირის მარგალიტი ტყუბები („კავკასიონი“, XI, გვ. 55-67).

ავტორი არკვევს ძოწისა და აყიყის მნიშვნელობებს, იმოწმებს ძველ აღთქმაში მათი ხმარების შემთხვევებს (სხვადასხვა ენაზე), ეპიფანე კვიპრელის ნაშრომს „თვალთაჲ“ და სხვ. ვრცელი მიმოხილვის შემდეგ მკვლევარი დაასკვნის, რომ „თვალის პატიოსანი ძოწი არის „გრანატუს კარბუნკულუს“. ეს არის მღვივე წითელი ფერი, ბროწეულის ყვავილის ფერი, ან ბროწეულის მწიფე მარცვლის ფერი, რაც აყიყის ფერს მართლაც შეეფერება“. **გ. ა.**

768. ვ. ნოზაძე

მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს... („კავკასიონი“, XI, გვ. 68-73).

ავტორი განიხილავს 962-ე სტროფს: „ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა...“ აღნიშნავს, რომ პირველ და მეორე სტრიქონებში მოცემულია ასტრონომიული ურთიერთობა მზესა და ოტარიდს (მერკურს) შორის, რაც გამოყენებულია ავთანდილის სიყვარულის პოეტური დახასიათებისათვის.

მესამე და მეოთხე სტრიქონებში ასტროლოგიური შინაარსია: **ოტარიდი**, ასტროლოგიური გაგებით, იყო მწერალი... აქვე მკვლევარი დაუსაბუთებლად და გაუგებრობად თვლის ამ სტროფის საფუძველზე რუსთაველის ჰელიოცენტრული თვალსაზრისის მტკიცების მცდელობას, რაც მოცემული იყო პედაგოგ დ. ჭანტურიშვილის (1955წ.) და პროფ. რ. თვარაძის (1964წ.) წერილებში. ვ. ნოზაძე მიუთითებს, რომ რუსთაველის ასტრონომიური ცოდნა დამყარებულია პტოლემეაიოსის სისტემაზე და მას ვერ ეცოდინებოდა ის, რაც მეცნიერულად ახსნილი იქნა მხოლოდ მე-16-17 საუკუნეებში.

განსახილველი სტროფის მეორე სტრიქონში მოცემულია თვალთ დასანახი მოძრაობა **ოტარიდისა** მზის ახლოს; თავის ორბიტაზე მოძრაობისას ის მერყობს, ქანაობს, დილით ის ჩანს მზის წინ, საღამოს არის უკან, სხვა დროს კი უჩინარდება მზის სხივებში, თითქოს „იწვის“ მისგან სიახლოვით. ეს მოვლენა რუსთაველს გამოყენებული აქვს პოეტური შედარება-მეტაფორისათვის. **გ. ა.**

769. ვ. ნოზაძე

მისთვის გულს ლახვარ სობილი („კავკასიონი“, XI, გვ. 73-87).

ავტორი აღნიშნავს, რომ **ლახვარი** მახვილწვერიანი საომარი იარაღი, „ვეფხის-ტყაოსანში“ გამოიყენება პირდაპირი დანიშნულებითაც და მეტაფორულადაც – უმთავრესად სიყვარულის საკითხთან დაკავშირებით. მიჯნურის გული დაჭრილია სიყვარულის (ამორის, ეროსის) ლახვრით (სტროფები 522, 595). ასევე მეტაფორული შინაარსით ლახვარს ახსენებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მრავალი მწერალი. შეყვარებულის გულის დამჭრელად იხსენება აგრეთვე: ისარი, დანა, ქალის წამწამი. ხოლო ყოველივე ღმერთის ნებით ხდება, რადგან იგი არის გულისთქმათა მფლობელი და იგი ბადებს სიყვარულს.

მკვლევარი დაასკვნის: „ვხედავთ აშკარად, რომ თვით სიყვარულის სათავე ღმერთში იმყოფება, რამეთუ ღმერთი არის სიყვარული! ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ფილოსოფია“. **გ. ა.**

770. ვ. ნოზაძე

მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ... („კავკასიონი“, XI, გვ. 88–90).

მკვლევარი განიხილავს რუსთაველის წარმოდგენას ადამიანის სულის იმქვეყნიურ არსებობაზე. მაგალითად მოყვანილია 882-ე სტროფი: „აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით, მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გავიხარენით“.

მკვლევრის აზრით, რუსთაველის მიერ დახატული საიქიო ცხოვრება სულისა არაფრით განსხვავდება დანტეს წარმოდგენისაგან საიქიოში სულთა აზრდილ გვამთა და გრძნობათა შესახებ. ორივე იზიარებს ქრისტიანულ რწმენას, რომ ხორცთაგან სულის გაცილების, გაყრის შემდეგ სული საიქიოში განაგრძობს არსებობას, ვით არსება პიროვნული, თვითშეგნებითი, გონებრივ-ზნეობრივი, რომელსაც ახსოვს თავისი წარსული ცხოვრება.

სხვაგვარი შეხედულება აქვს ნოზაძე განჯელს; მისი პერსონაჟი, ბრძენი ბოზორგომიდი, ამბობს, რომ გარდაცვლილი საიქიოში ვერაფერს მოიგონებს სააქაო ცხოვრებაზე.

გ. ა.

771. ვ. ნოზაძე

გახეთქა ლალი, გათლილი, ანდამატისა კვერითა („კავკასიონი“, XI, გვ. 95-97).

მკვლევარი ბეჭდავს დამატებით მასალას ალმასის (ანდამატის) შესახებ და სათურად გატანილ ტაევს (1342,3) ასე განმარტავს: „აქ ლალი არის ავთანდილის ღაწვები, ლოყები, რომელნი გათლილი იყვნენ ანდამატისა კვერითა, ანუ ალმასითო და ახლა იგი თავის ხელებს, ალმასის კვერის შესადარს, ლოყებს ურტყამს და ტეხსო! მასასადამე, ამ პოეტური შედარებით აღიარებული არის, რომ ლალს თლიდნენ, ტეხდნენ „ანდამატისა კვერითა“.

ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ ანდამატის მნიშვნელობა კარგად არის გარკვეული თ. ბატონიშვილის წიგნში „განმარტება ვეფხისტყაოსნისა“. ინჟინერი ბ. თაბუკაშვილი ამ წიგნს რომ გაცნობოდა, აღარ დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ ანდამატი მართო ფოლადს და მაგნიტს (რკინის მიმზიდველ ნივთიერებას) ნიშნავსო.

ვ. ნოზაძე მიუთითებს: „დიამანტი – ალმასის სახელი ბერძნულად არის „ადამას“, რაც წარმომდგარია სიტყვისაგან „ადამასო“ და მისი მნიშვნელობა არის: მაგარი, მტკიცე, გაუტეხელი.“ ალმასი ისეთი ძვირფასი და ძვირი იყო, რომ მისგან გაკეთებული კვერი და ურო არ არსებობდა, მაგრამ ხის ან ფოლადის კვერში ჩარჭობილი ნატეხი ალმასისა იხმარებოდა თვალთა პატიოსანთა გათლა-გამშვენიერებისათვის. რუსთაველიც ამას გულისხმობს „ანდამატის კვერში“.

მკვლევრის აზრით, შუა საუკუნეებში, ლათინურ ენაში ანდამატმა შეიძინა მაგნიტის მნიშვნელობაც და მას ეწოდებოდა „ლაპის ადამანტუს“ (მიმზიდველი ქვა).

გ. ა.

772. ვ. ნოზაძე

ათასი თვალის, ნაშობი რომანულისა დედისა („კავკასიონი“, XI, გვ. 100-102).

ავტორი აღნიშნავს, რომ ხელნაწერთა უმეტესობაში იკითხება: რომანულისა (ან რომაულისა) **დედლისა**. მისი განმარტება მოცემული აქვს თ. ბატონიშვილს. ვ. ნოზაძეს მისი დამადასტურებელი მასალა უძებნია, მაგრამ, როგორც წერს, „რომანული დედა“ თუ „დედალი“ მაინც არსად ჩანს.

მკვლევრის თქმით, მარგალიტის წარმომშობელნი არიან: სპილო (მარგალიტი იბადება მისი შუბლის კოპიდან), გარეული ღორის ეშვი, ნიჟარა, თევზი, გველი, ლოკოკინა – ზუმილი და ბამბუკი. ერთ-ერთ ფრანგულ წიგნში მოთხრობილია უცნაური ამბავი: მარგალიტს რომ მეტი ბრწყინვალება მიეცეს, ამ მიზნით მას დედალს (ქათამს) გადააყლაპებენ და შემდეგ, სკინტლთან ერთად გამოსული მარგალიტი ბრწყინვალე და გაახლებული არისო. მაგრამ აქ ნახსენებია კუნძულ სეილონის ქათამი და არა „რომანული“. მკვლევრის აზრით, „რომანული დედლის“ თვალისა თუ მარგალიტის ამბავი კიდევ მიუკვლეველია. **გ. ა.**

773. ვ. ნოზაძე

შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა („კავკასიონი“, XI, გვ. 106-108).

მკვლევარი წერს, რომ 958-ე სტროფი („მო, ზუალო...“) მას განხილული აქვს „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველებაში“ (გვ. 95), მაგრამ მაშინ არ მიუქცევია ყურადღება, თუ რატომ არის ვირი აქ ნახსენები ზუალთან ერთად. ახლა დამატებით წერს, რომ ასტროლოგიური სწავლის მიხედვით, ყოველ პლანეტას მიეკუთვნება ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა ჯგუფი. **ზუალს** (სატურნუსს, კრონოსს) ეკუთვნიან: გველეშაპი, გველი, კურდღელი, თაგვი, კატა, ვირი, ღამის ფრინველნი და სხვ. ზუალი უბედურების, ტანჯვის მომტანი ვარსკვლავია. იგი ყოველთვის შავად ჩანს. რუსთაველი ზუსტად ახასიათებს მის ნიშან-თვისებებს და მისგან მოტანილ კაეშანსაც ვირის მძიმე ტვირთს ადარებს. **გ. ა.**

774. ვ. ნოზაძე

იტყვის: ჰე, მზეო... („კავკასიონი“, XI, გვ. 111-112).

მკვლევარი აკრიტიკებს გ. ჯიბლაძის წერილს „რუსთაველის მხატვრული დიადემა“ („მნათობი“, 1965, № 12), აღნიშნავს, რომ გ. ჯიბლაძე განიხილავს, მზის საკითხსაც, რომელიც მე დაწვრილებით გავარჩიე წიგნში „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“ და რომლითაც გ. ნადირაძემ უხვად ისარგებლა ამ წიგნის მოუხსენებლად. გ. ნადირაძის წიგნზე დაყრდნობით აკად. გ. ჯიბლაძე ავთანდილის ლოცვაში მნათობთა რიგს ჩამოთვლის და დაასკვნის, რომ „მზეს მინიჭებული აქვს ისეთი რანგი, რომელიც მას ღვთაებასთან ათანაბრებს“ და „რუსთაველის მზე – ღვთაებრივი შარავანდედით მოსილი მზეა, რომელსაც ყველა ციური მნათობი ყოველ წამს ემორჩილება“-ო.

ვ. ნოზაძის აზრით, „აქ ავტორი ერთმანეთში ურევს მზის მნიშვნელობას რელიგიურ ფილოსოფიაში და ასტროლოგიაში. რუსთაველთან მზე არის ხატი ღმერთისა.

ეს არის რელიგიურ-ფილოსოფიური დებულება. ხოლო მზეს რომ ყველა მნათობი ემორჩილება – ეს არის ასტროლოგიური დებადი“. გ. ჯიბლაძე „ვეფხისტყაოსანში“ ჰელიოცენტრიზმის თეორიის ცოდნას ხედავს, მაგრამ მისი დასკვნა გაუგებრობის შედეგია, – წერს ვ. ნოზაძე. **გ. ა.**

775. ვ. ნოზაძე

კაცი არ ყველა სწორია, დიდი მეს კაცით კაცამდის („კავკ.“, XI, გვ. 114-116).

მკვლევარი განიხილავს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ 952-ე სტროფში გამოთქმულ აფორიზმზე: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი მეს კაცით კაცამდის“. შ. ნუცუბიძე არკვევს, რომ სიტყვა **დიდი** არეოპაგელის თხზულებაში ღმერთის სახელია. ეს ცნება უდრისო როგორც ღმერთს, ისე უმაღლეს სიკეთეს, სინათლეს, საგსეობას... ამ დებულებაზე მსჯელობდა შ. ნუცუბიძე წერილში „სიკეთე განაწილებული კაცთა შორის“ („დროშა“, 1965, № 12). მისი აზრით „დიდი“ უნდა ითარგმნოს როგორც „სიკეთე“, განაწილებული კაცთა შორის, „მისი დატევენების“ მიხედვით.

ვ. ნოზაძე მიუთითებს, რომ სიტყვა „დიდი“ არ არის რელიგიური ცნება და ამ ლექსის განმარტება გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს. სადავო სტრიქონი კაცის გარკვეული ღირებულების, ღირსების დებულებას შეიცავს. სწორად აქვს ინგლისურად თარგმნილი მ. უორდროპს რომ: „კაცნი არ არიან ყველანი თანასწორნი; არის დიდი განსხვავება კაცსა და კაცს შორის“. აქ მოცემულია განსხვავება ფიზიკური და ზნეობრივი – კაცთა შორის და არეოპაგელის „დიდი“ აქ მოსატანი არ არის. **გ. ა.**

776. ვ. ნოზაძე

მიპარვით მოკალ სასიძო („კავკასიონი“, XI, გვ. 116-118).

მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს ვ. აბაშმაძის წერილს („მნათ.“, 1966, № 1), აღნიშნავს, რომ მცდარია მისი მოსაზრება, თითქოს „რუსთაველი მთლიანად თანაუგრძნობს ნესტანსა და ტარიელს და სამართლიანად თვლის მათ მოქმედებას, მიმართულს ხვარაზმმას შვილისადმი“. ვ. აბაშმაძის აზრით, რუსთაველს სამართლის ნორმების დარღვევად არ მიაჩნია ტარიელისა და ნესტანის მოქმედება, ვინაიდან ნესტანსა და ტარიელს ერთნაირი უფლება აქვთო სამეფო ტახტზე.

ვ. ნოზაძის მიხედვით, ეს „ერთნაირი უფლება“ გამოიგონა ნესტანმა, სასიძოს მკვლევლობა რომ დაესაბუთებინა. ტარიელს ტახტზე კანონიერი უფლება არ ჰქონია. ეს უდანაშაულო კაცის განზრახ მოკლევლობაა. ვ. აბაშმაძე კი წერს: „ხვარაზმმას შვილი ბრალის მქონეა მისი მოქმედება ბრალს შეიცავს და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს“. ასეთ მსჯელობას ვ. ნოზაძე უსაფუძვლო „მიდმოდებას“ უწოდებს. **გ. ა.**

777. ვ. ნოზაძე

წიგნსაცა აგრე სწერია („კავკასიონი“, XI, გვ. 118-120).

მკვლევარი მსჯელობს ივ. ლოლაშვილის წიგნზე „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“ (თბ., 1961წ.), სადაც შოთა რუსთაველს მიეწერება

ისტორიული ქრონიკის – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორობა. ვ. ნოზაძის თქმით, საამისოდ ივ. ლოლაშვილს ერთადერთი საბუთი აქვს: ანტონ კათალიკოსი თავის „ქართულ გრამატიკაში“ მოტანილი ნიმუშის ავტორად რუსთაველს ასახელებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ნიმუში მოტანილია სხვა ქრონიკიდან – „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“, რომლის ავტორია ბასილ ეზოსმოდღვარი. ამ წინააღმდეგობას ივ. ლოლაშვილი გადაძწერის შეცდომით ხსნის, მაგრამ მისი მსჯელობა დამაჯერებელი არაა.

ვ. ნოზაძე მართებულად თვლის ნ. ნათაძის გამოხმაურებას („მნათობი“, 1966, № 2), რომელიც აჩვენებს ივ. ლოლაშვილის დასკვნების უსაფუძვლობას.

ვ. ნოზაძე ახსენებს ივ. ლოლაშვილის სხვა ნაშრომსაც – „რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოდწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის შესახებ“ (თბ., 1965წ.) და აღნიშნავს, რომ ამ წიგნში გამოთქმული დებულებებიც ვარაუდის, ალბათობისა და მარჩიელობის რიგს განეკუთვნება. **გ. ა.**

778. ვ. ნოზაძე

ქალმან მისცა მარგალიტი („კავკასიონი“, XI, გვ. 120–122).

ავტორი ეხმაურება ნ. ნათაძის წერილს: „ვეფხისტყაოსანი და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი“ („მნათობი“, 1966, № 3) და არ იზიარებს მის ძირითად დებულებებს. მკვლევარი არასწორად თვლის სატრფიალო, სააშვიკო ურთიერთობის რეალისტურად ასახვის მიჩნევას „რუსთაველის ჰუმანიზმის“ გამოვლინებად. მისი თქმით, „სასახლის კარზე და დიდკაცთა კარზე იყო სიძვაც და მრუშობაც, თავისუფალი არშიყობაც სეფექლებთან, მაგრამ ამას „ჰუმანიზმთან“ კავშირი არა აქვს. ამ მხრივ გარკვევით უნდა ვთქვა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არავითარი „რანდული ფლირტი“ არ არსებობს. აქ ვეცნობით უბრალო მრუშობასა და სიძვას, რაც ყველა ქვეყანაში არსებობდა... და რასაც „ვეფხისტყაოსანი“ არ იწონებს, ან ზოგ შემთხვევაში, აუცილებლობით ამართლებს“... **გ. ა.**

779. ვ. ნოზაძე

დანტე – რუსთაველი
(700 – 800 წლისთავი)

ჟურ. „კავკასიონი“; წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 109-111.

ნარკვევს აქვს ქვესათაური: „მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“. სადაც, მკვლევრის აზრით, გამოთქმულია რუსთაველის შეხედულება ღმერთზე და მასთან ადამიანის ურთიერთობაზე.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნეში დანტე ალეგჰიერს ჰკიცხავდნენ, როგორც კათოლიკობის მამაგებელს ვითარცა პაპის წინააღმდეგ მებრძოლს; მას სწამებდნენ კაბალისტობას, ჰერეტიკოსობას და ეკლესიიდან მის გამევეებას მოითხოვდნენ.

დანტე ალეგჰიერის დაბადების 700 წლისთავზე ფლორენციაში ხუთასმა დიდმა სასულიერო პირმა მოიყარა თავი... სანტა გროჩეს ბაზილიკაში ფლორენციის არქივისკოპოსმა წირვა გადაიხადა და დანტეს საპატივცემოდ ხოტბა ბრძანა. შემდეგ წაი-

კითხეს მსოფლიოს კათოლიკეთა უმაღლესი სულიერი მამის, რომის პაპის, პავლე მე-ექვსეს სიტყვა და მის მიერ მიძღვნილი ოქროთი დამზადებული დაფნის გვირგვინი დაასვენეს ბაპტისტერიუმში, სადაც შვიდასი წლის წინათ დანტე მოინათლა...

ვ. ნოზაძე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ შოთას იუბილეს დღეებში **თბილისში, სიონის ტაძარში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი არ შეასრულებს რუსთაველის მოსახსენებელ წირვას.**

მკვლევარი მსჯელობს ღვთაების რაობაზე, მის დახასიათებაზე, რომელიც იდენტურია დანტესა და რუსთაველის თხზულებებში. რუსთაველის „უთქმელი“ (სტრ. 1250) და „უცნაური და უთქმელი“ (სტრ. 809) არის დანტეს „უთქმელი“ („ინფაბლ“) – ღმერთი. დანტე ამბობს: ღმერთის „უთქმელმა“ განგებამ კაცს დაუსახა ორ საბოლოო მიზანს მისდიოს; პირველი არის სააქაო სიცოცხლის ნეტარება; მეორე არის: ნეტარება მარადიული და ეს არის ღმერთის ხილვით დატკობობა. ჩვენ სულს იგი წარმოუდგენია ციურ სამოთხედ. მას ჩვენ მივალწევთ სწავლით და მოვიპოვებთ თეოლოგიურ სათნოებათა მიხედვით; ესენია: სარწმუნოება, სასოება და წყალობა.

მკვლევარი წერს: „კაცისა და ღმერთის ურთიერთობა პოემაში გარჩეული მაქვს წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. 790-ე სტროფში („რათგან თავია სიც-რუე...“) ავთანდილი ამბობს: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ **მწყობრთა მწყობისა**“. ქრისტიანული თვალსაზრისით, ღმერთი არის **მწყობი მწყობრთა**, მწყობი ყოვლადი მსოფლიოსი. ავთანდილის თქმით, შეერთება ღმერთთან დასაბუთებულია მხოლოდ ზნეობრივი კანონით, სჯულისა და ზნეობრივ მოვალეობათა აღსრულებით.

ვ. ნოზაძის დასკვნით, ცხადია, რომ რუსთაველსა და დანტეს არსებითად ერთ-ნაირი გაგება აქვთ ღმერთთან კაცის ურთიერთობის შესახებ. **გ. ა.**

780. ვ. ნოზაძე

ტკბილ-ქართული

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, (გვ. 127-1280).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტერმინი „ქართული“ რუსთაველის მიერ მისი ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობით არაა გამოყენებული. „ვეფხისტყაოსანში“ ვეცნობით მუსლიმანურ ქვეყნებს, წესით აქ არაბულად უნდა იყოს საუბარი. ა. შანიძე ამ სიტყვას ლექსიკონში ასე განმარტავს: „ქართული“ (14,2; 14,3), გადატანითი მნიშვნელობით – სიტყვა. ტკბილ-ქართული (710,1) – ტკბილად მოუბარი“.

ასეთ განმარტებას უფრო დამაჯერებელს ხდის დანტე ალეგჰიერის მიერ ცნება „ლათინის“ ხმარება, რომელშიც იგი „იტალიელს“ ან „იტალიურს“ გულისხმობს. დანტე ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობითაც იყენებს: „სამოთხეში“ (ქება, 142-144) ის ამბობს: „ილ დისკრეტო ლატინო“, რაც ქართულად ნიშნავს: „მისი სიტყვა აღსავსე პატივით“. სხვაგან კიდევ (34; 36) წერს: „კონ პრესისო ლატინ“, რაც ნიშნავს: „გარკვეული ენით“. სხვა მწერალიც, გიომ აკვიტანელი (XI-XII სს.), „ლათინურს“ იყენებს ზოგადად – ენის, მეტყველების მნიშვნელობით.

ეს მაგალითები ადასტურებს სიტყვა „ქართულის“ ა. შანიძისეულ განმარტებას.

გ. ა.

781. ვ. ნოზაძე

**შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“,
ნაწილი პირველი, ტექსტი აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ,
პარიზი, 1963.**

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 124-125.

როგორც ავტორი წერს, დიდი შრომა დასჭირდა მ. წერეთელს, რათა თავის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დაემზადებინა. მისთვის მიუწვდომელი იყო პოემის ხელნაწერები და მუშაობის დროს საკუთარ ინტუიციასა და გემოვნებას ემყარებოდა. ამიტომ მისი მეთოდი ტექსტის დადგენისა არის სუბიექტური და არამეცნიერული.

მ. წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში დაბეჭდა მხოლოდ 1224 სტროფი, ანუ მან პოემიდან გააძევა 445 სტროფი (1937 წლის გამოცემასთან შედარებით). ასეთი პირადული მოსაზრებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდა შეუძლებელია, – დაასკვნის ვ. ნოზაძე. **გ. ა.**

782. ვ. ნოზაძე

**ლეილა თაქთაქიშვილი – ურუშაძე, „მარჯორი უორდროპი“
(თბ., 1965 წ.).**

ჟურ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 126-127.

რეცენზიაში დადებითად არის შეფასებული დასახელებული წიგნი. აღნიშნულია, რომ მასში სრულყოფილად არის გადმოცემული მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი საქმიანობა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ქართული მწერლობის მიმართ. მ. უორდროპმა ინგლისშივე დაიწყო ქართული ენის შესწავლა, გადათარგმნა და დაბეჭდა ქართული ზღაპრების კრებული, 1894 წელს კი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მან თარგმნა „წმიდა ნინოს ცხოვრება“, ი. ჭაჭავაძის „განდეგილი“ და „მგზავრის წერილები“, 1891 წლიდან კი დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა და თარგმნა.

ვ. ნოზაძე ეთანხმება წიგნის ავტორის მაღალ შეფასებას „ვეფხისტყაოსნის“ მ. უორდროპისეული თარგმანის მიმართ და თავის მხრივ დასძენს, რომ ამ თარგმანის ხარისხი თავისი ღირსებით ჯერ არც ერთი სხვა მთარგმნელის მიერ მიღწეული არ არის. **გ. ა.**

783. Иосиф Нонешвили

Гимн жизни – через века

ჟურ.: „Литературная Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 19-21; „Советская женщина“, 1966, № 9, გვ. 23

წერილის ავტორი საუბრობს შოთა რუსთაველის მიმართ გამოვლენილ სიყვარულზე და ამის მიზეზად მიაჩნია პოემაში ჩაქსოვილი სიბრძნე, უმაღლესი ადამიანური იდეალების ქადაგება, სურვილი თითოეული ადამიანის სრულქმნილებისა, პოეტის მცდელობა – გააღვივოს თითოეული ქართველის სულში ღირსებით აღსავსე პიროვნება, კეთილშობილური სურვილებითა და მისწრაფებებით. **თ. ხ.**

784. ვლადიმერ ნორაკიძე

„ვეფხისტყაოსანში“ „ცნობა“ სიტყვის მნიშვნელობის საკითხისათვის

გაზ. „ლიტერატურული. საქართველო“, 1966, 18 თებ., გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი მკვეთრად განასხვავებს გონებას, სიბრძნეს და ცნობას. „ცნობა“ მისთვის თვითონ ცოდნას, გამოცდილებას კი არ გულისხმობს, არამედ ნათელ და საღ სულიერ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს შეუძლია ორიენტაცია სხვადასხვა პირობებში, გააჩნია საღი განსჯის შესაძლებლობა.

ავტორი იმოწმებს პროკლე დიადოხოსისა და ნემესიოს ემესელის პეტრიწისეულ თარგმანებს და მათთან შეპირისპირებით განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ ცნება-ტერმინებს: გონება, გონიერი, ბრძენი, ბრძნობა; ცნობა, ცნობიერი, უცნობო, ცნობა-შმაგი.

გ. ა.

785. ვლ. ნორაკიძე

ტარიელის „ველად გაჭრის“ პრელუდია „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 146-155.

ავტორი წერს: „ტარიელის, როგორც მხატვრული პერსონაჟის, როგორც ტიპი, სწორი გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტიკულ სიტუაციებში, მწვავე კოლიზიებში მისი ქცევისა და განცდის ლიტერატურულ – ფსიქოლოგიურ ანალიზს“. იგი ვრცლად განიხილავს ტარიელის სულიერ მდგომარეობას მისი გამიჯნურების შემდეგ ველად გაჭრამდე, კერძოდ, მის ქცევას ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებულ თათბირზე და ნესტანის ძებნის ეპიზოდებს.

ავტორის აზრით, „მაღალი ჰარმონიისკენ შეუკავებელი სწრაფვით შეპყრობილი ტარიელი შეუდრეკლად იბრძვის შესაფერთან (ნესტანთან) შესახვედრად. იგი მაქსიმალურად ამჟღავნებს ყველა ადამიანურ ძალას ამ სწრაფვის სარეალიზაციოდ“. (გვ. 154.).

„ტარიელი, მისი პირველი გამიჯნურების შემდეგ ველად გაჭრამდე ყველა მძაფრ კოლიზიაში წარმოგვიდგება არა როგორც დაუკმაყოფილებელ განცდათა კომპლექსებს, აფექტებს აყოლილი, „გრძნობის ლოგიკით“ მოქმედი ადამიანი, არამედ დაუძლეველი, ამამაღლებელი სიყვარულის პათოსით შეპყრობილი და გონიერი მოტივების ნიადაგზე მოქმედი, თავისთავს დაუფლებული, სულით ჯანსაღი ადამიანი“ (გვ. 155.).

გ. ა.

786. С. Норян

Поэма „Витязь в тигровой шкуре“ и армянский художник

გაზ. „Коммунист“, 1966, 5 აგვისტო, № 182, გვ. 4.

ავტორის ცნობით, მხატვარმა გეორგ ბაშინჯალიანმა, რომელიც ორიგინალში კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, შექმნა რამდენიმე სურათი პოემის სიუჟეტზე. ამ სურათების ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია. ჟურნალ-გაზეთებში შემორჩა რეცენზიები მათ შესახებ. ავტორი გვაცნობს ნაწყვეტებს ამ წერილებიდან.

გ. ბაშინჯადიანს ქართულ ენაზე დაუწერია მოთხრობა „ახირებული მასპინძე-ლი“, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი რუსთაველის პოემის გმირია. **ლ. კ.**

787. შალვა ნუცუბიძე

მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 5, გვ. 97-107.

მკვლევარი წერს, რომ 1665-ე სტროფი „დასასრულში“ თავის ადგილზე არაა. მისი შინაარსი – „გასრულდა მათი ამბავი..., გარდახდეს, განვლეს სოფელი“ – გულისხმობს გმირების თავგადასავალს ცხოვრების დასასრულამდე. ამიტომ ეს სტროფი უნდა იყოს იქ, სადაც მას ხელნაწერთა გადამწერები ათავსებენ, ანუ 2121-ე ნომრად.

ავტორის აზრით, მის ადგილზე, ანუ 1665-ე ნომრად უნდა გადატანილ იქნას „დასაწყისის“ მეორე სტროფი – „ჰე, ღმერთო, ერთო...“ ამ სტროფის მესამე სტრიქონში – „მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიდმდე გასატანისა“ დამახინჯებულია დაწერილობა, რის გამოც მისი შინაარსი არასწორად არის გაგებული; უნდა იკითხებოდეს ასე: „**მომეც სურვილი მიჯნურთა სიკვდიდმდე გასატანისა**“. მკვლევარი ფიქრობს, რომ სიტყვა „სურვილი“ აქ გამოყენებულია ძალის, უნარის მნიშვნელობით და სტრიქონის შინაარსი ესაა: რუსთველი ევედრება ღმერთს, რათა პოეტს მისცეს ძალა, ანუ უნარი – მიჰყვეს თავის გმირებს „მიჯნურთა სიკვდიდმდე“. რუსთველის მიზანი იყო, პოემის სიუჟეტი მიეყვანა გმირთა სიკვდილამდე.

შ. ნუცუბიძის აზრით, ამის აუცილებლობა თვით ნაწარმოებში ჩანს: 562-ე სტროფში მეფე ფარსადანი მიმართავს ტარიელს: „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე...“ „ამ განცხადებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქორწინებათა შემდეგ პოემის შინაარსის გაგრძელებას სწორედ ამ მხრივ უნდა ველოდეთ“. (გვ. 104.).

მკვლევრის დასკვნით, ამ სიუჟეტურ ჩარჩოში უნდა დადგინდეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. მასში ზოგი რამ მართლაც ყალბია, მაგ., ინდო-ხატაელთა ამბის ზოგიერთი პასაჟი, ავთანდილის მესამე ანდერძი და სხვ. მისივე თქმით, პოემის ტექსტს „ფილოლოგიური წაკითხვის გარდა, პოეტური წაკითხვა უნდა და ამ ორი გზის შედეგი მიგვაახლოებს „ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტექსტთან“ (გვ. 106.).

გ. ა.

788. შ. ნუცუბიძე

რუსთაველი და მსოფლიო კულტურა

ჟურ. „საქართველოს ქალი“, 1966, № 9, გვ. 4-6.

ავტორის აზრით, აუცილებელია რუსთაველის შემოქმედების ადგილის განსაზღვრა მსოფლიო კულტურაში. პირველ რიგში აქ იგულისხმება რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროების დადგენა. ამის საჭიროებაზე საუბრობენ: მწერალი ალ. ტოლსტოი, აკად. კონრადი (რუსეთი), ჰაიმ ვარდი (ებრაელი მეცნიერი), რენე ლაკოტი (ფრანგი მწერალი).

შ. ნუცუბიძე მსჯელობს „სიბრძნისა“ და „სიკეთის“ ცნებებზე და მათი რუსთველისეული გააზრების საფუძვლად პეტრე იბერის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) თხზულებას „საღმრთოთა სახელთათვის“ მიიჩნევს.

როგორც მკვლევარი წერს, „ალექსეი ტოლსტოიმ რუსთაველის განუმეორებელ ხელოვნებასა და ნააზრევში დაინახა მთელი შნო შორს გატყორცნილ გზაზე მავალი კულტურული კაცობრიობის უმაღლეს ღირებულებათა. ამან ათქმევინა ავტორს, რომ იმ დროს, როცა დასავლეთში იყო სიბნელე საშუალო საუკუნეთა, რუსთაველმა დაანთო ჩირაღდანი აღმოსავლეთის რენესანსისაო. ამით, ცხადია, მიგნებულია რუსთაველის ადგილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში“. შ. ნუცუბიძის აზრით, რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეზე უფრო დასაბუთდება და განმტკიცდება ეს თვალსაზრისი.

გ. ა.

789. III. Нуцубидзе

Миросозерцание Руставели

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 5, გვ. 90-92.

ავტორი ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობრივ საკითხებს. ცდილობს რუსთაველის აზროვნებასა და შემოქმედებას შორის არსებული კავშირის დადგენასა და წარმოჩენას. მიმოიხილავს ეზრას, პეტრე იბერის შესახებ არსებულ ცნობებს და ცდილობს დაადგინოს რამდენად მიემართება მათი ნააზრევი რუსთაველის შემოქმედებას. გამოტანილია დასკვნა, რომ დანტეზე ერთი საუკუნით ადრე, ეყრდნობოდა რა დიდი ქართველი მოაზროვნის პეტრე იბერის შეხედულებებს, რუსთაველმა გაიზიარა სულიერი ამაღლების იდეა და შესაძლებლად ჩათვალა ადამიანის მიახლება მარადიულ ნათელთან.

თ. ბ.

790. III. Нуцувидзе

Великий гуманист

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 30 სექტ., № 230, გვ. 2.

მეცნიერის თქმით, რუსთაველი თავისი ჰუმანური იდეებით – მეგობრობის, თანასწორობისა და სიყვარულის შესახებ – ეხმაურება მის თანამედროვეებს. ამიტომაც საინტერესოდ მიაჩნია სოციალური იდეების წარმოშობისა და განვითარების გამოკვლევა პოემაში. მკვლევარი გამოყოფს სოციალური დამოკიდებულების სამ მომენტს „ვეფხისტყაოსანში“:

1. ბატონების ურთიერთობა თავიანთ პირად მონებთან (ასმათი, შერმადინი);

2. დამოკიდებულება ზოგადად გლახაკებისა და მონებისადმი;

3. სოციალურ-პოლიტიკური წყობა ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის სამფლობელოებში, მათი საბოლოო გამარჯვების შემდეგ. მხედველობაში აქვს სტროფი: „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მიათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს“...

როგორც ავტორი შენიშნავს, პოემა არ არის სოციალურ-ეკონომიკური ტრაქტატი და მასში იდეები გამოხატულია მხატვრულად. თანაც რუსთაველის სოციალური იდეალი (მისი გამოხატვის ხერხი და საშუალება) განსხვავებულია და უნდა განსხვავდებოდეს კიდევ თანამედროვე იდეალისაგან. მაგრამ მთავარია, რომ იგი არსებობს და ახლობელი და გასაგებია ჩვენთვის.

ავტორი პარალელს ავლებს პეტრარკას შემოქმედებასთან.

ლ. კ.

791. შალვა ნუცუბიძე

არეოპაგიტიკის წყაროები

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 6, გვ. 151-163.

ავტორის ღრმა რწმენით, რუსთაველის შემოქმედების იდეოლოგიური ძირის გარკვევისთვის პეტრე იბერის (ფსევდო დიონისეს) ნააზრევს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მსჯელობა იშლება ორი ძირითადი საკითხის ირგვლივ:

1. არსებობს თუ არა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის გარდა სხვა გზა, წმინდა ლიტურატურულ-დოკუმენტური, რაც არეოპაგიტიკის ჩასახვა-განვითარებაზე მიუთითებს?

ავტორის აზრით, V საუკუნეში პროკლეს „კავშირნი თეოლოგიურნის“, როგორც წარმართული ნაწარმოების, ქრისტოლოგიური ფილოსოფიისთვის გადასაკეთებლად საჭირო შეიქნა ორი მოაზროვნე: იოანე ლაზი (იეროთეოზი, პეტრე იბერის მასწავლებელი) და პეტრე იბერი, რომელთაც ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა მიიღეს, გადაამუშავეს და არეოპაგიტიკული ნაშრომები შექმნეს. შუამავალი პროკლესა და პეტრე იბერს შორის იყო იოანე ლაზი.

2. არსებობს თუ არა V ს-დან XII ს-მდე საშუალება იმის ჩვენებისა, თუ როგორ ვითარდებოდა იდეური კავშირი პეტრე იბერსა და რუსთაველს შორის?

ამ საკითხზე მსჯელობას შ. ნუცუბიძე შემდეგ დასკვნამდე მიჰყავს: რუსთაველი, იოანე პეტრიწით გაშუალებული პეტრე იბერის შეხედულებათა რენესანსის ნიადაგზე იდგა და ქვეყნის „გაკეთილებას“ ღვთაებისკენ დიალექტიკური გზით სვლაში ხედავდა, სადაც „საზღვრის დასაზღვრება“ უკვდავი ღმერთისკენ სავალი გზა იყო. ამ გზაზე ოცნებობს ნესტან-დარეჯანი („მომცეს ფრთენი და ავფრინდე...“). ამ ფილოსოფიური წვდომით არის გასაგები რუსთაველური სახეები „მზე დაუვალი“, „ულამო ღამე“ და მისთანანი.

ლ. კ.

792. შ. ნუცუბიძე

აზრი და საუკუნე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტემბერი, № 221, გვ. 2.

ავტორი ეხება რუსთაველის რენესანსულ იდეებს, პეტრე იბერის (არეოპაგიტიკის) ზოგიერთი შეხედულების ასახვას „ვეფხისტყაოსანში“ და დანტესა და შექსპირთან მათ მიმართებას. „არეოპაგიტიკის იდეები, – წერს იგი, – როგორც ადამიანის ამალღების მქადაგებელი, საფუძვლად დაედო რუსთაველის აზროვნებასა და შემოქმედებას, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა პეტრე იბერის ფილოსოფიური იდეების მხოლოდ გადამღერებას... მან თავისი პოეტური თვალთ შეხედა პეტრე იბერის ნააზრევს და განავითარა იგი“.

ერთი ასეთთაგანი სიახლე, მისი აზრით, იყო სიბრძნისა და შემოქმედების მთლიანობის იდეა, რომლის გადასაწყვეტად რუსთაველისათვის წინამორბედნი იყვნენ ჰომეროსი, იოანე პეტრიწი და გრიგოლ ჩახრუხამე. კერძოდ, რუსთაველმა პოეტიკაში „ადვილად შეითვისა პეტრიწის მიერ შემუშავებული ქართულ ხალხურ კონტრაპუნქტზე აგებული ჰარმონია „სამთა ფერთა“, რასაც იოანე პეტრიწის მუსიკალურ თეორიაში ეწოდებოდა „მზახრა“ (მოძახილი), „ჟირ“ (მეორე ხმა) და „ბამ“ (ბანი)...“.

წერილში საგანგებო მსჯელობაა სიკეთისა („კარგის“) და ბოროტის (არაკარგის) ურთიერთმიმართებაზე: „ბოროტს არა აქვს მიზეზი – ამბობდა პეტრე იბერი და ამიტომ ის არც არსებობს“. შ. ნუცუბიძის აზრით, „რუსთაველმა არ მიიღო ეს თეორია, რადგან იგი ადამიანის ბრძოლას სიკეთისათვის აზრს უკარგავდა“. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი განიხილავს მანიქეველებისა და ავგუსტინეს შეხედულებებს და მასვე უკავშირებს რუსთაველისეულ სხვა საკითხებს – „საზღვრისა და უსაზღვრების“, „ბნელისა“ და „ნათლის“ გაგებას. მკვლევარი პირველის შესახებ წერს: „რუსთაველი ვერ შეეწყო არეოპაგიტის ცალმხრივ მოძღვრებას მარტოოდენ სიკეთის ყოფნის შესახებ. რუსთაველისათვის საკითხი იდგა არა მარტო ყოფნის, არამედ „ყოფნა-არყოფნის“ შესახებ, რაც ნეგატიური დიალექტიკის დასაყრდენი იყო, რადგან მას არა მარტო „საზღვრული“ აინტერესებდა.., არამედ მის მოხსენაზე აგებული „უსაზღვრული“.

მეორეზე ასე მსჯელობს: „ქართულმა გენიამ პეტრე იბერის სახით თავის წიგნში „საიდუმლო თეოლოგია“ ბნელი უზენაესი სინათლის შესავლად აღიარა, და აქ იყო, ბეატრიქემ, რომელიც წარმართ ვერგილიუსის მაგიერ დანტეს მეგზურად შეენაცვლა, გააფრთხილა იგი, რომ სიბნელეს უზესთაესი სინათლე მოჰყვება და თვალი შეაჩვიოს მის სახილველად. ბნელი და ნათელი არეოპაგიტისეულ აზროვნებაში იგივე იყო, რაც ბოროტი და კეთილი და აქაც იყო ერთგვარი მითითება სინათლის მიერ ბნელის დაძლევიტ რაღაც წარმატების მიღწევაზე“.

დასასრულს, რეალიზმზე მსჯელობისას, მკვლევარი პარალელს ავლებს დანტესა და შექსპირთან: „არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სალიტერატურო შემოქმედების მეთოდს ეხება. ეს არის რეალიზმის პრობლემა, რომელიც შექსპირული რენესანსის დასაყრდენს წარმოადგენს. თუ რუსთაველი უფრო რეალისტი იყო, ვიდრე დანტე, ეს მიმართება უცვლელი დარჩა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, რადგან დანტე ბოლომდე დამორბეული იყო რეალიზმს, შექსპირის მიმართ მდგომარეობა კი სხვაგვარია... შექსპირმა რუსთაველთან შედარებით ოთხასი წლის შემდეგ გამოავლინა მისი გმირების სულიერი ტრაგიზმის გადმოსაცემად ხალასი ლიტერატურული რეალიზმი“.

სტატიაში შ. ნუცუბიძე იმოწმებს ლაკოტის, შიმანსკის, კონრადის, ვარდის, არაგონის, ჰუპერტისა და სხვათა ნააზრევს. **ბ. დ.**

793. ჯეიმს ოლდრიჯი

რუსთაველი – უმშვენირესი ადამიანი

გაზ. „ლიტერ. გაზეთა“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 4;

კრებ. „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 400-401.

ავტორი წერს, რომ რუსთაველმა თავის პოემაში გამოხატა მისი დროის განათლებული ქართველების შეხედულებები. ნაწარმოები ჩვენს დროშიც არ კარგავს აქტუალობას. როგორც ადამიანი და მწერალი შოთა ოცნებობდა ჰარმონიულ საზოგადოებრივ წყობილებაზე, მას სწყუროდა სამართლიანობის ზეიმი, უმღეროდა სიყვარულს, მამაცობას და ადამიანთა მეგობრობას. მისი გმირები სულაც არ არიან იდეალურნი, მაგრამ ისინი გაბედულად მოქმედებენ ყველაზე მაღალი მიზნების სახელით.

შოთა იყო თავისი ძნელი დროის საუკეთესო ადამიანი, ამიტომაც არის ძვირფასი ჩვენთვის მისი ეპიკური პოემა. **გ. ა.**

794. ჯეიმს ოლდრიჯი

ღვაწლი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტემბერი, № 221, გვ. 3; ჟურ. „Огонек“, 1966, № 38, გვ. 14-15.

ავტორი რუსთაველს შესავალში ასე მოიხსენიებს: „შოთა რუსთაველი, ქართული ლიტერატურის მზე, მთვარე და დიდი ვარსკვლავი“. შემდეგ საუბრობს მარჯორი უორდროპზე – როგორ აღიზარდა და დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნით“ და როგორია მისი თარგმანი.

ავტორის გამონათქვამებიდან აღსანიშნავია შემდეგი: „მე ჩემი თეორია მაქვს რუსთაველის ესთეტიკურ შეხედულებათა და მისი რაინდული მორალის წყაროზე, რომელიც განსხვავდება ყველას (მათ შორის ჩემი ქართველი მეგობრების) თეორიებისაგან, მაგრამ მას შემოვიწინებ მომავალ დღესასწაულებამდე თბილისში, სადაც უფრო მოხერხებული იქნება მისი გადმოცემა“.

„სწორი არ იქნება მიგვეჩნია, რომ მარჯორი სკოტ უორდროპის თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ ფართოდ არის ცნობილი დასავლეთში, იგი თითქმის არ არის ცნობილი...“.

„რუსთაველი მოხსენიებული არ არის არც ერთ ამერიკულ და ინგლისურ ენციკლოპედიაში... ჩვენი ინტელიგენცია კვლავ ვერ იცნობს რუსთაველს ვერც როგორც პოეტს და ვერც როგორც ფილოსოფოსს, თუმცა ჩვენი მეცნიერები კარგად იცნობენ და ოქსფორდში ახლა პოეტს გაცილებით უფრო სერიოზულად ეკიდებიან, ვიდრე ოდესმე წინათ“.

„მარჯორი უორდროპის თარგმანმა ინგლისურ ენაში ხიდები გადო სხვადასხვა ენათა, სხვადასხვა კულტურათა, სხვადასხვა ეპოქათა საზღვრებზე. მარჯორი უორდროპს რუსთაველი ცოცხლად მოჰყავს ჩვენამდე“.

ბ. დ.

795. შერმადინ ონიანი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნართაული სტროფის შესახებ

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 318-338.

ავტორი წარმოადგენს თავის მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე დართული სტროფის („პირველი თავი დასაწყისი“...) შესახებ. მისი აზრით:

1. სტროფი მიზნად ისახავს პოემის შეფასებას ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით. ამ მხრივ ის წმინდა რუსთაველოლოგიური სტროფია და ამით განსხვავდება „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ნართაული სტროფებისაგან.

2. სტროფი დაწერილი უნდა იყოს XIII-XIV საუკუნეებში, მისი ავტორი უცნობია. სავარაუდოდ, იგი მაღალი თანამდებობის სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო.

3. საინტერესოა ნართაული სტროფის ავტორის შეხედულება, რომელიც უმთავრესად ემყარება პოემის პრო-ლოგს. მისი აზრით „ვეფხისტყაოსანი“ საერო ნაწარმოებია და არა სასულიერო; მასში არ მოიხსენიება ქრისტიანული სამება. რუსთ-

ველის მიხედვით, არსი მხოლოდ ხორციელად არსებულია და არ არის გათვალისწინებული არსის უმაღლესი ფორმა – უხორცო არსებანი, ანგელოზები. ამით ის უპირისპირდება ქრისტიანულ თეოლოგიას. „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი „სპარსულად არის ნათქვამი“ იმას ნიშნავს, რომ ის თავისი შედგენილობით და თეორიული შეხედულებით ჰგავს სპარსული ეპიკურ თხზულებათა პროლოგებს. „სპარსული“: აქ პირობითი ტერმინია და არ აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს.

4. ნართაული სტროფი უთუოდ საინტერესოა და მნიშვნელოვანი. ის არის პირველი ლაკონური რუსთველოლოგიური შენიშვნა. პოემის კვლევის ისტორია შეიძლება დავიწყოთ ამ სტროფით, XIII-XIV საუკუნეებით და არა 1712 წლით – მეფე ვახტანგ VI-ის კომენტარებით. სტროფი საყურადღებოა დაცემის ხანის ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისითაც. **ლ. კ.**

796. ნატალია ორლოვსკაია

ცნობები რუსთაველზე ინგლისურ ენციკლოპედიებში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 14 ოქტ., № 42, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ პირველი ცნობები შოთა რუსთაველზე ინგლისურ ენაზე მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში რიჩარდ მორფილისა და ოლივერ უორდროპის ნაშრომებში გამოჩნდა. იგი ნახსენებია ენციკლოპედია „ბრიტანიკაში“ (ტ. X, 1879 წ.), თუმცა არასწორად, – „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად მითითებულია XI საუკუნე. ეს შეცდომა მეორდება „ბრიტანიკის“ შემდგომ გამოცემებშიც.

ჩემბერსის ენციკლოპედიის V ტომში (1930 წ.) არის საქართველოსადმი მიძღვნილი სტატია, სადაც მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე დახასიათება.

კასსელის ლიტერატურულ ენციკლოპედიაში (ტ. II) შეტანილია ცალკე სტატია რუსთაველზე. მისი ავტორი დ. ლანგი წერს რუსთაველის მოღვაწეობის ხანაზე, პოემის ქართულ და ინგლისურ გამოცემებზე. **გ. ა.**

797. Н. Орловская

«Вепхисткаосани» в английской литературе

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 3;

ჟურ. „Лит. Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 188-191.

საუბარია მარჯორი უორდროპის თარგმანზე, რომელმაც პირველმა გააცნო ინგლისელ ხალხს „ვეფხისტყაოსანი“.

წერილი მკითხველს აცნობს იმ დროის ერთ-ერთ გამოჩენილ და ავტორიტეტულ მეცნიერს უილიამ რიჩარდ მორფილს, რომელმაც გაიცნო პოემა, მოინახულა საქართველო და არაერთი საინტერესო წერილით ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ თავდადებულ პროპაგანდისტად იქცა.

წერილში მიმოხილულია ქართველი ხალხის კიდევ ერთი მეგობრის – ოლივერ უორდროპის მოღვაწეობა, მისი წიგნი „საქართველოს სამეფო“, ასევე ალენის, დევიდ ლანგის, მორის ბოურას დვაწლი ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

თ. ხ.

798. [ი. ორბელი]

უკვდავი წიგნი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 222, გვ. 3.

სომხურ ენაზე გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა. თარგმანი გეორგ ასატურისა. წიგნს ახლავს აკად. იოსებ ორბელის ვრცელი სტატია. წინამდებარე წერილში დაბეჭდილია რამდენიმე ნაწყვეტი ორბელის წერილიდან (პოემის დაწერის ეპოქაზე, პერსონალურ დახასიათებაზე, ლექსწყობაზე). ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ მთელი საბჭოთა ხალხის საკუთრებად მიიჩნევს. **ი. წ.**

799. პეტრე პავლენკო

ჩვენი რუსთაველი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220, გვ. 3.

ავტორის თქმით, სოციალიზმმა არა მარტო შეგვადუღაბა, ერთმანეთთან ურთიერთობის წყურვილი, ერთმანეთთან სიახლოვის უშრეტი მოთხოვნილება აღგვიძრა. „რომელ რუსს მიაჩნია ქართველი რუსთაველი ან უკრაინელი შევჩენკო მხოლოდ უცხოელებად, თუნდაც დიდებულ უცხოელებად? ჩვენში ბავშვი სკოლის სკამიდანვე შეიწოვს მოძმე მუზეუმის მომხიბლაობას, მათ ისტორიას, მდიდრდება მათით, როგორც იმ სიცოცხლის წვენიტ, რომელიც სამართლიანად მარტო მას ეკუთვნის. და როცა ვისმენთ პუშკინს შუა აზიის ოაზისებში ან რუსთაველს არქტიკაში, რომელი ჩვენგანი იტყვის – ეს ჩემი პუშკინია, ჩემი რუსთაველია? ეს ჩემი როდია, ეს ჩვენია“.

გ. ა.

800. გ. პაიჭაძე, რ. მიმინოშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და თამარის დრო

ქურ. „ცისკარი“, 1966, № 11, გვ. 109-122.

ავტორების აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ შექმნილია იმ დროს, როდესაც თამარის მემკვიდრეობის კანონიერების საკითხს დაცვა სჭირდებოდა სამეფო ტახტის სხვა მადიებელთაგან. 1189-90 წლები ამ მხრივ შედარებით მშვიდობიანი ხანა იყო. ავტორების ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის აუცილებლობა უნდა დამდგარიყო 1191-1193 წლებში. ქართული სინამდვილიდან ისტორიული რეალიების ასახვა პოემაში განაპირობა თამარის ქორწინებასთან დაკავშირებულმა ბრძოლამ. ავტორები ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი საქმითაც მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. ხოლო პოემის თვალსაჩინო პოლიტიკურმა შინაარსმა აუცილებელი გახადა მისი სიუჟეტის გაუცხოება („ეს ამბავი სპარსული“...).

გ. ა.

801. აკაკი პაპავა

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 129-134.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ უდიდეს მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ქართველი ხალხის ზნეობრივ-ესთეტიკური თვალსაზრი-

სის ჩამოყალიბებაში. „ქართველი ხალხისათვის ლხინსაც კი ურუსთაველოდ შნო არ ჰქონდაო“, – იმოწმებს ი. ჯავახიშვილს მკვლევარი და აღნიშნავს: მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ არაჩვეულებრივი გავრცელებისა, ავტორის ვინაობა და მისი ცხოვრება ბურუსით იყო მოცული.

ა. პაპავა გადმოსცემს პ. ინგოროყვას შრომების ძირითად დებულებებს რუსთაველის წარმომავლობისა და მოღვაწეობის შესახებ და ეთანხმება მათ. **გ. ა.**

802. ალ. პაპავა

„ვეფხისტყაოსნის“ ცხოველთა სამყარო

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966, თბ., 1966, 44 გვ.

წიგნაკის მოკლე წინასიტყვაობაში ავტორი ადარებს „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ ცხოველთა სახეობას „ილიადაში“ მოხსენიებულთ. ყოველი ცხოველის დახასიათებისას ავტორს მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ტაეპი. დასახელებულია: ლომი, ვეფხი, ჯიქი, ავაზა, მგელი, მელა, ყარყუმი, ირემი, შველი, აქლემი, ქურციკი ანუ ჯიერანი, კანჯარი, ვეშაპი; შინაური: თხა, ცხვარი, ძროხა, ცხენი, ვირი, ჯორი, ძაღლი; ფრინველები: არწივი, ქორი, შავარდენი, გავაზი, იადონი, ბულბული, დურაჯი, კაკაბი, გნოლი, მტრედი, გვრიტ-ჩიტი, იხვი, რუხი ბატი, ბუ, ყვავი, ყორანი; ქვემძრომნი: გველი, ასპიტი, ნიანგი.

დასასრულ, ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „ნადირი“ გვხვდება 16-ჯერ, „მხეცი“ 21-ჯერ, „მხეც-ქმნილი“ კი 4-ჯერ და შენიშნავს, რომ „ნადირად“ რუსთაველი თვლის იმ გარეულ ძუძუმწოვარს, რომლის ხორცს ადამიანი ჭამს (გვ.43.). **მხეცად** პოეტი თვლის გარეულ მტაცებელ ძუძუმწოვართ (ლომი, ვეფხი, ჯიქი, მელა). „მხეცი“ ძლიერები არიან ნადირებთან შედარებით“ (გვ. 44.).

ავტორის დასკვნით, „ნადირი“ და „მხეცი“ სხვადასხვა გაგებით არის გამოყენებული“, და ქართულ ლექსიკონებში „ნადირს“ და „მხეცს“ სინონიმებად რომ თვლიან, სწორი არაა. **გ. ი.**

803. ც. პაპიაშვილი

მუსიკალური საკრავები „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 6, გვ. 19-24.

შოთა რუსთაველს თავის პოემაში თითქმის ყველა ჯგუფის საკრავები აქვს ნახსენები. ესენია: სიმებიან-გამოსაკრავი (ანუ მოზიდვითი): ბარბითი, ებანი, ჩანგი, ჩაღანა; ჩასაბერი საკრავები: ბუკი, ნა; საჩხარუნებელი და ჟღარუნები: ეჟვანი, წინწილა; დასარტყამი საკრავები: დაბდაბი, დაბდაბნობი, დაფი, ნობა, ტაბლაკი, ქოსი.

ყოველ ამ საკრავს თავისი დანიშნულება ჰქონდა; სახელდობრ, ერთი ნაწილი ლხინისათვის იყო განკუთვნილი, მეორე – ჭირისათვის, ზოგი – ომში და ზოგი – ნადირობისას იხმარებოდა. ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულ ყველა საკრავს ჯგუფების მიხედვით. **ი. კ.**

804. ლ. პარკაძე

რუსთაველი და ქართული მწერლობა

გაზ. „ახალი ცხოვრება“, (საჩხერე), 1966, 26 ივლ., № 87, გვ. 3.

წერილში ზოგადად გადმოცემულია ქართული მწერლობის საუკეთესო წამომადგენლების დამოკიდებულება რუსთაველისადმი. ავტორი წერს: XV–XVIII საუკუნეების ქართველი პოეტები შოთა რუსთაველს მიმართავდნენ, როგორც შთაგონების წყაროს, როგორც პოეტური კულტურისა და ფაქიზი მხატვრული გემოვნების უზენაეს კანონმდებელს... XIX საუკუნის ქართველი მწერლები ცდილობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი, მასში მოცემული გმირობა და რაინდობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში ჩაეყენებინათ. XX საუკუნის მწერლობიდან დასახელებულია რუსთაველისადმი მიძღვნილი ი. გრიშაშვილის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ი. აბაშიძის ლექსები.

გ. ა.

805. გერტრუდ პეჩი

ჰუმანიზმის გმირული სიმღერა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 21 სექტ., № 215, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენაზე თარგმნის პრობლემებს, რომელთაც განაპირობებს გარკვეული ხარვეზები არტურ ლაისტისა და ჰუგო ჰუპერტის გერმანულ თარგმანებში. იგი საუბრობს რუსთაველის თხზულების ჰუმანურ იდეებსა და მსოფლმხვევლობაზე. მისი თქმით, „გერმანელ მკითხველს რუსთაველის კითხვისას ჰუმანისტი უღრბ ფონ ჰუტენი (1488-1523) გაახსენდება, რომელიც იბრძოდა გონების დამონების წინააღმდეგ და ადამიანს ასწავლიდა ამაყად დაყრდნობას საკუთარ მორალურ ძალაზე“.

გ. ა.

806. ფრანსისკო პოლოანე (ჩილე)

[რუსთაველი]

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი, № 43, გვ. 3.

რუსთაველის იუბილეში მონაწილეობით კმაყოფილი მწერალი ამბობს: „ჩემთვის შოთა რუსთაველი და მისი პოემა ნიმუშია იმისა, თუ როგორი უკვდავია პოეზია... ეს არის ჰუმანიზმი, რომელიც აკეთილშობილებს როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე მთელ კაცობრიობას“.

თ. ნ.

807. ხოსე ანტონიო პორტუონდო

**სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წლის 28 სექტემბერს**

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 210–211.

კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი ხ. ა. პორტუონდო ესპანურ ენაზე მიესალმება ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს, ულოცავს რუსთაველის 800 წლის იუბილეს.

მისი თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მეგობრობა და მათი ბრძოლა სიკეთის დამკვიდრებისათვის მისაბამი და გამამხნეველია ყველასათვის, ვინც ამჟამად ებრძვის იმპერიალიზმის უსამართლობას ვიეტნამსა და კორეაში, სან-დომინგოსა და კონგოში, პერუსა და ვენესუელაში. გ. ა.

808. ბ. ა. პორტუნდო

[სიამოვნებით ვკითხულობთ]

გაზ.: „ლიტ. საქ.“, 1966, 21 ოქტ., № 43, გვ. 3; „Вечерний Тбилиси“, 1966, 26 სექტ., № 226, გვ. 2.

სტუმარი კმაყოფილებას გამოხატავს რუსთაველის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის გამო და, კერძოდ, შემდეგს წერს: „ჩვენ არა მარტო სიამოვნებით, არამედ დიდი ყურადღებით ვკითხულობთ რუსთაველის პოემას, და აი რატომ: ამ პოემაში თავმოყრილია მსოფლიოს გონიერება, ეს არის ადამიანის ნიჭის ნათელი გამოსხივება, და მეორე – ჩვენ ბევრ რამეს ვპოულობთ საერთოს „ვეფხისტყაოსანსა“ და ესპანურ ლიტერატურას შორის. ეს ლიტერატურა კი ამერიკის კონტინენტის მრავალი ერის მწერლობის დედაა“. გ. ა.

809. ვ. ჟირმუნსკი

სიტყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წლის 28 სექტემბერს

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 208–209.

აკად. ვ. ჟირმუნსკი ლაპარაკობს პეტერბურგ – ლენინგრადისა და ქართველი მეცნიერების ასწლოვან მეგობრობასა და თანამშრომლობაზე. კონკრეტულად საუბრობს ნ. მარის ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის დასაწყისის და დასასრულის სტროფები“. აღნიშნავს, რომ ამ გამოკვლევის წერისას ნ. მარი ეყრდნობოდა ვლ. შიშმარიოვის ნაშრომებს დასავლეთ ევროპის რაინდული შუასაუკუნეების შესახებ. თავისი გამოკვლევით ნ. მარმა პირველმა აჩვენა, რომ ქართული ლიტერატურა მონაწილეობდა საერთო საკაცობრიო კულტურულ და ლიტერატურულ პროცესში.

ვ. ჟირმუნსკის სიტყვით, შოთა რუსთაველი – მსოფლიო მნიშვნელობის სახელია და ამიტომ ეს ზეიმი არა მხოლოდ ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის ზეიმი. გ. ა.

810. რ. ჟორდანია, ლ. ფრუიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ფრინველები

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ.ს სახელმ. მუზეუმი, XIV სამეცნ. სესია, თბ., 1966, გვ. 14.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, სხვა ცხოველებთან ერთად, ვხვდებით ფრინველთა სახელწოდებებსაც, ამასთან, სიტყვა **ფრინველი** (ჩიტი, სირი) ნახსენებია 9-ჯერ, ხოლო ცალკეული სახის ფრინველი სულ 56-ჯერ.

სულ „ვეფხისტყაოსანში“, გარდა ფრინველთა ზოგადი სახელწოდებებისა (მფრინველი, ჩიტი, სირი), ნახსენებია 16 სახის ფრინველი: არწივი, ბატი, ბუ, ბულ-

ბული (იადონი), გავაზი, გნოლი, დურაჯი, იხვი, კაკაბი, კატა, ორბი, ტრედი, ქორი, ყვავი, ყორანი, შავარდენი. ამათგან **კატა** (ახლებურად გვრიტჩიტა), როგორც ფრინველი, აღნიშნული აქვს ვ. ნოზაძეს (1957), ხოლო **იხვი** გამორჩენილია „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“ (1956).

აღნიშნული 16 ფრინველი თანამედროვე სისტემატიკის საფუძველზე ერთიანდება 7 რიგში. ყოფნის ხასიათის მიხედვით აქ შემდეგი სურათია: მობინადრეა (ე. ი. მუდმივმაცხოვრებელია) – 11 სახე, მობუდარი გადამფრენია – 3 სახე, შემომფრენია – 1 სახე, მიმომფრენისა გვხვდება – 1 სახე.

ამრიგად, ფრინველთა უმრავლესობა (14, 16-დან) ჩვენში მობინადრე-მობუდარია; რის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია საქართველოში გავრცელებული ფრინველები.

811. ბესარიონ ჟღენტი

უკვდავი წინაპარი და ცოცხალი თანამედროვე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 2; ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 54-69, სათაურით: „გენიოსი საკაცობრიო პოეზიისა“; „Заря Востока“ 1966, 25 სექტ., № 221, გვ. 2.

წერილის ავტორი საუბრობს შოთა რუსთაველის შემოქმედების ადგილსა და მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურისა და საერთოდ შუასაუკუნეების აზროვნების ისტორიაში, განიხილავს მის თემატიკურ-იდეურ მოტივებს და აღნიშნავს, რომ „თავისი ეპოქის მსოფლიო პოეზიაში რუსთაველმა პირველმა დააყენა შემოქმედებითი ინტერესების ცენტრში ადამიანი თავისი მიწიერი, ამქვეყნიური ვნებებითა და გრძნობებით, ამაღლებული, კეთილშობილური იდეალებით... გმირობისა და ვაჟკაცობის ცნებები „ვეფხისტყაოსანში“ გულისხმობს არა მარტო, ან არა იმდენად ადამიანის ფიზიკურ ძალოვანებას, რამდენადაც სულიერ ძლიერებას, ქედუხრელობას, ხასიათის, გონების, ნებისყოფის შეურიგებელ სიმტკიცეს, რაც ყოველთვის დაკავშირებულია სიკეთესა და სამართლიანობასთან, ნათელ მორალურ მისწრაფებებთან“.

ავტორის თქმით მონობისა და ტირანიის, უთანასწორობის უფსკრულით ადამიანთა გათიშულობის საუკუნეში რუსთაველი გამოდიოდა სოციალური სამართლიანობისა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის აპოლოგეტად.

როგორც ავტორი წერს, ჩვენს თანამედროვეობასთან, ჩვენი ხალხის სულისკვეთებასთან „ვეფხისტყაოსანს“, პირველ ყოვლისა, მასში გამოხატული თავისუფლებისმოყვარეობის სული, ბოროტზე კეთილის გარდაუვალი გამარჯვების ურყევი რწმენა, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება აახლოვებს და ანათესავებს. **გ. ა.**

812. ბ. ჟღენტი

რუსთაველი საქართველოა

გაზ.: „თბილისი“, 1966, 3 სექტ., № 207, გვ. 3; „წინსვლა“ (სამტრედი), 1966, 10 სექტ., № 107, გვ. 3; „Молодеж Грузии“, 1966, 3 სექტ., გვ. 4; „დროშა“ (წყალტუბო), 1966, 13 სექტ., № 109, გვ. 3.

წერილი შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგად მიმოხილვას და მისი მნიშვნელობის შეფასებას ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში. ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა უეჭველს ხდის მისი ავტორის ღრმა და ფართო გან-

სწავლულობას. იგი იცნობდა ჰომეროსსა და ანტიკურ ფილოსოფიას. ამასთან ერთად რუსთაველი დაკავშირებული იყო არაბულ და სპარსულ პოეზიასთან. „ვეფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია თავისუფალი აზროვნების, ადამიანის სულიერი სიდიადის მოტივებით. პოემის გმირები თავდადებითა და ძლევამოსილად იბრძვიან დედამიწაზე ადამიანის ბედნიერებისათვის, ცხოვრებაში ბოროტებისა და უსამართლობის შემუსრვისათვის.

გ. ა.

813. დიერდ რადო (ბუდაპეშტი)

მიხაი ზიჩის სამშობლოში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 5.

ავტორი გადმოგვცემს, რომ უნგრეთში მიმდინარეობს რუსთაველის საიუბილეო მზადება, გაიხსნა გამოფენები, იმართება ლიტერატურული საღამოები. შემდეგ საუბრობს პოემის ბელა ვიკარისა და შანდორ ვერეშის თარგმანებზე, უნგრეთში დაბეჭდილ ქართველოლოგიურ ნაშრომებზე.

ბ. დ.

814. ნ. რამიშვილი

პიროვნების ჰარმონიულობის საკითხი

„ვეფხისტყაოსანში“

ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმ. პედ. ინსტ. შრომები, XXIX, 1966, გვ. 147-160.

ავტორი საკითხს განიხილავს ძირითადად მთავარი გმირის, ტარიელის, მაგალითზე. პიროვნების ჰარმონიულობის მაჩვენებლად თვლის შემდეგ ნიშნებს:

1. ადამიანის მაღალი შინაგანი კულტურა, 2. ფართო, მეცნიერული განათლება, 3. გარეგნული მშვენიერება, 4. სამართლიანობა და მიზანდასახულობა.

პიროვნება მთლიანობაში, ჰარმონიაში, არ არის გაქვავებული არსება. იგი განვითარებაში, დინამიკაშია მოცემული, სრულყოფადია და პერსპექტიული. პიროვნების სრულყოფის მეტად დიდი შესაძლებლობები მდგომარეობს მის განუწყვეტელ სწრაფვაში მაღალი იდეალებისაკენ, „ზესთ მწყობრთა წყობისაკენ“.

გ. ა.

815. მაია რაფავა

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის გაგებისათვის

კ. კვეციანიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. VIII სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1966, გვ. 9;

აგრ. კრებულში – „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 109-122.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ცნების გაგებისათვის საჭიროა იოანე დამასკელის ნაშრომის „წყარო ცოდნისაჲს“, როგორც ქრისტიანულ-თეოლოგიური საფუძვლის გათვალისწინება. ეს ცნებებია: „უჟამო ჟამი“, „უსახო სახე“. „წყარო ცოდნისაჲს“ გათვალისწინებით აშკარა ხდება, რომ ეს ცნებები ქრისტიანული თეოლოგიიდან არის აღებული. „უჟამო ჟამი“ და „უსახო სახე“ საპირისპირო ცნებებს მოიცავს. ეს პრედიკატები შეუძლებელია მიეწეროს სამებას; ისინი არის სამების ერთი წევრის, კერძოდ, ქრისტე ღმერთის ეპითეტები. „ერთარსება ერთი“- სათვის ავ-

ტორს მისაღებად მიაჩნია ვახტანგ VI-ის განმარტება, რომლის მიხედვით, „ერთარსება ერთი“ ნიშნავს სამების წევრთაგან ერთს, ანუ ქრისტე ღმერთს.

„ბუნებაზიარი“. ეს ცნება ზოგად ქრისტიანულია. იგი ნიშნავს ღმერთთან ზიარს (ვ. ნოზაძე). „წყარო ცოდნისა“ და სხვა ქრისტიანული ძეგლები იძლევა ამ ცნების უფრო კონკრეტულ ახსნას: „ბუნებაზიარი“ – ქრისტე ღმერთთან ზიარი. **„ბუნებაზიარი“** „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს სრულყოფილს. **ლ. კ.**

816. შოთა რევიშვილი

საქართველო და რუსთაველი უახლეს გერმანულ ცნობარებში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 თებ., № 6, გვ. 2.

ავტორის შენიშვნით, ქართული ლიტერატურა და რუსთაველი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იჭერს კუთვნილ ადგილს გერმანულ ლექსიკოგრაფიაში. 1950 წელს შვეიცარიაში გამოცემულ „მცირე ლიტერატურულ ლექსიკონში“ რუსთაველი ვერაა წარმოდგენილი როგორც ფეოდალური საქართველოს კულტურის მწვერვალი, არაფერია ნათქვამი რუსთაველის ფილოსოფიაზე და საკმაოდ გაღარიბებულია „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული მხარე; არაა გაშუქებული მისი ქართული და მსოფლიო ლიტერატურული ღირებულება და მნიშვნელობა.

ბევრად უკეთესია მდგომარეობა დასავლეთ გერმანიაში გამოცემულ „დიდი ბროკჰაუზის“ მეათე ტომში, რომელშიაც რუსთაველი დახასიათებულია, როგორც ეროვნული საგმირო ეპოსის შემქმნელი (1956 წ.). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1963 წელს გამოცემულ „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონში“ რუსთაველი წარმოდგენილია რენესანსული იდეებით გამსჭვალულ ეროვნულ პოეტად. ასევე კარგადაა რუსთაველი დახასიათებული „მაიერის ახალ ლექსიკონსა“ და „მაიერის ჯიბის ლექსიკონში“ (1965 წ.), რომელშიაც „ქართველ ჰომეროსსა“ და მის პოემას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი და ისიცაა აღნიშნული, რომ „რუსთაველი იცავს საქართველოს ერთიანობასა და დამოუკიდებლობას, უმღერის მეგობრობას, სილამაზეს და ჰარმონიას და თავისუფალია მისტიკისაგან. „ვეფხისტყაოსანი“ გამოირჩევა მდიდარი ენითა და ოსტატური სტილით“. **გ. ი.**

817. III. Ревиншвили

Великий памятник классического эпоса

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 3.

ავტორს მოჰყავს გერმანელი მწერლების, მკვლევარებისა და მთარგმნელების – ფრ. ბოდენშტედტის, მაქს პროსკოვეცის, გოტფრიდ მერცბახერის, არტურ ლაისტის, არტურ ზუტნერის, მილერ-ბუნდნიცაიას, ჰუგო ჰუპერტის და სხვების მოსაზრებები შოთა რუსთაველზე და შეფასებები მისი თხზულებისა, როგორც კლასიკური ეპოსის უდიდესი ძეგლისა; ისინი აღნიშნავენ „ვეფხისტყაოსნის“ იდეების საკაცობრიო მნიშვნელობასა და მისი ფორმის სრულყოფილებას, რუსთაველს უწოდებენ ქართველი ხალხის ეროვნულ გენიას. **გ. ა.**

818. სპ. რეხვიაშვილი

ტყვიაგში შექმნილი ქანდაკება

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 ივლისი, № 161, გვ. 2.

ავტორი გვაცნობს თვითნასწავლ მხატვარს შალვა მარადაშვილს, რომელსაც შეუქმნია „შოთა რუსთაველის ქანდაკება, ბარელიეფი შოთას გამოხატულებით, გამოკვეთილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის შთაგონებით და სხვ.“ რუსთაველის საიუბილეოდ შექმნა დიდი ტილო „შოთა რუსთაველი საერო ტანსაცმლით“. იქვეა ერთ-ერთი ნამუშევრის (ბარელიეფის) ფოტოსურათი. **ბ. დ.**

819. რასულ რზა

სალამი შენდა, დიდო შოთა!

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 38-39; გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 4.

ავტორი ჯერ საუბრობს ჭეშმარიტი ხელოვნების, პოეზიის მნიშვნელობასა და უკვდავებაზე და „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ღირსებას გამოყოფს: „გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის, ნაწარმოებებში, – წერს იგი, – ჩვენ ვხედავთ ადამიანთა ცხოვრების ენციკლოპედიას, ადამიანის არსში ჩაწვდომას...“ „შოთა რუსთაველი მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა, და ამავე დროს უაღრესად ეროვნული... მე მგონია, შოთა რუსთაველის, სიტყვის ოსტატისა და მოაზროვნის, ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ის, რომ იგი თავისი მშობლიური ხალხის პოეტი იყო, მთელი თავისი არსებით რომ ეხმაურებოდა თავისი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, მან ამავე დროს გააფართოვა პოეტური შემოქმედების ჰორიზონტი, შექმნა საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობის ნიმუში“. **ბ. დ.**

820. ს. რიგვაჯა

რუსთაველის იუბილეს კარიბჭესთან

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 8, გვ. 6-10.

ავტორი საუბრობს იმ სადღესასწაულო სამზადისზე, რომელიც მთელ ქვეყანაში გაიშალა რუსთაველის დღეებთან დაკავშირებით. სპეციალური პლენუმები მიემდგვნა საზეიმო სამზადისის მიმდინარეობის საკითხებს და დაისახა მრავალი ღონისძიება. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისადმი მიძღვნილი წერილები, გამოკვლევები, სტატიები, დაგეგმილია პოემის სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანების გამოცემა, მზადდება სპეციალური კრებული, რომელშიც შევა რუსთაველისადმი მიძღვნილი ქართველ მწერალთა პოეტური ნაწარმოებები უძველესი დროიდან დღემდე, ტარდება საღამოები, კითხულობენ მოხსენებებს, ეწყობა გამოფენები. გამოცხადდა ღია კონკურსი რუსთაველის სკულპტურულ ძეგლზე.

სახალხო ზეიმის დღეებში გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ სამი: საიუბილეო, პოპულარული და ე. წ. „ჯიბის“ გამოცემა. აღნიშნული გამოცემები გაფორმდება მამუკა თავაქარაშვილის, ს. ქობულაძისა და ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციებით.

საინტერესო ღონისძიებები იგეგმება ოპერისა და ბალეტის თეატრსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიაში, ჩატარდება ლექცია-მოსხენებები, მოეწყობა გამოფენები.

თ. ხ.

821. ს. რიჟინაშვილი

მოსკოვი ემზადება

გაზ. „თბილისი“, 1966, 19 სექტემბერი, № 220, გვ. 3.

ავტორი გვაუწყებს, რომ გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოუშვა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა ნ. ზაბოლოცკისეული თარგმანით. მას ერთვის ს. ქობულაძის ილუსტრაციები. გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურაც“ მალე გამოსცემს პოემას. გამოვა აგრეთვე ღია ბარათები.

სათაურით: „იშვიათი სამახსოვრო საჩუქარი“, „ლენინსკოე ზნამიამ“ დაბეჭდა საინტერესო ინფორმაცია, სადაც ნათქვამი, რომ მიკროგრაფიორმა ე. კაზარიანმა მამონტის კბილის ფირფიტაზე შექმნა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ქინძისთავის ზომისაა. მისი დანახვა შეიძლება მხოლოდ გამადიდებელი შუშით, რომელიც ამავე ფირფიტაზეა დამაგრებული და კომპოზიციის შემადგენელ დეტალს წარმოადგენს. მისი ცხოვრების ელვარებაში მხატვარმა წარმოსახა ვეფხის ტყავის მატარებელი ჭაბუკი. ეს იშვიათი სამახსოვრო საჩუქარი სომეხმა მხატვარმა ს. რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა.

ცენტრალურმა ტელევიზიამ ამ დღეებში მოაწყო შ. რუსთაველისადმი მიძღვნილი გადაცემა, სახელწოდებით: „შოთა რუსთაველი, მისი დრო და მისი გმირები“.

ი. წ.

822. ს. რიჟინაშვილი

ცნობები მოსკოვიდან

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 ნოემბ., № 45, გვ. 4.

ინფორმაცია: მოსკოვში გაიმართა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა მსოფლიოს ლიტერატურათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ა. პეტროსიანმა. მოხსენებებით გამოვიდნენ: აკად. ალ. ბარამიძე – „რუსთაველი და მისი პოემა“; ფილ. მეცნ. დოქტორი რ. სამარინი – „რუსთაველის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში“; კრიტიკოსი ბ. ჟდენტი – „რუსთაველი და თანამედროვეობა“; ვ. შადური – „რუსთაველი და რუსული ლიტერატურა“; ფილ. მეცნ. კანდიდატი ს. ცაიშვილი – „რუსთაველის ჰუმანიზმი“.

სიტყვით გამოვიდნენ: გ. აპრესიანი, კ. ზელინსკი, ვ. პერცოვი, ვ. არშარუნი.

ქართული პოეზიის დეკადის დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა ქართველ პოეტთა შეხვედრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. სადამო გახსნა მ. ლუკონინმა, რომელმაც ისაუბრა ქართული პოეზიის ტრადიციებზე. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბ. ჟდენტი. საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ა. მირცხულავამ, ა. გომიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, თ. ჯანგულაშვილმა, მ. ფორჩხიძემ.

ქართველ პოეტთა ლექსები რუსულად წაიკითხეს მსახიობებმა: ი. ლარიონოვმა და ი. რუსინოვმა. **თ. ხ.**

823. ს. რიჩინაშვილი

მომძე რესპუბლიკები ემზადებიან გაზ. „თბილისი“, 1966, 22 მარტი, № 67, გვ. 3.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტს მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოუთხოვრებენ დასახულ ღონისძიებებზე. **აზერბაიჯანელები** საგანგებოდ ემზადებიან. დასახულია მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა. გაიმართება საიუბილეო საღამო. აგვისტოსა და სექტემბერში შედგა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოების მოწყობის გეგმა. პროგრამა შედგენილია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების მიხედვით. კომპოზიტორები მუშაობენ რუსთაველის პოემის მოტივებზე სიმღერების შესაქმნელად. გაიმართება ლექციები, გამოფენები. საინტერესო ღონისძიებებია დასახული აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქიტექტურისა და ხელოვნების ინსტიტუტებში.

უზბეკეთიდან იტყობინებიან, რომ გაზეთ „უზბეკისტან მადანიათის“ განზრახული აქვს რუსთაველისადმი მიძღვნილი საინტერესო მასალების პუბლიკაცია. შემოიღებენ სპეციალურ რუბრიკებს, გამოაქვეყნებენ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“, გააშუქებენ იუბილესათვის მზადებას ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

საიუბილეოდ ემზადება **ლიტვის** რესპუბლიკა. დაისახა ღონისძიებათა მრავალფეროვანი გეგმა. გაიხსნება გამოფენები, მოეწყობა ლიტერატურული საღამოები.

„სოვეტსკაია ლიტერატურა“ დაბეჭდავს მასალებს საზღვარგარეთელი მკითხველისათვის. ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში სიყვარულით ემზადებიან დიდი შოთას იუბილესათვის. **ი. წ.**

824. ს. რიჩინაშვილი

უდიდესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში (პრესკონფერენცია საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის) გაზ. „თბილისი“, 1966, 15 სექტემბერი, № 217, გვ. 1.

14 სექტემბერს მოსკოვში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დარბაზში, მოეწყო რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. იგი გახსნა ვ. შევჩენკომ და შეკრებილებს წარუდგინა თბილისიდან ჩამოსული სტუმრები: ვ. სირაძე, გ. წერეთელი, საიუბილეო კომიტეტის წევრები: ნ. ტიხონოვი, ი. ანდრონიკოვი, გ. მდივანი, ი. ართმელაძე. სიტყვა წარმოთქვა გ. წერეთელმა, რომელმაც ისაუბრა შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაზე და მის ავტორზე, ქართველი ხალხის კულტურულ წარსულზე და დამსწრეებს გააცნო, თუ როგორ მიმდინარეობს საიუბილეო მზადება საქართველოში. სიტყვებით გამოვიდნენ ვ. სირაძე და ნ. ტიხონოვი, რომელმაც ილაპარაკა იუბილესათვის სამზადისზე მოსკოვში. პრესკონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს გამოსვლები და ბევრი შეკითხვა მისცეს მათ. დასასრულ, უჩვენეს დოკუმენტური ფილმი თბილისზე. **ი. წ.**

825. ს. რიჟინაშვილი

ზეიმი გრძელდება

გაზ. „თბილისი“, 1966, 7 ოქტომბერი, № 236, გვ. 3.

ინფორმაციაში საუბარია მოსკოვში მიმდინარე სამზადისზე რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის, აღნიშნულია, რომ საკავშირო რადიომოაწყო საინტერესო გადაცემა „შოთა რუსთაველი მუსიკაში“, დასახელებულია ჟურნალებში „რაბოტნიცასა“ და „ოკტიაბრში“ დაბეჭდილი მასალები რუსთაველისა და მისი შემოქმედების შესახებ.

გ. ა.

826. ე. რობაქიძე

ამეტყველებული ხე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 9 აგვისტო, № 93, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს თამაზ იაქაშვილის მხატვრობას, რომელმაც „ს. ქობულადის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ხეზე გადაიტანა“ და განზრახული აქვს რუსთაველის საიუბილეოდ „ხეზე ამეტყველოს საკუთარი კომპოზიცია“. იქვე დაბეჭდილია თ. იაქაშვილის მიერ ხეზე ამოწვით გადატანილი ს. ქობულადისეული სამი ილუსტრაცია.

ბ. დ.

827. В.с. Рождественский

[Слово Руставели]

გაზ. „Литературная газета“, 1966, 24 სექტემბერი, № 113, გვ. 2.

ავტორის თქმით, შოთა რუსთაველი სულიერი ღირებულებების მომღერალია. მკითხველს ხიბლავს გმირობის ამაღლებელი სურათები, ამაღლებული გრძნობები და ძლიერი განცდები.

ავტორი იგონებს, მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე მყოფ მეომრებს როგორ ამხნევებდა „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული აფორიზმები.

თ. ნ.

828. Л. Ростовцев

Творение Руставели принадлежит народу

გაზ. „Заря Востока“, 1966, 15 სექტემბერი, № 212, გვ. 1.

ავტორი იუწყება, რომ 1966 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა საკავშირო და რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტების პრეს-კონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ მწერლები, მეცნიერები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის: აკად. გ. წერეთელი, საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა საიუბილეო სამზადისის შესახებ. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ აღნიშნა, რომ საქართველო განსაკუთრებული მონდომებით ემზადება იუბილესთვის.

დასასრულ, კონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვებს.

თ. ნ.

829. არჩილ რუგოშელი [ტოტოჩავა]

ტკბილის სიტყვითა გავმართოთ

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 3, გვ. 122-131.

ნარკვევში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებულად მიჩნეულ წაკითხვათა გასწორებანი. ავტორი იძლევა 30-მდე სიტყვის ახალ წაკითხვას და აღნიშნავს, რომ შესწორებები დამყარებულია ხელნაწერებზე, ოღონდ კონკრეტულად იმ ხელნაწერებს არ უთითებს.

ავტორი იქვე გვთავაზობს სამ კონიექტურას: 187,4: „საქმენი დასაგვანანი“ უნდა გასწორდეს: „საქმენი დაუგვანანი“; 334: „მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა“ უნდა გასწორდეს: „მოვიდა დღე სიკვდილისა, ვიშისა“; 585: „გულსა ვუთხარ: ნუ მოჰკვდები არას გარგებს ცუდი წოლა“, უნდა გასწორდეს ასე: „...ცუდი ძრწოლა“.

გ. ა.

830. ა. რუგოშელი [ტოტოჩავა]

„გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 15 აპრილი, № 16, გვ. 2.

ავტორი IX საუკუნის ისტორიულ საბუთში მოხსენიებულ ადამიანის სახელს „ტარიკა“-ს უკავშირებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირის „ტარიელის“ სახელს, მიაჩნია, რომ იგი პოემის გმირის „ტარია“-ს კნინობითი ფორმის ვარიანტია და, შესაძლებელია, „ტარ“ (ტაროსი, ტარესე, დარ) თუმური „ცვარიელის“ (ბატონი ცვარიელი) მსგავსად, ღვთაების სახელწოდებიდან მომდინარე თეოფორიული სახელი იყოს.

ბ. დ.

831. ილია რურუა

პალესტინის სიძველეთა შორის

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 8 ივლ., № 28, გვ. 1-2; ჟურ. „მნათობი“, 1966, №9, 10.

ავტორი წერს, რომ საქართველოს ტელევიზიის კინემატოგრაფისტთა ჯგუფი გაემგზავრა პალესტინაში, რათა გადაეღოთ სრულმეტრაჟიანი ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“. ეს იქნებოდა ფილმი დიდი პოეტის დაკარგულ ბიოგრაფიაზე. მათ მონახულეს ქართველთა ჯვარის მონასტერი, სადაც რუსთაველის დაკარგული ფრესკა ხელახლად იქნა აღმოჩენილი და გაწმენდილი.

ავტორი ასახელებს ებრაელ მეცნიერებს – ზევ ვილნაის და ხაიმ ვარდის, რომელთაც შემოქმედებით ჯგუფს დიდი დახმარება გაუწიეს. ორმოცამდე ტაძრისა და სასტუმროსაგან, რომლებიც ადრე ქართველებს ეკუთვნოდათ, მხოლოდ მცირე ნაწილია გადარჩენილი. მათ შორისაა გოლგოთის ტაძარი, რომელიც ახლა კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის. მისი კედლები შეუღესავთ, რის გამოც ქართული წარწერები დაიკარგა. ასევე განადგურდა ქართულწარწერიანი მოზაიკა ნაზარეთში, რომელზედაც კათოლიკური ტაძარი დააშენეს. საბას ლავრაში (მკვდარ ზღვასთან) ინახება ძველი ხატები, რომელთაგან ზოგი შეიძლება ქართული იყოს.

ტელეჟურნალისტებმა იორდანიაში, სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში სომხურ ხელნაწერებში აღმოაჩინეს ქართული ხელნაწერების 30 ფურცელი. ისინი

ფირზე გადაიღეს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცეს. გ. ა.

832. შოთა რუსთველი

„ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი და ვარიანტები

ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1966. 534 გვ; ტექსტი დაადგინეს: ა. შანიძემ (მთავარი რედაქტორი), ალ. ბარამიძემ (რედაქტორი), ი. ლოლაშვილმა. ვარიანტები შეადგინა ც. კარბელაშვილმა.

პოემა მოიცავს 1598 სტროფს, სადაც ეპილოგის ორი სტროფი: 1596 („გასრულდა მათი ამბავი...“) და 1598 („ამირან დარეჯანის ძე...“), როგორც საექვონი, აწყობილია პეტიტით. სტროფთა ახალ სათვალავს ფრჩხილებში ახლავს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საიუბილეო (1937 წ.) და მისგან მომდინარე გამოცემათა (1951, 1953, 1957 წწ.) სტროფთა ნუმერაცია. სტროფებს სქოლიოში ერთვის პოემის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერთა და გამოცემათა ვარიანტები. თითოეულ სტროფს მითითებული აქვს ცნობები, რომელი ხელნაწერი არ იცნობს მას, რომელ ხელნაწერის დაზიანების გამო იგი აკლია, ან სტროფი მოიპოვება, მაგრამ დაზიანებულია.

ანოტაციაში მითითებულია, რომ „გამოცემა განზრახულია ორ ტომად. აქ წარმოდგენილ I ტომში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გაცხრილულია ჩანართ – დანართი შაირებისაგან და შოთასეული ტექსტის შერყვნილი სიტყვები და ფორმები შეძლებისამებრ გამართულია ავტორისდროინდელი სალიტერატურო ქართულის მიხედვით. ტექსტის დადგენისას გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი... ეს პირველი შემთხვევაა, რომ ფართოდ იყოს ნაჩვენები „ვეფხისტყაოსნის“ დადგენილი ტექსტების ხელნაწერთა ვარიანტები. მზამველ – გამგრძელებლების მიერ მერმე დამატებული შაირები (ვარიანტებითურთ) შევა II ტომში, რომელსაც დაერთვის ძნელად გასაგები ადგილების კომენტარი და ლექსიკონი“.

(მეორე ტომის გამოცემა აქამდე ვერ მოხერხდა).

წიგნს უძღვის ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის „წინასიტყვაობა“ (გვ. 07-08), სადაც აღნიშნულია, რომ ეს გამოცემა მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1962 წლის 20 ივნისის დადგენილებით.

შემდეგ მოცემულია ა. შანიძის „განმარტებითი ბარათი“ (გვ. 09-017), სადაც ნათქვამია, რომ „არსებული ტრადიციის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში ძველი ორთოგრაფია დღევანდელზეა გადმოყვანილი“. შემდეგ საუბარია, ტექსტის დადგენისას კომისიას რა მასალები ჰქონდა ხელთ და რა სიმწელებები შეხვდა. მითითებულია ისიც, რომ „კრიტიკულ აპარატში რედაქციამ გაითვალისწინა მხოლოდ მთავარი ვარიანტები, რომელთაც შინაარსისათვის აქვთ მნიშვნელობა, ხოლო უყურადღებოდ დატოვა უნებლიე შეცდომები“ (გვ. 015), რომ „ვარიანტებში არ შესულა ხელნაწერთა დიალექტური ფორმები“...“არ არის აღნიშნული არც რაე-დაკლებული სიტყვები ... და არც ევიან ზმნათა წყვეტილის იე – ივე ვარიანტები“ (გვ. 016) და სხვ.

შემდეგ მოდის ა. შანიძის შედგენილი „დათქმული ნიშნები და შემოკლებანი“ (გვ. 018-021), სადაც ჩამოთვლილია ტექსტის დადგენისას გამოყენებული და ვარიანტებში ასახული ხელნაწერები და გამოცემები, მათი ლიტერები და დათარიღება. მას მოსდევს დათქმულ ნიშანთა განმარტებანი.

დასაწყისშივე აღნიშნულია (გვ. 05), რომ გამოცემა ეძღვნება „დიდი ივანეს (ჯავახიშვილის – ბ. დ.) ძვირფას ხსოვნას შობიდან 90 წლისთავზე (1876-1966 წწ.)“.

ბ. დ.

833. შოთა რუსთაველი

„Витязь в тигровой шкуре“

Подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, перевод сверен с оригиналом, исправлен и отредактирован комиссией в составе: Ш. Апхаидзе, Л. Каландадзе, М. Заверина, А. Беставашвили. გამომცემლობა „Литერатура და ხელოვნება“, Тბ., 1966, გვ. 330.

ტექსტი შეიცავს 62 თავს, შესავალს, დასასრულს, მთლიანად – 1587 სტროფს.

ბოლოში ტექსტს ერთვის; „Краткий комментарий и словарь“ (გვ. 326–328), რომლის დასაწყისში მოკლედ დახასიათებულია რუსთაველის ლექსის თავისებურებანი, საზომის სქემა, წინადადების ლაკონიზმი, დახვეწილობა, პოეტურ საშუალებათა სიმდიდრე. **გ. ი.**

834. შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანი“

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე. ილუსტრაციები ლ. გუდიაშვილისა. „საბჭ. საქ.“, თბ., 1966, 320 გვ.

პოემის სტროფები დანომრილი არაა. ტექსტიდან ამოღებულია ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“. ბოლოში ერთვის განმარტებითი წერილი – „რედაქციისაგან“ (გ. წერეთლის ხელმოწერით), სადაც აღნიშნულია, რომ გამოცემას საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებული მასალები; ახსნილია ტექსტში შეტანილი ენობრივი გასწორებების მიზეზები და ზოგიერთი ტერმინისა და გამოთქმის მნიშვნელობა („დამმართოს ნები“, „ქმნას, რა ღონე აეგების“, „უქმნეს სადარნო“).

წიგნი დაიბეჭდა 30 000 ტირაჟით, ორნაირი გარეკანით: **1)** მაგარი ყდით, რომელზეც მოთავსებულია შოთა რუსთაველი ფერადი სურათი (ლ. გუდიაშვილის); **2)** რბილი, სადა თეთრი ყდით. **გ. ა.**

835. შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანი“

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავზე.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. წიგნის ბოლო გვერდზე აღნიშნულია, რომ „გამოცემას საფუძვლად დაედო საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწონებული, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებული ტექსტი, რომელშიც სარედაქციო კოლეგიამ შეიტანა მცირეოდენი ცვლილებები“. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966.

პოემის ტექსტი შეიცავს 1587 სტროფს. წიგნი დაიბეჭდა ორგვარი სტრუქტურითა და გაფორმებით: **1)** ს. ქობულაძის შავ-თეთრი ილუსტრაციებით (ჩართულია ტექსტში) და თ. სამსონაძისა და დ. ნოდის დეკორატიული გაფორმებით, 20 000

ტირაჟით, 304 გვ. 2) მ. თავაქარაშვილისეული ხელნაწერის ფერადი მინიატურებით და გ. ოჩიაურის დეკორატიული გაფორმებით, 25 000 ტირაჟით. ტექსტი – 9-296გვ. + 26გვ. მინიატურები (ერთვის ბოლოში). გ. ა.

836. შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანი“

მინიატურული ფორმატით (7 x 9), გამ. „განათლება“, 1966, 368 გვ., ტირაჟი 60 000.

პოემის სტროფები დაუნომრავია. ბოლოში ერთვის ანოტაცია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, სადაც გამომცემლობა გვაუწყებს: „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა იბეჭდება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწონებული ტექსტის მიხედვით, რომელიც გამოსაცემად მოამზადეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ.

წიგნის მხატვრული კაზმოლობისათვის გამოყენებულია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები. წიგნში ჩართული სერგო ქობულაძის ილუსტრაციები იბეჭდება 1937 წლის გამოცემიდან.

წიგნი მხატვრულად გააფორმეს ელგუჯა ბერძენიშვილმა და ზურაბ კაპანაძემ.

იმავე ფორმატითა და გაფორმებით დაიბეჭდა რუსულ ენაზე ნ. ზაბოლოცკის თარგმანი 40 000 ტირაჟით. გ. ა.

837. შოთა რუსთაველი

„ვეფხისტყაოსანი“

(ხუთ წიგნად)

გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1966. რედაქტორი – ნ. ნარმანია; რედაქტორი ბრაილით – თ. ჩიტაური.

ტექსტს უძღვის წერილი „გამომცემლობისაგან“, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინამდებარე გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „განათლების“ მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, რომლის ტექსტი მოამზადეს: გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა და გურამ კარტოზიამ. რედაქტორები – ირაკლი აბაშიძე და გიორგი წერეთელი.

ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ I წიგნი მოიცავს 128 გვერდს; II – 134 გვ., III – 114გვ., IV – 148გვ., V – 138გვ. ლ. კ.

838. Шота Руставели

Витязь в тигровой шкурі

კიევი, გამომცემლობა „Дніпро“, 1966, 336 გვ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი უკრაინულ ენაზე შესრულებულია მიკოლა ბაჟანის მიერ. პოემას უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი „Безсмерна поема“. ბოლოში დართული აქვს მცირე ლექსიკონი „Пояснення деяких слів, термінів, власних імен та географічних назв.“ ლ. კ.

839. შაგა რუსთაველი

Віцязь у тыгравой шкуры

გამომცემლობა „Беларусь“, მინსკი, 1966, 316 გვ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი შესრულებულია ალესია ზვონაკისა და მიკოლა ხვე-დაროვიჩის მიერ. შესავალი წერილის („Патомкам – на вечнае кары станне“) ავტორია იაზეკ სემიაჟონი (Язэп Семяжон). პოემას დართული აქვს მცირე ლექსიკონი „Тлумаченне некаторых слоў“. გამოცემა გაფორმებულია ი. თოიძის ილუსტრაციებით.

ლ. კ.

840. შოთა რუსთაველი

Иўлбарс терисини Ёпинган пахлавон

„Тошкент“, Бадий адабиёт нашриети, 1966, 252 გვ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი უზბეკურ ენაზე შესრულებულია მაკსუდ შაიხ-ზოდა და ტ. მირტემირის მიერ (Таржимоси Максуд Шайхзода Ва Т. Миртемир). თარგმანი პოეტურია. ახლავს მცირე ანოტაცია და განმარტება-კომენტარები პოემაში მოხსენიებულ ისტორიულ პირებთან დაკავშირებით.

გამოცემა გაფორმებულია მ. ზიჩის, ს. ქობულაძის და ი. თოიძის ილუსტრაციებით.

ლ. კ.

841.

„შოთა რუსთაველი“

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული, რედ. ი. აბულაძე, თბ., 1966, 278 გვ.

კრებული ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მასში და-ბეჭდილია რუსთაველოლოგიური ნარკვევები შემდეგი ავტორებისა: ნოდარ შოშიაშ-ვილი, ილია აბულაძე, ცოტნე კიკვიძე, ანა ბაქრაძე, თორნიკე ჭყონია, მაია რაფავა, ელენე მაჭავარიანი, კალისტრატე ევაშვილი (ცინცაძე); აგრეთვე მ. პ. სოლოვიოვის ილუსტრაცია ი. პ. პოლონსკის ლექსისა „თამარი და მისი მგოსანი შოთა რუსთა-ველი“ და თვით ლექსის ხელნაწერი ტექსტის ფოტოკოპირი.

ნარკვევების ანოტაციები იხ. აქვე, ავტორების მიხედვით.

გ. ა.

842.

„შოთა რუსთაველი“

(საიუბილეო კრებული)

საქ. სსრ მეცნ. აკად. შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტ. უძღვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. სარედ. კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედ.), გ. ლეონიძე,

ი. ლოლაშვილი (მდივანი), ბ. ჟღენტაი, მ. ჩიქოვანი. თბ., 1966, 416 გვ.

კრებულში დაბეჭდილია რუსთაველოლოგიური გამოკვლევები ავტორებისა: ალ. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, მ. დუდუჩავა, რ. ბარამიძე, შ. ლლონტი, მ. გუგუშ-ვილი, ლ. მოწენიძე, რ. ფირცხალაიშვილი, ს. ცაიშვილი, მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, ც. კახაბრიშვილი, ა. გაჩეჩილაძე, გ. აბზიანიძე, მ. აბულაძე, ს. სერებრიაკოვი, ლ. ანდ-ლულაძე, გ. იმედაშვილი, ი. მეგრელიძე, ნ. ნათაძე, შ. ონიანი, ც. კარბელაშვილი, გ. მიქაძე, ბ. დარჩია, მ. ჩაჩავა, გ. შარაძე. ნაშრომები ანოტირებულია ცალ-ცალკე. **გ. ა.**

843.

შოთა რუსთაველს

*თბილისის უნივერსიტეტი, საიუბილეო კრებული, 1966, 467 გვ.
რედ. – ალ. ბარამიძე*

კრებული ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მასში დაბეჭდილია ქართველი მეცნიერების, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების – შ. მესხიას, კ. გრიგოლიას, დ. გვრიტიშვილის, ვ. აბაშაძის, ივ. სურგულაძის, კ. კვეკელიძის, ალ. ბარამიძის, გ. ჯიბლაძის, შ. ამირანაშვილის, ქს. სიხარულიძის, ე. ხინთიბიძის, ა. გვახარიას, გ. კალანდარიშვილის, აპ. მახარაძის, ლ. მენაბდის, გ. მიქაძის, გ. შარაძის, ა. აბრამიშვილის, ა. ჯანაშვილის, ნ. ქოიავას, დ. კობიძის, ა. ჩიქობავას, ი. გიგინეიშვილის, ი. იმნაიშვილის, ქ. ლომთათიძის, მზ. შანიძის, კ. დანელიას, ვ. შადურის, შ. რევიშვილის, გ. ზედგინიძის – გამოკვლევები, რომლებშიც სხვადასხვა ასპექტით განხილულია რუსთაველთან და მის თხზულებასთან დაკავშირებული საკითხები. (იხ. ანოტაციები ცალ-ცალკე, ავტორების მიხედვით). **გ. ა.**

844. **Сулейман Рустам**

[Книга Руставели]

გაზ. „Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან სამედ ვურდუნთან და მამედ რაჰიმთან ერთად აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. წიგნი 1937 წელს გამოვიდა და ძალიან პოპულარული გახდა აზერბაიჯანში. ახალი იუბილეს წინაპერიოდში იგი ხელახლა მიუბრუნდა თარგმანს და გამოსაცემად ამზადებს. თვლის რა, რომ რუსთაველის თხზულება აზრითაც და ხმოვანებითაც (ვერსიფიკაციით), ღრმად ხალხურია და ცდილობს უფრო ახლობელი გახადოს იგი აზერბაიჯანელი მკითხველისათვის.

გ. ა.

845. **ნ. რუხაია**

პოპულარული ქართული ოპერა

გაზ. „თბილისი“, 1966, 20 ივლისი, № 168, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს დ. არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ლიბრეტო ა. ხახანაშვილის და ი. მჭედლიშვილისა. კომპოზიტორმა მისი წერა დაიწყო 1910 წელს და ოთხი წლის შემდეგ დაასრულა. პირველად დაიდგა 1919 წლის 5 თებერვალს. შოთა რუსთაველის როლს ასრულებდა ვ. სარაჯიშვილი. შემდეგ გადმოცემულია ოპერის შინაარსი და აღნიშნულია მისი ღირსება-ნაკლოვანებანი. **ბ. დ.**

846. **ტრიფონ რუხაძე**

აკად. მარი ბროსე და „ვეფხისტყაოსნის“

ფრანგულად თარგმნის ზოგიერთი უცნობი საკითხი

თსუ ვილ. ფაკულტეტის X სამეცნიერო სესია, თეზისები, 1966, გვ. 7-9.

1. რენესანსისა და განმანათლებელთა ეპოქის ევროპა, რუსეთის მეშვეობით, მრავალმხრივ დაუკავშირდა საქართველოს, მაგრამ შოთა რუსთაველის და „ვეფხის-

ტყაოსნის“ ხსენებაც არ ჩანს ევროპულ მწერალთა ჩანაწერებში. გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ სომეხი მწიგნობარ -გადამწერნი, მათ XVII-XVIII საუკუნეებში იგემეს შოთას პოემის სილიადე.

2. იოანე ბატონიშვილის ცნობით, როცა იგი რუსეთში ჩავიდა (1801 წ.), ქართულ მწერლობაზე შეკითხვები მისცა რუსმა მწერალმა ა. პოდობედოვმა. ამ შეკითხვის პასუხია ბატონიშვილის „კალმასობის“ თავი, რომელსაც „მცირე უწყებას“ ეძახდნენ (მათ „ძველი ქართველი მწერალ-მთარგმნელი“ ჰქვიათ). ამ პასუხში რუსთაველს თავისი ადგილი უჭირავს. „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების პირველ რუს მთარგმნელად ისევ ევგენი ბოლხოვიტინოვი რჩება.

3. მ. ბროსეს ამ თარგმანის გაცნობის შემდეგ გასჩენია ინტერესი ქართული მწერლობისა და კერძოდ „ვეფხისტყაოსნისადმი“. 1828 წელს ბროსემ დაბეჭდა „ესკიზები ტარიელზე“. იგი ქართველოლოგიის მრავალ დარგში მუშაობდა და თითქმის არცერთ ნაშრომში რუსთაველისათვის გვერდი არ აუვლია. მაგრამ დანაპირები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის შესახებ მაინც ვერ შეასრულა, თუმცა ამ მხრივ ცდა კი ჰქონდა.

4. მარი ბროსეს ეს თარგმანი დაცულია ლენინგრადის „აზიის ხალხთა ინსტიტუტის“ არქივში. ხელნაწერში პარალელურად ნაჩვენებია ფრანგული თარგმანი და ქართული ტექსტი. თარგმანს სქოლიოების სახით, პარიზული ხელნაწერების მიხედვით, დართული აქვს ვარიანტული წაკითხვები, რაც პირველი შემთხვევაა რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში. ხელნაწერებს ბროსე აღნიშნავს E და F ნიშნით. თარგმანი იწყება „ვეფხისტყაოსნის“ I თავით.

5. მარი ბროსეს ბევრი ისეთი რუსთაველოლოგიური საკითხი გაურკვევია, რომლებიც ამჟამად მკვლევართა ყურადღებას იქცევს (მაგ. რუსთაველის ალტერ ეგო რომ ტარიელია, „ვეფხისტყაოსნის“ სათაური და მისი შესატყვისი უცხო ენებზე...).

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის „პროღრამა“ პირველად გამოაქვეყნა ლორან ბროსემ. სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერს ამბობენ „პროღრამის“ თანამედროვე გამომცემელი რუსთაველოლოგები.

ლ. კ.

847. ზ. რეხილაძე

გზა ოსტატობისაკენ

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 7 ოქტომბერი, № 229, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ ოქრომჭედელმა მარკლენ ქუთათელაძემ რუსთაველის საიუბილეოდ დაამზადა პოეტის ჭედური პორტრეტი. სპილენძზე მოჭედილი შოთას პორტრეტი ჩასმულია მოჩუქურთმებულ ჩარჩოში. გაზეთში დაბეჭდილია პორტრეტის ფოტოსურათი.

ი. კ.

848. საკდესი

Юбилейная сессия, посвященная Руставели

გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 26 აგვისტო, № 142, გვ. 2.

ინფორმაცია: ამ დღეებში ქუთაისსა და გელათში შედგა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებათა გაერთიანებული სესია. მოისმინეს მოხსენებები: შ. მესხია, „რუსთაველის ეპოქა“, დ. ბრეგაძე,

„რუსთაველის ეპოქის პოეზია“, ვ. გრიგოლია, „რუსთაველი, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი“, შ. ამირანაშვილი, „შოთა რუსთაველის სახე ძველ ქართულ ხელოვნებაში“, ვ. დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარ მეფის ისტორიკოსები“, ა. კიკვიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ქარგა“. გელათში ს. ყაუხჩიშვილი წარდგა მოხსენებით „რუსთაველის ეპოქის უმაღლესი სკოლა“.

ლ. კ.

849. საკდესი

К юбилею великого поэта Грузии

გაზ. „Коммунист“, 1966, 11 სექტემბერი, № 187, გვ. 3.

საკდესი იუწყება: უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში შეიქმნა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტები. სხვა რესპუბლიკებში ამ ფუნქციას შეასრულებენ მწერალთა კავშირები. გამოიცემა „ვეფხისტყაოსანი“ სსრკ ხალხთა ენებზე, იუბილეს მიეძღვნება ჟურნალების სპეციალური ნომრები, სამეცნიერო სესიები. გამოვიდა ახალი საფოსტო მარკების სერია. მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქართული კულტურის გამოფენა „რუსთაველიდან ჩვენს დღეებამდე“. მოსკოვში მიმდინარეობს ქართული პოეზიის დეკადა.

ლ. კ.

850. საკდესი

Мир готовится к юбилею

Руставели

გაზ. „Коммунист“, 1966, 20 სექტემბერი, № 220, გვ. 1.

რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა პრეს-კონფერენცია, რომელიც გამართა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ მოსკოვში. აკადემიკოსი გ. წერეთელი ჟურნალისტებს ესაუბრა რუსთაველის ეპოქისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. აცნობა, რომ მზადდება პოემის სრული, 8-ტომიანი აკადემიური გამოცემა განმარტებებითა და კომენტარებით. ვ. სირაძემ ყურადღება გაამახვილა რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობაზე ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. მანვე წარმოადგინა საიუბილეო ღონისძიებათა განრიგი.

რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ტიხონოვმა ჟურნალისტებს უამბო საიუბილეო მზადების შესახებ მოსკოვში. აღნიშნა, რომ დედაქალაქში დაიდგმება პოეტის ძეგლი.

ლ. კ.

851. საკდესი

Вечер, посвященный Руставели

გაზ. „Заря Востока“, 1966, 1 ოქტომბერი, № 226, გვ. 3.

ცნობა, რომ სოფიაში ჩატარდა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. რუსთაველის შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ბუღარელი პოეტი ანგელ ტოდოროვი, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსთაველის სახე სამართლიანად დარჩება უკვდავ შემოქმედთა პანთეონში.

ბ. დ.

852. საკდესის კორესპონდენტი

დიდი ქართველი პოეტის იუბილესათვის

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 5 აგვისტო, № 177, გვ. 1.

ცნობა შოთა რუსთაველის 800 წლისთავის აღსანიშნავი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომის შესახებ, რომელმაც მოისმინა, როგორ მიმდინარეობს მზადება ამ იუბილესათვის. ჩამოთვლილია დაგეგმილი ღონისძიებანი. **ბ. დ.**

853. III. X. Салакая

Образ III. Руставели в абхазской поэзии

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1966, გვ. 30.

ავტორი ასახელებს რუსთაველისადმი მიძღვნილ დ. გულიას, ლ. კვიციანიას, კ. აგუმას, ლ. ლაბახუასა და ბ. შინკუბას თხზულებებს და აღნიშნავს რუსთაველის დამსახურებას ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში. **ბ. დ.**

854. მ. სალაძე

რუსთაველის პოემა და უნგრელები

თბ. უცხო ენათა პედ. ინსტ. სტუდ. XVIII სემინ. კონფ., 1966, 17-20 მა., (თეზისები), გვ. 35-36.

მომხსენებელი ლაპარაკობს ცნობილი უნგრელი მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის“ მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ილუსტრაციების ავტორის, მიხაი ზიჩის ღვაწლის შესახებ. სწორედ მიხაი ზიჩის მეშვეობით გაეცნო მწერალი ბელა ვიკარი „ვეფხისტყაოსანს“, შეისწავლა ქართული ენა და ორიგინალიდან თარგმნა პოემა, რომელიც დაიბეჭდა 1917 წელს. 1954 წელს ბუდაპეშტში გამოიცა მეორე უნგრული თარგმანი, შესრულებული უნგრელი მწერლის შანდორ ვეორეშის მიერ. ავტორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მზადდება პოემის მესამე, ფილოლოგ ბენედეკის თარგმანი. **ი. წ.**

855. ერემი სალუქვაძე

აღზრდის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 26 მარტი, გვ. 3.

ავტორი განიხილავს აღზრდის საკითხს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მაგალითებზე. რუსთაველის აზრით, ადამიანიც და მისი აღზრდაც სოციალური კატეგორიებია. ბავშვის სწავლებისათვის აუცილებელია მასწავლებელი და სათანადო პირობები. ხუთი წლის ტარიელი „ბრძენთა მისცეს სასწავლებლად...“, ხოლო ნესტანს მამიდა დავარი ზრდის ცალკე, მათთვის საცხოვრებლად მიჩენილ კოშკში.

ადამიანი სრულყოფილი ვერ იქნება ესთეტიკური განათლების გარეშე. ესთეტიკურ აღზრდაში შედის, პოემის მიხედვით, მუსიკალური განათლება და გასართობი საწახაობით დატკობა. დიდი ადგილი ეთმობა ფიზიკურ წვრთნას, განსაკუთრებით ჭაბუკების – მომავალი მეომრებისა და სახელმწიფო მოხელეების აღზრდაში.

გ. ა.

856. ლ. სამხარაძე

პოემის ილუსტრაციები

გაზ. „ლენინელი“ (ზესტაფონი), 1966, 29 სექტემბერი, № 115

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ხელნაწერი – № 5006 და № 2074 დასურათებულია უცნობი მხატვრის მიერ, ირანული მინიატურული მხატვრობის გავლენით. ხელნაწერი № 599 თავიდან ბოლომდე ილუსტრირებულია მამუკა თავაქარაშვილის მიერ.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა გამოირჩევა დეკორატიული სამკაულებით. 1888 წელს გამოვიდა მხატვარ მიხაი ზიჩის მიერ დასურათებული ქართველიშვილისეული გამოცემა. თანამედროვე მხატვართაგან თითქმის ყველამ დაასურათა პოემა, მათგან მნიშვნელოვანია ლ. გუდიაშვილის, თ. აბაკელიას, ს. ქობულაძის, ი. თოიძის, უ. ჯაფარიძისა ილუსტრაციები. **თ. ნ.**

857. В. Сантрян

Великий поэт в оценке Ованеса Туманяна

გაზ. „Коммунист“, 1966, 8 სექტ. № 210, გვ. 4.

ავტორს ესაუბრება ოვანეს თუმანიანის ქალიშვილი, აშხენ თუმანიანი და მამის პირადი ბიბლიოთეკიდან უჩვენებს რუსთაველის სახელთან დაკავშირებულ გამოცემებს. მათ შორისაა 1888 წ. თბილისში გამოცემული წიგნი, რომელშიც შედის „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

მეორე ქალიშვილი, აწ განსვენებული ნვარდ თუმანიანი, წერდა, თუ რაოდენ მაღალ შეფასებას აძლევდა მამამისი „ვეფხისტყაოსანს“. მან დააპირა კიდეც პოემის თარგმნა, მაგრამ მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ო. თუმანიანის ინიციატივით სახელმძღვანელოში „Лыцарь“ 1910 წელს შეიტანეს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი, თარგმნილი ჯერ კიდეც 1860 წ. თბილისელი ექიმის სარქის ბასტამიანის მიერ.

ო. თუმანიანის ბიბლიოთეკაში დანტეს ბიუსტის პირდაპირ იდგა იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი რუსთაველის ბიუსტის ასლი. **ლ. კ.**

858. გელამ სარიანი

ქართველი ხალხის გენიოსი

ჟურ. „მნათობი“. 1966, № 9, გვ. 40-41.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოეტურ ოსტატობას, მისი გრძნობებისა და იდეების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუპოვეს ქართველ პოეტს. „ყველაზე ამაღლებული გაგება სიყვარულისა, ყველაზე წმინდა გრძნობისა, უმაღლესი ადამიანური სიკეთე, რაინდობა, ლამაზი სიკვდილის არჩევა – ნაძრახი სიცოცხლის სანაცვლოდ, მსხვერპლის გაღება ჭეშმარიტი მეგობრისათვის, – ყოველივე ეს ხორცი ხორცთაგანია შოთა რუსთაველის მშობელი დიდი ხალხისა... ქართველთა მრავალი თაობისათვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო არა მარტო წარსულის მემკვიდრეობა, არამედ მაღალ ადამიანურ თვისებათა სახელმძღვანელო,

რომელიც ჩამოყალიბდა ქართველი ხალხის უზარმაზარ მორალურ ძალად. ქართული ეროვნული სულით გამსჭვალულ რუსთაველის სიბრძნეს უნდა უმაღლოდეს ქართველი ერი იმას, რომ მან გაუძლო ისტორიის ყოველგვარ ქარცეცხლს. **გ. ი.**

859. ტ. სარიშვილი

**„ვეფხისტყაოსნის“ როლი და ადგილი
ახალი თაობის პატრიოტულ აღზრდაში**

გაზ. „დარიალი“ (ყაზბეგის რ.), 1966, 20 აგვ., № 99; 23 აგვ. 100; 25 აგვ., № 101; 27 აგვ., № 102; 1 სექტ., № 104; 3 სექტ., № 105. იგივე – ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 12, გვ. 25-28, სათაურით: **აღზრდის ზოგიერთი საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“**

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების სიბრძნის, მორალური სიმტკიცის, სოციალური ქცევის სამაგალითო და მისაბამ როლს, როგორც მათ თანამედროვეთათვის, ისე მომდევნო თაობებისათვის. ავტორის მსჯელობით, რუსთაველის თხზულებაში აღმზრდელის პრობლემა გაგებულია როგორც ცვლათა მომზადების საუკეთესო იდეის ხორცშესხმის ორგანიზატორის ფუნქცია. მასწავლებელი თავისი ეპოქის შემცვლელი თაობის აღმზრდელია. პოემის გმირები პატივს სცემენ და აქებენ მცოდნე, განათლებულ ადამიანებს, რომლებიც მათ გაწვრთნა-ჩამოყალიბებაში იღებენ მონაწილეობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი წარჩინებულთა შვილების აღზრდა სამეფო კარის მაღალი თანამდებობებისათვის. **გ. ა.**

860. С. Саркисян

По мотивам „Вепхисткаосани“

გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 30 სექტემბერი, № 189, გვ. 3.

გაგრის მოსახლეობა საზეიმოდ აღნიშნავს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. გაგრის ერთ-ერთ სკვერში გაიხსნა ორიგინალური კომპოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე. კომპოზიციის ავტორია აგრონომი ნ. ლომაია. მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ: გაგრის რაიკომის მდივანი გ. ციციშვილი, მწერლები: ს. პოლიკარპოვი, გ. პოლიანკერი, ა. გონტარი, გაგრის საშუალო სკოლის მასწავლებლები. **ლ. კ.**

**861. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აკადემიის
საერთო კრების სესია, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი პოეტისა
და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს**

მოსაწვევი ბარათი შედგება ოთხი გვერდისა და მხატვრულად გაფორმებული ყდისაგან. სესია მოწვეული იყო 1966 წლის 28 სექტემბერს დილის 11 საათზე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში. სესიის პროგრამა:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის შესავალი სიტყვა. 2. რუსთაველის შემოქმედება – მომხს. საქართვე-

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე. **3.** „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემისათვის – მომხსენებელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. **4.** რუსთაველის ეპოქის ძეგლები – მომხს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი. **5.** სიტყვები. (იგივე ტექსტი რუსულ ენაზეც).

გ. ი.

862. საქართველო რუსთაველის ხანაში

სარედ. კოლ.: გ. მელიქიშვილი, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ჩხარტიშვილი.
თბილისი, „მეცნიერება“, 1966, 314 გვ.

კრებული ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მასში გაშუქებულია რუსთაველისდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის ზოგიერთი საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შოთა რუსთაველის შემოქმედების გაგებისათვის. ნაჩვენებია მისი თხზულების ორგანული კავშირი XI-XII საუკუნეების ქართულ სინამდვილესთან. წერილების ერთი ნაწილი ეძღვნება ეპოქის შესახებ ქართულ და უცხო ენებზე არსებულ, აქამდე ნაკლებად ცნობილ ან შეუსწავლელ რამდენიმე წყაროს.

წიგნში დაბეჭდილია ისტორიკოსების: მ. დუმბაძის, მ. ლორთქიფანიძის, ბ. ლომინაძის, რ. კიკნაძის, ზ. ანჩაბაძისა და მ. ცინცაძის, დ. მუსხელიშვილის, ვ. დონდუას და სხვების ნარკვევები.

კრებულს ერთვის ნაშრომთა ანოტაციები რუსულ ენაზე (გვ. 293 - 312). **ი. წ.**

863. საქდესი

შოთას იუბილესათვის

გაზ. „თბილისი“, 1966, 5 იანვ. № 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები. მათ შორის დაიბეჭდება მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, მომზადებული ა. ბარამიძისა და ა. შანიძის მიერ, აგრეთვე საიუბილეო სურათებიანი გამოცემა. გამოქვეყნდება მეცნიერების – ა. შანიძის, ალ. ბარამიძის, მ. ჩიქოვანის, ნ. მარის, გ. იმედაშვილის, ს. ყუბანეიშვილის, იუსტ. აბულაძის, მ. გუგუშვილის და სხვების გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა პრობლემაზე.

გ. ა.

864. საქდესი

მსოფლიო აღნიშნავს

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 18 სექტ., № 213, გვ. 3; „თბილისი“, 1966, 20 სექტ., № 221, გვ. 3; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 20 სექტ., № 111, გვ. 1.

ინფორმაცია იუწყება, რომ ახალი ამბების სააგენტო რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ამზადებს მასალებს და ბეჭდავს მთელი მსოფლიოს პრესაში. მაგ. ჟურნალ „სსრ კავშირის“ ერთი ნომერი მთლიანად ეძღვნება საქართველოს (გამოდის ბრაზილიაში ესპანურ ენაზე). აას-ის ჟურნალებში აშშ-ში, ინგლისში, საფრან-

გეთში, გერმანიაში, იაპონიაში, ინდოეთში, ფინეთში, დანიაში, უნგრეთში და სხვა-გან დაბეჭდილია შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძის, გ. ჯიბლაძის, ი. აბაშიძის, დ. კობიძის, გ. იმედაშვილის, ბ. ჟღენტის სტატიები.

აას-ის გამომცემლობაში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოვა მ. ლორთქიფანიძისა და მ. ცუნცის ილუსტრირებული წიგნი „რუსთაველის ქვეყანაში“. **გ. ა.**

865. საქდესი

ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 21 სექტ., № 215, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები აღნიშნავენ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. რუსულ ენაზე 30000 ტირაჟით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ზაბოლოცკის თარგმანი. ბელორუსიის სსრ. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა „შოთა რუსთაველი“.

ხარკოვის კოროლენკოს სახ. ბიბლიოთეკაში გამოფენილია რუსთაველის თხზულების რუსული და უკრაინული თარგმანები.

ერევანში მიკროგრაფიორმა ედუარდ კაზარიანმა შექმნა შოთა რუსთაველის მოზაიკური პორტრეტი, რისთვისაც გამოიყენა ხუთი ათასი ფერადი ქვა.

ქ. ფრუნზეს ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. **გ. ა.**

866. საქდესი

სამეცნიერო სესია

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., № 218, გვ. 3.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. მ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშაკები.

მოხსენებები წაკითხეს მ. ლორთქიფანიძემ, ვ. დონდუამ, მ. ბერძენიშვილმა, გ. ლომთათიძემ, რ. კიკნაძემ, მ. სილაგაძემ და სხვებმა. **გ. ი.**

867. საქდესი

იუბილეს მომწეობი მთავრობის კომიტეტის სხდომა

გაზ.: „კომ.“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 1; „Заря Вост.“, 1966, 25 სექტ., № 221, გვ. 1; „თბ.“, 1966, 26 სექტ., № 226, გვ. 1; „Без. Тб.“, 1966, 26 სექტ., № 226, გვ. 1; „ლიტ. საქ.“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 24 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწეობი კომიტეტის დასკვნითი სხდომა. სხდომა გახსნა საიუბილეო კომიტეტის

თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა და ილაპარაკა მოსამზადებელ პერიოდში გაწეულ მუშაობაზე. სიტყვებით გამოვიდნენ: კ. გამსახურდია, მ. მეგრელიშვილი, გ. ჯიბლაძე, ა. ბარამიძე, ი. აბაშიძე და სხვები. **გ. ა.**

868. საქდესი

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება, მეგობრებო!

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220. გვ. 3; „თბილისი“, 1966, 27 სექტ., № 227. გვ. 1; „Заря Востока“, 1966, 27 სექტ., № 222. გვ. 3; „Вечерний Тбилиси“, 1966, 27 სექტ., № 226. გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 4; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187. გვ. 3.

საქდესის ინფორმაცია გვაუწყებს, რომ რუსთაველის იუბილეზე დასასწრებად თბილისში მრავალი სტუმარი ჩამოდის. მათ შორის არიან გერმანიის დემოკრ. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეო შტერნი, ჩეხი მწერალი და მთარგმნელი ვაცლავ ჩერნი, ავსტრალიელი პოეტი ჯეფრი დატონი, პარიზის ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორი მადლენ ბრონი, მწერალი პიერ გამარა; გერმანიის ფედერ. რესპუბლიკიდან: ოვალდ შმიდტი, ენცენს ბერგერი, იულიუს ასფალგი; აშშ-დან – პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჯაფარიძე, აგრეთვე მრავალი მწერალი და მეცნიერი – ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, მონღოლეთიდან, ეგვიპტიდან და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან.

საიუბილეო კომიტეტმა თბილისში მოიწვია სსრ კავშირში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები. **გ. ა.**

869. საქდესი

საქართველო ეგებება რუსთაველის სტუმრებს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 1.

გაზეთს პირველ გვერდზე აქვს ანშლაგი: „უკვდავი შოთა რუსთაველის იუბილე საბჭოთა კავშირის დღესასწაულია“.

საინფორმაციო ცნობა იუწყება იმის შესახებ, თუ როგორ ეგებება თბილისი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმზე ჩამოსულთ – მოსკოვისა და ლიტვის, უზბეკეთის, მოლდავეთის სსრ დელეგაციებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, სსრ კავშირის კულტურის მინისტრს ე. ა. ფურცევას, მოსკოვის კომიტეტის მდივანს ა. კ. შაპოშნიკოვას, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ტ. სიზოვს, მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების მდივანს ი. ფ. ვინიჩენკოვს, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ი. დირჟინსკაიტეს, პოეტ ა. მ. მალდონისს, მეცნიერებისა და კულტურის გამგის მოადგილეს ვ. კ. ემელიანოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგეს ე. ფ. შაუროს. თბილისის აეროპორტში სტუმრებს შეხვდნენ: დ. სტურუა, ო. ლოლაშვილი, ვ. სირაძე, ზ. კვაჭაძე, ო. თაქთაქიშვილი, შ. სალარიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ იუბილეზე მოიპატიჟა თვალსაჩინო მეცნიერთა დიდი ჯგუფი. თბილისში ჩამოვიდნენ ლენინგრადელი, უზბეკი და მოლდაველი მეცნიერების მოღვაწენი: აკად. ვ. ჟირმუნსკი, ა. ჟდანოვი, კ. ბელიაევი,

ი. ვინიკოვი. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. სადიკოვი, მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების აკად. მდივანი ი. ვარტიჩანი, აზერბაიჯანის ხელოვნების მოღვაწენი, დირიჟორი ნიაზი, კომპოზიტორი ვ. ამიროვი. **გ. ი.**

870. საქდესი

Грузия принимает гостей
გაზ. „Заря Востока“, 1966, № 224, 29 სენტ. სტ. 2.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, მოიწვია გამოჩენილი მეცნიერები. თბილისში ჩამოვიდნენ მეცნიერები-სა და ხელოვნების მოღვაწენი ლენინგრადიდან, უზბეკეთიდან და მოლდავეთიდან. „ქართველ მეცნიერთა საიუბილეო სამეცნიერო სესია მოგვცემს მასალებს შოთა რუსთაველის შემოქმედების შემდგომი კვლევისათვის“ – აცხადებს ენათმეცნიერი აკად. ჟირმუნსკი.

მათთან ერთად ჩამოვიდნენ ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ვ. ბელიაევი და ი. ვინიკოვი.

სტუმართა შორის არიან: უზბეკეთის სსრ აკადემიის პრეზიდენტი ს. სადიკოვი, მოლდავეთის სსრ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მდივანი აკად. ი. ვარტიჩანი, ფრანგი მწერალი არმან ლანუ მეუღლით და ფრანგი პოეტი მაქს პოლი.

რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს რუსეთის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ნ. სტოლეტოვი, დელეგაციაში შედიან რსფსრ-ს კულტურის მინისტრის მოადგილე გ.პ. ბერდნიკოვი, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრკ-ს სახალხო არტისტი მ. ი. ცარევი.

ბელორუსიის სსრ-ს დელეგაციას ხელმძღვანელობს ბელორუსიის სსრ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ფ. კლიმოვი, მასთან ერთად არიან: ბელორუსიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ვ. ი. სტელმაშენოვი, მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი პირი მ. დ. ვიტკო.

ქ. ლენინგრადის დელეგაციის ხელმძღვანელია სმოლენსკის რ-ნის პარტიის რაიკომის მდივანი ე. ა. ჩეკოვა, წევრები – ლენინგრადის მინისტრთა საბჭოს დეპუტატი ნ. დ. ხრისტოვერი და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. ტოლუბეევი. **ი. წ.**

871. საქდესი

იუბილეს პირველი დღე

გაზ.: „ახ. კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114. გვ. 4; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187. გვ. 3; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 27 სექტ., № 227. გვ. 1; „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220. გვ. 4; „Заря Востока“, 1966, 27 სენტ., № 222, გვ. 2; „Молодёжь Грузии“, 27 სენტ., № 222, გვ. 2; ლიტ. საქართველო“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 4. სათაურით: „ხალხის სიყვარული და აღიარება“.

ინფორმაცია იუწყება, რომ 25 სექტემბერს საქართველოში შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმი დაიწყო თბილისში „ქართული კულტურის“ გამოფენის გახსნით. გამოფენა განლაგებულია ცხრა პავილიონში თემატიკის მიხედვით: „ქართული დამ-

წერლობა და ლიტერატურა“, „სახვითი ხელოვნება“, „კინოხელოვნება“, „თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება“, „მეცნიერება და განათლება“, „არქიტექტურა“ ...

გამოფენა გახსნა საქ. კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა. თავიანთი კმაყოფილება და აღტაცება გამოთქევს სტუმრებმა: ჟერარ გარიტმა (ბელგია), რენე ლაფონმა (საფრანგეთი), იპიო ფუკურომ (იაპონია), ვადიმ სობკომ (კიევი), ნიკ. ტიხონოვმა (რუსეთი).

იმავე დღეს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა გამოფენა: „ყველაფერი რუსთაველის შესახებ“. იგი გახსნა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ვახტანგ ბერიძემ.

გ. ა.

872. საქდესი

მარად უკვდავი

გაზ.: „კომუნ.“, 1966, 27 სექტ., № 220. გვ. 1-3; „თბ.“, 1966, 27 სექტ., № 227. გვ. 1-2; „საბჭ. ჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187. გვ. 1; „ახ. კომ.“, 1966, 29 სექტ., № 115. გვ. 3; „ლიტ. საქ.“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 2-4; „Заря Вос.“, 1966, 27 сент., № 222, გვ. 1-3; „Веч. Тб.“, 27 сент., № 227, გვ. 1-2.

ინფორმაციაში ვრცლად არის წარმოდგენილი მიმდინარეობა პლენუმისა, რომელიც გაიმართა 26 სექტემბერს რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში – მას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი პირები და მოწვეული სტუმრები სსრკ რესპუბლიკებიდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

შესავალი სიტყვით პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა. პლენუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კ. პ. ც. კომიტეტის მდივანი ვ. პ. მჭავანაძე. მოხსენება – „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ – გააკეთა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტიხონოვმა.

პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ: ე. ბაგრიანა (ბულგარეთი), ჯ. ოლდრიჯი (ინგლისი), ა. პრიტანი (ინდოეთი), ი. კატება (ალჟირი), ფ. კოლოანე (ჩილე), ჯ. დატონი (ავსტრალია), ე. ზაგურსკი (პოლონეთი), შ. ვეორეში (უნგრეთი), აგრეთვე – წარმომადგენლები სსრკ რესპუბლიკებიდან.

გ. ა.

873. საქდესი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220. გვ. 1; „თბილისი“, 1966, 27 სექტ., № 227. გვ. 1; „Заря Востока“, 1966, 27 სექტ., № 222. გვ. 1; „Вечерный Тбилиси“, 1966, 27 სექტ., № 227. გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 1. რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით.

სსრ კავშირისა და საქ. სსრ მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმის მონაწილე საბჭოთა მწერლები მიესალმებიან სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტს და სწერენ: „ჩვენ პატივისცემით აღვნიშნავთ სიტყვის უდიდესი ოსტატისა და გამოჩენილი მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილეს, რომელმაც მრავალი საუკუნის წინათ უმღერა ჰუმანიზმისა და ხალხთა მეგობრობის უკვდავ იდეებს“.

გ. ა.

874. საქდესი

გულთბილი შეხვედრები საქართველოს მიწა-წყალზე

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 28 სექტ., № 221. გვ. 2;

„Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223. გვ. 1.

ქვეყნდება ცნობა, რომ რუსთაველის საიუბილეოდ თბილისში ჩამოვიდნენ: ესპანელი პოეტი რაფაელ ალბერტი, მისი მეუღლე, პოეტი მარია ტერეზა ლეონი, იტალიელი მწერალი და მხატვარი კარლო ლევი, „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ ენაზე მთარგმნელი ვიქტორ კერნბახი, ისტორიკოსი ვ. ჟუკოვი, არქეოლოგი ბ. რიბაკოვი, მწერალი ბორის პოლევოი, თურქმენი კ. სეიტლიევი, იტალიელი ლეონე პიჩიონი მეუღლითურთ, პოეტი და კრიტიკოსი ედუარდო სანგვინეტი და სხვები.

იქვე დაიბეჭდა მათი მოკლე განცხადებები და სურათი: სტუმართა ჯგუფი თბილისის აეროდრომზე. **ბ. დ.**

875. საქდესი

Посвящается 800-летию

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223. გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია ქ. თბილისში ჩატარებული საიუბილეო ღონისძიებები:

სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა წიგნის ილუსტრაციის გამოფენა, სადაც წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები და პოემის გამოცემები უცხო ენებზე.

კიროვის რაიონის მშრ. დეპუტატების შენობაში გაიხსნა ფოტოდოკუმენტების გამოფენა – „შოთა რუსთაველი“.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობებმა და 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწყვეს საიუბილეო საღამო, სადაც ნაჩვენები იყო მონტაჟი „ვეფხისტყაოსანი“.

25-ე, 37-ე და სხვა სკოლებში მოეწყო საიუბილეო საღამოები და გამოფენები.

გ. ა.

876. საქდესი

ემღნება რუსთაველს

გაზ.: „ახ. კომუნისტი“, 1966, 29 სექტ., № 115. გვ. 3;

„Молодёж Грузии“, 1966, 29 სექტ., გვ. 3.

ინფორმაციაში საუბარია იმ გამოფენებზე, რომლებიც რუსთაველის საიუბილეო დღეებში გაიხსნა: ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში და თბილისის მასწავლებელთა სახლში.

გამოფენებზე წარმოდგენილია: ძველი ხელნაწერებისა და ფრესკების ფოტოპირები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, სამხატვრო აკადემიის დიპლომანტებისა და ასპირანტების ნამუშევრები და შოთა რუსთაველის 500 პორტრეტი პედაგოგ ბ. კანდელაკის პირადი კოლექციიდან. **გ. ა.**

877. საქდესი

**საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა
პრეს-კონფერენცია**

გაზეთები: „ახ. კომუნისტი“, 1966, 29 სექტ., № 115, გვ. 3;
„სოფლ. ცხოვრება“, 1966, 29 სექტ., № 229, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 27 სექტემბერს თბილისში, შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციას ესწრებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და ოცზე მეტი უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მრავალი ჟურნალისტი, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელი.

პრესკონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრები, მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

ჟურნალისტთა შეკითხვებზე – რესპუბლიკის სამრეწველო მშენებლობის, განათლების განვითარების, ისტორიული ძეგლების დაცვისა და სხვა პრობლემებზე – პასუხი გასცეს: ი. მიქელაძემ (საგეგმო კომიტეტის თავ-რე), ო. თაქთაქიშვილმა (კულტურის მინისტრი), შ. ბუხრაშვილმა (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რე), გ. დოლიძემ (განათლების მინისტრის მოადგილე) და სხვებმა. **გ. ა.**

878. საქდესი

საიუბილეო გამოცემები

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 1; „ახ. კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 116, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ფერადი ფოტოსურათების ორი ალბომი. პირველში – „რუსთაველის ნაკვალევზე“ – მოთავსებულია რუსთაველამდელი და რუსთაველის ეპოქის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფერადი ფოტოსურათები. მეორე ალბომი – „რუსთაველის უკვდავება“ – შეიცავს ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, ასპინძის რაიონის სოფ. რუსთავის ხედებს, შოთა რუსთაველის პორტრეტებსა და პოემის ილუსტრაციებს. ტურისტებისათვის გამომშვებულია ფერადი ბუკლეტი-სქემა „რუსთაველის ადგილები“. **გ. ა.**

879. საქდესი

სიყვარული და პატივისცემა

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 224, გვ. 1; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ოქტ., № 231, გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 40, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 30 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის მოედანზე დიდი პოეტის ძეგლთან გვირგვინები მიიტანეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპ. მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელების, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციების სახელით.

ზეიმს ესწრებოდნენ საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წევრები, მოკავშირე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები.

გ. ა.

880. საქდესი

რუსთაველის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 26 ოქტ., № 244. გვ. 1; „თბილისი“, 1966, 26 ოქტ., № 252. გვ.1; „Заря Востока“, 1966, 26 ოქტ., № 247. გვ. 2; „Вечерный Тбилиси“, 1966, 26 ოქტ., № 252. გვ. 2; ლიტ. საქართველო“, 1966, 28 ოქტ., № 44, გვ. 1; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 ოქტ., № 253, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავთან დაკავშირებით საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ეს საპატიო წოდებები მიანიჭა ნიკოლოზ პლატონის ძე **ბაჟანს** „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმანისათვის და პოეტ ნიკოლოზ სიმონის ძე **ტიხონოვს** საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის. **გ. ა.**

881. საქდესი

პოეტის უკვდავება

გაზეთები: „კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 224. გვ. 1, 2, 3; „თბილისი“, 1966, 1 ოქტ., № 224. გვ. 1;

სტატია წარმოადგენს ანგარიშს 30 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გამართული საქართველოს კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომისა, რომელიც მიეძღვნა რუსთაველის დაბადების 800 წლის-თავს. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა გ. ჯავახიშვილმა. მან ისაუბრა იუბილეს მნიშვნელობაზე და ზოგადად დაახასიათა რუსთაველის ეპოქა. მოხსენებით გამოვიდა ი. აბაშიძე. სხდომის მონაწილეებს მიესალმა სსრკ-ს კულტურის მინისტრი ე. ფურცვეა. სიტყვით გამოვიდნენ: ვ. სტოლეტოვი, ა. შაპოშნიკოვა, ნ. ტიხონოვი, ა. ზეგერსი, ა. სადიკოვი და სხვ. **ლ. კ.**

882. საქდესი

ქართული პოეზიის დეკადა მოსკოვში

გაზ. „თბილისი“, 1966, 13 ოქტ., № 241. გვ.1.

ცნობა იმის შესახებ, რომ ათი დღის მანძილზე მოსკოვის საკონცერტო დარბაზებსა და ესტრადებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართება ქართული ლექსის საღამოები, რომელნიც წინ უძღვიან რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმს. ქართული პოეზიის დეკადაში მონაწილეობისათვის მოსკოვს წავიდა მწერალთა და პოეტთა ჯგუფი: ი. აბაშიძე, გრ. აბაშიძე, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. გურუშიძე, ბ. ჟღენტი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, რ. მარგიანი, მ. მაჭავარიანი, ა. მირცხულავა, ი. ნონეშვილი, შ. ნიშნიანიძე, ჯ. ჩარკვიანი, ს. ჭილაია, თ. ჭილაძე, ო. ჭილაძე, ო. ჭელიძე.

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში 14 ოქტომბერს საღამოს გამართვის შემდეგ ქართული ლექსის საღამოები გაიმართება ლენინგრადსა და რიაზანში და ამ შეხვედრების დასასრულს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართება რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო. **გ. ი.**

883. საქდესი

ქართული პოეზიის დღეები რუსეთში

გაზ. „თბილისი“, 1966, 14 ოქტ., № 242. გვ. 3.

რუსთაველის საიუბილეო ზეიმმა საქართველოდან რუსეთში გადაინაცვლა. დაიწყო ქართული პოეზიის დღეები. მოსკოვში ჩამოვიდნენ მწერლები, ხელოვნების წამყვანი ოსტატები. სადამო გაიმართა პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

სტუმრები შემდგომში გამოვლენ კულტურის სასახლეებში, მუშათა კლუბებში, სტუდენტთა აუდიტორიებში. შემდეგ გაემგზავრებიან რიაზანში და ლენინგრადში. მოსკოვში ისინი მონაწილეობას მიიღებენ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო სადამოში, რომელიც გაიმართება სსრ კავშირის დიდ თეატრში.

ი. წ.

884. საქდესი

პოეზიის დიდი რაინდი

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 26 ოქტ., № 224. გვ. 1-3; „თბილისი“, 1966, 26 ოქტ., № 252. გვ. 1-3; „Заря Востока“, 1966, 26 ოქტ., № 247. გვ. 1-2; „Вечерный Тбилиси“, 1966, 26 ოქტ., № 252. გვ. 1-2; „ახ. კომუნისტი“, 1966, 27 ოქტ., გვ. 1-3; „ლიტ. საქართველო“, 1966, 28 ოქტ., № 44. გვ. 1-2;

საქდესის სპეც. კორესპონდენტი ვრცლად აღწერს რუსთაველის საიუბილეო სადამოს მსვლელობას, რომელიც 25 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის დიდ თეატრში. საზეიმო სადამოს დაესწრნენ სკკპ და მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ დელეგაციების წევრები, ლიტერატორები, მეცნიერები, საზოგადოების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ტიხონოვმა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე მთარგმნელი ნ. ბაჟანი, ყაზარდო-ბალყარელი პოეტი კ. ყულიევი, სომეხი პოეტი ს. კაპუტიკიანი, პოლონელი პოეტი და მთარგმნელი ეჟი ზაგურსკი, მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ირ. ანდრონიკაშვილი.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატები. გ. ა.

885. საქდესი

დიდი პოეტის პატივსაცემად

(საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი მოსკოვში)

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 27 ოქტ., № 245. გვ. 1; „თბილისი“, 1966, 27 ოქტ., № 253. გვ. 1; „Заря Востока“, 1966, 27 ოქტ., № 248. გვ. 1; „Вечерный Тбилиси“, 1966, 27 ოქტ., № 253. გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, 28 ოქტ., № 44. გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 26 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. შესრულებული

იყო რ. ლალიძის „ოდა მესხეთზე“ და ფ. ამიროვის „ოდა რუსთაველზე“ სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის გუნდის მონაწილეობით.

კონცერტის სხვადასხვა ნომრებში გამოვიდნენ მევიოლინე მ. იაშვილი, მომღერლები პ. და მ. ამირანაშვილები, ი. სოხაძე, ი. ზაქაიძე, ბ. კრავეიშვილი, ორკესტრი „რერო“ კ. პევეზერის ხელმძღვანელობით, ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლი და სხვ.

გ. ა.

886. საქდესი

ქართველ რუსთაველოლოგთა ახალი შრომები

გაზ. „თბილისი“, 1966, 25 ივნისი, № 147, გვ. 3.

უწყება, რომ რუსთაველის საიუბილეოდ გამოდის ალ. ბარამიძის, ს. ყუბანიშვილის, მ. გუგუშვილის, მ. ჩიქოვანის, ა. შანიძის, გ. მიქაძის, იუსტ. აბულაძის წიგნები, რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულები.

ბ. დ.

887. საქდესი

ღირსშესანიშნავი თარიღისათვის

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 23 ივლისი, № 88, გვ. 3.

ინფორმაცია იმ გამოცემების შესახებ, რომლებიც რუსთაველის საიუბილეოდ განხორციელდა. ესენია: „ვეფხისტყაოსანი“ ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის რედაქციით, მასობრივი გამოცემა. ტექსტი მოამზადეს გ. წერეთელმა, გ. კარტოზიამ, ს. ცაიშვილმა, ილუსტრაციები ლ. გუდიაშვილისა („საბჭოთა საქართველო“). მზადდება პოემის საიუბილეო გამოცემა ს. ქობულაძისა და XVII ს-ის მხატვრის მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციებით, აგრეთვე ორი ალბომი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურები, ილუსტრაციები და რუსთაველის პორტრეტები.

გამოიცემა აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები: ინგლისურენოვანი – მარჯორი უორდროპისა, ფრანგული – ს. წულაძის, რუსული – შ. ნუცუბიძისეული პოეტური თარგმანი და ს. იორდანიშვილისეული ბჭკარედი, ცალკე წიგნად მზადდება რუსთაველის აფორიზმები (ილუსტრაციები ლ. ცუცქირიძის).

მკითხველი მიიღებს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებს: რუმინელი მთარგმნელის ვ. კერნახის წიგნს „როცა კითხულობ რუსთაველს“, შ. ნუცუბიძის ნაშრომს „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. აგრეთვე ი. აბაშიძის ლექსების ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“ და სხვ.

ლ. კ.

888. საქდესი

„ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემები

გაზ.: „თბილისი“, 1966, 7 სექტემბერი, № 210, გვ. 1;

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 8 სექტემბერი, № 106, გვ. 3.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ ასიათასიანი ტირაჟით გამოუშვა ნ. ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. საიუბილეო გამოცემა დაასურათა მხატვარმა ს. ქობულაძემ. პოე-

მის სამახსოვრო გამოცემას ამზადებს „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“. გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკი“ და „ისკუსტვო“ უშვებენ ღია ბარათებს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტებზე და რუსთაველის პორტრეტს. დიდი პოეტისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის ხალხები. 1918 წლიდან 1965 წლამდე ჩვენს ქვეყანაში 78-ჯერ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის მილიონნახევარ ცალად. შოთა რუსთაველს მშობლიურ ენაზე კითხულობენ რუსები, უკრაინელები, უზბეკები, სომხები, ყაზახები, თურქმენები, ოსები და სხვები. **ი. წ.**

889. საქდესი

ზეიმი უზბეკეთში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 1.

ცნობა, რომ უზბეკეთში ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი: რუსთაველს ლექსები მიუძღვნეს უზბეკმა პოეტებმა, მას უმღეროდნენ მსახიობები. სახალხო პოეტმა ფაზილ იულდაშ ოღლომ შემოქმედებითად გადაამუშავა „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური თარგმანი და შექმნა მისი ხალხური ვარიანტი, „რომელმაც, დიდი ხანია, ღირსეული ადგილი დაიკავა მდიდარ უზბეკურ ფოლკლორში“. ტაშკენტის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო. **ბ. დ.**

890. საქდესი

დიდი პოეტი და ჰუმანისტი

გაზ. „თბილისი“, 1966, 29 სექტემბერი, გვ. 2.

აფხაზეთის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ რუსთაველის იუბილეს. სოფ. გულრიფშის კოლმეურნეობაში სტუმრად მივიდნენ აფხაზეთის ხელმძღვანელი მუშაკები. მოხსენება „შოთა რუსთაველი – დიდი პოეტი და ჰუმანისტი“ წაიკითხა დ. რეხვიაშვილმა. გულრიფშელები სიხარულით შეხვდნენ წინადადებას, რომ მათ კოლმეურნეობას ეწოდოს რუსთაველის სახელი. დაიდგმება დიდი პოეტის ბიუსტი. სიტყვები წარმოთქვას კ. კალაძემ, ი. თარბამ და სხვებმა. **ი. წ.**

891. საქდესი

ოდა მესხეთს

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 115, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ შოთა რუსთაველის იუბილეს მიემდგნა თბილისის პუშკინის სახ. პედიანსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საზეიმო სხდომა. მოხსენება – „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ – წაიკითხა პროფ. დ. ბენაშვილმა.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, სადაც საქ. სსრ სახალხო არტისტმა დ. გამრეკელმა და ინსტიტუტის გუნდმა პირველად შეასრულეს რ. ლადიძის სიმღერა „ოდა მესხეთს“. **ც. ე.**

892. საქდესი

ემღვნება რუსთაველს

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 224, გვ. 3;
„თბილისი“, 1966, 1 ოქტ. № 231, გვ. 2.

ანგარიში: 29 სექტემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა რუსთაველის საიუბილეო კონცერტი. დარბაზში იყვნენ საბჭოთა და უცხოელი მწერლები, მეცნიერები, დელეგაციები სსრკ-ს ქალაქებიდან, დედაქალაქის მშრომელები და ინტელიგენცია, ხელისუფლების წარმომადგენლები. შესრულდა პოეტის სადიდებელი ორატორია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი“ (ავტორი არჩილ ჩიმაკაძე), დუეტი დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ცეკვა „ქართული“ ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“, ქართული ხალხური სიმღერა „ოდოია“ და სხვა. ვ. ანჯაფარიძემ წაიკითხა „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“.

ლ. კ.

893. საქდესი

ოდა პოეტის უკვდავებისა

გაზ.: „კომუნ.“, 1966, 2 ოქტ., № 225, გვ. 1;
„ახ. კომუნ.“, 1966, 4 ოქტ., № 117, გვ. 3.

საქდესის ცნობით, 1 ოქტომბერს სპორტის სასახლეში გაიმართა თეატრალური წარმოდგენა „ოდა რუსთაველზე“. შესრულდა ო. თაქთაქიშვილის ორატორია „ოდა რუსთაველზე“; რ. ლალიძის ახალი ნაწარმოები „ოდა მესხეთზე“; არია დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და სხვა. გ. საღარაძემ წაიკითხა ნაწევრები „ვეფხისტყაოსნიდან“.

ლ. კ.

894. საქდესი

შეხვედრა ვ. კერნაბახთან

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 6 ოქტომბერი, № 228, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში მოეწყო შეხვედრა რუმინულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთან, პოეტ ვიქტორ კერნაბახთან. სტუმარს გულთბილად მიესალმნენ ინსტიტუტის დირექტორი ვ. ქოჩორაძე, მასწავლებლები და ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტები.

თ. ნ.

895. ნ. საყვარელიძე

ვარძისაკენ

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 1 ოქტომბერი, № 116, გვ. 3.

ავტორი მხატვრულად აღწერს სამცხე-ჯავახეთში საზეიმო მსვლელობას, რომელშიც 34 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ისინი დაესწრნენ რუსთაველის ძეგლის გახსნას სოფ. რუსთავში, შემდეგ კი დაათვალიერეს ხერთვისი, თმოგვი და ვარძია.

ი. კ.

896. ალ. სერაფიმოვიჩი

[შოთა რუსთაველი]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 სექტემბერი, № 220, გვ. 3.

„ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენს შესანიშნავ, ნათელ, სიხარულით აღსავსე ქვეყანას – ნორჩ ვარდს, მიუხედავად მისი კულტურის და ბრძოლის ათასწლეულებისა. ახალგაზრდამ მან შვა უშესანიშნავესი პოეტი, საუკუნეებში რომ ცოცხლობს, – შოთა რუსთაველი“.

ი. კ.

897. სერგეი სერებრიაკოვი

შოთა რუსთაველი მსოფლიოს უდუდესი პოეტია

გაზ. „ახ. ცხოვრ.“, (საჩხ. რ) 1966, 23 ივლ., № 86, გვ. 1;

აგრ. ჟურ. „Русский язык в Грузинской школе“, 1966, № 2, გვ. 26-31.

ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი საუკუნეა, რაც მსოფლიოს მოწინავე ადამიანები იცნობენ რუსთაველის ნაწარმოებს და ისინიც უმეტესად თარგმანების საშუალებით, რაც ვერასდროს იქნება ორიგინალის ტოლფასი. ამის მიუხედავად რუსთაველმა დამსახურებულ დაიკავა საპატიო ადგილი მსოფლიო მწერლობის ბუმბერაზების გვერდით. ეს განპირობებულია არა მარტო რუსთაველის პოეტური ოსტატობით, არამედ იმ დიდებული იდეალებით, რომლებსაც ქადაგებს რუსთაველი: ადამიანის პიროვნების თავისუფლება, ამაღლებული სიყვარული და ქალისადმი პატივისცემა, უანგარო მეგობრობა, ხალხთა მეგობრობის იდეა და სხვ.

გ. ა.

898. ს. სერებრიაკოვი

ს. შიმანსკის სტატიის შესახებ

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 აგვ., № 196, გვ. 6.

მკვლევარი გაზეთში აქვეყნებს ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის სტეფან შიმანსკის წერილის თარგმანს („უმრეტი კოკა, ნარკვევი ქართველი შექსპირის – რუსთაველის შესახებ“), რამდენიმე შენიშვნის თანდართვით. ს. სერებრიაკოვის აზრით, სტ. შიმანსკი ზედმეტი ნდობით ეკიდება ლეგენდებში გადმოცემულ ცნობებს რუსთაველის ბიოგრაფიულ მომენტებზე.

სტ. შიმანსკის სტატია პირველად დაიბეჭდა 1944 წ. ჟურნალში „ლაიფ ენდ ლიტერზ ტუდეი“ (იხ. „რუსთველოლოგიური ლიტ.“, II, ანოტ. №97-2143a).

გ. ა.

899. Сергей Серебряков

Поэма Руставели за рубежом

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, № 6, გვ. 86-92.

ნაშრომში გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ისტორია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ბელგიურ და სხვა ენებზე; განხილულია უცხოეთის ლიტერატურული კრიტიკა რუსთაველის შესახებ. კერძოდ, 1942 წელს ინგლისურ ჟურნალ „News and letters today“-ში გამოქვეყნებული სტეფან შიმანსკის სტატია

„Неисчерпаемый сосуд“ (ნარკვევები რუსთაველის, ქართველი შექსპირის, შესახებ) და ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის მ. ბოურას კრიტიკული წერილების კრებული „ზეშთაგონება და პოეზია“, რომელშიც ერთი სტატია რუსთაველს ეძღვნება.

ლ. კ.

900. ვ. სიღამონიძე

შოთა რუსთაველის ეპოქის მოღვაწე აწრისხევიდან

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 21 ივნ., № 120, გვ. 4.

წერილში საუბარია XII ს-ის მოღვაწე, თამარ მეფის მდივან-მწიგნობარ იაკობ აწრელიძეზე და მისი ხელით დაწერილ ერთ სიგელზე. აწრისხევი ამჟამად სოფელია ცხინვალის ზევით 25-30 კილომეტრზე. XII ს-ში აწრისხევი მნიშვნელოვანი ქალაქი ან დაბა უნდა ყოფილიყო (სოფლის ახლოს შემორჩენილია დიდი ციხე-სიმაგრის ნანგრევები). აქაური ყოფილა იაკობ აწრელიძე, რომელსაც სასახლის კარზე მდივან-მწიგნობარის თანამდებობა სჭერია.

მის მიერ დაწერილი სიგელი ეხება თამარის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ორი კვამლი გლეხის შეწირვას „წყლის მკაზმელად“ (პატრონად, მეთვალყურედ?), რაც ანტონ ჭყონდიდელს გაუყვანია ამ მონასტრისათვის.

სიგელი დაწერილია კარგი კალიგრაფიით, ახლავს თამარის, დავით სოსლანის და პირველი ვაზირის ანტონ ჭყონდიდელის ხელმოწერები.

ბ. ა.

901. ვ. სიღამონიძე

დიდი მგოსნის სურათი ხალიჩაზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 13 ივლისი, № 162, გვ. 3.

„ივერიის“ ცნობებზე დამყარებით, ავტორი საუბრობს როზა მეფისაშვილის მიერ ხალიჩაზე მ. ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ილუსტრაციის გადატანაზე.

ბ. დ.

902. ვ. სიღამონიძე

დაკარგული მელოდია

გაზ. „თბილისი“, 1966, 17 თებერვალი, № 40, გვ. 3.

ავტორს მოაქვს გაზ. „ივერიის“ ცნობა ციციშვილების საგვარეულო სიმღერის „შეკრა წითელის“ შესახებ; მიიჩნევს, რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზეა („შეკრა წითელი ასი ათასი...“) შექმნილი და კითხულობს: „იქნებ ვინმემ იცოდეს მისი მელოდია?“

ბ. დ.

903. ვ. სიღამონიძე

ილია ჭავჭავაძის ლექციები

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 აგვისტო, № 203, გვ. 3.

ავტორი „დროების“ ქრონიკის მიხედვით არკვევს, რომ 1887 წლამდე, ვიდრე აკაკი წერეთელი წაიკითხავდა ლექციებს „ვეფხისტყაოსანზე“, ჯერ კიდევ 1884 წლის ოქტომბერში ილია ჭავჭავაძე მომზადებულა „ვეფხისტყაოსანზე“ ლექციების ციკლის წასაკითხად, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია და ამჟამადაც ჩვენთვის

უცნობია მისი შედგენილობა, თუმცა, ავტორის ვარაუდით, ილიას ლექციების შინა-
არსი ერთგვარად უნდა ასახულიყო 1887 წელს მის მიერ დაწერილ კრიტიკულ წე-
რილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“.

ლ. კ.

904. ნ. სიმონიძე

მსოფლმხედველობრივი საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში

გაზ. „კომუნიზმის გზით“ (წულუკიძის რ.), 1966, 29 სექტ., № 116, გვ. 2-3.

ავტორი შენიშნავს, თუმცა რუსთაველს ფილოსოფიური ტრაქტატი არ დაუწე-
რია, მის მხატვრულ შემოქმედებაში ჩანს მსოფლმხედველობითი საკითხის მატერი-
ალური გადაწყვეტა. ფილოსოფიური დისციპლინებიდან „ვეფხისტყაოსანში“ მნიშვ-
ნელოვანი ადგილი ეთმობა ესთეტიკასა და ეთიკას.

რუსთაველისა და პლატონის შეპირისპირებისას ავტორი აღნიშნავს: თუ პლა-
ტონი უდიდეს პრიორიტეტს ანიჭებდა ზებუნებრივი იდეებისადმი სიყვარულს,
რუსთაველის გაგებით, ნამდვილი სიყვარული ამქვეყნიურია, მატერიალურ ყოფას-
თან დაკავშირებული კატეგორიაა. რუსთაველისათვის არ არსებობს სამყაროს აბსო-
ლუტური მშვენიება; ის მშვენიერებას ხედავს ადამიანებსა და ბუნების მოვლენებში.

ავტორის აზრით, რუსთაველის მსოფლმხედველება იმ ეპოქისთვის დიდ მოვ-
ლენას წარმოადგენდა. ამის დადასტურებაა თუნდაც ის, რომ რამდენიმე საუკუნის
შემდეგ მსგავსი იდეების ქადაგებისათვის ინკვიზიციამ დასაჯა ჯორდანო ბრუნო,
გალილეო გალილეი და რენესანსის ეპოქის სხვა დიდი მოაზროვნეები.

გ. ა.

905. რევაზ სირაძე

რუსთაველის ნაკვალევზე

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 2.

წერილში საუბარია რუსთაველის კაბინეტის მიერ მოწყობილ პროფესორ-მას-
წავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციაზე მესხეთ-ჯავახეთში რუს-
თაველისდროინდელი ისტორიული ძეგლების გაცნობისა და გამოფენისათვის საჭ-
ირო მასალების შესაგროვებლად. ავტორი განსაკუთრებულად აღნიშნავს ოქროს ცი-
ხეს (ახალცხეთან); ქვაბისხევის ბაზილიკის ფრესკებს წარწერით – „შოთა“ და „იაჲ“
და ვანის ქვაბში არსებულ წარწერებს რუსთაველის პოემის ტექსტიდან.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის ნაკვალევი ყველაზე ცხადად მესხეთს ეტ-
ყობა, აქ ბევრი რამ არის შემორჩენილი, რაც დაკავშირებულია დიდი პოეტის ბიოგ-
რაფიასა და მის თხზულებასთან.

გ. ა.

906. რ. სირაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის ერთი საკითხი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის
რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნ. სესია [თეზისები], თბ., 1966, გვ. 30-31.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში ე.წ. „ზედმეტი“ „და“-ს სა-
კითხს და აღნიშნავს, რომ იგი „ლექსთწყობის თვალსაზრისით მეოთხე ტაეპს კი არ

უძღვის წინ, არამედ მესამეს ერთვის ბოლოს. ეს «და» ინტონაციურ-მელოდიკური და რიტმული ფუნქციის შემცველია. იგი ამზადებს სტროფის დასასრულის დაწყებას...“. მთელი პოემის მანძილზე არღვევს „სტროფის შინაგან იზომეტრიას“. „და“-ს ეს ფუნქცია „დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის“. **ბ. დ.**

907. რ. სირაძე

**„ვეფხისტყაოსნის“
მე-9 სტროფის განმარტებისათვის**

თსუ ფილ. ფაკ-ის X სამეცნიერო სესია, თეზისები, 1966, გვ. 9-10.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 სტროფში სიტყვა „სპარსული“ ლიტერატურული ტერმინის მნიშვნელობით იხმარება. პოემის ამბავი „სპარსულია“ (რამდენადაც იგი გამონაგონია), ოღონდ იგი ადრევე ყოფილა „ქართულად ნათარგმანები“ (განმარტებული) – გაგებული ქართველთა თვალსაზრისით. შემდეგ რუსთველი აღნიშნავს, რომ ეს ამბავი თვითონ კი არ შეუთხზავს, არამედ „პოვა“ და მან მხოლოდ „ლექსად გარდათქვა“. აქ იგი სიუჟეტის გაუცხოების ხერხს იყენებს, რითაც თავს არიდებს პასუხისმგებლობას, რომელსაც მას დააკისრებდა „სპარსული“ (არარეალური) ამბის შეთხზვა, თუნდაც ეს ამბავი საყოველთაოდ აღიარებული, „ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები“ ყოფილიყო. ამიტომ ითხოვს რუსთველი ნებართვას „ხელმქმნელისაგან“ ბოლო ტაეპში. **ლ. კ.**

908. ვ. სიხარულიძე

**სამყაროს შემეცნების ზოგიერთი პრობლემა
„ვეფხისტყაოსანში“**

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძე), 1966, 3 სექტემბერი, № 105.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის მიხედვით სამყარო ერთიანი და მატერიალურია. მისი განვითარება ობიექტური კანონების საფუძველზე მიდის, როგორც ერთიანი და განუწყვეტელი პროცესი.

პოემის პირველი სტროფი ნათლად აშუქებს საკითხს, თუ რა უნდა გვესმოდეს **სამყაროს და ქვეყნის ცნებების ქვეშ.**

პოემის ყველა ადგილი სანიმუშო და წარმტაცია თავისი შინაარსით და გადმოცემის საოცარი ფორმებით, მუსიკალობით, ადამიანის შინაგანი სულიერი განცდების, გარე სამყაროსადმი დამოკიდებულების მხრივ. ბრძენი ავთანდილის სულიერი განცდები ვეღარ თავსდებიან დედამიწის მოქმედების სფეროში და ისწრაფვიან, თავისი ბედი შესჩივლონ მზის სისტემის მნათობებს და ვარსკვლავთა სამყაროს.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს პოეტის მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი და ამ თვალსაზრისით შენიშნავს, რომ უფრო ღრმად შესწავლის საგანია საერთოდ რუსთაველის დამოკიდებულება რელიგიისადმი. თავის მხრივ კი დასძენს, რომ რუსთაველი არ არის არცერთი ოფიციალური რელიგიის მიმდევარი, იგი არ იზიარებს არცერთ უძველეს რელიგიას, ჩინეთისა თუ ინდოეთის, ეგვიპტისა თუ საბერძნეთის, რომისა თუ სხვ. **ი. კ.**

909. იური სიხარულიძე

საქართველო რუსთაველის ეპოქაში

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 29 იანვ.; 1, 8, 19, 24 თებერვალი;
17 მარტი; 14 მაისი; 21 ივნისი (№ № 13, 14, 17, 22, 24, 33, 47, 73).

ავტორის მიზანია იმ მიღწევების დემონსტრაცია, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვება XII-XIII საუკუნეების შესწავლის თვალსაზრისით. ამ ეპოქას „ოქროს ხანას“ უწოდებენ. საქართველოს ისტორიის იგივე მონაკვეთი თამარ მეფის ან რუსთაველის ეპოქის სახელითაც არის ცნობილი. რუსთაველის ეპოქა XII ს-ის უკანასკნელ მესამედსა და XIII ს-ის I მესამედს მოიცავს. ის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისა და ძლიერების ხანაა.

ავტორი ცალკეულ ქვეთავებში საუბრობს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ სტრუქტურაზე, სახელმწიფოს მმართველობის სისტემასა და ლაშქრის ორგანიზაციაზე.

ბოლო წერილში (21 ივნისის ნომერში) ავტორი მოგვითხრობს ეკერის ხევში (იგივე ქვაბისხევი, ბორჯომის ხეობაში) ნ. ბერძენიშვილის მიერ 1947 წელს აღმოჩენილი ფრესკის შესახებ, სადაც შუახნის ქალისა და მის გვერდით მდგომი უწყვერული ჭაბუკის სურათებს აქვთ წარწერები: „იად“ და „შოთა“.

გ. ა.

910. ქსენია სიხარულიძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ხალხური შემოქმედება

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 22 სექტ., გვ. 3; „თბილ. უნივერსიტეტი“, 1966, 23 სექტ., № 28, გვ. 3; აგრ. კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 174-195.

მკვლევრის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებისა და ქართული ხალხური საგმირო პოეზიის მსგავსებას სხვადასხვა ასპექტი აქვს. ერთ შემთხვევაში მსგავსება პოეტისა და მისი მშობელი ხალხის საერთო იდეური სამყაროდან მომდინარეობს, მეორე შემთხვევაში მსგავსების მიზეზი ლიტერატურული და ხალხური ძეგლების საგნობრივი კავშირია, – ან პოეტი დაესესხა ხალხს, ან კიდევ რუსთაველის სტრიქონები ხალხმა თავის შემოქმედებას შეაქსოვა. ნიმუშად განხილულია ხალხური ლექსი „ავთანდილ გადინადირა“, რომელიც მკვლევარს „ვეფხისტყაოსანზე“ ადრინდელად მიაჩნია.

საერთოდ, – წერს იგი, – ყოველგვარი ანალოგია საკვლევ თემატიკაში ქართული სინამდვილიდან მოდის. ეს ანალოგები იმის მაჩვენებელია, რომ შოთა რუსთაველი მისი მშობელი ერის უბადლო მესიტყვეა.

გ. ა.

911. ქ. სიხარულიძე

**გმირისა და მეგობრის იდეალი „ვეფხისტყაოსანსა“
და ხალხურ პოეზიაში**

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 25 სექტემბერი, გვ. 2.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ შოთას უკვდავი პოემის ღრმა ეროვნულ ფესვებს ყველაზე ნათლად ხალხური შემოქმედების ძეგლებთან მისი მსგავსება წარმოაჩენს.

ხალხური პოეზიისა და „ვეფხისტყაოსნის“ თანხვედრის მაგალითების განხილვის საფუძველზე წერილის ავტორი დაასკვნის: ესა და სხვა ამგვარი მაგალითები უკვდავ-უბერებელი ჰიმნია მეგობრობის – ადამიანის ამ უკეთილშობილესი გრძნობისა.

რუსთაველის დიადი ქმნილების ღრმა ეროვნულ ფესვებს აჩვენებენ აგრეთვე გმირისა და მეგობრის იდეალის გამოხატვის მხატვრულ ხერხთა ანალოგიები ხალხურ საუნჯეში. ამ მხრივაც „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი სტროფი ხალხურ საგმირო პოეზიას ენათესავება. „ვეფხისტყაოსანსა“ და საგმირო პოეზიაში გვხვდება მსგავსი პოეტური ფერები – სიმბოლიკა, ეპიტეტები, შედარებანი, მხატვრული კონსტრუქცია, ინტონაცია, რიტმი და რითმათა დინება.

განსაკუთრებით დიდი მსგავსებაა „ვეფხისტყაოსანსა“ და საგმირო პოეზიას შორის მეტაფორული აზროვნების მხრივ.

რუსთაველი თავის გმირთა მხნეობისა და სიმამაცის დასახატავად იშველიებს ტრადიციულ ხალხურ სიმბოლოს – „რკინის გულს“.

ანალოგიები რუსთაველის პოემიდან და ჩვენი ეროვნული საუნჯიდან იმაზე მეტყველებს, რომ დიდ პოეტსა და ქართველ ხალხს სავაჟკაცო კოდექსის, მეგობრობისათვის თავგანწირვის პოეტურად წარმოსახვისას ერთი საერთო წყარო აქვთ – ქართველი ხალხის მდიდარი იდეური სამყარო. ეს ანალოგიები ცხადყოფს „ვეფხისტყაოსნის“ ღრმა ეროვნულ ფესვებს.

ც. კ.

912. **Галина Сметанина**

Глазами скульптора

ჟურ. „Огонек“, 1966, № 38, გვ. 18.

ავტორი წარმოგვიდგენს რუსთაველის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს ე. ამა-შუკელის შემოქმედებიდან. მხატვარს ეკუთვნის რუსთაველის ბარელიეფი, გაფორმებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამოცემა. მისი ჭედური ნამუშევარი – ტარიელისა და ვეფხის შებრძოლების სცენა – განთავსებულია მეტროს სადგურ „რუსთაველის“ შესასვლელში. მხატვარი მონაწილეობას მიიღებს რუსთაველის ძეგლის პროექტზე გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც გაიმართება 1967 წლის აპრილში.

ლ. კ.

913. **სერგეი სმირნოვი**

[რუსთაველი]

*გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტემბერი,
№ 223, გვ. 2.*

ავტორი გამოთქვამს დიდ სიხარულს რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის გამო. იხსენებს ქართველებს, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ბრესტში. „აღბათ, მათაც აღაფრთოვანებდა რუსთაველის უკვდავი აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ – შენიშნავს ს. სმირნოვი. იგი აგრეთვე აღტაცებით იხსენებს იმ დღეს, როდესაც ჩილეში ნახა ესპანურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

ლ. კ.

914. **К. Степанян**

„Витязь“ на армянском языке

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 18 აგვისტო, № 193, გვ. 3.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სარკის ბასტამიანის, ვაგან ტერიანისა და გევორქ ასატურის თარგმანებს, ამ უკანასკნელის სრულყოფის საქმეში პარული მურადიანის დამსახურებას. გევორქ ბაშინჯადიანის, ოვანეს თუმანიანის, იოსებ ორბელიისა და სურენ ერემიანის დამოკიდებულებას რუსთაველისა და მისი პოემისადმი.

ბ. დ.

915. **Илья Стовбун**

Бессмертное творение Руставели

გაზ. „Кутаисская правда“, 1966, 22 სენტ., № 116, გვ. 2.

ავტორი გვამცნობს, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში აღინიშნება რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. იუნესკოს გადაწყვეტილებით, იუბილე მსოფლიო მნიშვნელობისა იქნება. შემდეგ მიმოიხილულია ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა ქართველი პოეტი. ჟურნალისტი ყურადღებას ამახვილებს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში არსებულ ფრესკაზე, რომელსაც იმდენად დაუინტერესებია, რომ საგანგებოს სწვევია ჯვრის მონასტერს.

მონასტრის წიგნთსაცავში მკვლევარმა მოიძია კრებული „ახალი სიონი“, სადაც აღმოჩნდა ცნობები რუსთაველის შესახებ. 1192 წ. თამარ მეფის ბრძანებით იგი მონასტრის აღსადგენად სწვევია იერუსალიმს.

ამ ცნობას ავტორი განამტკიცებს ქართველი მეცნიერის ალ. ცაგარელის სიტყვებით, რომელიც გვამცნობს, რომ 1192-93 წლებში რუსთაველი სულთან სალადინს ესტუმრა და მისგან 200 000 დინარის საფასურად გამოისყიდა ჯვრის მონასტერი.

თ. ბ.

916. **И. Стовбун**

К вопросу об иерусалимском периоде жизни и творчества Шота Руставели

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 18 ივლისი, № 166, გვ. 3.

ავტორი გადმოგვცემს იერუსალიმის მოკლე ისტორიას და იმ ცნობებს, რომელიც შოთა რუსთაველს მასთან აკავშირებს.

ბ. დ.

917. **ლიუდმილ სტოიანოვი**

კულტურის მწვერვალზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 3.

ბულგარელი მწერალი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემას ის გაეცნო 1936 წელს მოსკოვში. იქვე წერს: „განმაცვიფრა პოეტის მაღალმა ფანტაზიამ, მისი სულიერი სამყაროს კეთილშობილებამ, ღრმა სიბრძნემ, განცდათა რომანტიკამ, რიტმულობამ მისი თხრობის დინებაში... ასეთი პოეზიის შექმნა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელმაც თავისი საუკუნის მწვერვალს მიაღწია და ფეოდალური წყვდიადის წინააღმდეგ აღდგა“.

გ. ა.

918. მელიორ სტურუა

რუსთაველი ოქსფორდში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტემბერი, № 219, გვ. 5.

ავტორი აღწერს ოქსფორდში მიღებულ შთაბეჭდილებას, მოკლედ გადმოგვცემს ოლივერ და მარჯორი უორდროპების საქართველოს წინაშე დამსახურებას და „ბოდლიანის“ ბიბლიოთეკაში ყოფნას, სადაც მას გაუცვნია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი (რომელიც მზითვად გაუტანებიათ ვინმე კლდიაშვილის ქალისათვის), „ვეფხისტყაოსნის“ 1887 წლის გ. ჩარკვიანის გამოცემა, რომელიც მარჯორისათვის სამუშაო ცალი ყოფილა, და ქუთაისის გიმნაზიის სტუდენტთა ხელნაწერი ჟურნალი „ოპოზიცია“, რომელიც მარჯო-რისათვის ქუთაისში უჩუქებიათ. **ბ. დ.**

919. იან სუდრაბკალნი

ჩვენთან ერთად

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 2.

ლატვიელი მწერალი აღნიშნავს, რომ რუსთაველი თავისი მხარის პატრიოტი, ინტერნაციონალისტია, რაც ძვირფასი და საჭიროა დედამიწის ყველა ხალხისათვის... „რუსთაველის ლექსის საოცარი ოსტატობა დღევანდელ პოეტებს მოაგონებს, მკაცრნი იყონ საკუთარი თავისადმი. ბრმად, მონურად კი არ ბამავდნენ დიად ნიმუშებს, არამედ გაბედულად, ხალისიანად ეჯიბრებოდნენ მათ შემოქმედებითს შრომაში“.

გ. ა.

920. ვ. სულაკაური

მცინვარწვერს – შუქი მზისაო

გაზ. „ახ. კომუნისტი“, 1966, 15 სექტ., № 109, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ ხევში, ყაზბეგის რაიონში, შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმი მცინვარწვერზე ასვლით დაიწყო. 85-კაციან ჯგუფში იყვნენ თბილისის სახ. უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, უცხო ენათა და პუშკინის სახ. პედინსტიტუტების სტუდენტები და ყაზბეგის რაიონის საშ. სკოლის მოსწავლეები. მათი მეთაური და მეგზური იყო ცნობილი ალპინისტი ვახტანგ ქირიკაშვილი. მოლაშქრეებმა მცინვარწვერზე აიტანეს შოთა რუსთაველის ბარელიეფი წარწერით „ხევის მშრომელებისაგან“.

გ. ა.

921. ივანე სურგულაძე

რუსთაველის

პოლიტიკურ შეხედულებათა შესახებ

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 130-140; „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, № 9, გვ. 28-30; გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, № 35, გვ. 2; ჟურ. „Лит. Грузия“, 1966, № 6, გვ. 93-96.

ავტორის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ სახელმწიფოს პოლიტიკური საკითხები უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი, ვიდრე სამართლისა. რუსთაველის შეხე-

დუღებანი სახელმწიფოსა და სამართალზე პროგრესული და ჰუმანურია. მან წამოაყენა იდეა გაერთიანებული, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსი, გონიერი, განათლებული და ძლიერი მონარქით. საზოგადოების დანაწილება არათანასწორუფლებიან ფენებად დამყარებულია საზოგადოებრივ ფუნქციის დანაწილებაზე: ერთი მმართველია, მეორე – მეომარი, მესამე – მიწის მუშა და ა. შ.

პოემაში ძირითადად საუბარია ფეოდალური საზოგადოების მაღალ ფენაზე, წვრილი ფეოდალები და მშრომელი მასების წარმომადგენლები ეპიზოდურ როლებში გვხვდებიან. რუსთაველის აზრით, ადამიანთა ურთიერთობა ჰუმანური უნდა იყოს, მეფე ქვეშევრდომებზე ზრუნავდეს. ამავე დროს პოეტი გმობს ფეოდალთა ურჩობას, მაგრამ მეფე თუ სამართლიანი არ არის, ქვეშევრდომს შეუძლია არ დამორჩილოს მას. პროგრესულია პოემის ერთ-ერთი ძირითადი იდეა – ქალისა და მამაკაცის თანასწორობა სახელმწიფოს მმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გ. ა.

922. ი. სურგულაძე

ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით

კრებ.. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 92-118.

ავტორი იხილავს ტახტის მემკვიდრეობის საკითხის შესწავლის ისტორიას, განსაკუთრებით ალ. ბარამიძის მოსაზრებათა მიხედვით, და ანალიზს უკეთებს თინათინისა და ნესტანის გათხოვების ვითარებას თამარ მეფისა და მისი ქალიშვილის, რუსუდანის, გათხოვების სამართლებრივ საფუძველს ქართულ წესთან მიმართებაში. საილუსტრაციოდ ფართოდ იყენებს პოემიდან და ქართული ისტორიული ძეგლებიდან სათანადო ადგილებს. ავტორის დასკვნით, რუსთაველი ფეოდალური, ე. ი. კლასობრივი საზოგადოების ნიადაგზე დგას და რამდენადაც კლასობრივ საზოგადოებაში არ შეიძლება ქალის და კაცის თანასწორობა, იმდენად მას არ შეუძლია ქალისა და მამაკაცის თანასწორობა აღიაროს, თუმცა თვით ამ ფეოდალური საზოგადოების შიგნით ცალკეული ფენების ფარგლებში ასეთ თანასწორობას ქადაგებს.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით, არაბეთსა და ინდოეთში ტახტის მემკვიდრეობა ვაჟზე გადადიოდა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ტახტზე შეიძლებოდა ქალი ასულიყო. ასევე იყო საქართველოშიც. თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით „ვეფხისტყაოსანში“ მოტანილი და-საბუთებიდან შეიძლება დაესკვნას, რომ შოთა რუსთაველი მომხრეა უადრესად პროგრესული იდეისა, რომ გარკვეულ ვითარებაში ქალი და მამაკაცი თანაბარი უფ-ლებით უნდა სარგებლობდნენ. სამეფო გვარის ქალს შეუძლია მამაკაცის თანასწო-რად ტახტი დაიჭიროს.

გ. ი.

923. ნოდარ ტაბიძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ი. ჭავჭავაძის „ივერია“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ. 1966, № 9, გვ. 85-89.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, თუ რა როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსანმა“ გაზ. „ივერიის“ პროგრამის განხორციელებაში, როგორ იყენებდა რედაქცია რუსთაველის ქმნილებას. «ივერია» ვეფხისტყაოსანს იყენებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებისათვის, რისთვისაც დიდ ადგილს უთმობდნენ მის იდეურ

და მხატვრულ ანალიზს, მის შუქზე ახდენდნენ ყველა თვალსაჩინო თხზულების კვალიფიკაციას. ივერიელთათვის „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური შთაგონებისა და სულიერი მხნეობის წყაროს წარმოადგენდა, როგორც პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის გამომხატველი თხზულება. ამიტომ მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის სულიერი ფორმირების, ახალგაზრდობის სამშობლოსადმი თავდადების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით აფასებდნენ „ვეფხისტყაოსანს“ სალიტერატურო ენის განმტკიცებისათვის ბრძოლაშიც. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს თუ ცალკეული თქმების პერიფრაზირებას ისინი ხშირად იყენებდნენ პროგრესული იდეალების ქადაგებაში.

გ. ი.

924. ლამარა ტატიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერნი

გაზ. „სახ. განათლება“, 1966, 28 სექტ.

საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება 1646 წელს მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ფრიად საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზაზა ციციშვილისეული ნუსხა, რომელიც იოსებ ტფილელს გადაუწერია XVII ს. 60-იან წლებში. აქვეა დაცული გივი თუმანიშვილის ვრცელი რედაქცია. პოემის ხელნაწერებს შეემატა მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში შალვა გოზალიშვილის მიერ მიკვლეული 1812 წლის ხელნაწერი, გადაწერილი ნინო მაისურაძის მიერ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H კოლექციაში დაცულია პოემის ვრცელი რედაქცია, რომლის ქალაქის ჭვირნიშანი 1820 წელს აღნიშნავს.

ი. კ.

925. ნიკოლოზ ტიხონოვი

საერთო - სახალხო ზეიმის წინ

ჟურ. „კომუნისტი“, 1966, № 9, გვ. 85-89.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე საუბრობს საქართველოსა და სსრ კავშირის დიდ ქალაქებში რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებზე. მოეწეობა საბჭოთა კავშირის მწერლების, კულტურის მოღვაწეებისა და უცხოელი სტუმრების საზეიმო შეხვედრები თბილისში, ახალციხეში, ვარძიაში, მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში. იუბილეს დღეებში მოეწყობა მწერლების საერთაშორისო ფორუმი თემაზე: „პოეზიის ადგილი თანამედროვე კულტურაში“. მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში გაიხსნება გამოფენა „ქართული კულტურა XII ს-დან დღემდე“. მოსკოვში დაიდგმება პოეტის ძეგლი. ჩატარდება სამეცნიერო სესიები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები.

გ. ა.

1026. ნ. ტიხონოვი

პოეტი და დრო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას და მისი იდეების კავშირს თანამედროვეობასთან: „როცა რუსთაველის ეპო-

ქას დღევანდელი დღის სიმაღლიდან გადავყურებთ, ვხედავთ, რომ რუსთაველის დროს მომხდარი ამბები ძალზე მნიშვნელოვანია როგორც თვით საქართველოს ბედისათვის, ასევე იმდროინდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ პოეტური პირობითობით ასახული სამყაროს შემეცნება ძალზე დიდია. ...გმირულის გვერდით ჩვენ ვხედავთ ახალი ჰუმანიზმის გამოვლინებას, რომელშიც ჩაქსოვილია მამაცი ხალხის ინტერნაციონალური მეგობრობის იდეა“.

ავტორის თქმით, „პოეტის კეთილშობილური მოწოდება დღესაც ძალაში რჩება; იმავე მოთხოვნებს უყენებს დღეს ქვეყნის ცხოვრება თანამედროვე პოეტს“. **გ. ა.**

927. Н. Тихонов

Перечитывая „Вепхис ткаосани“

გაზ. „*Лит. Газета*“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 1.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველის პოემა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, ის შევიდა მსოფლიო პოეზიის ყველაზე გამოჩენილი ძეგლების კრებულში, მაგრამ ქართველმა ხალხმა განსაკუთრებულად შეინახა ის თავის გულსა და მეხსიერებაში. პოემა შეერწყა ხალხის ცხოვრებას, ის ცოცხლობდა როგორც წარმტაცი ლექსის წიგნი და როგორც აღზრდის წყარო, ღირსების კოდექსი. ის გახდა ზნეობრივი წესების კრებული, განმტკიცებული ხალხური ჩვეულებებით.

XII საუკუნის ჰუმანიზტის ხმა დღეს უერთდება პოეტების ხმას მრავალი ერისა, რომლებიც ებრძვიან ჩაგვრას და უსამართლობას, ეძებენ მეგობრებს და მშვიდობას.

გ. ა.

928. Н. Тихонов

Песня братства, дружбы, мира

გაზ. „*Кутаисская правда*“, 1966, 29 სექტ., № 117, გვ. 2-3;

ჟურ.: „*Октябрь*“, 1966, № 9, გვ. 3-5;

„*მნათობი*“, 1966, № 9, გვ. 42-43.

ავტორი ხოტბას ასხამს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომელმაც შუა საუკუნეების დასასრულსა და რენესანსის გარიჟრაჟზე ქრისტიანული და ისლამური კულტურის გზაგასაყარზე შექმნა პოემა, რამაც იგი აღორძინების ეპოქის მახარობლად და მის უპირველეს პოეტურ რაინდად აქცია და ამით მან იქადაგა შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრების საჭიროება.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს XII ს. საქართველოს, ისტორიულ გარემოს, თამარის მმართველობის წლებს. ახასიათებს პოემის პერსონაჟებს, რომლებიც გვევლინებიან არა განყენებულ, ცივ და უსიცოცხლო, არამედ ცოცხალ და შთამბეჭდავ ადამიანებად. ავტორი მიიჩნევს, რომ პოემაში გამოთქმული ბრძნული აზრები, პერსონაჟთა ცოცხალი, სისხლსავსე სახეები განაპირობებს რუსთაველისადმი დიდ სიყვარულს. ამიტომაც იგი ერთნაირად ძვირფასი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებისთვის, რომელნიც ეცნობიან მის მდიდარ, ამოუწურავ პოეტურ სამყაროს. **თ. ბ.**

929. ნიკოლოზ ტიხონოვი

მარგალიტი წყობილი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 18 სექტემბერი, № 213, გვ. 3.

ავტორი პოემის თარგმანებსა და მთარგმნელებზე საუბრობს. მიაჩნია, რომ თარგმნა ურთულესი საქმეა, რომელიც მთარგმნელისაგან მოითხოვს ძალების მაქსიმალურ დაძაბვას და გონებრივი შესაძლებლობების სრულ მობილიზაციას, რაც, ბუნებრივია, ყველას არ ძალუძს, ამიტომაც სჯერდება ბევრი ცალკეული ეპიზოდების, ნაწყვეტების თარგმნას და ვერ ბედავს შეეჭიდოს პოემის სრულად თარგმნის საქმეს.

ავტორი იგონებს იმ დროს, როდესაც პ. ი. ჩაგინმა სთხოვა, მონაწილეობა მიეღო პოემის ახალი, შ. ნუცუბიძისეული თარგმანის რედაქტირებაში, გამოხატავს თავის აღფრთოვანებას, ინტერესს ახალი თარგმანის მიმართ, რადგან გრძნობდა, რომ შ. ნუცუბიძე სძლევდა უმაგალითო სირთულეებს თარგმანზე მუშაობის პროცესში. იგი ბედის მადლობელია იმისათვის, რომ მოისმინა პოემის ყველა სტროფი და იგრძნო ყოვლისმომცველი აღტაცება.

თ. ხ.

930. Н. Тихонов

Торжество великой поэзии

გაზ. „Заря Востока“, 1966, 25 სექტემბერი, № 221, გვ. 2.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე საზოგადოებას ამცნობს, რომ რუსთაველის იუბილე აღინიშნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება სათუთად ინახავს და აფასებს იმ მაღალადამიანურ იდეალებს, რომელზეც საუბრობს პოეტი თავის „ვეფხისტყაოსანში“, – აცხადებს ნ. ტიხონოვი, – ამიტომაც ესწრაფვიან მის თარგმნას, სწავლობენ ეპოქას, ქვეყანას, რომელმაც შვა რუსთაველი.

ნ. ტიხონოვი საუბრობს საბჭოთა კავშირში მიმდინარე საიუბილეო სამზადისზე, „ვეფხისტყაოსნის“ როლსა და დამსახურებაზე, დიდ სიყვარულზე, რომელსაც ბადებს პოემა თითოეული ადამიანის გულში, იხსენებს ცნობილ სტრიქონებს: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“, და ერთ-ერთ ასეთ დამაკავშირებელ ხიდად რუსთაველის იუბილეს მიიჩნევს.

თ. ხ.

931. Н. Тихонов

Слово и дело поэта

ჟურ. „Лит. Грузия“, 1966, № 9-10;

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველმა ბინა დაიდო ყველა საბჭოთა პოეტის გულსა და ხსოვნაში და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები, როცა რუსთაველი მეორე მსოფლიო ომსა და შემდგომ პერიოდში მძლავრად შთააგონებდა საბჭოთა ხალხს გამარჯვებასა და წინსვლას.

ბ. დ.

932. ნ. ტიხონოვი

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძე), 1966, 25 ოქტომბერი, № 127, გვ. 1.

„ვეფხისტყაოსანს“ მტკიცედ უჭირავს ადგილი იმათ სიაში, ვინაც მსოფლიო პოეზიის საგანძურთა მსოფლიო პანთეონის მშვენიერებაა, ყველაზე შესანიშნავ ქმნილებათა თაროზე, თვითულის პირად ბიბლიოთეკაში“. **თ. ნ.**

933. ბ. ტოგონიძე

რუსთაველის უცნობი პორტრეტი

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, № 9, გვ. 23.

ავტორი იუწყება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, რუსეთის გენერალური შტაბის გენერლის ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილის პირად არქივში აღმოჩნდა შოთა რუსთაველის სურათი, დახატული XIX ს-ის 80-იან წლებში ქართველი ისტორიოგრაფის ალექსანდრე სარაჯიშვილის მიერ. სურათი განკუთვნილი ყოფილა ხელნაწერი სალიტერატურო ჟურნალისათვის „შრომა“, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში ა. მ. ბენაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. (დაბეჭდილია აღნიშნული სურათი, რომელსაც აქვს წარწერა: „შოთა რუსთაველი“, ხოლო მარცხენა ქვედა კუთხეში – „ა. სარაჯოვი“). პოეტის სურათი, ხელში წიგნითა და კალმით, დახატულია ვეფხვის გაშლილი ტყავის ფონზე. **გ. ა.**

934. ბ. ტოგონიძე

ძველი ჟურნალის ფურცლებზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 17 სექტ., № 110, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს, ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილზე. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და რუსეთის გენერალური შტაბისა და საინჟინრო აკადემიის გენერალი, თვალსაჩინო საზოგადოებრივ-სალიტერატურო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით XIX ს-ის 80-იან წლებში პეტერბურგში დაარსდა ხელნაწერი სალიტერატურო ყოველთვიური ჟურნალი „შრომა“, რომლის რედაქტორი და გამომცემელი თვითონვე იყო. ანდრია ბენაშვილის პირად არქივში აღმოჩნდა ჟურნალის მთლიანი კომპლექტი. ერთი ნომერი მიძღვნილია რუსთაველის ხსოვნისადმი. მიკვლეულია ჟურნალში დაბეჭდილი სურათიც, რომელზეც პოეტი გამოხატულია ვეფხის ტყავის ფონზე. იგი 1880 წელს პეტერბურგში მოღვაწე. ცნობილ ისტორიოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსანდრე სარაჯიშვილს შეუსრულები. **ლ. კ.**

935. ევ. ტოლსტაია, არმან ლანუ

მსოფლიოს იგი „პო“-ს ეუბნებოდა

გაზ.: „Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 4; „კომუნისტი“, 1966, 28 სექტ., № 221, გვ. 3.

ავტორები წერენ: ერუდიტებს თუ არ ჩავთვლით, ფრანგებმა რუსთაველი „აღმოაჩინეს“ მას შემდეგ, რაც სერგი წულაძის თარგმანი გამოქვეყნდა პარიზში.

შოთა რუსთაველი თანამედროვე პროვანსელი ტრუბადურის ბერნარდ დე ვენტადორნისა და კრეტიენ დე ტრუასი. ავტორების თქმით, „განსაცვიფრებელია პარალელი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და კრეტიენ დე ტრუას „ლომის რაინდს“ შორის“.

გ. ა.

936. გულბათ ტორაძე

ოდა სულმნათს

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 66.

ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიას ეწოდება „ოდა სულმნათს“, რომელიც ავტორის აზრით, ისევე როგორც მისი პოეტური პირველწყარო, ირაკლი აბაშიძის ლექსთა ციკლი, ჭეშმარიტი პოეტური გრძნობითაა გამსჭვალული რუსთაველისადმი. ორატორია გამოირჩევა მასშტაბებით, მუსიკალური მასალის მაღალხარისხოვნებით და არქიტექტონიკული სიმტკიცით. კომპოზიტორმა მუსიკალური საშუალებებით წარმოგვისახა შოთა რუსთაველის პორტრეტი მისი ცხოვრების დასავალზე და ეს ნაწარმოები დარჩება „მუსიკალური რუსთაველიანს“ პირველ ღირსეულ ნიმუშად.

გ. ი.

937. Пётр Тронько

Низкий поклон тебе, братская Грузия

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 5 ოქტ., № 234, გვ. 1.

გაზეთის კორესპოდენტს ესაუბრება უკრაინის დელეგაციის თავკაცი პ. ტრონკო. მისი აზრით, რუსთაველის საიუბილეო დღესასწაულმა კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს მოძმე ხალხები, მათი კულტურა. პ. ტრონკო საუბრობს ქართველი და უკრაინელი ხალხების მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობებზე, იხსენებს დ. გურამიშვილს და სკოვოროდას, შევჩენკოს და წერეთელს, ჭავჭავაძეს და კოციუბინსკის. აღნიშნავს, რომ სულ ახლახან უკრაინელმა მკითხველმა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ მეხუთე გამოცემა, მიკოლა ბაჟანის თარგმანით. გამომცემლობა „Днипро“-მ დაბეჭდა ი. აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“, ასევე მ. ბაჟანის თარგმანით.

ი. წ.

938. ირ. ტუნტურიშვილი

ფშავსაც შემოუნახავს

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ოქტომბერი, № 231, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, ფშავში შეკრებილი გადმოცემების მიხედვით, რუსთაველს თამარ მეფესთან ერთად უმოგზაურია ფშავის ხეობაში. იგი ქალაქ ჟინვანის გამგებელი ყოფილა. ქ. ჟინვანი ყოფილა ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირზე, ახლანდელი ჟინვალიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, რომელსაც ამჟამად ნაქალაქარს ეძახიან.

გ. ა.

939. მ. ტულუში

გენიალური მოაზროვნე

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძე), 1966, 28 მაისი, № 63.

ავტორი გვიცხადებს, რომ შ. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მთავარი პრინციპია სამყაროს ერთიანობა და მისგან გამომდინარე „ერთიანი თანამონაწილეობა“ საზოგადოებაში. მთლიანობა-ერთიანობის იდეა, როგორც სინამდვილის შეცნობის საფუძველი, ათვისებულ იქნა იტალიური რენესანსის მიერ მისი განვითარების უკანასკნელ სტადიაში (ტელეზიო, ბრუნო), რუსთაველისათვის ეს იდეები ჯერ კიდევ ორი-სამი საუკუნით ადრე გახდა ამოსავალი პუნქტი, როგორც შემეცნებისა და მოქმედების დასაყრდენი.

მნიშვნელოვანი აქ ერთიანობის იდეაა, რასაც პოეტი ავრცელებს ადამიანის ფსიქიკის სფეროში. პიროვნება, მისი შეხედულებით, არის ფსიქიკურ მოვლენათა ერთიანობის შედეგი. სამყარო ერთიანია, მატერია არ ქრება, იგი ინარჩუნებს თავის თვისებებს მისი ორგანიზებული ფორმის დარღვევის შემდეგაც კი. **ბ. დ.**

940. [უავტორო]

ქრონიკა

[საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე]

გაზ.: „ლიტ. საქართველო“, 1966, 18 მარტი; „კომუნისტი“, 1966, 22 მარტი, № 35, გვ. 1; „თბილისი“, 1966, 18 მარტი, № 64, გვ. 1; „Заря Востока“, 1966, 20 მარტი, № 64, გვ. 1; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 22 მარტი, № 35, გვ. 1; ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 4, გვ. 155.

მოცემულია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მოკლე ანგარიში, რომელშიც საგანგებოდ არის საუბარი რუსთაველის 800 წლისთავისადმი მზადების შესახებ.

პლენუმზე მოხსენებით „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად დადგენილი ტექსტის მომზადების შესახებ გამოვიდა აკად. გიორგი წერეთელი. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ა. შანიძემ, ალ. ბარამიძემ, კ. გამსახურდიამ, ს. კაკაბაძემ, დ. შენგელაიამ, ვლ. მაჭავარიანმა, ე. ვირსალაძემ და ნ. ნათაძემ.

გ. ა.

941. [უავტორო]

უნივერსიტეტი ემზადება

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 აპრილი, № 144, გვ. 3.

ინტერვიუში ალ. ბარამიძე ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რაც რუსთაველის საიუბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება: გაიხსნა რუსთაველის კაბინეტი, სადაც მოეწყობა სპეციალური სემინარები, შესრულდება ბიბლიოგრაფიული სამუშაოები, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნა რუსთაველოლოგიის კურსი, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტს მეოთხე და მეხუთე კურსებზე ორი სპეციალური კურსი – „რუსთაველის ენა“ და „რუსთაველის პოეტიკა“, მომზადდება „ვეფხისტყაოსნის“ სრული სიმფონია, შეიქმნება შრიფტი „რუსთაველი“, სხდომათა დარბაზში დაიდგმება

რუსთაველის ბიუსტი, შემოსასვლელ კედელთან გაკეთდება რუსთაველის დიდი სურათი და ა. შ.

ბ. დ.

942. [უავტორო]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 19 მაისი, №113, გვ. 1; „თბილისი“, 1966, 19 მაისი, №115, გვ.1; „Заря Востока“, 1966, 19 მაისი, №115, გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, 20 მაისი, № 21, გვ. 1.

ცნობა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან და მისი სახელობის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება თბილისში ახალი ძეგლის პროექტისათვის ღია კონკურსის მოწყობის შესახებ. იქვეა წარმოდგენილი კონკურსის დებულება და ჟიურის შემადგენლობა.

ბ. დ.

943. [უავტორო]

მოსკოვი ემზადება იუბილესთვის

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 24 ივნისი, № 26, გვ. 1.

ინფორმაცია იუწყება, რომ სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ფურცევამ მოიწვია თათბირი, რომელიც მიემდგვნა ქ. მოსკოვში შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესათვის მზადებას. მასში მონაწილეობდნენ: საკავშირო საიუბილეო კომიტეტის პ/მგ. მდივანი გ. მდივანი, საქ. მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი მოსკოვში ი. ართმელიძე, დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი ი. თუმანიშვილი და სხვები.

თათბირმა დიდი და მრავალფეროვანი პროგრამა დასახა. 20 ოქტომბერს დიდ თეატრში მოეწყობა საზეიმო საღამო, რის შემდეგაც გაიმართება კონცერტი-სანახაობა. მისი რეჟისორობა დაევალა ი. თუმანიშვილს. კონცერტი განმეორებული იქნება 22 და 23 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში. კულტურის სახლებსა და მსხვილ საწარმოებში მოეწყობა გამოფენები და საზეიმო საღამოები.

გ. ა.

944. [უავტორო]

საიუბილეო სამეცნიერო სესია

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 9 სექტ., № 16, გვ. 2.

ინფორმაცია იუწყება, რომ 5 სექტემბერს თბილისის სახ. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

მას ესწრებოდნენ რესპუბლიკის კომ. პარტ. ცენტრ. კომიტეტისა და მთავრობის წარმომადგენლები.

შოთა რუსთაველსა და მის შემოქმედებაზე მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა მეცნიერებმა.

მისასალმებელი სიტყვები წარემოთქვეს უცხოელმა სტუმრებმა: რ. იაკობსონმა, ბ. რეიზოვმა, ვ. ალექტუამ, ჯ. აბდულაევმა და სხვ.

იმავე დღეს უნივერსიტეტში გაიხსნა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც მოამზადა რუსთაველის კაბინეტმა (გამგე პროფ. ლ. მენაბდე). **გ. ა.**

945. [უავტორო]

პარიზშიც გაიმართება რუსთაველის საღამო

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტ., № 37, გვ. 4.

წერილში გადმოცემულია ფრანგი მწერლის პიერ პარაფის მიერ საქართველოში სტუმრობით მიღებული შთაბეჭდილება. იგი დიდ შეფასებას აძლევს საქართველოს, ქართველი ხალხის მოღვაწეობასა და კულტურას, შოთა რუსთაველის შემოქმედებას და გვაუწყებს რომ „ისე როგორც სხვა ქვეყნების დედაქალაქებში, პარიზშიც აღვნიშნავთ «ვეფხისტყაოსნის» ავტორის დაბადების 800 წლისთავს“. იქვე დაბეჭდილია ფოტოსურათი: პიერ პარაფის და მის მეუღლეს ესაუბრება ს. წულაძე. **ბ. დ.**

946. [უავტორო]

რუსთაველის

შემოქმედება ხალხს ეკუთვნის

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 16 სექტ., №38, გვ.1;

„კომუნისტი“, 1966, 16 სექტ., №211, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მოსკოვში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მოაწვევს რუსთაველის საიუბილეო საკავშირო და რესპუბლიკურმა კომიტეტებმა. მას დაესწრო მოსკოვში აკრედიტებული უცხოეთის თითქმის ყველა ქვეყნის ჟურნალისტი.

კონფერენცია გახსნა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტის პრესის განყ. გამგემ ვ. შევჩენკომ. სიტყვებით გამოვიდნენ: აკად. გ. წერეთელი, პოეტი ნ. ტიხონოვი, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე. მათ ისაუბრეს იმ ღონისძიებებზე, რომელიც უნდა ჩატარდეს საქ. რესპუბლიკაში და მთელს საბჭოთა კავშირში. ითქვა, რომ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა მსოფლიოს 34 ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწემ. **გ. ა.**

947. [უავტორო]

Армянское издание „Витязя в тигровой шкуре“

გაზ. „Коммунист“, 1966, 21 სექტ., № 221, გვ.3.

ბიბლიოლოგიური ცნობა სომხეთის სამეცნიერო აკადემიის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ სომხურ ენაზე გამოცემის შესახებ. თარგმანი შეასრულა გეორჯ ასატურმა 30 წლის წინ. მისი ნაშრომი ერთგვარად განაახლა და პოემის ახალ გამოცემებს შეუდარა პარული მურადიანმა. წიგნში შესულია ი. ორბელისა და ნ. მარის სტატიები.

გამოცემა გააფორმა ს. ქობულაძემ. გამოყენებულია რუსთაველის ფრესკული პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან. **ლ. კ.**

948. [უავტორო]

მსოფლიო აღნიშნავს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 18 სექტ., №213, გვ. 3.

საზღვარგარეთის ქვეყნების ინტერესი საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გამძაფრა ჟურნალ „სსრ კავშირმა“, რომელიც ესპანურ ენაზე გამოდის ბრაზილიაში, ბოლო ნომერი მთლიანად საქართველოს მიეძღვნა; აქ გამოქვეყნებულია წერილების ციკლი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ, დაბეჭდილია რამდენიმე ნაწყვეტი პოემიდან. გარდა ამისა, დაბეჭდილია არაერთი წერილი, რომელიც ეხება საქართველოს ცხოვრებას, მკითხველს აცნობს ქართველი ხალხის გმირულ ისტორიას, აქვეა ლეგენდები, ხაზგასმულია სპორტული მიღწევები. ჟურნალი ილუსტრირებულია.

იუბილესთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებს ახალი ამბების სააგენტო, რომელიც ინფორმაციას აწვდის საზღვარგარეთის ქვეყნებს, იგივე სააგენტო ამზადებს გამოფენას, რომელზეც ექსპონირებული იქნება მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები, რომლებმაც გამოაქვეყნეს მასალა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ.

თ. ხ.

949. [უავტორო]

ზეიმის დღეებში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 17 სექტემბერს ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის აქტივის კრება, რომელიც გახსნა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა. კრებამ მოისმინა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის მდივნის ს. ჭილაიას ინფორმაცია რუსთაველის სა-იუბილეო სამზადისის მიმდინარეობის შესახებ.

ამ დღეებში რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის პირველი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები და სცენისმოყვარეები. პირველი პრემია მიეკუთვნა ვ. ანჯაფარაძეს და გ. საღარაძეს.

აქვე საპატიო სიგელითა და ფულადი პრემიით დააჯილდოვეს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნენი თ. ბაბლუანი და პ. ჩხაიძე.

თბილისის მილიციის სამმართველოს კლუბში გაიმართა შ. რუსთაველის საიუბილეო საღამო, სადაც მოხსენებით გამოვიდა აკად. ალ. ბარამიძე.

გ. ა.

950. [უავტორო]

სამეცნიერო სესია

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 18 სექტ., გვ. 3.

ინფორმაციაში საუბარია რუსთაველის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე; წაკითხული იყო შემდეგი მოხსენებები: „შოთა რუსთაველის ეპოქა“ (ვლ. სიჭინავა), „შოთა რუსთაველი და აჭარული დიალექტი“ (შ. ნიჟარაძე), „შოთა რუსთაველი და სამხრეთ საქართველო“ (ა. დავითაძე), „შოთა რუსთაველი აჭარის ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ (მ. ნადირაძე). სესიაზე სიტყვით გამოვიდა აკად. გიორგი ახვლედიანი.

გ. ა.

951. [უავტორო]

იუბილეს აღნიშნავენ ბაქოსა და ერევანში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 21 სექტემბერს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული საღამო გაიმართა აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიაში. მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ისმაილ შიხლიმ. პოეტებმა წაიკითხეს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები აზერბაიჯანულ ენაზე.

საღამოს ესწრებოდნენ რეს-პუბლიკის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს პირველი პირები.

ერევანში გ. სუნდუკიანის სახ. აკადემიურ თეატრში ჩატარდა რუსთაველის საიუბილეო საზეიმო სხდომა; გახსნა პოეტმა გელამ სარიანმა. მოხსენება წაიკითხა პოეტმა ნაირი ზარიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ სომეხი მეცნიერები და პოეტები.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. სხდომას დაესწრნენ სომხეთის კომპარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები. **გ. ა.**

952. [უავტორო]

ხალხთა მეგობრობა, კულტურათა მეგობრობა

გაზ.: „პრავდა“, 1966, 25 სექტ. (მოწინავე); „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ.,

№ 220, გვ. 1; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187, გვ. 1;

„ლიტ. საქართველო“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 1.

წერილში აღნიშნულია, რომ „ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი საბჭოთა საზოგადოებისა... არის მოწინავე სოციალისტური კულტურის შექმნა. ეს კულტურა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის კუთვნილებათა...“

„რუსთაველის პოემის გმირული პათოსი, მასში ასახული პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეები ახლობელია საბჭოთა ადამიანების, დედამიწის თავისუფლებისმოყვარე ხალხების სულიერი სამყაროსათვის“.

ყველა რესპუბლიკაში ეწყობა საღამოები, მწერლებთან შეხვედრები. დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. მოსკოვში დაიდგმება დიდი პოეტის ძეგლი. **გ. ა.**

953. [უავტორო]

Золотой век родины Шота

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 1.

გაზეთის მოწინავეში აღნიშნულია, რომ რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოში ყველგან საზეიმო განწყობილებათა ჩამოსული სტუმრები ათვალიერებენ გამოფენებს და ისტორიულ ძეგლებს: ვარძიას, ხერთვისს, გელათს, იყალთოს. აქვეა ცნობა, რომ 28 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნება შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია. **გ. ა.**

954. [უავტორო]

მეცნიერთა დიდი ფორუმი

გაზ.: „თბილისი“, 1966, 27 სექტ., № 228, გვ. 1; „Веч. Тбилиси“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 1; იგივე – სათაურით: „მსოფლიო პოეზიის გენია“ – გაზ. „ახ. კომ.“, 1966, 1 ოქტ., № 116, გვ. 3.

ქვეყნდება მოკლე ინფორმაცია შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სესიის შესახებ. ესწრებოდნენ საქართველოს, სსრ კავშირის რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ცნობილი მეცნიერები: ფილოლოგები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

საიუბილეო სესია გახსნა საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა. მოხსენება „რუსთაველის შემოქმედება“ წაკითხა აკად. ალ. ბარამიძემ. „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემაზე ისაუბრა აკად. გ. წერეთელმა. სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები და მეცნიერები: კ. გამსახურდია, ნ. კონრადი, ლ. შტერნი, ჰ. ფოგტი, ვ. ჟირმუნსკი, კ. ცეგლედი, ი. ბრაუნი და სხვ. **გ. ა.**

955. [უავტორო]

მწერალთა დიდი ფორუმი

გაზ.: „სოფლ. ცხოვრ.“, 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 1; „სახალხო განათლება“, 1966, 28 სექტ., გვ.1; „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 1.

ინფორმაციაში საუბარია სსრკ მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობების საიუბილეო პლენუმზე, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა 25 სექტემბერს. მას ესწრებოდნენ რესპუბლიკის კომპარტიისა და მთავრობის უმაღლესი პირები.

პლენუმი გახსნა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენება – „შოთა რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ – წაკითხა რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ტიხონოვმა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ბ. ჟღენტი (თბილისი), ო. გონჩარი (უკრაინა), პ. ბროვკა (ბელორუსია). **გ. ა.**

956. [უავტორო]

**დიდებით აჟღერებული სტრიქონები
(შოთა რუსთაველი გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე)**

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220, გვ. 3.

გაზეთი აქვეყნებს „პრავდის“ 25 სექტემბრის ნომრის შინაარსს, რომელიც მთლიანად მიძღვნილია რუსთაველის შემოქმედებისა და მისი საიუბილეო დღეებისადმი. მასში დაბეჭდილია საბჭოთა მწერლების – პ. ტიჩინას, ალ. პროკოფიევის, ედ. მეჟელაისტის, პ. ბროვკას, მ. ტურსუნზადეს, ნ. ტიხონოვის, ი. აბაშიძის ლექსები და წერილები.

რუბრიკით „უცხოელი მეგობრების სალამი“ ქვეყნდება: ე. ზაგურსკის, ტე ლან ვიენის, ამრიტა პრიტამის, ჯო უოლესის ინტერვიუები და ლექსები. **გ. ა.**

957. [უავტორო]

ხალხის სიყვარული

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 29 სექტ., № 222, გვ. 4.

გაზეთის კორესპონდენტის ცნობით, **ქუთაისში**, გელათის ძეგლ-მუზეუმში გაიხსნა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „რუსთაველი“. ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

ზესტაფონის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და სკოლებში ეწყობა პოეტისადმი მიძღვნილი გამოფენები, საღამოები, ლექცია-მოხსენებები. კულტურის სახლში გაიხსნა რუსთაველის ლაურეატების ფოტოსტენდი. აქვე გაიმართა თემატური საღამო „რუსთველი და თანამედროვეობა“.

ცხინვალის სამხატვრო გალერეაში რუსთველის საიუბილეოდ გაიმართა ოსი მხატვრების ახალი ნამუშევრების გამოფენა. მათ შორისაა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, თამარის ხანის ამსახველი ტილოები. ყურადღებას იპყრობს ბ. სანაკოევის ნახატი – „მოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსანს“ უძღვნის თამარ მეფეს“. **ლ. კ.**

958. [უავტორო]

იუბილეს დღეებში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 30 სექტ., № 40, გვ. 4.

23 სექტემბერს რუსთავში დიდი ზეიმით აღინიშნა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილე. ზეიმში მონაწილეობდნენ მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, აგრეთვე სტუმრები სხვადასხვა ქვეყნებიდან. სიტყვებით გამოვიდნენ: ლ. ხარბედია, ბ. ჟღენტა, ალ. მირცხულავა, ი. ნონეშვილი და სხვები. პოემიდან ნაწყვეტები წაიკითხეს პოლონურ ენაზე ვეფხისტყაოსნის მთარგმნელებმა ე. ზაგურსკიმ და ლ. ლევინმა. შეკრებილები მიესალმნენ ვიეტნამელ მწერალს ტე ლან ვიენს და კ. ბალმონტის ქალიშვილს ნ. ბრაუნ-ბალმონტს.

საქ. სსრ ლიტერატურის მუზეუმში მოეწყო გამოფენა. წარმოდგენილი იყო მდიდარი მასალა – „ვეფხისტყაოსნის“ წინარე ეპოქის სასულიერო და საერო მწერლობის ნიმუშები, აგრეთვე ქართველ მწერალთა პორტრეტები.

თერჯოლის რაიონში გაიმართა საზეიმო ლიტერატურული საღამო. სიტყვებით გამოვიდნენ დ. ბრეგაძე, შ. ძიმიგური, გ. ბარამიძე, დ. ფხაკაძე. საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს დ. კვიციანიძემ და ს. აბდალაძემ. თ. აბულაძემ წაიკითხა ირ. აბაშიძის ლექსები.

დიდ ჯიხაიში ნ. ნიკოლაძის სახლმუზეუმში მოეწყო საინტერესო გამოფენა. წარმოდგენილი იყო რუსთაველის ეპოქის ამსახველი ფოტომასალა, „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები. გაიმართა სამეცნიერო სესია. **ი. წ.**

959. [უავტორო]

Вечера, научные сессии, экскурсии

გაზ. „Вечерный Тбилиси“, 1966, 1 ოქტ., № 231, გვ. 3.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფართოდ გაიშალა საიუბილეო ღონისძიებანი.

საინტერესო სადამო ჩატარდა ავტომატიკისა და გამოთვლ. ტექნიკის ფაკულტეტზე, სიტყვით გამოვიდა III კურსის სტუდენტი ვ. შუბლაძე, რომელიც ეხებოდა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებას. პოემის რუსულ თარგმანზე ილაპარაკა მასწ. ლ. ბარუტჩევამ. სტუდენტები კითხულობდნენ ნაწყვეტებს პოემიდან.

საიუბილეო სადამო გაიმართა სამშენებლო ფაკულტეტზეც. სიტყვით „მშენებლობა რუსთაველის ეპოქაში“ გამოვიდა პროფ. დ. მშვენიერაძე. სტუდენტები კითხულობდნენ ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“. შემდეგ წარმოადგინეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „რუსთაველის ეპოქის არქიტექტურული ძეგლები“.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი ატარებს სპორტულ ღონისძიებებს. მდიდარი გამოფენა გაიმართა ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ბოლოს გაიმართა საიუბილეო სესია, სადაც მოხსენებით „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა“ გამოვიდა პროფ. ვ. გაგოიძე, ფილ. მეცნ. კანდ. დ. კორძაიამ თავისი მოხსენება მიუძღვნა შ. რუსთაველის ესთეტიკის საკითხებს.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავს მიუძღვნა გაზეთ „ლენინელის“ სპეც. ნომერი.
ი. წ.

960. [უავტორო]

ქართული კულტურის ზეიმი

გაზ.: „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ოქტ., № 231, გვ. 1; „სახალხო განათლება“, 1966, 5 ოქტ., № 40, გვ. 3; „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 1-2.

ინფორმაციაში, რომ 30 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საქ. კპ ცენტრ. კომ-ის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა. მას ესწრებოდნენ: ვ. მჟავანაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე, კულტურის მინისტრი ე. ფურცევა... სხ

სხდომა გახსნა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პოეტი-აკად. ირ. აბაშიძე (იხ. ცალკე). სიტყვები წარმოთქვეს ე. ფურცევამ, რ. ალბერტიმ, ნ. ტიხონოვმა, ე. ჰიუზმა, ჟ. გარიტმა, დ. ლანგმა, რ. ლაფონმა და სხვ.
გ. ა.

961. [უავტორო]

პოეტთა მრგვალი მაგიდა საქართველოში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ 27-29 სექტ. და 1 ოქტომბერს ბორჯომსა და თბილისში გაიმართა 5 კონტინენტის პოეტების დიდი საერთაშორისო შეხვედრა. მასში

მონაწილეობდნენ 25 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ჩამოვიდნენ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმზე.

„მრგვალ მაგიდას“ ხელმძღვანელობდა ირ. აბაშიძე. სჯა-ბაასში თანამედროვე პოეზიაზე ძირითადი ადგილი დაიკავა შწერლის პასუხისმგებლობის და მისი როლის საკითხმა თანამედროვე მსოფლიოში. **გ. ა.**

962. [უავტორო]

პოეტის უკვდავების ოდა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 4.

სტატიაში აღწერილია თეატრალური წარმოდგენა, რომელიც 1 ოქტომბერს გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში.

შესრულებული იყო ო. თაქთაქიშვილის ორატორია „ოდა რუსთაველზე“, რ. ლალიძის „ოდა მესხეთზე“, სცენა გ. კილაძის ბალეტ „სინათლიდან“. მსახიობებმა წაიკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. კონცერტის დამდგმელია ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი – ო. ლითანიშვილი, რეჟისორები – ნ. ჩხეიძე და გ. ქართველიშვილი, მუსიკალური ხელმძღვანელი – ვ. ფალიაშვილი, დირიჟორი – ა. კავსაძე. **გ. ა.**

963. [უავტორო]

ზეიმის დღეებში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 4.

ინფორმაციაში მოცემულია მოკლე ცნობები რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ: შოთა რუსთაველის სახ. აკადემიურმა დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა – რ. ებრალიძის ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „ვეფხისტყაოსანი“; პროფტექნიკური განათლების კულტურის სახლში გაიხსნა სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ეძღვნება რუსთაველის 800 წლისთავს; პლენარის სახ. კულტურის სახლში მოეწყო რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა. მისი ავტორები არიან მხატვრები მ. და შ. მეტრეველები; წითელწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკის სასოფლო ბიბლიოთეკაში მოეწყო მკითხველთა კონფერენცია „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე; თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკის მკითხველებმა შეხვედრა მოუწყვეს რუსთაველის პრემიის ლაურეატებს ი. აბაშიძეს, ლ. გუდიაშვილს და ე. ამაშუკელს; სოფ. მარტყოფის კულტურის სახლში ჩატარდა რუსთაველისადმი მიძღვნილი სადამო. მოხსენება – „ვეფხისტყაოსნის საკაცობრიო მნიშვნელობა“ წაიკითხა ე. შუმანიამ.

გ. ა.

964. [უავტორო]

ეძღვნება რუსთაველს

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 2.

ინფორმაცია რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 30

სექტემბერს. დაესწრნენ საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები.

კონცერტში მონაწილეობდნენ: ვ ანჯაფაროძე, შ. კიკნაძე, პ. ამირანაშვილი, გ. სალარაძე, დ. გამრეკელი, ბ. კრავეიშვილი, ვ. ჭაბუკიანი, ვ. გომიაშვილი, ე. ვირსალაძე. რეჟისორი – გ. ლორთქიფანიძე, მხატვარი – ს. ვირსალაძე. მიჰყავდა ლია მიქაძეს.

გ. ა.

965. [უავტორო]

სამეცნიერო სესია ერევანში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 8 ოქტ., № 230, გვ. 4.

უწყება, რომ 6 ოქტომბერს ერევანში გაიმართება შოთა რუსთაველის 800 წლის-თავისადმი მიძღვნილი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სესია.

სესიის მონაწილეებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით მიესალმა პროფ. ი. მეგრელიძე.

მოხსენება – შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხა სომხეთის მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა გ. სევაკმა. მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე: ს. ერემიანი, ა. მნაცაკანიანი და პ. მურადიანი.

გ. ა.

966. [უავტორო]

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომღერალი

გაზ. „თბილისი“, 1966, 6 ოქტ., № 235, გვ. 3.

შოთა რუსთაველის უდიდესი პოპულარობა ღირსეულად აისახა სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. გაზეთებში: „ბაკინსკი რაბოჩი“, „რადიანსკა უკრაინა“, „პრავდა უკრაინა“, „ვეჩერნი კიევი“, ჟურნალებში: „დნიპრო“, „ლიტერატურნაია უკრაინა“, „მოლოდიოჟ აზერბაიჯან“, „ბაკიმ“, „გრაკან თერთი“, „სოვეტსკაია მოლდავია“, „სოვეტსკაია ბელორუსია“, „სოვეტსკაია ლიტვია“, უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის ჟურნალ-გაზეთებმა. უზბეკეთის ლიტერატურულმა ჟურნალმა „შარკ იულდუზი“, ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანი ეწაფება რუსთაველის სიბრძნეს.

ი. წ.

967. [უავტორო]

რუსთაველის იუბილე მოსკოვში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 9 ოქტ., № 231, გვ. 4;

„ლიტ. საქართველო“, 1966, 14 ოქტ., № 42, გვ. 1.

გაზეთის კორესპონდენტი იუწყება, რომ უკვე შედგენილია რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა. 13-დან 24 ოქტომბრამდე მოსკოვში, ლენინგრადსა და რიაზანში გაიმართება ქართული პოეზიის დღეები, რომელთა პროგრამა ითვალისწინებს ლიტერატურულ დილა-სადამოებს, შეხვედრებს და სხვა ღონისძიებებს.

25 ოქტომბერს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიმართება საზეიმო სადამო-კონცერტი.

გ. ა.

968. [უავტორო]

რუსთაველის დღეები მოსკოვში

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 15 ოქტ., № 235, გვ. 1;

„ლიტ. საქართველო“, 1966, 21 ოქტ., № 43, გვ. 1.

ქართული პოეზიის დეკადაზე მოსკოვში ჩასულ სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ჩაიკოვსკის სახ. საკონცერტო დარბაზში ქართველებს შეხვდნენ საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ტიხონოვი, კ. სიმონოვი, ე. ევტუშენკო, ბ. ახმადულინა. საღამო გახსნა ი. ანდრონიკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ 700 წლის განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ქართველებისათვის იყო მკირფასი, პოემის თარგმნამ კი ის მთელი კაცობრიობისათვის საყვარელ წიგნად აქცია.

სტუმრები ეწვივნენ მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტს, შეხვდნენ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ს. ჭილაიამ. მწერალმა მ. მაქსიმოვიჩმა ისაუბრა შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. რუსინოვმა წაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან. ქართველმა და რუსმა პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები.

თ. ხ.

969. [უავტორო]

Хроника

„Литературная Газета“, 1966, 30 ოქტ., № 127, გვ. 2.

22 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო სესია მიძღვნილი რუსთაველის 800 წლისთავისადმი. ქართველ მეცნიერთა ჯგუფში შედიოდნენ: ა. ბარამიძე, ბ. ჟღენტი, ვ. შადური, ე. ვირსალაძე, ს. ცაიშვილი, ლია ანდლულაძე. სესია გახსნა ა. პეტროსიანმა (მსოფლიო ლიტ. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე). მოხსენებით გამოვიდნენ ა. ბარამიძე („რუსთაველი და მისი პოემა“), რ. სამარინი („რუსთაველის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურაში“), ბ. ჟღენტი („რუსთაველი და თანამედროვეობა“), ვ. შადური („რუსთაველი და რუსული ლიტერატურა“), ს. ცაიშვილი („რუსთაველის ჰუმანიზმი“). მოსკოველი მეცნიერებიდან სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: გ. აპრესიანი, კ. ზელინსკი, ვ. პერცოვა, ა. არშარუნი.

ლ. კ.

970. [უავტორო]

ქართული პოეზიის რაინდი

გაზ.: „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტ., № 43, გვ. 1.

ინფორმაცია იუწყება, რომ კიევის მსახიობის სახლში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო საღამო. წაკითხული იყო მოხსენებები: შ. ძიძიგურის „რუსთაველი და თანამედროვეობა“, დ. ჯანელიძის „რუსთაველის ეპოქის თეატრი“. სიტყვებით გამოვიდნენ: დ. ანთაძე, ო. ევაძე, გ. ლორთქიფანიძე და სხვ. კონცერტში მონაწილეობდნენ ქართველი და უკრაინელი მსახიობები.

გ. ა.

971. [უავტორო]

მოსკოვს ესტუმრა დიდი მგოსანი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 ოქტომბერი, № 243, გვ. 1.

სტატია ეხება რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებს მოსკოვში. კერძოდ, ჩატარდა ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში, ლენინგრადსა და რიაზანში. გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამოები და კონცერტები. მოსკოვის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე მოსკოვის მეცნიერ-ფილოლოგებთან ერთად მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა რუსთაველოლოგებმა. 25 ოქტომბერს, „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა რუსთაველის ძეგლი (ავტორი – მ. ბერძენიშვილი, არქიტექტორი – ი. ლოვეიკო). დიდ თეატრში გაიმართა კონცერტი, რომელიც გახსნა საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ტიხონოვმა, სიტყვით გამოვიდა ი. აბაშიძე.

ლ. კ.

972. [უავტორო]

საქართველოს კუთხე მოსკოვში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 ოქტომბერი, № 243, გვ. 1.

ინფორმაცია, რომ მოსკოვში, გრუზინსკაიას მოედნის სკვერში დაიდგა შოთა რუსთაველის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი). ეს ის ადგილია, სადაც XVIII ს-ში გაჩნდა ქუჩები „ბოლშაია გრუზინსკაია“ და „მალაია გრუზინსკაია“. აქ ქართლიდან დევნილი ვახტანგ VI და მისი ამაღა ცხოვრობდა.

გაზეთში დაბეჭდილია შოთა რუსთაველის ძეგლის ფოტო.

გ. ა.

973. [უავტორო]

რუსთაველიანა მოსკოვში

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 26 ოქტ., № 252, გვ. 1.

ინფორმაცია, რომ 13 ოქტ. პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა პირველი დიდი საღამო, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილეს მიეძღვნა; მ. გორკის სახ. მსოფლიო ლიტ. ინსტიტუტში გაიმართა საგანგებო სამეცნიერო სესია. 25 ოქტ. „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა რუსთაველის ძეგლი, ხოლო სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი. ლენინგრადსა და რიაზანში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა.

გ. ა.

974. [უავტორო]

გენიის უკვდავება

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 11, გვ. 7.

წერილში საუბარია საიუბილეო დღეებში დაგეგმილ ღონისძიებებზე: 25 სექტემბერს თბილისს ეწვივნენ სსრკ კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სკკპ ცკ კულტურის განყოფილების გამგე ვ. ფ. შაურო და სხვა ოფიციალური პირები; მწერ-

ლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, უცხოელი სტუმრები, ქართველოლოგები, პოემის სხვადასხვა ენაზე მთარგმნელები, პოეტები.

დაბეჭდილია ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორის რენე ლაფონის სიტყვა. იგი მადლობელია მოწვევისა და მასპინძლობისათვის, გამოხატავს სიყვარულს „ვეფხისტყაოსნისა“ და პოემის ფრანგულად მთარგმნელის ს. წულაძის მიმართ, რომელმაც ფრანგ ხალხს საშუალება მისცა გასცნობოდა ამ დაუშრეტელი სიბრძნის წყაროს.

სიტყვით გამოვიდნენ: ჰოლანდიელი ქართველოლოგი, ოსლოს უნივერსიტეტის პროფ. ჰანს ფოგტი, ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი, იაპონელი პოეტი იპეი ფუკურო, რუმინელი მწერალი ვიქტორ კერნახი, ინგლისელი მეცნიერი ქართველოლოგი დევიდ ლანგი, უნგრელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი იულიუს ასფალგი და სხვები; ისინი საუბრობდნენ რუსთაველის პოემაზე, საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, პოემის თარგმანებზე.

სტუმრებმა დაათვალიერეს გამოვენები და გამოხატეს აღფრთოვანება.

26 სექტემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა სსრკ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი. შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანმა გ. მარკოვმა, რომელმაც „ვეფხისტყაოსანს“ მთელი კაცობრიობის „უძვირფასესი საუნჯე“ უწოდა; სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რომელიც მიესალმა ძვირფას სტუმრებს. შემდეგ ისაუბრეს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტიხონოვმა, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ჟღენტმა და სხვ.; 27 სექტემბერს ახალციხეში გაიხსნა რუსთაველის ძეგლი, სტუმრებმა მოინახულეს ვარძია, ასპინძა, ბორჯომი. საიუბილეო ზეიმი 2 ოქტომბერს დასრულდა.

თ. ხ.

975. [უავტორო]

რუსთაველის დღეები მოსკოვში

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 11, გვ. 9-13.

საქართველოს რესპუბლიკის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოების აღსანიშნავ ზეიმზე სკკპ ცკ-ს გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: „საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ამას კვლავ და კვლავ მოგვაგონებს დიდი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაული. რუსთაველი ქართველია, მაგრამ იგი მარტო საქართველოს როდი ეკუთვნის, რუსთაველი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს კუთვნილებაა და საქართველოსთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს პოეტის სახელოვან იუბილეს“.

წერილში საუბარია საიუბილეო დღეების, კულტურული ღონისძიებების შესახებ. აღწერილია მოწვეული სტუმრების განწყობა, შთაბეჭდილებები, საყოველთაო-სახალხო ზეიმის აპოთეოზი – რუსთაველის ძეგლის გახსნა „ბოლშაია გრუზინსკაიას“ სკვერში, რომელსაც დაესწერნენ: ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. მჟავანაძე და სხვა ოფიციალური პირები.

სიტყვით გამოვიდნენ: პოეტი ნ. ს. ტიხონოვი, ირ. აბაშიძე; მათ აღნიშნეს, რომ რუსთაველის იუბილე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა, რომ რუსთაველი ყველასათვის ძვირფასი გახდა, როგორც მარად ახალგაზრდა თანამედროვე.

რუსთაველისადმი სიყვარული გამოხატეს პოემის უკრაინულად მთარგმნელმა მ. ბაჟანმა, ყაზარდო-ბალყარელმა პოეტმა ყ. ყულიევმა, სომეხმა ს. კაპუტიკიანმა...
საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. **თ. ხ.**

976. [უავტორო]

რუსთაველის დღეები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 3 ნოემბ., № 251, გვ. 2.

ამ სათაურით გაზეთში დაბეჭდილია ორი ინფორმაცია. პირველი გვაუწყებს, რომ მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელსაც დაესწრნენ უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები და სტუდენტები. მასში მონაწილეობდნენ: ვ. სირაძე (საქ. მინისტრთა საბჭოს თავმჯ. -ის მოადგილე), ი. ართმელიძე (საქ. მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრკ მინისტრთა საბჭოში). საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ: ი. ანდრონიკოვი, ყ. ყულიევი, კ. კალაძე, მ. მაქსიმოვი და სხვ.

მეორე ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 2 ნოემბერს ლენინგრადში დამთავრდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მეცნიერებმა წაიკითხეს 16 მოხსენება, რაც მოწმობს დიდ ინტერესს რუსთაველის შემოქმედებისადმი. **გ. ა.**

977. [უავტორო]

დაუვიწყარი დღესასწაული

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 10, გვ. 15.

წერილში ჩამოთვლილია რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით მთელ სსრ კავშირში ჩატარებული ღონისძიებები.

26 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ზეიმი იყო საქართველოში.

საზეიმო სხდომები ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, მთავრობის სასახლეში, რესპუბლიკის ყველა რაიონში, ქალაქსა და სოფელში.

13 დან-25 ოქტომბრამდე ქართული პოეზიის საღამოები ტარდებოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. 1966 წლის 25 ოქტომბერს „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე მდებარე დიდ ბაღში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი. ძეგლი გახსნა ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა საზეიმო სხდომა. დიდი წარმატება ხვდათ წილად ქართული ხელოვნების ოსტატებს, რომლებმაც დაასრულეს ეს დიდებული დღესასწაული. **ც. ე.**

978. [უავტორო]

რუსთაველის დღეები ჰამბურგის უნივერსიტეტში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 23 დეკემბერი, № 52, გვ. 2.

24 ნოემბერს ჰამბურგის უნივერსიტეტში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომა; გახსნა დოქტორმა ჰელმუტ ბრაუნმა. გამომსვლელთა შორის იყვნენ: იულიუს ასფალგი, ბერტოლდ შპულერი, ჰერმან ტიემანი, არნდ ვიგერი და ლილი გეგელაშვილი. მოხსენებები ეხებოდა საქართველოს ისტო-

რიის, ლიტერატურის, საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრულ და ტექსტოლოგიურ საკითხებს. დოქტორმა იოჰან ვაისმა პოემის ნაწყვეტები წაიკითხა ქართულად და გერმანულად. გერმანულად წაიკითხეს ადგილები პოემიდან ვინფრიდ ბოედერმა და ჰაინც ფატერმა. ნიკოლოზ ჯანელიძემ ქართულად წაიკითხა პოემის შესავალი და ისაუბრა რუსთაველის ლექსის თავისებურებებზე. ლილი გეგელაშვილმა დამსწრეთ გააცნო ირ. აბაშიძის ლექსის „რუსთაველის ნაკვალევზე“ საკუთარი გერმანულენოვანი თარგმანი. სხდომის მონაწილეებს უჩვენეს „ვეფხისტყაოსნის“ ფერადი ილუსტრაციები ი. თოიძის ნახატების რეპროდუქციათა მიხედვით და მოისმინეს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ლ. კ.

979. [უავტორო]

რუსთაველის საიუბილეოდ

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 6 იანვარი, № 3.

წერილი გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ამზადებს შემდეგ გამოცემებს: „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, მომზადებული ალ. ბარამიძისა და აკ. შანიძის მიერ; პოემის დასურათებული აკადემიური გამოცემა, მოამზადა სარედაქციო კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაში არიან: ირ. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე და გ. წერეთელი; სპეციალური კრებული, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების აქტუალურ საკითხებს; ა. ბარამიძის „რუსთაველი და მისი პოემა“; ს. ყუბანიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორია“; მ. გუგუშვილის „პოლემიკა რუსთაველის გარშემო“ (XV-XVII საუკუნეები); გ. ციციშვილისა და ნ. ხუნდაძის „შოთა რუსთაველი სსრ კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე“; გ. იმედაშვილის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა“. აგრეთვე გამოვა ნ. მარის გამოუქვეყნებელი რუსთაველოლოგიური შრომების მესამე წიგნი.

საიუბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს ახალ გამოცემებს. ესენია: კრებული „რუსთაველი და მისი დრო“, ა. შანიძის „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“, ი. აბულაძის „რუსთაველოლოგიური ნაშრომების კრებული“ და სხვ.

ასევე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და უნივერსიტეტი მოაწყობენ რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ სპეციალურ სამეცნიერო სესიებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერები.

ნ. მ.

980. [უავტორო]

გენიალური პოეტის საიუბილეოდ (რას გამოსცემს „ლიტერატურა და ხელოვნება“)

გაზ. „თბილისი, 1966, 25 მაისი, № 120, გვ. 3.

შოთა რუსთაველის საიუბილეოდ „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცემს: „ვეფხისტყაოსანს“ ინგლისურ ენაზე (მარჯორი უორდროპისეული თარგმანი), რედაქტორი აკად. გ. წერეთელი; „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ (წულადისეულ) თარგმანს; შ. ნუცუბიძისეულ რუსულ თარგმანს. გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ ბჭკარედი

რუსულ ენაზე (ს. იორდანიშვილის); აგრეთვე მხატვარ ლ. ცუცქირიძის მიერ მდიდრულად დასურათებული რუსთაველის აფორიზმები. წიგნები: „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“ (უძველესი დროიდან დღემდე). გ. ბებუთოვის „რუსი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები რუსთაველზე“. შ. ნუცუბიძის „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“; ცალკე ალბომად დაიბეჭდება ლ. ცუცქირიძის მიერ შესრულებული ილუსტრაციები. ყველა წიგნი გამოვა აგვისტო-სექტემბერში. **ი. წ.**

981. [უავტორო]

გენიალური პოეტის საიუბილეოდ
გაზ. „თბილისი“, 1966, 2 ივნისი, № 127, გვ. 3.

გაზ. „თბილისის“ კორესპონდენტთან საუბარში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა აღნიშნა, რომ მალე გამოვა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო ილუსტრირებული გამოცემები: სასაჩუქრო და პორტატიული, ორი ალბომი – „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება-მინიატურები და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება-ილუსტრაციები. გარდა ამისა, სამეცნიერო შრომების კრებული; მ. მახათაძის „რუსთაველოლოგიის საკითხები“, ნ. ნათაძის „რუსთაველი და მისი თანამედროვენი“, ვ. ნორაკიძის „ადამიანობის იდეა“ „ვეფხისტყაოსანში“, შ. ლლონტის „ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, ბ. გორდეზიანის მონოგრაფია „ზიჩი საქართველოში“. დაგეგმილია გზამკვლევებისა და ბუკლეტების გამოცემა. **თ. ხ.**

982. [უავტორო]

გენიალური პოეტის საიუბილეოდ
(რას გამოსცემენ „განათლება“ და „ნაკადული“)
გაზ. „თბილისი“, 1966, 8 ივნისი, № 132, გვ. 3.

ხსენებულ გამომცემლობათა დირექტორების ცნობით, „განათლება“ გამოსცემს: „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურულ გამოცემას (ტექსტი მოამზადეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ), ნ. ნათაძისა და ს. ცაიშვილის მონოგრაფიას „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე), გ. ჯიბლაძის შრომას „შოთა რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, ს. კაკაბაძის ნარკვევს „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ და მ. ებრალიძის „რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი“. „ნაკადული“: დ. კასრაძის პოემას „ლეგენდა რუსთაველზე“, ხელით დაწერილ რუსთაველის აფორიზმებს (მხატვარი თ. სამსონაძე), მ. ლორთქიფანიძის ნარკვევს „რუსთაველის ეპოქა“ და სამხარაძის – „რუსთაველი და თანამედროვე ქართული პოეზია“. **ბ. დ.**

983. [უავტორო]

რუსთაველიანა
გაზ. „სახ. განათლება“, 1966, 10, 17 აგვისტო; 7, 14, 21 სექტემბერი.

გაზეთის მითითებულ ნომრებში მოცემულია ინფორმაცია ახალი რუსთაველოლოგიურ შრომებზე. მოიხსენიება: ალ. ბარამიძის მონოგრაფია „შოთა რუსთაველი

და მისი პოემა“ (516 გვ.); მ. ჩიქოვანის 200-გვერდიანი ნაშრომი – „მ.რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“, მ. გუგუშვილის წიგნი – „პოლემიკა რუსთაველის გარშემო“ (მეცნ. აკადემიის გამომც.), „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა („საბჭოთა საქართველო), ს. ყუბანეიშვილის, „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“, I წიგნი („ცოდნა“), ი. მეგრელიძე, „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიერებაში“ („საბჭ. საქ.“), „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის I ტომი (გამოსაცემად მოამზედეს ა. შანიძემ, ა. ბარამიძემ და ი. ლოლაშვილმა; ვარიანტები შეადგინა ც. კარბელაშვილმა), მ. ლორთქიფანიძე „რუსთაველის ეპოქა“ („ნაკადული“); ნ. ნათაძე და ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ („განათლება“). **ი. კ.**

984. [უაგტორო]

საიუბილეო კრებული – „შოთა რუსთაველს“

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 9 სექტ., № 26, გვ. 2.

ინფორმაცია იუწყება, რომ უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებული ალ. ბარამიძის, შ. მესხიას, აკ. ურუშაძის, ნ. ლომოურისა და ვ. თოფურისა რედაქციით.

კრებულში შესულია ისტორიკოსების, ლიტერატურის მკვლევარების, ენათმეცნიერების გამოკვლევები, რომლებიც რუსთაველის ეპოქას, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტსა და მის თარგმანებს ეხება. **გ. ა.**

985. [უაგტორო]

გრაფიკული კომპოზიციები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 აგვისტო, № 196, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ზ. გოგოლაშვილმა რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა გრაფიკულ ნაწარმოებთა სერია „რუსთაველის სამყაროში“. სურათები ასახავს დიდი პოეტის გარემომცველ სამყაროს, ცნობილი მასალებისა და აგრეთვე ლეგენდებისა და თქმულებების მიხედვით.

ც. ქ.

986. [უაგტორო]

ჯადოსნური სიმების აქლერება

(კონსტანტინე ბალმონტი და „ვეფხისტყაოსანი“)

გაზ. „ახალი კოლხიდა“, 1966, 4 სექტემბერი, № 106.

წერილი ეძღვნება კ. ბალმონტის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობას. წერილში მოყვანილია კ. ბალმონტის წერილები თავისი მეუღლის ე. ანდრეევასადმი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის შესახებ. აქ ლაპარაკის იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა საქართველო კ. ბალმონტს. სტატიაში აღნიშნულია კ. ბალმონტის სხვადასხვა პირთან მიმოწერის თაობაზე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ერთ-ერთ წერილში კ. ბალმონტი წერს: „ისევე, როგორც ჰომეროსია ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, რუსთაველიც საქართველოა...“

ც. ქ.

987. [უაგტორო]

Юбилейное заседание

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

გაზეთის კორესპონდენტი იუწყება, რომ ქ. ახალციხეში ჩატარდა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. მოხსენება წაიკითხა ახალციხის რაილმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ს. სანიკიძემ. სიტყვებით და ლექსებით გამოვიდნენ საშუალო სკოლების პედაგოგები. შემდეგ გაიმართა რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი.

გ. ა.

988. [უაგტორო]

მხატვრები – რუსთაველს

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი), 1966, 25 სექტემბერი, გვ. 2.

ინფორმაციაში დასახელებულია რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ახალი ნამუშევრები: ვ. მიზანდარის კომპოზიციები „გასეირნება ავაზებით“ და „თამარ მეფის ვაზირი“; გ. ნიკოლაძის მიერ ეკლარის ქვაში გამოკვეთილი შოთას პორტრეტი; მ. ჩოგოვაძის და გ. კიკნაძის ფერწერული პორტრეტები; გ. ჩხეტიანის პანო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით და სხვ. თ. ნ.

989. [უაგტორო]

სალამი რუსთაველის სტუმრებს

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 1; „თბილისი“, 1966, 26 სექტ., № 226, გვ. 1 „Заря Востока“, 1966, 25 სექტ., № 221, გვ. 4 („Тбилиси принимает гостей“).

ინფორმაცია იუწყება, რომ რუსთაველის იუბილესზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან და უცხო ქვეყნებიდან მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მათ შორის არიან: ნ. ტიხონოვი, ჰ. ჰუპერტი, ჟ. გარი, რ. ლაფონი, მ. ლუკონინი, მ. ბაჟანი და სხვ. გ. ა.

990. [უაგტორო]

მისი სიტყვა ყველგან გაჰქუხს

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ მაიაკოვსკის რაიონის მაღაზიებში იყიდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები, ხოლო ბიბლიოთეკებში მოწყობილია რუსთაველისადმი მიძღვნილი სპეციალური სტენდები. სახალხო თეატრი კი ამზადებს ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას „შოთა რუსთაველი“. ი. კ.

991. [უაგტორო]

შოთა რუსთაველის ხალიჩა-პორტრეტი

გაზ.: „კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 220, გვ. 4; „Заря Востока“, 1966, 27 სექტ., № 222, გვ. 4; „თბილისი“, 1966, 1 ოქტ., № 231, გვ. 3; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტ., № 187, გვ. 3.

საქდესის კორესპონდენტი ამხაბადიდან იუწყება, რომ ფირმა „თურქმენხალიჩის“ ამხაბადის ფაბრიკის ოსტატებმა მხატვარ ვ. სოსნინის ესკიზით მოქსოვეს რუსთაველის ხალიჩა-პორტრეტი. მისი ზომა ერთი კვადრატული მეტრია. იგი საჩუქრად გადაეცემა ქართველ ხალხს თურქმენი ხალხის სახელით. **გ. ა.**

992. [უაგტორო]

მარჯანიშვილები – რუსთაველს

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ.ემბერი, № 114, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ თბილისის მარჯანიშვილის სახ. თეატრი მართავს დეკადას შ. რუსთაველის საიუბილეოდ. მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ტ. საყვარელიძე და ო. მელვინეთუხუცესი წაიკითხავენ ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“. ვ. გომიამ-ვილი წაიკითხავს ი. აბაშიძის ლექსების ციკლს „რუსთაველის ნაკვალევზე“. **ც. ე.**

993. [უაგტორო]

ოდა შოთაზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ.ემბერი, № 114, გვ. 4.

ინფორმაცია: 1 ოქტომბერს სპორტის სასახლეში გაიმართება საზეიმო წარმოდგენა; შესრულებს: ო. თაქთაქიშვილის „ოდა რუსთაველზე“, ნაწყვეტები გრ. კილაძის ბალეტიდან „სინათლე“ და რუსთაველის სახ. თეატრის ახალი სპექტაკლიდან „ვეფხისტყაოსანი“. წარმოდგენა მხატვრულად გააფორმა ოთარ ლითანიშვილმა. **ც. ე.**

994. [უაგტორო]

გვიწვევენ გამოფენაზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 4.

ინფორმაცია გვამცნობს, რომ 25 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო სალონში გაიხსნა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევართა გამოფენა, რომელსაც ეწოდება „რუსთაველის ნაკვალევზე“. **თ. ნ.**

995. [უაგტორო]

[რუსთაველის ძეგლი მოსკოვში]

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ნოემბერი, № 257, გვ. 3.

გაზეთში დაბეჭდილია შოთას ძეგლი და იქვე, მოკლედ აღნიშნულია, რომ რუსთაველის საიუბილეო ზეიმი დაგვირგვინდა მოსკოვში, „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩის სკვერში დიდი ჰუმანისტის შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმით. **გ. ა.**

996. [უაგტორო]

მკითხველთა კონფერენცია

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 27 სექტემბერი, № 187, გვ. 2.

მოკლე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ბათუმის ხორცკომბინატის კლუბში მოწყობილია ლამაზად გაფორმებული სტენდები რუსთაველზე, მის გენიალურ თხზულებზე. გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

ამ დღეებში ქალაქის მე-6 ბიბლიოთეკამ კომბინატის კლუბში ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია. მოხსენება – „შოთა რუსთაველის ეპოქა“ – გააკეთა დამსახურებულმა მასწავლებელმა დ. ნაცვალაძემ. არტისტმა ნ. საკანდელიძემ წაიკითხა „ნესტანის წერილი“; პოეტებმა ზ. გორგილაძემ და ბ. მეტრეველმა – საკუთარი ლექსები.

გ. ა.

997. [უაგტორო]

მოზაიკური პორტრეტი

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტემბერი, № 228, გვ. 3.

მოკლე ცნობა, რომ მიკროგრაფიორმა ედუარდ კაზარიანმა შექმნა შოთა რუსთაველის მოზაიკური პორტრეტი. გამოიყენებულა სომხეთის 5000 ფერადი ქვა. მოზაიკა შესრულებულია პაპიროსი „ყაზბეგის“ კოლოფის სიდიდის ონიქსის ფირფიტაზე.

ი. კ.

998. [უაგტორო]

„ვეფხისტყაოსნის“

ახალი სომხური თარგმანი

გაზ. „თბილისი“, 1966, 18 იანვარი, № 14.

ცნობილი სომეხი პოეტი ოვანეს კარაიანი ქართულიდან თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“. მან ჯერ კიდევ 1937 წელს თარგმნა და დაბეჭდა პოემის რამდენიმე ნაწყვეტი. არსებობს პროფ. გეორგ ასატურის 1937 წელს დაბეჭდილი პოემის სრული თარგმანი, რომელიც ვერ ასახავს რუსთაველის პოემის აზრსა და მხატვრობას.

ი. კ.

999. [უაგტორო]

[რუსთაველი მხატვრობაში]

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
1966, 14 ოქტომბერი, № 42, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მხატვარმა გრ. ჩირინაშვილმა რუსთაველის იუბილეს მიუძღვნა ახალი ნამუშევრების ციკლი „ამბავი შოთა რუსთაველისა“.

ციკლი აერთიანებს ერთი მანერით შესრულებულ ათ ტილოს. მასზე ასახულია პოეტის ცხოვრების მომენტები სიჭაბუკის წლებიდან (იყალთოს აკადემია) – იერუსალიმამდე. გაზეთში დაბეჭდილია ნახატების ფოტორეპროდუქციები. თ. ნ.

1000. [უავტორო]

საინტერესოა იცოდეთ

ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, № 9, გვ. 47.

მოკლე ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების რაოდენობის, ნაბეჭდი გამოცემების, უცხო ენებზე თარგმანებისა და მთარგმნელების შესახებ; პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად გაწეულ მუშაობაზე XIX - XX ს-ებში.

გ. ა.

1001. [უავტორო]

რუსთველიანა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 1, 3, 4.

გაზეთში დაბეჭდილია ვახტანგ VI-ის, არჩილ მეფის, დ. გურამიშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჯავახიშვილის, ნ. მარის, გ. ტაბიძის, გ. ქიქოძის, ვ. შიშმარიოვის, ა. ისაკიანის, კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოვკის და სხვათა გამონათქვამები და ზოგადი შეფასებები რუსთაველისა და მისი შემოქმედებისა.

თ. ნ.

1002. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 17 ივლისი, № 134, გვ. 4.

დაბეჭდილია ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულად მთარგმნელის შესახებ: სოხუმელი პედაგოგი მანოლის მიტაფიდი მუშაობს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნულ თარგმანზე. რამდენიმე ხნის წინ თბილისში, რუსთაველისადმი მიძღვნილი მხატვრული კითხვის კონკურსზე, წარმოდგენილი იყო მანოლის მიტაფიდის მიერ თარგმნილი ნაწყვეტები პოემიდან. ჟიურიმ პოემის წამკითხველს პირველი ხარისხის დიპლომი მიანიჭა.

თ. ნ.

1003. [უავტორო]

სალამი თქვენ, ჩვენო მეგობრებო!

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 24 სექტემბერი, № 218, გვ. 1.

უწყება, რომ თბილისში, რუსთაველის იუბილეზე დასასწრებლად, ჩამოვიდა სტუმრების I ჯგუფი: მწერლები, მთარგმნელები და მეცნიერები – მოსკოვიდან, უნგრეთიდან, ინდოეთიდან, დანიიდან, ინგლისიდან, პოლონეთიდან და ჩილედან.

გ. ა.

1004. [უავტორო]

საოპერო თეატრის სარბიელზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტემბერი, № 114, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 30 სექტემბერს გაიმართება საზეიმო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ საუკეთესო ქართველი მომღერლები, მოცეკვავეები და მსახი-

ობები. შესრულდება ქართველი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებები. კონცერტი გააფორმა მხატვარმა ს. ვირსალაძემ. **ი. კ.**

1005. [უაგტორო]

უკრაინული ჟურნალის ფურცლებზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966,
22 სექტემბერი, № 112, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ უკრაინის ალკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „რანოკის“ მე-9 ნომერში დაბეჭდილია მასალები ქართული პოეზიისა და ხელოვნების შესახებ. მათ შორისაა პოეტ ჯ. ჩარკვიანის წერილი „სიტყვა შოთა რუსთაველზე“, აგრეთვე მიკოლა ბაჟანის მიერ თარგმნილი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. **ც. ე.**

1006. [უაგტორო]

ჟურნალები – რუსთაველს

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966,
23 სექტემბერი, № 39, გვ. 4.

ინფორმაციაში დასახელებულნი არიან ავტორები, რომელთა რუსთაველისადმი მიძღვნილი მასალები (ნარკვევები, ლექსები და სხვ.) დაბეჭდილია ჟურნალების: „მნათობის“, „ლიტერატურნაია გრუზიას“ და „ცისკრის“ სპეციალურ საიუბილეო ნომერებში („მნათობი“, № 9; „ლიტერატურნაია გრუზია“, № 9-10; „ცისკარი“, № 9).

გ. ა.

1007. [უაგტორო]

პოეტის ძეგლი – მოსკოვში დასადგმელად

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 23 ოქტ., № 242, გვ. 3.

კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სარემონტო ქარხანაში დაამზადეს შოთა რუსთაველის ძეგლი (ავტორი – მერაბ ბერძენიშვილი). ქანდაკების სიმაღლეა 2 მ. და 25 სმ. ის უკვე გაიგზავნა მოსკოვში, სადაც დაიდგმება „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე. **ი. კ.**

1008. [უაგტორო]

პოეზიის საღამოზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“,
1966, 1 ოქტომბერი, № 231, გვ. 1.

მოკლე ინფორმაცია იუწყება, რომ 29 სექტემბერს, თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში, გაიმართა მსოფლიო პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსთაველის იუბილეზე ჩამოსული სტუმრები საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებიდან და უცხო ქვეყნებიდან. პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ეს იყო მსოფლიო ხალხთა პოეტების მეგობრობის საღამო. **თ. ნ.**

1009. [უავტორო]

„მეცნიერებამ“ გამოსცა
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 სექტ., № 211, გვ. 3.

გამომცემლობა „მეცნიერება“ ბეჭდავს „ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტექსტს ორ ტომად. პირველ ტომში შესულია საკუთრივ პოემის ტექსტი, მეორეში დაიბეჭდება პოემის ჩანართი სტროფები და პოემის ე. წ. გაგრძელებები, ვარიანტებითურთ. იქვე იქნება კომენტარები და ლექსიკონი. უკვე გამოსულია გამოცემის I ტომი. ტექსტი დაადგინეს: აკ. შანიძემ (მთ. რედაქტორი), ალ. ბარამიძემ (რედაქტორი) და ივ. ლოლაშვილმა. ვარიანტები შეადგინა ც. კარბელაშვილმა. გამომცემლობის რედაქტორია ც. თავაძე. მხატვრულად გააფორმა გ. ხმალაძემ. **თ. ხ.**

1010. [უავტორო]

ახალი წიგნები შოთა რუსთაველსა და მის
„ვეფხისტყაოსანზე“

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, №2, გვ.39-40.

მიმოხილულია წიგნები, რომლებიც რუსთაველსა და მის პოემას ეხება. ესენია:

1. შოთა რუსთაველი (საიუბილეო კრებული).
2. ალ. ბარამიძე, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“.
3. ა. ზურაბაშვილი, „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“.
4. ვ. ნორაკიძე, „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში““.
5. „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება-მინიატურები XVI–XVIII საუკუნეებში.
6. ი. მეგრელიძე, „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიერებაში“.
7. გრ. ბარამიძე, „შოთა რუსთაველი – მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში“.
8. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები“. **თ. ხ.**

1011. [უავტორო]

რუსული კულტურის მოღვაწენი
რუსთაველზე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტ., გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ გამომცემლობამ „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაბეჭდა კრებული „რუსული კულტურის მოღვაწენი შოთა რუსთაველზე“. წიგნი შეადგინა **გ. ბებუთოვმა**, რედაქტორია ლ. კალანდაძე. მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, მოხსენებები, გამოკვლევები, რუსთაველის შემოქმედების ზოგადი, მოკლე შეფასებანი, რომელთა ავტორები არიან: ე. ბოლხოვიტინოვი, ფ. ტოლენი, კ. ბალმონტი, ალ. ტოლსტოი, ნ. ტიხონოვი, ი. ლუპოლი, ა. ფადეევი, პ. პავლენკო, ნ. ზაბოლოცკი, ვ. ინბერი, ი. ტინიანოვი, ნ. პოგოდინი, ვ. გოლცევი, ი. სელვინსკი, თ. გლადკოვი, პ. ანტოკოლსკი და სხვ. კრებულში მოთავსებულია პროფ. პ. ბერკოვის მიმოხილვა: „შოთა რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში“. წიგნი შეიცავს 300 გვერდს, უხვად არის ილუსტრირებული ფოტოსურათებით. **გ. ა.**

1012. [უავტორო]

საიუბილეო გამოცემები

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 6.

გამოვიდა ჟურნალების „საქართველოს კომუნისტი“, „მნათობი“, „ცისკარი“, „ლიტერატურნაია გრუზია“, „საბჭოთა ხელოვნება“, „სკოლა და ცხოვრება“, „დროშა“, „საქართველოს ქალი“, „საქართველოს ბუნება“, „ნიანგი“, „პიონერი“, „დილა“ – რუსთაველისადმი მიძღვნილი ნომრები, სადაც დაბეჭდილია საყურადღებო მეცნიერული და მხატვრული მასალები.

გ. ა.

1013. [უავტორო]

წიგნები, წიგნები...

გაზ. „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ.3; „ახ. კომუნისტი“, 1966, 29 სექტ., № 115, გვ. 3.

გამომცემლობა „განათლება“ დაბეჭდა:

1. სარგის ცაიშვილისა და ნოდარ ნათაძის ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია „**შოთა რუსთაველი და მისი პოემა**“. მასში მოცემულია ორიგინალური და საყურადღებო მეცნიერული დაკვირვებები, რომლებიც ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობასა და პოეტიკას. წიგნი გამოცე-მულია 6 ენაზე: ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, და ესპანურად.

2. **რუსული კულტურის მოღვაწეები შოთა რუსთაველზე**. კრებული შეადგინა გ. ბებუთოვმა. გამ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, რედ. ლ. კალანდაძე. წიგნში არის ოთხი განყოფილება. პირველში შედის რუსი პოეტების, მწერლებისა და მეცნიერების წერილები რუსთაველზე; მეორეში – თანამედროვე რუსი პოეტების გამოწა-ქვამები; მესამესა და მეოთხეში – ოქტომბრის რევოლუციამდე გამოთქმული აზრები შოთა რუსთაველის შესახებ.

გ. ა.

1014. [უავტორო]

ესე ამბავი ქართული

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 3.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში თბილისში გამომცემლობა „მეცნიერება“ სპარსულ ენაზე გამოსცა „ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან“. თარგმანი ეკუთვნის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის მორთეზა ფათემს. თარგმანს ერთვის რედაქტორის, ამავე ინსტიტუტის ირანული ენების განყოფილების გამგის ჯემშიდ გიუნაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიაც ზოგადად გა-შუქებულია XI-XII საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, გადმოცემულია „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი და მხატვრული ანალიზი. გამოცემა ლითოგრაფიულია. სპარსული ტექსტი ლამაზი კალიგრაფიული ხელით შეასრულა ცნობილმა კალიგრაფმა ალი მინაიმ. მხატვარი – გიორგი ნადირაძე. სპარსული ტექსტის პარალელურად ახლავს ქართული ტექსტი.

გ. ი.

1015. [უავტორო]

Правда мудрых строк бессмертна

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 5 იანვარი, № 3, გვ. 3.

გაზეთის გვერდი ეთმობა რუსთაველის აფორიზმების რუსულ თარგმანებს. როგორც შესავალ წერილშია აღნიშნული, საუკეთესო თარგმანების შერჩევაში რედაქციისათვის დახმარება გაუწევია ქართული ლიტ. ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს ს. სერებრიაკოვს. მან შეარჩია მაქსიმალურად ზუსტი შესატყვისები ნუცუბიძის, პეტრენკოს, ცაგარლის და ზაბოლოცკის თარგმანებიდან. ცალკეულ შემთხვევებში ს. სერებრიაკოვს შეუთავაზებია აფორიზმების საკუთარი თარგმანები. **ლ. კ.**

1016. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ენაზე

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 31 იანვარი, № 24, გვ. 4.

საქართველოს საბჭოთა მწერლების სომხურმა სექციამ მოაწყო სადამო თემაზე „რუსთველი და მისი სომეხი მთარგმნელები“. მოხსენებით გამოვიდნენ სარქის ბასტამიანი, რომელმაც ძირითადად ისაუბრა „ვეფხისტყაოსნის“ გეორგ ასტატურისეულ თარგმანზე; სურენ აფიანა მიმოიხილა პოემის ფრაგმენტების პირველი თარგმანები სომხურ ენაზე; ყურადღება გაამახვილა ოვანეს კარაიანის მოღვაწეობაზე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტებისა, მან სომხურად თარგმნა ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის და გიორგი ლეონიძის ნაწარმოებები. აგრეთვე ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“, რომლის ცალკეული ლექსები დაიბეჭდა გაზეთში „Советакан Врატან“. ამჯერად პოეტი ხელახლა თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ნაწყვეტები მან გააცნო თბილისის სახ. უნივერსიტეტისა და პედ. ინსტიტუტის არმენოლოგებსა და ქართველოლოგებს, აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირს. თარგმანი შეფასდა. ის გამოქვეყნდება საქართველოს და სომხეთის ჟურნალ-გაზეთებში, თარგმანის ნაწყვეტები სომხურ ენაზე გადაიცემა ქართული რადიოთი.

ლ. კ.

1017. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 1 ივლისი, № 27, გვ. 1.

ინფორმაცია, რომ ერევანში გამოსაცემად მზადდება შოთა რუსთაველის პოემის ახალი საიუბილეო გამოცემა, რომელიც თავისი აკადემიური სიზუსტით განსხვავდება ყველა ადრინდელისაგან. პოემას წინასიტყვაობად ერთვის აკად. ი. ორბელის ლენინგრადში წაკითხული ერთ-ერთი ლექცია (I-ად იბეჭდება სრული სახით).

წიგნს ერთვის კომენტარები, რომელშიც განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სომეხი გადამწერებისა და მინიატურისტების შრომა. აქვეა „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად თარგმნის ისტორიაც.

გ. ა.

1018. [უავტორო]

**„ვეფხისტყაოსნის“
ახალი სომხური გამოცემა**
გაზ. „ახ. კომუნისტი“, 1966, 20 აგვ., № 98, გვ. 3;
გაზ. „თბილისი“, 1966, 23 აგვ., № 197, გვ. 1.

წერილში გადმოცემულია ს. ერემიანის ნაამბობი, რომ „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებული იყვნენ სომეხი მოღვაწენი – გაბრიელ სუნდუკიანი, გეორგ ბაშინჯაღიანი, იოსებ ორბელი. პოემის გადამწერთაგან რამდენიმე სომეხია. წარსულში სომხურ ენაზე გადაღებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები. მთლიანად იგი თარგმნა პროფესორმა გეორგ ასატურმა, რომლის ნამუშევრის რედაქცია დავვალა პარული მურადიანს. ახალ გამოცემას ერთვის ისტორიულ-ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნები, წიგნი მხატვრულად გააფორმა ლიპარტ საღიანმა.

ბ. დ.

1019. [უავტორო]

რუსული კულტურის მოღვაწენი
გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 11 სექტ., № 214, გვ. 3.

პოემა „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ლიტერატურაში პირველად მოხსენიებულია ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნში, რომელიც 1802 წელს გამოიცა. მასში აღნიშნულია, რომ „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორი უძველესი ქართული პოემა – „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“. ორივე დაწერილია თამარ დედოფლის სახელოვანი მეფობის დროს მისივე შთაგონებით. ორივე მისი მახლობელი დიდებულის შეთხზულია. პირველი – რუსთაველის, ხოლო მეორე – ჩახრუხადის მიერ. ქართველებს ორივე შემოუნახავთ მთლიანად და საუკუნეთა მანძილზე, მათი სამშობლოს ამდენი ჩაგვრის, დამონების, აოხრების მიუხედავად, რამაც მათი მრავალი ძეგლი გაანადგურა, წარუშლელი დარჩენილა მათს მეხსიერებაში“.

ევგ. ბოლხოვიტინოვს მოჰყავს პოემის პირველი სტროფი ქართული ტრანსკრიფციით და რუსული თარგმანით. არჩევს შაირის სალექსო ფორმას.

ი. წ.

1020. [უავტორო]

რუსთაველის საღამო ერევანში
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 სექტ., № 38, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 9 სექტემბერს ხ. აბოვიანის სახ. პედ. ინსტიტუტმა გამართა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენებით „შ. რუსთაველი – ხალხთა მეგობრობის მომღერალი“ გამოვიდა პროფ. ა. ბაბიანი. სიტყვები წარმოთქვეს სომხეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირების მდივნებმა – ე. თოფჩიანმა და ნონეშვილმა.

რუსთაველს მიემღვნა ინსტიტუტის გაზეთის მთელი ნომერი.

გ. ა.

1021. [უავტორო]

მომძე ხალხთა ენებზე
(**ჩუვაშურ, ჩეჩნურ, ებრაულ ენებზე**)
გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 16 სექტ., № 38, გვ. 1.

ინფორმაცია იუწყება, რომ ჩუვაშეთის მწერალთა კავშირის ჟურნალ „ალავის“ („დროშა“) სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სამი თავი. მთარგმნელი – პოეტი პედერ ხუზანგაი.

თარგმანზე. საოლქო გაზეთ „ლენინან ნეკ“-ში („ლენინის გზა“) დაიბეჭდა ჩეჩენი პოეტის ნ. მუზაევის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის ნაწყვეტები.

ჟურნალ „სოვეტიშ გეიმლანდის“ მე-9 ნომერში (გამოდის მოსკოვში ებრაულ ენაზე) დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი (პროლოგი), რომელიც უთარგმნია პოეტ ე. ფინენბერგს. იქვეა ბ. ჟღენტის წერილი „მსოფლიო პოეზიის გენია“. **გ. ა.**

1022. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ხუთ წიგნად
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 20 სექტ., № 214, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებამ ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ რელიეფური, წერტილოვანი ანუ ბრაილის შრიფტით (ხუთ წიგნად). რედაქტორი – თ. ჩიტაური.

ეს გამოცემა გაიგზავნება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში. **გ. ა.**

1023. [უავტორო]

ამ დღეებში
გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 21 სექტ., № 38, გვ. 3.

იუბილეს აღსანიშნავად ემზადება თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. დაგეგმილი ღონისძიებები: ინსტიტუტის შრომების კრებულში გამოქვეყნდება გამოკვლევები პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ჩატარდება სამეცნიერო სესია, აღწერენ ი. მეუნარგიას არქივში დაცულ მასალებს, შეხვდებიან პოემის ფრანგულად მთარგმნელს – ს. წულაძეს. კონფერენციაზე განიხილავენ პოემის თარგმანებს და საიუბილეო თარიღს მიუძღვნიან საგანგები გამოფენებს. **თ. ხ.**

1024. [უავტორო]

ლაპარაკობენ რუსთაველის სტუმრები
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 სექტ., № 221, გვ. 3.

გაზეთში დაბეჭდილია უცხოელ მეცნიერთა მოკლე ინტერვიუები: **რენე ლაფონი** (ბორდოს უნივერსიტეტის პროფ.): „უკვე 40 წელია ქართულს ვსწავლობ... რამდენჯერმე წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“ ქართულად. ეს ნაწარმოები შესანიშნავი ქმნილებაა, რომელიც აუცილებლად უნდა გაიცნოს და დააფასოს მთელმა მსოფლიომ“.

იულიუს ასფალგი (მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი) საუბრობს არტურ ლაისტისა და ჰუგო ჰუპერტის თარგმანების მნიშვნელობაზე გერმანულენოვანი მკითხველისათვის.

სეი იბი ვაკული (ტოკიოს უცხო ენების სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესორი) აღნიშნავს, რომ რუსთაველის თხზულებას კარგად იცნობენ იაპონიაში. იპეი ფუკუ-როს თარგმანი რვაჯერ გამოიცა დიდი ტირაჟით. **გ. ა.**

1025. [უავტორო]

გვესაუბრებიან სტუმრები

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 116, გვ. 3.

ამ სათაურით წარმოდგენილია რუსთაველის იუბილეს მონაწილე უცხოელი მწერლების ზოგადი შთაბეჭდილებები.

ჯეიმს ოლდრიჯი: „მწამს, ეს ყველაფერი, ასე დიადი და ლამაზი, ღირსია რუსთაველისა; ასეთი გიგანტური მასშტაბებით ჩატარებული ზეიმი სწორედ რომ რუსთაველს ეკადრება“.

ესპანელი პოეტი **მარია ტერეზა ლეონი** საუბრობს ბასკებსა და ქართველების შესაძლო ისტორიულ ნათესაობაზე.

უნგრელი პოეტი **ლასლო ბენიამინი** ამბობს, რომ ის რუსთაველს ბელა ვიკარის თარგმანით იცნობდა. „ამ იუბილემ, ამ დიდმა ზეიმმა კიდევ მეტად მიმანიშნა რუსთაველის ადგილი მსოფლიო პოეზიაში, მისი სიდიადე. სწორედ დასანანია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა მას სხვა რამ მემკვიდრეობა არ დარჩენია“. **გ. ა.**

1026. [უავტორო]

ვეფხისტყაოსნის იტალიურად მთარგმნელი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 14 ოქტ., № 42, გვ. 3.

80 წლის ასაკში გარდაიცვალა „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ ენაზე მთარგმნელი რაფიელ ინგილო-ივანიცკი. იგი პროფესიით იურისტი იყო.

რ. ინგილო-ივანიცკიმ 1937 წელს იტალიაში წაიკითხა ლექციების ციკლი საქართველოსა და რუსთაველზე. 1942 წელს იტალიის სამეფო კარის შეკვეთით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ იტალიურ ენაზე. წიგნი მცირე ტირაჟით გამოვიდა. მას წამდღვანებული აქვს ქართველ მეფეთა გენეალოგია, გაფორმებულია რომის საოპერო თეატრის მოღვაწის მხატვარ გიორგი აფხაზის მიერ. 1945 წელს დაიბეჭდა ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორის შალვა ბერიძის თარგმანი პროზად. **გ. ა.**

1027. [უავტორო]

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

(შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო)

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 25 ოქტ., №127, გვ.1.

აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა კავშირში 78-ჯერ გამოიცა. მისი საერთო ტირაჟია 1 350 000 ეგზ. 1712 წლიდან დღემდე (1966 წ.) გამოცემულია 132-

ჯერ. ამათგან: ქართულად – 54-ჯერ, რუსულად – 33-ჯერ, სსრკ ხალხთა ენებზე – 19-ჯერ; უცხო ენებზე – 26-ჯერ, აქედან ფრანგულად – 5-ჯერ, ჩინურად – 4-ჯერ, გერმანულად და ინგლისურად – ორ-ორჯერ. უცხოეთში ქართულ ენაზე პოემა გამოვიდა სამჯერ – ბერლინში, მიუნხენსა და პარიზში. **გ. ა.**

1028. [უავტორო]

მეგობართა შთაბეჭდილებები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 4 ნომბ., № 45, გვ. 4; 11 ნომბ., № 46, გვ. 2.

საიუბილეო დღეებში არაერთი უცხოელი მოღვაწე გამოხატავდა აღფრთოვანებას, მათ შორის:

როჟე კაიუა – იუნესკოს ლიტ. განყ. უფროსი. იგი დარწმუნებულია, რომ ეს იუბილე ცხადყოფს ქართველი პოეტის სიდიადეს და ისტორიული უკუღმართობის გამო იზოლირებულ ამ თხზულებას კიდევ მრავალ ქვეყანაში გაიცნობენ.

კლოდ გალიმარი ამბობს, რომ ამ დღესასწაულს სათანადო გამოხმაურება ექნება; იგი თავს არ დაზოგავს, რათა ფრანგებმა უფრო ახლოს გაიცნონ რუსთაველი.

ირჟი ტაუფერი გამოხატავს აღფრთოვანებას და მიაჩნია, რომ ასეთი დღესასწაული ნამდვილად შეეფერებოდა საქართველოს უდიდეს პოეტს.

პიერ გამარა, მადლენ ბრონი სიხარულს გამოხატავენ საიუბილეო დღეებში საქართველოში ყოფნის გამო და თავს ვალდებულად თვლიან უფრო პოპულარული გახადონ საფრანგეთში რუსთაველის სახელი.

ლეონე პაჩინი სავოი – ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორი, ნეაპოლის უნივერსიტეტის საბჭოს პრეზიდენტი – უღრმეს პატივისცემას გამოხატავს და მადლობელია გულითადი მასპინძლობისათვის, ამავე დროს, აცხადებს სრულ მზადყოფნას ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტში რუსთაველის საიუბილეო საღამოს მოწყობის თაობაზე და სთხოვს ირაკლი აბაშიძეს, აცნობოს ვიზიტის ზუსტი თარიღი, რათა უნივერსიტეტი დროულად მოემზადოს და სათანადოდ დახვდეს მვირფას სტუმრებს.

თამარ ჰოვეი, ლი გოლდი გულწრფელი მადლიერებით იხსენებენ საიუბილეო დღეებს და თვლიან, რომ არასოდეს დაივიწყებენ ნანახ-განცდილს.

დოქტორი ჩ. ვარდი გულწრფელ სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ მისცა თბილისში ჩამოსვლის საშუალება. **თ. ხ.**

1029. [უავტორო]

ქართული ლიტერატურის ერთგული მეგობრები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 2 დეკემბერი, № 49, გვ. 1.

ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტ დამფასებლებს მ. ბაჟანსა და ნ. ტიხონოვს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები გადაეცათ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით დდი პოეტის საიუბილეო დღეებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ გულთბილად მიულოცა ლაურეატებს დამსახურებული ჯილდო.

სადამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა, აკად. ირაკლი აბაშიძემ, რომელმაც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პრემიის ლაურეატების ღვაწლსა და დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე. ისაუბრა ამ პოეტების დიდ სიყვარულზე ქართული ლიტერატურისადმი.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ წაითხა დადგენილება ნ. ტიხონოვისა და მ. ბაჟანისადმი პრემიის მინიჭების შესახებ.

ლაურეატებს მიულოცეს ქართული კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა: კ. გამსახურდიამ, დ. შენგელაიამ, ბ. ჟღენტმა, ალ. ბარამიძემ და სხვებმა. **თ. ხ.**

1030. [უავტორო]

რუსთაველი და ხალხური შემოქმედება

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 25 იანვარი, № 11, გვ. 3.

ინფორმაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს VI სამეცნიერო კონფერენციის მიმდინარეობის შესახებ. კონფერენცია მიძღვნილია რუსთაველის საიუბილეო თარიღისადმი.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ: აკადემიკოსები: გ. წერეთელი, არნ. ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, ა. ბოჭორიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია; პროფ.: ქ. სიხარულიძე, ს. კაკაბაძე, ი. მეგრელიძე, ქ. ვირსალაძე, ფილ. მეცნ. კანდიდატი დ. გოგოჭური.

საკედის კორესპონდენტთან საუბარში პროფ. მიხეილ ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ რუსთაველის პოემა ორგანულ კავშირშია ქართულ ფოლკლორთან. პოეტი ხშირად იყენებს არაკებს, თქმულებებს, რომლებიც ხალხში გავრცელებული, ამიტომ აუცილებელია მეტი ყურადღება დაეთმოს ამ კავშირის მკაფიოდ წარმოჩენას, ფოლკლორზე მისი პოეზიის გავლენის შესწავლას.

დასასრულ, ნაჩვენები იყო კინოსურათი, რომელიც ასახავდა 1965 წლის ზაფხულში რუსთაველის შესახებ მასალის მოძიების პროცესს. **თ. ხ.**

1031. [უავტორო]

ზიჩის უცნობი ნახატები

გაზ. „თბილისი“, 1966, 26 თებერვალი, № 48, გვ. 3.

იონა მეუნარგიას არქივში აღმოჩენილია მიხაი ზიჩის თექვსმეტი უცნობი ნახატი. უნგრელი მხატვარი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორია. ნაპოვნი ნახატები წარმოადგენს პოემის გმირთა წარმოსახვის პირველ ცდას. მაგრამ იგრძნობა, რომ მიხაი ზიჩი პოემას მხოლოდ გადმოცემით იცნობდა და აღუქვამს იგი, როგორც ფანტასტიკური, სათავგადასავლო ნაწარმოები. 16 ნახატიდან 12 „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პორტრეტების ესკიზებია. იონა მეუნარგიამ შემდგომში თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე და ქართული ტიპაჟის ფოტოსურათებთან ერთად გაუგზავნა ზიჩის. მხატვარი ახალ ნახატებში უფრო მკვეთრად გვიჩვენებს რუსთაველის გმირების სულისკვეთებას. საიუბილეოდ მიძღვნილ გამოფენაზე, ერთი ექსპოზიცია ზიჩის ნახატებს დაეთმობა. უკანასკნელ ხანს ზიჩის კიდევ ერთი ნახატი „ქართველი ქალი“ იპოვეს. ეს ნახატი მოსკოვში შეიძინა გრ. აბაშიძემ. **ი. წ.**

1032. [უაგტორო]

უმეცრება თუ გამოხდომა!

არა, ამას არავინ გვაპატიებს

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 11 მარტი, № 59, გვ. 3.

გაზეთი ალ. ბარამიძესთან საუბრით მკაცრად აკრიტიკებს ჟურ. „საბჭოთა ხელოვნების“ პირველ ნომერში (1966 წ.) გამოქვეყნებულ ს. კაკაბაძის წერილს „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“. ჩერდება ოთხ საკითხზე:

1. ვითომც ერაცსა და ირანში რუსუდანთან იზრდებოდა პოეტ ჩახრუხაძის ძმა, რომელმაც თამარის პატივსაცემად სპარსულად დაწერა პროზაული „ვეფხისტყაოსანი“. მისი ქართული პროზაული თარგმანი შემდეგ რუსთაველმა გალექსაო. 2. რუსთაველის სრული სახელი იყო „აშოთან“. 3. ვითომც ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა აღნიშნულ „ფაქტს“ და „ამიტომაც შემდგომ თაობათა მოწინავე ქართველები იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ რუსთაველის უკვდავი ქმნილებით და მიეჩნიათ ის პოეტური შემოქმედების, პროგრესული, მაცოცხლებელი იდეების, აგრეთვე ლექსის გარეგნული ფორმის მიუწვდენელ მწვერვალად“. 4. „1212-1215 წლების ახლოს შოთა გახდა მეჭურჭლეთუხუცესი, ამ საქმიანობამ მოაშორა პოეტი ლიტერატურულ სარბიელს“, ისე როგორც ი. ჭავჭავაძეს ბანკის გამგედ დანიშვნის შემდეგ „განდევილის“ მეტი მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერიაო. **ბ. დ.**

1033. [უაგტორო]

შოთა რუსთაველი

და მისი პოემა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 აპრილი, № 17, გვ. 4.

14 აპრილს მწერალთა სასახლეში დაიწყო პ. ინგოროყვას ნაშრომის – „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ – განხილვა. ავტორმა ეს მონოგრაფია რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტს წარუდგინა გამოსაცემად. სხდომა გახსნა რუსთაველის საიუბილეო რესპ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. სტურუამ. შემდეგ პ. ინგოროყვამ წაიკითხა თავისი მონოგრაფია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა და კრიტიკოსებმა: მ. ლორთქიფანიძემ, დ. მუსხელიშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ვ. დონდუამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ალ. ბარამიძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ცაიშვილმა, ბ. ჟღენტმა, ს. ჭილაიამ.

უმრავლესობამ გააკრიტიკა პ. ინგოროყვას მონოგრაფიის მცდარი დებულება შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ მკვლევარი ავითარებს არამეცნიერულ თვალსაზრისს, მისი მოსაზრებები უადრესად სუბიექტურია და არ ემყარება ისტორიულ საბუთებს.

განხილვა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, შეაჯამა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ი. აბაშიძემ. **გ. ა.**

1134. [უავტორო]

„ვ მირე კნიგ“ – შოთა რუსთაველს

გაზ. „ახალგაზედა კომუნისტი“, 1966, 14 ივლისი, № 82, გვ. 1.

ჟურნალ „ვ მირე კნიგის“ ივნისის ნომერი დიდ ადგილს უთმობს რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს. გარეკანზე დაბეჭდილია გ. კრავცოვის გრავიურა ხეზე „შოთა რუსთაველი“, გამოქვეყნებულია ა. ბარამიძის ვრცელი წერილი „შოთა რუსთაველი“, რომელიც ილუსტრირებულია მ. ზიჩის, ი. თოიძის და ს. ქობულაძის ნამუშევართა რეპროდუქციებით; აქვია ა. პრიმაკოვსკის წერილი „რუსთაველის პოემის რუსული თარგმანების ბიბლიოგრაფიისათვის“. რუბრიკით „მხატვარი და წიგნი“ დაბეჭდილია ე. ტერეხოვის სტატია „სერგი ქობულაძე“. **ლ. კ.**

1035. [უავტორო]

პოეტის ნაკვალევზე

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 ივლისი, გვ. 3;

ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 5.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქართველმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს სრულმეტრაჟიანი მეცნიერულ-პოპულარული ფილმი „რუსთაველი და მისი ეპოქა“. ფილმის კადრები გადაღებულია: დავით გარეჯის მონასტერში, ბეთანიაში, მცხეთაში, ქუთაისში, გელათში, მესხეთ-ჯავახეთში და თურქეთშიც (ხახული, ოშკი).

ფილმის დამდგმელი რეჟისორები არიან: გიორგი ასათიანი და თენგიზ ნოზაძე, ოპერატორები – შალვა შიოშვილი, ალექსანდრე სემიონოვი და გია ჭუბაბრია. **გ. ა.**

1036. [უავტორო]

რუსთაველს მიეძღვნა

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი),
1966, 25 სექტ., გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 1965 წელს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ და საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციის გამგეობამ დააარსეს რუსთაველის სახელობის ლექტორიუმი. ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა და ახალაზრდობამ აქ მოისმინეს: ს. კაკაბაძის, დ. გვრიტიშვილის, ი. მეგრელიძის, კ. მეძველიას, შ. რევიშვილის, დ. ბრეგაძის, ს. სერებრიაკოვის, მ. მახათაძის და სხვების ლექციები.

9-10 ივლისს ქუთაისსა და გელათში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მასში მონაწილეობდნენ: გ. ჩიტაია, შ. მესხია, დ. ბრეგაძე, კ. გრიგოლია, შ. ამირანაშვილი, ვ. დონდუა, ს. წულაძე და სხვები.

10 სექტემბერს თერჯოლაში, ხოლო 23 სექტემბერს გეგუთში გაიმართა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავი საზეიმო საღამოები. **გ. ა.**

1037. [უავტორო]

უკვდავება

ჟურ. „საქართველოს კალი“, 1966, № 9, გვ.2.

რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ჟურნალის ნომერი იხსნება სარედაქციო წერილით, რომელშიც წერია: „ქართველი ხალხი მეორედ იხდის დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს, იხდის მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებასთან ერთად. ესაა ზეიმი ჩვენი კულტურის, აზროვნების, მოწინავე იდეებისა და კეთილშობილი გულისა, რაც ქართველ ხალხს საუკუნიდან საუკუნემდე დროშად უტარებია“.

წერილში საუბარია რუსთაველის თხზულების უდიდეს მნიშვნელობაზე ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ზნეობისა და ესთეტიკური თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. გ. ა.

1038. [უავტორო]

Пять картин

გაზ. „Вечерний Тбилиси“,
1966, 27 სექტემბერი, № 227, გვ. 3.

ცნობა, რომ ვატიკანის არქივში ინახება ქრისტეფორე კასტელის მიერ 1640 წელს შესრულებული რუსთაველის პორტრეტი, 1881 წელს რუსთაველის პორტრეტი შექმნა ფრანგმა მარატმა; 1908 წელს ა. წერეთელმა მ. თამარაშვილისაგან მიიღო იტალიელი მხატვრის მიერ შესრულებული რუსთაველის პორტრეტი. რუსთაველის სურათი ამშვენებს 1937 წელს გამოცემულ კრებულს „რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში“, არსებობს აგრეთვე გ. გაგარინის ფრანგულ ალბომში შესული ფრანგი მხატვრის პლიერის ნახატი რუსთაველის პორტრეტი. ბ. დ.

1039. [უავტორო]

ქართული კულტურა

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“,
1966, 29 სექტ., № 115, გვ.3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 9 პავილიონი უჭირავს დიდებულ ექსპოზიციას, რომელშიც ასახულია ქართული კულტურა დასაბამიდან დღემდე.

ვინაიდან ეს გამოფენა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო, თავის-თავად დიდი ადგილი ეთმობა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკას. წარმოდგენილია ხელნაწერთა ნიმუშები და ნაბეჭდი გამოცემები, ქართველი მხატვრების ნამუშევრები და სხვ. გ. ა.

1040. [უავტორო]

შოთაობა საქართველოში

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ოქტ., № 231, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ მაცურებელს უჩვენა დ. არაყიშვილის ოპერა: „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ლიბრეტოს ავტორია ვ. კალაძე. ოპერა ნ. გუდიაშვილის ახალი რედაქციით დადგა გ. ვასაძემ, დირიჟორია ს. ხუროძე, მხატვარი – თ. მურვანიძე, გუნდის ხელმძღვანელი – ა. ბეჟანიშვილი, ცეკვების დამდგმელი – რ. ჭოხონელიძე.

იქვე ნათქვამია, რომ გეგუთის საშ. სკოლაში გაიმართა შ. რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება წაიკითხა პროფ. ვ. მეძველიამ. **გ. ა.**

1041. [უავტორო]

იუბილეს აპოთეოზი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 7 ოქტ., № 41, გვ. 4.

რუსთაველის საიუბილეო ზეიმის აპოთეოზი იყო 9 სექტემბერს გამართული დიდი სპორტული დღესასწაული თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე. მას დაესწრნენ საქართველოს სსრ მთავრობის წევრები და მრავალრიცხოვანი სტუმრები.

სპორტულ წარმოდგენებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა – „დინამოს“, „ქარიშხალას“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები, უმაღლეს საწავლებელთა სტუდენტები, საშ. სკოლების ექვსი ათასი მოსწავლე; დუშეთის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, გუდაუთის რაიონების ცხენოსნები, მოჭიდავეები, ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი...

გ. ა.

1042. [უავტორო]

წიგნის ტირაჟია ერთი ეგზემპლარი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 26 ოქტ., №244, გვ. 4

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „საქსოფლმშენსახპროექტის“ თანამშრომელმა თამარ მურადოვამ შექმნა უნიკალური წიგნი – მხატვრული კალიგრაფიით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. მისი ზომაა 30×42 სმ., შეიცავს 440 გვერდს და იწონის 4 კგ-ს. პოემა გადაწერილია 1957 წლის გამოცემიდან და ჩასმულია ტყავგადაკრულ ყდაში. თ. მურადოვამ მის გადაწერას სამი თვე მოანდომა. კონსულტაციას უწევდნენ პროფ. ილია აბულაძე და მხატვარი ლადო გუდიაშვილი. გაზეთში დაბეჭდილია ხელნაწერი წიგნის თავფურცელი და „დასაწყისის“ პირველი სტროფი. **გ. ა.**

1043. [უავტორო]

„ამბავი ტარიელისა“

გაზ. „ლიტ. საქ.“, 1966, 28 ოქტ., № 44, გვ. 4.

19 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იყო შალვა მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“.

გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ოპერის ავტორი ამბობს, რომ იგი არ მისდევს ხალხურ გადმოცემებს და ოპერას საფუძვლად დაუდო თვით რუსთაველის თხზულება. პირველად ეს ოპერა დაიდგა 1946 წელს, ახლა კი იდგმება განახლებული. მისი რეჟისორია გ. მელივა, დირიჟორი – ჯ. კახიძე, ცეკვების დამდგმელი – ვ. ჭაბუკიანი. ოპერის მთავარ პარტიებს ასრულებენ: ნ. ანდლულაძე, ო. კუზნეცოვა, შ. კიკნაძე, პ. თომაძე, ც. ტატიშვილი და სხვ. **გ. ა.**

1044. Сатым Улуг-заде

Руставели

გაზ. „Лит Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, ტაჯიკებმა რუსთაველის თხზულება მისი 750 წლის-თავის იუბილეს დროს გაიციინეს და ისევე შეიყვარეს, როგორც რუდაქის, ფირდოუსის, ხაიამის, საადის, ჰაფიზის და ჯამის ნაწარმოებები. ადამიანისადმი მგზნებარე სიყვარულის მომღერალი რუსთაველი ამაღლდა თავისი დროის იდეოლოგიასა და რელიგიურ აზროვნებაზე და მომავალი საუკუნეები განჭვრიტა „გულისა და გონების თვალით“. **გ. ა.**

1045. ოლივერ უორდროპი

[„ვეფხისტყაოსანი“]

გაზ.: „ლიტ. საქ.“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 2; „ლენინის დროშა“ (მახარ. რ.), 1966, 25 ოქტ., № 127, გვ. 3.

ავტორის შეფასებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამბავი ქართული ცხოვრებისეული მსოფლმხედველობაა. ეს წიგნი განძად უნდა ჩაითვალოს მთელი კაცობრიობისათვის“. **თ. ნ.**

1046. Н. Урушадзе

Поэма Руставели

и грузинское сценическое искусство

გაზ. „Заря Востока“, 1966, 21 სექტ., № 217, გვ. 3;
ჟურ. „Театр“, 1966, № 11, გვ. 73.76.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსანს“ და სასცენო ხელოვნების კავშირს, რომელიც XII საუკუნიდან უნდა იღებდეს საწყისს. პირველი შემსრულებლები პოემის მკითხველები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც თავისებური ინტონაციით, დახვეწილი ტემპებით, მაღალსტატურად წარმოთქვამდნენ პოემის სტროფებს, ხელნაწერთა სიმცირე კი განაპირობებდა ოჯახებში კოლექტიურ კითხვას. მოგვიანებით ამას მოჰყვა „ცოცხალი სურათები“, რაც დამატებით პლასტიკას მოითხოვდა და რომელიც ავტორს „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული სცენის პირველ მაკავშირებელ რგოლად მიაჩნია.

შემდგომ მიმოხილულია პოემის ინსცენირების ცდები. **თ. ნ.**

1047. ნათელა ურუშაძე

„ვეფხისტყაოსნის“
მხატვრული კითხვის ტრადიცია საქართველოში

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 141-150.

მკვლევართა აზრით, რუსთველისდროინდელ საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ წამლერებით და საკრავის თანხლებით იკითხებოდა, ვინაიდან მაშინ მოშაირის ხელოვნება მწერლისა და მსახიობის შემოქმედებას აერთიანებდა.

შემდგომ საფეხურად ავტორი ვარაუდობს პოემის კითხვას ოჯახურ წრეში. მე-19 საუკუნეში კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა ლიტერატურულ სადამოებზე.

საუკეთესო დეკლამატორები ყოფილან: დ. ყიფიანი, გრიგოლ დადიანი, მამია გურიელი, დავით ერისთავი, აკაკი წერეთელი. **გ. ა.**

1048. ალექსანდრ ფადეევი

[საყოველთაო სიყვარული]

ვაზ.: „სოფლ. ცხოვრ.“, 1966, 11 სექტ., № 214, გვ. 3; „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 3.

ავტორის მოკლე ნათქვამი: „რუსთაველის პოემაში არაჩვეულებრივად მეგობრული ურთიერთობაა დედამიწის სულ სხვადასხვა ხალხებს შორის. ერთმანეთს ეხმარებიან ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან.

უეჭველია, ჩვენს საბჭოთა გრძნობებს შეესაბამება ის უსაზღვრო გმირობა და სამშობლოს სიყვარული, რომლებსაც შოთა ხოტბას ასხამს უჩვეულო სიძლიერის ლექსში. მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი და მთლიანი ადამიანების მოწონებას იწვევს იმ ხასიათთა მძლავრი მთლიანობა, რომლებსაც რუსთაველი გვიხატავს“. **ბ. დ.**

1049. დავით ფანჭულიძე

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ფრანგულ ენაზე

ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი, № 43, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნის ისტორიის მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ პირველი პროზაული ნაწილობრივი თარგმანი ფრანგულად აკად. მარი ბროსემ 1828-1833 წლებში პარიზის „ნუვო ჟურნალ აზიატიკში“ გამოაქვეყნა. იოანა მეუნარგიამ ფრანგ პოეტთან ვიქტორ ჰუგოსთან 1877 წელს საუბრის შედეგად გადაწყვიტა ფრანგულად ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რაც 1884 წელს დაასრულა კიდევ. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ჰუგოსთან საუბრის მოკლე ჩანაწერი და პარიზიდან ოღლა გურამიშვილისათვის გაგზავნილი წერილის ნაწყვეტი – „ვილაპარაკეთ საქართველოზე, „ვეფხისტყაოსანზე“, ლამაზმანებზე, პარიზსა და საერთოდ საფრანგეთზე“.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის ტექსტი იონა მეუნარგიამ 1915 წელს საქართველოში ჩამოსულ კ. ბალმონტს სახელმძღვანელოდ გადასცა. ამ თარგმანით თავის დროზე აღფრთოვანებული ყოფილან ილია ჭავჭავაძე და ვახტანგ ორბელიანი. 1912 წელს ბრიუსელიდან მოწერილი წერილით ჟიულ მურიე მეუნარგიას თხოვდა ამ ფრანგული თარგმანის გამოცემის ნებართვას.

1885 წელს თბილისში დაიბეჭდა აჰახას ბორენის (ალექსანდრე ბობრინსკი) მიერ შესრულებული ნაწილობრივი თარგმანი. 1937 წლისათვის განზრახული იყო ელისაბედ ორბელიანის ფრანგული თარგმანის გამოცემა, რაც ვერ განხორციელდა.

1938 წელს პარიზში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პროზაული ფრანგული თარგმანი შესრულებული გიორგი გვაზავას და მარსელ პაონის მიერ.

პირველი სრული პოეტური თარგმანის გამოცემა ფრანგულ ენაზე განახორციელა სერგო წულაძემ აკად. შ. ნუცუბიძის კონსულტაციითა და წინასიტყვაობით 1964 წელს პარიზში, რომელსაც აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ აკად. მ. ბრიონი და მწერალი როჟე კაიუა. ამ თარგმანმა 1965 წელს ლანგლუას სახელობის პრემია დაიმსახურა. **გ. ი.**

1050. ლ. ფანჭულიძე

მსოფლიოს გზებზე

(„ვეფხისტყაოსანს“ ყველგან კითხულობენ)

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 29 სექტემბერი, № 222, გვ. 2.

წერილში საუბარია მარი ბროსეს დამსახურებაზე „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საკითხში.

საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელების შესახებ. კერძოდ: იონა მეუნარგიასეულ პროზაულ თარგმანზე (1884?), რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1885 წელს თბილისში გამოქვეყნდა ბორენის (ალ. ბობრინსკის) ფრანგული თარგმანი. 1937 წელს ელ. ორბელიანის (სოლ. იორდანიშვილის კონსულტაციით) თარგმანი პოემისა (ფრანგულად). 1938 წ. პარიზში გამოიცა გ. გვაზავასა და ქ-ნ ანი მარსელ პაონის თარგმანი, რომელსაც დართული აქვს გვაზავას წერილები. 1964 წელს პარიზში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, რომელსაც ფრანგულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა. 1912 წ. ლონდონში გამოიცა მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. 1938 წელს მოსკოვში კვლავ გამოიცა ელ. ორბელიანისა და სოლ. იორდანიშვილის თარგმანი, ს. იორდანიშვილის კომენტარებით და შენიშვნებით.

1960-იან წლებში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური, ესპანური და მონღოლური თარგმანები. **ი. წ.**

1051. კონსტანტინ ფედინი

თანხმობა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 2; ჟურ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 46-47.

ავტორის თქმით, რუსთაველი არ არის მხოლოდ თავისი ერის ნაციონალური სამყაროს გამომხატველი, იგი ჩვენთვის ესოდენ მახლობელი იდეის – ერთა მეგობ-

რობის მომღერალია. მისი პოემის გმირები განასახიერებენ ამ ჰუმანურ იდეას. რუსთაველი ადამიანისა და მისი საუკეთესო თვისებების – სიყვარულის, დიდსულოვნებისა და ვაჟკაცობის პოეტიზირებას ახდენს.

საოცარია ასეული წლების წინათ შექმნილი პოემის ჩვენს დღეებთან თანხმიერება
გ. ა.

1052. თ. ფერაძე

შაირის უკვდავება

რუსთაველისადმი მიძღვნილი კონკურსი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 ივლისი, № 161, გვ. 2.

ავტორი გვაცნობს რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსს და მათ გამარჯვებულებს. მონაწილეთა შორის დასახელებულია პელო ჩხაიძე, შალვა ჩალაძე და ალექსანდრე კაჯაევი, „რომლებიც აგრძელებენ მთელი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის ტრადიციას“, ხოლო „პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებული იქნა თვითმოქმედი კომპოზიტორი მარიამ ბიჭვინაშვილი (თელავი) შ. რუსთაველის ტექსტზე შექმნილი მელოდიისათვის „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა...“.

იქვე მოთავსებულ სურათზე აღბეჭდილია კონკურსის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.
ბ. დ.

1053. რიმა ფირცხალაიშვილი

ზოგი რამ „ვეფხისტყაოსნის“ რითმის შესახებ

საიუბილეო კრებული, „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 149-163.

მკვლევარი განიხილავს რითმას მაღალი და დაბალი შაირის ტაეპებში. ახასიათებს მაღალი შაირის ძირითად სარიტმო ტერფს – ქორესა და მის მრავალსახეობას. განიხილავს პეონის საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ რითმაში, აღნიშნავს, რომ პეონი ახასიათებს ძირითადად მაღალ შაირს, გამონაკლისის სახით იგი არსებობს დაბალ შაირშიც. მკვლევარი აანალიზებს სათანადო ტაეპებს პოემიდან. დაბალ შაირში შედარებით ნაკლებია ტერფთა კომბინაციების შესაძლებლობა, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობია საკუთრივ რითმაწარმოების ხერხთა სიმრავლე. დაბალი შაირის რითმითა უღერადობაც, თითქოს, უფრო კეთილხმოვანია, რაც კლავუზულაში ხმოვანთა სიჭარბით აიხსნება.
ლ. კ.

1054. ჰანს ფოგტი

სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების

საიუბილეო სესიაზე 1966, 28 სექტემბერს

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 208; გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 3;
„Заря Востока“, 1966, 30 სექტ., № 225, გვ. 3.

მეცნიერი მიესალმება სესიის მონაწილეებს და ქართველ ხალხს ნორვეგიელი ხალხის სახელით. თავის მოკლე სიტყვას იგი ასე ამთავრებს: „დღეს ქართველი ერი პატივს სცემს უდიდეს მგოსანს. ეს მოწმობს თქვენს სიყვარულს თქვენი წარსული-

სადმი და იმასაც, რომ ქართველები მომავალშიც სათუთად შეინახავენ შოთა რუსთაველის ხსოვნას“.

გ. ა.

1055. ალექსანდრე ფოცხიშვილი

ქალისა და სიყვარულის პრობლემა

„ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 17 ივნისი, № 25, გვ.2.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს ნ. ნათაძის წერილის დებულებებს („მნათობი“, 1965, № 2).

ნოდარ ნათაძის მიერ დასმული კითხვა – რატომ გაჩნდა XII საუკუნის საქართველოში ასე უცხად სიყვარულისა და ქალის კულტი, რომელსაც არც ქართველები, არც სხვა ქრისტიანი ერები მანამ არ იცნობდნენ, – მთელი ქართული საერო ლიტერატურის სატრფიალო ლიტერატურამდე დაყვანას ნიშნავს და „ვეფხისტყაოსნის“ სატრფიალო პოემად მიჩნევს. ავტორის შენიშვნით, წინასწარი პირობების გარეშე ერის ისტორიაში ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენები არ ჩნდება და არც სიყვარულისა და ქალის კულტი საქართველოში XII საუკუნეში არ გაჩენილა. ნათაძის მტკიცების საწინააღმდეგოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სამიჯნურო მოტივებსა და იბნ-დაუდის „ქითაბ ალ ზოჰრასა“ და იბნ ჰამზას კონცეფციებს შორის არსებობს არა პირდაპირი დამთხვევანი, არამედ მათი ანალოგია ამოიწურება ორიოდე მოარული ანდაზით. ამდენადვე უნიადაგოა ნათაძის სურვილი მათში დაინახოს რაღაც ისტორიული კავშირი და საერთო წყარო. არც ქართულ სამიჯნურო წარმოდგენებში, არც „ვეფხისტყაოსანსა“ და არც ქართულ საზოგადოებრივ ყოფაში მიჯნურობისათვის გაჭრის არავითარი სავალდებულო წესი არ არსებობს ისე, როგორც ეს ნათაძეს არაბულის გავლენად აქვს წარმოდგენილი. ასევე უნიადაგოა ნათაძის სურვილი, ანალოგია დაინახოს ქართულ სამიჯნურო მოტივებსა და დასავლურ სარაინდო კულტურასთან. პირიქით, დასავლურის საპირისპიროდ, ქალ-ვაჟის ყველა ურთიერთობაში ინიციატივა ქალებს ეკუთვნით. თუ დასავლური კონცეფციის მიხედვით სიყვარულის ობიექტი მხოლოდ ქმრიანი ქალია და რაინდული სიყვარული ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევაზეა აგებული, ქართულ სინამდვილესა და „ვეფხისტყაოსანში“ ოჯახი და ცოლ-ქმრობა აბსოლუტურ ერთგულებას გულისხმობს.

ავტორის დასკვნით, არავითარი სიყვარულის ინსტიტუტი (სასიყვარულო ნორმებითა და წესებით) საქართველოში არ ყოფილა. ასევე საქართველოში არ ყოფილა არავითარი „ქალის კულტი“. ქალის პატივისცემის წყარო კი შესაძლოა ქართველების მონათესავე პროტოხეთური სამყაროდან მოდიოდეს, სადაც დედოფალს სახელმწიფოში უდიდესი ხვედრითი წონა ჰქონდა. წარმართულ საქართველოშიც, ისე როგორც მთელ წინა აზიაში, უდიდეს პატივს ცემდნენ ქალს, როგორც გამრავლებისა და ნაყოფიერების საწყისს.

ქალის პრივილეგირებული მდგომარეობა საქართველოში შემდგომადე შენარჩუნებული იყო. მას ხელი შეუწყო მარიამ ღვთისმშობლისა და წმიდა ნინოს პოპულარობამ და თავისთავად თამარ მეფის ტახტზე აყვანაც ამ ტრადიციების გაგრძელება იყო და აქ არაფერ შუაშია ბედუინური პოეზიისა თუ არაბული კულტურის გავლენა.

გ. ი.

1056. ა. ფოცხიშვილი

„გაჭრა“ სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ა. ს. კუშკინის სახ. სახელმ. პედ. ინსტ., XXXI სამეცნ. სესია,
1966, 19-21 აპრ.; თეზისები, თბ., 1966, გვ. 34-35.

1. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვები: „გაჭრა“, „გადაჭრა“, „გადაჭრილი“, „გასაჭრელი“, „გადმოჭრილი“, „გარდმონაჭარი“, „გაუჭრელობა“ – ძირია „ჭერ“, რომელიც პირველ სერიას ებ თემის ნიშნით იწარმოებს და იკუმშება ე ხმოვნის დაკარგვით.

2. „ჭერ“ მნიშვნელობით ყველაზე უფრო „ვარდ“ ძირს უახლოვდება (გადავარდა, გადავარდნილი, გადმოცვივნილი), ძირითადად „ველად გავარდნის“ გაგებით. თუმცა ზოგან „ჩამოვარდნასა“ და „გადმოხვეწასაც“ ნიშნავს. აქვს სხვა მნიშვნელობაც: სახლს, ოჯახს მოშორება; გადახტომა, სწრაფად წასვლა.

3. ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველაზე უფრო სრულად და საკმაო სიზუსტითაც მოცემული აქვს თეიმურაზ ბაგრატიონს. დანარჩენ ავტორებთან (საბა, ნ. ჩუბინაშვილი, იუსტ. აბულაძე, ა. შანიძე) საქმის ვითარება სრულად არაა წარმოდგენილი, ზოგი სიზუსტეშიც ცოდავს.

გ. ი.

1057. ივანე ქავთარაძე

შოთა რუსთაველი და ქართული ენა

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 4.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა მთელი ეპოქა შექმნა ქართული ენის ისტორიაში. რუსთაველი იწყებს ახალ პერიოდს ქართულ სალიტერატურო ენაში.

მისი ენის პირველი თავისებურება ხალხურობაა, რუსთაველი გაბედულად იღებს და იყენებს ცოცხალი მეტყველების ფორმებს, ზომიერად შეაქვს პოემაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ დაუღვეველია რუსთაველის სიტყვათწარმოების საშუალებათა არსენალი; ერთი ძირიდან თხზავს ახალ-ახალ სიტყვებს, ზმნებს, არსებით სახელებს, ზედსართავეებს, მიმღეობებს (მოყვანილია მაგალითები). რუსთაველის სიტყვათა შეხამებანი, ფრაზეოლოგიზმები, სხარტი გამოთქმები, მდიდარი ლექსიკა – ქართული ენის სიმტკიცის ურყევი ფუნდამენტი.

გ. ა.

1058. ბ. ქავთარაძე

Музыкальная руставелиана

გაზ. „Сов. Киргизия“, 1966, 7 დეკ., № 280, გვ. 4; ჟურ. „Музыкаль. жизнь“, 1966, № 20, გვ. 2-3.

ავტორი განიხილავს იმ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომელთა თემა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ა. რუსთაველური მოტივები ქართული საოპერო მუსიკის ლეიტმოტივად იქცა. ამის დასტურია ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, აგრეთვე დ. არაყიშვილის საოპერო ნაწარმოები „თქმულეა შოთა რუსთაველზე“, ფალიაშვილის „ვეფხისტყაოსანი“. 30-იან წლებში მუსიკალური რუსთაველიანა გამდიდრდა ახალი ჟანრებით, როგორცაა ა. ანდრიაშვილის სიმფონია, რ. გაბიჩვაძის ორატორია, ი. გოკიელის ქორეოგრაფიული პოემა.

1945 წელს შეიქმნა შ. მშველიძის ოპერა „თქმულება ტარიელზე“. ი. აბაშიძის ლექსებს დაემყარა ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“. ა. ჩიმაკაძე წერს ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას „ვეფხისტყაოსანი“. 1946 წ. მონტე-კარლოში დაიდგა ბალეტი „შოთა რუსთაველი“ (დამდგმელი ქორეოგრაფი ს. ლიფარი), და ბოლოს, დიდი თეატრის წინადადებით, ა. მაჭავარიანი მუშაობს ბალეტზე „ვეფხისტყაოსანი“.

ლ. კ.

1059. ქართველი მწერლები

შოთა რუსთაველს

სარედ. კოლ.: გ. აბაშიძე, რ. მარგიანი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი.
გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ. 1966, 464 გვ.

კრებული შეიცავს ქართველი მწერლების მხატვრულ თხზულებათა ამონაწერებს თუ მთლიან ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახულია რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარე, მათი მწიგნობრობა ქართული კულტურისათვის, პოეტის სახე და ხასიათი. წიგნს უძღვის ბ. ჟღენტის წინასიტყვაობა (გვ. 5-6).

XV-XVIII საუკუნეებიდან წარმოდგენილი არიან: სერაპიონ საბაშვილი, „იოსებ-ლიხანაის“ უცნობი გამლექსავი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილი, სულხან თანიაშვილი, ფეშანგი, არჩილი, იესე ტლაშაძე, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი.

XIX-XX სს-დან: გრ. ორბელიანი, ა. ჭავჭავაძე, ვ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი, ჭ. ლომთათიძე, ა. აბაშელი, გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ლ. ავალიანი, მ. ასათიანი, შ. აფხაიძე, ა. ბელიაშვილი... (სულ 70-მდე ავტორი).

გ. ა.

1060. [ა. ქებია] А. Кебия

Балет «Шота Руставели»

გაზ. „Советская Абхазия“, 1966, 30 სექტემბერი, № 189, გვ. 3.

ავტორის ცნობით, პირველმა აფხაზმა პროფესიონალმა მხატვარმა ა. შერვაშიძე-ჩაჩბამ შექმნა დეკორაციები ბალეტისათვის „შოთა რუსთაველი“, რომელიც 1944 წელს მონტე-კარლოში დადგა ს. ლიფარმა. წელს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა პარიზის გრან-ოპერის დასი, ნესტან-დარეჯანის პარტიას ასრულებდა ცნობილი ბალერინა ივეტ შოვირი. იგი კორესპონდენტს ესაუბრა სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფზე. აღნიშნა, რომ მონტე-კარლოს შემდეგ ბალეტი „შოთა რუსთაველი“ დაიდგა პარიზში, 1947 წ. – ლონდონში. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.

ლ. კ.

1061. ვლ. ქებურია

აღზრდის საკითხები ვეფხისტყაოსანში

გაზ. „აღზრდის განთიადი“, 1966, 7, 19 ივლისი, № 79, 84.

ავტორის აზრით, რუსთაველის პოემაში მოცემულია პიროვნების აღზრდის საკითხებიც. „ნაწარმოები, მთლიანად აღებული, დიდაქტიკური მიმართებისაა, რომელიც ჯანსაღ საწყისებზე ზრდის ახალგაზრდობას“.

„ადამიანი ხშირად ტოვებს სწორ გზას და „ცდუნების“ ტყვე ხდება. სწორედ ამიტომაც საჭირო „გულის მოგვარება“, ...რაც სწავლამ უნდა მოაგვაროს... „მოუგვარებელი“ გულია ბრმა, ურჩი და გაუმადლარი.“

ავტორს მიაჩნია, რომ აღზრდის დაწყების ასაკად რუსთაველი ვაჟთათვის 5 წელს ვარაუდობს, ხოლო ქალთა სქესისთვის – 7 წელს. აღზრდელად ნაწარმოებში წარმოდგენილი არიან მხოლოდ საერო პირები (როსტევეანი, ავთანდილი, დავარი...). აღზრდელი მოვალეა „მმაგი“, „ხელი“, „უცნობო“ აღზარდოს, დაამშვიდოს და მოვლენების ობიექტურად დანახვა შეაძლებინოს. მას უნდა შეეძლოს გრძნობებზე ზემოქმედება და სასიამოვნო ემოციების გამოწვევა, რითაც მოახერხებს ხელაძეგულის მობრუნებას.

„აღზრდა ქმნის ადამიანს გონიერს, ზნეობრივს, ფიზიკურად სრულყოფილს, მაღალ ესთეტიკურს და პრაქტიკულად მოქმედს. ადამიანის ეს თვისებები სწორედ აღზრდის შემადგენელი ნაწილებია, რომელიც შეიძლება გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის დეტერმინაციებში მოვაქციოთ“.

გ. ა.

1062. გ. ქელბაქიანი

სცენაზეა დიდი შოთა

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 26 ოქტომბერი, № 244, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ ტყიბულის სახალხო თეატრში დაიდგა იონა ვაკელის პიესა „შოთა რუსთაველი“, რომელშიც შოთას როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვალერიან დოლიძე. დადგმის რეჟისორია გრ. ლაღიძე, მხატვარი – ირ. მდივანი, კომპოზიტორი ი. ბობოხიძე.

სპექტაკლმა მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

თ. ნ.

1063. მ. ქემხაძე

„ვეფხისტყაოსნის“

გეოგრაფიული გარემო

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 30 სექტ., № 189.

ავტორი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს შოთა რუსთაველის გეოგრაფიული ცოდნა და აღნიშნავს, რომ პოემაში დასახელებულია 10 სახელმწიფო: არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ხვარაზმი, სპარსეთი, ჩინეთი, ქაჯეთი, ეგვიპტე, მულღაზანზარი, ზღვათა სამეფო და ოთხი ქალაქი: ათენი, ბაღდადი, ბასრა და გულანშარო; ასახელებს აგრეთვე ორ მდინარეს: ჯეონს (ამუდარიას) და დიჯლას (ტიგროსს).

ჩამოთვლილ გეოგრაფიულ ობიექტებს შორის კამათს იწვევს ისეთი სახელმწიფოების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, როგორცაა მულღაზანზარი, ზღვათა სამეფო, გულანშარო და ქაჯეთი.

ისტორიულ წყაროებში მსგავსი სახელწოდების სახელმწიფოები და ქალაქი არსად არის აღნიშნული.

რაც შეეხება დანარჩენ გეოგრაფიულ ობიექტებს, მათი ერთი ნაწილი დღესაც არსებობს, ხოლო ნაწილი ისტორიულადაა ცნობილი.

ც. ე.

1064. Михаил Квливидзе

Он музами воспет

გაზ. „Литературная Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველს შეიძლება ვუწოდოთ არა მხოლოდ მწერალი, არმედ მხატვარიც, მუსიკოსიც, მეცნიერც და განმანათლებელიც. ამიტომ კანონზომიერია ინტერესი, რომელსაც რუსთაველის თემისადმი იჩენენ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. ყველაზე მეტი ყურადღება მხატვრებმა გამოიჩინეს. გვაქვს ილუსტრირებული ხელნაწერები. ერთ-ერთში 87 ნახატია, შესრულებული ორი უცნობი ოსტატის მიერ.

მე-19 ს-ში მიხაი ზიჩის სურათებმა სათავე დაუდეს „ვეფხისტყაოსნის“ პროფესიულ ილუსტრირებას. მე-20 ს-ში შეიქმნა ლ. გუდიაშვილის, ი. ქობულაძის, მ. თომის და სხვების ილუსტრაციები.

რუსთაველის თემატიკა აისახა მუსიკაშიც. შეიქმნა დ. არაყიშვილის და შ. მშველიძის ოპერები, ო. თათაქიშვილის ორატორია „პალესტინა, პალესტინა“. მზადდება ბალეტი ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით.

გ. ა.

1065. რ. ქიტესაშვილი

„იოსებ-ზილიხანიანის“ ერთი სტროფის გაგებისათვის

გაზ. „თბ. უნივერსიტეტი“, 1966, 9 სექტ., № 26, გვ. 2.

ავტორი განიხილავს „იოსებ-ზილიხანიანის“ უცნობი მთარგმნელის ტექსტში არსებულ სტროფს:

„აწ რუსთველო, გეთხოვები, რომე მამცა ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა,
რომე გკადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა...“

მკვლევარს მოჰყავს პ. ინგოროყვას, ვ. კეკელიძის და ალ. გვახარიას მოსაზრებები და აღნიშნავს, რომ მას სინამდვილესთან მიახლოებულად მიაჩნია ალ. გვახარიას აზრი, რომელიც ანონიმის ტექსტში „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიბაძვას ხედავს, მაგრამ „დაჯრა“ რადგან დახურვას, ანუ დამთავრებას ნიშნავს, აქ პოემის სიუჟეტის დასრულება უნდა იგულისხმებოდეს.

ამრიგად, „იოსებ-ზილიხანიანის“ უცნობი ავტორი ერთ-ერთი გამგრძელებელი უნდა იყოს, რომელმაც შეთხზა გამირების გარდაცვალების ეპიზოდები. შესაძლებელია, იგი ბოლოში მოხსენებული „ვინმე მესხი მელექსე“ იყოს.

გ. ა.

1066. ბ. ქიქოძე

გენიალური შემოქმედი

(აკაკი – „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი)

გაზ. „თბილისი“, 1966, 27 ოქტომბერი, № 253, გვ. 3.

მკვლევარი გვაწვდის აკ. წერეთლის შეხედულებებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, მიმოიხილავს აკაკის სამ ლექციას, რომელიც მან წაიკითხა 1881 წელს, შემდეგ კი გამოაქვეყნა ჟურნალ „აკაკის კრებულში“. აკაკი წერეთლის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“

ნი“ ორიგინალური თხზულებაა. თვითეულ პერსონაჟში იგი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის გამოვლინებას ხედავს. ამავე ლექციებში აკაკი განიხილავს ქალის მდგომარეობის საკითხს. სტატიაში დასახელებულია აკაკი წერეთლის სხვა წერილებიც რუსთაველისა და მისი ქმნილების შესახებ. აღნიშნულია, რომ აკაკი იზიარებს ხალხურ გადმოცემას, რომ რუსთაველმა სიცოცხლე ჯვრის მონასტერში დაასრულა. წერილში „მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გამო“, აკაკი ეთანხმება ნ. მარის მოსაზრებას, რომ „თამარიანის“ ავტორი რუსთაველია.

ი. წ.

1067. მანანა ქიქოძე

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის საკითხისათვის

ჟურ. „მაცნე“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია), 1966, № 5, გვ. 96-105.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველმა გამომცემელმა ვახტანგ მეექვსემ წიგნზე დართული ბოლოსიტყვაობით („თარგმანით“) დასაბამი დაუდო ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების განვითარებას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა სპეციალურ დისციპლინას – მეცნიერულ რუსთაველოლოგიას. ვახტანგის „თარგმანი“ საინტერესოა აგრეთვე როგორც ქართული ფეოდალური აზროვნების, იდეურ-პოლიტიკური შეხედულებების გამომხატველი დოკუმენტი.

მკვლევარი წერს, რომ ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ქრისტიანულ-კლერიკალური მორალის გაბატონებული ფილოსოფიური და ეთიკური წარმოდგენის შუქზე განიხილა და ზოგიერთი საცლესიო პირის მიერ ათვალწუნებული ლიტერატურული ძეგლი ქართული აზროვნების და პოეზიის შედეგად გამოაცხადა. მასვე ეკუთვნის საინტერესო დაკვირვება პოემის სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ.

ვახტანგ მეექვსე სოციალურ საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას; ერთ-ერთი სტროფის კომენტარში წერს: „ბატონის ბრძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდევ უნდა რცხვენოდეს და კიდევ უნდა ეშინოდეს“-ო. ქართლის პოლიტიკური მეთაური სიტყვით და საქმითაც სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლის განმტკიცებას ცდილობდა. სპეციალურ ლიტერატურაში მრავალგზის არის განხილული ვახტანგის შეხედულება „ვეფხისტყაოსანში“ ასახულ მიჯნურობაზე. მეფე-კომენტატორმა ამ მოტივს ალეგორიულ-მისტიკური საფუძველი მოუძებნა და იგი სასუფეველის და ღვთის სიყვარულს გაუთანაბრა.

როგორც მ. ქიქოძე ფიქრობს, არაა აუცილებელი, რომ ამ განმარტებაში ვახტანგის სუფისტური თვალსაზრისი დავინახოთ. ეს ალბათ შეგნებულად დაშვებული უზუსტობაა, რადგან, ვახტანგის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ „სამეძაო“ თხზულებად იყო მიჩნეული და აუცილებელი გახდა მისი რეაბილიტაცია.

გ. ა.

1068. ს. ქოჩლაძე

მოზრძანდით, გელით ყვარელი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 16 სექტემბერი, № 211, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილესათვის მზადების დღეებში კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწე-

ობის ამსახველი გამოფენები მოეწყო. გაიწმინდა ისტორიული ძეგლების – ნეკრესისა და გრემის შემოგარენი, შეკეთდა მისასვლელი გზები, აღდგენილ იქნა „მთავარანგელოზის“ ეკლესია, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო მუზეუმი. **გ. ა.**

1069. [ა. ქუთათელაძე]

А. Кутателадзе, М. Мамулашвили

О толковании термина „Вепхи“

ქურ. „Лит. Грузия“, 1966, № 7, გვ. 90-91;

უკანასკნელი 4 ათეული წლის განმავლობაში მოხდა ტერმინების „ვეფხის“ და „ჯიქის“ აღრევა. ვეფხვად მიიჩნიეს ზოოლოგიურად სხვა სახეობის ცხოველი – ჯიქი, ხოლო ჯიქის ადგილი ვეფხვმა დაიჭირა.

ნაშრომის ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ვეფხვი იგივეა რაც *барс*, *леопард*, *пантера*, ჯიქი (*тигр*) ზოოლოგიური ნადირია, საზარელი და მძვინვარე. მ. ზიჩის ილუსტრაციებში ტარიელი ხალხიანი ტყავით არის მოსილი. შემდგომში ილუსტრატორებმა, „ვეფხვის“ არასწორი ლექსიკური განმარტების გამო, ტარიელს ჯიქის ზოოლოგიური ტყავი „ჩააცვეს“. „ვეფხვის“ რაობა სწორად ესმოდათ თ. ბატონიშვილს, ნ. მარს, კ. ბალმონტს, რომელმაც თავის თარგმანს უწოდა „*Носящий барсову шкуру*“. ევროპულ ენებზე ძველ თარგმანებში, არტურ ლაისტის თარგმანის გარდა, „ვეფხი“ ყველგან გაგებულია, როგორც „პანტერა“, „ლეოპარდი“. ლაისტის შეცდომა კი უნდა მიმდინარეობდეს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან.

ავტორები წარმოადგენენ ლექსიკონთა მონაცემებს და მიუთითებენ, რომ ტერმინი „ვეფხი“ სწორად არის ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (IV ტ.): მისი რუსული შესატყვისია *барс*. **ლ. კ.**

1070. გ. ქუთათელაძე

ფერები ცხოვრებაში და ფერები ხელოვნებაში

შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტ. სტუდენტთა XXI სამეცნ. კონფ., თეზისები, ბათ., 1966, გვ. 36-38; გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ.), 1966, 23 აპრ., № 49.

ხელოვნებაში ფერთა მნიშვნელობაზე მსჯელობისას, ავტორი აღნიშნავს: ფერთა სახეობრიობას, სიმბოლიკას მიმართავენ ჭეშმარიტად დიდი შემოქმედნი. გოეთე, ჰომეროსი, რუსთაველი შესანიშნავი ფერმწერები არიან. მათი შემოქმედება ფერთა სიმფონიაა.

ფერების ესთეტიკური აღქმით განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანში“ ყველა ფერია წარმოდგენილი. წინა პლანზეა წითელი, ყვითელი, შავი, თეთრი, იისფერი, მწვანე. საერთო ფერები: თეთრი – მოწეული, შავ-წითელი, შავ-ყვითელი, შავ-მწვანე და სხვა ფერები. იქ ფერების საშუალებით სინამდვილე მხატვრულად, სახეობრივად ათვისებული.

თითოეულ ფერს სხვადასხვა გრადაცია აქვს. მაგ. წითელი შეიძლება იყოს: სისხლისფერი, მოწისფერი, არღვენისფერი, ლალისფერი. **გ. ი.**

1071. დიმიტრი ქუმსიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული სარჩული

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 2 სექტ., №170, გვ 3; აგრ. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის XXXI სამეცნ. სესია, 1966, 19.IV-21. IV, თეზისები, გვ. 20-22.

ავტორი ვარაუდობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია 1189-1193 წლებში. მას მოჰყავს პარალელები საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებსა და პოემაში ასახულ პოლიტიკურ ცხოვრებას შორის და დაასკვნის: „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეა მთლიანად ნაკარნახევია თამარ მეფისდროინდელი სინამდვილით. რუსთაველი ამ თხზულებით თავისი დროის ყველაზე აქტუალური და პროგრესული პოლოტიკური აზრის დამკვიდრების საქმეს ემსახურება. **გ. ა.**

1072. დ. ქუმსიშვილი

შოთა რუსთაველის

მხატვრული გამოსახვის ხერხი და საშუალება

კრებ. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები ტ. 19, 1966, თბ., გვ.173-197.

მკვლევრის აზრით, რუსთაველმა ქართული სინამდვილის კერძო, ისტორიული შემთხვევა განაზოგადა და „ვეფხისტყაოსნის“ იდეად აქცია. ამ ჩანაფიქრის მხატვრული განსახიერება სერიოზულ ჟანრს მოითხოვდა – ეპოსის ფორმას, რასაც რუსთაველი შაირობის თეორიაშიც ასაბუთებს, როგორც სინამდვილის ასახვის უპირატეს პოეტურ საშუალებას. რუსთაველი ასახელებს გამოსახვის იმ საშუალებებს, რომელთაც ის მიმართავს პოემაში, ესენია: ენა, გონება და ხელოვნება. ძირითადი კი მხატვრული სახე და ხასიათია, რომელთა შესაქმნელად რუსთაველი მიმართავს მიჯნურობისა და მეგობრობის მოტივებს, რომელნიც იდეას კი არ წარმოადგენენ, „არამედ მხატვრული სახის, ხასიათის შესაქმნელ ერთერთ საშუალებას“ (გვ.182).

„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი, მისი შინაარსის საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან შედარება იმას ადასტურებს, რომ რუსთაველმა ალეგორიულად ასახა ისტორიული მოვლენები. არაბი ავთანდილისა და ინდოელი ტარიელის თავგადასავალი საქართველოში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის ალეგორიულ გადმოცემას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსთაველი ალეგორიას მიმართავს როგორც მხატვრულ ხერხს (გვ.184-185) და „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე გრანდიოზულ ალეგორიას წარმოადგენს (გვ.191). ამიტომ „ესე ამბავი სპარსული“ და არაბეთსა და ინდოეთში გაშლილი ამბები სავსებით არ გულისხმობს სპარსულ ამბავსა და არც არაბულ-სპარსულ სინამდვილეს. ესაა ქართული სინამდვილე (გვ.181). მეცხრე სტროფში რუსთაველი გარკვეულად მიგვანიშნებს იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულადაა გასაშიფრი, რომ ის თამარის ქებას წარმოადგენს. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობა არ უნდა ვეძიოთ ისტორიული სინამდვილისა და პოემაში აღწერილი ამბების ზუსტ დამთხვევაში (გვ.193. „ვეფხისტყაოსანში“ ალეგორიულად განსახიერებული არიან არა კონკრეტული ისტორიული პირები ან მოვლენები, არამედ ეპოქის სული, იმ დროის ზოგადი იდეები და საჭირბოროტო საკითხები (გვ. 194).

ავტორის შენიშვნით, რუსთაველმა ალეგორიას იმ მიზნით მიმართა, რომ თავიდან აეცილებინა არასასურველი ასოციაციები და პარალელები თამარის პიროვნებასა და მის სასახლის კართან. **გ. ი.**

1073. დ. ქუმსიშვილი

**ალეგორია „ვეფხისტყაოსანში“
როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალება**
გაზ „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 16 სექტ., № 180, გვ. 3.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე გრანდიოზული ალეგორიაა. პოემის ალეგორიულობა ჩანს ნაწარმოების მოქმედების გადატანაში საქართველოს ფარგლებს გარეთ. პოემაში აღწერილი ამბები წარმოადგენს თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სინამდვილის უტყუარ ანარეკლს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები ქართველი ადამიანების შენიღბული გამოხატულებანი არიან.

ალეგორიულობა ჩანს იდეურ-თემატურ კავშირსა და საერთო ტენდენციაში, რომელიც აერთიანებს საქართველოს სინამდვილესა და „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს.

მკვლევრის აზრით, რუსთაველი ალეგორიის საშუალებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი ნაწარმოები არაა სინამდვილის ზუსტი ასლი. პოეტი აღწევს განზოგადებას, რომ ის, რაც ჭეშმარიტია ზოგადად, ჭეშმარიტი და გამოსადეგია კონკრეტულად საქართველოსათვის. დასკვნა თამარის მეფედ ყოფნის კანონზომიერების შესახებ მკითხველს უნდა გაეკეთებინა დედუქციური მეთოდით – ზოგადიდან კონკრეტულისაკენ სვლით. **გ. ა.**

1074. დ. ქუმსიშვილი

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“
გაზ. „თბილისი“, 1966, 14 სექტემბერი, № 216.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამაღლებული, ფაქიზი სიყვარულის საგალობელია. განიხილავს ავთანდილის და ტარიელის ქცევას, მათს დამოკიდებულებას თავიანთი სატრფოების მიმართ. გადმოსცემს პოემის შესავალში მოცემულ ზოგად პრინციპებს მიჯნურობის შესახებ. **ი. კ.**

1075. შოთა ქურდიე

შოთას აფორიზმები

გაზ.: „საბჭოთა აჭარა“, 1966, 9 თებ., № 28, გვ. 3; „სახ. განათლება“, 1966, 16 თებ., № 7, გვ. 2.

ავტორი მსჯელობს აზრის აფორისტულად გამოხატვის სხვადასხვა ხერხზე, რუსთაველის აფორისტულ სტილზე. აღნიშნავს, რომ აფორიზმი ხშირად სტროფში გადმოცემული აზრის დასკვნას წარმოადგენს და მეოთხე ტაქში თავსდება. აფორიზმი ზოგჯერ კითხვითი წინადადების სახით არის წარმოდგენილი.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ აფორიზმებში გამოთქმულია პროგრესული, ჰუმანისტური აზრები, რომელთაც ზოგადასაკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ. **გ. ა.**

1076. ნანა ღვინევაძე

პოეტი და ფილმი

გაზ. „ახ. კომუნისტი“, 1966, 1 ოქტ., № 116, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი „რუსთაველის ეპოქა“. რეჟისორები არიან გიორგი ასათიანი და თენგიზ ნოზაძე; სცენარის ავტორები – ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, მ. სალუქვაძე, თ. ჩხენკელი; მუსიკა – ბ. კვერნაძისა.

ფილმში რუსთაველის ეპოქა წარმოდგენილია ისტორიული ძეგლებით, ციხეებითა და ტაძრებით, ფრესკებითა და ხელნაწერი წიგნებით.

ავტორის თქმით, „ფილმში საოცრად იგრძნობა პოეტი, მისი გული და ფიქრი, მისი პოეზიის ბრწყინვალეობა და ის ძნელად სავალი გზა, რაც გამოიარა „ვეფხისტყაოსანმა“ რვა საუკუნის მანძილზე“.

გ. ა.

1077. ალექსანდრე ლლონტი

„კაც“ სიტყვისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ა. ს. პუსკინის სახ. სახელმწიფო პედ. ინსტ., XXXI სამეცნ. სესია, 19, IV – 21, IV, 1966, თეზისები, 1966, გვ. 24-25.

1. კაც სიტყვას ახალ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: ფართო გაგებით ის აღნიშნავს ადამიანს, ვიწროთი კი – მამაკაცს, ქმარს, შიკრიკს, მსახურს. ფართო მნიშვნელობა სიტყვისა პირველადია, ვიწრო – შეძენილი. ძველ ქართულში კაცი, ბუნებრივად, ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა. ახალ ქართულში მან ვიწრო მნიშვნელობაც შეიძინა და თანდათანობით ეს უკანასკნელი ბატონდება. მის ადგილს იჭერს უცხოენობრივი სამყაროდან შეთვისებული ადამიანი-ი.

2. „ვეფხისტყაოსანში“ კაცი-ი 240-ჯერ გვხვდება და, ბუნებრივია, ფართო მნიშვნელობით არის დამოწმებული, რაც ნა-თელყოფს, რომ რუსთაველი, უწინარეს ყოვლისა, ცნობს სიტყვის ამ მნიშვნელობას.

მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს. (7414);

სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა? (11933).

ან: კაცი კაცსა შემოვტყორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი, (4472);

მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანაღამია, (4731).

3. ძველ ქართულ ნათარგმნ, კერძოდ, ბერძნულიდან გადმოღებულ ძეგლებში შესაბამისი სიტყვა ანთროპოს თარგმნილია კაცად. სხვა სიტყვა მის ნაცვლად იქ არ გვხვდება. ადამიანი გვიან ჩნდება. IX-X საუკუნეთა ძეგლებში იშვიათად დამოწმებულია ადამიანი, რომლის სინონიმებად ნახმარია: ადამისტომისა, ადამისაგანი, ადამიერი. რუსთაველის პოემაში ეგ სიტყვა მხოლოდ ერთგზისაა მოხსენებული და ისიც სათუო სტროფში („იტყოდა: სულე, რამე გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“, 2331). 4. „ვეფხისტყაოსანში“ დაცულია კაც სიტყვასთან დაკავშირებული ცნებების ძველქართული იერარქია (მამაკაცი, დედაკაცი, მამაცი, დიაცი, ვაჟი, ყმა, ყმაწვილი, ჭაბუკი). პოემა ასახავს რუსთაველის თანამედროვე ეპოქის ქართულის ლექსიკურ ნორმებს.

გ. ი.

1078. ალ. ლლონტი

შოთა რუსთაველი ხალხურ გადმოცემებში

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 23 ივლისი, გვ. 3.

სტატია წარმოადგენს რეცენზიას მიხეილ ჩიქოვანის ნაშრომზე „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“. აღნიშნულია, რომ მკვლევარი „ახალი ასპექტით იხილავს „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური „ტარიელიანის“ სიუჟეტებისა და მოტივების მსგავსება-განსხვავებას. სწორადაა ხაზგასმული მოტივების ხალხური და ლიტერატურული რედაქციების სხვაობა. ავტორს მიაჩნია, რომ დიდი სიტყვათმოქმედის უჭკნობ თხზულებას ასაზრდოებს ხალხური ნიადაგი. „ვეფხისტყაოსანში“ ვხედავთ არა მარტო შოთა რუსთაველის ინდივიდუალურ გენიას, არამედ, ამასთანავე, მისი მშობელი ხალხის, ქართველი ერის სულიერ მონაპოვარს, შედეგებს, ახლებურად გააზრებულსა და სრულყოფილს.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ეს აზრი შეიძლება გავიზიაროთ, მაგრამ ახლა ძნელია ყველა ამ ხალხური წყაროს ზუსტად მითითება, რასაც, სავარაუდოა, მართლაც ეყრდნობოდა შოთა რუსთაველი. **ც. ე.**

1079. ალ. ლლონტი

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ენა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 19 აგვისტო, № 34, გვ. 2.

ავტორი წერილის მიზანს ასე განსაზღვრავს: „...ხაზგასმა იმ სიახლოვისა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ ქსოვილს ემჩნევა ძველ, საშუალო და, რაც მთავარია, ახალი ქართულის სამწერლო ნორმებთან და დღევანდელი ეპოქის სალიტერატურო ენასთან“.

პოემიდან გამოყოფს:

სახელთა ფუძეებისაგან ზმნების მიღებას: ია → იე, ხე → იხოლ და სხვა. რთული სახელებისაგან: **გაავცნობდა, გასაწყინარდა, გახმამყივარდა** და სხვა. **გულ-ლახვარსობილი, ნაუფლისწულევი** და სხვა.

სალაპარაკო ენის ნორმებზეა გამართული „გამო“ და „ნა“ დართული სრული ასპექტები: **გამომართალე, გამომელდა** და სხვა. **ნააზატები, ნაათალი** და სხვა.

ხალხურ ელფერს გვიჩვენებს მოქმედების სიტყვათა „და“ და „მო“ პრევერბიანი ფორმები: **დავმჟღავნდებით, დამემტერა, მომგზავრებული, მოსათვალავად** და სხვა.

თანდებული ძველი, მაგრამ უფრო საშუალო და ახალი ქართულის ნორმებითაა ნახმარი: **ზედან, ზედა, ზედ, ზე.**

ზმნიზედები ნაწილაკები, კავშირები, შორისდებულებები გარკვეულ პოზიცი-აში წინადადების წევრის ფუნქციასაც ასრულებენ: დამოწმებულია **ვა, არ, ვერ**-ის შემთხვევები.

ცოცხალი სასაუბრო ენის საგანმურიდან არის შეთვისებული ნაცვალსახელები: **ისი (ის), იმა (იმ), ზმნიზედა – იქი (იქ).**

მწიგნობრული **აქამდის** ნახმარია ადგილისა და დროის აღსანიშნავად.

ბრუნებისა და უღლების სისტემა არსებითად საშუალო და ახალი ქართულის ცოცხალი სალაპარაკო ენისაკენ იხრება (ასმათ – ასმათმან).

ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში“ „ერთნაირად იგრძნობა როგორც იმ ეპოქისა და შემდგომი პერიოდის სამწერლო ქართული სტიქია, ისე აღმოსავლური და დასავლური კილოების სუნთქვა“.

ბ. დ.

1080. ალ. ლლონტი

ერთი იშვიათი ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „დროშა“ (წალენჯიხა), 1966, № 32, გვ. 3;

ავტორის წიგნში – ფილოლოგიის ჩანაწერები, თბ., 1980, გვ. 29-33.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვხვდება **ყე** ნაწილაკი და ორგანვე ერთი ფუნქციით: „რა ისარი დაეღვევის, **მონანიყე** მიაართმევდეს“; „მკურნალნი და დასტაქარნი **წამალსაყე** მოგიტანდეს“. ეს ნაწილაკი მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტური პირის მრავლობითობას აღნიშნავს: I – „მონები **მათ** მიაართმევდნენ“; II – „წამალს **თქვენ** მოგიტანდნენ“.

ყე ნაწილაკი (ან მისი ვარიანტი **კე**) ამჟამადაც ცოცხალია კახურ, ინგილოურ, ფერეიდნულ, მოხეურ და მთიულურ კილოებში; აგრეთვე – იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში. რუსთაველის პოემაში ის, როგორც ჩანს, გამოყენებულია ზეპირი, ხალხური ტრადიციით და არა სამწერლო ენის მიხედვით.

მკვლევარი შენიშნავს, რომ **ყე** ნაწილაკის საბასეული და დ. ჩუბინაშვილისეული განმარტებები ზუსტი არაა.

გ. ა.

1081. ალ. ლლონტი

„ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონისათვის

წიგნში – „ფილოლოგიის ჩანაწერები“, თბ., 1980, გვ. 39-36 (სტატია დათარ. 1966 წლით).

მკვლევრის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ ორმოცამდის სხვადასხვა წარმოშობისა და შედგენილობის საკუთარი სახელი (ანთროპონომი) გვხვდება. მათში გამოიყოფა სამი ფენა: **1)** თვით პოემის პერსონაჟები (ავთანდილ, ასმათ, დავარ და სხვ.); **2)** ისტორიული პირები (ადამი, დავითი, დიონოსი...); **3)** უცხოურ თხზულებათა პერსონაჟები (ვისი, რამინ, კაენი, როსტომი...). „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკონი ასახავს ნასესხები და ტრადიციული ანთროპონიმების ურთიერთდამოკიდებულებას. პოემის პერსონაჟთა სახელების ძირითადი ნაწილი არაქართული წარმოშობისაა და პირველად ამ თხზულებაშია გამოყენებული. ასეთებია: ასმათ, თამაზ, როდია, როსან, როსტევან, რომაქ, უსამ, უსენ, ფატმან, შერმადინ და სხვ.

ტარიელი, იუსტ. აბულაძის აზრით, ეპითეტია და იმასვე ნიშნავს, რასაც ძველი ირანული კომპოზიტი **დარიელ**: **დარ**, **დარა** – მეფე, მეუფე + **იელ** – გმირი. მოყმე, ე. ი. მოყმე მეფე, მეფე გმირი. სახელები: ავთანდილ, თინათინ, ფრიდონ – ქართულ ელფერს ატარებს. ისინი რუსთაველის ეპოქაში, XIII საუკუნიდან მაინც, ფართოდ იყო ხმარებაში; იერუსალიმის ჯვრის მინასტრის „ალაპებში“ (XIII-XV სს.) დაფიქსირებულია სახელები: თინათინ, ავთანდილ, დარეჯან, ნესტან-დარეჯან, ფრიდონ.

გ. ა.

1082. გალაქტიონ ლლონტი

შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთლის შემოქმედება

ქურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 43-59.

წერილი ეხება ა. წერეთლის დამოკიდებულებას შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი. ავტორი აღნიშნავს იმ დიდ ყურადღებასა და პატივისცემას, რომელსაც ა. წერეთელი იჩენდა „ვეფხისტყაოსნისადმი“. აკაკის რწმენით, „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური წინასწარმეტყველებაა. მასში ალეგორიულად გადმოცემულია საქართველოს სინამდვილე, მთლიანი საქართველოს იდეა, მისი განხორციელების გზა: საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების ერთობლივი გამორული მოქმედება.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სიყვარული და მეგობრობა აკაკისათვის მისაზაძი და შთამაგონებელია. აკაკის ნაწერებში ხშირადაა საუბარი რუსთაველურ სიყვარულზე, რომელიც რჩეულთა ხვედრია. აკაკი ხშირად იყენებს რუსთაველის აფორიზმებსა და გამონათქვამებს, აგრეთვე სალექსო ზომას – რვამარცვლიან შაირს.

გ. ა.

1083. შალვა ლლონტი

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სურათების სპეციფიკისათვის

გაზ. „ლიტ. საქრთველო“, 1966, 1 ივლისი, № 27, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მხატვრული სახე საგნის თუ მოვლენის ერთ არსებით ნიშანს წარმოგვიდგენს, რუსთაველის პოეტური სახე კი საგანთა და მოვლენათა ჯგუფისათვის დამახასიათებელ ნიშნებს სწვდება. მხატვრული სურათების შექმნისათვის რუსთაველი ხშირად იყენებს ბუნების საგნებსა და მოვლენებს: თოვლს, ფიფქის დათოვნას, ვარდს, ვარდის დათრთვილვას, ქუხილს, წვიმას, სეტყვას, ელვას და სხვ. ბუნების მოვლენების ამსახველი ლექსიკის საშუალებით რუსთაველი ქმნის სახე-პეიზაჟებს, ხოლო ადამიანთა გარეგნული მშვენიერება დიდ მგოსანს ბუნების ულამაზესი მოვლენების მრავალფეროვნებაში აქვს გამოსახული.

მკვლევარი განიხილავს კონკრეტულ ნიმუშებს და მსჯელობის ძირითად აზრს ასე აყალიბებს: „მხატვრული სურათების შექმნისათვის რუსთაველი მიმართავს აღწერას, მეტაფორულ სახეებს, სახე-პეიზაჟებს, ძვირფასი ქვების ფერთა სიმფონიას, ნასახელარ ზმნებსა და ალიტერაციებს. ამ საშუალებათა გამოყენებით დიდი მგოსანი აღწევს ადამიანთა სახეების, მათი მდგომარეობის, განწყობილების, განცდების ულამაზეს მხატვრულ სურათებში წარმოსახვას, საკუთარი ნააზრევის მაღალპოეტურ ფორმებში გამოხატვას“.

გ. ა.

1084. შ. ლლონტი

რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები

გაზ. „კომუნისტური შრომა“, (ლანჩხუთი), 1966, 25, 30 ივნისი, № 74, № 76.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველმა ახლებურად დასვა და გადაჭრა თავისი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობას რომ შეეხებოდა. პოემის სიდიადეს, მის პოეტურ ფორმასთან ერთად, ქმნის სიყვარუ-

ლის, მეგობრობის, გმირობის, მაღალი პატრიოტული შეგნების, მოქმედებისა და ბრძოლის ფილოსოფია.

მთავარი მოტივი, რომლის ფონზეც იშლება მოქმედება, არის სიყვარული. რუსთაველი იცნობს სიყვარულის ქრისტიანულ თეორიას, მაგრამ აფართოებს მის გამოვლენის სფეროს და ყურადღების ცენტრში ამ გრძნობის სააქაოზე გაშლას აქცევს.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეები ქართველი ხალხის ეროვნული ძლიერების განმტკიცებას ემსახურება. ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეა, რომელსაც რუსთაველი იცავს, XII ს-ის საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეალს გამოხატავდა.

სიყვარულთან განუყრელ კავშირშია მეგობრობა და ძმადნაფიცობა. ესეც ეპოქის ჰუმანისტური იდეებითაა ნაკარნახევი. მეგობრობა ამაღლებს ადამიანის სულს, შინაარსს აძლევს პიროვნების მოქმედება-მოღვაწეობას.

რუსთაველის პოეზია ბრძოლისა და მოქმედების ფილოსოფიითაა გამსჭვალული. ეს ბუნებრივია, ვინაიდან შოთა შვილია აღმავალი ეპოქისა, რომელმაც მოიტანა ახალი იდეები და ახალი განწყობა, ბრძოლისა და მოქმედების პრინციპები. გ. ა.

1085. შ. ლლონტი

ადამიანი და ბუნება რუსთაველის პოეზიაში

გაზ. „დროშა“ (გულორიფში), 1966, 20 სექტ., № 112, გვ.2-3; „საბჭ. აფხაზ.“, 1966, 25 სექტ., № 112, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის პოეტური აზროვნების ცენტრში ადამიანი დგას თავისი ამქვეყნიური ინტერესებით, ვნებათაღელვითა და ამაღლებული სულით. თვით ღმერთიც კი, რომელიც რუსთაველს სწამდა, როგორც საშუალო საუკუნეთა მოაზროვნეს, ახლო ურთიერთობაშია ადამიანთან და პოეტს შუამავალი არ სჭირდება მასთან კავშირისათვის.

რუსთაველი როგორც ადამიანის სულის მხატვარია, ისე ბუნების სურათების ფერმწერია. ბუნებასთან თანაზიარობაში პოულობენ რუსთაველის გმირები შვებასა და სულიერი აშლილობის დაცხრომის წყაროს.

ავტორის აზრით, ბუნებასთან სიახლოვემ და მის ორგანულად განცდამ უკარნახა რუსთაველს, რომ თავისი პოეტური სახეების საფუძვლად უპირატესად პეიზაჟური მოვლენები დაედო. გ. ა.

1086. შ. ლლონტი

რუსთაველის

პოეტური მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ

გაზ. „კომუნისტური შრომა“ (ლანჩხუთი), 1966, 22 სექტ., № 112, გვ. 3.

ავტორი ეხება რუსთაველის ენის ერთ თავისებურებას – ერთი სიტყვის მრავალი მნიშვნელობით დატვირთვას. სანიმუშოდ იღებს სიტყვა **გიშერს**, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე ხშირად და მრავალი ფუნქციით იხმარება.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში გიშერი გამოყენებულია წამწამთა, წარბების, თვალის, გუგისა და თმის მეტაფორებად. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და სპე-

ციფიკურია წამწამთა მეტაფორები. ავტორი აღრიცხავს პოემაში წამწამთა გამოსახვა-ტავად გიშრის გამოყენების 14 განსხვავებულ შემთხვევას.

ავტორის დაკვირვებით, წამწამნი მოსანს დახატული აქვს სხვა საგნებთან შავი ფერის ისეთ მიმართებაში, რომლებიც გვიჩვენებენ მათს მოძრაობას, მოქმედებას, სიმძლავრეს, სიმწყობრეს, სიხშირეს, სილამაზესა და მშვენიერებას. წამწამის ხატვისას პოეტისათვის ამოსავალი არის მისი ფერი – სიშავე, ამიტომ ძირითადი თვისების გადმოცემისათვის იგი გიშრეს იყენებს.

ნ. მ.

1087. შ. ლლონტი

დიდებული მეტაფორები

ჟურ. „ცისკარი“, 1966, №8 9, გვ. 119-125.; გაზ. „საბჭ. აფხაზეთი“, 1966, 2 ივლისი, № 112, გვ. 4.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველი „პოემის“ გმირების აღწერისათვის მეტაფორებად მზესა და მთვარეს, ლომს, ვეფხვს, ავაზას, ვარდს, სოსანს, ალვას, საროსა და ლერწამს მიიჩნევს. ადამიანის პირისახის ნაკვთების გამოსახვისათვის რუსთაველი დიდი ოსტატობით იყენებს ძვირფასი ქვების სიკაშკაშეს. ხშირად მიმართავს ძოწს, მარგალიტს, ბროლს, ლალს, მინას, სათს, აყიყსა და გიშერს. რუსთაველის მეტაფორები არსებითად ადამიანის ტანისა და სახის ნაკვთების განზოგადოებულად გამოხატვას ემსახურება. ციური სხეულები, ფაუნისა და ფლორის სულდგმული არსებანი თავიანთი თვისებებით ამშვენიერებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეებს.

თ. ნ.

1088. შ. ლლონტი

„ვეფხისტყაოსნის“ სინონიმია

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, აპრილი, № 4, გვ. 83-87.

ავტორის დაკვირვებით, რუსთაველის პოეტური ლექსიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სინონიმებია. შედგენილობით განსხვავებული სიტყვები მნიშვნელობის მიხედვით მიახლოებულ წარმოდგენებს გვაძლევენ გარკვეული საგნის, მოვლენის, მოქმედების, მათი თვისების, მდგომარეობის, ვითარების გარშემო. რუსთაველის სინონიმია მრავალსახოვანია; იგი მოიცავს მეტყველების თითქმის ყველა ფორმას – ზმნებს, არსებით სახელებს, ზედსართავებს, კონტრასტული ფორმით გამოხატულ პარალელიზმებს, მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

რუსთაველი ზმნებით აზროვნებს და გმირთა სულიერ ტკივილებს სინონიმური მნიშვნელობის ზმნებით გადმოგვცემს. მაგ.: „ტირს და სულთქვამს, ვაებს, უობს“ (776₃); ფრიდონის ფიცხელი ბუნების გამოსახვატად საკმარისია რუსთაველის ერთი ტაეპი: „მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა“ (593₄).

სინონიმებად გამოყენებული არსებითი სახელები აძლიერებენ პოეტური სათქმელის აზრს, სრულქმნიან მხატვრული ჩანაფიქრის შინაარსს და სალექსო ტაეპს ღრმად გააზრებულ სახეს აძლევენ. მაგ.: „მწადდა, მაგრა ვერ შევჰმართე შემოჭდომი, შემოხვევა“ (596₄); „არ დავიჯერებ მე შენსა ღალატსა, ორგულობას“ (537₁) და მისთ.

სინონიმური სიტყვები გამოყენებულია ეპითეტებად: „წა, უკუდეგ! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!“ (759ა); „ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქმკრთალი და ფერმიხდილი“ (997ა).

რუსთაველის ფრაზეოლოგიური სინონიმები აგებულია სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის მიხედვით, ამიტომ ისინი მეტაფორიზებული სახეებიცაა. გ. ი.

1089. შ. ლლონტი

მხატვრული შედარება „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1966, № 9, გვ. 63-71.

ავტორის აღნიშვნით, რუსთაველის პოეტურ მეტყველებას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს მხატვრულად გააზრებული შედარებანი, რომელნიც სრულყოფენ პოეტურ სათქმელს. ისინი გვიადვილებენ ნაწარმოების მთავარი მოტივებისა და პერსონაჟების სულიერი განწყობილებისა და მდგომარეობის ესთეტიკურად ათვისებას. რუსთაველის მეტაფორებიცა და მხატვრული შედარებანიც რეალურად არსებულ საგნებსა და მოვლენებში იღებენ თავიანთ მასალას. რუსთაველის არც ერთი მხატვრული ხერხი არაა ისე მრავალფეროვანი, როგორც მხატვრული შედარება, რომლითაც დახასიათებულია ადამიანის გარეგნული და სულიერი მხარეები, მისი მოქმედების სფეროები, ამბავთა განვითარების გზები და ნაწარმოების მთავარი იდეები (გვ.64). რუსთაველის მხატვრობის არსებითი თვისება – ბუნების მოვლენათა ფონზე გამოსახოს ადამიანთა სული და ხასიათი – სრულყოფილადაა გამოვლენილი შედარებებში (გვ. 68). გ. ი.

1090. შ. ლლონტი

კვლავ „დანაბა“ შესახებ

გაზ. „თბილისი“, 1966, 31 იანვარი, № 25, გვ. 3.

ავტორი არ ეთანხმება ილია აბულაძის კრიტიკას, რომელმაც უარყო შ. ლლონტის ახსნა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „დანაბა“ ნიშნავს „დაბმას“ და თავის მხრივ იგი განმარტა, როგორც „შეაკრთო“ (შეაშინა თუ შეამრწუნა). შ. ლლონტი ახალი მასალების მოხმობით კვლავ თავის ძველ შეხედულებაზე რჩება: დანაბა = დააბა-ს. ბ. დ.

1091. შ. ლლონტი

„ვეფხისტყაოსნის“

მხატვრული ენის გავლენა აღორძინების ხანის მწერლობაზე

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 123-142.

ავტორი, ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, ასაბუთებს, რომ რუსთაველის პოეტური სახეებით დავალებულნი არიან მე-15-მე-18 ს-ის მხატვრული სიტყვის ოსტატები: ონანა მდივანი, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიის ავტორები, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორები, „იოსებ ზილიხანის“ უცნობი მთარგმნელი, „რუსუდანიანის“ ავტორი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზ I, არჩილ მეფე, ბესიკი, სულხან თანიშვილი, იოსებ ტლაშაძე და სხვანი, მხოლოდ ვახტანგ VI,

თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი და სულხან-საბა გადაურჩნენ რუსთაველის გავლენას მხატვრული სახეების გადმოღების თვალსაზრისით.

წარმოადგენილია ვრცელი საილუსტრაციო მასალა – მხატვრული სახეები რუსთაველსა და ზემოდასახელებულ მწერლებთან. შედარებულია მეტაფორები, ფრაზეოლოგია, რითმები, ზმნისწინის გამეორება („მით დავყოვნე ხანი მუნ და“), ჰარონმაზიული თქმები: („...ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო“), ფრაზის კონსტრუქციები, უარყოფითი ნაწილაკები სახელთა წინ („იყო არ ნათლად ნათელი“) და გამოტანილია დასკვნა: რუსთაველის მხატვრული სახეები, მისი ფრაზეოლოგია, რითმა, პოეტური გამოსახვის გრამატიკული შესაძლებლობანი, ფრაზის გამართვის ორიგინალური მანერა ისე მძლავრად იყო დამკვიდრებული ჩვენს ლიტერატურაში, რომ მათ გავლენას ვერ ასცდა XV–XVIII ს-ის ქართული მწერლობის ვერც ერთი წარმომადგენელი. მკვლევარი ამ გარემოებას სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და აღმავლობის გზით განვითარებისათვის.

ლ. კ.

1092. შ. ლლონტი

მხატვრული წარმოსახვის განუმეორებელი ფენომენი

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 28 სექტემბერი, № 39, გვ. 4.

ავტორი რუსთაველს მხატვრული წარმოსახვის განუმეორებელ ფენომენს უწოდებს, რომელმაც თან მოიტანა უმშვენიერეს მხატვრულ ფორმებში გამოთქმული ახალი იდეები და მსოფლმხედველობრივი განწყობა. მისი პოეზიის ცენტრში ადამიანი დგას, ამქვეყნიური ინტერესებითა და ამაღლებული იდეალებით დამშვენებული.

წერილის ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროს, საუბრობს პოეტურ მეტყველებაზე, რომელსაც ხშირად მიმართავს იგი.

თ. ბ.

1093. [ლუდუშაური] П. Гудушаури

Руставели в русской литературе

გაზ.: „Заря Востока“, 1966, 17 სექტ., № 214, გვ. 3; „Советская Аджария“, 1966, 22 სექტ., № 184.

საუბარია რუსულ ლიტერატურაში რუსთაველის პოემის ადგილსა და მნიშვნელობაზე, განიხილავს ყველა რუსულ თარგმანსა და რუსულ ლიტმცოდნეობაში არსებულ წყაროებს ე. ბოლხოვიტინოვის ნაღვაწიდან მოყოლებული, აფასებს პოემის პირველი სტროფის რუსულ თარგმანს, ა. ჟარი დე მანსის წიგნში დაცულ ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ჟურნალ „ტელესკოპში“ გამოქვეყნებულ სტატიას რუსთაველზე, იაკობ პოლონსკის ლექსს, მიძღვნილს რუსთაველისადმი. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ცნობას ვაკვასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის რუსთაველისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც 1852 წ. იმპერატორ ნიკოლოზ I-სადმი გაგზავნილ წერილში საუბრობს პოემის სიდიადეზე, ქართველი ხალხის სიყვარულზე; მიმოიხილავს ე. სტალინსკის, კ. ბალმონტის, პ. ანტოკოლსკის, პ. პეტრენკოს დამსახურებას „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. გვამცნობს, რომ საიუბილეო დღეებში გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცემს სპეციალურ კრებულს „რუსი მოღვაწეები რუსთაველის შესახებ“, რაც სრულყოფილად ასახავს რუსი მკითხველების დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. თ. ბ.

1094. [თ. ყალაბეგიშვილი]

В школе чествуют витязя

გაზ. „Молодежь Грузии“. 1966, 27 სექტემბერი, № 113, გვ. 3.

საუბარია თბილისის 52-ე საშუალო სკოლაში მიმდინარე საიუბილეო სამზადისზე. ავტორის ცნობით, სკოლაში ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყეს მუშაობა: იკითხებოდა ლექციები, მოხსენებები, მოსწავლეები ამზადებდნენ ნაშრომებს, აფორმებდნენ სპეციალურ ალბომებს. გაიხსნა გამოფენა, წარმოადგინეს უფროსკლასელთა ნამუშევრები, დაიგეგმა შეხვედრა რუსთველოლოგებთან.

ანალოგიური სამზადისია თბილისის 38-ე საშუალო სკოლაში: გაიხსნა გამოფენა, რომელიც რუსთაველის 800 წლის იუბილეს მიეძღვნა. წარმოდგენილი იყო საინტერესო ექსპონატები, ფოტომასალა, ნახატები. მოსწავლეთა ძალისხმევითა და მონდომებით მომზადდა და გამოვიდა ორი გაზეთი.

თ. ხ.

1095. ცილა ყარაულაშვილი

**სახელი „ნოხი“ და „ორხაული“ „ვეფხისტყაოსანში“
და მისი პარალელები ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში**

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 143-153.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული საგნების „ნოხისა“ და „ორხაულის“ მნიშვნელობას, მათი სახელების წარმომავლობასა და ქსოვის ტექნოლოგიას. აღნიშნულია, რომ **ნოხი** იატაკზე დასაფენი სქელი და მჭიდროდ ნაქსოვი ქსოვილია, რომელიც წარმოადგენდა შეძლებულთა და დიდებულთა სასახლის მორთულობის ნაწილს. ნოხი ძირითადად მატყლის ძაფით იქსოვებოდა.

პოემაში ნახსენებია აგრეთვე „ნოხის ბალიში“ (სტრ.1323). მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ნოხის ქსოვილისაგან გაკეთებული ბალიში, დასაჯდომი ან ზურგის მისაყრდნობი, ხაოიანი ზედაპირით. ქართულ ენაში „ნოხი“ ერთ-ერთი ძველი სახელია იატაკის საფენისა, შემდეგ კი ამავე მნიშვნელობით მკვიდრდება ტერმინები „ხალი“ და „ხალიჩა“.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია „ორხაული“ (სტრ. 503), რომელიც ქსოვის წესით „ლარს“ (თხელ ფარჩას) უპირისპირდება. წერილობით ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში დადასტურებულია „ბამბის ორხაო“, „აბრეშუმის ორხოვა“, „ოქრომკედის ორხოები“. ორხაო სხვადასხვა ზომისა და ფერისაა: თეთრი, წითელი, მწვანე...

ტერმინი „ორხაული“, ავტორის აზრით, მოდის სიტყვიდან „ორხვეული“. იგი განმარტავს, რომ ფარდაგის ტიპის ნაქსოვისათვის გამოიყენება ორი ძაფი: ქსელი (ძირის ძაფი) და მისაქსელი, ანუ საზედაო. ხაოიანი ქსოვილისათვის კიდევ საჭიროა მესამე – სახაოე ნართი. ქსოვის დროს ის ქსლის თითოეულ ძაფზე ორჯერ ეხვევა. ამ პროცესით მიიღება ნასკვი, რომელსაც ორი ბოლო აქვს; ისინი გარკვეულ სიგრძეზე იკვეცება და ეს წაჭრილი ძაფები ქმნიან ხაოს, ე. ი. თითოეულ ნასკვზე გაჩნდება ორი მონაკვეცი, ანუ ორი „ხაო“. ამ ტექნიკური პროცესის ამსახველი უნდა იყოს ამ ტიპის ქსოვილების სახელწოდება – „ორხაო“.

გ. ა.

1096. სიმონ ყაუხჩიშვილი

ქართული უმაღლესი სკოლები შოთა რუსთაველის ეპოქაში

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, სექტ., № 9, გვ. 32-35.

ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ნდობით მოვეკიდოთ შოთა რუსთაველის შესახებ ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებში არსებულ იმ ცნობას, რომ პოეტს დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ იყალთოში უსწავლია, რის მიხედვითაც, შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ იყალთოში არსებობდა უმაღლესი სკოლა. ამ ფაქტს ადასტურებს შენობის ნაშთები, რომელიც აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა. მისი დასკვნით, სხვა სათავეს შორის შესამჩნევია დიდი დარბაზის არსებობა ლექციებისა და სხდომებისათვის.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების არსებობა ცნობილია გელათის მონასტერში, რომელსაც ჰქონდა სალექციო დარბაზი, ლექტორის კათედრითა და ჩამწერივებული ქვის მერხებით მოსწავლეთათვის, რაც დასტურდება ისტორიული ცნობებითაც.

ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს იმ საკითხსაც, თუ რა ისწავლებოდა ამ უმაღლეს სასწავლებლებში. ძველი ტრადიციის მიხედვით, ბიზანტიაში ისწავლებოდა გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. გელათში ისწავლებოდა „ქუეყნის სამზომლო, რიცხუნი, ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა“. ავტორის დასკვნით, იოანე პეტრიწის ზოგი გამონათქვამი საფუძველს იძლევა, ისიც ვივარაუდოთ, რომ იქვე ისწავლებოდა მედიცინაც. **გ. ი.**

1097. მიხეილ ყვარელაშვილი

პირველი საოპერო ლიბრეტო

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 60-65.

წერილში საუბარია ხ. სავანელის შესახებ, რომელიც მთელი არსებით იღვწოდა ეროვნული კულტურის უძველესი ძეგლებისა და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების დაცვისათვის, ზრუნავდა საქართველოში ვოკალური კულტურის დაწინაურებისა და განვითარებისათვის. იგი იყო პირველი ქართველი მუსიკოსი, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ქართული ოპერის შექმნის სურვილი გაუჩნდა და ეს თავის მეგობარს, ცნობილ კომპოზიტორს მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს გაუზიარა. ხ. სავანელის თხოვნით, ივ. მაჩაბელმა ოპერის ლიბრეტოსათვის სახელდახელოდ თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ გარკვეული ეპიზოდები, რამეთუ რუსული თარგმანი იმხანად არ არსებობდა. ი. მაჩაბლის თარგმანის საფუძველზე შექმნილ ლიბრეტოს კომპოზიტორმა „ნესტან-დარეჯანი“ უწოდა. არსებობს ამ ლიბრეტოზე დაწერილი რეცენზია, რომელიც ეკუთვნის რეჟისორ სანდრო ახმეტელს. იგი იწონებს ლიბრეტოს და საგულისხმო რჩევებს აძლევს ავტორს.

ამჟამად მიკვლეულია ოპერა „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოს ხელნაწერი. სავარაუდოდ, შექმნილი იყო მუსიკაც, რამდენადაც ლიბრეტოს წარწერილი აქვს: ლიბრეტო და მუსიკა მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა. **თ. ხ.**

1098. [ნ. ყიასაშვილი] **Нико Киасашвили**

„Вепхи“ значит Барс

ჟურ. „Огонёк“, 1966, № 38, გვ. 15.

ავტორი ეხება პომის დასათაურების საკითხს ინგლისურ თარგმანებში. მარჯორი უორდროპმა „ვეფხი“ თარგმნა „Panthera“-დ. შემდეგ უორდროპისეული პანტერა („барс“) შეიცვალა „тигр“-ით. უკანასკნელ წლებში ქართველი მკვლევრები შეთანხმდნენ, რომ ვეფხის შესატყვისად тигр შედარებით ახალია. სწორია მისი თავდაპირველი მნიშვნელობა барс, пантера. ამაზე მეტყველებენ პომის ძველი ხელნაწერები, რომელთა ილუსტრატორები ხატავდნენ პანტერას და არა ზოლებიან ვეფხვს. ასე რომ, მარჯორი უორდროპი მართალი იყო, უნდა დაიწეროს ისე, როგორც ეს ჟღერს ვენერა ურუშადისა და რობერტ სტივენსონის ახალ ინგლისურ თარგმანებში.

ლ. კ.

1099. **ნ. ყირიმნიშვილი**

პოეტის ქუჩა ყამირის მხარეში

(ქართველი სტუდენტები ყაზახეთში)

გაზ. „თბილისი“, 1966, 31 აგვისტო, № 204, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ყამირზე მომუშავე ქართველმა სტუდენტებმა სოფელ პოლუდინოში გაიყვანეს ქუჩა, რომლის ორსავე მხარეს ააშენეს 12 ორბინიანი საცხოვრებელი სახლი და რუსთველის იუბილესთან დაკავშირებით ამ ქუჩას რუსთველის სახელი უწოდეს.

ბ. დ.

1100. **ციალა ყიფიანი**

„ვეფხისტყაოსანი“ კობზარის სამშობლოში

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 15 ივნისი, № 137, გვ. 3.

თავის ინტერვიუში „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე მთარგმნელი მიკოლა ბაჟანი გვაცნობს, თუ როგორ მუშაობდა და მუშაობს თავის თარგმანზე. თავიდან მას ეხმარებოდნენ გიორგი ნამორაძე, დავით გაბუნია და სოლომონ იორდანიშვილი. სამუშაო პირობები საქართველოში შეუქმნეს სიმონ და მარიკა ჩიქოვანებმა. მწერალი გვაუწყებს, რომ საიუბილეოდ გამოდის მისი თარგმანის მეხუთე, შესწორებული გამოცემა, რომლის ილუსტრირება ეკუთვნის გიორგი გავრილენკოს.

ბ. დ.

1101. **ბ. ყოჩიაშვილი**

„ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიოგრაფია

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 აგვისტო, № 203, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს რუსთველოლოგიური ლიტერატურის მდიდარი ფონდი, რომელიც შეიცავს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს და ძმების – იოსებ და ვახტანგ ასლანიშვილების რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, რის საფუძველზეც შედგა ბიბლიოგრაფიული

საძიებელი: „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები და ხელნაწერები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“. შეადგინა ნ. გურგენიძემ, ვ. უზნაძის რედაქციით გამოსცა „მეცნიერება“. აქვე მოკლედ აღწერილია ბიბლოგრაფიის შედგენილობა. **გ. ი.**

1102. სოლომონ ყუბანიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII-XIX სს.)

„მეცნიერება“, 1966, 244 გვ.

წიგნში თავმოყრილი და გაანალიზებულია ცნობები XVIII- XIX საუკუნეებში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, – სულ 17 გამოცემა. განხილულია თითოეული მათგანის ტექსტოლოგიური საკითხები, დაზუსტებულია მათი გამოცემათა თარიღები და ტირაჟი, მოცემულია პოლიგრაფიული აღწერილობანი და ნაჩვენებია, რა გამოხმაურება ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას. ესენია:

1. ვახტანგისეული გამოცემა (1712 წ.). იქვე განხილულია ამ გამოცემის ფიზიკური განადგურების საკითხი. მისი აზრით, „განადგურების მიზეზი არის ვახტანგის კომენტარები და არა პოემა, მისი «ცუდი» აზრები“ (გვ. 36). ბოლოს ნაჩვენებია, რომ 1826 წელს პეტერბურგში უცდიათ ვახტანგისეული გამოცემის გამეორება. გარკვეულია ამ საქმესთან ნიკო ჩუბინაშვილის დამოკიდებულება.

2. მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილის გამოცემა პეტერბურგში (1841 წ.). თეიმურაზ ბატონიშვილის როლი ამ საქმის განხორციელებაში.

3. 1846 წლის გამოცემა დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათის“ პირველ გამოცემაში. გარკვეულია, რომ დ. ჩუბინაშვილს გამოუყენებია პოემის 1841 წლის გამოცემის ნაბეჭდი ფორმები, გარდა ბოლო ორი სტროფისა.

შემდეგ აღწერილია: გ. წერეთლისა და დავ. ყიფიანის, ა. კალანდაძის, პ. წულუკიძის, გრ. ჩარკვიანის, გ. ქართველიშვილის, ა. მიქელაიშვილისა და კ. თავართქილაძის, ვლ. ყიფიანის გამოცემები, რომლებიც 1867-1900 წლებში დაიბეჭდა. თითოეული გამოცემის დახასიათებისას წარმოდგენილია გამომცემელთა ბიოგრაფიული მონაცემები.

წიგნს ახლავს ამ გამოცემათა სტროფების საძიებელი, პირთა საძიებელი, გამოცემათა თავფურცლების ფოტოპირები, გამოცემათა ცხრილი. შიგადაშიგ ჩართულია გამომცემელთა და 1888 წლის ტექსტის მომამზადებელი კომისიის წევრების ფოტოები. **ბ. დ.**

1103. ყაისინ ყულიევი

მშვენიერების საგალობელი

„Лит. Газета“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 3; გაზ. „კომუნისტი“, 25 სექტ., № 219, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის პოეზია არ წარმოადგენს მხოლოდ ქართველების სიმდიდრესა და სიამაყეს, იგი ეკუთვნის დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია გონების სინათლე, პოეზიის სიკეთე და თვით სიცოცხლე. მისი სიტყვით, „რუსთაველი მარტოოდენ დიადი ეპოსის შემქმნელი არ არის; პოემაში მჭიდროდ არის შერწყმული ეპოსის სიმდიერე და დრამატული ლირიზმი, ბრძენის

გონიერება და შეყვარებული ადამიანის ტკივილი, მისი განგაში და ლტოლვა. აქ გულსა და გონებას ერთნაირად საპატიო ადგილი უჭირავს... რუსთაველის პოემა ჩემთვის ძვირფასია, როგორც ცხოვრების დიდებული წიგნი, გონებისა და სიბრძნის, ვაჟკაცობისა და სიყვარულის წიგნი“.

გ. ა.

1104. ვანო შადური

პირველი რუსული სტატია რუსთაველზე

გაზ. „ლიტ. საქ.“, 1966, 25 მარტი, № 13, გვ.2;

აგრ.: კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 415-134.

ავტორი განიხილავს 1827 წელს ჟურნალ «Азиатский вестник-ის» მაისის ნომერში ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ სტატიას «Барсова кожа (Вепхисткаосани), Грузинская поэма, сочинённая Шотою Руставели», რომელიც პირველი რუსული სტატიაა რუსთაველზე. სტატიის ავტორი კარგად იყენებს ქართულ ლიტერატურასა და „ვეფხისტყაოსანს“, სწორად წარმოგვიდგენს იმ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც ბოლხოვიტინოვის წიგნშია. მკვლევრის დასკვნით, ამ სტატიის ავტორი ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი უნდა იყოს.

ბ. დ.

1105. შ. შაველაშვილი

გიორგი წერეთელი, ოვანეს თუმანიანი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „თბილისი“, 1966, 25 ივლისი, № 172, გვ. 3.

ავტორი აქვეყნებს „ვეფხისტყაოსნის“ სომხურად პროზაული მთარგმნელის არუთინ მირიმიანიანის მოგონებას, რომელიც კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში, მის ოჯახში იყო დაცული. მთარგმნელი გადმოგვცემს მის სიახლოვეს ქართველ და სომეხ მოღვაწეებთან, თავის მთარგმნელობით საქმიანობას და როგორ წახალისეს იგი გიორგი წერეთელმა და ოვანეს თუმანიანმა, ხელი მოეციდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის.

მოგონება მთარგმნელს დაუწერია 1954 წლის 18 ივნისს, გარდაცვლილა 1956 წლის 1 მარტს.

ბ. დ.

1106. ალ. შათირიშვილი

ემოციური განცდები რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 148-176.

კრებულში დაბეჭდილია გამოკვლევის II ნაწილი – „პასიონი“. ავტორი ვრცლად განიხილავს ტარიელისა და ავთანდილის სულიერ მდგომარეობას, სიყვარულის მნიშვნელობას მათთვის და ამ გრძნობის განცდისა და გამოხატვის თავისებურებას თითოეულ პიროვნებაში. მკვლევარი წერს, რომ ავთანდილისა და ტარიელის სიყვარული (მათი სატრფოების მიმართ) უბრალო გრძნობა არაა; იგი ექსალტაციამნილი სულიერი მოვლენაა, რომელიც თავისი სიძლიერითა და გავლენით მათ პიროვნებას იმორჩილებს და სამოქმედო სტიმულს აძლევს. ამ ძლიერ გრძნობას „ვნება“ ეწოდება. მაგრამ იგი ერთნაირი არაა: თუ ტარიელის ვნება ნესტანისადმი ხშირად ფეთქება-

დი, ემოციური განცდების შეტევებითაა დამუხტული, ავთანდილის არანაკლები სიღრმის ვნება თინათინისადმი უფრო მშვიდი და ნაკლებ აღელვებულია. ეს გარემოება დამოკიდებულია იმაზე, რომ ტარიელის ვნება უფრო აღგზნებითია.

მკვლევარი უხვად იყენებს სპეციალურ ლიტერატურას, ქართველი და უცხოელი ფსიქოლოგების ნაშრომებს და აზუსტებს ვნების მნიშვნელობას, განასხვავებს მას ფეთქადი ემოციისა და მიდრეკილებისაგან. მისი თქმით, მიდრეკილება ძალაა, რომელიც გარკვეული მიზნისაკენ მიიწევს; ვნება – მდგომარეობაა. მიდრეკილება არა-ცნობიერია; ვნება კი – ცნობიერი; იგი გამოვლენილი განცდაა (გვ. 153). „ვნება ძლიერი, ქრონიკული, სტაბილური ხასიათის, თავდავიწყებითი მისწრაფებაა გარკვეული მიზნის მიღწევისათვის...“ დასახული მიზანი შეიძლება უარყოფითი, არაგონიერი იყოს. რუსთაველი ვნების პირველ სახესაც და მეორესაც ნათლად, გამოკვეთილად ხედავს (განხილულია ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლისა და ლომ-ვეფხვთა დახოცვის შემთხვევები, გვ. 160-162).

როგორც მკვლევარი წერს, ვნება ირაციონალური, არაგონიერი, პასიურობის შემცველი მოვლენაა; ავადმყოფობის, ზოგჯერ სიგიჟის ფორმების მიმღებია, და ამდენად, ადამიანის სულიერი გადატაკების, ღირსების დაკარგვის მიზეზი ხდება. ტარიელმა ვნების მოქმედების პერიოდში დაკარგა საზოგადოებრივი პრესტიჟი, გაწყვიტა კავშირი კულტურულ გარემოსთან, სულიერად დაეცა, გონებრივად გაღარიბდა და თითქმის გაველურდა. ავთანდილის სულიერი ვითარება სხვაგვარად წარმართა; ვნებასთან დაკავშირებულ მოქმედებათა გავლენით იგი უფრო გამდიდრდა, გამოცდილება შეიძინა, სხვების სასარგებლოდ ბევრი საქმე გააკეთა, ტარიელი გადაარჩინა და თავის ღირსეულ საზოგადოებრივ პოსტს დაუბრუნა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი პოეტი იყო და არა მეცნიერი – ფსიქოლოგი, მაგრამ იგი ღრმად ჩასწვდა ადამიანის სულიერ ცხოვრებას. რუსთაველის მიერ ადამიანის გრძნობათა გაგება თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევებს ეგუება. გ. ა.

1107. ი. შაიშმელაშვილი

რუსთაველი და სამხედრო ხელოვნება

ჟურ. „მეცნ. და ტექნიკა“, 1966, № 9, გვ. 32-35; გაზ. „დროშა“ (შუახვევის რ.), 1966, № 9, გვ. 32-35.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები: ავთანდილი, ფრიდონი, ფარსადანი, როსტევეანი – მაღალი მდგომარეობის სამხედრო პირები არიან. პოემაში წარმოჩენილია მათი მხედრული საგმირო საქმეები, აღწერილია დიდი და მცირე მასშტაბის ომები, სამხედრო-დიპლომატიური და დაზვერვითი საქმიანობა, ხელჩართული ბრძოლები, შეტაკებანი ზღვაზე და ხმელეთზე. ამბების გადმოცემაში ჩანს თხზულების ავტორის ღრმა ცოდნა და გამოცდილება იმდროინდელი სამხედრო ხელოვნებისა.

სამხედრო დაზვერვითი საქმიანობის შესანიშნავი მაგალითებია მოცემული ხატაელთა წინააღმდეგ მიმართული „დიდი ომის“ აღწერაში, აგრეთვე – ქაჯთა ციხე-ქალაქის იერიშის სამზადის დროს. რუსთაველს არ დავიწყებია მხედრობის საბრძოლო გაწვრთნილობის საკითხები. რამდენჯერმეა ნახსენები მხედართა „თამაში“, რაც, ფაქტობრივად, ჯარის საწვრთნელი მანევრებია.

როგორც ავტორი წერს, პოემის შვიდასამდე სტრიქონი „წმინდა“ სამხედრო-საომარ საქმეს აქვს დათმობილი. **გ. ა.**

1108. ბ. შამელაშვილი

შოთა რუსთაველი და „Витязь в тигровой шкуре“

გაზ. „Кутаисская правда“. 1966, 7 ივნისი, № 68, გვ. 3.

ავტორი საუბრობს იმ საყოველთაო სიყვარულსა და მოკრძალებაზე, რაც გამოხატულია რუსთაველის მიმართ. იხსენებს დ. გურამიშვილის სიტყვებს, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ იმ ხეს ადარებს, ფესვები ღრმად რომ ჩაზრდია მიწაში და მუდმივად იძლევა ნაყოფს.

შემდეგ ავტორი მიმოიხილავს ბიოგრაფიულ დეტალებს, საუბრობს პოემის 1712 წლის გამოცემაზე, პოემის პერსონაჟებზე, ახასიათებს მათ. მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ არასდროს მოაკლდება დიდება და ხალხის სიყვარული, რისი მკაფიო დასტურია ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილი საიუბილეო სამზადისი. **თ. ხ.**

1109. რაფიელ შამელაშვილი

ყოფაქცევის წესები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 7 მაისი, № 88, გვ. 4.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსნის“ საშუალებით ინერგებოდა ჩვენში სრულყოფილი საყოფაცხოვრებო ნორმები: სიკეთე, სათნოება, სიმართლე, ერთგულება, თავმდაბლობა და სხვ. პოემაში აღწერილია საზოგადოების ქცევის წესები და ჩვეულებანი: შეხვედრის, გამოთხოვების, მისალმების, ხვევნა-კოცნის, ნადირობის, ნადიმობის, ფიცის, ტირილის და ა. შ. პოზიტიური წესების გვერდით გვხვდება უარყოფითი ზნეობრივი მოვლენებიც: სიცრუე, ორპირობა, ბოროტება, დალატი, მექრთამეობა და სხვ., რომელთა მავნებლობას და დასაგმობ ხასიათს რუსთაველი ზოგჯერ აფორიზმებით გამოხატავს, ზოგჯერ კი პერსონაჟთა მოქმედებით გვიჩვენებს. **გ. ა.**

1110. რ. შამელაშვილი

შოთას აფორიზმები

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი, ქუთაისი), 1966, 25 სექტ., გვ. 2.

ავტორი გვაცნობს რუსთაველის აფორიზმების შერსწავლისა და გამოცემის ისტორიას, რაც XIX ს-ის 80-იან წლებში დაიწყო გაზ. „დროება“ და ჟურნალმა „ივერიამ“. 1892 წ. კ. თავართქილაძემ ოზურგეთში დაბეჭდა ლოტო, რომელზეც გამოსაცნობ მასალად გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები. 1903 წ. თბილისში რუსულ ენაზე გამოვიდა მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი „ქართველი პოეტების აფორიზმები“.

ავტორი აღნიშნავს თ. სახოკიას, ტრ. ჯაფარიძის, ი. მეგრელიძის და სხვების მიერ გაწეულ მუშაობას შოთას აფორიზმების სტილისტური თავისებურების გარკვევისათვის. **გ. ა.**

1111. რ. შამელაშვილი

შოთა რუსთაველი ოსურ ფოლკლორში

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 12 აგვისტო, № 155, გვ. 3.

ოსურ ფოლკლორში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი შოთა რუსთაველის ეპოქას, მის გენიალურ ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანს“. ამ თემას ეხმიანება ლეგენდა „თამარ მეფე“, რომელსაც ნათელი ზოლივით გასდევს ქართველი და ოსი ხალხების ტრადიციული მშობისა და მეგობრობის იდეა. ლეგენდას მრავალი ვარიანტი აქვს.

აღსანიშნავია აგრეთვე ოსური ხალხური ნოველა „ტარიელი“, რომლის სიუჟეტის განვითარება ბევრ რამეში ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს. **ც. ე.**

1112. აკაკი შანიძე

მისებრი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 1.

მოკლე სტატიის ძირითად აზრს გამოხატავს ავტორის სიტყვები: „მე არ მეგულება თხზულება, რომელშიც ფორმა და შინაარსი ისე ოსტატურად იყოს შეხამებული ერთმანეთთან, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“; მე არ მეგულება სხვა ნაწარმოები, რომელიც ისეთი სიძლიერითა და სიმშვენიერით გამოხატავდეს სატრფოს წმინდა სიყვარულის გრძნობას და მეგობრისათვის თავის დადებას, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“; მე არ მეგულება სხვა წიგნი, რომელსაც ასე ძლიერად წარმოეჩინოს ერის სული და ენის მხატვრული შესაძლებლობანი, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“.

„ვეფხისტყაოსანი“ – ეს ჩვენი კულტურის დროშაა...“ **გ. ა.**

1113. А. Шанидзе

Новейшие издания „Витязя“

გაზ. „Заря Востока“, 1966, 28 სექტ., № 223, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა გამწვანებულია იმის გამო, რომ ჩვენამდე მოღწეული ყველა ხელნაწერი ან დაზიანებულია, ან დამახინჯებულია გადამწერთა შესწორებითა და ინტერპოლატორთა დამატებებით. მხოლოდ სამი ხელნაწერი იძლევა მეტნაკლებად სანდო ტექსტს; მათგან ერთი გადაწერილია 1671 წელს, მეორე – 1680 წელს, მესამე უთარილოა, მაგრამ ამ ორზე ცოტათი ადრეული ხანისა უნდა იყოს (გულისხმობს H 2074-ს).

მეცნიერი ასახელებს ახალ გამოცემებს, რომლებიც საიუბილეოდ დაიბეჭდა 1966 წელს. ესენია: 1) „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში გ. წერეთლის, ს. ცაიშვილისა და გ. კარტოზიას მიერ მომზადებული; 2) იგივე ტექსტი მინიატურული ფორმატით; 3) დიდი ფორმატის საიუბილეო გამოცემა (სარედ. კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი); 4) ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, რომელსაც ერთვის ხელნაწერებისა და მეცნიერული გამოცემების ვარიანტული კითხვასხვაობანი. ამ გამოცემის ტექსტის დადგენაში მონაწილეობდა ი. ლოლაშვილი, ვარიანტების საძიებელი შეადგინა ც. კარბელაშვილმა. **გ. ა.**

1114. ა. შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ საკითხები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1966, 300 გვ.

კრებული შედგება წინასიტყვაობისა (გვ. 05-08) და ცალკეული ნარკვევებისაგან, რომელთა უმეტესობა ადრე გამოქვეყნებული. წიგნს ახლავს „ცნობები ამ კრებულში დაბეჭდილი წერილების შესახებ“ (გვ. 284-286), პირთა საძიებელი (გვ. 287-293) და საძიებელი: „ახსნილი სიტყვები, ეტიმოლოგიები, გრამატიკული“ (გვ. 293-294).

ადრე გამოქვეყნებულიდან შესულია 26 სტატია, რომლებიც ანოტირებულია „რუსთვ. ბიბლიოგრაფიის“ I და II წიგნებში.

ერთი ქსოვილის სახელი ვეფხის ტყაოსანში (გვ. 197-204).

განხილულია სიტყვები „სტავრა“ და „ნახლი“. ავტორის ახსნით, სტავრა ნაწარმოებია ბერძნულიდან ჩვენში შემოსული სიტყვიდან „სტავრაკი“ და ნიშნავს „ძვირფას ქსოვილს, ალბათ, აბრეშუმისას. იგი შეიძლება ყოფილიყო კერულიც და უკერულიც“. „ნახლი“ უმეტესად „სტავრის“ გვერდით იხმარება. „ვეფხისტყაოსანამდელ“ ძეგლებში არ ჩანს. მკვლევრის დასკვნით, იგი ჩვენში გავრცელდა „ვეფხისტყაოსნის“ მეშვეობით, მისი სახელობითი ბრუნვაა „ნახალი“ და მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „ნაჰალი“, რაც ნიშნავს: ლეიბს, მუთაქას, ან საწოლს, ან კიდეც – ხალიჩას. „ვეფხისტყაოსანში“ კი უფრო „საგებლად“ უნდა გავიგოთ.

მუხლთ მოყრა და თითით ხვეწნა (გვ. 205-208).

ავტორის ახსნით, „მუხლთ მოყრა“ (მუხლის მოდრეკა, დაჩოქება) „ძველისძველი წესი იყო დიდი სათხოვარის დროს“. ასევეა „თითით ხვეწნაც“. ეს უკანასკნელი „ვეფხისტყაოსანში“ „შეიძლება იგივე იყოს, რაც სვანეთში შემორჩენილი წესი ნეკების გადაჭდობისა დიდი სახვეწრის დროს“.

ჭმუნვა და ჩმუნვა „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 203-210). განმარტებულია: „ჭმუნვა უმეტესად საშუალო ქართულის ფორმაა“. იგი „მიღებული ჩანს **ჭუვენ**-ისაგან... **ჭუვენ** → **ჭმუნ**“. თვით **ჭუვენ** „სალიტერატურო ქართულში უთუოდ მოდის კოლხური ფენიდან, სადაც იგი, პირველ ყოვლისა, **წვას** ნიშნავს... შემდგომი მისი მნიშვნელობაა ტკივილი“. **ჩმუნვა** ნიშნავს შეხებას, გასინჯვას (ხელით)“. „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა ერთხელაა ნახმარი, თანაც მიმღეობის ფორმით. სტრიქონის შინაარსია: „პირუტყვი ხომ არა ვარ, რომელსაც (თქმა არ შეუძლია, მაგრამ) შეხებით შეუძლია გაიგოს ან გაგაგებინოს რამეო!“

ამარი (გვ. 247-249). ახსნილია: „ამარი წარმოშობით სპარსული სიტყვაა (...ჰამარ) და ნიშნავს **რიცხვს, რაოდენობას; საწყაოს**“. „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონების შინაარსია: „მუნ დებულთა საჭურჭლეთა **ამარი**მცა ვით დათვალეს! – იქ რომ ძვირფასი რამეები იყო, იმათ რაოდენობას როგორ დათვლიდნენო“. მეორე: „ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა **უამარია**“ – ჯერ ქაჯები ქალს არ ახლავს (შინ არ არიან), მაგრამ სპა ურიცხვია“.

სამგვარი მზრახველობა (გვ. 250-255).

ნაშრომში გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული სამი „მზახვრელობა“ (სულხან-საბას ტერმინია). სიტყვიერი დამოკიდებულება: სწორი სწორთან,

უფროსისა უმცროსთან და უმცროსისა უფროსთან. მეფე „ბრძანებს“, „ყმამან ჰკადრა“, „ჩვენ მივართვით, მათ გვიბომეს“. აგრეთვე: „ღვთისა სწორნი“ და ა. შ.

ქარქაში თუ კაპარჭი? (გვ.256- 259). ნაჩვენებია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სამ ადგილას ნახმარია სიტყვა „კაპარჭი“ („საფრთის“ მნიშვნელობით), ამიტომ ავტორს მიაჩნია, რომ პოემის ტექსტში თავიდან ეწერა: „პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა კაპარჭოსანი“ და არა „ქარქაშოსანი“.

რუსთაველი თუ რუსთველი? (გვ. 260-268), *Руставели или Руствели?* (282-283). ავტორი უარყოფს გავრცელებულ შეუკუმშავ ფორმას „რუსთაველი“, რომელიც ანტონ პირველიდან მომდინარეობს და ასკვნის: „«ვეფხისტყაოსნის» ავტორი იყო, არის და იქნება შოთა რუსთველი.“ **ბ. დ.**

1115. ა. შანიძე, ა. ბარამიძე

წინასიტყვაობა

იხ. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1966. **ბ. დ.**

1116. მზექალა შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ.380-405.

ავტორის შენიშვნით, მისი მიზანია, „1712 წლის გამოცემის ზოგიერთი დამახასიათებელი ენობრივი თავისებურების გამოვლენა და შემდგომისდაგვარად ამ მონაცემთა მიმართების გარკვევა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისდროინდელ ენობრივ ნორმებთან“.

ნარკვევის ქვესათაურები: გრაფიკა და ორთოგრაფია; ქარაგმები; ზოგიერთი ასოს ხმარების შესახებ; ფონეტიკის საკითხები: ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათა შერწყმა, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა, ბგერათა გაჩენა, ნაირგვარი ფორმები, საკუთარი სახელები, არსებითი სახელები, ზმნისზედები, თანდებულები, კავშირები, ნაწილაკები. მორფოლოგიის საკითხები:

I. სახელი – სახელთა ბრუნების შესახებ; ერთი წარმოქმნილი სახელის შესახებ.

II. ზმნა: პირის ნიშნები; მწკრივთა წარმოება; ზმნის უსწორო ფორმები; ზმნების უადგილოდ ხმარება; ცალკეულ ზმნათა თავისებურებანი; ზმნისწინები. სინტაქსის საკითხები: თანდებულიანი სახელის ბრუნვისათვის; ბრუნვათა არასწორი ხმარება; მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმების დარღვევა; ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში; პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა ზმნაში; **მცა** ნაწილაკის სინტაქსური ძალის შესახებ.

ავტორი ანალიზს უკეთებს „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტიდან ამონაწერ უამრავ საილუსტრაციო მასალას და ნარკვევის დასასრულს ზოგადი ხასიათის შემაჯამებელ დასკვნაში აღნიშნავს, რომ პოემის 1712 წლის გამოცემაში ბლომდაა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომელთაგან ზოგიერთი რუსთაველისეული არ შეიძლება იყოს. სალიტერატურო ნორმის მი-

ხედვით ისინი დაუშვებლადაა მიჩნეული ყველა პერიოდის ქართულში. ასევე არ შეიძლება რუსთაველისა იყოს ზოგიერთი გვიანდელი და აგრეთვე ქართულ ენაში არსებული ფორმები, რომლებიც გარეგნულად ძველი ქართულისას ჰგავს. ასეთი მიმსგავსებული ფორმები შეიძლება გაჩნდეს ენაში მხოლოდ მაშინ, როცა შესაბამისი კატეგორიათა სწორი ნორმები ცოცხალ მეტყველებაში უკვე სრულადაა გამქრალი.

ენობრივი მონაცემები მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ვახტანგისეულ გამოცემას საფუძვლად გვიანდელი ხელნაწერები უძევს. **გ. ი.**

1117. გურამ შარაძე

თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს“, 1966, გვ. 270-276.

ავტორის აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლი არ არის სათანადო სიცხადით გარკვეული. ამ გამოცემის წინასიტყვაობის შესწავლა თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგ ხელნაწერ მასალასთან დაკავშირებით აშკარას ხდის, რომ „ბროსეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობის მთავარი კონსულტანტი (თუ თანავტორი არაა) უნდა იყოს თეიმურაზ ბაგრატიონი“. თეიმურაზის რჩევით ყოფილა გაპირობებული „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემისათვის ვახტანგისეული ე. წ. მოკლე რედაქციული ხასიათის შენარჩუნებაც. ამასთან ერთად ავტორი ეხება თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგ მოსაზრებას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის რამდენიმე სტროფის ირგვლივ. **გ. ი.**

1118. გ. შარაძე

თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა – მსოფლმხედველობის პრობლემა

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 4, გვ. 224-239.

ავტორი აღნიშნავს, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა ამ პრობლემას ჩამოყალიბებული და საბუთებით განმტკიცებული კონცეფციის სახე მისცა.

რუსთაველი თეიმურაზს ღრმად განათლებულ და ეთიკურ პიროვნებად ჰყავს წარმოდგენილი და თამარის დროის მაღალი ფეოდალური არისტოკრატის წრიდან გამოსულ პოეტად ესახება.

ავტორი მიუთითებს, რომ თეიმურაზმა პირველმა სცადა პოეტის სახელის – „შოთას“ ეტიმოლოგიის გარკვევა. მან ეს სახელი ქართულ წარმართულ სახელად მიიჩნია, ხოლო პოეტის ზედწოდება – **რუსთველი** – ესმის, როგორც რუსთავის მთავარი, მფლობელი და პოეტის რუსთავიდან წარმომავლობის მაჩვენებელი. თეიმურაზმა ჰერეთის რუსთავი გამოაცხადა რუსთაველის სამშობლოდ.

შოთა რუსთაველის ქრისტიანობა და მისი რელიგიური მსოფლმხედველობის ეროვნულ ნიადაგზე ამოზრდა, რაც ასე კარგად იგრძნო თ. ბაგრატიონმა, რუსთველოლოგიაში დღეს მიღებული, გავრცელებული და მეცნიერულად დამუშავებული აზრია.

ეს შეხედულებანი ისე თანმიმდევრულად აქვს გატარებული თ. ბაგრატიონს თავის შრომებში, რომ იგი ერთ მთლიან რუსთველოლოგიურ კონცეფციას ეტოლება, რომელსაც მიმდევრები და დამცველები ჰყავს (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი, პ. ინგოროყვა). **ბ. მ.**

1119. გური შარაძე

**თეიმურაზ ბაგრატიონის ერთი
გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომი**
საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 405-410.

ავტორი გვაცნობს თეიმურაზ ბაგრატიონის წერილს მარი ბროსესადმი. წერილი დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში (ხელნაწერი H 39), დათარიღებულია 1834 წლის 17 ოქტომბრით. წერილიდან ამოკრებილია ადგილები, რომლებიც შოთა რუსთაველს და „ვეფხისტყაოსანს“ ეხება. თ. ბაგრატიონი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკას (განმარტავს რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობას), პოემის სტროფულ შედგენილობას, დანართი თავებისა და ინტერპოლაციების საკითხებს. საუბრობს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მხარეზე. **ლ. კ.**

1120. Г. С. Шарадзе

Теймураз Багратиони как руствелолог
*Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук
(ხელნაწერის უფლებით). სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. ალ. ბარამიძე.
თბ., 1966, 16 გვ.*

ავტორეფერატში აღნიშნულია, რომ სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნებისაგან.

შესავალში განხილულია თ. ბაგრატიონის ბიოგრაფიის საკითხები.

I თავში – თ. ბაგრატიონის ხელნაწერი და ნაბეჭდი რუსთველოლოგიური შრომები – მოცემულია მათი დეტალური დახასიათება. განხილულია:

1. ქართული ლექსის სახეები და საზომები;
2. „შაირისა“ და „შეერის“ შესახებ;
3. წერილები მარი ბროსესადმი (1831–1841 წწ.);
4. თ. ბაგრატიონის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი;
5. იერუსალიმის ქართული მონასტრების აღწერილობა;
6. საქართველოს ისტორია;
7. განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“.

II თავში – თ. ბაგრატიონის რუსთველოლოგიური შრომების სისტემა, სტრუქტურა და ფორმა – ავტორი აანალიზებს შოთა რუსთაველის ვინაობისა და წარმომავლობის, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და ფაბულის ორიგინალობის თაობაზე თ. ბაგრატიონის მოსაზრებებს.

III თავში – თ. ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა – ნაჩვენებია მკვლევრის ცდა პოემის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული განხილვისა და მისი

მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური გამოცემის მომზადებასა და განხორციელებაში.

ავტორეფერატს ერთვის ავტორის დაბეჭდილი ნაშრომების სია (ოთხი დასახელება).

გ. ა.

1121. პეტრე შარია

რუსთაველის მხატვრულ-იდუური სამყაროს ზოგიერთი მხარე

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 51-59.

წერილის შესავალ ნაწილში ავტორი არკვევს ეპოსის რაობასა და მის სპეციფიკას, განიხილავს რა მას, როგორც ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებულ ფენომენს, რაც, თავის მხრივ, თვით პოეტის სათანადო მიზანდასახულებითაა პროეცირებული.

„ვეფხისტყაოსანს“ ავტორი ჟანრობრივად უნიკალურ ეროვნულ ეპოსს აკუთვნებს. პოემა არსებითად განსხვავდება რომანტიკული ჟანრის ყველა შეასაუკუნებრივი ნაწარმოებისგან, ვინაიდან პოემის სიუჟეტური ქარგა იშლება ფართო ჰეროიკულეპიკურ ფონზე და მთელი პოემა ეპიკური, დრამატული და ლირიკული ელემენტების უნიკალურ შერწყმას წარმოადგენს.

ავტორს უმართებულოდ მიაჩნია რუსთაველის ორიგინალური და მოწინავე აზროვნების ფსევდოარეოპაგელისა და პეტრიწის ზოგადთეოლოგიურ და სქოლასტიკურ ნააზრევთან გაიგივების ცდა. ამ ფონზე კრიტიკოსს მით უფრო დაუშვებლად ესახება პოეტის მსოფლმხედველობრივი მრწამსის აღმოსავლურ მისტიკურ-ფატალისტურ ფილოსოფიასა თუ ნატურალისტური ხასიათის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან თანხედომის არსებობა.

ავტორის შეხედულებით, რუსთაველმა გაამდიდრა მსოფლიო პოეზია სავსებით ორიგინალური და უაღრესად პროგრესული ესთეტიკური პრინციპების შეუდარებელი პოეტური განსახიერებით. თუ შუა საუკუნეებში გაბატონებული ესთეტიკური პრინციპები უარყოფდნენ ჭეშმარიტი მშვენიერების არსებობას გრძნობად სამყაროში, რუსთაველისთვის მშვენიერების ერთადერთი სფერო სწორედ გრძნობადი სამყაროა და, ამის შესაბამისად, პოეზიის ამოცანად ის სახავს ცხოვრებისა და მისი ზნეობრივი იდეალების მხატვრულ-ესთეტიკურ განსახიერებას. პოეტი ერთადერთი იყო თავის ეპოქაში, ვინც გაარჩია **სილამაზის** და **მშვენიერების** ცნებები. პირველი წმინდა ბუნებრივ მოვლენად მიიჩნია, მეორე კი – ბუნებრივისა და ზნეობრივის შეერთებად. ავგუსტინედან მოყოლებული, თეოლოგიურ-სქოლასტიკური და ნეოპლატონიკური ესთეტიკა ადამიანის ფიზიკურ სილამაზეს ემშაკისეულ მოვლენად მიიჩნევდა. რუსთაველმა ფიზიკური სილამაზე მშვენიერების აუცილებელ პირობად დასახა.

ავტორის აზრით, რუსთაველს თავის ეპოქაში ბადალი არ ჰყავს პერსონაჟების ქცევისა და მსჯელობის წმინდა რეალისტურ ფსიქოლოგიურ მოტივირებაში. **ი. კ.**

1122. А. Шеметов

Полвека тому назад

გაზ. „Заря Востока“, 1966, 4 ოქტომბერი, № 228, გვ. 3.

საუბარია ორმოცდაათი წლის წინ ცნობილი კიეველი ლიტერატურათმცოდნის ბინაში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც რუსთაველს მიეძღვნა.

საღამოზე მოხსენებით გამოვიდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ა. კრიმსკი, ქართული სათვისტომოს სახელით ილაპარაკა ნ. ოქროპირიძემ.

დასასრულ, ქართულ სათვისტომოს საჩუქრად გადასცეს შოთა რუსთაველის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნაწყვეტის უკრაინული თარგმანი, შესრულებული ა. კრიმსკის მიერ.

თ. ბ.

1123 **Демна Шенгелая**

Силом поэзий

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966 1ოქტ., №231, სტრ. 3.

როგორც ავტორი წერს, რუსთველოლოგიაში ბევრი პრობლემაა, რომლებიც მუდამ იწვევდა მეცნიერულ კამათს.

მიუხედავად იმისა, რომ პოემის უამრავი კეთილსინდისიერი თარგმანი არსებობს, მწერალს მიაჩნია, რომ ისინი სრულად ვერ ასახავენ რუსთველური ლექსის ხიბლს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი უიღბლოა. მწერალი პროლოგს გენიალურს უწოდებს. მას პოემის დასასრული გვიანდელად მიაჩნია და მხარს უჭერს ვახტანგის გამოცემას, სადაც პოემა ქაჯეთის ციხის აღებითა და ნესტანის განთავისუფლებით მთავრდება. მწერალი საუბრობს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორულ ვარიანტებზე. ბოლოს ავტორი მიუთითებს პოემის რენესანსულ ჰუმანურ მხარეზე და იმ ასოციაციებზე, რომელსაც პოემის შინაარსი იწვევს. ასოციაციები ჩნდება როგორც აღმოსავლურ ეპოსთან („შაჰ-ნამე“), ასევე დანტეს „ღვთაებრივ კომედიასა“ და პეტრარკას პოეზიასთან.

ი. წ.

1124. გივი შეყილაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 9 სექტემბერი, № 37, გვ. 1.

ცნობა, რომ 5 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა და სამ დღეს მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდნენ ქართველი და უცხოელი სწავლულები. იმავე დღეს გაიხსნა გამოფენა: „რუსთაველის ეპოქა“ და „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. იქვე იყო წარმოდგენილი მხატვარ ზ. სამხარაძის მიერ შესრულებული ტილოები.

ბ. დ.

1125. გ. შეყილაძე

მიეძღვნა დიდი მგოსნის იუბილეს

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 23 სექტემბერი, № 28, გვ. 1.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის პედაგოგებმა დუშეთის რაიონის სოფ. მჭადიჯვრის საშუალო სკოლაში მოაწყვეს გამსვლელი სესია, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის იუბილეს.

პროფესორებმა ა. შანიძემ, ალ. წერეთელმა, ი. ცინცაძემ, ს. ხუციშვილმა ისაუბრეს რუსთაველისა და მისი შემოქმედების შესახებ.

გ. ა.

1126. გ. შეყილაძე

სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 21 ოქტომბერი, № 43, გვ. 4.

ავტორს ესაუბრება ფრანგი პროფესორი, ენათმეცნიერი რენე ლაფონი. საიუბილეო დღეების შემდეგ პროფესორმა ბასკოლოგიის საკითხებზე ლექციების ციკლი წაიკითხა უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში. საუბარი ეხება მის სამეცნიერო მოღვაწეობას და შთაბეჭდილებებს საქართველოსა და ქართველ ხალხზე. რენე ლაფონი შენიშნავს, რომ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. „ვნახე მთელი ერი, შეკრებილი ქალაქებსა და სოფლებში ერთი პოეტის პატივსაცემად, რომელიც 8 საუკუნის წინათ დაიბადა. არ ვიცნობ სხვა ქვეყანას, სადაც მსგავსი დღესასწაული შესაძლებელი იყოს“.

ლ. კ.

1127. ნინო Швангирадზე

რუხაველი დრამატურგისა და სცენისტი

ჟურ. „ლიტ. გურჯია“, 1966, № 9-10, გვ. 81-84; აგრ., გაზ. „მოლოდენი გურჯია“, 1966, 22 სექტემბერი.

ავტორი საუბრობს ქართული დრამატურგიისა და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთკავშირზე, რაც XIX საუკუნიდან უფრო მჭიდრო და შესამჩნევი გახდა. 1805 წ. გიორგი მეფის მდივანმა გოდერძი ფირალიშვილმა დაწერა პიესა „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე, ანუ სიყვარული და სამშობლო“, რომელიც მოგვიანებით რუსულადაც ითარგმნა, თუმცა საგარეო საქმეთა მინისტრმა რუმინანცევმა პიესა დაიწუნა „მკვეთრად გამოხატული პატრიოტული განწყობის“ გამო.

1853 წ. ოქროპირ ბაგრატიონმა გამოაქვეყნა პიესა „ვეფხისტყაოსანი“.

გარდა ამისა, წერილის ავტორი მიმოიხილავს გიორგი ერისთავის, ალ. თამაზაშვილის, როსტომ მყინვარის დამსახურებას. მოკლედ და დახასიათებული მათი მუშაობის პრინციპი და შედეგები. საუბარია „ცოცხალი სურათების“ შესახებ, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებისათვის.

მოგვიანებით შეიქმნა ოპერები: „ნესტანი და ტარიელი“ (კომპ. ლ. ფალიაშვილი); „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (კომპ. დ. არაყიშვილი); „თქმულება ტარიელზე“ (კომპ. შ. მშველიძე). 1945-48 წლებში სერჟ ლიფარმა შექმნა ბალეტი „შოთა რუსთაველი“.

თ. ხ.

1128. სტეფან შიმანსკი

უშრეტი კოკა

(ნარკვევი ქართველი შექსპირის – რუსთაველის შესახებ)

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 28 აგვისტო, № 196, გვ. 3.

ამ სტატიაში, რომლის დედანი ჟურნალ „Life and letters today“-ს ფურცლებზე დაიბეჭდა და ქართულად ს. სერებრიაკოვმა მცირე წინასიტყვაობით გამოაქვეყნა, ავტორი (ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე) რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ უდიდეს შეფასებას აძლევს. მისი სიტყვებით, „შოთა რუსთაველი, თავისი საუკუნის მანათობელი ჩირადდანი“ იყო, „მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტაგანი, რომელსაც თავისი სიდიადით და მნიშვნელობით მარტოოდენ შექსპირს და

დანტეს თუ გავუტოლებთ“. ავტორი შენიშნავს, რომ მისი ბიოგრაფია „საიდუმლოებით მოცულია“.

ს. შიმანსკის ვარაუდით, „მოსალოდნელია, რომ განათლებული პოეტი სასახლის ინტრიგების მსხვერპლი გახდა, ...გადასახლებაში გარდაიცვალა. მართლაც არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მან სამუდამოდ მიიძინა იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში“. მისივე შეფასებით, „რა ძვირფასი ცნობებიც უნდა იყოს დაკარგული, როგორ შეცდომებსაც უნდა შეიცავდეს რუსთაველის შესახებ არსებული ძუნწი ცნობები, მისი პოეზია ავტორის გენიის უდავო დადასტურებაა. მის პოეზიაში მკაფიოდ აისახა ისტორიული ცვლილებები და მშობლიური ქვეყნის თავგანწირული ბრძოლა...“

ბ. დ.

1129. დ. შიმშილაშვილი

რუსთაველს მიემღვნა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 14 ოქტ., № 42, გვ. 4.

წერილი ემღვნება ხელოვნების მუშაკთა სახლში საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამართულ საიუბილეო სამეცნიერო სესიას, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა დ. ანთაძემ. მოხსენებით გამოვიდნენ: ბ. ჟღენტი („რუსთაველი და თანამედროვეობა“), დ. ჯანელიძე („თეატრი და სახიობა რუსთაველის ეპოქაში“), ნ. ურუშაძე („ვეფხისტყაოსნის“ გასცენიერების ცდები“), ბ. ნიკოლაიშვილი („მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის გარშემო“), ი. მაისურაძე („სიტყვის შთამაგონებელი და ქმედითი ძალა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით). სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, აზერბაიჯანის სახალხო არტისტმა გ. მარდანოვმა. მან თეატრალურ საზოგადოებას საჩუქრად უმღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, III გამოცემა, რომლის თარგმანი ეკუთვნით სამედ ვურლუნს, სულეიმან რუსტამს და მამედ რაგიმს.

აქვეა ინფორმაცია მეორე სამეცნიერო სესიის შესახებ, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა. რუსთაველის შესახებ ისაუბრა შ. ნუცუბიძემ. ვ. ბერიძემ წაიკითხა მოხსენება „შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ“.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვ. ურუშაძისა და ს. წულაძის გამოსვლამ, რომლებმაც პოემის საკუთარ (ინგლისურ და ფრანგულ) თარგმანებზე ისაუბრეს. **ლ. კ.**

1130. რ. შკუბულიანი

ახალგაზრდობის აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, 21 ივლ., № 87, გვ. 4.

რ. შკუბულიანი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ზნეობრივი იდეალები, მაღალი ჰუმანიზმი, მეგობრისათვის თავდადება, ღრმა პატრიოტიზმი, გმირობა და ოპტიმიზმი დღესაც ცოცხლობენ და დიდ სამსახურს უწევენ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. რუსთაველის გაგებით ეს ქვეყანა სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია, მაგრამ ბოროტება მარცხდება, სიკეთე იმარჯვებს. ბევრი რამის სწავლება შეუძლია რუსთაველს ახალგაზრდობისათვის სიყვარულის საკითხში.

რუსთაველი გმობს უგულო სიყვარულს, წუთიერ გატაცებას, ამორალობას, ზნეობრივ დაცემას და უმღერის მარადიული სიყვარულის სისპეტაკეს, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანებს, ამალღებს მათ მორალურად. ახალგაზრდობამ რუსთაველისგან უნდა ისწავლოს, რომ მიჯნური მოკრძალებული, თავაზიანი, თავშეკავებული და მორიდებული უნდა იყოს. ასწავლის აგრეთვე, თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საჭიროებას, გამძლეობას და წინააღმდეგობათა გადალახვის უნარის გამომუშავებას, სიცრუის დაგმობას და გონიერების გაბატონებას გრძნობაზე.

თ. ნ.

1131. რ. შუბულიანი

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა

გაზ. „გამარჯვების დროშა“ (ბოლნისი), 1966, 28 ივლ., № 90.

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მიუთითა მეფე-პოეტმა არჩილმა („თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებაში“). წინათ ქართველი ოჯახისათვის სირცხვილად ითვლებოდა „ვეფხისტყაოსნის“ უცოდინარობა. უძველესი დროიდანვე პოემა შეითვისა ხალხმა. ამის გამო იყო, რომ პოემა ფოლკლორში გადავიდა და მის გარშემო ხალხურ თქმულებათა მთელი ციკლი შეიქმნა. 1712 წელს ვახტანგ მეფემ პირველად დაბეჭდა პოემა. 1937 წელს საბჭოთა კავშირის ხალხებმა უდიდესი ზეიმით აღნიშნეს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავი. „ვეფხისტყაოსანს“ გაცილებით მეტი გავლენა ჰქონდა, ვიდრე საღმრთო წიგნებს, მათ შორის სახარებას. პოემის ასეთმა პოპულარობამ გამოიწვია სამღვდელოების მტრობა. გადმოცემით, ცეცხლს მისცეს და დაწვეს ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“.

თ. ნ.

1132. კარლ ჰორსტ შმიდტი

[„ვეფხისტყაოსნის“ გასაგებად]

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., №223, გვ. 3.

ავტორი გამოთქვამს მწუხარებას, რომ ქართული ენის არასაკმაო ცოდნის გამო არ შეუძლია „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალში წაიკითხოს და მხოლოდ უცხოური თარგმანებით ეცნობა. მისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელია მისი წმინდა მხატვრული სიდიადე, მაგრამ იცნობს პოემის ღრმა ფილოსოფიურ სამყაროს, მის მაღალ-ჰუმანისტურ იდეებს, რაც მას საშუალებას აძლევს თქვას, რომ „შოთა რუსთაველი კაცობრიობის რჩეულ პოეტთა და მოაზროვნეთა რიცხვს ეკუთვნის“.

გ. ი.

1133. ნ. შონია

ტარიელის მათრახი

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 18 სექტ., გვ. 3.

ავტორი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებულ მათრახში ცხენის გასარეკი ჩვეულებრივი მათრახი კი არ იგულისხმება, არამედ – საბრძოლო იარაღი.

ავტორი იმოწმებს ვაჟა-ფშაველას, რომელიც მათრახს ფშაველი მამაკაცის აღჭურვილობაში ასახელებს: ... „მხარილივ გადაგდებული შიბიანი და სალტეებზე-მოკრული ტარიელის მათრახი, რომელიც ჩხუბისათვის აქვს დამზადებული“.

გ. ა.

1234. ნოდარ შოშიაშვილი

თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი

კრებ.: „შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1966, გვ. 7-77;
პ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნ. სესია, 1966, თეზისები, გვ. 7-8.

ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება: I. თორელთა გენეალოგია; II. თორელთა სამამულე და სახელო ქვეყნები; III. შოთა რუსთაველის დაკავშირება თორელთა სახლთან.

სათანადო კვლევის საფუძველზე I თავში ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. ს. კაკაბაძის მიერ მოცემული დასაბუთება მხარგრძელთაგან თორელთა წარმომავლობაზე უარსაყოფია; 2. თორელთა სამივართაგან წარმომავლობის შესახებ ლ. მუსხელიშვილის დასაბუთების ნაწილი აგრეთვე უარსაყოფია, მაგრამ ნაწილი ძალაში რჩება და მხარს უჭერს თორელთა სამივრობაზე სავარაუდო მოსაზრებას; 3. „სამივარი“ წარმომდგარი ჩანს სამცხეში მდებარე სამივის ხევიდან (ნ. ბერძენიშვილი). სამივარი, როგორც ცალკე საგვარეულო, არსებობდა თორელთა გვარის წარმოქმნის შემდეგაც; 4. „თორელი“ გვარის აღმნიშვნელი სიტყვაა და არა ფეოდალური სახლის უფროსის ტიტული; 5. ნ. შოშიაშვილი გამორიცხავს ჭიაბერის თორელობას. იგი მსჯელობს თორელთა სახლის „ახალციხელთა“ განშტოების შესახებ (გვ. 19-45).

II თავში მკვლევრის ძირითადი დებულებაა, რომ XII ს-ის II ნახევარსა და XIII საუკუნეში ჯავახეთის საუფლისწულო დომენს განაგებს თორელთა სხვადასხვა საგვარეულო შტო (გვ. 59-53).

III თავში დასაბუთებულია შოთა რუსთაველის კუთვნილება თორელთა სახლთან. როგორც მკვლევარი წერს, იგი ორიენტირად იყენებს დადგენილ მონაცემებს, რომლებიც დავას აღარ იწვევს: 1. პოეტის სახელია **შოთა**; 2. მისი გვარი **რუსთველი** მიღებულია მამულის მფლობელობიდან; 3. ცხოვრების დრო – თამარ მეფის ხანა; 4. ხელი (თანამდებობა) – მეჭურჭლეთუხუცესი.

„ამის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უნდა ვეძიოთ XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის პირველი ნახევრის იმ ფეოდალურ საგვარეულოში, რომელიც ფლობდა ერთდროულად რუსთავს და მეჭურჭლეთუხუცესის ხელს და, რომელშიც გვხვდება სახელი შოთა“.

მეჭურჭლეთუხუცესობა თამარ მეფის, ლაშა-გიორგის, რუსუდანისა და ულუ-დავითის მეფობის წლებში (1184-1270 წწ.), ორიოდე გამონაკლისის გარდა, ხელთ უპყრია სამცხე-ჯავახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა ორ საგვარეულოს: ჯაყელებს და თორელებს.

თორელები ჯავახელი მესხები იყვნენ და სწორედ ჯავახეთში შედიოდა რუსთავიც XII-XIII საუკუნეებში. თორელთა საგვარეულო ფლობდა რუსთავსაც და მეჭურჭლეთუხუცესობასაც ერთდროულად თამარის მეფობის დროს. ამავე გვარში გავრცელებული ჩანს სახელიც **შოთა**. ქვაბისხევი, სადაც ბაზილიკაში ფრესკაზე გამოსახულია ახალგაზრდა დიდებული „შოთა“, მდებარეობს თორისა და სამცხის საზღვარზე. XII-XIII საუკუნეებში ის თორელთა მამული იყო. XVI ს-ის ერთი დოკუმენტი სამცხის სოფელ წნისში მოიხსენიებს შოთაშვილებს. ცნობილია აგრეთვე სადგერში დასვენებული წმ. გიორგის ჯვრის მომჭედველი და წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ოდის ავტორი XVI ს-ის დამდეგს **სვიმიონ შოთასძე**.

ნ. შოშიაშვილი დაასკვნის: თუ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე იყო და მეჭურჭლეთუხუცესობა ჰქონდა, ის 1207-1220 წლებს შორის უნდა ვიგულისხმოთ ამ ხელის მფლობელად (გვ. 74).

გ. ა.

1135. ლ. შტერნი

**სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების
საიუბილეო სესიაზე 1966 წ. 28 სექტემბერს**

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 207-208.

გერმანელი მეცნიერი მიესალმება სესიის მონაწილეებს და წარმოადგენს გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის – ჰარტკეს – მისალმების წერილს, რომლის თარგმანს ქართულად კითხულობს აკად. ი. დოლიძე. მასში ნათქვამია, რომ რუსთაველი რენესანსის ჰუმანისტური იდეოლოგიის მედროშედ გვევლინება. თავისი ეთიკური იდეალებით პოეტი დიდად ამდლდა იმ ეპოქის მორალურ კოდექსზე და დაუახლოვდა საზოგადოების ეთიკური პრინციპების საყოველთაო ადამიანურ გაგებას. რუსთაველის მსოფლმხედველობას, თავისუფალს რელიგიური დოგმატიზმისაგან, ახასიათებს ნეოპლატონიზმის მძლავრი ელემენტები, რომელსაც პოეტი იყენებს როგორც ქრისტიანული, ასევე მაჰმადიანური სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ. ა.

1136. მზია ჩაჩავა

„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ტექსტისთვის

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 391-404.

წამრომში განხილულია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ხელნაწერის სახით დაცული „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, დამუშავებული და გამოსაცემად მომზადებული მიხ. წერეთლის მიერ, რომელსაც ეს სამუშაო დაუმთავრებია ბერლინში 1938 წელს. მ. ჩაჩავა აღწერს ხელნაწერს და გვაცნობს იმ ტექსტოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც მ. წერეთელმა შეიტანა მასში. პროლოგიდან დატოვებულია მხოლოდ 5 სტროფი, პოემის ძირითად ტექსტად მიჩნეულია 1199 სტროფი.

როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს პოემის ტექსტის დადგენის თავისებურ ცდას. პოემის მოცულობისა და შედგენილობის დადგენისას იგი ძირითადად ეყრდნობა ვახტანგისეული გამოცემისა და უძველესი ხელნაწერების ჩვენებებს, მაგრამ ჩანართი სტროფებისაგან ტექსტის გაწმენდის წერეთლისეული მეთოდი მეტად სუბიექტურია და პირად გემოვნებაზეა დამყარებული, რის გამოც მრავალი აშკარად რუსთაველისეული სტროფი ძირითადი ტექსტის გარეთაა დარჩენილი.

ტექსტში გათვალისწინებულია მე-12 საუკუნის ენობრივი თავისებურებები და დაცულია ძველი ქართულის შესატყვისი გრამატიკული თვისებები; აღდგენილია და ხშირ შემთხვევაში დამაჯერებლადაა გასწორებული დამახინჯებული წაკითხვები და შინაარსობრივად ბუნდოვანი ადგილები. საყურადღებოა წერეთლისეული დასა-

თაურება ტექსტისა, რაც დამახასიათებელი და მიზანშეწონილია ეპიური ხასიათის ნაწარმოებისთვის.

ლ. კ.

1137. ვასილ ჩაჩანიძე

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ხალხთა ენებზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 23 სექტ., № 39, გვ. 4; «Веч. Тбилиси», 196, 1 ოქტ., № 231, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის ისტორიას წერილის ავტორი 1802 წლიდან იწყებს (ევგ. ბოლხოვიტინოვის წიგნი) და წარმოგვიდგენს პოემის თარგმანების საკმაოდ ვრცელ ნუსხას მსოფლიოს ხალხების სხვადასხვა ენაზე.

წერილში აღნიშნულია, რომ 1712 წლიდან 1966 წლამდე რუსთაველის პოემა 132-ჯერ დაიბეჭდა. მათ შორის: ქართულად – 54-ჯერ, რუსულად – 33-ჯერ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე – 19-ჯერ, უცხო ენებზე – 26-ჯერ.

მიმდინარე საიუბილეო წელს კიდევ მრავალი თარგმანი და ახალი გამოცემა შეემატება რუსთველოლოგიურ ლიტერატურას.

გ. ა.

1138. ვ. ჩაჩანიძე

შორეულ ქვეყანაში

გაზ.: „ჭიათურის მდაროელი“, 1966, 15 მაისი, № 93; „თბილისი“, 1966, 28 სექტ., № 228, გვ. 3; აგრ. ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტ., გვ. 23 (სათაურით: იტალიაში, ომის დროს).

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ იტალიური თარგმანების ისტორიაზე. მისი ცნობით, პირველად 1941-42 წლებში გამოიცა არასრული იტალიური ტექსტი, იგი თარგმნა რაფიელ ინგილომ (შემდეგში მადრიდის მართლმადიდებლური ეკლესიის რექტორი). წიგნი გამოვიდა მეფე ვიქტორ-ემანუელ II-ის ინიციატივით და მიემდვნა ირაკლი ბაგრატიონის სიძედ შესვლას პასკუინის ოჯახში.

შემდეგ სრული პროზაული თარგმანი მოამზადა შ. ბერიძემ (ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი), რომელიც გამოიცა 1945 წელს მხატვარ ფ. ბიანკონის ილუსტრაციებით).

ავტორი აღნიშნავს, რომ 1966 წლისათვის „ვეფხისტყაოსანი“ საზღვარგარეთ გამოცემული იყო 26-ჯერ, ამათგან ფრანგულად – 5-ჯერ, ჩინურად – 4-ჯერ, რუმინულად – 3-ჯერ, აგრ. ქართულად – 3-ჯერ: 1943 წელს ბერლინში; 1950 წ. მოუნხენში და 1963 წ. პარიზში.

გ. ა.

1139. სტეფან ჩერიომკინი

„ვეფხისტყაოსანი“ იაკუტურ ენაზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 16 სექტემბერი, № 38, გვ. 1.

ავტორი იუწყება, რომ გაზეთ „კომუნიზმ სარდანატის“ („კომუნიზმის განთიადი“) თანამშრომელი, პოეტი სემიონ რუფოვი იაკუტურ ენაზე თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“. თარგმანის ნაწყვეტები მისივე წინასიტყვაობით – „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ – დაიბეჭდა გაზეთში. პოემის თარგმანი გადაიცემა რადიოშიც.

ი. კ.

1140. ვაცლავ ჩერნი

უკვდავი წიგნი
(წერილი ჩეხოსლოვაკიიდან)

გაზ. „კომუნისტი“, 4 სექტემბერი, 1966, № 21, გვ. 3.

შესავალში აღნიშნულია, რომ ავტორი ეხება საკითხებს: „ვეფხისტყაოსნის“ ისტორია ჩეხოსლოვაკიაში და ამ თხზულების პარალელი ძველ ჩეხურ ლიტერატურასთან; ქვესათაურში „ნაპოვნი რაიგრადის მონასტერში“ მოკლედ გვაცნობს ჩეხი მთარგმნელის ო. ვეტის (ნამდვილი სახელია კოდელკა, გარდ. 1942 წ.) მოღვაწეობას, რომელმაც თარგმნა ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და სერიით „მსოფლიო ლიტერატურა“ გამოაქვეყნა პრალაში 1912 წელს. მასზე დართულ წინასიტყვაობაში ო. ვეტი, პირველად ჩეხურ ლიტერატურაში, ახსენებს შოთა რუსთაველს.

ავტორი განაგრძობს: მოგვიანებით, როდესაც ჩემი მასწავლებლის, იერომირ იედლიჩკას დავალებით „ვეტის ნაკვალევს გავყევი“, სამხრეთ მორავიაში, რაიგრადის მონასტრის ბიბლიოთეკაში ვნახე „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემა, რომელსაც კიდევბზე მიწერილი ჰქონდა მრავალი შენიშვნა და კომენტარი. აგრეთვე: „ვნახე წიგნის რამდენიმე ადგილი, რომლის თარგმანიც ვეტს უცდია, ჩანს, განეზრახა, «ვეფხისტყაოსანი» მთლიანად გადაეთარგმნა“. „კარგი იქნებოდა, – შენიშნავს ჩერნი, – ამ წიგნს ისევ დავბრუნებოდი და ერთხელ კიდევ გულმოდგინედ შემესწავლა ვეტის ყველა შენიშვნა – ის ხომ პირველი ჩეხი იყო, რომელმაც «ვეფხისტყაოსნის» დედანი წაიკითხა. მეორე ქვეთავში – „ეპოსის გმირებში ჩვენს საკუთარ თავს ვხედავთ“ – ავტორი საუბრობს ეპოსში ეროვნული ხასიათის გამოხატვაზე. „ვეფხისტყაოსანზე“ წერს: „ყოველი ქართველი რუსთაველის ეპოსის ყოველ გვერდზე ხედავს სრულყოფისა და ოსტატობის მიუწვდომელ ნიმუშს, ეროვნული ზნეობის მაღალ მაგალითს. ეპოსის შესწავლა ეხმარება მას, შეიცნოს თავისი ხალხის სულიერი ისტორია“. **ბ. დ.**

1141. გ. ჩიგოგიძე

მზადება უკრაინაში

გაზ. „თბილისი“, 1966, 16 აპრილი, № 38, გვ. 3.

კორესპოდენტთან საუბარში უკრაინაში შექმნილი რუსთაველის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე პაბლო ტიჩინა ჩამოთვლის საიუბილეო ღონისძიებებს და მათ შორის ასახელებს: გამოსაცემად მზადდება პოემის მიკოლა ბაჟანისეული თარგმანი, რომელშიც იქნება ჩართული გრიგოლ გავრილენკოს შესრულებული ილუსტრაციები. უნდა გამოიცეს ი. აბაშიძის „პალესტინა, პალესტინას“ თარგმანი, რუსთაველისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული, გაიმართება სამეცნიერო სესიები, მოეწყობა გამოფენები, რადიო და ტელეგადაცემები და ა. შ. **ბ. დ.**

1142. გიორგი ჩიმაკაძე

რუსთაველი საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, №10, გვ. 71-76.

„ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის ვითარება ავტორს წარმოადგენილი აქვს ნაკლოვანი ინფორმაციის საფუძველზე და არათანაზომიერი კომენტარებით,

რომლის მიხედვით, პირველი ფრანგული თარგმანი პოემის ნაწყვეტების გამოცემისა განხორციელდა 1847 წელს ბროსეს მიერ, საქართველოში მისი ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც ის გაეცნო გიორგი ერისთავსა თუ სხვა ქართველ მწერლებს. პოლონურად პროზაული თარგმანი, კაზიმირ ლაპჩინსკისა, დაიბეჭდა ვარშავაში; გერმანულად, არტურ ლაისტისა, 1890 წელს დრეზდენში; ინგლისურად, მარჯორი უორდროპისა, 1912 წელს ლონდონში; უნგრულად, ბელა ვიკარისა, 1918 წელს ბუდაპეშტში (მეორედ უნგრულად თარგმნა პოეტმა შანდორ ვეორეშმა 1954 წელს); ჩინურად 1943 წელს ლი დიესისა, რუმინულად, ვერა რომანისა, 1947 წელს. იაპონურად გამოიცა 1955 წელს იპეი ფუკუროს თარგმანი, გერმანულად ბერლინში – ჰუგო ჰუპერტისა. ჩეხურად დაიბეჭდა 1958 წელს პრადში იარომირ ედლიჩკასი, ფრანგულად პარიზში გამოიცა 1964 წელს სერგო წულაძის თარგმანი.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ ესპანურად პოემა ითარგმნა დელა ტორე ბოტაროს მიერ. იუნესკოს გადაწყვეტილებით ახლო მომავალში გამოიცემა ინგლისური თარგმანიც.

სამწუხაროდ, ავტორი ერთნაირი სისრულით არ იძლევა საჭირო ცნობებს თარგმანთა გამოცემის შესახებ. თუ ზოგი თარგმანის ვითარებას გვაცნობს მთარგმნელთა წინასიტყვაობათაგან ამოღებული შენიშვნებითა თუ პრესაში გამოთქმული გამოხმაურებით, ზოგიერთი თარგმანის შესახებ არ იძლევა თარიღსაც კი და ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნის თარგმანის შესახებ. ამასთან ერთად ავტორი რატომღაც არ ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ თარგმანს (მილანი, 1945). **გ. ი.**

1143. არნოლდ ჩიქობავა

„ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული

სალიტერატურო ენის ისტორიაში

ენათმეცნ. ინსტ. XXII სამეცნ. სესია, თეზისები, 1966, გვ. 406; უკრ. „მნათობი“, 1966, № 9, გვ. 70-81.

მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ ენას თვლის გარდამავალ საფეხურად ძველ ქართულსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენებს შორის. მისი დაკვირვებით, ლექსიკაში „ვეფხისტყაოსანი“ ახალ ქართულთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვიდრე მორფოლოგია-სინტაქსის თავისებურებათა მიხედვით. გამოკვლევაში ჩამოთვლილია ის მორფოლოგიური მოვლენები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ ძველი ქართულის ნორმათა შესაბამისად იხმარება, მაგ., მოთხრ. ბრუნვის ნიშანი **-მან**; ადამიანთა სახელების ხმარება ბრუნვის ნიშნების გარეშე სახ. და მოთხრ. ბრუნვებში; **-ეს** დაბოლოება მრ. რიცხვის მესამე პირში (თხრ. კილო); ზმნის ფუძისეული პრეფიქსის დაცვა: შესთვალა, სძღვნიდეს, შეჰკვეთეს და სხვა.

აღნიშნულია შემთხვევებიც, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ენა არ მისდევს ძველი ქართულის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ნორმებს. მაგ., ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს აღარ დაერთვის სახ. ბრუნვის ნიშანი **ჲ** (ყმა, დროშა, სიტყვა...); მემწველი ზმნა „არს“ შედგენილ შემასმენელში **ა-ს** სახეს იღებს (საჭიროა, მქმნელია...) პრეპოზიციური წყობა (მსაზრვრელის წინ დაყენება) უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ძველ ქართულში.

ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში ძველი ქართულის ელემენტები სჭარბობს. ამისდა მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძველი ქართულისებურად არ ჟღერს. ამ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს სიტყვათა ახალქართულისებური რიგი (პრეპოზიციური წყობა) და ლექსიკური ინოვაციები.

გ. ა.

1144. ა. ჩიქობავა

პაშტა – სიტყვის მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 334-341.

ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ 421-ე სტროფში იხილავს სიტყვა „პაშტას“ მნიშვნელობას: „დავაგდე მზღვარი ინდოთა, მევლო პაშტაი ხანია“. ვრცლად წარმოადგენს საკითხის შესწავლის ისტორიას, მის ახსნას ლექსიკონებში, ქართული ენის დიალექტებში, მის გამოყენებას ძვ. ქართული მწერლობის ძეგლებში. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „მაჰნამეს“ ქართულ თარგმანში, „რუსუდანიანში“, ზაზა ფანასკერტელის „სამც. წიგნში“, ინგილოურ და იმერხეულ დიალექტებში, მაჯოს მიერ 1643 წელს რომში გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში **პაშტა** იხმარება ორი მნიშვნელობით – **1)** საკმაოდ დიდი, კარგა ბევრი; **2)** ცოტა, პატარა. „ვეფხისტყაოსანში“ **პაშტა** ნიშნავს ბევრს. ამ შინაარსის საწინააღმდეგო მნიშვნელობისა საბასა და ზაზა ფანასკერტელის გაგებაში „სხვა წარმოშობის სიტყვა ჩანს; ის წონის მცირე ერთეულს გულისხმობს. ე. ი., ომონიმებთან უნდა გვქონდეს საქმე“.

გ. ი.

1145. ა. ჩიქობავა

ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 21-27.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია სხვადასხვა გზით მიღებული კომპოზიტები: ზედსართავისა და არსებითი სახელის (მკლავ-მაგარი, სიტყვა-ძვირი), არსებითისა და მიმღეობის (გულ-მოკლული, პირ-გამეხებული), ან ორი არსებითი სახელის შეერთებით (პირ-მზე, პირ-ოქრო). „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, მის მორფოლოგია-სინტაქსსა და სიტყვაწარმოებაში, რიგი მოვლენა ძველი ქართულისებურია, ზოგი ახალი ქართულიდან ცნობილს წარმოგვიდგენს, ზოგიც თავისებურია – გარდამავალია ძველსა და ახალ ქართულს შორის.

ეგზოცენტრული კომპოზიტები გვქონდა ძველ ქართულში, ახალ ქართულშიც დიდი სარბიელი აქვს, „ვეფხისტყაოსანშიც“ შეუზღუდავად იხმარება, როგორც სიტყვათწარმოების საშუალება.

გ. ა.

1146. მიხეილ ჩიქოვანი

შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი

„მეცნიერება“, თბ., 1966, 188 გვ.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში გადმოცემულია პოეტის ფოლკლორული ბიოგრაფია, მოთხრობილია რუსთაველის დაბადების, აღზრდისა და მო-

ღვაწეობის შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, რომელ-თა შესახებ სარწმუნო ცნობები წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ. მაგალითად, პოეტის ოჯახის, მშობლების, სიჭაბუკის წლების, ცოლ-შვილის, მოგზაურობის, უცხოეთში გადახვეწისა და აღსასრულის შესახებ.

ამავე ნაწილშია განხილული ხალხური და რუსთაველისეული „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთკავშირი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს „ტარიელიანის“ შესწავლის პრობლემაზე, გვთავაზობს პოემის ხალხურ და ლიტერატურულ ვერსიათა შედარებით ანალიზს, წარმოაჩენს იდეალური მანდილოსნის სახეს და ვრცლად მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ მითოლოგიას: ა) მზის დაბნელება; ბ) მთვარის დაბნელება; გ) დევი; დ) ქაჯი.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია გადმოცემები შოთა რუსთაველის შესახებ.

გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილ-მოდებული უმდიდრესი საარქივო ფოლკლორული მასალა. **თ. ხ.**

1147. მ. ჩიქოვანი

ვინ იყვნენ რუსთაველის მშობლები?

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 20 ივლისი, გვ. 3; გაზ. „დარიალი“ (ყაზბეგის რ.), 1966, 23 ივლისი, გვ. 3. ჟურ. „საქართველოს ბუნება“, 1966, სექტემბერი, გვ. 18.

ხალხური გადმოცემების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ შოთა რუსთაველი იყო მესხეთის რუსთავიდან, რომლის ადგილზე ახლა ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევებია შემორჩენილი.

ზეპირი გადმოცემით, შოთას მამას იესე ერქვა, მეტსახელს ჩახრახელს ეძახდნენ. ის იმ დღეს მოკლეს, შოთა რომ დაიბადა. შოთა დედისა და ბიძის მზრუნველობით იზრდებოდა. მესხეთში გავრცელებულია სიმღერის ფრაგმენტი: „დიდი შოთას სამშობლოა რუსთავი და პატარშენი...“ **გ. ა.**

1248. მ. ჩიქოვანი

ხალხის დიდი შთამაგონებელი

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 25 აგვ., გვ. 3; გაზ. „Заря Востока“, 1966, 16 სექტ., № 213, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედების ანარეკლი მწერლობისა და ხელოვნების დარგში გვხვდება. შოთა რუსთაველის პიროვნებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველა ქართველის გულში. რუსთაველი და მისი უკვდავი გმირები შესულნი არიან ხალხურ არქიტექტურასა და სკულპტურაში, ფერწერასა და მუსიკაში, ქარგულობასა და ჭედვაში, ჩუქურთმაში, ქორეოგრაფიასა და მხატვრულ სიტყვიერებაში, სასაუბრო მეტყველებასა და ჩვეულებებში. შემდეგ მ. ჩიქოვანს მოჰყავს ხელოვნების ამ დარგებიდან შესაბამისი მაგალითები „ვეფხისტყაოსნის“ ხალხში პოპულარობის დასაბუთების მიზნით და ბოლოს დაასკვნის, რომ შოთა რუსთაველი და მისი გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ ხალხური ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედების უშრეტი წყაროა. ასეთი იყო იგი საუკუნეების განმავლობაში, ასეთია იგი დღესაც. **ც. ე.**

1149. მ. ჩიქოვანი

**ფოლკლორული ტერმინოლოგია და
დასათაურების სისტემა
„ვეფხისტყაოსანში“**

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 173-184.

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება:

1. **სამი ფილკლორული ტერმინი.** ავტორი აანალიზებს ფოლკლორულ ტერმინებს.

ა) **ამბავი**, რომელიც პოემაში გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით: ეპოპეა, თქმულება, ბალადა, იგავი, ანეკდოტი, ცნობა, შემთხვევა;

ბ) **ზღაპარი** – დაუჯერებელი, განმაცვიფრებელი, ფანტასტიკური, მოგონილი ზეპირი მოთხრობა.

გ) **არაკი** – ზღაპარი, არაჩვეულებრივი თავგადასავალი; იგავი, ანდაზა; არაკი სათაურის სახითაც გვხვდება. არაკი და ზღაპარი „ვეფხისტყაოსანში“ დაუჯერებელი, ფანტასტიკური მოთხრობის სინონიმებია.

2. **„ვეფხისტყაოსნის“ დასათაურების სისტემისათვის.** ავტორის აზრით, პოემის თავებად დაყოფა და მათ შორის პოეტური მასალის განაწილება არათანმიმდევრულია. პოემა უნდა დაიყოს 12 კარად. აუცილებელია სიუჟეტურ რკალთა შორის ამბებში, როგორც რუსთველი ეძახის, პოეტური მასალის ჰარმონიული, დაახლოებით თანაბარი განაწილება. უნდა მოიხსნას მინიატურული თავები, რომელთა მოცულობა 10 სტროფზე ნაკლებია და სიუჟეტურ მონაკვეთს არ წარმოადგენს.

ლ. კ.

1150. **Симон Чиковани**

Песнь любви, дружбы и доблести

ჟურ. „Новый Мир“, 1966, № 10, გვ. 233-243.

ნაშრომს უძღვის ი. ანდრონიკოვის წინასიტყვაობა, რომელშიც საუბარია უკვე განსვენებულ ს. ჩიქოვანზე, მის შემოქმედებასა და დამოკიდებულებაზე რუსთაველისადმი. აღნიშნულია, რომ ს. ჩიქოვანი „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მცოდნე იყო.

ავტორის მიზანია ცხადდეს „ვეფხისტყაოსნის“ შინაგანი სულიერი კოლიზიები, მოკლედ დაახასიათოს პოემის სტრუქტურა და მხატვრული თავისებურებები, აჩვენოს ის დიდი მორალური და ესთეტიკური ზემოქმედება, რომელიც პოემამ იქონია ქართულ მწერლობასა და ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. მსჯელობისას მოხმობილია პარალელები რუსთაველის ეპოქის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური მწერლობიდან, ახსნილია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სახე-სიმბოლო (ვეფხისტყავი...), ძირითადი მოტივები (სიყვარული, მეგობრობა, რაინდობის კოდექსი..). დასკვნის სახით ავტორი დასძენს, რომ რუსთველური იდეალები და ჰუმანიზმი რენესანსისთვისაა დამახასიათებელი. მისი მხატვრული პრინციპები ნოვატორულია. რუსთაველის მხატვრულმა აზროვნებამ აღორძინების ეპოქას დაუდო დასაბამი.

ლ. კ.

1151. შოთა ჩიჯავაძე

**„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან
(„სალამი დავიყვებო“)**

გაზ. „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1966, 25 ივნისი, № 76, გვ. 3.

მკვლევარი ცდილობს დააზუსტოს შინაარსი ტაეპსა: „უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყვებო“ (13184). იგი აღნიშნავს, რომ „ყეფა“, ზოგადად, ძაღლისა და ტურის გარკვეულ ხმიანობას ეწოდება, გადატანითი მნიშვნელობით კი ბულბულის გალობასაც აღნიშნავდა. თეიმურაზ პირველი და ვახტანგ მეექვსე „ყეფას“ „ზახილის“ სინონიმად ხმარობენ.

„ვეფხისტყაოსნის“ მითითებულ ტაეპში „დაყეფება“ გადატანით უნდა ნიშნავდეს დაძახებას, ადამიანისადმი ხმამაღლა შეხმიანებას. ტაეპის შინაარსი შეიძლება ასე გადმოიცეს: „უმცროსმა ძმამ უფროს ძმას შორიდან ხმამაღლა დაგიძახე, სალამი მოგიძღვენი“.

გ. ა.

1152. შ. ჩიჯავაძე

არსებობდა თუ არა ქაჯეთი?

გაზ. „სამგორი“ (გარდაბანი) 1966, 23 სექტ., № 113, გვ. 3.

ავტორი თვლის, რომ ქაჯეთი და ქაჯები რუსთაველის მიერ გამოგონილი არ არის და არც ხალხური მითოლოგიიდანაა აღებული. ინდოეთში, ბომბეის შტატში, არსებობს პროვინცია ქაჯეთი, ანუ „ქაჯის რაიონი“, რომელშიც ამჟამად 129 000 სული ცხოვრობს. ამავე შტატში არის „კაჩის“ ოლქი 567 000 მცხოვრებით.

ისტორიულად ცნობილია აგრეთვე, რომ არსებობენ ხალხები და ტომები, როგორებიც არიან – „ქალჯი“ (სამხრეთ ავღანეთში), ქაჯი, ქაჯე; გეოგრაფიული სახელები – ქაჯანგი (კუნძულ ცელებესზე), ქაჯანი (კუნძ. ბორნეოზე), ქაჯი ბა ირი (კასპიის ზღვის სანაპიროსთან), ქაჯთა ქალაქი (ლ. მროველი, „ქართ. ცხ.“).

ავტორი აღნიშნავს: თუ ქაჯეთს მივიჩნევთ ზღაპრულ-ფანტასტიკურ ან მითოლოგიურ ქვეყნად, მაშინ პოემის შინაარსობრივი მონაცემები არაბუნებრივად გამოჩნდება; მაგ., ქაჯებთან ბრძოლის ეპიზოდები, დავარის გათხოვება ქაჯეთში, დედოფალ დულარდუხტის პიროვნება, რომლის დახასიათებაც არ შეეფერება ქაჯებზე ხალხში გავრცელებულ ზღაპრულ წარმოდგენას.

გ. ა.

1153. შ. ჩიჯავაძე

ერთი სიტყვის განმარტებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ქურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 8, გვ. 71-74;

გამოკვლევა ეხება სიტყვა „შრომას“, პოემის 1304-ე სტროფიდან: „ღმერთსა შემ-ვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა...“

ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა პოემას დართულ ლექსიკონებში განმარტებული არ არის, ე. ი. მისი შინაარსი გაგებულა თანამედროვე მნიშვნელობით, როგორც ფიზიკური ან გონებრივი მუშაობა, საქმიანობა, გარჯა.

ავტორი იმოწმებს ძვ. ქართული თხზულებებიდან ადგილებს, სადაც შრომა არის სენით ან გვემით მიყენებული ფიზიკური ტანჯვა, ტკივილი. ზოგჯერ ეს სიტყვა სულიერ ტანჯვას, წყენას, მწუხარებას ან დაბრკოლებას აღნიშნავს.

„ვეფხისტყაოსნის“ 1304-ე სტროფშიც, ავტორის აზრით, „შრომა“ უნდა ნიშნავდეს მწუხარებას, დიდ გაჭირვებას, სულიერ ტანჯვას. ნესტანი ითხოვს, რომ ღმერთმა დაიხსნას ის წუთისოფლის მწუხარება-გაჭირვებისაგან, სულიერი ტანჯვისაგან.

გ. ა.

1154. შ. ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“

ერთი სიტყვის წაკითხვისა და განმარტებისათვის

ჟურ. „მაცნე“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია), 1966, № 5, გვ. 39-42;

ავტ. ქართული ლიტ. ინსტიტუტის სამეცნ. სესია, 1966, მოხს. თეზისები, გვ. 20.

მკვლევარი განმარტავს სიტყვას „მოუზრუნვეს“, რომელიც ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიმართ არის გამოყენებული პოემის ბოლოს, ინდოეთში დაბრუნების ეპიზოდში: „დიდებულნი მოეხვივნეს, მოუზრუნვეს მათ ცოლ-ქმართა“ (1625₁). ცნობილია, რომ ძველ ქართულში „ზრუნვა“ ეწოდება გასაჭირს, წუხილს, ურვას; ხოლო „ზრუნნი“, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, არის „გოდების ბანი“. ფოლკლორის ტებს აღნიშნული აქვთ, რომ სამგლოვიარო ჟანრის პოეტურ ნიმუშებს რაჭაში „ზრუნნი“ ეწოდება. იქვე გამოიყენება ამ ტერმინიდან ნაწარმოები ზმნა: „დააზრუნა“.

ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ ტაეპში „მოუზრუნვეს“ ნიშნავს: მოუტირეს, ან შებანებით ტირილით (ზრუნით) თანაგრძნობის სიტყვები უთხრეს.

მკვლევრის აზრით, ამ ზმნის სწორი ფორმაა „მოუზრუნეს“ (რომელსაც ზოგიერთი ხელნაწერი იცავს). მისი პირველადი ფუძეა „ზრუნ“, საიდანაც მიიღება ზმნური ფორმები: დააზრუნა, დააზრუნეს, მოუზრუნეს.

გ. ა.

1155. შ. ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ორი სიტყვის განმარტებისათვის

(შექლენა, მრუში)

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1966, სექტ.-ოქტ., № 5, გვ. 80-81.

„ვეფხისტყაოსნის“ 193-ე სტროფის მეორე ტაეპში: „მინდორს აცორვებს ტაიჭსა, შექლენით მონაწყენია...“, სიტყვა „შექლენით“-ის განმარტება, ავტორის დაკვირვებით, დაზუსტებას საჭიროებს.

თეიმურაზ ბაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის და ა. შანიძის გაგებათა გათვალისწინებით ავტორი ასკვნის, რომ „შექლენით მონაწყენი“ შენჯღრევით მოწყენილს და შეწუხებულს უნდა ნიშნავდეს.

სიტყვა „მრუშის“ (25₁) გაგებისათვის ავტორი აჯამებს დ. კარიჭაშვილის, იუსტ. აბულაძის, ს. ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის განმარტებებს და მართებულად მიიჩნევს იუსტ. აბულაძის მოსაზრებას, რომ „მრუში“ არის „მეძავის“, „ბოზის“ აღმნიშვნელი სიტყვა.

გ. ი.

1156. გიორგი ჩუბინაშვილი

რუსთველის ეპოქის ძეგლები

*მოხს. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წ. 28 სექტ.
(წაკითხული იყო რუსულ ენაზე და ასევე დაბეჭდილი – ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 194-199).*

მკვლევარი აღნიშნავს, რომ მხატვრული ლიტერატურის მაღალი დონე, რომელსაც ქართულმა მწერლობამ XII ს-ში მიაღწია, შემზადებული იყო წინა საუკუნეებში ხელოვნების სხვა დარგების, კერძოდ – არქიტექტურის, სკულპტურის, მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და სხვათა განვითარებით. იგი ვრცლად მიმოიხილავს საეკლესიო და სამონასტრო მშენებ-ლობის განვითარების ეტაპებს, აგრეთვე საერო არქიტექტურის – სასახლეების, ციხე-სიმაგრეების, ხიდების, ქარვასლების ნიმუშებს.

როგორც მკვლევარი ამბობს, პლასტიკურ ხელოვნებათა განვითარებამ შექმნა ბაზა მხატვრული შემოქმედების სხვა დარგის – პოეზიის განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დეკორატიული ხელოვნება მრავალგვარი და ფილიგრანული ორნამენტებით, რაც აგრეთვე დამახასიათებელია შოთა რუსთაველის ლექსის კომპოზიციისა და დახვეწილი ფორმისათვის. **გ. ა.**

1157. რ. ჩხარტიშვილი

ფატმანის სახის გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლენინის დროშა“ (მახარაძის რ-ნი), 1966, 19 აპრილი, № 47, გვ. 3.

ავტორს არ მიაჩნია მართებულად საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში მოცემული ფატმანის ზოგადი დახასიათება. მისი აზრით, ვაჭართა წრიდან გამოსულ ქალს ვაჭართა არც ერთი უარყოფითი თვისება ახასიათებს. იგი ავტორს მხოლოდ სოციალურ ურთიერთობათა მსხვერპლად ესახება და მას ახასიათებს სულგრძელ, მეგობრულ, კეთილშობილ ადამიანად, რომელსაც ფულზე არც სინდისი გაუყიდა, არც მეგობრობა, არც სიყვარული. რ. ჩხარტიშვილის აზრით, ფატმანის უარყოფით პირად დახასიათება არც აღზრდის საქმეს ემსახურება და არც რუსთაველს მატებს რამეს.

ი. კ.

1158. შალვა Чхеიძე

Фольклор в Творчестве Руставели

გაზ. „Кутаисская Правда“, 1966, 26 ივლ., №89, გვ. 3.

სინანულითაა აღნიშნული, რომ არ არის ცნობილი რუსთაველის სრული ბიოგრაფია, თუმცა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შეიქმნა პოეტის ე. წ. ფოლკლორული.

საუბარია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ რუსთაველის სიყრმის, სიყმაწვილის პერიოდის შესახებ არსებულ ცნობებზე. აღწერილია მისი ცხოვრება ჯერ ტბეთის მონასტერში, შემდეგ საბერძნეთში, მისი დაბრუნება სამშობლოში და თამარის კარზე მოღვაწეობა. განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნია წერილის ავტორს იერუსალიმთან დაკავშირებული გადმოცემები. დამოწმებულია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (1614-26 წწ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი) ცნობები.

ავტორი იხსენებს ცნობილ თქმულებას თამარ მეფის მიერ დიდუბეში გამართულ ასპარეზობის შესახებ, როდესაც მეფემ თავისი ორაზროვანი ბრძანებით გამო-

ავლინა რუსთაველის სიბრძნე და გონებამახვილობა. დასასრულს, ავტორი მიიჩნევს, რომ მომავალი თაობის მკვლევარებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ფოლკლორს, რომელიც, ვინ უწყის, კიდევ რა საიდუმლოს ინახავს. **თ. ხ.**

1159. გრიგოლ ჩხიკვაძე

მელოდია არ დაკარგულა

გაზ. „თბილისი“, 1966, 24 მარტი, № 69, გვ. 3.

ავტორი ეხმიანება ვ. სიდამონიძის წერილს, რომელშიც „ციციშვილების სიმღერა“ დაკარგულად არის გამოცხადებული და აქვეყნებს ამ სიმღერის ჩაწერის ისტორიას. კერძოდ, მიუთითებს, რომ იგი შეტანილია 1960 წელს გამოცემულ «ქართული ხალხური სიმღერის» I ტომში, ხოლო შალვა მშველიძემ მაღალი ოსტატობით დაამუშავა და გამოიყენა თავის ოპერაში «ამბავი ტარიელისა». ბოლოს ეხება სიმღერის ტექსტს და, მსგავსად სხვა ქართული სიმღერებისა, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტია გამოყენებული, ასკვნის: „ამიტომ სავსებით ბუნებრივია, ამ სიმღერების მსგავსად, «შევკრათ წითელი» შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის შთაგონებით არის წარმოქმნილი“. **ბ. დ.**

1260. გრ. ჩხიკვაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხურ სიმღერებში

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1966, 2 ოქტ., № 192, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემის სტროფები შეჭრილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალურ ფოლკლორში. მას მღერიან ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში, რაჭასა და სვანეთში, მესხეთში... ჟანრის მხრივ გვხვდება: მაყრული, სატრფიალო, საწესო, საფერხულო, შრომის და სხვა. მათი უმრავლესობა სამხმიანია.

ხალხში ჩაწერილი და მოსმენილი სიმღერების რაოდენობა 50-ს აჭარბებს, მაგრამ, ავტორის აზრით, აღრიცხული და ჩაწერილი არ არის ყველა სიმღერა.

წერილში მოტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე შექმნილი „სუფრული“, „მხედრული“ და „საცეკვაო“ სიმღერების ნიმუშები. **გ. ა.**

1161. სარგის ცაიშვილი

შოთა რუსთაველი

(ბიოგრაფიული ესკიზი)

ჟურ. „მნათობი“, 1966, № 2; გაზ. „კომუნისტი“, 1966, 21 ივლ., გვ. 3; აგრ. წიგნში – ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1966, გვ. 11-37.

ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა დროს წამოყენებულ ჰიპოთეზებს შოთა რუსთაველის ვინაობისა და სადაურობის თაობაზე, იმოწმებს ზეპირ გადმოცემებს, წერილობით ცნობებს, ეპიგრაფიკულ წყაროებს, მხარს უჭერს რუსთაველის მესხური წარმოშობის ვერსიას და მას რამდენიმე ახალი დეტალით ავსებს.

როგორც ავტორი წერს, თამარ მეფის კარზე XII ს-ის დასასრულს მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა ეჭირა მესხ დიდებულს თორელთა საგვარეულოდან – ჭიაბერს. ერთ-ერთ საბუთს (ჭიაბერის სიგელი ჟინვანის პატრონობისა) შოთა ადასტურებს თავისი ხელმოწერით. შესაძლებელია, იგი ჭიაბერის შვილი იყოს.

შოთას ბიოგრაფიასთან დაკავშირებით საინტერესოა XII ს-ის ფრესკა ქვაბისხევის ბაზილიკაში (ბორჯომის ხეობა), სადაც ახალგაზრდა დიდებულის სურათს აქვს წარწერა „შოთა“.

მკვლევრის აზრით, იერუსალიმში ბოლოხანს აღმოჩენილი ფრესკა და მასთან არსებული წარწერა ადასტურებს, რომ შოთას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი პერიოდი, შესაძლებელია, მისი აღსასრულიც, დაკავშირებული იყოს იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერთან. გ. ა.

1162. ს. ცაიშვილი

ლიტერატურული წერილები

თბ., 1966.

წიგნში დაბეჭდილია რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც რუსთაველსა და მის თხზულებას ეხება. ასეთებია: რუსთაველი და დავით გურამიშვილი; რუსთაველის გავლენა XVI-XVII ს-ის მწერლობაზე (თეიმურაზ I); ვახტანგ მეექვსე რუსთველური მიჯნურობის შესახებ; „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის წყაროები; „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ლექსიკოგრაფიული შრომები (ს. ს. ორბელიანი და ვახტანგ VI); ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე (მე-19 საუკუნე), აქ განხილულია პლ. იოსელიანისა და ეპისკოპოს კირიონის (გ. სამაგელოვ-ივერიელი) გამოქვეყნებული ცნობები პოემის ხელნაწერებზე; დამტკიცებულია, რომ კირიონის მიერ აღწერილი ხელნაწერი არის ე. წ. „გურგენისეული“ ნუსხა (R – Q 930); „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის; ხალხური „ტარიელიანის“ პირველი ჩანაწერი; ფილოლოგიური შენიშვნები (პ. ინგოროყვას რუსთველოლოგიურ ნაშრომთა გამო); მოსე გოგიბერიძე – „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი; მიხაი ზიჩი საქართველოში.

ამ გამოკვლევების უმეტესობა დაბეჭდილი იყო ადრე სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში (იხ. ანოტაციები „რუსთვ. ბიბლიოგრაფიის“ I და II წიგნებში).

გ. ა.

1163. ს. ცაიშვილი

რა სახით მოაღწია ჩვენამდე „ვეფხისტყაოსანმა“

ჟურ. „პიონერი“, 1966, № 5, გვ. 14-16.

წერილი იწყება „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსით. შემდეგ ავტორი ეხება პოემის ხელნაწერების პრობლემებს, აღნიშნავს, რომ პოემის შედგენილობის გაზრდა დამატებებისა და გაგრძელების გზით ადრევე დაუწყიათ. გამგრძელებელთაგან ცნობილი არიან: სარგის თმოგველი, „ვინმე მესხი“, ნანუჩა ციციშვილი, იოსებ სააკაძე (ტვილელი) და სხვ.

მეფე ვახტანგ მეექვსემ გაწმინდა „ვეფხისტყაოსანი“ გვიანდელი დამატებებისაგან და დაბეჭდა 1712 წელს, რითაც სათავე დაუდო პოემის მოკლე რედაქციას. ამჟამად მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა და პოემის ტექსტის დადგენა, რათა მი-

ვიდოთ დახვეწილი და ენობრივად გამართული თხზულება, მიახლოებული იმასთან, როგორც შეიქმნა თავდაპირველად, შოთა რუსთაველის მიერ. გ. ა.

1164. ს. ცაიშვილი

ვეფხისტყაოსანი
(ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი)
ჟურ. „მნათობი“, 1966, № 7 გვ. 101-120.

ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავს როგორც რომანს, სადაც გარკვეული ადგილი უჭირავს ძველი ეპოსისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. მასში ვლინდება კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ზოგადი მოტივი, ბოროტების სამეფოში მზეთუნახავის მოთავსება, მაგიის შემცველი პასაჟები (გამოქვაბულში იარაღის პოვნა) და სხვ., მაგრამ პოემის გმირთა მოქმედებას წარმართავს ისტორიული და სოციალური ურთიერთობის კანონზომიერებანი.

ავტორი ზოგადად ახასიათებს მე-12 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას, რამაც შექმნა პირობები რუსთაველის გენიალური პოემის შესაქმნელად. საუბრობს რუსთაველის მსოფლმხედველობაზე, მის პოეტურ ოსტატობაზე, პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე, მეტაფორულ და აფორისტულ სტილზე, რეალისტური აღწერისა და დახასიათების შემთხვევებზე. გ. ა.

1165. ს. ცაიშვილი

დიდი პოეტი და ჰუმანისტი
ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 3-20.

წერილში საუბარია რუსთაველის პიროვნებისა და მისი პოემის შესახებ. ავტორი ეხება ბიოგრაფიულ ცნობებს რუსთაველზე, პოემის დაწერის თარიღს, „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრულ რაობას და მის თავისებურებას შუა საუკუნეების ევროპულ და აღმოსავლურ სარაინდო და სამიჯნურო პოემებთან შედარებით.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველმა გაბედულად დასვა შუა საუკუნეებისათვის სრულიად ორიგინალური პრობლემა ადამიანის ადგილის, მისი ხვედრის შესახებ ამქვეყნიურ სამყაროში და მას ჭეშმარიტად რენესანსული დაგაწყვეტა მისცა. რუსთაველის აზრით, ადამიანი უმაღლესი ქმნილებაა და მას სრული უფლება აქვს დატკბეს ამქვეყნიური სიკეთით.

„ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი პათოსია უსაზღვრო რწმენა ადამიანისადმი. ამაში მყდვენდება რუსთაველის ჰუმანიზმი. გ. ა.

1166. ს. ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი

გაზ.: „გამარჯვების დროშა“ (ლაგოდეხი), 1966, 21 ივლ.; „ლენინელი“ (ქობულეთი), 1966, 13 აგვ.; „ლენინელი“ (ზესტაფონი), 1966, 13 სექტ.; ჟურ. „პიონერი“, 1966, № 4, გვ. 11-14.

შოთა საქართველოს მეფის თამარის დროის მოღვაწეა. რუსთაველი მიგვანიშნებს, რომ თუმცა პოემაში აღწერილია შორეული ქვეყნების ამბები, მაინც აქ საქართველო

ველო იგულისხმება. პოემის პირველ თავშივე აღწერილია ის ვითარება, რაც დამახასიათებელია მე-12 საუკუნის საქართველოსათვის (ქალის გამეფება, სამეფო კარის ცხოვრება, წესები და ზნე-ჩვევები).

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის განახლებაში მონაწილეობა მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც, ამ ღვაწლის გამო შეუტანიათ მონასტრის მატრიანეში და სვეტზე დაუხატავთ მისი პორტრეტი. აქედანვე ვიგებთ, რომ შოთას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ვეზირის მაღალი თანამდებობა – მეჭურჭლეთუხუცესობა. შოთა მესხეთის მკვიდრად იგულისხმება. პოემის ავტორი დაბადებულია დაახლოებით 1162-1166 წლებში, სწავლა-აღზრდა საქართველოში მიუღია (ზოგი გადმოცემით, იგი ერთ დროს სწავლობდა იყალთოს აკადემიაში), ხოლო შემდეგ, თითქოს, საბერძნეთში. განსწავლული შოთა დაწინაურებულია თამარის კარზე. 1205-1207 წლისათვის დაუსრულებია „ვეფხისტყაოსანი“. იგი მონაწილეობდა იმ ბრძოლებში, რომლებიც თამარმა გადაიხადა საქართველოს მტრების წინააღმდეგ. მე-13 საუკუნის 20-იან წლებში გამგზავრებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ზოგი გადმოცემით, იგი იქვე გარდაიცვალა. **თ. ნ.**

1167. ს. ცაიშვილი

რუსთაველის ნაკვალევზე (ოლივერ უორდროპის წერილი „ვეფხისტყაოსანზე“) *ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 3, გვ. 111-121.*

წერილი იწყება მარჯორი და ოლივერ უორდროპების ღვაწლის მოკლე მიმოხილვით ქართული მწერლობის ნიმუშების შესწავლის საქმეში. ს. ცაიშვილი აღნიშნავს, რომ ოლივერ უორდროპმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ამაში მას ეხმარებოდნენ აკად. ნ. მარი და პროფ. მ. წერეთელი.

1912 წ. ინგლისურ გამოცემას ერთვის ოლივერ უორდროპის შესავალი წერილი. „ვეფხისტყაოსნის“ 1912 წლის ინგლისურ თარგმანს და ოლივერის აქ დასახელებულ წერილს იმავე წელს გამოეხმაურა ქართული პრესა. 1912 წლის გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (№ 633, № 634, № 635) თედო სახოკიამ ამ გამოცემას უძღვნა ვრცელი წერილი, რომელშიც მიმოხილულია და-მმა უორდროპების ღვაწლი ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში.

შემდეგ მოცემულია ოლივერ უორდროპის ეს წერილი მცირე შემოკლებით. წერილს ბოლოში აქვს დართული შენიშვნები და წყაროთა მათითებელი. **ც. ე.**

1168. ს. ცაიშვილი

რამდენიმე საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან

შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტ., ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდ. საბჭო, I სამეცნ. სესია, თბ., 1966, თეზისები, გვ. 12-13. (მოგვაქვს შემოკლებით)

რუსთაველის პოეტური მეტყველება უმთავრესად მეტაფორებს ეყრდნობა, რომელთაც იგი უხვად, მაგრამ ზუსტად გამიზნული მისამართით იყენებს. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ტრადიციული მეტაფორები: „მელნის ტბა“, „გიშერი“, „ბროლი“,

თუმცა ისინი დაჩრდილულია ორიგინალური, ძლიერი მეტაფორებით, რომლებიც ავტორის საკუთარ პოეტურ ინტუიციას ემყარებიან.

რუსთაველი იყენებს აგრეთვე **ეპითეტებს**, რომლებიც არ იზღუდება რეალური განზომილებებით და ბევრ შემთხვევაში მოვლენათა ჰიპერბოლიზაციას ეყრდნობა.

მხატვრული შედარება უფრო რეალური, მიწიერი შინაარსით ავსებს პოემას, რადგან ის შეუზღუდველია და ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. **გ. ა.**

1169. ს. ცაიშვილი

პოეტის გენიალობა

გაზ. „თბილისი“, 1966, 26 სექტემბერი, № 226, გვ. 3.

წერილის ავტორი ეხება იერუსალიმში ქართველ მეცნიერთა (ა. შანიძე, გ. წერეთელი, ი. აბაშიძე) ექსპედიციის შედეგებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის შემდეგ უფრო სარწმუნო გახდა გადმოცემა რუსთაველის ჯვარის მონასტერში ცხოვრებისა და იქვე გარდაცვალების შესახებ.

ავტორი იზიარებს აზრს, რომ რუსთაველი მესხეთიდან იყო და დასძენს, რომ ის წარმოშობით თორელების საგვარეულოდან ყოფილა, მესხი დიდებულის ქიაბერის შვილი და დაბადებული უნდა იყოს 1160–1165 წლებში.

აქვე საუბარია პოემის ხელნაწერებსა და ადრინდელ ბეჭდურ გამოცემებზე. **გ. ა.**

1170. ს. ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“

ვახტანგისეული გამოცემის წყაროები

საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 165–172.

მკვლევარი გვაცნობს არგუმენტებს, რომელთა საფუძველზე მიიჩნევა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკული რედაქციაა, მისი მიზანია გამოავლინოს საკითხის მეორე მხარე: რომელ ხელნაწერებს უახლოვდება აღნიშნული გამოცემა. DGHL ხელნაწერების შესწავლისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა, რომ ვახტანგისეული გამოცემის ძირითად წყაროდ უნდა ვივარაუდოთ Q-1082, ანუ ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერი. ამას ადასტურებს ტექსტის სპეციფიკური წაკითხვები. **ლ. კ.**

1171. С. Цаишвили

Шота руставели

ჟურ.: „Лит. Грузия“, 1966, №7, გვ. 80-89; „Культура и Жизнь“ № 9, გვ. 16-19.

ნარკვევში ავტორი ცდილობს პოეტის ბიოგრაფიული დეტალების აღდგენა-შევესებას. მოცემულია უკვე ცნობილი ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაცია და მოძიებულია ახალი მასალები.

ნარკვევი სამი ქვეთავისგან შედგება: პირველ ქვეთავში საუბარია რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებზე, განხილულია პროლოგ-ეპილოგის მონაცემები, ავტორი ვრცლად ჩერდება იერუსალიმურ მასალებზე (შოთას ფრესკა ჯვრის მონასტერში;

ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობაიერუსალიმში და მისი ჩანაწერები; 1960 წლის ექსპედიცია ჯვრის მონასტერში, მისი მიზანი და მუშაობის შედეგი; აკად. ე. მეტრეველის შეხედულებები რუსთაველსა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ...), მიმოხილულია პოეტის ფოლკლორული ბიოგრაფია.

მეორე ქვეთავში საუბარია პოემის დათარიღების საკითხზე. ნარკვევის ავტორის აზრით, პოეტს თხზულება 1205-07 წლებში უნდა დაესრულებინა. მესამე ქვეთავში მიმოხილული და დახასიათებულია პოემის ხელნაწერები და გამოცემები.

თ. ბ.

1172. С. Цаишвили

Академический текст поэмы

Шота Руставели

ქურ. „Лит. Грузия“, 1966, № 9-10, გვ. 192-193;

გაზ. „Молодёж Грузии“, 1966, 22 სექტ., № 111.

ავტორი საუბრობს რუსთაველის პოემის ტექსტის აკადემიური გამოცემების შესახებ. მიმოიხილავს ყველა გამოცემას პირველი, ვახტანგისეული (1712 წ.) გამოცემიდან მოყოლებული. ახასიათებს მეფე ვახტანგის მუშაობის სტილს, მეთოდს, მაღალ შეფასებას აძლევს მას. განსაკუთრებული მნიშვნელობის ეტაპებად მიაჩნია 1888 და 1937 წლების გამოცემები. აქვე აღნიშნავს, რომ არსებული გამოცემები ვეღარ აკმაყოფილებს მკითხველი საზოგადოების მოთხოვნებს, ჩნდება მრავალი კითხვა, ამიტომ აუცილებელია გარკვეული ტექსტოლოგიური მუშაობა, ჩანართი და დანართი სტროფებისაგან ტექსტის გაცხრილვა, შეძლებისდაგვარად პირვანდელი სახით აღდგენა და გვაწვდის ინფორმაციას, რომ 1963 წლიდან ფუნქციონირებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.

ავტორი საუბრობს ამ კომისიის მუშაობის სპეციფიკასა და მიზნებზე. თ. ბ.

1173. მ. ცალუღელაშვილი

მკითხველის შენიშვნა

გაზ.: „ლიტ. საქართველო“, 1966, 16 სექტ., № 38, გვ. 4;

ახ. თიანეთი“, 1966, 3 სექტ., № 102, გვ. 3.

ავტორს შეაქვს ორი შესწორება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში:

1) 259-ე სტროფი ხელნაწერებისა და გამოცემების უმეტესობაში ასე იკითხება:

„იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვების,

თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიჯერების“.

ი. გიგინეიშვილმა რითმის გასწორების მიზნით წარმოადგინა კონიექტურული ვარიანტი: **არვისგან დაიხსოვნების**. სტატის ავტორს დამაჯერებლად არ მიაჩნია ი. გიგინეიშვილის დასაბუთება და გვთავაზობს წაკითხვას: **არვისგან გაიგონების** (მისი ამბავი არავინ იცის, ამიტომაც ვერავისგან მოისმენ, ვერსად გაიგონებო).

2) 123-ე სტროფში: – „ებურნეს მოშლით რიდენი, **ფასისა თქმად საჭირონი**“ – გამოთქმა ბუნდოვნად მიაჩნია და სასურველად თვლის ასე გასწორებას: **ფასის თქმად გასაჭირონი**.

გ. ა.

1174. კ. ცეგლელი

**სიტყვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების
საიუბილეო სესიაზე 1966 წ. 28 სექტემბერს**

ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 209-210; აგრ. გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტ., № 223, გვ. 3.

უნგრელი მეცნიერი უნგრეთის აკადემიისა და უნივერსიტეტის სახელით მიესალმება საიუბილეო სესიის მონაწილეებს. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორჯერ ითარგმნა უნგრულად უშუალოდ ქართული ენიდან და სასკოლო პროგრამაშიც კი არის შეტანილი. ამ თარგმანებითა და მ. ზიჩის ილუსტრაციებით გაიცნო და შეიყვარა უნგრელმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი პერსონაჟები. ინტერესი და სიყვარული რუსთაველის თხზულებისადმი თანდათან იზრდება.

გ. ა.

1175. თინათინ ცქიტიშვილი

ტმესი ძველ ქართულში

ჟურ. „მაცნე“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია), 1966, № 5, გვ. 130-142.

ავტორი განიხილავს ძველ ქართულ ტექსტებში ტმესის მოვლენას – სიტყვის განკვეთას სხვადასხვა ელემენტებით, რაც ძირითადად გვხვდება ზმნიწინიან და რთული შედგენილობის ზმნებში.

მკვლევრის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ ტმესის 70-მდე მაგალითია, რომლებიც მეტწილად პოეტურ ხერხად გამოიყენება და ლექსის კეთილხმოვანებას ემსახურება. ალიტერაციაც ხშირად ტმესზეა აგებული (მოყვანილია რამდენიმე მაგალითი: შე-ვით-ვატყევ, და-რე-ნელდა, შე-ცა-მეზნან, და-ცა-მწვთების). ავტორი შენიშნავს, რომ ამავე ეპოქის სხვა ძეგლებში ტმესი იშვიათად გამოიყენება; „ამირანდარეჯანიანში“ გვაქვს 15 მაგალითი, „ვისრამიანში“ კი – მხოლოდ 5. შემდეგში ტმესის გამოყენება თანდათან კლებულობს და XVII საუკუნიდან იგი თითქმის აღარ გვხვდება.

გ. ა.

1176. შოთა მიძიგური

აწ ენა მინდა გამოთქმად...

(„ვეფხისტყაოსნის“ ენის საფუძვლები)

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 20 აგვისტო, № 189, გვ. 3.

ავტორი ჯერ მიმოიხილავს ნ. მარისა და ა. ჩიქობავას შეხედულებებს „ვეფხისტყაოსანში“ ასახული დიალექტების შესახებ და შემდეგ მოკლედ ახასიათებს მესხურ დიალექტს. „მესხური მეტყველება – წერს იგი, – თავისი გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით იყოფა, ერთი მხრივ, მტკვრის აუზისა და, მეორე მხრივ, ჭოროხის ხეობის კილოკავურ ერთეულებად (ახალციხე-ახალქალაქის მიდამოები და ტაო-კლარჯეთი... ძველი ტაო-კლარჯული მეტყველების ერთადერთი ცოცხალი მოწმეა იმერხეული მეტყველება – რელიქტურად შემორჩენილი ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში“. „ჩვენთვის მთავარი და არსებითია იმის აღიარება – აგრძელებს მკვლევარი, – რომ ყველა დიალექტიზმი, რომლებიც კი გამოვლინებულია „ვეფხისტყაოსანში“, თავის დადასტურებას პოულობს მესხური კილოს ორივე სექტორში; მამასადამე, რუსთველისეულმა დიალექტიზმებმა თავი მოიყარა ერთ დიალექტურ მოედანზე“.

ამის ნათელსაყოფად ავტორი იმოწმებს პოემის სიტყვებს: „პაშტაი“, „საქულბაქე“ და „სადარნო“, რომლებიც უფრო ზუსტად მესხური დიალექტის მიხედვით იხსნება.

წერილის ბოლოს გამოტანილია დასკვნა: „ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ეყრდნობა ზოგადქართული ხალხური ენის საფუძვლებს – ისტორიული „ზემო ქართლის“ (სამხრეთ საქართველოს) უნიფიცირებულ მეტყველებას“. **ბ. დ.**

1177. შ. ძიძიგური

პროსოდიული „და“ „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „თბილისი“ 1966, 18 აგვისტო, № 193, გვ. 3.

ავტორი დაწვრილებით წარმოგვიდგენს, „ვეფხისტყაოსნის“ რომელ ხელნაწერებსა და გამოცემებშია შესული მეოთხე სტრიქონის დასაწყისის „და“ კავშირი, რა შეხედულებანია გამოთქმული მის შესახებ და ასკვნის, რომ წარმოშობით იგი ნაწილაკი უნდა იყოს, მისი ხმარება „ტრადიციით გამართლებულია, მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული ქართულ პოეზიაში...“ მისი ხმარება „მასობრივ გამოცემებში სავალდებულო არ უნდა იყოს, ხოლო აკადემიურში – აუცილებელია“. **ბ. დ.**

1178. შ. ძიძიგური

ენამზეობა

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 სექტემბერი, № 230, გვ. 2.

წერილის ავტორის აზრით, რუსთაველის ენობრივი სამყარო ქართული ენის სიმდიდრისა და სრულიად ორიგინალური სტრუქტურის მანიშნებელია. პოემის შექმნამდე სამწერლობო ენამ კლასიკურ სრულყოფილებამდე მიაღწია, წყობილსიტყვაობის მოღვაწეებმა კი ააღორძინეს და უდიდესი გამომსახველობითი ძალა შესძინეს მას.

X საუკუნეშია დაწერილი საგალობელი ქართული ენისა, რომელშიც ნათქვამია: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“, ჩვენი ენის შედარება ძველი სამყაროს ყველაზე სრულყოფილ და უაღრესად ცივილიზებულ ელინთა ენასთან მოწმობს იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული მსოფლმხედველობის დონეს. ამგვარი ენობრივი მრწამსის და ლიტერატურული ტრადიციები უმზადებდა ნიადაგს რუსთაველს, რომელიც ხალხურ მეტყველებას დაეყრდნო და საუკუნეთა მანძილზე მის წიაღში დაგროვილი საგანძური დღის სინათლეზე გამოიტანა.

ავტორი ყურადღებას აქცევს უჩვეულო და მოულოდნელ ენობრივ ფორმებს, რომლებიც ემყარება არსებითი სახელებისა თუ რიცხვითი სახელების გაზმნავეებას, მანამდე უცნობ ლექსიკურ და გრამატიკულ მოვლენებს. **თ. ხ.**

1179. შ. ძიძიგური

შოთა რუსთაველის ენის ერთი თავისებურების ხალხური საწყისი

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, თბილისი, 1966, № 9, გვ. 58-61. აგრ. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის XXXI სამეცნ. სესია, 1966, 19. IV – 21. IV, მოხს. თეზისები, გვ. 17-18.

ავტორის აღნიშვნით, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას ახასიათებს პრევერბების (ზმნისწინების) ცალკე ერთეულებად გამოყენება (მი, და, წა, შე...). ამ პრევერბებს

ფრაზაში უთუოდ უნდა უსწრებდეს მათი შემცველი ზმნა. ზმნა წინადადებაში მეორდება, ოღონდ პრევერბის სახით (გვ. 58). მისი მაგალითია: „ნუ დამარჩენ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკვდარი მე, წა“ (1609), რაც ნიშნავს: „წამიღონ მე მკვდარი, წამიღონ“.

ნ. მარის, დ. კარიჭაშვილის, ი. აბულაძის, ს. კაკაბაძის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, შ. ლლონტის ნაშრომების მიხედვით საკითხის ისტორიის გათვალისწინებაში ავტორი ასკვნის, რომ ფრაზაში ზმნის შემოკლებას პრევერბის სახით, რაც დადასტურებულია ძველ ქართულ პოეზიაში, ხალხური საწყისი ეძებნება, – ის ახასიათებს მესხურსა და მოხეურს, რაც მშვენივრადაა არეკლილი რუსთაველის (აგრ. ჩახრუხაძისა და შავთელის) ენაში.

გ. ი.

1180. შ. ძიმიგური

ქართული სიტყვის ჯადოქარი

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 28 სექტემბერი.

ავტორის აზრით, შოთა რუსთაველი ქართული სიტყვით შემოქმედების უდიდესი ნოვატორია, ნეოლოგიზმების შემქმნელი, ახალი ენობრივი ფორმების დამამკვიდრებელი. მაგალითისთვის დასახელებულია სიტყვის გაზმნავების ტენდენცია, რაც ქართული ენის მორფოლოგიის კანონებითაა შეპირობებული. ამ გზით წარმოქმნილი ნეოლოგიზმები არ არღვევს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებას.

პოემაში არსებითი სახელები სემანტიკურად მეტად დატვირთულია. ეს თავისებურება თქმის მაქსიმალური ეკონომიურობით არის გამართლებული. ამასთან, „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება გარკვეული ცერემონიალის ამსახველი სიტყვობრივი ფორმულის მეორეული მნიშვნელობა, ენაში ფიგურალური თქმის ფუნქციით დამკვიდრებული. პოემაში ჭარბადაა სპარსულ-არაბული ლექსიკის ელემენტების კვალი. დიდი ნაწილი ბერძნული, სპარსული, არაბული სიტყვებისა, ნ. მარის აღნიშვნით, პოეტის დედაკილოში – მესხურში იმთავითვე იყო დანერგილი.

ი. კ.

1181. აკაკი წერეთელი

[„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ]

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 16 ივლისი, № 137, გვ. 3.

„ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა თუ არა, მაშინვე გახდა ხელიხელ საგოგმანებელ ობოლ მარგალიტად და მას შემდეგ მრავალი საუკუნის განმავლობაში დგმიდან დგმაზედ გადადის საყოველთაოდ, საამაგრად, სათაყვანოდ...

სულმნათო, მაღლი შენს გამჩენს, დიდება ერსა, შენს მშობელს!“

ბ. დ.

1182. გიორგი წერეთელი

მკითხველის შენიშვნა

(რუსთაველის პიროვნების შესახებ)

კრებ. „კავკასიონი“, წიგნი XI, პარიზი, 1966, გვ. 189-191.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი მისტერიული ფიგურაა; არ არსებობს სარწმუნო წყარო მისი ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ. მიმდინარე წლის საიუბი-

ლეო თარღი მიღებულია პ. ინგოროყვას გამოკვლევის მიხედვით, თითქოს შოთა დაბადებული იყოს 1166 წელს, მაგრამ დაუსაბუთებელია მისი მსჯელობა შოთა კუპრის (ჰერეთის ერისთავის) და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის შესახებ. პ. ინგოროყვას ერთადერთი არგუმენტი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დრო და შოთა ჰერეთის ბაგრატიონის ცხოვრება შეიძლება ერთ ეპოქაში ყოფილიყო და პომის ავტორსაც შოთა ერქვა. პ. ინგოროყვა უყურადღებოდ ტოვებს იმ ფაქტს, რომ ზეპირსიტყვიერი გადმოცემები და მეფე არჩილი შოთა რუსთველს მესხად თვლიან.

ავტორს დაუჯერებლად მიაჩნია იმის მტკიცება, რომ შოთა რუსთაველი მწვალებლად და ერეტიკოსად იყო გამოცხადებული ქართული ეკლესიის მიერ.

ბოლოს გ. წერეთელი წერს: „სანამ ჩვენი ისტორიკოსები და მეცნიერ-მკვლევარნი სხვა უფრო სარწმუნო საბუთებით არ დაგვიმტკიცებენ უკვდავი პომის ავტორის ვინაობას, მე ისევ მირჩევნია ძველი ლეგენდა მესხი მელექისა, ვიდრე ყურით მოთრეული ჰერეთის ბაგრატიონობისა“. **გ. ა.**

1183. გიორგი წერეთელი (აკად.)

„ვეფხისტყაოსნის“

კრიტიკულ-მეცნიერული ტექსტის გამოცემისათვის

(მოსხენება საქ. სსრ მეცნ. აკად. საერთო კრების საიუბილეო სესიაზე 1966 წ. 28 სექტემბერს);

ჟურ. „მაცნე“, 1966, №5, გვ. 189-194; აგრ. ბოლოსიტყვაობა წიგნში – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, ტექსტი მოამზადეს: გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ.

მკვლევარი საუბრობს ძირითად პრინციპებზე, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს კლასიკური ლიტერატურული ტექსტის გამოცემა. იგი აღნიშნავს, რომ ტექსტოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონე მოითხოვს ახლებურ მიდგომას, ახალი მეთოდების გამოყენებას. მკვლევარი იმოწმებს აკად. დ. ლიხაჩოვის მოსაზრებას, რომ სრულად უნდა იქნას შესწავლილი ისტორია მთელი ტექსტისა, როგორც ერთი მთლიანისა და არა ცალკეული ადგილები ეპიზოდური კრიტიკის საშუალებით.

„ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემაში, რომელსაც პომის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია მოამზადებს, ძირითადი ტექსტის გარდა შეტანილი იქნება ვარიანტები ხელნაწერებიდან და გამოცემებიდან, აგრეთვე – პარალელები შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლებიდან; გაკეთდება ვრცელი ლექსიკონი, რომელშიც ნაჩვენებია იქნება სიტყვების წარმოშობის ისტორია და მათი გამოყენების არეალი რუსთველის ეპოქაში.

მკვლევარს მოჰყავს დასაბუთება და განმარტება სადავო ადგილების ახლებური წაკითხვებისა, რომლებიც მიღებულია საიუბილეო გამოცემებში, მაგ.: „ღონე აეგების“, „დამმართოს ნები“, „ბალახში“, „რუბი“, „სათის რუბები“. **გ. ა.**

1184. ს. წვერავა

800 წლის რაინდი

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 1 ოქტ., №231, გვ. 3.

ავტორი ზოგადად საუბრობს რუსთაველის პოეზიის დიდ მნიშვნელობაზე ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ ორგანუ-

ლად შერწყმულია მაღალადამიანური იდეები: კეთილშობილება, ჰუმანიზმი, ხალხ-
თა მეგობრობის იდეა, რაინდული სიყვარულის ქადაგება, ქალთა და მამაკაცთა თა-
ნასწორუფლებიანობა, მომავლის რწმენა, პატრიოტიზმი. ეს იდეები ასულდგმულე-
ბა და ამხნევებდა ქართველ ხალხს საუკუ-ნეთა მანძილზე.

რუსთაველის კეთილისმყოფელი გავლენა იგრძნობა ქართულ მწერლობასა და
ხელოვნების ყველა დარგში. **გ. ა.**

1185. ზ. წულაია

შოთა რუსთაველის

აფორიზმების იდეურ-მხატვრული ანალიზი

*ა. მ. გორვის სახ.სოხუმის სახელმწიფო პედ.ინსტიტუტის სტუდენტთა XXIV სამეცნიერო
კონფერენცია, თეზისები, სოხუმი, 1966, გვ. 21-22.*

თეზისებში ის ძირითადი აზრი ვითარდება, რომ რუსთაველი აფორიზმების
უბადლო ოსტატია და მეგობრობას, მიჯნურობასა და გმირობას ბრძნულ აფორიზ-
მებშიც გადმოგვცემს. ავტორი მოკლედ ახასიათებს ამ მოტივებს და სანიმუშოდ
მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილები.

ავტორის დასკვნით, რუსთაველი მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერებას
აღწევს არა მარტო სახის მოხდენილი დახატვით, არამედ ღრმა აზრების, მოხდენილი
აფორიზმების გამოყენებით. პოეტური ოსტატობა რუსთაველმა განუზომლად მაღალ
დონეზე აიყვანა და კლასიკურ სრულყოფას მიაღწია. **გ. ი.**

1186. Сергей Цуладзе

[„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის შესახებ]

ჟურ. „Литературная Грузия“, 1966, №9-10, გვ. 181-182.

ს. წულაძე მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულენოვანი თარგმანის შე-
სახებ, რომელიც მან შეასრულა. წიგნი საფრანგეთში გამოიცა (1965 წ.) და ლანგლუას
სახელობის პრემიაც მიიღო. მეორედ ის თბილისში გამოიცა (1966 წ.). ს. წულაძეს,
როგორც ლიტერატორს ან მთარგმნელს, ადრე არ უმუშავია. საქართველოს საზოგა-
დოებამ „მეგობრობა და კულტურული კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან“
სთხოვა მას, გაეკეთებინა პოემის პწკარედული თარგმანი ფრანგულ ენაზე. მისი მეც-
ნიერ-კონსულტანტი იყო შ. ნუცუბიძე. ს. წულაძემ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენა-
ზე გადაიღო თეთრი ანუ თავისუფალი ლექსით. **ლ. კ.**

1187. მ. ჭაბაშვილი

„ვეფხისტყაოსნის სიმფონია“

*მოხსენება საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. XXII სამეცნიერო სესიაზე
1966 წ. 6 ივლისს; თეზისები, გვ. 9-10.*

1. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია შედგენილია ლექსიკოლოგიის განყოფილების
თანამშრომელთა მიერ პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

სიმფონიაში სიტყვები დალაგებულია ბუდეზად. სახელის ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები თავმოყრილია სათანადო სახელის ბუდეში. ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვების ბუდის თავში გამოტანილია ზმნის აწმყოს ფუძე (უპრევერბოდ) ან პირველადი ფუძე – იმის მიხედვით, თუ ზმნის რა ფორმები გვხვდება პოემაში.

2. ბუდეში სიტყვები დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით. გამოყოფილია (ხაზგასმულია) ყოველი სალექსიკონო ერთეულის – მოქმედებითი, ვნებითი გვარის, საარვისო, სათავისო, სასხვისო ქცევის, კაუზატივის... და ა. შ. – პირველი სიტყვა (ზმნის ბუდეში) და ყოველი ახალი ნაწარმოები სიტყვა (როგორც ზმნის, ისე სახელის ბუდეში).

სიმფონიაში სიტყვები წარმოდგენილია კონტექსტის გარეშე. ბუდეში მოქცეული ომონიმური ფორმები ერთმანეთისაგან გარჩეულია პირობითი აღნიშვნებით.

სიმფონიაში შეტანილი ბუდეების მაგალითები:

მზე: მზეებრ, მზეებრ, მზე, მზეა, მზეაო, მზევე, მზემცა. მზეო, მზეცა, მზემან, მზე-სა, მზესაცა, მზედ, მზედცა, მზის, მზისა... მზეთა (ნათეს.), მზეთანი... (იხ., აგრეთვე, პირ-მზე), **მზიანი**, მზიანსა... **მზიან-ჩრდილი**, **მზობა**, მზობისა, **უმზეოდ**, **უმზეობა**, **მზეობს**, **მზეობა**, **მემზოს**. **კალ**, **კლ-ავ:** **ჰკლავს**, მკლავს, ჰკლვიდა, მკლვიდა, ჰკლვედის... **კლვად**, **მკლველი**, მკლველია, მკლველიო, მკლველად, **საკლავად**, **დაკლა**, **დაკლული**, **მოჰკლავს**, მოჰკლვენ, მოჰკლავ, მო-ვითა-ჰკლავ, მოვჰკლავ, მოგკლავს... მომკალ, მოკალ (ბრძან.), მომკალ... მოჰკლა (კავშირ)... **მოიკლავ**, მოვიკლავ... **მოკლვა**; **მოკლული** (იხ., აგრეთვე, გულ-მოკლული), **მომკლველნი**, **მოუკლავი**, **მოაკლვევინე**, მოგაკლვევინო.

ყოველი სიტყვის შემდეგ აღნიშნულია სტროფის ნომერი და სტრიქონი.

1188. ილია ჭავჭავაძე

[**რუსთაველის შესახებ**]

გაზ. „ქუთაისი“, 1966, 16 ივლისი, № 137, გვ. 3.

„ჩვენ ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენი ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია... ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანს“ შიგ ჩაატანა თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესი ფიქრნი, გრძნობანი“.

ბ. დ.

1189. [ილია ჭავჭავაძე]

[**რუბრიკა: რას ამბობდნენ წინაპრები**

რუსთაველზე]

გაზ. „კომუნისაკენ“ (კასპი), 1966, 14 აპრილი, №45, გვ. 3.

აღნიშნული სათაურით დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდამაც მართო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმელიდამ, რომ რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“.

ბ. დ.

1190. დ. ჭანტურიშვილი

ჰელიოცენტრიზმი „ვეფხისტყაოსანში“

ა. ს. პუშკინის სახ. სახელმ. პედ. ინსტ., XXXI სამეცნ. სესია, 19, IV-21, IV, 1966, თეზისები, გვ. 35-36.

ავტორის ავითარებს მოსაზრებას, რომ ჰელიოცენტრიზმს საქართველოში ძველთაგანვე იცნობდნენ და მისი ნიშნები დადგენილია იოანე პეტრიწის „მრომებსა“ და „ვეფხისტყაოსანში“.

ზ. ავალიშვილის მოსაზრება „ვეფხისტყაოსანში“ გეოცენტრიზმის გამოხატულების შესახებ მცდარია, „ვეფხისტყაოსნის“ არც ერთი სტროფი არ შეესაბამება გეოცენტრიზმს. პოემის მთელი თავი „ავთანდილის წასვლა ფრიდონისასა“ მთლიანად ჰელიოცენტრული შინაარსისაა.

„ვეფხისტყაოსანში“ კარგადაა ახსნილი მთვარის ფაზები. რუსთაველს არც წარმოუდგენია, რომ მზე უვლიდეს გარშემო სხვა პლანეტას, როგორც ეს გეოცენტრისტებს სწამდათ.

XVII საუკუნეში ჰელიოცენტრიზმი მეცნიერული აზრის დაქვეითებასთან ერთად გამქრალია და მწერლობაში ფეხს იკიდებს ისევ გეოცენტრიზმის კონცეფცია.

გ. ი.

1191. შ. ჭელიძე

შოთა ბარაკონში

გაზ. „ახ. კომუნისტი“, 1966, 24 სექტ., №113, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, რაჭის მშვენიერი სოფელი ბარაკონი ადრინდელ რაჭის ერისთავების რეზიდენცია იყო. ხალხური გადმოცემით, აქ, ერისთავ კახაბერის სასახლეში იზრდებოდა მეფე თამარი. ერთხელაც, მეფობის დროს, თამარი ეწვია მამობილ კახაბერს თავისი წარჩინებული კარისკაცებით, მათ შორის იყო შოთა რუსთაველიც. შოთას სწორედ აქ წარმოუთქვამს ცნობილი აფორიზმი:

... ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად – ზრდილობა,
თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

18 სექტემბერს ბარაკონში მოეწყო საინტერესო ინსცენირება „ვეფხისტყაოსნიდან“. აქვე საფუძველი ჩაეყარა „შოთას წყაროს“, რომლის ფასადს დაამშვენებს დიდი პოეტის გამოსახულება.

გ. ა.

1192. ალექსი ჭინჭარაული

**„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან
(„აქანამდის“)**

მოხსენება საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXII სამეცნ. სესიაზე, 1966, თეზისები, გვ. 9.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემაში დაბეჭდილია ფორმა „აქანამდის“:

ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება“ (991);
სამსახური აქანამდის კვლა გავლენა გააკვლადე (7794);
შენი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა გაათავნე (12743);

ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე (12964).

აღ. ჭინჭარაულს მიაჩნია, რომ „აქანამდის“ ფორმის მაგიერ ყველგან უნდა დაიბეჭდოს „აქამდისი“, სადაც ეს სიტყვა იქნება ზედსართავი. იგი მიღებულია ზმნი-ზედიდან „აქამდის“, გამოყენებულია „ვისრამიანში“ და სხვა ძეგლებში ისევე, როგორც: კიდევანი, შიგანი, ოდითგანი და სხვ. (ვრცელი დასაბუთება იხ. ამავე ავტორის წიგნში: „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები“, თბ., 1982, გვ. 178-183).

გ. ა.

1193. აღ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან:

I. „გამიგია“ თუ „გაგიგია“? II. „შეწამება“ III. „აქანამდის“ თუ „აქამდისი“? *მოხს. საქ. მეცნ. კად. ენათმეცნიერების ინსტ. XXII სამეცნ. სესიაზე 1966 წ. 6 ივლ. თეზისები, გვ. 8-9.*

I. „ვეფხისტყაოსნის“ 1406-ე სტროფის პირველი სტრიქონი ტრადიციულ ტექსტში ასე იკითხება: „ფრიდონ უთხრა: „შემიგია, გამიგია, ვიცი მე რა“. „გამიგია“ გამომ-

ცემლებს ესმით დღევანდელი მნიშვნელობით („გავიგე“, „მივხვდი“). სადავო სტრიქონი ასე უნდა დაიწეროს: „ფრიდონ უთხრა: „შემიგან, გაგიგია, ვიცი მე, რა“. „გაგიგია“ აქ ნიშნავს: მოგიფიქრებია, გადაგიწყვეტია. ასეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი ეს ზმნა 295,3-ში: „გამეგო“ ნიშნავს: გადაწყვეტილი მქონდა. II. ზმნა „შეწამება“ 134,2-სა, 295,3-სა და 1160,2-ში ნიშნავს შებედვას, შეკადრებას. III. „აქანამდის“ ზმნიზედაა (ნიშნავს: აქამდე, დღემდე), „აქამდისი“ – ზედსართავია (ნიშნავს: რაც აქამდე, დღევანდლამდე იყო, „აქამდეელი“). „ვეფხისტყაოსნის“ 99,1-სა, 779,4-სა, 1274,3-სა და 1296,4-ში ნაცვლად „აქანამდის“-ის უნდა დავწეროთ „აქამდისი“.

1194. აღ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

(„მინდორთაკე თვალი ვაგე“)

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 21 ოქტ., №183.

მკვლევარი განიხილავს ტაეპს: „მას ზღუდესა გარდავადეგ, მინდორთაკე რომე ვაგე“ (570,3). აღნიშნავს, რომ ზღუდეზე ყურადღების გამახვილება აქ უადგილოა; ამბის თხრობაში მთავარია ის, თუ საიდან მოელის ტარიელი რაიმე ცნობას ნესტანის შესახებ, იგი იყურება („თვალს აგებს“) ციხეში მისასვლელი გზისაკენ – „მინდორთაკე“. არც ავთანდილისთვისა აქვს რაიმე მნიშვნელობა იმ „ზღუდეს“, მას არასოდეს უნახავს ტარიელის ციხე და მისი ზღუდე-გალავნები.

წერილში მოტანილია „თვალის გების“ მაგალითები ძველი ქართული ტექსტებიდან და ხალხური პოეზიიდან. აღნიშნულია, რომ „თვალის გება“ მწერლობაში დამკვიდრებული მყარი გამოთქმაა, ხოლო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ერთგვარი არქაიზმია, რომელსაც სტილისტური ნიუანსისათვის, პოეტურ სამკაულად იყენებენ.

მკვლევრის აზრით, აღნიშნული ტაეპი ასე უნდა იკითხებოდეს: „მას ზღუდესა გარდავადეგ, მინდორთაკე თვალი ვაგე“ (ასეა მხოლოდ ერთ ხელნაწერში – S 2829).

გ. ა.

1195. ალ. ჭინჭარაული

„რიალი“, „თავის-თავ“

ჟურ. „მაცნე“, 1966, №4. აგრ. წიგნში: „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები“, თბ., 1982, გვ. 100-116.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 1413-ე სტროფის მესამე ტაეპის ლექსიკური და აზრობრივი ცვლილების შესაძლებლობას:

ანაზღადად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.

რა ნახნეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი.

სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი.

აღნიშნავს, რომ სიტყვა „რიალი“ ძველ ძეგლებში იშვიათად იხმარება, მაგრამ ხშირად გვხვდება ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა პოეზიაში, სადაც ის ვინმესთვის ზიანის, ზარალის მიყენებას ნიშნავს. გავრცელებულია აგრეთვე მისგან წარმოებული ფორმები: დარიალება, გარიალება, მორიალე.

მოცემულ დაწერილობაში ის აზრი იკითხება, რომ ქაჯეთის ციხის დამცველებმა გალავნის სამივე კარიბჭე გახსნეს, გარეთ გავიდნენ მომხდურებთან საბრძოლად და ამით თავიანთ თავს მიაყენეს ზიანი. ორ ხელნაწერში სხვაგვარი წაკითხვაა, რაც განსხვავებულ შინაარსს გამოხატავს: „ქაჯთა მით (მათ) უყვეს რიალი“.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს შინაარსი ავტორისეულია, მაგრამ ტექსტი ავთენტური არაა. ეს ხელნაწერები, რომლებშიც „ქაჯთა“ იკითხება, რედაქციაქმნილი და არასანდოა. მისი აზრით, განსახილველი წინადადების ტექსტი დამახინჯებულია და ის ასეთი კონიექტურით უნდა შეიცვალოს: „თავის-თავ უყვეს რიალი“, რაც ამას ნიშნავს: პოემის გმირები თავიანთი რაზმებით სამივე კარში შეიჭრნენ და ცალ-ცალკე („თავის-თავ“) დააზიანეს, გაანადგურეს ციხე-ქალაქის დამცველები.

მკვლევრის აზრით, ეს კომპოზიტი უნდა ყოფილიყო 1370-ე სტროფშიც, რომელიც ახლა ასე იკითხება: „თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდიდიან“. გმირები თავიანთ თავს კი არა, აბჯარს გამოსცდიან, იარაღს სინჯავენ, ამიტომ ასე უნდა გასწორდეს: „... თავის-თავ გამოსცდიდიან“.

გ. ა.

1196. ალ. ჭინჭარაული

„ამოხვე“ თუ „ამოჰვე“?

ჟურ. „ცისკარი“, 1966, №8, გვ. 69; აგრ. წიგნში: „ვეფხისტყაოსნის“ ენის...“, თბ. 1982, გვ. 205-208.

მკვლევარი სადავოდ მიიჩნევს წაკითხვას: „ჰკადრეს: „ხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი“ (1030,3). ის აღნიშნავს, რომ ხელნაწერებში ასეთი წაკითხვა არაა; იქ დასტურდება „ამოხველ“, რაც გვიანდელი და რუსთველის ენისათვის შეუფერებელი ფორმაა. ხელნაწერებში გვაქვს „ამოჰვე“ (4 ხელნ.) და „აღმოჰვე“ (3 ხელნ.).

მკვლევარს ავთენტურად მიაჩნია „ამოჰვე“. ძირითად წაკითხვად მის მიღებას ამართლებს მომდევნო ტაეპში „ჩამოჰვე“ ფორმის არსებობაც, რაც პოეტურ გამეორებას ანუ პარონომაზიას ქმნის:

ჰკადრეს: „ჰმელთა სინათლეო, შენ ამოჰვე ჩვენი მლხენი,

ჩამოჰვე და მოგაკსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი“.

გ. ა.

1197. ალ. ჭინჭარაული

**ზოგი სადავო ადგილის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“
ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით**

კრებ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XV, თბ., 1966; აგრ. წიგნში
„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის საკითხები, თბ., 1982, გვ. 5-24.

ავტორი აღნიშნავს, რომ ე. წ. საშუალო ქართულის ძეგლებში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანშიც“, ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვისნიშნისეული (ი) ელემენტი ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში დაკარგულია. მაგ.: „რასთვის ხარ აგრე ვებული“ (1104); „ჩემით რათმე მიზეზითა“ (1073); „თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების“ (1374).

მოყვანილია მაგალითები, თუ როგორ ეშლებათ გადამწერებს მოქმედებითი (გამოსვლითი) და მიმართულებითი ბრუნვები. მკვლევრის აზრით, სადავოა ორი ხელნაწერისა და გამოცემების წაკითხვა: „ვერად ვერ მოგეხმარებით“ (813); უნდა აღდგეს ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში არსებული „ვერათ“. ზოგ ხელნაწერშია: „ნურად იქმ გამწარებასა“ (14573); უნდა გასწორდეს: „ნურათ“. არის: „სავაჭროდა მოვეკაზმვი“ (13983), უნდა იყოს: „სავაჭროთა“ (სავაჭროდთა, – მოქმ. ბრუნვა). არის: „სხვასა ჰმართებს არად არა“ (5373), უნდა იყოს: არათ (არაფრით, არც როგორ). არის: „ვერ წაგიტან, ვერა, ვერა“ (7854), უნდა იყოს: „ვერათ ვერა“. არის: „მითვე მწვანითა უებრო“ (5243), უნდა დაიბეჭდოს: „უებროთ“ (ამ შემთხვევაში კონიექტურა). არის: „ხელსა რადმცა დაეძინა!“ (7263), აქაც საჭიროა კონიექტურა: „რათმცა“. არის: „გული ჩვენი რით იხსნების?“ (11831), უნდა აღდგეს ხელნაწერებში არსებული: „რათ“. არის: „ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარები?“ (14711), უნდა დაიბეჭდოს: „რათ“. არის: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს“ (8013), უნდა დაიბეჭდოს: „რათა“.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ხშირად გვხვდება ფორმები: „ბაგეთათ“, „თვალთათ“, „კბილთათ“. აქვეა მსგავსი წაკითხვების ავთენტურობის დასაბუთება (გვ. 21-24).

გ. ა.

1198. ა. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ქურ. „ცისკარი“, 1966, № 8, გვ. 69-75.

ავტორი განიხილავს რამდენიმე სიტყვას, რომელთა ტრადიციული წაკითხვა ან გაგება საცილობელი და დასაზუსტებელია. მაგალითად: „ამოხვე“ თუ „ამოჰვე“? „უკუნცარი“, „მივსცილდი“, „მისცილდება“ და გვთავაზობს, მისი შეხედულებით, მართებულ და მისაღებ წაკითხვას. **თ. ხ.**

1199. ალ. ჭყონია

„ვეფხისტყაოსანი“ ფოთის საქალაქო სკოლაში

გაზ. „ახალი კოლხიდა“ (ფოთი), 1966, 22 ივლისი, № 87, გვ. 3.

ავტორი იგონებს, რომ რევოლუციამდელ სკოლაში ქართული ენის გაკვეთილი კვირაში ერთხელ ტარდებოდა. ფოთის საქალაქო სკოლაში მასწავლებელი წულაძე ბავშვებს უკითხავდა და უხსნიდა „ვეფხისტყაოსანს“. იქვე სწავლობდა მამინ პავლე

ინგოროყვა, რომელიც დასვენებებზე თანატოლებს მალულად უკითხავდა რუსთაველის პოემას. **გ. ა.**

1200. ლ. ხადური

მუსიკალური საკრავები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „გამარჯვება“ (გორის რაისაბჭოს... ორგანო), 1966, 5 ივლ., № 80.

ავტორი რუსთაველის პოემიდან იმოწმებს მუსიკალური საკრავების ხმარების შემთხვევებს. პოემაში დასახელებულია: ბარბითი, ბუკი, დაბდაბი, ებანი, ნა, ნობა, ნიშაგი, სტვირი, ტაბლაკი, ქოსი, ჩანგი, ნადარა, წინწილა. იქვე წარმოდგენილია ზოგიერთი ინსტრუმენტის სურათი (ნახატი), მაგ.: საყვირი, სტვირი, ნობა ანუ ზურნა, ბარბითი, დაბდაბი, წინწილა (მეტალის დაფი), ებანი (ჩანგი), საცემელი საკრავები – ნადარა და ქოსი, ანუ დიპლიპიტო. **გ. ა.**

1201. ლ. ხადური

„ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო გამოცემა

გაზ. „გამარჯვება“ (გორი), 1966, 5 მაისი.

„ვეფხისტყაოსნის“ მრავალი გამოცემა არსებობს. მათ შორის საინტერესოა 1888 წლის გ. ქართველიშვილისეული გამოცემის ისტორია. იონა მეუნარგიამ საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის შესახებ. შეიქმნა საგამომცემლო კომისია ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. წევრებად არჩეულ იქნენ: რაფ. ერისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. უმიკაშვილი და ივ. მაჩაბელი. დამსურათებლად მიიწვიეს მიხ. ზიჩი. ი. მეუნარგიამ ქ. მურიესა და ბ. ზუტენერის დახმარებით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი. გრ. ტატიშვილი ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ შემკულობაზე. პოემის ბეჭდვას ხელმძღვანელობდა ივ. მაჩაბელი. იგი ძვირფას თეთრ ქაღალდზეა ნაბეჭდი. ტირაჟის ნაწილის ყდა ტყავისაა და შემკულია რთული ქართული ორნამენტებით. ყდაზე რუსულად აწერია „Барсова кожа“, ხოლო წიგნის ტიტულზე „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილია ორი ფერით: ლურჯითა და შავით. დაიბეჭდა სულ 600 ცალი. **თ. ნ.**

1202. В. Харазов

Образ поэта в творениях художников

გაზ. „Советская молдавия“, 1966, 25 სექტ., №222, გვ. 3.

ქართველმა მხატვრებმა შესანიშნავი ნამუშევრები წარმოადგინეს რუსთაველის საიუბილეო დღეებში. ჯგუფური შემოქმედების ნაყოფია რუსთაველის ძეგლი თბილისში, რუსთაველის სახელობის მოედანზე. მხატვარმა ე. ახვლედიანმა მოამზადა პეიზაჟების სერია – „რუსთაველის ადგილები“. ა. ვეფხვაძემ დაასრულა მონუმენტური ნაწარმოები, – რუსთაველი თავის პოემას უკითხავს თამარ მეფეს – რომელზეც თითქმის 10 წელს მუშაობდა. გარდა ამისა, შეიქმნა არაერთი მხატვრული ტილო, ქანდაკება, ბარელიეფი, გრავიურა, სუვენირი და სამკერდე ნიშანი. **ლ. კ.**

1203. მ. ხერხეულიძე

საინტერესო ნაშრომი გენიალურ პოეტზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 26 თებერვალი, №48, გვ. 3.

საქ. სსრ საზოგადოება „ცოდნამ“ მოამზადა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა **იოსებ მეგრელიძის** ნაშრომი „შოთა რუსთაველი ზეპირსიტყვიერებაში“, რომელშიც პოპულარულად არის მოთხრობილი „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობისა და მის ადგილის შესახებ მსოფლიო პოეზიის საგანძურში. განსაკუთრებული ყურადღება ეტმობა რუსთაველის ბიოგრაფიის წყაროებს, ხალხურ თქმულებებს, რომლებიც მოპოვებულია როგორც ავტორის, ისე სხვა ფოლკლორისტების მიერ. ნაშრომში წარმოდგენილია შოთა რუსთაველის ბიოგრაფია წერილობითი წყაროებისა და ხალხური გადმოცემების ურთიერთშეჯერებით. რუსთაველის ბიოგრაფიის მრავალი მხარე დღემდე მაინც ბურუსით არის მოცული. ი. მეგრელიძე ნაშრომში საგანგებოდ განიხილავს ამ საკითხებს. გამოცემას დართული აქვს ლიტერატურის საძიებელი და მოპოვებული მასალის გეოგრაფიული გავრცელების რუკა.

ი. წ.

1204. მ. ხვარცკაია

ემზადებიან ზეიმისათვის

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 20 სექტემბერი, №214, გვ. 3.

იუბილეს აღსანიშნავად ემზადება აფხაზეთიც: დაგეგმილია სხვადასხვა მასობრივი ღონისძიება; აქტიურად მუშაობენ კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ეწყობა ლიტერატურული საღამოები.

სოხუმის რუსთაველის სახელობის I საშუალო სკოლაში შექმნილია მუზეუმი, რომელშიც ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული ალბომები, ილუსტრაციები, ნაქარგები და სხვ. ქართული ენის მასწავლებელმა ქ. ბელქანიამ ამოქარგა ილუსტრაციები პოემისათვის, კითხულობენ პოემას ზეპირად ქართულ, რუსულ, აფხაზურ ენებზე.

მცირე ხნის წინ გულრიფშის კოლმეურნეობა „პობედაში“ საფუძველი ჩაეყარა რუსთაველის ძეგლს და ერთხმად მიიღეს დადგენილება კოლმეურნეობისათვის რუსთაველის სახელის მინიჭების შესახებ.

აფხაზურ ენაზე გამოდის პოემის აფორიზმები (მთარგმნელი ბ. შინკუბა), მომზადდა ჟურნალ „ალაშარას“ საგანგებო საიუბილეო ნომერი, რომელშიც ქვეყნდება აფხაზი პოეტების ახალი ლექსები რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

თ. ხ.

1205. შალვა ხიდაშელი

მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა

ჟურ. „ცისკარი“, 1966, №7, გვ. 92-95.

წერილი ეძღვნება რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის საიუბილეო თარიღისათვის სამზადისს. ავტორის აზრით, რუსთაველის შესწავლა აუცილებელი გახდა

მსოფლიო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან თვით რუსთაველის შემოქმედება მსოფლიო კულტურის საკუთრებად გადაიქცა.

რუსთველოლოგიას, აღნიშნავს ავტორი, ყველგან და ყოველთვის უხდება ცალკეულ მეცნიერებათა მონაცემებისთვის ანგარიშის გაწევა და ხშირად, გარკვეულ პირობათა გამო, ამ მეცნიერებათა აქტიური მონაწილეა. რუსთველოლოგიის წინაშე დგება მეორე ამოცანა, განსაზღვრული რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, სპეციფიკით, – იმ კონკრეტული თავისებურებებით, რომლებშიც ვლინდება მისი ჰუმანიზმი, ფილოსოფიური შეხედულებანი და მისი შემოქმედების სხვა მხარეები და ღირებულებანი. რამდენადაც რუსთაველის შემოქმედება მხატვრული მეტყველების სფეროს ეკუთვნის, ამდენად, რუსთაველის შესწავლა მოითხოვს პოემის იდეური შინაარსის, მხატვრული ხორცშესხმის თავისებურებათა გარკვევას, პოემის ესთეტიკური ღირებულების შესწავლას.

ერთადერთ შესაძლებელ და რეალურ საშუალებად ისეთი ნაშრომის შესაქმნელად, რომელიც ოპტიმალურად უპასუხებს მის მიზანსა და დანიშნულებას, რჩება **ავტორთა კოლექტივი** და ამ ავტორთა შორის თითოეულს დაევალება იმ საკითხების გაშუქება, რომლებიც მისი კვლევის საგანს შეადგენს. მხოლოდ მეცნიერთა ასეთი თანამშრომლობით შეიძლება ამოცანის გადაჭრა. **ც. ე.**

1206. **III. В. Хидашели**

Шота Руставели как мыслитель и гуманист

ჟურ. „Вопросы философии“, 1966, №9, გვ. 68-76.

წერილში განხილულია, ზოგადად, ჰუმანიზმის არსი და, კერძოდ, რუსთაველის ჰუმანიზტური მსოფლმხედველობა. ავტორი პარალელს ავლებს დანტეს შეხედულებებთან, მის მსოფლმხედველობასთან.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსანში“ გამოთქმულ თვალსაზრისზე ამქვეყნიური და იმქვეყნიური, მიღმა სამყაროს შესახებ. განხილულია წარმოდგენები ადამიანის, მისი მისწრაფებების, გრძნობების, განცდების, სულიერი ცხოვრების შესახებ, რაც ზემოხსენებულ იდეებს ეხმაურება.

ავტორი მიმოიხილავს ჰუმანიზმის წარმოშობის მიზეზებს, მისი განვითარების გზას, ისტორიულ, სოციალურ–ეკონომიკურ და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ წინაპირობებს.

ავტორი ვრცლად საუბრობს მიჯნურობის არსზე, პრინციპულად განასხვავებს მას სიყვარულის შუასაუკუნეობრივი გაგებისგან, რაც წმინდა მარიამის კულტთან მიმართებაში გაიაზრებოდა. **თ. ბ.**

1207. **აკაკი ხინთიბიძე**

შიდა რითმა „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტ., XXVI სამეც. სესია, თეზისები, 1966, გვ. 8-9.

თეზისები მოგვაქვს მთლიანად:

1. „ვეფხისტყაოსნის“ შიდა რითმა ნებისმიერი შიდა რითმების კატეგორიას ეკუთვნის. რუსთაველმა შეგნებულად უარი თქვა ჩახრუხადისა და შავთელის პოემე-

ბისათვის დამახასიათებელ სავალდებულო შიდა რითმაზე. **2.** ადგილმდებარეობის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ შიდა რითმა მრავალფეროვანია. გვხვდება ცეზურული, წინაცეზურული და უკანაცეზურული რითმები; თავრიტები და კიბური რითმები; შუა რითმა, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებს მოსაზღვრე ტაქტთა პირველ ნახევრებს; აგრეთვე, ცალკეული მუხლებისა და ტერფების ურთიერთდამაკავშირებელი შემთხვევითი რითმები. **3.** ზუსტ რითმებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ შიდა რითმად არაიშვიათად იხმარება კეთილხმოვანი ასონანსები (ზოგჯერ კონსონანსიც კი), რომელთა უმრავლესობა რუსთაველს რითმად არა აქვს გააზრებული, მაგრამ დღევანდელი მკითხველისათვის ნამდვილ რითმებს წარმოადგენს. **4.** „ვეფხისტყაოსნის“ შიდა რითმათა ერთი ნაწილი ბოლო რითმისაგან დამოუკიდებელია, ნაწილი კი მის განშტოებას წარმოადგენს. ამასთან, შიდა რითმა ზოგჯერ ბოლო რითმის შესვლის ფუნქციას კისრულობს. **5.** შიდა რითმა უმეტესწილად პოემის მაღალ შაირში იჩენს თავს და, ამის შესაბამისად, ქორეულია. **6.** „ვეფხისტყაოსნის“ შიდა რითმა ხალხური მეტყველების უშუალოდ ხასიათდება და დიდი ესთეტიკური ღირებულების შემცველია.

გ. ი.

1208. ა. ხინთიბიძე

რუსთაველური

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1966, 24 მარტი, №13, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ლექსის ზოგიერთი საზომი ამა თუ იმ პოეტის სახელთან არის დაკავშირებული, მაგ., ფისტიკაური, შავთელური და სხვ. 16-მარცვლიან ლექსს კი **შაირს** ან **რუსთაველურ** შაირს უწოდებენ. ეს ფორმა თუმცა რუსთაველზე უწინაც არსებობდა, რუსთაველმა წარსულის ცალკეულ მონაცემებზე დაყრდნობით 16-მარცვლიან შაირს თვისობრივად ახალი სახე და დიდი რეზონანსი მისცა. ფაქტობრივად მან დაამკვიდრა და დააკანონა ქართულ პოეზიაში აღნიშნული საზომი. ამიტომ მკვლევარი სასურველად მიიჩნევს, რომ ქართულ ლექსწყობაში გავრცელებული სახელწოდებების – ფისტიკაურის, ჩახრუხაულის, შავთელურის, ბესიკურის ანალოგიით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდეს ტერმინი **რუსთაველური**. ტაქტში მარცვალთა სხვადასხვა კომბინაციის მიხედვით, შეიძლება იხმარებოდეს „მაღალი რუსთაველური“ და „დაბალი რუსთაველური“.

გ. ა.

1209. ელგუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ „მთვარის მოვანება“

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 1 იანვარი, № 1, გვ. 4; აგრ. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტისა და ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭოს I სამეცნ. სესია, [თეზისები], 1966, გვ. 21 (სათაური: „ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული სახე“).

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეს „მთვარის მოვანებას“, უარყოფს არსებულ განმარტებებს და მიიჩნევს, რომ „მოვანება“ ასტროლოგიური ტერმინია და ნიშნავს მთვარის შესვლას ასტროლოგიურ სადგომში, ასტროლოგიურ სავანეში მთვარის დავანებას და მის ირგვლივ ნათელის გადმოფრქვევას.

ბ. დ.

1210. ე. ხინთიბიძე

ერთი საკითხი რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებიდან
ჟურ. „მნათობი“, 1966, №9, გვ. 156-161; აგრ. თსუ-ს ფილ. ფაკ. X სამეცნიერო სესია, 1966, მოხს. თეზისები, გვ. 1-13.

ავტორი ეხება 836-ე სტროფის გამოთქმას: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს... ერთ-არსებისა ერთისა...“ და აღნიშნავს, რომ გამოთქმა „ერთ-არსებისა ერთისა“ შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს წაკითხული:

1. ის შეიძლება იყოს ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული ნათ. ბრუნვაში (სახელობითი იქნებოდა: **ერთ-არსება ერთი**);

2. ნათესაობითში დასმული მართული მსაზღვრელ-საზღვრული (სახელობითი: **ერთ-არსების ერთი**);

3. მართული საზღვრულ-მსაზღვრელი ნათ. ბრუნვაში (სახელობითი: **ერთ-არსება ერთისა**);

4. ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი სახელი, ორივე ნათესაობითში (სახ.: **ერთ-არსება, ერთი**).

მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებებს ამ საკითხზე და თვითონ ასეთ დასკვნას გვთავაზობს: **ერთარსება** თეოლოგიაში სამების თვისებაა, ე. ი. ერთარსება არ შეიძლება იყოს ერთის თვისება... **ერთარსება ერთის** უკან იმალება წარმოდგენა ღვთაების ორ, ერთმანეთის გამომრიცხველ, სახელზე: ერთი და არაერთი (ერთი და მრავალი). ამ გაგებით „ერთარსება ერთის“ ცნება დაფუძნებულია სწორედ იმავე თეოლოგიურ შეხედულებაზე, რომელიც ღმერთს მოიაზრებს „მზიან ღამედ“ და „უჟამო ჟამად“.

„რუსთაველს ტერმინი „ერთარსება“ უთუოდ ქრისტიანული თეოლოგიიდან აქვს შეთვისებული. მაგრამ ეს გარემოება არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ის ღმერთი, რომლის მიმართაც ავტორმა ეს ტერმინი იხმარა, უთუოდ ქრისტიანულია“.

გ. ა.

1211. ე. ხინთიბიძე

**„ვეფხისტყაოსნის“
ტექსტის შესწავლისათვის**

ჟურ. „ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, №2, გვ. 30-33.

პოემის ტექსტის ახალგაზრდობასთან უფრო ნათლად მიტანის საშუალებად ავტორს ტექსტის თანმიმდევრული განმარტება მიაჩნია. პოემის ერთი თავი – „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ მდიდარია შუა საუკუნეების ასტროლოგიური წარმოდგენებით, რაც საშუალო სკოლაში არ ისწავლება. მის გარეშე კი რუსთაველის მხატვრული აზროვნების სრულყოფილად ჩაწვდომა შეუძლებელია.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ავთანდილის ვედრებაზე ზეცისადმი. პოემის გმირის შეხედულება ზეციურ სამყაროზე სავსებით ემთხვევა ჩვენი წინაპრების შეხედულებებს.

ავტორი მოკლედ გადმოგვცემს ასტროლოგიის ისტორიასა და, ზოგადად, მის არსს. შემდგომ გვიხასიათებს იმ შვიდ მნათობს, რომელთაც ავთანდილი ევედრება. ესენია:

მზე, იგია მნათობთა დასის მეთაური.

ზუალი არაბული სახელია სატურნისა. ზუალი სევდიანი ეტლია. ასტროლოგიურად იგი ძალმომრეობისა და უბედურების უფალია.

მშობთარი (ბერძნულ-რომაული იუპიტერი) მოსამართლეთა უფალია. ასტროლოგიურად იუპიტერი მიუდგომელი და უმწიკვლო მსაჯულია.

შემდეგი ლოცვა **მარისს** (მარსს) ეკუთვნის. მარსი ასტროლოგიაში ბოროტი ცთომილია. მას მესისხლეთა ეტლს უწოდებდნენ.

ასპიროზი (ვენერა), ასტროლოგიური რწმენით, სიყვარულის დედოფალი და მკურნალია.

ოტარიდი (მერკური) მზესთან ახლოს იმყოფება. ასტროლოგიური ნიშნით ოტარიდი მწერალთა მფარველია.

ბოლოს ავთანდილი **მთვარეს** ევედრება. ასტროლოგიურად მთვარე სიყვარულში დამხმარეა, სხეულ მიჯნურთა მოწყალე.

ამ მონაკვეთში პოემის ტექსტი თანმიმდევრულადაა განმარტებული. ამის ცოდნა სრულ წარმოდგენას მისცემს მოსწავლეებს პოემის შინაარსობრივ დეტალებზე.

ი. კ.

1212. ა. ხიჯაკაძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული მხარე

გაზ. „ლენინის დროშით“ (ორჯონიკიძის რ.), 1966, 10 სექტ., № 107, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველის თხზულებაში უხვადაა გამოყენებული პოეტური სახეები, მათ შორის: **ჰიპერბოლა** იხმარება დადებითი პერსონაჟების იდეალიზაციის მიზნით. გვხვდება **განმეორების** სხვადასხვა სახე – ლექსიკური განმეორება, მოტივებისა და სიუჟეტური ეპიზოდის განმეორება, ბგერების განმეორება (ალიტერაცია და სხვ.).

პოემის ძირითადი მხატვრული ხერხი **მეტაფორაა**; არის მარტივი და რთული მეტაფორები. გმირების დახასიათებისათვის გამოყენებულია **ეპითეტი** და **შედარება**. შესადარებელი ობიექტები და მოვლენები აღებულია ბუნებიდან ან სოციალური ურთიერთობიდან.

პოემის სრულყოფილებას განაპირობებს აგრეთვე **რიტმების** სიმდიდრე. გამოყენებულია სხვადასხვა სახის რიტმა: ერთგვაროვანი, ფლექსიური, ძირეული, მარტივი, რთული, ზუსტი და არაზუსტი, მდიდარი, შინაგანი, მაჯამური რიტმა და სხვ.

გ. ა.

1213. პავლე ხმალაძე

რუსთაველი და ახალგაზრდობა

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტემბერი, გვ. 1.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებით უყვარს ქართველ ახალგაზრდობას, რომელიც ამ პოემის იდეებზე სწავლობს ცხოვრების რთული ამოცანების წარმატებით ამოხსნას. შოთას უკვდავი პოემა „ასწავლის“ მათ ავთანდილისებურ მეგობრობას, ტარიელისებურ სიყვარულს, სამშობლოსათვის თავგანწირვას“. **ც. ე.**

1214. გ. ხორგუაშვილი

**„ვეფხისტყაოსანი“
პროზად**

გაზ. „კომუნიზმისაკენ“ (ოჩამჩირე), 1966, 27 სექტ., № 114, გვ. 3.

ავტორის ცნობით, ა. მირიმანიანს 1896 წელს თბილისში სომხურ ენაზე გამოუცია ორმოცგვერდიანი წიგნი „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც თავების მიხედვით, პროზაულად გადმოცემული იყო „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იხსენებს ა. მირიმანიანის მოგონებას იმის შესახებ, რომ მისი პაპა თბილისში, მთაწმინდის უბანში, ზაქარია ჭიჭინაძის მეზობლად ცხოვრობდა. მან ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ხშირად ამბობდა რუსთაველის აფორიზმებს. ა. მირიმანიანს ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს მოწაფეთა ჟურნალში „დაკვრა“ მოუთავსებია სტატია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ“. შემდგომ, გ. წერეთლის რჩევით, ის შეუთანხმდა თბილისის სომხური ჟურნალის რედაქტორს ა. არასხანიანს „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანის გაკეთების შესახებ, რომელიც მერე უნდა გალექსილიყო ოვანეს თუმანიანის, ყაზაროს აღაიანისა და არუთინ თუმანიანის მიერ.

საბოლოოდ, 1896 წელს სომხურ ჟურნალ „მურჭში“ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ („ინმენავორო“) შემოკლებულად პროზით, რუსთაველის ბიოგრაფიითა და საჭირო განმარტებებით. იმავე წელს იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. **გ. ი.**

1215. გ. ხორგუაშვილი

შოთა და თამარი გლეხის ჭერქვემ

გაზ. „განთიადი“ (კასპი), 1966, 24 სექტემბერი, №113, გვ. 3.

ავტორის ცნობით, სამთავისელი გიორგი ილურიძის მამის პაპას, ბესარიონს, ჰქონია ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქვათახევეს, კანდელაკიანთში გათხოვილი თავისი ქალიშვილისათვის მზითვად გაუტანებია. გადმოცემით, ამ ილურიძეს რუსთაველის რაღაც ნივთიც ჰქონია, რომელიც რუსთაველისა და თამარის პორტრეტული გამოსახულებანი აღმოჩნდა. „ეგენი ხატებიც არიან, ღმერთებიცა და სისხლხორცეული ნათესავებიცო“, – უთქვამს გიორგის. ეს სურათი, რომლის ავტორი ცნობილი არ არის, ორმოცი წლის წინათ თბილისში უყიდია ექვს კოდ პურად. ავტორის აღწერით, სურათს პრიმიტიული ხასიათი აქვს. რუსთაველის მხარეს აწერია: „თუ კაცი თითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“, ხოლო თამარის მხარეს – მისი დაბადება-გარდაცვალების წლები. **გ. ი.**

1216. გ. ხორგუაშვილი

მგოსნისადმი მიძღვნილი

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 14 სექტემბერი, № 37, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო, რომელზეც წარმოდგენილია მისი პორტრეტი, პოე-

მის სხვადასხვა გამოცემისა და თარგმანის ფოტოები, რეპროდუქციები, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, შესრულებული მ. ზიჩის, მ. თოიძისა და ს. ქობულაძის მიერ. გარდა ამისა, გამოფენაზე წარმოდგენილია კასპის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც რუსთაველის ეპოქას უკავშირდება. გამოფენილია პოემის უცხო ენებზე მთარგმნელების და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის (1937 წ.) წევრთა ფოტოსურათები, წიგნები. გამოფენაზე წარმოდგენილია კასპის რაიონის მკვიდრის – დავით ნავროზაშვილის მიერ შესრულებული ბარელიეფი, რომელზეც ამოკვეთილია ახალგაზრდა რუსთაველი.

გამოფენა მიემდგვნა საიუბილეო თარიღს.

თ. ხ.

1217. ილია ხუთელიძე (მთხრობელი)

(ჩაიწერა მის. მარსაგიშვილმა)

ამბავი სამი მეგობრისა

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 15 ივლისი, №164, გვ. 3.

მთხრობელი გადმოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე ზეპირ თქმულებას, რომელშიც მოქმედ პირებად გამოდიან მზექალი (ნესტან-დარეჯანი), ტარიალი, ფირდონი, მამიდა (დავარი), თინაი (თინათინი), თათრების მეფე (ხვარაზმშას ძე), ხინჩიანი ქაჯი, დევები, სამი მოხუცი, ფირდონის ვაჟი და ავთანდილი.

ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მსგავსად ვითარდება. ტარიალი კლავს „თათრების მეფეს“. მის სულს ქაჯები გაიტაცებენ და მზექალიც თან მიჰყავთ. მის ძებნაში ტარიას ეხმარებიან „ნათესავეები“ – ფირდონი და ავთანდილი და „ხინჩიანი ქაჯი“, რომელმაც დევებს ქაჯებთან საომარი იარაღი მოჰპარა. გმირებმა დაამარცხეს ქაჯები და მზექალი წამოიყვანეს. თუმცა, შინ დაბრუნებულ ავთანდილს გაბრაზებული დახვდა ცოლი თინაი, დაწყევლა იგი და ქვად აქცია. სამმა მოხუცმა ტარიას უთხრა, რომ ავთანდილს ფირდონის ვაჟის სისხლი გააცოცხლებსო. ფირდონმა მეგობრის გადასარჩენად გაიმეტა შვილი. მისი სისხლით ავთანდილი გააცოცხლეს. მან კი ფირდონის შვილი გააცოცხლა.

გ. ა.

1218. სოლომონ ხუციშვილი

შოთა რუსთაველი

და ქართული მწერლობა

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, 30 სექტ., № 29, გვ. 2.

მოკლე წერილში მოცემულია ზოგადი არსი რუსთაველის შემოქმედების გავლენისა მის შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაზე. ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანური იდეები და მხატვრული საშუალებანი მიბაძვის საგანი იყო საუკუნეთა მანძილზე.

„ქართველმა რომანტიკოსებმა „ვეფხისტყაოსანი“ მიიღეს, როგორც ძველი საქართველოს, „თამარის დროის“ ცოცხალი ნაშთი. ეს პოემა მათთვის შინაგანი აზრის წყაროდ იქცა“.

ახალი თაობის მწერლები – ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე – „ვეფხისტყაოსანს“ ქართველი ხალხის ეროვნული ძლიერების ნიშნად თვლიდნენ.

გ. ა.

1219. ს. ხუციშვილი

შოთა რუსთაველი და ქართველი რომანტიკოსები

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 14 სექტ., გვ. 3.

ავტორის მიერ ფიქსირებულია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების რუსთაველის პოემასთან მიმართების მხატვრულ-იდეური მომენტები. ამ ასპექტით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნისა“ და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მხატვრულ სახეთა და იდეათა თანხვედრა.

ავტორის აზრით, ქართველმა რომანტიკოსებმა რუსთაველის პოემაში ჰპოვეს თავიანთი ანტიკა და გამოიყენეს იგი, რითაც ამაღლებული ხასიათი და მშვენიერება შესძინეს თავიანთ შემოქმედებას. **გ. ა.**

1220. Соломон Хуцишвили

Творец „Вепхисткаосани“ и грузинские романтики

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 1 ოქტომბერი, № 231, გვ. 3.

წერილში საუბარია ქართველი რომანტიკოსების დამოკიდებულებაზე რუსთაველის პოემის მიმართ. ავტორი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული რომანტიზმის მასაზრდოებელი ძარღვია. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი და სხვა რომანტიკოსები ქმნიდნენ რა მხატვრულ სახეებს, ქვეცნობიერად ყოველთვის ეყრდნობოდნენ რუსთაველის სიბრძნეს. **თ. ხ.**

1221. С. Хуцишвили

У истоков руствелологии

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 6 აგვისტო, № 183, გვ. 3.

წერილში მიმოხილულია 1832 წ. „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურულ დამატებაში გამოქვეყნებული ქართული ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ეკუთვნის ს. დოდაშვილს. მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეში არაერთგზის იყო აღნიშნული ვ. კეკელიძის მიერ.

ავტორი ახასიათებს ს. დოდაშვილს, როგორც საუკეთესო ლიტერატურათმცოდნეს, მეცნიერს, პედაგოგს; იმოწმებს მისი მოსწავლის – ლ. ისარლიშვილის სიტყვებს, რომელიც მიუკერძოებლად წარმოაჩენს ს. დოდაშვილის მოღვაწეობას. **თ. ხ.**

1222. თ. ხუხუა

სამეცნიერო სესია

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 1 ივლისი, № 27, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების გეგეჭკორის რაისაბჭომ ჩაატარეს რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მოხსენებებით გამოვიდნენ მწერალი ლ. გოთუა, პროფესორები: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ი. კაჭარავა, ი. ცინცაძე, დ. გვრიტიშვილ და სხვები. **თ. ნ.**

1223. ალ. ჯავახიშვილი

სამარადისოდ უკვდავი

გაზ. „სახალხო განათლება“, 1966, 12 ოქტომბერი, № 41, გვ. 3.

ავტორის აზრით, ქართველი ხალხის გმირული სული შთამბეჭდავად ასახა რუსთაველის პოემაში. იგი ჩვენი ხალხის სული და გულია, გრძნობებისა და ფიქრების გამომხატველია, ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ ისევე უკვდავი იქნება, როგორც ქართველობა. მართალია, პოემას და მის ავტორს არასოდეს აკლდა მტერი და მოშურნე, მაგრამ „შოთა ჩვენი მზეა და მზე კი მარადიულად ანათებს ქვეყნიერებას“, ამიტომაც არც მას ემუქრება დავიწყებისა და დაკარგვის საფრთხე. **თ. ხ.**

1224. გივი ჯავახიშვილი

(რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე)

დიდი სახალხო ზეიმი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 26 მაისი, № 113, გვ. 1; „თბილისი“ 1966, 19 მაისი, № 115, გვ. 1; „Вечерний Тбилиси“, 1966, 21 მაისი, № 117, გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1966, № 20.

გაზეთ „კომუნისტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში გ. ჯავახიშვილი ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომლებიც რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად საქართველოში უნდა განხორციელდეს. მათ შორის:

დაიბეჭდება: „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა დიდი და მცირე ფორმატით, პოემის რუსული, ფრანგული და ინგლისური თარგმანები, რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების კრებულები, მონოგრაფიები, რუსთაველის აფორიზმები, მხატვრული ალბომები, სულ 40-მდე დასახელების წიგნი.

მომზადდა და მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს დაეგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვა-სიტყვითი რუსული თარგმანის ახალი რედაქცია.

მზადდება სატელევიზიო ფილმი – დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა“ თითო აქტი განახლებული დადგმით.

გამოცხადდა კონკურსი შოთა რუსთაველის ძეგლზე, რომელიც მისი სახელობის რეკონსტრუირებულ მოედანზე უნდა დაიდგას. დააარსდა რუსთაველის სახელობის პრემია. მიმდინარეობს მუშაობა თბილისში „რუსთაველის სახლის“ მოსაწყობად. თბილისში მოწვეულია მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო ფორუმი.

რუსთაველის იუბილე დაიწყება 25 სექტემბერს და გასტანს 5 ოქტომბრამდე. 25 სექტემბერს თბილისში გაიხსნება სსრ კავშირისა და საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირების გამგეობების გაერთიანებული სხდომა. მოეწყობა დიდი საიუბილეო კონცერტი და მუსიკალურ – თეატრალური სანახაობა „ოდა რუსთაველზე“, სახალხო სპორტული დღესასწაული. გაიხსნება გამოფენა „საქართველოს კულტურა რუსთაველის ეპოქიდან დღემდე“ და სხვ.

მოსკოვში დაიდგმება რუსთაველის ძეგლი. მოეწყობა გამოფენა „ქართული კულტურა XII საუკუნიდან დღემდე“. მზადდება პოემის რუსული სასაჩუქრო გამო-

ცემა. გაიმართება საიუბილეო სესია. დიდი ტირაჟით დაიბეჭდება რუსთაველის პორტრეტი, პოემის ილუსტრაციების, ფერადი ბარათების კომპლექტები და ა. შ.

ბ. დ.

1225. გივი ჯავახიშვილი

ქართველი ხალხის დღესასწაული

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 25 სექტ., № 219, გვ. 1; „საბჭოთა აჭარა“, 1966, 25 სექტ., № 186, გვ. 1-2; „სოფლის ცხოვრება“, 1966, 25 სექტ., „Заря Востока“, 1966, 25 სექტ., № 221, გვ. 1; „თბილისი“, 1966, 26 სექტ., № 226, გვ. 1; „Вечерний Тбилиси“, 26 სექტ., № 226, გვ. 1.

წერილი წარმოადგენს მოწინავე სტატიას, სადაც საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლაპარაკობს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ჩატარდა და ჩატარდება აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით.

ავტორი გვიამბობს საიუბილეო გამოცემების შესახებ, ეხება სტუმრების მიღების საორგანიზაციო საკითხებს, სპექტაკლებს, რომლებიც დადგეს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურმა თეატრმა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა.

წერილში აღნიშნულია აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებიც ამ თარიღთან დაკავშირებით ჩატარდება მოსკოვში.

ც. ე.

1226. გივი ჯავახიშვილი

სიტყვა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ სკპ ცკ-ის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1966, 30 სექტ.

ჟურ.: „მნათობი“, 1966, № 10, გვ. 5-6; „ცისკარი“, 1966, № 10, გვ. 3-5;

სიტყვა წარმოადგენს მისალმებას საზეიმო სხდომის მონაწილეებისადმი და ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის დიდ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ავტორის აზრით, რუსთაველმა ქართველ პოეტებს შორის ყველაზე უკეთ შეძლო ჩაწვდომოდა მშობელი ხალხის ბუნებას, მის უწმინდეს ზრახვებს. რუსთაველმა არა მარტო გამოხატა თავისი ეპოქის მოწინავე იდეალები, არამედ აამალა და ახალი სივრცეები გადაუშალა ქართულ მხატვრულ აზროვნებას, პოეზიას და ფილოსოფიას. იგი ფუძემდებელია ახალი ქართული ენისა.

ასეთივე შინაარსის სიტყვა გ. ჯავახიშვილმა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების შოთა რუსთაველის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე 1966წ. 28 სექტემბერს. იხ. სესიის სტენოგრაფიული ანგარიში, – ჟურ. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 180-181.

გ. ა.

1227. გიორგი ჯავახიშვილი

ბათუმში გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1966, № 5, გვ. 90-92.

ავტორი აღნიშნავს, რომ ოზურგეთსა, ახალსენაკსა, ბათუმსა და თბილისში კ. თავართილაძის მიერ დაარსებულ სტამბებში „ვეფხისტყაოსანი“ შვიდჯერ გამოიცა.

მათ შორის ბათუმში ორჯერ 1891, 1899 წლებში. ეს გამოცემები გამოირჩეოდნენ სიი-აფით. მათ დახასიათებაში ავტორი იმოწმებს ზაქარია ჭიჭინაძეს (გაზ. „ივერია“, „ცნობის ფურცელი“) და აღნიშნავს, რომ ეს გამოცემანი გ. ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემის გამეორებას წარმოადგენენ.

კ. თავართქილაძეს ოზურგეთის სტამბაში დაუბეჭდავს ლოტო, რომელშიც გა-მოსაცნობ მასალად გამოუყენებია „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები (გაზ. „ივერია“, 1892წ., №132). დასასრულს აღნიშნულია, რომ აჭარელმა ბეგმა ხუსეინ ბეგ ბეჟან-ოღ-ლიმ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მკითხველი და წესის მცოდ-ნე იყო („დროება“, 1893წ., № 60).

გ. ი.

1228. გ. ჯავახიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი

„ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ

შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის XXI სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია; თეზისები, ბათუმი, 1966, გვ. 67-68.

ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის კ. ჭიჭინაძისეული გამოცემის შედ-გენილობას და აღნიშნავს, რომ მიხ. ჯავახიშვილმა თავის რეცენზიებში გაიზიარა ინ-დო-ხატაელთა ამბის პოემაში შეტანა, აგრეთვე კ. ჭიჭინაძის მოსაზრებანი პოემის ფა-ბულის, სიუჟეტისა და კომპოზიციის ცალკეულ საკითხებზე. მიხ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება იუსტ. აბულაძის მოსაზრებას, რომლის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ავ-ტორის ფსევდონიმი უნდა იწერებოდეს როგორც „რუსთველი“. მწერალი ამტკიცებს, რომ უნდა იწერებოდეს „რუსთაველი“.

ავტორის შენიშვნით, მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობებისა და რომანების გმირე-ბი ხშირად იყენებენ „ვეფხისტყაოსნიდან“ აფორიზმებსა თუ სხვა ადგილებს. მის პუბლიცისტურ წერილებშიც ხშირად არის ციტირებული პოემის ტექსტი.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ მიხ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონია რუსთაველის იუბილესათვის (1937წ.) დაეწერა ისტორიული რომანი „შოთა რუსთაველი“.

გ. ი.

1229. ივანე ჯავახიშვილი (კორ.)

აზერბაიჯანელების სამაგიდო წიგნი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 1 აპრილი, № 14, გვ. 2.

ავტორი გადმოგვცემს ბაქოში მოგზაურობის შთაბეჭდილებას, მის შეხვედრებს „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებთან ს. რუსტამსა და მ. რაჰიმთან, აზერბაიჯანის მზადებას რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად. გვა-უწყებს უზეირ ჰაჯიბეკოვის „ვეფხისტყაოსნით“ გატაცებას, რომელმაც შექმნა საგუნ-დო სიმღერა „შოთა რუსთაველი“. გვამცნობს, რომ 1966 წელს აზერბაიჯანულად „ვეფხისტყაოსნის“ ორი გამოცემა განხორციელდება. გამოვა ს. ვურლუნის, ს. რუს-ტამისა და მ. რაჰიმის ერთობლივი თარგმანი და ახალგაზრდებისათვის – პროზა-ული ვარიანტი.

ბ. დ.

1230. ი. ჯავახიშვილი

რუსთაველი დაუბრუნდა მესხეთს

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 23 აგვისტო, № 197, გვ. 3.

რუსთაველის 800 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად დიდი მუშაობაა მესხეთში. სოფ. მინაძეში აიგო ხიდი, რომლის გაღმა ფერდობზე აღიმართება მხატვრული კედელი, მას შოთა რუსთაველის ბარელიეფი და სიყვარულის თემაზე დაწერილი უკვდავი აფორიზმი შეამკობს. სოფელ რუსთავის მისასვლელთან მოქანდაკეებმა ჯ. ჯაფარიძემ, ბ. სახვაძემ და ვ. მელიქიშვილმა აღმართეს 12 მეტრიანი მონუმენტური ობელისკი, რომელზეც ასახულია ასპინძის ისტორიული ბრძოლები. ახალქალაქში შესასვლელთან კლდეზე შენდება 5 მეტრის სიმაღლის კვარცხლბეკი, რომელზედაც დაიდგმება პოეტის სამმეტრიანი მონუმენტი. ი. თოიძემ შექმნა შოთა რუსთაველის ქანდაკება (ქ. მიტიშჩის ჩამომსხმელ ქარხანაში დამზადდა). ეს ქანდაკება საკავშირო ფორუმზე მყოფმა ახალციხელებმა მოძებნეს და სამშობლოში დააბრუნეს. ახალციხის ცენტრალურ მოედანზე აშენდა აუზი და კვარცხლბეკი რუსთაველის ქანდაკებისათვის. საიუბილეო დღეებისათვის ემზადებიან ხელოვნების დარგის მუშაკები. მომღერლები და მოცეკვავეები გამოეწყობიან საგანგებოდ შეკერილ ეროვნულ ტანსაცმელში, რომლის ესკიზები შეადგინა მხატვარმა ფ. ლაპიაშვილმა. **ი. წ.**

1231. ი. ჯავახიშვილი

ჩვენდამი სიყვარულის შთაგონებით

გაზ. „თბილისი“, 1966, 10 სექტ., № 313, გვ. 3.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის კ. ბალმონტის და ქართველი საზოგადო მოღვაწის სანდრო ყანჩელის მეგობრობის შესახებ, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1915 წ. ბალმონტის სტუმრობის დროს. (1914-1917 წწ. რამდენჯერმე ესტუმრა თბილისს). ყანჩელების ოჯახმა შესანიშნავი მასპინძლობა გაუწია კ. ბალმონტს. აქ კითხულობდა ის ნაწყვეტებს თავისი თარგმანიდან. კ. ბალმონტს მრავალი შეხვედრა მოუწყვეს ქართველმა მეგობრებმა. დაათვალიერებინეს ღირსშესანიშნავი ადგილები, მოუწყვეს ნადიმი. ეხმარებოდნენ თარგმანის სრულყოფაში. ბალმონტის დაწყებულ მეგობრობას ქართველებთან დღეს განაგრძობს მისი ქალიშვილი ნინო ბალმონტი-ბრუნი, მან საქართველოს ლიტ. მუზეუმს გადასცა მამამისის არქივის ნაწილი, რომელიც შოთა რუსთაველის პოემის თარგმანთან და კ. ბალმონტის საქართველოში მოგზაურობასთან არის დაკავშირებული. ბალმონტისეული თარგმანი პარიზში გამოიცა 1933 წელს. ბალმონტმა პირველმა გააცნო თანამემამულეებს რუსთაველის პოეზია. მას გულწრფელად უყვარდა რუსთაველი და მისი შმობელი ქვეყანა.

ი. წ.

1232. ი. ჯავახიშვილი

სიმღერისა და ცეკვის პოეზიაში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 22 სექტ., № 112, გვ. 3.

წერილში საუბარია საოპერო და საბალეტო ხელოვნებაში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების განსახიერების შესახებ. როგორც ავტორი წერს, პირველად დ. არაყიშ-

ვილმა დაწერა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომელიც 1919 წელს დადგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. მასში მონაწილეობდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ე. სპიტკო, ს. ინაშვილი, ო. ბახუტაშვილი და სხვ.

შემდეგ დაიწერა შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“, რომელიც მრავალჯერ დაიდგა თბილისში.

ამ თემატიკაზე შექმნილი პირველი ქორეოგრაფიული ნაწარმოები იყო ბალეტი „შოთა რუსთაველი“. რომელიც 1946 წლის მაისში მონტე-კარლოში დადგა სერჟ ლიფარმა. მისთვის მუსიკა დაწერა არტურ ონეგერმა. ს. ლიფარს დიდი დახმარება გაუწია თბილისელმა ალ. პეტრიაშვილმა, რომელიც იმ დროს უცხოეთში ცხოვრობდა. მასვე შეუსრულებია დავით სოსლანის როლი (იხ. ანოტ. № 3423, II წიგნში).

რამდენიმე წლის წინ სსრ კავშირის დიდი თეატრის მთავარმა ბალეტმეისტერმა ი. გრიგოროვიჩმა დაწერა ახალი ლიბრეტო, რომლისთვისაც მუსიკას წერს ალ. მაჭავარიანი. მისი დადგმა გათვალისწინებულია სსრ კავშირის დიდ თეატრში. თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში კი დაიდგმება დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (განახლებული ლიბრეტო კ. კალაძისა, რეჟისორი – გ. ვასაძე, მუსიკალური რედაქცია ეკუთვნის ნ. გუდიაშვილს). **გ. ა.**

1233. ი. ჯავახიშვილი

ხალხის ალალი საჩუქარი

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 24 სექტ., № 225, გვ. 3.

ავტორ აღწერს თენგიზ გიგაურისა და კობა გურულის მიერ ერთობლივად შექმნილ შოთა რუსთაველის ოთხმეტრიან ქანდაკებას, რომელიც მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთში დაიდგმება.

ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ გიგაურის პირველი ჭედური ნამუშევარი – „შოთა რუსთაველი და თამარი“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ყდას წარმოადგენს, მოსკოვში გამოფენაზე იყო წაღებული. ამჟამად კობა გურულს მზად აქვს რუსთაველის თემაზე შვიდი ჭედური ნამუშევარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ახალი ჭედური ყდა. **გ. ი.**

1234. ი. ჯავახიშვილი

ქართული კინემატოგრაფიის წარსულიდან

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966, 14 ოქტ., № 42, გვ. 2.

წერილში არის ცნობა, რომ ერთ-ერთმა პირველმა კინოსცენარისტმა და რეჟისორმა სიმონ ესაძემ 1914-15 წლებში ფირზე გადაიღო „თბილისის კრუჟოკის“ კლუბში დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ცოცხალი სცენები.

სიმონ ესაძე იყო კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის განყოფილების უფროსი, გატაცებული საქართველოს ისტორიითა და კინემატოგრაფიით. მისი სცენარითა და უშუალო ხელმძღვანელობით გადაიღეს მხატვრული ფილმი „კავკასიის დამორჩილება“. **გ. ა.**

1235. ი. ჯავახიშვილი

შთაგონების წყარო

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 ივლისი, № 170, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს ლ. გუდიაშვილთან სახელოსნოში ნანახ სურათებზე. მხატვარს რუსთველი ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში დაუხატავს, რომლისთვისაც გერმანელ მხატვარ ზომერს, მაღალი შეფასება მიუცია. კედელზე უნახავს გ. ავალიშვილის მიერ ხეზე ამოჭრილი შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომლის ფოტოსაც გაზეთში ბეჭდავს. მაშინ ლ. გუდიაშვილისათვის ნ. ყიასაშვილს ტელეფონით უცნობებია, რომ „ლათინურ ამერიკასაც მოედო რუსთაველის ცეცხლოვანი სტრიქონები“. ავტორი შენიშნავს, რომ ლ. გუდიაშვილმა რუსთველი უთავსარქმლოდაც წარმოგვიდგინა.

ბ. დ.

1236. ი. ჯავახიშვილი

კ. ბალმონტი საქართველოში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 30 აგვისტო, № 102, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანის შემსრულებლის კონსტანტინე ბალმონტის მჭიდრო კავშირზე საქართველოსთან და ქართველ პოეტებთან, იმ სიყვარულზე, რომლითაც პოეტი განიმსჯვალა „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ და თითქმის შეუძლებელი შეძლო. პოემის თარგმანზე მუშაობის დროს ბალმონტი საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში. მოთხრობილია, როგორ შეხვდა ქართველი საზოგადოება მას, თბილისსა და ქუთაისში და როგორი იყო ბალმონტის გამოსვლები „შოთა რუსთაველის საღამოებზე“. **ლ. კ.**

1237. კ. ჯავრიშვილი

საუკუნეთა მიღმა

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966, 8 იანვარი, № 6, გვ. 3.

საუბარია კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსის – ვანის ქვაბების შესახებ, რომელიც ადგილმდებარეობის გამო არაერთხელ გაუმარცვა-გაუპარტახებიათ. „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება 1283 წ. გამანადგურებელი მიწისძვრა, რომელიც ალდგომის დღესასწაულს დაემთხვა. სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ ნანგრევების გათხრის შედეგად მრავალი საინტერესო ნივთი აღმოაჩინა: ვერცხლის თასები, რუსთველის თანამედროვის – იჩქით გურგენისძის წარწერა. ალ. ბარამიდის აზრით, მისი მოღვაწეობის წლების დადგენა ხელს შეუწყობს რუსთველის მოღვაწეობის წლების დადგენასაც. წარწერა მიჩნეულია რუსთველის ეპოქის პალეოგრაფიულ ძეგლად.

თ. ხ.

1238. არჩილ ჯანაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ცხოველები

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“, 1966, გვ. 293-310.

„ვეფხისტყაოსანში“ დასახელებულ 34 სახეობის გარეულ და 9 სახეობის შინაურ ცხოველთაგან ავტორი სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვით

არკვევს ზოგი მათგანის გეოგრაფიული გავრცელებისა და ეკოლოგიის საკითხებს და აზუსტებს ლათინურ სახელწოდებათა შესატყვისობებს. განსაკუთრებით ვრცელი მასალის ანალიზით, სპეციალური გამოკვლევებისა და ლექსიკონების საფუძველზე ავტორი იხილავს ვეფხის გაგებას, მისი მნიშვნელობის ცვალებადობას, სინონიმებს, ადგენს განსხვავებულ განმარტებათა წყაროებს და ასკვნის, რომ „ვეფხი“ ხალებიანი ცხოველია და მისი ლათინური სახელწოდება უნდა იყოს **Pardus (pardus)** და არა **Tigris (tigris)**, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული ქართულ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში.

შემდეგ, ყოველ ცხოველზე მსჯელობას ავტორი საილუსტრაციოდ ურთავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ტაეპს და ლათინურ შესატყვისს. **გ. ი.**

1239. მ. ჯანგიძე

ასირიულ ენაზე

გაზ. „თბილისი“, 1966, 22 აგვისტო, № 196, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს თბილისელ ასირიელ პოეტს დავით ილიანს, რომელიც შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ ასირიულ ენაზე თარგმნას და „ახლახან... დაამთავრა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოები „პილიგრიმი და ვარდი“.

ბ. დ.

1240. გიორგი ჯაფარიძე

გლოვის წესი „ვეფხისტყაოსანში“

(ხალხურთან მიმართებით)

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილ. ფაკ-ის X სამეცნიერო სესია; თეზისები, 1966, გვ. 17.

როგორც ავტორი აღნიშნავს:

1) „ვეფხისტყაოსანში“ უხვადაა დაცული გლოვის პროცესის ამსახველი ტერმინოლოგია – ტირილი, ზახილით ტირილი, მოთქმით ტირილი, ზარი, ზრუნი. 2) „ვეფხისტყაოსანში“ ზედმიწევნითაა ასახული გლოვის გარეგნულად გამოხატვის წესი – თვითგვემა, სიბნელეში ჯდომა, ღილჩახსნით და მხარამოყრით ტირილი, თმის მოკვეცა, შავით შემოსვა. 3) გლოვის წესი და გლოვის ტერმინოლოგია „ვეფხისტყაოსანში“ თანხვედრილია ხალხური გლოვის წესთან და ტერმინოლოგიასთან. **ლ. კ.**

1241. უჩა ჯაფარიძე

„ვეფხისტყაოსანს“ მეც ვასურათებ

ჟურ. „ცისკარი“, 1966, № 5, გვ. 123-125.

ჟურნალის თანამშრომელთან საუბარში მხატვარი აღნიშნავს, რომ მე-17 საუკუნიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ტრადიცია არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისა. განსაკუთრებულად აფასებს მ. ზიჩის ღვაწლს: „დიდია დამსახურება უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩისა. მან მაღალმხატვრულად შეასრულა მრავალი სურათი და ამით თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიოსათვის „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობაში.

როგორც ამბობს, მხატვარი თვითონაც მუშაობს რუსთაველის პოემის ილუსტრირებაზე. **გ. ა.**

1242. [ვ. ჯაფიაშვილი]

Планеты: Руставели и другие

გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1966, 30 სექტემბერი, №230, გვ. 2.

ავტორის ცნობით, 1930 წლის 3 ოქტომბერს ბელგიელმა ასტრონომმა ს. არენდომ აღმოაჩინა ასტეროიდი. მისი მოძრაობა შეისწავლა გ. ნეჟინმა და უწოდა რუსთაველის სახელი. ასტრონომიულ კატალოგში ასტეროიდი 1.171-ე ნომრით შევიდა. დროდადრო იგი უახლოვდება დედამიწას. საიუბილეო წლის მარტის თვეში იგი დედამიწას მიუახლოვდა 360 მილ. კილომეტრით.

ლ. კ.

1243. მ. ჯაყელი [მიხეილ მამულაშვილი]

**დემოკრატიულ გერმანიაში
ენერგიულად ემზადებიან**

გაზ. „თბილისი“, 1966, 14 აპრილი, № 87, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს გ. პეჩის ნაშრომს „შოთა რუსთაველი და მისი დრო, პოეტის დაბადების 800 წლისთავისათვის“, რომელიც დაბეჭდილია ბერლინის სამეცნიერო ჟურნალში – „აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მოამბის“ ბოლო ნომერში. კერძოდ გადმოგვცემს გ. პეჩის თვალსაზრისს პოემის სტროფზე – „ამ საქმესა დაფარულსა...“ (1492) „ეს სტროფი შესაძლებელია ცოტა გაუგებარი გახდეს თანამედროვე მკითხველისათვის, რადგან მასში თითქოს ნათქვამია, ადამიანი ღმერთისგან უნდა ელოდებოდეს სიკეთის მოვლინებასო. მაგრამ ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ძირითადი აზრი პოემისა, რომელსაც წითელი ზოლივით გასდევს შემდეგი დარიგება: ადამიანი უნდა იბრძოდეს, მას შეუძლია და უნდა მიაღწიოს კიდეც სრულყოფას საკუთარი ძალ-ღონის დახარჯვით. მას არ სჭირდება ზეციდან მოვლენილი ხსნა, თვითონ აქვს ბოროტის დაძლევის უნარი. ბედნიერება თავისით არ მოდის, მას ბრძოლით მოპოვება უნდა...“

მ. ჯაყელი განაგრძობს: „სტატიის ავტორი დაასკვნის: „შოთა რუსთაველის პოემა, მისი შინაარსისა და თხრობის განვითარების მიუხედავად, არ არის საშუალო საუკუნეების რაინდული რომანი ჩვეულებრივი გაგებით, იგი წარმოადგენს კეთილშობილი იდეალების – ხალასი სიყვარულის, მეგობრობისა და ვაჟკაცობის უკვდავ ჰიმნს..., რის გამოხატვაც, ევროპაში მხოლოდ რენესანსის ეპოქაში გახდა შესაძლებელი“.

მ. ჯაყელი უწონებს გ. პეჩს, რომ „ვეფხი“ მისთვის „ტიგრი“ კი არ არის, არამედ „პანთერა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სათაურს თარგმნის ასე: „დერ რეკე იმ პანთერფელ“.

ბ. დ.

1244. მ. ჯაყელი

**კიდეც ერთი ახალი გამოცემა
(„ვეფხისტყაოსანი“ ესპანურ ენაზე)**

გაზ. „თბილისი“, 1966, 5 ოქტ., № 234, გვ. 3.

ჩილეში, ქ. სანტ-იაგოში, ესპანურ ენაზე გამოვიდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. თარგმნა გუსტავო ალფრედო დე ლა ტორე ბოტარომ. თარგმანი შესრულებულია მარჯორი უორდროპის ინგლისური თარგმანიდან, რომელიც ავტორს შე-

უდარებია ქართული ტექსტისათვის ვ. ნოზაძის დახმარებით. წამმღვარებული აქვს გ. იმედაშვილის წერილი. ბოტარო წინათქმაში საუბრობს საქართველოს ისტორიის, მისი მწერლობის, კულტურის შესახებ. თარგმანი პროზაულია, მაგრამ მაინც საკმაო წარმოდგენას ქმნის პოემის ბრწყინვალეობაზე. **ი. წ.**

1245. ნანა ჯაში

სამეცნიერო სესია

(უნივერსიტეტი საიუბილეო დღეებში)

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1966, 10 სექტ., № 107, გვ.3.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 3 დღეს გრძელდებოდა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ი. ვეკუამ. ა. ბარამიძემ წაიკითხა მოხსენება „შოთა რუსთაველი“. სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ს ქ. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რომან იაკობსონი, ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ბ. რეიზოვი, ბაქოს უნივერსიტეტის დოცენტი ბ. ხალილოვი, აგრეთვე ერევნის, ტაშკენტისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები. სერიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: შ. მესხია, ა. შანიძე, ქ. სიხარულიძე, გ. ჯიბლაძე, ლ. მენაბდე, ვ. შადური, ა. გვახარია, შ. რევიშვილი, დ. ფანჩულიძე, ნ. ორლოვსკაია, თ. ბუაჩიძე.

სამეცნიერო სესიის მუშაობის ბოლო დღეს დაესწრნენ უცხოელი სტუმრები: ჩუკაშ იმტმანი, ბერსიკ ანდრაში (უზგრეთის უნივერსიტეტი), ვერნერ მიულერი (იენის უნივერსიტეტი). **ლ. კ.**

1246. ნ. ჯვებენავა

„ვეფხისტყაოსნის“

მოწერელიასეული ხელნაწერი

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურის ძეგლთა დაცვის გეგეჭკორის რაისბჭო, VIII სამეცნიერო სესია, ქუთაისი, 1966, გვ. 24-26.

როგორც ავტორი აცხადებს, ქართული კულტურის კერებში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. ასეთ კერათა შორის იყო მარტვილის მონასტერი, სადაც არაერთხელ გადაუწერიათ „ვეფხისტყაოსანი“. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება ხელნაწერი (№ 340), რომელიც დიაკონ პეტრე მოწერელიას გადაუწერია ორ ცალად, ერთი თავისი ოჯახის საკუთრებად დაუტოვებია, ხოლო მეორე ეპისკოპოსისთვის უჩუქებია. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგისეული დედნიდან. შედგება მცირე შესავლის, საკუთრივ პოემისა (1591 სტროფი) და ვახტანგისეული განმარტებებისაგან. შესავალი ნაწილი გვიანი მინაწერია ნაკლებად ფაქიზი კალიგრაფიით. ნ. ჯვებენავა წარმოგვიდგენს ხელნაწერის გარეგნულ აღწერილობას და მის ტექსტოლოგიურ თავისებურებებს. მისი აზრით, გადამწერი იცნობდა პოემის სხვა ხელნაწერებს და ანგარიშს უწევდა მათ. **ლ. კ.**

1247. გიორგი ჯიბლაძე

რუსთაველის ესთეტიკური სამყარო

გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1966, 380 გვ.

წიგნი შედგება „წინასიტყვაობის“, „შესავლის“, სამი თავისა და რამდენიმე სტატიისაგან. „წინასიტყვაობაში“ საუბარია, როდის და რა ვითარებაში დაიწერა ეს წიგნი. „შესავალში“ მოკლედ და ზოგადად ნათქვამია, თუ რა კავშირი აქვს რუსთაველის ესთეტიკას ცნობიერების სხვა დარგებთან. სტატიაში „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“ (გვ. 9-41) ნაჩვენებია საკითხის ისტორია, უფრო – ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან მისი მიმართება.

მონოგრაფიის ძირითადი საკითხების განხილვას წინ უძღვის ნარკვევი: „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემატიკა“ (გვ. 9-41), რომელიც მოიცავს გიორგი ნადირაძის წიგნის „რუსთაველის ესთეტიკა“ (1958) მეცნიერულ შეფასებას და მისი წვლილის წარმოჩენას „ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიური და ეთიკურ-ესთეტიკური ასპექტებით კვლევაში.

პირველ თავში – „რუსთაველის ესთეტიკა“ (გვ. 42-162) ჯერ გადმოცემულია რუსთაველის შეხედულება „შაირობაზე“, მერე XVII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის დამოკიდებულება რუსთაველისადმი, სადაც გამოყოფილია ქვეთავები: „ფემანგის რეალისტური კონცეფცია“, „თეიმურაზ პირველისა და არჩილის შეხედულებანი“, „მამუკა ბარათაშვილისა და თეიმურაზ მეორის ესთეტიკა“ და „იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. ამის შემდეგ უშუალოდ დახასიათებულია მწერლის ესთეტიკა შემდეგი ქვესათაურებით: ა) „მხატვრული მონოლოგები, დიალოგები, თხრობის მანერა“, ბ) „ეპისტოლარული ხერხი“, გ) „გმირებისა და სიტუაციების მოქმედებაში ჩვენება“, დ) „მხატვრული დეტალები“, ე) „ლირიკული პასაჟები“, ვ) „პეიზაჟები და პანორამები“ და ზ) „აბორდაჟი“.

მეორე თავის თემაა „რუსთაველის პოეტიკა“ (გვ. 163-284), სადაც რუსთაველის პოეტიკის ზოგადი დახასიათების შემდეგ გვაქვს ქვეთავები: ა) „ალიტერაცია და რითმა“, ბ) „მაჯამა“, გ) „ანაფორა და ეპიფორა“, დ) „ლიტოტესი“, ე) „კლემაქსი“, ვ) „მონორიმი“, ზ) „ალუზია“, თ) „მეტაფორა, შედარება, ალეგორია“, ი) „კონტრასტი“, კ) „პერიპეტია“, ლ) „პარაცელაცია“, მ) „რემინისცენცია და „ავტორემინისცენცია“, ნ) „პროზაიზმი“, ო) „ოქსიმორონი“, პ) „რეტარდაცია“, ჟ) „მეტონომია“, რ) „ასინდეტონი“, ს) „ჰიპერბოლა“, ტ) „პოეტური ლეკუცია“, უ) „გრამატიკული ინვერსია“, ფ) „პოეტური ანტინომები“, ქ) „ანტითეზა“.

მესამე თავია „რუსთაველის ეტიკა“ (გვ. 285-337). აქაც ჯერ რუსთაველის ეტიკა ზოგადად არის დახასიათებული, შემდეგ გამოყოფილია ქვეთავები: ა) „ადამიანისა და სიკეთის ცნებები“, ბ) „სიყვარულის არსება და გამჟღავნება“, გ) „სიყვარული და მეგობრობა“, დ) „პატრიოტული გრძნობა“, ე) „მრისხანების გრძნობა“ და ვ) „რუსთაველური აღზრდის იდეები“.

ბოლოს, სათაურით „რუსთაველის განდიდება“ (გვ. 338-337) წარმოდგენილია სამი სტატია: „პოეტური კადენციები რუსთაველზე“, „რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატები“ და „რუსთაველი და თანამედროვეობა“.

ბ. დ.

1248. გ. ჯიბლაძე

**„ვეფხისტყაოსნის“
ფილოსოფიური ლირიკა**
გაზ. „კომუნისტი“, 1966, 31 ივლისი, გვ. 3.

როგორც მკვლევარი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არ არის პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკური ან პანთეისტური ფილოსოფიის წარმომადგენელი. რუსთაველს აზროვნების საკუთარი ფილოსოფია აქვს, რომელშიც მჟღავნდება იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფიური სკოლების ღრმა ცოდნა.

ნესტანის წერილის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ვარაუდობს, რომ ტყვე ქალის განწყობილებაში ნაგულისხმევია ნეოპლატონიკური სკეპტიციზმი, რომლის უდიდესი წარმომადგენელი საქართველოში იოანე პეტრიწი იყო; „როცა ნესტანი სიყვარულის ასპექტში **ცეცხლსა, წყალსა, მიწასა და ჰაერზე** ლაპარაკობს, მის ცნობიერებაში ეს ოთხი ელემენტი მართლაც ანტიკური გაგებით არის ასოცირებული სიყვარულთან“. გ. ჯიბლაძე გულისხმობს ემპედოკლეს კონცეფციას ბუნებაში განუწყვეტელი ცვალებადობის შესახებ, – ელემენტები ან ერთიანდებიან ან კიდევ ერთმანეთს საპირისპიროდ შორდებიან. ორი დიდი ძალა მოქმედებს – სიყვარულსა და სიძულვილისა, რომლებიც ქმნიან ბუნების იმ სურათს, იმ წესრიგს, რასაც ჩვენ საყოველთაოდ ვხედავთ.

მკვლევრის აზრით, ნესტანის სიტყვებში „უეჭველად არის ფილოსოფიური რემინისცენცია, რომელიც რუსთაველის ღრმა განათლებულობასა და მისი მხატვრული დიადემის მეცნიერულ სიღრმეზე მეტყველებს“.

გ. ა.

1249. გ. ჯიბლაძე

ადამიანისა და სიკეთის ცნებები
„ვეფხისტყაოსანში“
ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1966, სექტ., № 9, გვ. 1-6.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველის მსოფლმხედველობას, პოემის გმირთა შორის, ყველაზე მეტად ავთანდილი გამოხატავს. ამიტომ სწორედ მის სიტყვებშია განდიდებული ადამიანობა, ხოლო **კაცი** და **ადამიანი** სინონიმებად ქცეულან. ავთანდილი ყველაზე მეტად მოქმედი და მეტყველი გმირია. ავთანდილი იდეალური ადამიანია, რომელსაც კაცური კაცობის ყველა შესაძლო დადებითი თვისება შეუძენია.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი განადიდებს ადამიანის ისეთ ღირსებებს, როგორცაა: სამართლიანობა, სულიერი მხნეობა, მეგობრობა, სპეტაკი სიყვარული, მოვალეობის შეგნება, პირობის შესრულება, პატრიოტიზმი. ეს ცნებები ერთიანდება ზოგადის – **სიკეთის** ცნებაში.

რუსთაველს შემუშავებული აქვს მორალური დოქტრინა, რომელიც ქრისტიანულიდან მომდინარეობს, მაგრამ იგი ყოველთვის არ იცავს გაბატონებულ თვალსაზრისს და ანტიკონფესიული გზით მიდის.

გ. ა.

1250. გ. ჯიბლაძე

რუსთაველის ლირიკა

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 25 სექტ., გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ ეპიკური ხასიათის მიუხედავად, რუსთაველის პოემა აღსავსეა უნაზესი და ულამაზესი ლირიზმით, რომ რუსთაველის ლირიკული პასაჟები თუ გადახვევები ყველგან ორგანულია პოემის კომპოზიციაში, ყველგან კონკრეტულ სიტუაციას უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს. პოეტი არ ცდილობს ფაბულას დაშორდეს და ცალკე ლირიკული სიმღერა შექმნას, ლირიკა არ არის მისთვის თვითმიზანი. რუსთაველის ლირიკული პასაჟები ხან ავტორისეულ ტექსტს წარმოადგენს, ხან თხრობაშია ჩართული, ხან კიდევ მონოლოგის სახით გვევლინება. მკვლევარს მრავალი მაგალითი მოაქვს პოემიდან, როგორც ლირიზმის შედეგები, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად წერილის ავტორს მიაჩნია ავთანდილის ანდერძი, ახდენს მის სრულ ციტირებას და ვრცლად მიმოიხილავს. **ც. ჟ.**

1251. გ. ჯიბლაძე

უკვდავი სიმღერა

„რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), ქუთაისი, 1966, 25 სექტ., გვ. 1.

სტატიაში მოცემულია ზოგადი შეფასება რუსთაველის შემოქმედებისა. ავტორის თქმით, შოთა რუსთაველი უდიდესია როგორც პოეტი, მხტვრული სიტყვის ოსტატი, აგრეთვე – როგორც მეცნიერი – მოაზროვნე. იგი არამარტო თავისი დროის მეცნიერებათა დონეზე დგას, არმედ არაერთ საკითხში წინ უსწრებს და გენიალურ პროგნოზებს იძლევა...

„რუსთაველის პოეტური შემოქმედება ეროვნულიც არის და ზოგადკაცობრიულიც, მსგავსად მისივე ეპოქის კონგენიალური ოსტატებისა. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსანი“ თაობათა ფიქრებისა და აზრების შთამაგონებელ საგანს წარმოადგენდა“. **გ. ა.**

1252. გ. ჯიბლაძე

რუსთაველის ესთეტიკა

გაზ. „თბილისი, 1966, 27 სექტ., № 227, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველისათვის პოეზია ჭეშმარიტების ერთ-ერთი სახეა, „სიბრძნის დარგია“, ანუ ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკური განშტოებაა. ესთეტიკური შეხედულებები მოცემულია არა მარტო შესავალში, ისინი ჩანს მთელ პოემაში.

წერილში განხილულია პლატონისა და არისტოტელეს ესთეტიკა და რუსთაველის დამოკიდებულება მათადმი. აღნიშნულია, რომ რუსთაველი განუდგა ნეოპლატონიზმს, რომელიც თვით პლატონიზმის უკიდურესად იდეალისტური გადაამუშავებაა.

რუსთაველის ესთეტიკის ევროპულ პარალელებს მივყავართ ლეონარდოსა და მიქელანჯელოსთან. რუსთაველი განადიდებს ადამიანს და ქადაგებს ჰუმანიზმს, იგი სილამაზის იდეალსაც ადამიანთან აკავშირებს. **გ. ა.**

1253. გ. ჯიბლაძე

დიდოსტატი

გაზ. „კომუნისტი“, 1966, 30 სექტემბერი, № 223, გვ. 2.

ავტორი ყურადღებას მიაქცევს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ პეიზაჟებსა და ბუნების მოვლენებს და აღნიშნავს: „ყველგან და ყველაფერში ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა ზედმიწევნითი სიზუსტით იცის, რაც სურს და რის შესახებაც წერს, ზერელობას, საგნის სუსტ ცოდნას იგი არსად არ იჩენს. სამოქალაქო საქმეა თუ სამხედრო, ყველგან ჩვენს წინაშე დგას დიდად განათლებული ავტორი, რომელსაც ცხოვრების წვრილმანები და თავისი დროის მეცნიერების დეტალები ღრმად შეუსწავლია“.

მკვლევარი განიხილავს საზღვაო ბრძოლების ეპიზოდებს და დაასკვნის: სრულიად ნათელია, რომ რუსთაველმა შესანიშნავად იცის სამხედრო ხელოვნების ის ერთ-ერთი ტაქტიკური ხერხი, რომელსაც აბორდაჟი ეწოდება და რომელსაც მის დროს ფართოდ იყენებდნენ საზღვაო ბრძოლებში. **გ. ა.**

1254. გ. ჯიბლაძე

რუსთაველური აღზრდის იდეები

გაზ.: „სახ.განათლება“, 1966, 28 სექტ., გვ. 3; „Заря Востока“, 1966, 27 იულ., № 227, გვ. 2.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დიდაქტიკის დარგშიც თავისი დროის უაღრესად მოწინავე ადამიანად გვევლინება. პოეტმა, როგორც ღრმა მოაზროვნემ, შესანიშნავად იცის, რომ აღზრდამ ბუნებრივი მონაცემების არა მხოლოდ სრულყოფა უნდა შეიძლოს, მისი უძირითადესი მიზანია, კეთილი თვისებები – ცოდნა, სათნოება, მორალური სისპეტაკე მისცეს ადამიანს. სწორედ ამ თვისებების წყალობით აღწევენ პოემის გმირები თავიანთ მიზანს.

რუსთაველისათვის აღზრდა უმთავრესად ესთეტიკურ ფენომენსაც წარმოადგენს. პოემის რეალური ქვეყანაც უმთავრესად ესთეტიკური სამყაროა და რუსთაველი გვევლინება, როგორც ადამიანის მშვენიერი, იდეალური ცხოვრების დიდი ტრუბადური. **ი. კ.**

1255. ვ. ჯიბუტი

რუსთაველი გ. ტაბიძის პოეზიაში

გაზ.: „თბილისი“, 1966, 25 მაისი, № 12, გვ. 3; „Заря Востока“, 1966, 28 აგვისტო, № 197, გვ. 3.

ავტორი საუბრობს გ. ტაბიძის ლექსებზე, რომლებიც მიძღვნილია შოთა რუსთაველისადმი. გ. ტაბიძის ეს ლექსები გამოირჩევა ემოციური სიმძაფრით. განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“. აქ ტაბიძემ ღრმად გახსნა თავისი ესთეტიკური კონცეფცია და შეხედულება პოეზიაზე. განხილულია ლექსი

„შოთა რუსთაველი ზღვის პირად“. გ. ტაბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ჭეშმარიტად ხალხური ქმნილებაა, სიბრძნის უშრეტეი წყაროა, ხოლო რუსთაველი ეროვნული გენია, მსოფლიო მასშტაბის მწერალი, რომელმაც ომის წლებში ჩვენი სული მტერზე გამარჯვების რწმენით გამსჭვალა. ასეა წარმოდგენილი რუსთაველი ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. **ი. წ.**

1256. გ. ჯინჭველაძე

მედიცინა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „წითელი დროშა“ (ახალციხე), 1966, 9 აგვ., № 94, გვ. 24.

ავტორი იმოწმებს პოემის ადგილებს, რომლებიც ადამიანის ამა თუ იმ დაავადებას და მის განკურნებას ეხება და აღნიშნავს, რომ ეს ეპიზოდები გვიხატავს სხვადასხვა გუნება-განწყობილებას, განცდებსა და გრძნობებს, მათ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ნერვულ სისტემასა და ფსიქიკაზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში წარმოდგენილია მკურნალობის ბუნებრივი საშუალებები: წყალი, სისხლის გამოშვება, ჰაერზე გავლა, ცხენზე ჯდომა. მედიკამენტური მედიცინა „ვეფხისტყაოსანში“ არა ჩანს, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ XII ს-ის საქართველოში წამლებით მკურნალობა არ იცოდნენ. იმ დროს საქართველოში არსებობდა სპეციალური სამედიცინო წიგნები, ვარძიის ციხე-ქალაქში შემორჩენილია იმდროინდელი კლდეში გამოკვეთილი წამლების საცავი – აფთიაქი. **გ. ა.**

1257. პავლე ჯორბენაძე

„ვეფხისტყაოსნის“

ჟანრობრივი თავისებურებანი

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1966, № 5, გვ. 72-79.

ავტორი არ იზიარებს ალ. ბარამიძის და გ. ნადირაძის მოსაზრებას, რომელნიც ჰუგო ჰუპერტის შეხედულებაზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რაინდული რომანის (რიტერ რომან) ანალოგიური ჟანრია. მისი დასაბუთებით „ვეფხისტყაოსანი“ არ ჰგავს რაინდულ რომანს, არც იდეური შინაარსით და არც ფორმით. რუსთაველი უმღერის არა კურტუაზულ სიყვარულს, არამედ სავსებით მიწიერს, ამქვეყნიურ გრძნობას. მისი კომპოზიციური ხერხია არა რაინდის თავგადასავალი ფათერაკების ძეგნით, არამედ სატრფოს ძეგნა, თავისი გმირის, როგორც ადამიანის ჩვენება. რაინდული რომანები გასართობად იქმნებოდა და სრულიად არ ჰქონდა თანამედროვეობის ასახვის პრეტენზია. მის ცენტრში რაინდობის იდეალი იდგა, რომელიც არ ექვემდებარებოდა ეროვნულ თავისებურებებს და შორს იდგა ხალხის ინტერესებისაგან.

რუსთაველის პოემა არ შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე გაგებით წმინდა რეალისტურ ნაწაემოებად, როგორც ამას კ. კეკელიძე ან ალ. ბარამიძე ფიქრობენ.

„ვეფხისტყაოსნის“ რეალისტურობა ვერც იმით დადასტურდება, რომ პოემაში ვაჭართა ყოფის რეალისტური აღწერა არის, ან ფატმანის რეალისტური სახე. „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს ეპიკური პოემის ყველა ნიშან-თვისება, მისი პერსონაჟები გმირები არიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (იქვე). კლასიკური ეპოსიდან

მომდინარე ტერმინს „გმირს“ რომანში ანაქრონიზმის ხასიათი მიეცა. რომანის მოქმედი პირები სინამდვილეში ანტიგმირები ან ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც ვერ სცილდებიან პროზაულ სინამდვილეს. ზღვარი ეპიკურ პოემასა და რომანს შორის მკვეთრად ჩანს დროისა და ადგილის კატეგორიაშიც. რომანს ახასიათებს მათი კონკრეტულობა, ეპიკურ პოემას – არა.

ავტორის შეჯამებით, „ვეფხისტყაოსანი“ „მძლავრი ლირიზმით გამსჭვალული ეპიკურ-რომანტიკული პოემაა“ (ალ. ბარამიძე), რომელშიც იგრძნობა ფართო რეალისტური ნაკადი. იგი არც რაინდული რომანია, არც ლექსად დაწერილი რომანი, არც რომანი-პოემა და არც რომანი თანამედროვე გაგები. **გ. ი.**

1258. პ. ჯორბენაძე

მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1966, 4 სექტემბერი, № 171, გვ. 2.

წერილი ეხება რუსთაველით დაინტერესების ისტორიას საზღვარგარეთ. ნათქვამია, რომ პოემის თარგმანი შესრულებულია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე, რომ რუსთაველით დაინტერესებას შედეგად მოჰყვა ევროპის მთელ რიგ უნივერსიტეტებში ქართველოლოგიის კათედრების ჩამოყალიბება, სადაც დიდი ყურადღებით სწავლობენ ქართულ ენას, ქართულ ლიტერატურას, უპირველეს ყოვლისა „ვეფხისტყაოსანს“.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია: ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, შოტლანდიურ, პოლონურ, ჩეხურ, რუმინულ, უნგრულ, ფინურ, იაპონურ, ჩინურ, კორეულ, სპარსულ, თურქულ, ებრაულ ენებზე და რომ უცხოეთში ნაკლებად მოიძებნება განათლებული ადამიანი, რომელსაც ეს პოემა არ წაეკითხოს.

მაგრამ, ავტორის აზრით, რუსთაველის უბადლო ქმნილების ადეკვატური გადატანა სხვა ენაზე უძნელესი და ურთულესი ამოცანაა. ამის მიუხედავად, უეჭველია, საზღვარგარეთ კიდევ უფრო ახლოს გაიცნობენ, კიდევ უფრო შეიყვარებენ რუსთაველსა და მის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“. **გ. ე.**

1259. А. Джулабашвили

Недописанная история утерянного портрета

გაზ. „Заря Востока“, 1966, 10 სექტემბერი, № 208, გვ. 4.

ავტორი მოგვითხრობს რუსთაველის მოსე თოიძისეული პორტრეტის შექმნის ისტორიას.

ეს პორტრეტი მას ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეუსრულებია და გაუმრავლებია ლითოგრაფიული წესით. მოგვიანებით პორტრეტი დაკარგულა. მ. თოიძე ივანე ჯავახიშვილის დახმარებით ეძებდა მას და ბოლოს ფოტოკორექსონდენტ რ. აკოფოვის არქივში მიუკვლევი, მაგრამ ეს მხოლოდ ლითოგრაფიული გამოსახულებაა, რასაც გაზეთში აქვეყნებს სტატიის ავტორი და იმედოვნებს, რომ თუ ვინმესთვის ცნობილია პორტრეტის ადგილსამყოფელი, დაუყოვნებლივ აცნობებენ მას. **თ. ბ.**

1260. ლეონარდო ჯულაბაშვილი

რუსთაველის სახე პარიზის მსოფლიო გამოფენაზე

ჟურ. „პიონერი“, 1966, № 9, გვ. 6-7.

წერილი ეხება 1900 წელს პარიზში მოწყობილ მსოფლიო გამოფენას, სადაც ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ალ. ხახანაშვილს დაუწერია წიგნი „საქართველოს ისტორია“, რომელიც გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელს რაფიელ პეტრეს ძე ისარლიშვილს ფრანგულად უთარგმნია, შეუვსია და კომენტარები დაურთავს. გაკეთებულა ილუსტრაციები. მათ შორის შესანიშნავი ყოფილა მხატვარ ბუროვის შესრულებული შოთას პორტრეტი.

პარიზში ქართულ გამოფენას ბევრი მნახველი მიუზიდავს. მათ შორის ცნობილი კოლექციონერი და მხატვარი გუსტავ ფოხტიც, რომელმაც დახატა შოთას ფერადი პორტრეტი. ეს პორტრეტი გამოუფენიათ პარიზში, ტროკადეროზე, კავკასიის გამოფენის დარბაზში. გამოფენის დამთვალეიერებლები იძენდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულ ილუსტრაციებს, სუვენირებს და სხვ. შოთას ფოხტისეული სურათი შეუძენია კომერსანტ ბორან სელიმს და წაუღია სტამბოლში.

პარიზში გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ ერთი ეგზემპლარი სამახსოვრო წარწერით რ. ისარლიშვილმა პარიზიდან გამოუგზავნა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ნაშრომი, კერძოდ – შოთას პორტრეტი, მოიწონა და თავის ბიბლიოთეკაში შეინახა.

უფრო გვიან ეს წიგნი კოტე მარჯანიშვილისაგან ძღვნად მიუღია რეჟისორ კ. სტანისლავსკის. **ც. ჯ.**

1261. Г. Джурхадзе

Шота Руставели и наша действительность

გაზ. „Кутаисская правда“, 1966, 28 აპრილი, № 52, გვ. 2.

ავტორი საუბრობს ქართველი ხალხის დამოკიდებულებაზე რუსთაველისა და მისი პოემის მიმართ, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ომის წლებში. სწორედ პოემის სტრიქონები იქცა ქართველთა სიმამაცისა და რაინდული სულის მასაზრდოებელ ძალად. ავტორი იმოწმებს შ. ნუცუბიძის სიტყვებს: რუსთაველმა თავისი პოემით „სიმწიფის ატესტატი“ გადასცა ქართველ ხალხს. „ვეფხისტყაოსანში“ ის სიბრძნეა ჩაქსოვილი, ის კეთილშობილური იდეალებია ხოტბაშესხმული, რაც აგრერიგად დამახასიათებელი და სასურველი იყო ქართველი ერისთვის: მმადნაფიცობა, სამშობლოს სიყვარული, თავგანწირვა, ქალის თაყვანისცემა. სწორედ ამიტომ იყო იგი ყოველთვის პოპულარული და ახლობელი თითოეული ქართველისათვის. **თ. ხ.**

1262. [ე. ჰენრი] Эрнст Генри

Глазами XX века

გაზ.: „Лит. Газ.“, 1966, 24 სექტ., № 113, გვ. 4; „კომუნ.“, 1966, 29 სექტ., № 222, გვ. 3.

ავტორი წარმოგვიდგენს XII ს-ის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად სურათს, აღნიშნავს, რომ მეფეები და ფეოდალები ებრძვიან ერთმანეთს, ანადგურებენ მოსახლეობას და მატერიალურ-კულტურულ ფასეულობებს.

ყველგან სისხლი, რბევა და უსამართლობაა. იწყება მსოფლიო კონფლიქტები, ქრისტიანები უპირისპირდებიან მუსლიმანებს და ორივენი დედამიწაზე საკუთარი ბატონობის დამყარებას ცდილობენ.

ამ დროს საქართველო მძიმე და სისხლიმღვრელი ბრძოლების შემდეგ თავისუფლდება თურქ-სელჯუკი დამპყრობლებისაგან. მცირე ხნით დგება მშვიდობა და ახალი კრიზისის ზღურბლზე, მონღოლების შემოსევამდე, აქედან ისმის შოთა რუსთაველის საკვირველი და მხნე ხმა, ისეთი, როგორც იმ დროს არ ისმოდა მთელ ევროპაში.

რუსთაველის პოეზია გამოწვევაა შუა საუკუნეების პირქუში მისტიკისა. რუსთაველი ხმამაღლა ლაპარაკობს ადამიანების მისწრაფებაზე მიწიერი ბედნიერებისა და სიხარულისადმი. ეპოქაში, როდესაც ევროპა განათებული იყო ინკვიზიციის კოცონებით, ის წერს სიკეთეზე, გონიერებასა და სამართლიანობაზე. იმ დროს, როცა ევროპა და აზია მოცულია ომებით, ჯვაროსნული ლაშქრობებით, რუსთაველი, პირველი მსოფლიო ლიტერატურაში, ნიზამისთან ერთად გამოდის ხალხთა მეგობრობის მოწოდებით.

შოთა რუსთაველი მსოფლიო მასშტაბის ჰუმანისტია. მან ორნახევარი საუკუნით გაუსწრო აღორძინების ეპოქის მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეებს. **გ. ა.**

1263. როტისლავ ჰოფმანი

დიდი ინტერესითა და სიყვარულით

გაზ. „თბილისი“, 1966, 30 აგვისტო, № 203, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს საუბრისა და კითხვა-პასუხის მოკლე შინაარსს, რაც ფრანგ კომპოზიტორს როტისლავ ჰოფმანს ჰქონდა ა. მაჭავარიანთან, დ. თორაძესთან და ი. ნონეშვილთან. ჰოფმანს აღუნიშნავს, რომ ქართული კულტურის ისტორიისა და ხალხის ხანმოკლე გაცნობამაც კარგად დაარწმუნა, რომ „გენიალური რუსთაველი – შუასაუკუნეთა ეს კაშკაშა მნათობი – თქვენს ცაზე შემთხვევითი მოვლენა არ არის... საფრანგეთის რადიოსათვის 3-საათიან გადაცემას, ალბათ, პოეტის ეპოქასა და ცხოვრებაზე საუბრით დავიწყებ, წავიკითხავ ს. წულაძის თარგმანს, რომელიც მუსიკალურად იქნება გამართული, ვისაუბრებ ქართულ რენესანსზე, რომელიც უსწრებს ევროპულს.

დასასრულს, ჰოფმანს აღუნიშნავს, რომ ქართული ხასიათში მეგობრობისა და ვაჟკაცობის ხალას გამოხატულებაზე, ალბათ, დიდი წვლილი რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ მიუძღვისო. **გ. ი.**

დანართი

(აქ წარმოდგენილია ანოტაციები რამდენიმე ნარკვევისა, რომლებიც გამორჩენილია „რუსთველოლოგიური ლიტერატურის“ IV და V წიგნებში)

1. მზია ანდრონიკაშვილი

არაბული სიტყვების

სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში

თსუ-ს შრომები, 105, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, VI, 1965, გვ. 297-330.

როგორც ავტორი აცხადებს, არაბული წარმოშობის ლექსიკური ელემენტების უმეტესობა გზას იკავავს ქართულში სპარსულის (ნაწილობრივ თურქულის) მეშვეობით XI-XII საუკუნეებიდან. აღნიშნული სიტყვების გამოვლენის მიზნით მან შეისწავლა ძველი ქართული ძეგლები IX-X ს-დან XVII საუკუნემდე, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნის“, „ვისრამიანის“ და „ამირანდარეჯანიანის“ ლექსიკა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია არაბულ-სპარსული ლექსიკური ელემენტების ერთი ნაწილი და გამოთქმულია დაკვირვებანი ფონეტიკურ შესატყვისობაზე არაბული სიტყვების შემოსვლის გზასთან დაკავშირებით.

ეს ლექსიკური ერთეულებია: ალაფი, ალუა, ასაბადი, ასაბია, ალლუმი, ეტლი, თამაში, კაბათენი-კამათლები, ლამაზი, ლაყფობა, მულარაბარად, მაყარი, მახალი, მუშაითი, მუზარადი, მულიმი, მუყრი, მემაჯანი, მუქასარი, მუხაერი, ტრფიალობა, ყოლბი, შარი, შაშარი, ხარაბათი, ხასიათი, ხაზი, ჯალაბი. სიტყვებს, რომლებიც იძებნება „ვეფხისტყაოსანში“, ახლავს შესაბამისი საი-ლუსტრაციო ტაეპები.

ნაშრომის დასასრულ ავტორი ასკვნის, რომ გარკვეული რაოდენობა არაბული სიტყვებისა, დადასტურებული „ვისრამიანში“, „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებში, თავისი ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით უფრო ახლოს დგას ამოსავალ არაბულ ფორმებთან, ვიდრე სპარსულ ნასესხებთან.

ლ. კ.

2. ლევან ბრეგაძე

რუსთაველის

აფორიზმები ფრანგულ ჟურნალში

კრებ. „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, შემდგენლები: ტ. ჭანტურია, ვ. ჯავახაძე; რედ. ჯ. ჩარკვიანი, თბ., 1980, გვ. 230-231.

ავტორი აღნიშნავს, რომ იონა მეუნარგიამ XIX ს-ის 80-იან წლებში ფრანგულად გადათარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი. თარგმანი ამჟამად დაკარგულად ითვლება. ისიც ცნობილია, რომ თარგმანის გამართვაში ი. მეუნარგიას ეხმარებოდნენ უცხოელები – ა. ზუტნერი და ჟ. მურიე.

ჟ. მურიე 1889–1902 წლებში თბილისში გამოსცემდა ჟურნალს ფრანგულ ენაზე: „ლე კოკაზ ილლუსტრე“, მაგრამ მასში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი არ დაბეჭდილა (გამოქვეყნდა მხოლოდ შ. რუსთველის ბიოგრაფია და მისი ორი პორტრეტი).

ჟურნალის ორ ნომერში (1889–90 წწ., № 6, 7) დაბეჭდილია ფრანგულად თარგმნილი ქართული სენტენციები და ანდაზები, რომელთა შორის არის შ. რუსთველის სამი აფორიზმიც: 1. „რასაცა გასცემ, შენია...“, 2. „ლევკი ლომისა სწორია...“, 3. „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...“.

მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს აფორიზმები შეიძლება იყოს ი. მეუნარგია-სეული აწ დაკარგული თარგმანიდან. გ. ა.

3. ირაკლი გოგოლაური

საჭირო წიგნი

(„შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“)

გაზ. „არაგვი“ (დუშეთის რ-ნი). 1992, 17 ნომბ., № 141, გვ. 1.

რეცენზიაში მოკლედაა განხილული ქვესათაურში დასახელებული გ. არაბულის წიგნი (თბ., 1992), აღნიშნულია, რომ მასში გაანალიზებული და სათანადოდ შეფასებულია ზეპირი გადმოცემები, წერილობითი წყაროები და მკვლევართა ნაშრომები შოთა რუსთველის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც ქართულ საისტორიო და ფილოლოგიურ დარგებში დაგროვდა XVII საუკუნიდან XX საუკუნის ბოლომდე.

რეცენზენტის თქმით, წიგნის ავტორი წარმოგვიდგენს იმ გრძელ გზას, რომლის გავლითაც ხდებოდა რუსთველის დავიწყებული ბიოგრაფიის აღდგენა; გვიჩვენებს, თუ როგორ ცვლიდა ერთიმეორეს ან ერთდროულად არსებობდა პოეტის ბიოგრაფიის რამდენიმე ვერსია.

რეცენზენტი დაასკვნის, რომ გ. არაბულის წიგნი საკვლევია პრობლემის ირგვლივ არსებული ცოდნის შემაჯამებელი ნაშრომია და ის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული დარგების სტუდენტებისათვის. ნ. მ.

4. ნანა გონჯილაშვილი

შოთა რუსთაველის პოემის სათაურის სახისმეტყველება

ჟურ. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4, გვ. 30-51.

ვრცელი მსჯელობის შედეგად ავტორი ასეთ დასკვნას აყალიბებს: პოემის სათაური – „ვეფხისტყაოსანი“ – მრავალპლანიანი სიმბოლიკის შემცველია:

1. **ვეფხვი** – მშვენიერი ვეფხვი, ვითარცა მშვენიერი ნესტანის სახე; „პირგამეხებული ვეფხი“ – სატრფოს შეურაცხყოფილი სიამაყის, შეუვალობის სიმბოლო. ეს სახე – ხატი მიგვანიშნებს თავის არქეტიპზე – „უწყალო ჯიქზე“.

2. **ვეფხვის ტყავი** – (ტარიელისათვის) სიმბოლო ნესტანისეული უსაზღვრო, ყოვლისმომცველი სიყვარულისა. ის აერთიანებს... ტარიელის ველად გაჭრას და ნესტანისეული მიკროსამყაროთი შემოზღუდვას; სიცოცხლით შემოსვას და სიკვდილთან მიახლებას...

3. ვეფხვის ტყავის სამოსი, ვეფხვის ტყავის ნატები და ქვაბი ნესტანისადმი პროექციაა ტარიელისათვის განკუთვნილ სივრცესა და დროში.

4. ვეფხვის ტყავით შემოსვას ეძებნება ბიბლიური არქეტიპი – სამოთხიდან დევნილი ადამ და ევას ტყავის სამოსი...

5. **ვეფხისტყაოსნობა** მრავალსაფეხურიანი სიმბოლოს დასკვნითი აკორდია; იგი ტარიელის ტრაგიკული სიყვარულის სიმბოლოა; ველად გაჭრა და „ხელობაა“, სულის ნავთსაყუდელის ძებნა და ხსნის პირობაა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.

გ. ა.

5. ხეთისო ზარიზე

სარგის თმოგველი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4, გვ. 71-82.

ავტორის მიზანია დააზუსტოს „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების ე. წ. ინდო-ხატა-ელთა და ინდო-ხვარაზმელთა ამბების ავტორის ვინაობის, ამ დამატებების შექმნის პირობებისა და ქრონოლოგიის საკითხები. იგი განიხილავს ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვას, კ. კველიძის, ი. აბულაძის, ა. ბარამიძის, ს. ცაიშვილის, შ. ონიანის, ბ. დარჩიას მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხებზე.

მკვლევრის დაკვირვებით, ინდო-ხვარაზმელთა ამბის პროლოგსა და ეპილოგში მოცემული ცნობებიდან იკვეთება აზრი, რომ პროზაულად არსებული ხვარაზმელთა ამბის ლექსად გაწყობის სურვილი ჰქონია სარგის თმოგველს, მაგრამ ამ განზრახვის შეუსრულებლობის მიზეზი გამხდარა თმოგველთა გვარის ტრაგიკული ხვედრი XIII ს-ში. უცნობი პოეტის მიერ ეს მონაკვეთი გაულებსავთ, სავარაუდოდ, არა უადრეს XIV ს-ის შუა წლებისა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.

გ. ა.

6. მარიამ კარბელაშვილი

ვლადიმერ იაკობის ძე პროპი და მისი

„ზღაპრის მორფოლოგია“

წინასიტყვაობა ვ. პროპის დასახელებული წიგნის ქართული თარგმანისა, თბ., 1984, გვ. 4-21.

მთარგმნელი წერს: „ზღაპრის მორფოლოგიისადმი“ ინტერესი ჩემმა რუსთველოლოგიურმა ინტერესმა განსაზღვრა. „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურის შესწავლამ თავისთავად დააყენა კომპოზიციის შესწავლის საკითხი, რისთვისაც საჭირო შეიქნა პოეტიკის რიგ თეორიულ ნაშრომთა გაცნობა. მათგან განსაკუთრებით საყურადღებო ვ. ი. პროპის ეს ნაშრომი აღმოჩნდა.

„...მუშაობის პროცესში ჩემთვის სრულიად უეჭველი გახდა, რომ რუსთაველის პოემის სიუჟეტს ჯადოსნური ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია, მისი „მზიდი კონსტრუქცია“, ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის მოდიფიკაციაა გენიალური შემოქმედის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად“ (გვ. 19-20). იქვე მითითებულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბის“ ნომრები, სადაც ეს საკითხი მკვლევარს განხილული აქვს უფრო ვრცლად.

გ. ა.

7. მ. კარბელაშვილი

**„ვეფხისტყაოსნის“
კომპოზიციის საკითხისათვის**

საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 1986, ტ. 122, № 2, გვ. 437-440.

ავტორი აყენებს საკითხს: მიკვლევულ და განმარტებულ უნდა იქნეს ის კომპოზიციური სისტემა, რომელსაც დასახელებული პოემა განეკუთვნება.

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის შემოქმედებითი გადამუშავებაა. პოემის კომპოზიცია არის პერსონაჟთა ფუნქციების თანამიმდევრობა იმ რიგით, რომელიც პოემაშია მოცემული. ამრიგად, მისი კომპოზიცია ტარიელისა და ავთანდილის ფუნქციათა მონაცვლეობაზეა აგებული. ახალი დროის მსოფლიო ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ორგანიზირებული ნაწარმოებია. ეს პრინციპული სიახლე ავტორის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრით არის განპირობებული, ამდენად „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური კომპოზიცია არ შეიძლება არსებულიყო რუსთაველამდე. აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ რუსთაველის თხზულების სიუჟეტი, როგორც უნიკალურ ფენომენი, მხოლოდ თამარის დროინდელ საქართველოში შეიძლება შექმნილიყო და იგი ისტორიული კატეგორიაა.

სტატიას ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

8. მ. კარბელაშვილი

**შოთა რუსთაველისა
და ყუთლუ-არსლანის იდენტიფიკაციის საფუძვლები
(ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან)**

საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 1991, ტ. 141, № 2, გვ. 441-444.

შოთა რუსთაველისა და ყუთლუ-არსლანის იგივეობის საფუძველს მკვლევარი შემდეგ გარემოებებში ხედავს: 1) დასახელებული ორივე პიროვნება თანამედროვენი არიან; 2) ორივე თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესია; 3) ორივეს ბიოგრაფია ბურუსით არის მოცული; 4) არ არსებობს რაიმე პირდაპირი ცნობა მათი საგვარეულო ჩამომავლობის, ვინაობა-სადაურობის შესახებ; 5) სხვადასხვა ვარაუდით, ორივე პიროვნება დიდგვაროვანია; 6-7) ორივე მათგანის საგვარეულოს კვლევა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებული არგუმენტაციით სამძივართა გვარს დაუკავშირდა. 8-9) ორივე მეჭურჭლეთუხუცესს ერთნაირი ბრალდება აქვთ წაყენებული „სპარსულისადმი“ მიკერძოების კოდური ფორმულით: ყუთლუ არსლანს – პოლიტიკური, შოთას – იდეოლოგიური (resp. კონფესიური) თვალსაზრისით.

დასკვნის სახით მკვლევარი წერს: გამოდის, რომ შოთა რუსთაველიც და ყუთლუ-არსლანიც სამძივართა საგვარეულოს ჩამომავალნი არიან. მათი გაიგივება განმარტავს ტრადიციულ გადმოცემას შოთა რუსთაველის საქართველოდან გადახვეწისა თუ განდევნის შესახებ და ქართულ მწერლობაში მასზე სრულ დუმილს რამდენიმე საუკუნის მანძილზე.

სტატიას ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

9. მ. კარბელაშვილი

**Rustaveli's Poem „The Knight in the Panther's Skin“
within the Context of Comparative Studies**

საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 1996, 153, № 3, გვ. 474-478.

მ. კარბელაშვილი არამართებულად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსნის“ განხილვას აღმოსავლური, კერძოდ – სპარსული ლიტერატურის კონტექსტში. მკვლევარი მიმოიხილავს ნ. მარის, ვ. შიშმარიოვის, ე. მელეტინსკის ნაშრომებს ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ და მათი არგუმენტებისა და მსჯელობის მიხედვით აყალიბებს აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე შექმნილი თხზულება, მსგავსია XII ს-ის ევროპული სარაინდო რომანისა. მისი დასკვნით, დადგა დრო საბოლოოდ გადაილახოს „ვეფხისტყაოსნის“ „სპარსულობის“ უსაფუძვლო თეორია და რუსთაველის თხზულება განხილულ იქნას მისთვის ბუნებრივი და ორგანული ევროპული ლიტერატურის კონტექსტში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

გ. ა.

10. მ. კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და წმინდა გრაალის თემა

(ტიპოლოგიური პარალელი)

გ. ახვლედიანის სახ. ენათმეცნ. ისტ. საზოგ. და ს.ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმ. პედ. უნივერ. ქართ. ენის კათედრის თანამშრომელთა სამეცნ. სესია, მიძღვნილი ანტონ პირველი (ზაგრაციონის) დაბადებიდან 275-ე წ-სადმი. თეზისები. აპრ. 23-25. თბ., 1996 წ., გვ. (16-17).

1) სპეციალურ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ აღიარებულ პარალელად დასავლეთევროპული სარაინდო რომანი, სახელდობრ, არტურის ანუ წმ. გრაალის ციკლის რომანები ითვლება. ამავე დროს XII საუკუნეში ქართულ და ევროპულ საერო ლიტერატურათა შორის პირდაპირი კონტაქტები არ დასტურდება, ამიტომ აპრიორულად ითვლება, რომ შოთა რუსთაველის პოემასთან შესაპირისპირებლად მეტ საფუძველს იძლევა სპარსული ლიტერატურა. ეს თეზისი სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს.

2) ლიტერატურათა შედარებით-ისტორიული შესწავლისთვის ის კატეგორიებია ანგარიშგასაწევი, რომლებიც არსებითად ერთმანეთის ადექვატურია: ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტიპოლოგიურ ანალოგიებს, რომელთაც რელიგიური, იდეოლოგიური, ფილოსოფიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავს.

3) არტურის ციკლის რომანებში (კრეტიენ დე ტრუა, ვოლფრამ ფონ ეშენბახი) უმთავრესია წმინდა გრაალის მოტივი, რომელიც ამავე დროს ქალის კონცეფციასაც უკავშირდება ამ ავტორთა შემოქმედებაში. წმინდა გრაალის მოტივი ქრისტიანულ სიმბოლიკას შეიცავს და პიროვნების ზნეობრივი სრულყოფილების პრობლემას ეხება. ეს იდეა დასტურდება შავთელის „აბდულმესიანში“: „წმინდა ბარძიმი ერთა განსაწმედ“ (72, 2).

4) წმ. გრაალის მეტაფორულ სიმბოლიკაში უპირველესი და არსებითი ნიშანი სასმელ-საჭმელის უხვად გაცემაა. ამ მეტაფორის განმარტებისთვის მნიშვნელოვანია

ეგრემ ასურის „სინანულისათვის“. იგი არა ხორციელი, სულიერი რიგის მოვლენაა, ეს სულიერი საჭმელ-სასმელია, რომელიც „განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა მისთა“.

5) წმ. გრაალის ანალოგიური მოტივი „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ასახული: თინათინის გამეფების გრანდიოზულ სცენაში როსტევეანის ფართოდ ცნობილი სიტყვების – „სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია“ (50, 3) – პირდაპირი აზრით გაგება უაღრესად ბანალურ შინაარსს შეიცავს. მის საპირისპიროდ კი მათი მეტაფორული ინტერპრეტაცია თავისი არსით წმინდა გრაალის იდეალის ადექვატურია და განიმარტება როგორც ღმერთთან ანუ უმაღლეს მორალურ აბსოლუტთან ზიარება. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძე მის მომდევნო ტაეპს („რასაცა გასცემ შენია, რას არა – დაკარგულია“) ასევე ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე განმარტავს.

6) მრავლმხრივ საყურადღებოა, რომ წმ. გრაალი იდეურ-მხატვრულ არსს უშუალოდ უკავშირდება ქალის კონცეფცია: შავთელთან – თამარ მეფე, რუსთაველთან – თინათინი, გრაალის ციკლის რომანებში – ქალწულთა პროცესია. ამ თვალსაზრისით შოთა რუსთაველის, კრეტიენ დე ტრუას, ვოლფრამ ფონ ემენბახის კონცეფციათა შეპირისპირება საყურადღებო შედეგებს მოგვცემს.

11. მ. კარბელაშვილი

ქალის კონცეფცია წმინდა გრაალის სიმბოლიკის ასპექტში

(ქართული პარალელები პრობლემისათვის)

Theb Conception of Woman in the aspect of hte Grail Simbolycs

(Georgian Parallels for hte Problem)

საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 1997, 156, № 2, გვ. 346–349.

შუა საუკუნეთა ევროპაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა წმ. გრაალის თემა, რომელიც შოთა რუსთაველის თანამედროვის კრეტიენ დე ტრუას ფანტაზიამ შექმნა. ამ თემამ განსაკუთრებული ჟღერადობა გერმანელი რომანისტი ვოლფრამ ფონ ემენბახის „პარციფალში“ (1200-1210 წწ.) შეიძინა.

„პარციფალში“ წმინდა გრაალთან დაკავშირებულ პრობლემათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქალის კონცეფცია: წმინდა გრაალის ზიდვა მხოლოდ უბიწო ქალწულს შეუძლია; ამ კონცეფციით ქალს ენიჭება მედიატორის როლი ღმერთსა და კაცს შორის.

საყურადღებოა, რომ დასავლეთ ევროპული წმინდა გრაალის ქართულ ანალოგს „აბდულმესიაში“ მოხსენიებული „მადლთა ბარძიმი“ წარმოადგენს, რომელიც ასევე ქალს – თამარ მეფეს უკავშირდება. შავთელის თქმით, თამარ მეფე არის „მადლთა ბარძიმი ერთა განსაწმედ“. აქაც ეთიკურ-მორალურ ღირებულებებზე კეთდება აქცენტი.

რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ წმინდა გრაალის თემა მისთვის ჩვეული ენიგმატური სტილით ასახა: ესაა „სმა-ჭამა დიდად შესარგი“, რაც ნიშნავს ღმერთთან ზიარებას ზნეობრივი სრულყოფის გზით.

დიდი ხნის მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ და დასავლეთევროპული სარაინდო რომანის შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა და შესწავლა იგნორირებული იყო, თუმცა პერსპექტიული ჩანს.

მ. კ.

12. ციალა კახაბრიშვილი

მესხ მელექსეზე „თქმული“

„მრავალთავი“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. კრებული), X, თბ., 1983, გვ. 167-188.

მკვლევარი უარყოფს რუსთველოლოგიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს, რომ „ვინმე მესხი მელექსე“ არის „ვეფხისტყაოსნის“ რუსთველისეული სიუჟეტის გამგრძელებელი, სავარაუდოდ – „გმირთა გარდაცვალების ამბის“ ავტორი. მკვლევარმა იგი მიიჩნია პოემის ვრცელი რედაქციის გადამწერად და მასზე ლექსითი ანდერძის დამრთველად. ეს დასკვნა ემყარება იმ ფაქტს, რომ სიტყვა „ვწერ“ ძველ ქართულში უმთავრესად გადაწერას გულისხმობდა; მხატვრული ან სამეცნიერო ხასიათის ძეგლების შექმნის აღსანიშნავად კი იხმარებოდა ტერმინები „აღწერა“ და „თქმა“.

სტატიას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.

გ. ა.

13. ც. კახაბრიშვილი

რას ამბობს მესხი მელექსე?

„მრავალთავი“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. კრებული), XVIII, თბ., 1999, გვ. 363-370.

ავტორი აღნიშნავს, რომ აკად. ალ. ბარამიძემ არ გაიზიარა მისი 1983 წელს გამოთქმული ძირითადი დასკვნა „მესხი მელექსეს“ შესახებ და, ზოგადად, სიტყვა „წერის“ გამოყენების ფარგლების შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში.

ც. კახაბრიშვილი დამატებით განმარტავს, რომ XVIII საუკუნესა და XIX ს-ის პირველ ნახევარში მწიგნობართა და ლიტერატორთა წრეებში „მესხი მელექსე“ ყველას პოემის ტექსტის გადამწერად მიაჩნდა. მას შემდეგ, რაც ტერმინოლოგიაში მოხდა ცვლილება (XIX ს-ის 60-იანი წლებიდან), „თქმა“ განიდევენა ხმარებიდან და გადამწერის აღმნიშვნელი ტერმინი „წერა“ ავტორის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ამის კვალობაზე, „ვინმე მესხი“ თვით რუსთველად მიიჩნის – ნ. მარმა, შ. ნუცუბიძემ, შემდეგ – პ. რატიანმა, ხოლო კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ალ. ბარამიძემ მას პოემის გაგრძელებათა გალექსვა მიაწერეს.

მკვლევრის აზრით, ორივე დებულება დაუსაბუთებელია. „მესხი მელექსე“ მხოლოდ გადამწერია პოემის ერთ-ერთი ვრცელი ვერსიისა.

სტატიას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.

გ. ა.

14. მაგდანა კობეშავიძე

ტარიელის სახისა და სახელის მიმართებისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4, გვ. 51-59.

„ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე სტროფის სუბიექტური ინტერპრეტაციის საფუძველზე ავტორი თითქოს პოულობს ტარიელში მსგავსებას (საერთო ნიშნებს) ადამის ღვთაებრივ ძესთან – ქრისტესთან. მისი თქმით, ტარიელი ფლობს ადამიანურ გონებას და მასთან ერთად – ღვთაებრივ ინტუიციასაც.

გ. ა.

15. მერაბ რობაქიძე

„წყენაო ჭირთა ბადე“ ვეფხისტყაოსანში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4, გვ. 60-62.

ავტორი განმარტავს მოცემული გამოთქმის აზრს 815-ე სტროფში მოცემული კონტექსტის მიხედვით, რომ წყენა ადამიანში იწვევს „ჭირის“ ისეთ გამოვლინებას, როგორცაა მწუხარება ან გაბრაზება, აღელვება, მრისხანება. მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ ი. აბულაძეს (1926), ვ. ჭიჭინაძეს (1934) და მ. წერეთელს (1963) უმჯობესად მიუჩნევიათ კონიექტურა: „ჭირთა მბადე“, რაც დაფიქსირებულია მათს გამოცემებში.

გ. ა.

16. აპოლონ სილაგაძე

რუსთველური ლექსი

ავტორის წიგნში – „ქართული ლიტერატურის ისტორია როგორც სისტემა და ლიტერატურული ნორმების საკითხი“, თბ., 2000, გვ. 34-56.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთველური ლექსი – ეს არის ფორმა, დამყარებული ორი მეტრის, დაბალი და მაღალი შაირის, ფაკულტატურ მონაცვლეობაზე. თუმცა იგი რუსთველის კუთვნილება არ არის; ყველა მეტრი ქართული ლექსთწყობის საკუთრებაა, ყოველ მათგანს განეკუთვნება თავისი ადგილი სისტემაში, ხოლო დიაქრონიში – რეალიზაციის თავისი დრო.

საწინააღმდეგოდ ტრადიციული აზრისა, რომლის მიხედვითაც გვაქვს ერთი მეტრის ორი რიტმი, ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ დაბალი და მაღალი შაირი სხვადასხვა მეტრია (ასევე მიაჩნიათ ა. გაწერელიას [1962] და დ. სლივნიაკს [1985]. „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად და მისი ყოველი მონაკვეთი სათითაოდ აგებულია ორსაზომიან წყობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ:

1) რუსთველური სალექსო ფორმა ორი საზომის შერევაზე დამყარებული პოლიმეტრულობაა;

2) რუსთველური ლექსი პირველი ქართული პოლიმეტრული ფორმაა.

ეს ფორმა გაბატონებული იყო XVII საუკუნემდე. შეგნებულად მისგან თავის დაღწევა სცადეს: თეიმურაზ I-მა, არჩილმა, ს-ს. ორბელიანმა და დ. გურამიშვილმა.

გ. ა.

17. რევაზ სირაძე

რუსთველის ესთეტიკიდან

ავტორის წიგნში – „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, თბ., 1978, გვ. 207-232.

როგორც მკვლევარი წერს, რუსთველის ესთეტიკას ორმხრივი გაგება აქვს: რუსთველის ესთეტიკური შეხედულებანი და რუსთველის მხატვრული სამყარო. ტრადიციულად რუსთველის ესთეტიკის ამა თუ იმ მხარის შეფასება პოეტის მსოფლმხედველობას უკავშირდებოდა. თანემედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის მოთხოვნით გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ პოეტის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობითი ტენდენციები მთლიანად არ ემთხვევა და შეიძლება უპირისპირდება კიდევ თავისივე ესთეტიკურ იდეალებს.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში („დასაწყისი“) გამოთქმული თეორიული მოსაზრებანი შემდეგ საკითხებზე:

1. პოეტური შთაგონების წყა-რო,
2. პოეტური შემოქმედების ელემენტები,
3. პოეტური შემოქმედების საგანი,
4. მიჯნურის ესთეტიკური იდეალი,
5. შაირობის განმარტება,
6. შაირობის ჟანრობ-რივი კლასიფიკაცია.

შემდეგ ცალკე სათაურით: „სიბრძნის დარგი“ (გვ. 220-232) წარმოდგენილია შაირობის (პოზიის) დამოკიდებულება სიბრძნესთან („შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი...“, 12), მისი გააზრება და განმარტება ვახტანდ მეექვსის, პ. ინგოროყვას, მ. გოგიბერიძის, ს. იორდანიშვილის, გ. ნადირაძის და პოემის პოეტურად მთარგმნელების – ნ. ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის მიერ. **გ. ა.**

18. ლეონ ფირცხალავა

ამირანის მითისა და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართება *ჟურ. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4, გვ. 63-70.*

ნარკვევში განხილულია ამირანის ცნობილი მითისა და რუსთაველის თხზულების ურთიერთმიმართება. ავტორის დასკვნით, ფაბულის ელემენტების შედარებით შესაძლებელი ხდება ღრმა ურთიერთკავშირის გამოვლენა; დგინდება სიუჟეტური მსგავსება, ტიპოლოგიური პარალელები.

მითისა და პოემის პერსონაჟების ფუნქციისა და როლის, აგრეთვე საერთო მოტივებისა და სიმბოლური ონომასტიკის შესწავლით თვალსაჩინო ხდება მოქმედი პირების მსგავსება და იდენტურობა: ამირანს უტოლდება ტარიელი, ყამარს – ნესტან-დარეჯანი, უსუპს – ავთანდილი, ბადრის – ფრიდონი. **გ. ა.**

პირთა და ეთნონიმთა საძიებელი
(რიცხვი აღნიშნავს სტატიის ნომერს)¹

ა

აბაევი ვ.	1.	ამირანაშვილი შ.	52-54, 302, 393.
აბაშიძე გრ.	2-5.	ამიროვი ფ.	885.
აბაშიძე ირ.	6-17, 237, 432, 675, 835.	ანასაშვილი ა.	56.
აბაშმაძე ვ.	18-22.	ანასაშვილი მ.	55.
აბდულინი ხ.	23.	ანდერსონი ე.	455.
აბესაძე რ.	24.	ანდრადე კ.	612.
აბზიანიძე გ.	25, 26.	ანდრიაშვილი ი.	430,431.
აბრამია	34.	ანდრონიკაშვილი მ.	დან. 1.
აბრამიშვილი ა.	27, 652.	ანდრონიკაშვილი ნ.	28.
აბრამიშვილი ვ.	28	ანდრონიკოვი ი.	57-59, 968, 976, 1150.
აბულაძე გ.	29-41.	ანდლულაძე ბ.	69.
აბულაძე ილ.	32.	ანდლულაძე ლ.	60-68, 118.
აბულაძე მ.	33.	ანთაძე თ.	70, 71.
აბუ ლ-ფარაჯი	628.	ანთიძე ა.	72.
აგუმა კ.	853.	ანტოკოლსკი პ.	73, 74.
ადალისი ა.	35.	ანტონოვსკაია ა.	75, 76.
ადეიშვილი შ.	36, 37.	ანტონ ჭყონდიდელი	900.
ადჰამსი ა.	534, 535.	აპრესიანი გ.	77.
ავალიშვილი ავალ	493.	არაბი / არაბული	დან. 1.
ავალიშვილი აკ.	38.	არაბული გ.	78-81, 271, დან. 3.
ავალიშვილი გ.	516.	არაბული შ.	82.
ავალიშვილი ზ.	131, 728, 1190.	არაგონი ლ.	83, 84.
ავალიშვილი იოანე	158, 493.	არაყიშვილი დ.	845, 893, 1232.
ავთანდილ შოთაძე	676.	არდიშვილი ლ.	85.
ავთანდილი (ვტ.)	169, 512, 1249.	არევაძე ბ.	86.
ავჩიანი ს.	328, 916.	არველაძე ს.	87.
აკერმანი ნ.	39.	ართილაყვა ა.	88.
აკოფოვი რ.	697, 745, 1259.	არისტოტელე	1248.
ალავიძე მ.	40-47.	არსენ იყალთოელი	381.
ალანია ნ.	48.	არსენიშვილი ე.	89-91.
ალბერტი რ.	874, 960.	არსენიშვილი ჩ.	92.
ალექსანდრე (იმერეთის მეფე)	312.	არსენიძე რ.	93.
ალექსანდრე III (იმპერატ.)	97, 652.	არსენიძე შ.	94.
ალექსევი მ.	703.	არტური	დან. 10.
ალექსიძე ა.	49.	არშბა თ.	95, 96.
ალექსიძე რ.	50,51.	არჯევანიძე გ.	63.
ამაშუკელი ე.	912.	არჯევანიძე ი.	97.
ამინ-ზადე მ.	534.	ასათაშვილი გ.	98.
ამირანი (მითი)	დან. 18.		

1. შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები საძიებელში მითითებულნი არიან არასრულად.

ასათიანი გურამ	99.
ასათიანი გ. (რეჟის.)	674, 1035, 1076.
ასათიანი შ.	216, 701.
ასანიძე პ.	100.
ასატური გ.	327, 328, 798, 914, 947.
ასლანიშვილი ვ.	174, 1101.
ასლანიშვილი ი.	174, 1101.
ასმათი (ვტ.)	139, 209, 256, 399, 629.
ასფალგი ი.	101, 868, 978, 1024.
აუშტრიანი ა.	113.

აფანასიევა ე.	102.
აფაქიძე ლ.	103.
აფხაზავა ნ.	104.
აფხაძე შ.	105.
აღაიანი ყ.	1214.
აწრელიძე იაკობ	900.
ახვლედიანი გ.	106, 107.
ახვლედიანი ხ.	108.
ახმეტელი მ.	109.
ახმეტელი ს.	1097.
ახპატელოვი რ.	1110.

ბ

ბ. ი. (იო. ნ.)	112.
ბაბუნაშვილი დ.	111.
ბაბურიანი მ.	113.
ბაგრატიონი ანტონ	356, 777.
ბაგრატიონი გ. ა.	694.
ბაგრატიონი გრ. ი.	27.
ბაგრატიონი დ. გ.	739.
ბაგრატიონი ვახტანგ (VI)	222, 237, 972.
ბაგრატიონი თეიმ.	1069, 1117-1120.
ბაგრატიონი თეკლა	94, 499.
ბაგრატიონი ივანე (გრუზინსკი)	27.
ბაგრატიონი იოანე	27, 516.
ბაგრატიონი ირ.	1138.
ბაგრატიონი იქრ.	1127.
ბაგრატიშვილი ქ.	114.
ბაგრიანა ე.	703.
ბადრი (ამირანის მითი)	დან. 18.
ბაკურაძე ბ.	115, 116.
ბალახაშვილი ი.	117.
ბალმონტი კ.	118, 119, 986.
ბალმონტ-ბრუნ ნ.	120, 121.
ბალუაშვილი ვ.	122.
ბანძელაძე შ.	123.
ბაჟანი მ.	124-126, 838.
ბარათაშვილი ნ.	61, 107, 237, 592, 741.
ბარათაშვილი ქ.	127.
ბარამიძე ალ.	41, 128-149, 835, 941, 1115, 1257, დან. 13.
ბარამიძე გ.	150.
ბარამიძე ი.	151.

ბარამიძე რ.	152-154.
ბარბაქაძე თ.	155.
ბართაია ე.	156.
ბარტდინსკი ი.	63, 64, 572, 637.
ბარტოლდი ვ.	617.
ბასილაძე ნ.	157.
ბასილ ეზოსმოდვარი	777.
/ ბასტამოვი ს.	113, 328, 376, 754, 857, 914, 1016.
ბაქრაძე აკ.	1076.
ბაქრაძე ანა	158.
ბაქრაძე დ.	97.
ბაქრაძე ჯ.	159.
ბალაშვილი ს.	160.
ბალდასარაშვილი გ.	86, 158.
ბაშინჯალიანი გ.	786, 1014.
ბაშინჯალიანი ზ.	161.
ბაციაშვილი გ.	162.
ბახტაძე ა.	163.
ბახტაძე ი.	164.
ბახტურიძე ბ.	165.
ბებუთოვი გ.	166, 1011, 1013.
ბეგიაშვილი თ.	167, 168.
ბეგიაშვილი ლ.	169, 170.
ბელტა	171.
ბელქანია ქ.	1204.
ბენაშვილი ა. მ.	933, 934.
ბენაშვილი დ.	172.
ბენედეკი	854.
ბენიამინი ლ.	1025.
ბეჟანიშვილი გ.	191.
ბეჟანიშვილი რ.	192.
ბერგენი ლ.	671.

ბერგერი ე.	868.
ბერიშვილი თ.	176.
ბერიძე ვახტ.	177.
ბერიძე თ.	178.
ბერიძე ს.	179-181.
ბერიძე ფ.	182.
ბერიძე შოთა	183.
ბერიძე შალვა	233, 1026, 1138.
ბერკოვი პ.	184-186.
ბერნარდ დე ვენტადორნი	935.
ბერნი ე.	187.
ბეროშვილი ი.	188.
ბერულავა გ.	189, 190.
ბერძენიშვილი გ.	191.
ბერძენიშვილი მ.	192, 972, 1007.
ბერძენიშვილი ნ.	193.
ბესა [შოთას ბიძა]	177.
ბესთაუთი გ.	194, 435.
ბექა ოპიზარი	54.
ბეშქენ ოპიზარი	54.
ბიანკონი ფ.	233, 1138.
ბიბილეიშვილი ფ.	195.
ბიწაძე ი.	196.
ბობოხიძე ი.	197.
ბობრინსკი (ბორენი) ა.	1049.
ბოგომოლოვი ი.	198-201.
ბოდენშტედტი ფ.	142, 396.
ბოზორგომიდი	770.
ბოლქვაძე ა.	202.

ბოლქვაძე ტ.	428.
ბოლხოვიტინოვი ე.	64, 200, 516, 572.
ბორენი (ბობრინსკი)	1049, 1050.
ბორი მ.	203.
ბორტი ო.	204.
ბოურა მ.	205, 206, 797, 899.
ბოჯგუა გ.	207.
ბრაუნი ი.	208.
ბრაუნი ჰ.	978.
ბრეგაძე დ.	209, 210.
ბრეგაძე ლ.	დან. 2.
ბრეგაძე ტ.	211.
ბრეგვაძე ბ.	212.
ბრეგვაძე ქ.	213.
ბრეჟნევი ლ.	214, 975.
ბრიკი ბ.	63.
ბრინკოვიანუ	442.
ბრიონი მ.	368.
ბროკვა პ.	215.
ბროკვაჟი გ.	321.
ბრონი მ.	868.
ბროსე ლ.	27, 846.
ბროსე მ.	27, 64, 174, 200, 379, 642, 846.
ბუზუკაშვილი მ.	216.
ბუროვი	539, 1260.
ბუშინი ვ.	217, 218.
ბუხაძე ი.	219.

ბ

გაბაშვილი ტ.	61, 701.
გაგარინი გრ.94, 375, 539, 1038.	
გაგოშიძე მ.	220.
გაგუა ა.	221.
გაგუა ლ.	222.
გავრილენკო პ.	349.
გამარა პ.	868.
გამსახურდია კ.	223, 224, 703.
გამსახურდია ს.	225, 226.
გამყრელიძე ალ.	227.
გამყრელიძე გ.	228.
განე ტ.	229.
გარჩესი ხ. მ.	612.
გასვიანი ა.	230.
გაფრინდაშვილი გ.	231.

გაჩეჩილაძე ა.	232.
გაჩეჩილაძე გივი	233-236.
გაჩეჩილაძე გიორგი	237-240.
გაჩეჩილაძე კ.	241.
გაჩეჩილაძე ს.	242.
გაწერელია ა.	დან. 16.
გაწერელოვი ე.	630.
გეგელაშვილი ლ.	978.
გეგელია გ.	340.
გედენიძე დ.	624.
გელაძე მ.	243.
გელდიაშვილი თ.	98.
გელხვიძე ე.	244.
გენგიური ვ.	245.
გეწაძე ა.	247.

გვაზავა გ. 442, 1049.
 გვალა ს. 248.
 გვარამაძე ი. (ვინმე მესხი) 600.
 გვარამაძე ზ. 249.
 გვასალია ბ. 250.
 გვახარია ა. 251, 617.
 გვახარია ვ. 252, 253.
 გველესიანი ს. 254.
 გვენეტაძე გ. 255.
 გვენცაძე ა. 256-261.
 გვინჩიძე გ. 263.
 გიგაური თ. 1233.
 გიგინეიშვილი თ. 269.
 გიგინეიშვილი ი. 264-268.
 გიევიკი ე. 270.
 გილიომ დე ლორი 205.
 გიომ აკვიტანელი 780.
 გიორგი ამარტოლი 766.
 გიორგი მესამე (მეფე) 577.
 გიორგი მთაწმინდელი 32, 225.
 გიორგი ხუცესმონაზონი 225, 766.
 გიორგობიანი გ. 246, 272.
 გიუნაშვილი ჯ. 1014.
 გოგებაშვილი ი. 97, 638, 647.
 გოგელია ლ. 273.
 გოგიავა კ. 274.
 გოგიბერიძე გ. 276.
 გოგიბერიძე ვლ. 277.
 გოგიბერიძე მ. 278, 1162.
 გოგიჩაიშვილი გ. 279.
 გოგოლაშვილი ზ. 503.
 გოგოძე კ. 280.
 გოგუა ხ. 281.
 გოეთე ი. ვ. 228, 321.
 გოზალიშვილი შ. 282.
 გოთუა ლ. 283.

გოლდინოვი ლ. 284.
 გოლცევი ვ. 285.
 გომართელი თ. 286.
 გომართელი ნ. 287.
 გომბოჟავი დ. 331.
 გონაშვილი დ. 288-290.
 გონჩარი ო. 291, 292, 703.
 გონჯილაშვილი ნ. დან. 4.
 გორგაძე ვ. 293.
 გორგოშია თ. 294, 295.
 გორდაძე ლ. 296, 297.
 გორდეზიანი ბ. 298.
 გორდელაძე გ. 299.
 გოცირიძე დ. 679.
 გრასლი-ჰოლანდი კ. 300.
 გრაში ა. 301.
 გრეივზი რ. 698.
 გრიგოლია კ. 302.
 გრიგოლისი ა. 455.
 გრიგოროვიჩი ი. 303.
 გროციუსი 19.
 გუგუშვილი თ. 304.
 გუგუშვილი მ. 305-309.
 გუდიაშვილი ლ. 310, 311, 834, 1235.
 გულაკი ნ. 572.
 გულედანი ა. 312.
 გულია დ. 237, 428, 853.
 გულორდავა შ. 313.
 გურამიშვილი დ. 237.
 გურგენიძე გ. 314.
 გურგენიძე ნ. 315, 1101.
 გურგენიძე ჰ. 316.
 გურგინი („ენიკოლოფი“) 377.
 გურული გრ. 317, 318.
 გურული კ. 1233.
 გუჯაბიძე გ. 319.

დ

დაბაძე გ. 320.
 დადიანი ა. 321, 322.
 დადიანი ი. 275.
 დადიანი შ. 287.
 დავარი (ვტ.) 289.
 დავითაშვილი მ. 323, 324.
 დავითაშვილი ნ. 325.
 დავითაშვილი შ. 63.
 დავითიანი ი. 328.

დავით რექტორი 61.
 დათიაშვილი ლ. 329.
 დათუაშვილი გ. 330.
 დამდინსურენი ც. 331.
 დანელია კ. 332, 333.
 დანელიანი ა. 334.
 დანტე ა. 83, 441, 779, 780,
 789, 792.
 დარჩია ბ. 335-341.

დატონი ჯ. 342, 868.
 დაუდუთბაევი მ. 714.
 დეეტერსი გ. 727.
 დევდარიანი კ. 674.
 დე ლა ტორე ბოტარო გ. 343,
 612, 1244.
 დელბა მ. 344.
 დემირხანოვა გ. 345-347.
 დერჟავინი ვ. 63.
 დეჰოთი ა. 534, 535.
 დიასამიძე ბ. 348.
 დივნოს / დივანოსე / დიონისე 496, 761.
 დიხამინჯია მ. 349.
 დობორჯგინიძე გრ. 605.
 დოდაშვილი ს. 199, 1221.

დოვგალენკო ი. 350.
 დოლენჯაშვილი გ. 526.
 დოლიძე კ. 351.
 დოლიძე ლ. 352, 353.
 დონაური მ. 354.
 დონაძე კ. 355, 356.
 დონდუა ვ. 357, 358.
 დონდუა თ. 359.
 დოჭვირი მ. 360.
 დრონკე პ. 518.
 დუბროვსკი პ. 572.
 დუდუჩავა მ. 361, 362.
 დულარდუხტი (ვტ.) 399.
 დუმბაძე ი. 275.
 დუმბაძე მ. 363, 862.

2

ებრალიძე მ. 364.
 ებრალიძე რ. 963.
 ეგაძე ო. 365.
 ეგოროვიჩი ნ. 222.
 ედიშერაშვილი ნ. 366.
 ევლახოვი ი. 63, 200.
 ევტუშენკო ე. 703.
 ეზრა / ეზროს 761, 789.
 ეკაშვილი კ. იხ. ცინცაძე კ.
 ეკიზაშვილი ე. 368.
 ელვერ-ფაშა 180.
 ელიავა გ. 369-371.
 ელიაშვილი ნ. 372.
 ელისაშვილი ი. 373.

ემპედოკლე 77, 1248.
 ენიკოლოპოვი/
 ენიკოლოფაშვილი ი. 374-380.
 ენუქაშვილი ს. 381.
 ერემიანი ს. 914.
 ერისთავი გ. 208, 500.
 ერისთავი ე. 275.
 ერისთავი ვ. 234, 516.
 ერისთავი რაფ. 97.
 ერისთავი რევაზ. 94.
 ესაიაშვილი ვ. 382.
 ესაძე ს. 1234.
 ესენინი ს. 411.
 ეფრემ მცირე 381.

3

ვაკული სეი იძი 383, 1024.
 ვაზიშვილი ე. 384.
 ვაჟა-ფშაველა 237, 385, 386, 677.
 ვარდი ხ. 387-390, 831.
 ვარლამიშვილი ი. 391.
 ვაშაძე დ. 392.
 ვახტანგ IV – იხ. ბაგრატონი ვ.
 ვენცლოვა ა. 395.
 ვეორეში შ. 703, 854.
 ვესელისი ი. 455.
 ვესელოვსკი ა. 136.
 ვოლტერი 19.

ვეტი ო. 1140.
 ვიკარი ბ. 64, 854.
 ვილნაი ზ. 396, 831.
 ვინიევიჩი კ. 417.
 ვირსალაძე ე. 397-400.
 ვიქტორ-ემანუელ II 1138.
 ვოლნიკუენა ს. 417.
 ვოლოდარსკი ე. 351.
 ვოლფრამ ფონ ეშენბახი 559, დან. 10, 11.
 ვორონკოვი კ. 401, 402.
 ვორონკოვი მ. 464.
 ვურგუნი (ვურლუნი) ს. 457, 844, 1229.

ზ

ზაალიშვილი მ.	403.	ზელინსკი კ.	421.
ზაბოლოცკი ნ.	63, 404, 836.	ზვონაკი ა.	171, 839.
ზაგორსკი ვ.	405.	ზიჩი ე.	173.
ზაგორსკი ი.	208.	ზიჩი მ.	173, 298, 533, 750.
ზაგურსკი ე.	406, 407.		854, 1031.
ზავერინი მ.	408.	ზომერი	1235.
ზამბახიძე ნ.	409.	ზონენაშვილი ბ.	422.
ზარიანი ნ.	410.	ზუბალაშვილი ა.	755.
ზარიძე ხ.	დან. 5.	ზურაბაშვილი ა.	169, 423, 633.
ზაქარაია პ.	412.	ზურაბიშვილი ა.	424.
ზახაროვი დ.	413, 414.	ზურაბიშვილი დ.	425.
ზახიდოვი ვ.	416.	ზუტნერი ა.	136, 817, 1201, დან. 2.
ზედგენიძე გ.	417, 418.	ზუტნერი ბ.	1201.
ზედგენიძე პ.	182.	ზუხბა გ.	426, 427.
ზედგინიძე ე.	419, 420.	ზუხბა ს.	428.

თ

თაბუკაშვილი ბ.	771.	თოდაძე გ.	438.
თაბუკაშვილი ო.	429.	თოიძე ი.	298.
თავართქილაძე კ.	1227.	თოიძე მ.	1259.
თავაქარაშვილი მ.	61, 158, 835, 924.	თომაძე ა.	439.
თავაძე ფ.	430, 431.	თომაძე გ.	440.
თამარაშვილი მ.	1038.	თომაძე მ.	441.
თამარ მეფე	118, 577, 900.	თორელი იასე (შოთას ზიძა)	180.
თარგამაძე კ.	432.	თორელი ჭიაბერ (შოთას მამა)	180.
თარხნიშვილი ნ.	539.	თოფურია ა.	442.
თაქთაქიშვილი ო.	433, 434, 893, 936,962, 1064.	თოფურია გ.	443.
თაქთაქიშვილი-ურუშაძე ლ.	168, 782.	თოფურია მ.	444, 445.
თედიაშვილი ი.	435.	თუთაშვილი ა.	446.
თევზაძე ი.	436.	თუმანიანი აშხენ	857.
თევზაძე კ.	437.	თუმანიანი ოვანეს	857, 914.
თვარაძე რ.	768.	თუმანიშვილი გივი	158, 924.
თინათინი (ვტ.)	118, 139, 140, 169, 399, 577.	თუმანიშვილი ი.	447, 448, 943.
თმოგველი სარგის	დან. 5.	თურნავა ს.	449-451.
		თურქია დ.	62.
		თურქია რ.	191.
		თურსუნ-ზადე მ.	534.
		თხორჟევსკი ი.	63.

ი

იაკობსონი რ.	452, 453, 944, 1245.	იანსონი ე.	455.
იაკობ ცურტაველი	154.	იანსონი ევ. (საივა)	455.
იაკოვლევი მ.	454.	იაშვილი ვ.	456.

იაქაშვილი თ.	826.
იბნ ეზრა	761.
იბრაგიმოვი მ.	457.
იდრისოვი	458.
იედლიჩკა ი.	228.
იესე ჩახრახელი (შოთას მამა)	1147.
ივანისელი ი.	459.
ივანიცკი რ. – იხ. რაფიელ ინგილო	
ილიანი დ.	1239.
იმედაშვილი გ.	460-464, 1244.
იმნაიშვილი ი.	210-214.
ინალ-იფა შ.	96.
ინასარიძე ჯ.	470.
ინასიანი	471.
ინბერი ვ.	472.
ინგოროყვა პ.	473-475, 835.
ინოგამოვი რ.	476.
ინწკირველი მ.	477.
იოანე დამასკელი	815.

იოანე ლაზი	791.
იოანე მოსხი	32.
იოანე პეტრიწი	381, 1248.
იოანე საბანისძე	154.
იოანე შავთელი	20, დან. 11.
იოვაშვილი დ.	478.
იორდანიშვილი ს.	833.
იოსებ თფილელი	924.
იოსელიანი პ.	212.
იპოლიტოვ-ივანოვი მ.	1097.
ირემაშვილი ს.	479-481.
ისაკიანი ა.	327, 482.
ისაკაძე გ.	483.
ისარლიშვილი რ.	1260.
ისტომინი ლ.	484.
იტრიაშვილი ს.	485.
იმტვანი შ.	542.
იმშენკო ე.	486.
იჩქით გურგენისძე	231, 1237.

კ

კაკვასიძე ა.	39.
კაზარიანი ე.	865, 997.
კაიშაური ვ.	488-490.
კაკაბაძე ვ.	491.
კაკაბაძე სარგ.	492, 493, 1032.
კაკაბაძე საურმაგ	351.
კაკიაშვილი გ.	494.
კაკულია შ.	495, 496.
კალაძე კ.	1040, 1232.
კალანდარიშვილი გ.	497.
კალანდაძე ლ.	833, 1011.
კალინინი მ.	498.
კანდელაკი ბ.	499-504.
კაპანაძე ი.	505.
კარაიანი ო.	328, 1016.
კარაპეტიანი ო.	1016.
კარბელაშვილი მ.	დან. 6-11.
კარბელაშვილი ც.	506, 1113.
კარტოზია გ.	507, 836, 837.
კასრაძე დ.	247, 263.
კასელი	796.
კასტელი ქრ.	1038.
კაუტილიო	18.
კაფანოვა ლ.	508.

კაჭარავა გ.	509.
კაჭახიძე დ.	510.
კახაბერი – იხ. პაპავა აკაკი.	
კახაბერი (რაჭის ერისთავი)	1191.
კახაბრიშვილი ც.	512, დან. 12, 13.
კახიძე ნ.	513.
კახიძე ჯ.	605.
კეკელიშვილი ნ.	514.
კეკელიძე კ.	515, 1257.
კეკელიძე მ.	516.
კეკონენი უ.	517.
კენჭოშვილი ირ.	518.
კეპულაძე რ.	61.
კეჟერაძე კ.	519.
კეჟერაძე ნ.	520.
კერვალიძე ქ.	521.
კერნაზი ვ.	522, 874, 894.
კეჭაყმაძე შ.	523.
კვარაცხელია გ.	524.
კვასხვაძე შ.	525.
კვეიძე კ.	526.
კვერნაძე ბ.	1076.
კვირკველია გ.	527.

კვიცინია ლ. 833.
 კიკვაძე მ. 528.
 კიკვიძე ა. 529.
 კიკნაძე ლ. 530, 531.
 კიკნაძე რ. 862.
 კილანავა ბ. 532.
 კიპაროძე გ. 189.
 კირთაძე პ. 533.
 კირილოვი ვ. 534, 535.
 კირიონი (ეპისკ.) 1162.
 კლდიაშვილი ა. 537.
 კლიჩკოვი ს. 63.
 კლოდტი მ. 572.
 კობეშაიძე მ. დან. 14.
 კობცევი ნ. 538.
 კოკაია ალ. 539.
 კოკაშვილი ა. 540.

კონრადი ნ. 545, 546, 703.
 კორნეიჭუკი ა. 547.
 კოტეტიშვილი ვ. 41, 548.
 კოტეტიშვილი ფ. 549.
 კრაჩკოვსკი ი. 617.
 კრაულინი კ. 550.
 კრეტიენ დე ტრუა 935, დან. 10, 11.
 კრიმსკი ა. 617, 1223.
 კროსლი-ჰოლანდი კ. 698.
 კულიკოვი ვ. 413.
 კუნჭულია გ. 551.
 კუპრაშვილი გ. 552.
 კურგანელი გ. 553.
 კურილოვი ს. 554.
 კურტანიძე შ. 555.
 კუტალაძე ვ. 556.
 კუჭავა ს. 557.

ზ

ლაბახუა ლ. 853.
 ლადიმერძე ვ. 558.
 ლაისტი ა. 64, 417, 559, 560, 805.
 ლაგორი ლ. 572.
 ლაიშვილი ნ. 561, 562.
 ლანგენი ი. 199.
 ლანგი დ. 563-565, 698,
 796, 797.
 ლანუ ა. 870.
 ლაპჩინსკი კ. 64, 417,
 756, 1142.
 ლარაძე პ. 61.
 ლარიონოვი ი. 821.
 ლაფერაშვილი ვ. 566.
 ლაფონი რ. 449, 567,
 1024.
 ლაქსნესი პ. 568.
 ლალიძე ლ. 569.
 ლალიძე რ. 885, 893, 962.
 ლეზანიძე გ. 570.
 ლეზანიძე ნ. 571.
 ლევი კ. 874.
 ლევი (ვტ.) 422.
 ლევინი ლ. 542.

ლევიშვილი ს. 572.
 ლეონი მ. 1025.
 ლეონარდო და ვინჩი 1252.
 ლეონიდოვი დ. 573.
 ლეონიძე გ. 61, 335, 574.
 ლიაშკევიჩი დ. 575.
 ლილიევი ნ. 196.
 ლინჟსი ო. 576.
 ლიპკინი მ. 63.
 ლიპსკეროვი 63.
 ლიფარი ს. 253, 659, 1060,
 1127, 1232.
 ლოვეიკო ი. 413.
 ლოლაშვილი ი. 577-583, 737,
 777, 832, 1113.
 ლომთათიძე ქ. 584, 585.
 ლორთქიფანიძე კ. 586, 683.
 ლორთქიფანიძე მ. 587.
 ლორთქიფანიძე მერაბ 588.
 ლორთქიფანიძე პ. 589.
 ლორთქიფანიძე შ. 62.
 ლუკონინი ვ. 351.
 ლუკონინი მ. 590, 821.
 ლუპოლი ი. 591.

მაისურაძე ი.	592-603.	მელიქიშვილი ე.	1230.
მაისურაძე ნ.	924.	მელიქსეთ-ბეგი ლ.	113, 328.
მაისურაძე შ.	604, 605.	მელუხა დ.	656-659.
მაისუროვი მ.	200.	მენაბდე ლ.	628, 660-667.
მაკარიძე ვ.	606.	მეჟელაიტისი ე.	668, 669.
მაკაროვი მ.	607.	მერაბიშვილი ი.	670-673.
მალიუგინა ა.	608, 609.	მერაბიშვილი რ.	674.
მაღხაზიშვილი ლ.	610.	მერკვილაძე ს.	701.
მამასახლისი ზ.	611.	მერცხაბერი გ.	321, 817.
მამულაშვილი ი.	375.	მესაბლიშვილი ფ.	403.
მამულაშვილი მ.	612, 613, 1069, 1243.	მესენგისერი ზ.	675.
მანველიშვილი ალ.	487, 614, 615.	მესხი დ.	676.
მარადაშვილი შ.	818.	მესხი მელექსე	დან. 12, 13.
მარატი (მხატვარი)	1038.	მესხია ვ.	677.
მარგველაშვილი გ.	618.	მესხია შ.	678.
მარი იური	617.	მეტრეველი ე.	1171.
მარი ნიკო	113, 131, 308, 701, 616, 809, 947, დან. 9.	მეტრეველი რ.	679, 680.
მარია თედორეს ასული	97.	მეუნარგია ი.	27, 97, 750, 1023, 1201, დან. 2.
მარინაშვილი ს.	619.	მეფისაშვილი გ.	681.
მარკოზია მ.	371.	მეფისაშვილი რ.	274, 901.
მარკოვი გ.	703, 872, 955.	მეძველია კ.	683.
მარკოზაშვილი შ.	620-622.	მემმარიაშვილი ე.	684, 685.
მარსელ-ჰაონი ა.	64.	მზარეულოვი ნ.	60, 62, 63.
მარსაგიშვილი მ.	1217.	მზეხათუნი	694.
მარტიროზიშვილი ბ.	86, 158.	მთაწმინდელი ზ.	701.
მარუაშვილი ლ.	623.	მთიულიშვილი ი.	686.
მარჯანიშვილი კ.	372.	მიგდალოვა ლ.	35.
მასთონი შ.	534, 535.	მილერ-ბუნდნიცკაია რ.	817.
მაქსიმე აღმსარებელი	43, 44, 46.	მიზანდარი ვ.	526, 988.
მაღლაფერიძე ს.	624.	მიმინოშვილი რ.	800.
მაჩაბელი ი.	97, 470, 1097.	მინაი ა.	1014.
მაჭავარიანი ა.	1263.	მირიმანიანი ა.	328, 1105, 1214.
მაჭავარიანი ე.	625.	მირიჯანაშვილი შ.	687.
მაჭავარიანი თ.	358.	მირნელი მ.	344.
მაჭავარიანი მ.	626.	მირტემირი ტ.	840.
მაჭარაძე ვ.	627.	მირცხულავა ა.	703.
მახათაძე მ.	628-631.	მიტაფიდი მ.	1002.
მახარაძე ა.	632.	მიქავა ა.	688.
მეგრელიშვილი ი.	633.	მიქაშავიძე ნ.	689.
მეგრელიძე ი.	1, 41, 45, 308, 616, 634-648, 965.	მიქაშავიძე შ.	690, 691.
მეილიცევი გ.	649-654.	მიქაძე გ.	692-695.
მელეტინსკი ე.	დან. 9.	მიქაძე ლ.	696-698.
მელიქიშვილი გ.	655, 862.	მიქაძე ნ.	699, 700.
		მიქელანჯელო	1252.

მიქელაძე ე. 62.
 მიქელაძე ვ. 701.
 მიხაილოვი ნ. 702.
 მიხალკოვი დ. 63.
 მოისწრაფიშვილი გ. 704.
 მოისწრაფიშვილი ფ. 705-707.
 მონტესკიე 19.
 მოორი ზ. 455.
 მორფილი უ. რ. 796, 797.
 მოსეშვილი ი. 708, 709.
 მოსტონი შ. 535.
 მოწერელია პ. 1246.
 მჟავანაძე ვ. 710, 872, 955.
 მჟავია ქ. 711.
 მრეველიშვილი მ. 712, 713.
 მუზავეი ნ. 1021.
 მუკანოვი ს. 714, 715.
 მუკბანიაანი გ. 716.

მუმლაძე ნ. 717.
 მუჟიერი ქ. 1201.
 მურადიანი გ. 113.
 მურადიანი პ. 914, 947.
 მურადოვა თ. 296, 1042.
 მურავიოვი ა. 200, 374.
 მურვანიძე ა. 718.
 მურიე ქ. 1201, დან. 2.
 მუსხელიშვილი დ. 862.
 მუსხელიშვილი ი. 703.
 მუსხელიშვილი ნ. 719, 720, 954.
 მუხრანელი ი. 721.
 მჭედლიშვილი ვ. 197, 723, 724.
 მჭედლიშვილი ფ. 725.
 მჭედლიშვილი ჯ. 726.
 მშველიძე შ. 109, 605, 1043.
 მხარგრძელი ს. 726a.
 მხეიძე ა. 526.

ნ

ნადირაძე გ. 774, 1247, 1257.
 ნავროცკი ა. 486.
 ნათაძე ნ. 727-738, 778, 1055.
 ნათენაძე ნ. 420.
 ნაკაშიძე ი. 417.
 ნაკაშიძე რ. 739.
 ნამგალაძე ა. 740.
 ნანიტაშვილი ლ. 741.
 ნართები 1.
 ნარმანია ნ. 837.
 ნასირ-ხოსრო 635.
 ნატროშვილი გ. 742.
 ნაცვლიშვილი ა. 744.
 ნაციაშვილი ს. 745-751.
 ნეზამი /ნიზამი/ განჯელი 134, 617.
 ნეიტოვი ს. 458.
 ნემესიოს ემესელი 784.
 ნესტან-დარეჯანი (ვტ.) 139, 140, 1248.

ნიზამი / იხ ნეზამი განჯელი 617.
 ნიკოლაევი ნ. 752.
 ნიკოლაევა-ტერეშკოვა ვ. 753.
 ნიკოლაენკო ლ. 754.
 ნიკოლაიშვილი ვ. 755.
 ნიკოლაიშვილი ნ. 756.
 ნიკოლაძე ი. 755, 988.
 ნიკულინი ლ. 757.
 ნიჟარაძე შ. 758, 759.
 ნოდია დ. 835.
 ნოდირი შ. 534, 535.
 ნოზაძე ვ. 93, 487, 760-782, 1244.
 ნოზაძე თ. 674, 1035, 1076.
 ნონეშვილი ი. 783, 1263.
 ნორაკიძე ვლ. 784, 785.
 ნორიანი ს. 786.
 ნუცუბიძე შ. 63, 64, 77, 92, 225, 390, 546, 787-792.

ო

ოვანოვი გ. 63.
 ოლდრიჯი ჯ. 793, 794, 872, 1025.
 ომარ-ხანი 676.
 ონანა მდივანი (ქობულაშვილი) 309.
 ონიანი შ. 795.

ორაგველიძე მ. 98.
 ორბელი ი. 327, 649, 650, 798, 914, 947, 1017, 1018.
 ორბელი რ. 649.
 ორბელიანი ალ. 94, 463.

ორბელიანი გრ. 61.
 ორბელიანი ელ. 64, 89, 1049, 1050.
 ორბელიანი ს-ს. 237, 305.
 ორლოვი ი. 572.

ორლოვსკაია ნ. 796, 797.
 ოსეგი 194.
 ოსკარ II (შვედეთის მეფე) 97.
 ოჩიაური გ. 835.

პ

პავლე VI (რომის პაპი) 779.
 პავლენკო პ. 799.
 პაიჭაძე გ. 800.
 პაიჭაძე ფ. 441.
 პაონი მ. 1049.
 პაპავა აკ. 487, 511, 640, 801.
 პაპავა ალ. 802.
 პაპიაშვილი ც. 803.
 პარაფი პ. 945.
 პარკაძე ლ. 804.
 პასკუინი 1138.
 პაჩინი ლ. 233, 1028.
 პეტრე იბერი 761, 788,
 789, 791, 792.
 პეტრენკო პ. 63, 64.
 პეტრიაშვილი ა. 1232.
 პეტროსიანი ა. 821, 969.
 პეჩი გ. 805, 1243.
 პლატონი 18, 21, 77,

725, 730, 1248, 1252.
 პლიერი 1038.
 პლოტინი 212.
 პოდინა ს. 627.
 პოდობედოვი ა. 846.
 პოლი მ. 870.
 პოლოანე ფ. 806.
 პოლოლიკაშვილი ს. 619.
 პოლონსკი ი. 198.
 პოლტორაცკი ი. 63.
 პორტუონდო ხ. ა. 807, 808.
 პრიმაკოვსკი ა. 1034.
 პრიტამი ა. 703.
 პრიტვიცი მ. 64.
 პროპი ვლ. დან. 6.
 პროკლე დიადოხოსი 782, 791.
 პროსკოვეცი მ. 321, 817.
 უფაფი ვ. 644.
 უშიბოსი ი. 703.

ჟ

ჟალუ ე. 149.
 ჟარი დე მანსი ა. 1093.
 ჟაროკოვი თ. 714.
 ჟვანია გ. 746.

ჟირმუნსკი ვ. 703, 809, 869.
 ჟორდანია რ. 810.
 ჟლენტი ბ. 703, 811, 812,
 1021.

რ

რადო დ. 813.
 რამიშვილი ვ. 358.
 რამიშვილი ნ. 814.
 რაფავა მ. 815.
 რაფიელ ინგილო
 (ივანიცკი) 1026, 1138.
 რაჰიმი მ. 457, 844, 1229.
 რევიშვილი შ. 321, 817.
 რეულო – იხ. მზარეულოვი.
 რეხვიაშვილი ს. 818.
 რზა რ. 819.

რიგვავა ს. 820.
 რიჟინაშვილი ს. 822-825.
 რობაქიძე ე. 826.
 რობაქიძე მ. დან. 15.
 რომანი ვ. 1142.
 როპი ედ. 603.
 როჟდესტვენსკი ვ. 827.
 როსტოვცევი ლ. 828.
 რუგოშელი (ტოტოჩავა) ა.
 829, 830.
 რუმერი ო. 63.

რურუა ი.	831.	რუსტამი ს.	844, 1229.
რუსთაველი / რუსთველი შოთა	617, 832-843.	რუფოვი ს.	1139.
რუსინოვი ი.	821, 968.	რუხაია ნ.	845.
რუსო ჟ.	19.	რუხაძე ტრ.	846.
		რცხილაძე ზ.	847.

ს

საკაძე ი. – იხ. იოსებ თფილელი.		სიკირიცი ი.	656.
საბაშვილი ს.	765.	სილაგაძე ა.	დან. 16.
სავანელი ხ.	1097.	სილიტოუ ა.	698.
საკდესი	848-852.	სიმონიანი ვ.	113, 328.
სალადინი (სულთანი)	492, 915.	სიმონიძე ნ.	904.
სალაყაია შ.	853.	სიმონოვი კ.	542.
სალაძე მ.	854.	სიმულა ტ.	627.
სალუქვაძე ე.	855.	სირაძე ვ.	946.
სალუქვაძე მ.	1076.	სირაძე რ.	545, 905-907, დან. 17.
სამარინი რ.	821, 969.	სიხარულიძე ვ.	908.
სამსონაძე თ.	835.	სიხარულიძე ი.	909.
სამძივარი	დან. 8.	სიხარულიძე ქ.	910.
სამხარაძე ლ.	856.	სლივიცი ი.	199, 572.
სანაკოვეი ბ.	435.	სლივნიაკი დ.	დან. 16.
სანაკოვეი პ.	435.	სმეტანიანა გ.	912.
სანგვინეტი ე.	874.	სმირნოვი ს.	913.
სანტრიანი ვ.	857.	სოლოგუბი ვ.	200.
სარაჯიშვილი ალ.	933, 934.	სოლოგუბი ფ.	572.
სარაჯიშვილი ვ.	845.	სომხები	153.
სარიანი გ.	858.	სომხიოვი / სომხიევი ი.	86, 695.
სარიშვილი ტ.	859.	სოსლანი დავით	156, 644, 900.
სარქისიანი ს.	860.	სპარსი / სპარსული	379, 907, დან. 1, 9.
საქდესი	863-894.	სტალინსკი ე.	63, 572, 574.
საყვარელიძე ნ.	895.	სტეფანიანი კ.	914.
სახვაძე ბ.	1230.	სტივენსონი რ.	698.
სევაკი გ.	965.	სტოვბუნი ი.	387, 915, 916.
სეიტოვი ს.	714.	სტოლეტოვი ვ.	703.
სემიაჟონი ი.	839.	სტოიანოვი ვ.	917.
სერაფიმოვიჩი ა.	896.	სტურუა მ.	918.
სერებრიაკოვი ბ.	62.	სუდრაბკალნი ი.	919.
სერებრიაკოვი ს.	425, 897-899, 1015.	სულაკაური ვ.	920.
სიდამონიძე ვ.	900-903.	სურგულაძე ი.	921-922.
სიზდიკოვი ჟ.	714.	სუჰაილი ჯ.	534, 535.

ტ

ტაბიძე გ.	237, 1255.	ტარია / ტარიკა	830.
ტაბიძე ნ.	923.	ტარიელი (ვტ.)	169, 184, 814,
ტაბლიაშვილი პ.	61.		830, 1081, დან. 14.

ტარიელაშვილი გ.	726a.
ტარლოვსკაია ე.	63, 64.
ტაჯიბაევი ა.	714.
ტერიანი ვ.	113, 328, 914.
ტიხონოვი ნ.	703, 872, 880, 925-932, 946, 955.
ტოგონიძე ბ.	933.
ტოდოროვი ა.	851.
ტოლსტაია ე.	935.
ტორაძე გ.	936.

ტოტროვი მ.	644.
ტრიკოვლიდისი	613.
ტრისტანი	132.
ტრონკო პ.	703.
ტუვიმი ი.	417.
ტუნტურიშვილი (გოგოლაური) ი.	938, დან. 3.
ტუსენი ფრ.	628.
ტულუში მ.	939.

უ

[უავტორო]	940-1043.
ულუგ-ზადე ს.	1044.
უმიკაშვილი პ.	97.
უორდროპი მ.	64, 168, 563, 564, 625, 775, 782, 794, 918.

უორდროპი ო.	563, 564, 918.
ურუშაძე ვ.	64, 234, 565.
ურუშაძე ნათ.	1047.
ურუშაძე ნიკო	131.
უსუპი (ამირანის მითი)	დან. 18.

ფ

ფადეევი ა.	1048.
ფათემი მ.	1014.
ფანჩულიძე დ.	1049.
ფანჩულიძე ლ.	1050.
ფატმანი (ვტ.)	209, 256, 399, 629, 1157.
ფედინი კ.	1051.
ფეირლაისტი რ.	698.
ფერაძე თ.	1052.
ფინენბერგი ე.	1021.
ფირალიშვილი გ.	1127.

ფიროსმანი ნ.	127, 504.
ფირცხალავა ლ.	დან. 18.
ფირცხალიშვილი რ.	1053.
ფოგტი პ.	974, 1054.
ფოცხიშვილი ალ.	1055, 1056.
ფოხტი გ.	1260.
ფრიდონი (ვტ.)	631.
ფრუიძე ლ.	810.
ფუკურო ი.	383, 974, 1024.
ფურცევა ე.	703, 869, 943, 960.

ქ

ქავთარაძე ი.	1057.
ქავთარაძე ნ.	1058.
ქალჯი, ქაჯი	1152.
ქართველიშვილი გ.	27, 97, 470.
ქეზია ა.	1060.
ქეზურია ვლ.	1061.
ქელბაქიანი გ.	1062.
ქემზაძე მ.	1063.
ქვაბულისძე ნიანია	492.
ქვაბულისძე სარგის (თმოგველი)	492.
ქვლივიძე მ.	394, 1064.

ქირიკაშვილი ვ.	920.
ქიტესაშვილი რ.	1065.
ქიქოძე ბ.	1066.
ქიქოძე მ.	1067.
ქობულაძე ს.	298, 747, 835, 836.
ქოჩლაძე ს.	1068.
ქოჩორაძე ვ.	340.
ქუთათელაძე ა.	1069.
ქუთათელაძე გ.	1070.
ქუმსიშვილი დ.	1071-1074.
ქურიძე შ.	1075.

ღ

ღვინევაძე ნ.	1076.	ღლონტი შ.	1083-1092.
ღლონტი ალ.	1077.	ღუდუშაური პ.	1093.
ღლონტი გ.	1082.		

ყ

ყაზაროვი ა.	375.	ყიასაშვილი ნ.	698, 1098.
ყალაბეგიშვილი თ.	1094.	ყირიმნიშვილი ნ.	1099.
ყანჩელი ა.	63, 1231.	ყიფიანი ც.	1100.
ყამარი (ამირანის მითი) დან.	18.	ყოჩიაშვილი ბ.	1101.
ყარაულაშვილი ც.	1095.	ყუბანეიშვილი ს.	1102.
ყაუხჩიშვილი ს.	47, 340, 1096.	ყუთლუ-არსლანი	დან. 8.
ყვარელაშვილი მ.	1097.	ყულიევი ყ.	1103.

შ

შადური ვ.	1104.	შერვაშიძე გ.	428.
შაველაშვილი შ.	1105.	შერვაშიძე-ჩაჩბა ა.	1060.
შავლობოვი მ.	194, 435.	შექსპირი უ.	792.
შათირიშვილი ალ.	1106.	შეყილაძე გ.	1124-1126.
შაიშმელაშვილი ი.	1107.	შვანგირაძე ნ.	1127.
შამელაშვილი ბ.	1108.	შიმანსკი ს.	898, 899.
შამელაშვილი რ.	1109-1111.	შიმონი ი.	703.
შანიძე ა.	45, 469, 780, 832, 835, 1112-1115.	შინკუბა ბ.	96, 853, 1204.
შანიძე შხ.	1116.	შირინი	134.
შაპოშნიკოვა ა.	703, 869.	შიშმარიოვი ვ.	დან. 9.
შარაძე გ.	368, 1118-1120.	შკუბულიანი რ.	1130, 1131.
შარია პ.	1121.	შმიდტი კ.	1132.
შარტი ს.	63.	შოთა კუპრი	1182.
შახნაზაროვი ი.	686.	შოთასძე სვიმონ	1134.
შემეტოვი ა.	1122.	შონია ნ.	427, 1133.
შენგელია დ.	586, 1123.	შოშიაშვილი ნ.	1134.
		შტერნი ე.	703, 1135.

ჩ

ჩაიკინი კ.	617.	ჩემბერსი	796.
ჩანცევი	63.	ჩერნი ვ.	868, 1140.
ჩაჩავა მ.	1136.	ჩერიომკინი ს.	1139.
ჩაჩანიძე ვ.	1137, 1138.	ჩიგოგიძე გ.	1141.
ჩაჩიკაშვილი / ჩაჩიკოვი ალ.	63, 692.	ჩიმაკაძე გ.	1142.
ჩაჩიკაშვილი ნ.	158, 692.	ჩირინაშვილი გრ.	999.
ჩახრუხა („მოხვევ“)	418, 492.	ჩიტაური თ.	837, 1022.
ჩახრუხაძე [შოთა]	418.	ჩიქობავა ა.	1143-1145.
ჩახრუხაძეები	182, 418, 492.	ჩიქოვანი მ.	41, 1078, 1146-1149.

ჩიქოვანი ს. 1150.
 ჩიჯავაძე შ. 1151-1153.
 ჩორნი ბ. 75, 76.
 ჩუბინაშვილი გ. 703, 1156.
 ჩუბინაშვილი დ. 63, 200, 201, 593, 637.
 ჩუბინაშვილი ნ. 1104.

ჩქოტუა დ. 428.
 ჩხარტიშვილი რ. 1157.
 ჩხარტიშვილი ქ. 862.
 ჩხეიძე შ. 1158.
 ჩხენკელი თ. 1076.
 ჩხიკვაძე გრ. 335, 1159, 1160.

ც

ცაგარელი ალ. 915.
 ცაგარელი გ. 63, 64.
 ცაიშვილი ს. 738, 834, 836, 1161-1172.
 ცალუღელაშვილი მ. 1173.
 ცეგლედი კ. 1174.
 ცინცაძე კ. 367.

ციციშვილი ზ. 375, 463.
 ციხისჯვარელი 418.
 ცომაია ს. 442.
 ცუნცი მ. 588.
 ცუცქირიძე ლ. 298, 322.
 ცქიტეშვილი თ. 1175.

ძ

ძიძიგური შ. 1176-1180.

ძოწენიძე ლ. 308.

წ

წერეთელი ა. 40, 237, 520, 638, 677, 681, 1181.
 წერეთელი გ. (აკად.) 703, 834, 835, 940, 946, 954, 1183.
 წერეთელი გ. 487, 1182.
 წერეთელი მიხ. 781, 1136.
 წვერავა ს. 1184.

წიკლაური ლ. 170.
 წინამძღვრიშვილი გრ. 63.
 წულაია ზ. 1185.
 წულაძე ს. 61, 92, 530, 615, 935, 1049, 1186.
 წულუკიძე კ. 683.
 წუწუნავა ა. 1232.

ჭ

ჭაბაშვილი მ. 1187.
 ჭავჭავაძე გარს. 516.
 ჭავჭავაძე ი. 97, 316, 638, 677, 923, 1188, 1189.
 ჭალაგანიძე ი. 630.
 ჭანტურია ვ. 546.

ჭანტურიშვილი დ. 768, 1190.
 ჭელიძე შ. 1191.
 ჭიაბერი 1161.
 ჭინჭარაული ალ. 1192-1198.
 ჭიჭინაძე კ. 1226.
 ჭყონია ალ. 1199.

ხ

ხადური ლ. 1200, 1201.
 ხაკანი 617.
 ხარაზოვი ვ. 1202.
 ხარლამოვი ნ. 572.
 ხაფავა ქ. 674.
 ხახანაშვილი ალ. 1, 41, 539.

ხერხელიძე მ. 1203.
 ხვარცკაია მ. 1204
 ხვედოროვიჩი მ. 171.
 ხიდაშელი შ. 1205, 1206.
 ხინთიბიძე ა. 1207, 1208.
 ხინთიბიძე ე. 1209-1211.

ხინჩიანი ქაჯი (ხალხ. ვტ.)	1217.
ხიჯაკაძე ა.	1212.
ხმალაძე პ.	1213.
ხოლდეკი ფ.	321.
ხორგუაშვილი გ.	1214-1216.

ხოძკო ა.	572, 756.
ხუზანგაი პ.	740, 1021.
ხულელიძე ი.	1217.
ხუციშვილი ს.	1218-1221.
ხუხუა ო.	1222.

ჯ

ხავახიშვილი ალ.	1223.
ჯავახიშვილი გივი	703, 954, 960, 1224-1226.
ჯავახიშვილი გიორ.	1227, 1228
ჯავახიშვილი ივ.	265, 546, 832.
ჯავახიშვილი ი. (კორ.)	1229-1236.
ჯავახიშვილი მიხ.	1228.
ჯავრიშვილი ვ.	392, 586.
ჯავრიშვილი კ.	1237.
ჯანაშვილი ა.	1238.
ჯანგიძე მ.	1239.
ჯაფარიძე გ.	1240.
ჯაფარიძე დ.	868.
ჯაფარიძე ე.	686.
ჯაფარიძე რ.	586.

ჯაფარიძე უ.	684, 1241.
ჯაფარიძე ჯ.	1230.
ჯაფიაშვილი ვ.	1242.
ჯაყელი მ. [მიხ. მამულაშვილი]	1243, 1244.
ჯაში ნ.	1245.
ჯვებენავა ნ.	1246.
ჯიბლაძე გ.	774, 1247-1254.
ჯიბუტი ვ.	1255.
ჯინჯიხაშვილი ფ.	340.
ჯინჭველაძე გ.	1256.
ჯორბენაძე პ.	1257, 1258.
ჯულაბაშვილი ა.	1259.
ჯულაბაშვილი ლ.	1260.
ჯურხაძე გ.	1261.

კ

კარტკე	1135.
კაჯიბეკოვი უ.	1229.
კეგელი გ.	99.
კენრი ე.	1262.
კერაკლიტე	77.
კიუზი პ.	542.

კობსი თ.	18.
კომეროსი	812.
კოფმანი რ.	608, 1263.
კუპერტი პ.	61, 805, 817, 1257.
კუტენი უ.	805.

საგნობრივ-თემატიკური საძიებელი
(რიცხვი აღნიშნავს სტატიის ნომერს)

1. „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემები: 27, 97, 254, 341, 470, 488, 494, 652, 683, 781, 832-837, 887, 979-983, 1009, 1022, 1067, 1102, 1113, 1116, 1117, 1136, 1170, 1201, 1227.
2. „ვეფხისტყაოსანი“ პროზად: 364, 1214.
3. „ვეფხისტყაოსნის“ წუსხები და მათი გადამწერები: 86, 158, 275, 306, 377, 463, 493, 506, 692-694, 924, 1246.
4. „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული კალიგრაფიით: 296, 1042.
5. თარგმანები და მთარგმნელები: 23, 61-68, 89, 92, 101, 102, 113, 120, 121, 122, 161, 163, 168, 171, 194, 199-201, 208, 228, 233, 234, 300, 327, 328, 376, 379, 417, 435, 455, 480, 486, 516, 534, 535, 612, 615, 698, 714, 782, 794, 798, 844, 846, 854, 899, 914, 918, 929, 998, 1002, 1014, 1016-1018, 1021, 1026, 1049, 1050, 1093, 1138, 1140, 1142, 1186, 1229, 1231, 1239.
6. უცხოელთა აზრი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: 66, 73, 76, 83, 119, 125, 166, 187, 225, 285, 343, 368, 374, 378, 380, 383, 390, 401, 408, 421, 442, 563, 576, 793, 796, 797, 808, 809, 816, 817, 819, 857, 858, 1128, 1243.
7. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი: 93, 118, 137, 141, 167, 180, 244, 418, 492, 614, 915, 1032, 1033, 1134, 1147, 1158, 1161, 1165, 1166, 1182.
8. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა; „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური მოტივები: 11, 21, 133, 135, 142, 172, 212, 225, 236, 255, 367, 460, 511, 578, 579, 730, 789, 811, 908, 939, 1084, 1118, 1122, 1206.
9. შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსის პრობლემა: 238, 545, 546, 729, 788.
10. „ვეფხისტყაოსანი“ და ეკლესია: 305, 307, 495, 795.
11. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის პრობლემა: 131, 549, 1165, 1257.
12. სტროფული შედგენილობა: 79, 80, 337, 532, 787.
13. „ვეფხისტყაოსნის“ დამატებანი (ჩანართი სტროფები): 40, 79, 80, 307, 695, 795.
14. „ვეფხისტყაოსნის“ დასასრული და გაგრძელებანი: 515, 528, 787, 1228.
15. „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და კულტურა: 193, 231, 246, 252, 302, 357, 358, 363, 369, 370, 430, 462, 473, 513, 529, 577, 581, 587, 588, 661, 671, 678, 728, 778, 800, 900, 909, 925, 928, 1071, 1072, 1096, 1156, 1237, 1262.
16. „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკა:
 - ა) მიჯნურობა – 48, 139, 518, 727, 1055, 1206.
 - ბ) ტახტის მემკვიდრის პრობლემა – 140, 922.
 - გ) სოციალური ურთიერთობა – 22, 37, 221, 257, 262, 265, 790, 921.
 - დ) „სისხლი“ და „მართალი სამართალი“ – 19, 20, 159.
17. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები: 88, 174, 209, 256, 289, 399, 591, 629, 733, 734, 785, 1106, 1157, 1249.
18. „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები:
 - ა) ენა და სტილი – 29, 31, 36, 260, 264, 332, 348, 507, 521, 906, 1057, 1079, 1081, 1088, 1116, 1143, 1175, 1176-1180.
 - ბ) ლექსიკა – 32, 44, 265, 266, 320, 329, 333, 339, 431, 465, 468, 509, 593-598, 631, 641, 578, 759, 784, 1056, 1069, 1077, 1080, 1086, 1090, 1098, 1114, 1144, 1145, 1151, 1153-1155, 1192-1198.
 - გ) ტექსტის გასწორება და განმარტება – 78, 267, 268, 422, 461, 584, 628, 636, 736, 761-778, 780, 815, 907, 1183.

დ) კონიექტურები – 830, 1173.

19. „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა:

ა) პოეზიის თეორია, ესთეტიკა – 77, 99, 100, 175, 361, 362, 690, 705, 707, 792, 814, 1083, 1121, 1247, 1252.

ბ) საგანთა და ცნებათა სიმბოლიკა – 474, 725, 728, 744, 1072.

გ) ტროპები – 117, 599, 601, 673, 1073, 1087, 1089, 1168, 1212, 1247.

დ) აფორიზმები – 220, 392, 446, 635, 1015, 1075, 1110, 1185.

ე) ფერის მხატვრული ფუნქცია – 1070, 1086.

ვ) ვერსიფიკაცია და რითმა – 30, 301, 465-467, 1053, 1207, 1208.

20. ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“: 367, 815, 1210.

21. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ფოლკლორი: 1, 41, 57, 397, 398, 512, 548, 600, 634, 639, 640, 643, 1030, 1078, 1146, 1149, 1160, 1217.

22. „ვეფხისტყაოსანი“ და ძველი ქართული მწერლობა: 54, 151, 152-154, 237, 309, 478, 670, 691, 732, 804, 910, 911, 1065, 1091, 1218.

23. „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი ქართული მწერლობა: 25, 33, 59, 99, 107, 188, 232, 237, 316, 385, 386, 497, 520, 592, 632, 638, 646-648, 664-667, 677, 739, 903, 1066, 1082, 1255.

24. „ვეფხისტყაოსანი“ კავკასიის ხალხთა მწერლობასა და ფოლკლორში: 344, 426, 428, 435, 1111.

25. „ვეფხისტყაოსანი“, ძველი მსოფლიო და დასავლეთი ევროპა: 132, 136, 236, 238, 321, 381, 496, 580, 618, 725, 727, 779, 791, 792, 1248.

26. „ვეფხისტყაოსანი“ და არაბულ-სპარსული პოეზია: 251, 452, 475, 617.

27. „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული ფონი; დრო და სივრცე: 623, 1063, 1152.

28. კოსმოგრაფია, ასტროლოგია და ასტრონომია: 202, 272, 464, 718, 768, 774, 1190, 1209, 1211.

29. მითოლოგია და ფანტასტიკა: 1, 437, 1152.

30. ცხოველთა სამყარო: 802, 810, 1238.

31. ქსოვილები, ტანსაცმელი, სამკაული, ძვირფასი ქვები: 671, 1087, 1095, 1114.

32. მუსიკალური საკრავები: 593, 803, 1200.

33. მონოგრაფიული გამოკვლევები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“: 130, 147, 169, 205, 305, 423, 450, 451, 469, 492, 511, 522, 628, 727, 738, 1146, 1203.

34. რუსთველოლოგიური კრებულები: 166, 339, 487, 616, 841-843, 862, 948, 984, 1010, 1011, 1013, 1059, 1114.

35. ბიბლიოგრაფიული კრებულები: 39, 315, 359, 561, 704, 1101.

36. „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციები: 178, 216, 701.

37. რუსთველოლოგები და რუსთველოლოგიის ისტორია: 305, 308, 338, 637, 638, 642, 648, 666, 667, 677, 846, 1102, 1118, 1120.

38. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ ხელოვნებაში (მინიატურები და ილუსტრაციები, ქანდაკება, თეატრი, კინო, მუსიკა): 28, 50, 52, 90, 94, 109, 112, 127, 191, 198, 222, 247, 253, 280, 298, 299, 322, 345, 353, 375, 393, 394, 413, 433, 447, 499, 502, 503, 504, 525, 619, 625, 659, 726, 747, 755, 786, 933, 934, 1031, 1038, 1058, 1064, 1076, 1097, 1127, 1215, 1232, 1259.

38. საიუბილეო შეხვედრები, გამოფენები და სამეცნიერო სესიები: 24, 49, 50, 70, 110, 197, 273, 281, 351, 411, 412, 434, 444, 542, 543, 575, 686, 697, 703, 709, 745, 822, 824, 828, 848, 850, 854, 861, 866, 869, 871, 872, 877, 881-886, 941, 943-946, 949-951, 954, 955, 957-965, 967-976, 1041, 1124, 1224, 1245, 1260.

განხილული სიტყვა-ცნებები
(რიცხვი აღნიშნავს სტატის ნომერს)

ამბავი სპარსული	795, 907.	მოცალობა	333, 461.
ბამი	252.	მწყობრი	252.
ბუნებაზიარი	815.	ნახლი	1114.
დასი	252.	ნობათი	594.
დაჯრა	251.	ორხაო / ორხაული / ორხოვა	1095.
დივნოსი / დიონოსი	761.	ჟირი	252.
ეზროსი	761.	სადარნო	593.
ერთარსება ერთი	815, 1210.	სათრეველი	584.
ვეფხი	763, 1069, 1098, 1238.	სარაჯი	251.
ზმა	339.	სირა	320.
კავშირნი	320.	სირინო	468.
კაპანი	593.	სტავრა	1114.
კაპარჭი	1114.	უჟამო ჟამი	815.
კატა	762.	უსახო სახე	815.
ლევი	422.	შეპოვნება	32.
მართალი სამართალი	19, 20, 159.	ჩმუნვა (მჩმუნავი)	1114.
მზახრი	252.	ცნობა	784.
მოვანება	1209.	წვერგამო	266, 329.
მოლი	765.	წმინდა გრაალი	დან. 10, 11.
		ჯიქი	763, 1069.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1966 წ.	5
დანართი.....	473
პირთა და ეთნონიმთა საძიებელი.....	482
საგნობრივ-თემატიკური საძიებელი.....	498
განხილული სიტყვა-ცნებები.....	500